გიგი ხორნაული

ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი

მესამე შევსებული გამოცემა

თბილისი, 2008
„ეროვნული მწერლობა“

გამოცემის რედაქტორი: **ვაჟა ოთარაშვილი**

რედაქტორი: **ნანა კოტეტიშვილი**

კომპიუტერული დიზაინი: **გიორგი ქადაგიშვილი**

ოპერატორი: **თამარ ტყაბლაძე**

ნახატი ტიტულზე (დაჭრილი არწივი) ეკუთვნის
ვაჟას შვილთაშვილს (ლევანის შვილის, ლუკას ქალს) ექიმ
ნინო რაზიკაშვილს.

გამომცემელი: ფონდი
„თანამედროვეობა და მემკვიდრეობა"
თბილისი,
2008 წელი.

ISSN 978-9941-0-1004-0

ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად „ბევრის-ბევრი" რამ არის გაკეთებული, მაგრამ, ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმ კაცის მონათხრობი, ვინც გაიზარდა იმავე მთებში (ჩემი სოფელი, კაწალხევი, ჩარგალს გასცქერის) და თითქმის იმავე გარემოში, როგორშიც ვაჟა-ფშაველამ გაატარა მთელი ცხოვრება.

ამას გარდა, ვიცნობდი და ურთიერთობა მქონდა ვაჟას თანამედროვეებთან, მის ჩამომავლებთან, რომელთაგან ბევრი რამ მომისმენია და ჩამიწერია ვაჟას შესახებ. თვით ჩვენ ოჯახშიც ხსოვნა იყო შემონახული ვაჟა-ფშაველას ხშირი სტუმრობისა პაპაჩემთან, გიორგი ხორნაულთან, ვაჟას მტერ-მოყვარესთან, ფშავ-ხევსურეთის პირველ და იმ დროს ერთადერთ მეტყევესთან („აბეშიკთან"), „ბლოელ აფშინას" პროტოტიპთან.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ნასაზრდოებია მთიელთა მითოსითა და ზეპირსიტყვიერებით. ამიტომ არის მისი პოეზია ზედროული და ამასთან ერთად ყველასათვის გასაგები. მას ღრმა ფილოსოფიური ნააზრევისა და ზოგადსაკაცობრიო პრობლემების ხორცშესხმისათვის გამოყენებული აქვს მთიელთა ყოფის ამსახველი ეპიზოდები, ადათ-წესები, რომელთა ცოდნის, თვით ვაჟას ცხოვრების გაცნობის გარეშე, ბევრი რამ გაუგებარი რჩება მისი შემოქმედების შესწავლისას.

რა თქმა უნდა, სრულიადაც არ მიგვაჩნია, რომ ჩვენ ყველაფერი ისა ვთქვით და ისე ვთქვით, როგორც ვაჟას ეკადრება. ხევსური ხმითმოტირლისა არ იყოს: „შენ შენფერნ გინდან მატირალნიო, შენის კაცობის დამფასავნიო". ეს ჩვენი მხრიდან. მკითხველს კი, ეჭვიც არ გვეპარება, კიდევ მეტი შენიშვნა თუ სურვილი გაუჩნდება, რასაც დიდი სიამოვნებით გავითვალისწინებთ წიგნის შემდგომი სრულყოფისათვის.

ავტორი

არწივთა საბუდარები

„ რუსთველის შემდეგ ასეთი პოეტი არ გვყოლია”

ილია ჭავჭავაძე

„პირიქით ხევსურეთში მუცოს ციხის სანახებში ერთი უზარმაზარი ლოდი იცავს ხეობის ყელს..

ბინდისას თუ მიეახლებით იმ ლოდს მუცოს ციხიდან, ასე იტყვით, ლოინიაო, მამალი აქლემი საომარი. დაუჩოქნიაო ამ აქლემს, მუხლს ასვენებსო, რათა აღდგეს მერე და უდაბნოს ეახლოს ისევ. თუ მეორე მხრიდან მიუახლოვდი, ფრთიანი ლომი გეგონება, ლომისტანიანი; ფრინველის ჯანგიანი და ნისკარტიანი ქიმერა და ყოველ დროში, ყოველ პოზაში, ყოველი მხრიდან სხვადასხვა აღნაგობისა მოგეჩვენება იგი.

ვაჟა-ფშაველა მომაგონა ამ უტოლო ლოდმა.”

კონსტანტინე გამსახურდია

„ვაჟა არ იყო არც ლამაზი, არც მოხდენილი. იყო ახოვანი. მთელი ფიგურა – არქაული. იგი კი არ დადიოდა – იზლაზნებოდა, როგორც ჰერალდური ნადირი. და ფსევდონიმი კი ცოტას ამბობს? – ვაჟა-ფშაველა! ამ მაგარ სიტყვაში და უფრო ა-ნით დაბოლოებაში სჩანს დედამიწის ძალა”.

ვახტანგ კოტეტიშვილი

ქართველი მთიელები განცალკევებით მდგარ მთას, სხვებისგან მკვეთრად გამოყოფილს, „მარტომთას” ან „სამარტოოს” ეძახიან. ვაჟა-ფშაველა სწორედ ასეთი მარტომთაა, სხვაგვარი მწვერვალია წარსულისაკენ გადაჭიმული ქართული მწერლობის კავკასიონზე. „რაც დრო გავიდა, რაც უფრო ამაღლდა საზოგადოება, ამაღლდა ვაჟაც. ის იმ მთასა ჰგავს, რომელიც ახლოდან სრულად არ აღიქმება, გახვალ მოშორებით და სხვადასხვა ფორმით გამოჩნდება”



არაგვის ხეობა

(34,90). ყველაზე დიდი მწვერვალებიც კი რაღაცა გარკვეული მანძილიდან მოჩანს. „მწვერვალ” ვაჟა-ფშაველას დანახვა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან შეიძლება და ყველას განსაკუთრებულად, თავისებურად ელამაზება. გამოჩნდა აგრეთვე

მისი პატარა, მანამდე უჩინარი სოფელი ჩარგალი, რომელსაც ზვიადად წამოსდგომიან თავს დოწიისა თუ სასოვეთავის, ახუნისა თუ საშუბის მწვერვალები; შუაზე კი შეუპოვარი სიმშვიდით, „სვიით გაბმული მურყნებითა და კალმახიანის წყლით" მოსჩქეფს ჩარგლულა.

ეს სოფელიცა და ეს მთებიც საქართველოს მთის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში – ფშავშია, არაგვის ხეობაში. ამავე ხეობის სათავეშია ხევსურეთი. ეს ორი მცირე სამკვიდრებელი მთიელებისა, ერთი წყალ-ჭალის არემარე, შუა საუკუნეებამდე ფხოვად წოდებული, ერთიანი იყო. შემდგომში გაიყო, ელფერიც სხვადასხვაგვარი შეიძინეს, მაგრამ ერთობა მათი არ გაყრილა, ერთად მოიხსენიებოდნენ (ფშავ-ხევსურეთი) და ლაშქარშიც ერთად გამოდიოდნენ. ვაჟასათვისაც არ იყო ეს კუთხეები გაყოფილი. ამიტომაც არის, რომ ხევსურებზეც ისევე წერს, როგორც ფშავლებზე.

ფშავიცა და ხევსურეთიც მოსახლეობის რაოდენობით ბარის ზოგი სოფლისოდენიც ძლივს იქნებოდნენ, მაგრამ ისეთი გმირული, ისეთი ლამაზი ცხოვრებით უცხოვრიათ, რომ ბევრ დიდ სახელმწიფოსაც შეშურდებოდა მათი. რა ჯურის მტერი არ შესევია, ვის არ უცდია მათი დაპყრობა, მაგრამ ყველასათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავთ და თავისუფლება არ დაუთმიათ. როგორც კი მტრის ხმას გაიგონებდნენ, ფუტკარივით გამოიშლებოდნენ და თავდაუზოგავად აკვდებოდნენ ზედ, რადგან სამშობლოს მტერთან ბრძოლაში სიკვდილი „სათემოდ შესამღერი" იყო.

ვაჟა-ფშაველას თავის ერთ-ერთ სტატიაში „ფშავლები" მოჰყავს ფშაველ-ხევსურთა წინაპრების ქვეყნისა და მეფისათვის თავგანწირვის ასეთი ფაქტი: „როდესაც პომპეიმ გამოიარა ურიცხვის ჯარით, მაშინ „ფხოველნი" რიცხვით სამასი კაცი დაუხვდნენ წინ ანანურში და გზა შეუკრეს. პომპეის გაუკვირდა ამ ერთი მუჭა ხალხის გამბედაობა, მიიწვია თავისთან, გამოჰკითხა ვინაობა: ვინა ხართ? გყავთ მეფე თუ არაო? ფხოველთ უპასუხეს, რომ თვით მეფისაგან არიან ისინი დაყენებულნი მეფის კარის მცველად. როგორ იომებდითო, ჰკითხავდა პომპეი, რომ ვინიცობაა მომესია თქვენთვის ჩემი ჯარიო? მაშინ ფხოველთ გაიძვრეს ხმლები, იფარეს ფარები და

დაერივნენ ერთმანეთს. პომპეი გაკვირვებული დარჩა მათის ხელმარჯვეობით, იარაღის ხმარებით, დაასაჩუქრა, აღუთქვა თავისუფლება და გაისტუმრა მშვიდობით". (15,8).

ისტორიიდან ცნობილია, რა ბევრმა დამპყრობმა სცადა არაგვის ხეობაში შესვლა ქართლისა და კახეთის დაპყრობის შემდეგ და იქ გადამალული განძის ხელში ჩაგდება, მაგრამ ხეირი არავისთვის დაუყრიათ.

ერთი ასეთი ისტორიული ფაქტი ფშავშიც არის შემონახული გადმოცემის სახით და იოანე ბატონიშვილსაც მოჰყავს თავის „კალმასობაში". ამ თხზულების მთავარი პერსონაჟები იოანე ხელაშვილი და ზურაბა ღამბარაშვილი ლალისყურისაკენ მიემართებოდნენ, წინ შემოხვდათ ორი ფშაველი, რომელთა საამებლადაც იოანე იხსენებს ფშაველთა გმირობის ამბავს: „წყეულმან შააბას რომ კახეთი მოაოხრა, მერეთ თქვენზედ გამოგზავნა ჯარი. პირველად ბაჩალზედ წამოვიდნენ (ივრის ხეობიდან, თიანეთის მხრიდან – გ.ხ.) და თქვენ იმ ფშავის გადასასვლელში დახვდით და გამოაბრუნეთ. და მერე გაჯავრებულმან კიდევ ფშავის არაგვის წყალზედ ასი ათასი კაცი გამოგზავნა თქვენ წასახდენად. და ის ჯარი მოვიდნენ, შუაფხორს ქვევით რომ წყლის პირზედ დიდი კლდის ქვაბია (იგულისხმება ნაწვეთა, ვიწრო კლდიანი ჭალა ორწყალს, ფშავისა და ხევსურეთის არაგვების შესართავს, ქვემოთ – გ.ხ.), იქამდის მოაწია იმათმან მხედრობამან და თქვენ, წმინდანის ლაშარის ჯვრისა და წმინდის ქეთევან დედოფლის მადლით, სძლიეთ და გააქციეთ იქიდამ ის მტერი, და ესოდენი კაცი გაწყვიტეთ, რომელ მთლად ის წყალი სულ სისხლმან ისე შეღება, რომ აღარ დაილეოდა, და სულ ხოცით მოჰყევით ჟინვალის ხიდამდისინა. და მას აქეთ თქვენთან ვეღარავის შემოუბედნიაო". (23,431).

ფშავ-ხევსურეთში განსაკუთრებით მრავლად არის შემონახული ზურაბ ერისთავის ლაშქრობის ამბები.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ირანის ამაოხრებელმა ლაშქრობამ ძალზე დააწწქვეშევრდომი თავისუფალი მთიელები თავის ყმებად გაეხადა. სისხლისმღვრელი ომებით ხევი და მთიულეთი დაიმორჩილა და ახლა ფშავსა და ხევსურეთს მიადგა, მაგრამ მის ლაშქარსაც ისეთივე დღე დააყენეს, რაც თათრებისას. ეს ამბები ასახულია საგმირო-ისტორიულ ლექსებში:

„აკი გითხარა, ზურაბო, არაგვზე შავლა ძნელია!
დაგიხვდენ ფშაველ-ხევსურნი, დღე დაგაყენეს ცხელია,
სირბილით ჩამოგავლიეს არაგვის ჭალა გრძელია.
კართანას გადასეესა, მსახურთ გიკიდეს ხელია,
თვალივის ყელში რო მიხველ, იქ მოგაგონდა ცხენია!"

ზურაბს ამ დამარცხების შემდეგაც არ აუღია ხელი ფშავ-ხევსურეთზე: „ზურაბს ჯავრი ჰკლავს ორისა: ხევსურეთისა, ფშავისაო". კიდევ უფრო დიდი ლაშქარი შეუგროვებია და რაკი ხეობით ვერ შეუღწევია ხევსურეთში, სათავიდან წამოუვლია. მთიულეთის მხრიდან, ფხიტურზე გადავლით, დასცემია ხევსურეთს. ამ მოულოდნელი ზურგში დარტყმით პირველ ხანებში რაღაც წარმატებისათვის მიუღწევია. ლაშარის გორზე ფშაველთა ძლიერების სიმბოლო – „ბერმუხაც" მოუჭრია, მაგრამ ბოლოს მაინც სირცხვილნაჭამი გაბრუნებულა. კრაზანების ბუდეში მოხვედრილივით გასჭირვებია მის ლაშქარს. ყოველ წუთს საიდანღაც ისარი მოფრინავდა თურმე და ხმალი მოელავდა. ზოგი მარტოდმარტო ეკვეთებოდა შემოფეთებულ მტერს. გუდანის მთაზე, მაგალითად, გუროელი გმირი ქალუნდაური ჩამოსწევია და ხმალდახმალ მისულს თორმეტი მოუკლავს: „ბეგენ-გორ ჩამაეწივა, ყმან ჩაჭრნა ზურაბისანი", მეთორმეტე ყირამალა გადასულა, რაც თურმე ღვთისგან გაფრთხილების ნიშანი იყო: მეტის მოკვლა აღარ შეიძლებოდა, ცოდვა მოგეკიდებაო. იმასაც ჩაუგია ხმალი და უკან გაბრუნებულა.

მერე ლიქოკის ხეობაში შეუთხელებიათ ზურაბის ლაშქარი ხევსურებს:

„კვათეს ჩაყარნეს ისარნი, დილა რო ცამა ნამიო,
კიბეს ჩაწურეს ლაშქარი, რო საკალმახე წყალიო". (48,1).

რაც ხევსურებმა დააკლეს ზურაბის ლაშქარს, ის ფშავლებმა დაუმატეს:

„ზურაბ, რა უყვენ ლაშქარნი, ნაკრეფნი შვიდის თვისანი?
დაგიხვდენ ფშავლის შვილები, არწივნი მაღლის მთისანი,
შამოგეწივნეს მთაზედა, გაწითებინეს ქვიშანი".

ფშაველ-ხევსურნი ერეკლე მეფის „უნჯნი ყმანი"

იყვნენ, მისი თავდაუზოგავად ერთგულნი. მტრის შემოსევისას ისინი ყოველთვის მთის ზვავივით ჩამოდიოდნენ ბარად, ყველაზე მეტად ირჯებოდნენ. ამას მემატიანეც აღნიშნავს, ამასვე ამტკიცებს კრწანისის ველზე სპარსელებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სამასი არაგველის თვალდაუხამხამებელი სიკვდილი, ამასვე ამბობს ქართველი პოეტი:

„მთიდან ჩამორბოდნენ, მტრის ჟლეტა ნებავდათ –
და ბარში რჩებოდნენ სამარის ჯვრებადა.
ბარში მოდიოდნენ „ვოჟები" კერკეტა –
მთაში ბრუნდებოდნენ ზღაპრად და ლეგენდად".

(შოთა ნიშნიანიძე, „ხევსური").

ან თუნდაც რად ღირს შატილიონთა უმაგალითო გმირობის ამბავი... 1843 წელს შატილს მოადგა შამილის ერთ-ერთი სახელოვანი ნაიბი ახვერდი-მაჰმადი ხუთი ათასი კაცით. მისი მიზანი იყო საქართველოში შემოჭრა, ქართველთა გადაბირება რუსეთის წინააღმდეგ და თურქეთთან შეკავშირება. შატილიონთ გზის მიცემაზე უარი უთხრეს და სამოცი შატილიონი ხუთიათას კაცს შეება. ქმრებსა და მამებს თოფებს ქალები უტენიდნენ, ისინი კი ზუსტი სროლით მტერს მუსრს ავლებდნენ. სარკმლიდან შემოვარდნილი ერთი ტყვია თავხემ აისხლიტა და აკვანში მწოლიარე ბავშვი შუაზე გაგლიჯა. დედამ კვლავ თოფების ტენვა გააგრძელა, ქმარს არაფერი აგრძნობინა – ნიშანში სროლას ვეღარ შეძლებსო. სამი დღის ბრძოლის შემდეგ შატილიონთ ტყვია თვით ახვერდი-მაჰმადს მიაწვდინეს და ბელადმოკლული ლეკის ჯარი უკან გაბრუნებულა. ამ გმირობისათვის შატილივნებს მეფის რუსეთის მთავრობისაგან საჩუქრად ჯვარ–მედლები, უამრავი ხორბალი და ტყვია–წამალი მიუღიათ. მთავრობის განკარგულებით აქვე აუგიათ პატარა ეკლესია ამ გამარჯვების აღსანიშნავად, რომლის კედელშიც ჩაუსვამთ მარმარილო ქართული და რუსული წარწერით: „უმაღლესისა ბრძანებისამებრ ჯილდოდ შატილელთად დამარცხებისათვის ახვერდი-მაჰმადის და მისთა შეყრილთა ჯართასა ჩყმგ (1843) წელსა შინა, აღშენებულ არს ჩყმთ (1849) წელსა



ვაჟა ღაჭაურას მუზარადით

განკარგულებითა კნიაზის ნამესტნიკისათა”.

გარდა ასეთი შემოსევებისა, ფშაველ-ხევსურთ, სხვა მთიელთამსგავსად,უხდებოდათჩრდილოეთკავკასიისტომების მეკობრული თავდასხმების მოგერიება, ჩრდილოეთიდან დაცვა საქართველოს სამეფოსი. ერთი ასეთი თავდასხმის ამბავი უშუალოდ ჩარგალზე, ვაჟას წინაპრებზე, გადმოცემულია ხალხურ ლექსში:

„ვინა თქო ჩარგალელთადა, აფხუშოს, ცუდნი ყმანია,
აფხუშოთ ჭიჭახევამდე სამოც ლეკს მაშჭრეს თავია”.

აფხუშო ჩარგლის ფუძე სოფელია, ახლანდელი ჩარგლიდან სამიოდე კმ-ით მოშორებული, ჭიჭახევა კი იმ პატარა ნაკადულს ჰქვია, ვაჟას სახლის გვერდზე რომ ჩამოდის.

ფშაველ-ხევსური კაი ყმები მარტოდაც სდევდნენ მეკობრეებს, უდარაჯდებოდნენ მთის საყელებში, ვიწროებში, ქისტეთამდე და დაღესტნამდე ჩასდევდნენ ტყვეების გამოსახსნელად, შურის საძიებლად. ასეთი კაი ყმები იყვნენ პროტოტიპები ვაჟას პერსონაჟებისა: ალუდა ქეთელაურისა, ზვიადაურისა, გიგლიასი და სხვების. ერთი იმ კაი ყმათაგანი ყოფილა ჩარგლელთა წინაპარი ღაჭაურა, თათრებთან ომის გმირი. მისი მეთაურობით ფშავლები შებრძოლებიან მტრის დიდ ლაშქარს, უეცარი თავდასხმებით დაუფრთხიათ და ასე უდევნიათ ჟინვალამდე, ფშავის არაგვის ბოლომდე. იქ კი მთელი ძალით დაურტყამთ საბოლოოდ და სულ ერთიანად გაუ-ჟლეტიათ. უთქვამთ – „ჟინიც მოვიკალით და ვალიც მოვიხადე-თო”. – აქედან დაერქვა „ჟინვალიო”, – გადმოგვცემს ხალხური თქმულება.

ამ ომში ღაჭაურას პირადად მოუკლავს თათრების წინა-მძღოლი: ხმლით გაუჩეხია მისთვის ოქროთი მოვარაყებუ-ლი მუზარადი – „ჩაუხედვებია”. ეს „ჩახედვებული” მუზარა-დი აფხუშოს ადგილის დედისთვის შეუწირავს. ხალხმა კი ამ მუზარადს ღაჭაურას მუზარადი შეარქვა; ჩაჩეხილი ადგილი სანთლით ამოუგოზავთ და აფხუშოობას ლუდის სასმელად დაუ-წესებიათ. მესამე დღეს გამოიტანდნენ დასტურ–ხევისბრები და დაიძახებდნენ: აბა, ღაჭაურას შესანდობარი უნდა დაილიოსო!

ვინც კარგი ვაჟკაცი იყო, ლუდით სავსეს ცლიდა ამ მუზარადს.

ერთ-ერთ ფოტოზე ვაჟას ეს მუზარადი უძევს მუხლზე. ჩანს, თვითონაც ელოლიავებოდა ღაჭაურას მსგავს გმირობას, ღაჭაურაობაზე ოცნებობდა; თვითონაც ეწადა ისევე მძლავრად დაკვესება ხმლისა თათარზე არანაკლები მტრის თავზე.

ჯიშჩამომავლობა

ერთი ლეგენდის თანახმად , ვაჟას შორეული წინაპრები მოხევეები ყოფილან, სოფელ სნოდან. ამის შესახებ ცნობას თვით ვაჟას მამა პავლეც გვაწვდის თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში – „მოკლე მოთხრობა ჩემი წინაპრების ჩამომავლობაზედ, მათ ზნე-ჩვეულებებზედ". იგი ამ ჩანაწერს ასე იწყებს: „ჩვენის გვარის მომდინარეობის დასაწყისი, როგორც ბებისჩემის და მამისჩემისაგან გამიგია, სუ ძველისძველათ ხევიდან მოსულან ცაბაურთას. ღუდუშაურები ვართო და მართლაც სნუში მე თვითონაც მოხევისაგან გავიგონე ჩვენის გვარისები ხართო – გოგოჭურებივო". (46,7)

ამ ლეგენდის გამეორებაა იაგორ ღუდუშაურის ჩანაწერებში აღმოჩენილი ვაჟას მონათხრობი.

იაგორ ღუდუშაური ალ. ყაზბეგის ნათლული და აღზრდილი ყოფილა. თვითონაც ლექსებს ბეჭდავდა თურმე და ვაჟას გაცნობას ნატრობდა. 1896 წელს ახდომია ეს ნატვრა – დუშეთში შეხვედრია. ვაჟას უთქვამს: „მოხარული ვარ, რომ ჩვენი სანდროს შემდეგ კიდევ გავიგონე მოხეურ კილოზე ვაჟკაცური ლექსებიო". მერე დუქანში შეუპატიჟნია. იქ სხვებიც შემოსწრებიან და ლექს-კაფიობაც გამართულა. იაგორს ექსპრომტად მიუძღვნია ვაჟასთვის ლექსი, რომელიც ასე მთავრდებოდა:

„...სხვა ვინ შეგვიმკობს მთის კალთებს, თუ არ თქვენებრი მწერალი!"

ვაჟას ამის საპასუხოდ უთქვამს:

„მოხევეს ლექსი უხდება, შეამკობს მხატვრულ ფერადა;
მე მიტომ მიყვარს მოხევე, რომ სნოველი ვარ ძირადა,

წინაპარ მყვანდა მოხევე, ვეკუთვნი შვილიშვილადა!
გამოჰქცევია სიკვდილსა, ფშავი რგებია წილადა".

თავის მეზობელ ფშავლებთან საუბრისას მამაჩემისაგან გამიგონია, რომ ჩემი წინაპარი ყოფილა ხუცესი, სოფ. სნოდან გამოქცეული, რომელსაც რაღაცა ავკაცობა ჩაუდენია, საგვარეულოს განუძრახია მისი იქიდან გაძევება, თვითონვე დაუსწრია, გაუტეხია სამლოცველო, გამოუტანია ხატი, ჩაუსვამს გუდაში, მოუპარია ვისიმე ცხენი, შემჯდარა და ხევსურეთს მიბრძანებულა. ის იქ დამკვიდრებულა თავის ხატით ისევ ხუცესის ადგილზე. ის ყოფილა მოუსვენარი ავი კაცი. იქაც ავკაცობა ჩაუდენია და შემდეგ გადმოსულა ფშავში. მამაჩემი იტყოდა - „ხუცესობა მოგვიდისო".

ვაჟა-ფშაველას მოხევურ წარმოშობას უჭერს მხარს ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი, მოხევეების სიძე პროფ. დიმიტრი ბენაშვილი თავის ვრცელ მონოგრაფიაში „ვაჟა-ფშაველა". ვაჟას მამის ცნობას იგი ავსებს ხევში მოპოვებული ხალხური გადმოცემით: „რაზიკაშვილების გვარი, როგორც ვაჟას მამა პავლე გადმოგვცემს, მოხევური წარმოშობისაა. თავდაპირველად რაზიკაშვილები ღუდუშაურები ყოფილან და ცხოვრობდნენ სოფელ სნოში. სნოდან ღუდუშაურების ერთ-ერთი შტო ფშავში, სოფელ ცაბაურთაში გადასახლებულა, ცაბაურთიდან აფხოშოში (აფხუშოში - გ.ხ.), აფხოშოდან კი ჩარგალში. ხევიდან ფშავში მოსვლის დროს ღუდუშაურებს გვარი გამოუცვლიათ, ერთ-ერთი მათი წინაპრის სახელი რაზიკა გვარად გამოუყენებიათ და რაზიკაშვილებად დაწერილან.

თქმულების თანახმად, სოფელ სნოს სახელწოდება მომდინარეობს ღუდუშაურების წინაპრის სახელისაგან. პირველი ვაჟი სნოს მაშინ შეეძინა თურმე, როდესაც ოსების სარდალმა ბაყათარმა დაარღვია საქართველოს საზღვარი და თავისი ჯარით დარიალში შემოვიდა. სნო ვიწრო ბილიკებით მცხეთაში ჩამოსულა და მომხდარი ამბავი მეფე ვახტანგ გორგასლისათვის მოუხსენებია. მეფე ჯარით შესულა თერგის ხეობაში და ოსები სასტიკად დაუმარცხებია. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოუჩენია სნოს. მადლობის ნიშნად მეფეს სნოს ვაჟიშვილი მოუნათლავს და ნათლულისათვის ღუდუშაური დაურქმევია"...

შემდეგ საუბარია იმ ღუდუშაურის (სახელად და არა გვარად) ჩამომავლობაზე და სამი საუკუნის წინანდელ ტრაგიკულ ამბებზე, რის შემდეგაც განაგრძობს: „ამავე პერიოდს ემთხვევა სამუკეთ მეორე წარმომადგენლის, რაზიკა ღუდუშაურის გაქცევა ხევიდან და მისი დასახლება ფშავში. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ახალი შტო-გვარის – რაზიკაშვილის წარმოქმნას. უკვე ცნობილი რაზიკაშვილების გენეალოგიის მიხედვით, ვაჟა-ფშაველა რაზიკადან მეშვიდე თაობის წარმომადგენელია, ხოლო ვაჟას შვილი ვახტანგი მერვე თაობად ითვლება. თუკი მეცნიერებაში უკვე დადგენილი წესის მიხედვით თაობათა დისტანციას 35 წელს ვიანგარიშებთ, მაშინ რაზიკაშვილების გვარს სამი საუკუნის ისტორია უნდა ჰქონდეს.” (4, 47–50).

ვაჟა-ფშაველას წინაპრები რამდენად იყვნენ ღუდუშაურები, ეს კიდევ საკვლევ-საძიებია და გადაჭრით რაიმის თქმა არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ რაღაცა ცნობა ვაჟას მამასაც ჰქონია, მაგრამ იმის თქმა კი თამამად შეიძლება, საქმე ხალხურ ლეგენდასთან რომ გვაქვს. შეუძლებელია ღუდუშაურთა გვარის გორგასლის დროიდან მომდინარეობაზე და მამიშვილობა-განაყრობაზე ლაპარაკი თხუთმეტი საუკუნის მანძილზე, როცა რეალურად სამი-ოთხი თაობის იქითა წინაპარი თითქმის აღარავის ახსოვს. დიმიტრი ბენაშვილი საერთოდ არ ახსენებს იმავე ვაჟას მამის ნათქვამს: „სნოში მე თვითონაც მოხევისაგან გავიგონე ჩვენის გვარისები ხართ –გოგოჭურებივო”. ჩანს, ვეღარსაიდან შეათავსა ერთმანეთთან მეხუთე საუკუნის „ღუდუშაური” გოგოჭურთან.

თავისი გვარისა თუ წინაპართა სხვა კუთხიდან, უცხო ქვეყნიდან მომდინარეობაზე შეთხზული ლეგენდების სინამდვილედ წარმოჩენა რატომღაც ეამაყებოდათ ჩვეს წინაპრებს. იშვიათი იყო ქართველი თავად-აზნაური, ვინც თავის ჯიშ-ჩამომავლობას ებრაელებს, თათრებს, სომხებს, ჩერქეზებს და ვიღას არ უკავშირებდნენ, რათა ამით თავი სხვებზე მაღლა დაეყენებინათ. ხშირად ასევე იყო დაბალ ფენებშიც და მათ შორის ფშავსა და ხევსურეთშიც. შესაძლოა ასეთი ტრადიციით იყოს ნაკარნახევი ვაჟას მამის პავლეს მონათხრობიც – მოხევეები ვართო. საამისოდ კი, მოხევეებსაც და პავლესაც ბიძგს მისცემდა ის, თუკი ღუდუშაურების თემში ვინმეს სახელად რაზიკა ერქმეოდა.

სავარაუდოა, ღუდუშაურთა მამიშვილობა ხევში გადმოსულიყო ხევსურეთიდან, გოგოჭურთ თემიდან. ისევე როგორც არიან მთიულეთში გადასული ბუჩუკურები, თუშეთში – სულაკაურები (სულაკანი), ფშავში – რაზიკაშვილები (რაზიკანი), პირქუშაშვილები – (პირქუშანი) და სხვა. როგორც ჩანს, რაღაც დანაშაულის გამო გაუდევნიათ თემიდან ვაჟას წინაპარი, გადასულა სნოში თავისიანებთან, მამიშვილობით ღუდუშაურებთან, იქაც რაღაცა დაუშავებია – მოუსვენარნი ვყოფილვართო, გვიყვება ვაჟას მამა – და გადმოსულა უკანაფშავში, სოფელ ცაბაურთაში, ფშავლებისაგან დაცლილ ადგილში პირიქით ხევსურეთიდან, კერძოდ, სოფ. ხახაბოდან გადმოსულ გოგოჭურებთან. იქ შეუქმნიათ გოგოჭურთ თემის ხალხს ფშავის ერთ-ერთი ძლიერი თემი. შემდეგში მათ ჩარგალში შეუსყიდიათ ადგილი და იქ ჩამოსახლებულა ჭარბი მოსახლეობა. ამას მოწმობს ჩარგლის ფერდობზე შემორჩენილი ნასახლარები, რომლებსაც ხალხი „გოგოჭურებს” უწოდებს. საერთოდ, როცა ფშავლები ერწოთიანეთისაკენ ან ბარისაკენ დააპირებდნენ გადასახლებას, თავის სახლ-კარსა და ადგილ-მამულს ხევსურებს ასყიდებდნენ. ასე შეუსყიდიათ ბლოს ხეობიდან ჩამოსულ ხორნაულებს სოფ. კაწალხევი, ასე შეუსყიდიათ გოგოჭურთ თემის ხალხს მიგრიაულთის, შარახევისა და ჩარგლის ადგილები. ჩარგალში დასახლებულ გოგოჭურთა თავკაცის ნათქვამია:

„ხევსური ამბობს ღანიშა: „ადგილ არ მამწონ ბარისა,
ჩარგალს ავიღე მამული სამოცდასამის ხარითა,
შარის თაობა ჩემია, შარის ძირობა ფშავლისა”.

იგულისხმება ჩარგლის სამოსახლო, მზისპირის ფერდობზე გამავალი შარა. ამ შარის თავზეა გოგოჭურთ ნასოფლარიცა და მათი გამოჩენილი გმირების სულა და კურდღელას ნაციხვარიც. გადმოცემით, ეს გმირი ძმები ისე გაამაყებულან, ისე შეუშინებიათ ხალხი, რომ ჭალაზე მგზავრად მიმავალნი ჩუმად დაიპარებოდნენ, ჯორებს საპირეებს უკეთებდნენ: არ დაიყროყინონ და სულამ და კურდღელამ არ გაიგონონო. მათი შიშით ჩარგლის წყალ-ჭალაზე მზე-წვიმის მეტი ვერა გაიჭაჭანებდაო.

ერთხელ კურდღელა თურმე თავის ციხის გვერდითა ზის

და ქალამნებს ისხამს, ხელში ხის სადგისი უჭირავს. ამ დროს ისრით დაჭრილმა ირემმა ჩამოურბინა და იქვე ახლოს წაიქცა. მოჰყვნენ მონადირეებიც კვალდაკვალ. კურდღელას ირემი წაურთმევია – მე მოვკალი გვერდზე რომ ჩამომირბინა, სადგისი ვკარიო. ეს ამბავია ასახული ერთ „ისრის" დროინდელ გვრინში, ალბად იმ მონადირეზე ხმით ნატირალში:

„ძაღლის მჭამელმა გოგოჭურმა
ბევრი რიალი ჩაიდინა,
ხარსა ირემსა ნაისრალსა
ნასადგისარი მამიქვივნა".

ასეთი გაამაყების გამო, თუ სულაც იმიტომ, რომ ხევსურები ადგილში შეეჭრნენ, ჩარგლელებს ერთ დღესაც სათიბეზე გასული ძმები მიპარვით დაუხოცავთ. ამასაც ძველი ხმით ნატირლიდან ვიგებთ:

„შვილნი წავლალენ თიბაზედა,
ჩემი სულაი-დ კურდღელაი,
თვალით დავხრიტენ ახუნგორი,
არცად აჩინდა ნამხრევებიო.
– ბერო, რად სტირი შვილთა შენთაო,
ჩარგლის კართ იყვნენ შენნი შვილნიო,
შამოწოლილნი ვეძაზედაო.
ბრუნევდეს სისხლის მორევჩიაო,
ხელში ეჭირათ შიშველ ხმლები,
ერთმანეთს ყორნებს ულალევდესო".

ვაჟამ ეს გადმოცემა თავის პოემა „სულა და კურდღელას" დაუდო საფუძვლად, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ნაწარმოებში ფშავის მფარველი გმირები სამშობლოს მტრებს, თათრებს, შეაკლა უთანასწორო ბრძოლაში. ჩანს, ვაჟას ასეთი გმირები უაზრო სიკვდილისათვის არ ემეტებოდა. ამ სიმპატიებს უთუოდ ისიც აძლიერებდა, რომ ისინი თავის უშუალო წინაპრებად მიაჩნდა. ამით ამაყობდა და ერთ-ერთ ფსევდონიმად „ჟულაკა გოგოჭურსაც" აწერდა თავის წერილებს. მათ დადებით გმირებად გამოყვანას ხელს უწყობდა აგრეთვე ისიც, რომ ისინი მართლაც იყვნენ მტერთან მებრძოლნი. ეს მხარე წამოსწია ვაჟამ, ეს იყო მისთვის მთავარი. ეს მთავარი არც ხალხმა დაუკარგა და მათი ფუძენაციხვარი და მათი სახელები სალოცავად აქციეს. მათ სულებს შესთხოვდნენ მფარველობას. ასეთი რამ ფშავში ბევრგან გვხვდება.

„... ირკვევა, რომ სულა და კურდღელა გოგოჭურები იყვნენ. გოგოჭურთა ჩარგალში მოსახლეობის შესახებ ხალხშიც არის დარჩენილი გადმოცემები. გოგოჭურები ფშავის სოფელ ცაბაურთაშიც ცხოვრობდნენ. მაგრამ გოგოჭურთა გვარი ხევსურეთის ძირითად გვართაგანია. როგორც ცნობილია, არაბულები, ჭინჭარაულები და გოგოჭურები ე.წ. სამაგანძუროს ქმნიდნენ ხევსურეთში და ხსენებული კუთხის უძველეს გვარებად ითვლებოდნენ". (35,121).

სოფელ აფშოში ხევისბერმა სოლომან გოგნელაშვილმა მიამბო: „ერთ თუშათ ქალი რაიმ იყვის ემა ჩარგალსა, მკითხაობდის, ქადაგობდის. იმან იძახის, რომეო ხევსურნ დაფშავლდებიანო, ფშაველნ დაკახდებიანო, ისითა დრო მუალისო. მართლა ისრე აცხადდა".

მთიდან ბარისკენ თანდათან მიგრაციის პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტი დაგვიტოვა XIX საუკუნის შუა წლების თიანეთის მაზრის (სადაც შედიოდა მაშინ ფშავ-ხევსურეთი) უფროსმა მ.ვ. მაჩაბელმა, ალბათ, საანგარიშო მოხსენებაში „თბილისის გუბერნიის, თიანეთის მაზრის სახელმწიფო გლეხების ეკონომიური ყოფა". იგი წერს: „დიდი მიგრაცია ბარისაკენ ყველაზე მეტად თუშეთიდანა და ფშავიდან ხდება. ხევსურები თითქმის უძრავად არიან. ამიტომ შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ისინი დიდ გაჭირვებას განიცდიან. მთავრობამ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები, თორემ ეს ხალხი შეიძლება ამოწყდეს. ფშავში თავისუფლდება ადგილები და ხევსურები იქით მოიწევენ ნელნელა, ბარს ვერ ენდობიან...

...ჩარგლის თემში შედის ოთხი სოფელი: ბუჭყინტა, გუდარახი, ჩარგალი და შარახევი - 2 (ზემო შარახევი - გ.ხ.) ყველა ზემოხსენებულ სოფლებში ცხოვრობს გოგოჭურთა თემის ხალხი. ეს სათემო გვარი იყოფა რამდენიმე ცალკე შტოდ: პირქუშანი,

შავერდანი, რაზიკანი, ბაიანი, გორზამაულნი და გურასპაულ-ნი.” (37,385).

ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ფშავის დაცლილი ოთ-ხი სოფელი შეუვსია ხევსურეთიდან ჩამოსულ, (ალბათ, ნაწი-ლობრივ ცაბაურთიდანაც, ადრე გადმოსული გოგოჭურებისა-გან) გოგოჭურებს და რომ გოგოჭური თემის სახელი ყოფილა, ხოლო პირქუშანი, რაზიკანი და სხვა - მამისშვილობები. ისინი რომ გვარები ყოფილიყო, მაჩაბელი დაწერდა პირქუშაშვილე-ბიო, რაზიკაშვილებიო... ეს მამიშვილობის სახელები შემდგომ-ში გვარებადაც გაფორმდა ფშაველთაგან მიღებული პრინცი-პის მიხედვით – „შვილით”. დღეს ჩარგლის ძირითადი გვარებია: პირქუშაშვილი, რაზიკაშვილი, ბაიაშვილი, გორზამაული, გუ-რასპაული. შავერდაშვილი ბუჭყინტაში იყო, ზემო შარახევში. სოფ. მიგრიაულთის მკვიდრს, კარგ ფშაველ მოხუცს, ეფრემ ბუთხაშვილს, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, ჩემთვის ბევრჯელ უთქვამს: „შვილო გიგი, მე არ ვიცი ვინ რას ამბობს და ვინ რად ამბობს, მაგრამა ჩვენ ძი-რად ხევსურები ვართ, გოგოჭურები. ვაჟა-ფშაველა ჩვენს ხში-რად მოდიოდის სტუმრადა, მამაჩემ მამუკაი და ის ძმობილნ იყ-ვნენ. იმათ იცოდიან ამაზე ლაპარაკი, ჩვენ ერთნი ვართო.”

ვაჟა-ფშაველას, რაზიკათ დიდი წინაპარი იმედა, ერეკლეს დროინდელ ერთ დოკუმენტში გოგოჭურად, ე. ი. იმჟამინდელი თემის სახელით, არის მოხსენებული. ამ დოკუმენტზე ყურად-ღება გაუმახვილებია პროფ. დავით გოგოჭურს: „იმედას, ანუ როგორც თურმე მას მამა ეძახდა, მამისიმედს, ხშირად ვხვდე-ბით ხალხურ პოეზიასა და თქმულებებში, როგორც უშიშარ მე-ომარსა და დარბაისელს, ხოლო ვაჟა-ფშაველას მამა პავლე კი ამის შესახებ წერს, რომ „ამ იმედის შვილი იყო მამისჩემის მა-მა ბერო”. (ასე, რომ ვაჟა-ფშაველა მამისიმედის ჩამომავალი მეოთხე თაობა იყო: ბერო–გივი–პავლე–ვაჟა-ფშაველა). მამი-სიმედზე სხვათაშორის ასეთი გადმოცემაც არის დარჩენილი: „მეფე ერეკლეს ის ხშირად ეტყოდა ხოლმე: „ორი შენი ბრძანე, ბატონო, მაგრამ მესამე კი ჩემი გაიგონეო!” ეს ლამაზი გადმო-ცემა შეიძლება ხალხის ფანტაზიის ნაყოფად ჩაგვეთვალა, რომ არ მოგვეპოვებოდეს წერილობითი საბუთი მამისიმედისა და ერეკლეს ურთიერთობის შესახებ. არსებობს 1750 წლის 6 ივლი-

სით დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც მოურავ გ. ჩოლო-ყაშვილსა და ფშავ-ხევსურთა შორის ატეხილ დავასა და ამ და-ვასთან დაკავშირებით თუშეთში ერეკლეს მიერ გამართულ ხალხურ სასამართლოს (თემურ „რჯულს”) ეხება. მამისიმედ გოგოჭური ამ”რჯულის კაცთა” (მსაჯულთა) შორის იხსენიება” (10,47).

დავით გოგოჭურსაც და სხვასაც იმდროინდელი „გოგოჭუ-რი” გვარად მიაჩნია. სინამდვილეში კი მაშინდელი სათემო სახე-ლები (ხევსურეთშიც და ფშავშიც) გვარებად არ გაიაზრებოდა, გვარები არ არსებობდა. ხევსურეთში უფრო გვიან ეს სათემო სახელები გაიფორმეს გვარებად, ფშავში კი, რაკი ფშავმა უფრო ადრე იწყო რღვევა, უპირატესობა მამისშვილობასა და მამის სახელებს მისცეს.

რაზიკაშვილი რომ XIX საუკუნის შუა წლებამდე გვარად არ იყო ჯერ გაფორმებული, ამას მოწმობს კიდევ სხვა დოკუ-მენტიც. ეს არის საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცუ-ლი „ფშავის საეკლესიო წიგნები”, 1843 წლიდან მოყოლებული 1900-იან წლებამდე, რომლებშიც ჩაწერილია ახალდაბადებულ-თა, ახალჯვარდაწერილთა და გარდაცვალებულთა „გვარები”. მათზე მხოლოდ პირობითად თუ ითქმის გვარები. საამისოდ ისინი იმჟამად „ნედლ” მასალას წარმოადგენდნენ, რადგან მთა-ში გვარების ფორმირება მაშინ იწყებოდა. კერძოდ, 1843 წლის წიგნში რაზიკათ მამიშვილობის წარმომადგენელნი ჩაწერილნი არიან ამგვარად: ნადირა ბეროს ძე რაზიკანი, ბერი ბესიას ძე რაზიკანი, ხოლო ვაჟას მამა პავლე, როგორც განათლებული კა-ცი რაზიკოვად ეწერებოდა: „პავლე რაზიკოვი – ჩარგლის ეკლე-სიის პრიჩეტნიკი”. თვით ვაჟა-ფშაველაც მოსწავლეობის დროს რაზიკოვად ეწერებოდა.

1850 წლის ამავე საეკლესიო ჩანაწერებში გვარის ფორმი-რებაში უკვე საგრძნობი პროგრესია. მეტიწილი გვარებისა უკვე სრულყოფილად არის გაფორმებული, მათ შორის „რაზიკაშვი-ლიც”: ბერიძე ბერის ძე რაზიკაშვილი, პავლე გიორგის ძე რაზი-კაშვილი, გიორგი იონას ძე რაზიკაშვილი... თუმცა მათ გვერდით ჯერ კიდევ გვხვდება ცომცხვარა გვარები: რაიბულ გოდერძის ძე გოგნელათი, იმედა მამუკას ძე ჭუბათი, მაჩხურა გამიას ძე ლოსეურათა, კურდღელა ფოცხვერას ძე ჭიჩოელი, ლეგა გამი-

ხარდის ძე მათურელი, მარაულ ლომის ძე მარაული, პატარკაცი მღუდლის წოწკურაულის ძე, ბერიძე გოგოლაურავის ასული მარიამი, იმედა ქავთარის ძე გოგოჭურიშვილი და სხვა (41).

ამ დოკუმენტიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ გვარი რაზიკაშვილი XIX საუკუნის 40-50-იან წლებში ჩამოყალიბდა გვარად ხევსურეთიდან ჩამოსახლებულ გოგოჭურთა თემის ერთ-ერთი მამიშვილობიდან – „რაზიკანი". თვით ვაჟა-ფშაველამ და მისმა ძმებმა კი 80-იან წლებში დაიმკვიდრეს „რაზიკაშვილობა'".

ჩარგალში გოგოჭურთა ხევსურეთიდან ჩამოსახლების შესახებ ცნობებს ხალხიც გვაწვდის. დავით გოგოჭურს მოჰყავს გუროელი ძაღლიკა გოგოჭურის ნაამბობი, რომ, „ჩარგალ თავისუფალ ალაგ ყოფილას. ნეფეს საკარგყმოდ მიუცავ თავის მეომრებისად. ისეები ზოგ ჴევსურ ყოფილ, ზოგ მშაველი, ზოგ მთიულ-მაჴევეები, ზოგ ოსი. სოფლის სათავე გუდან-ჭორმეშავიდან ჩამოსულებს დაუჭერავის"... (10,54). ჩარგალში მართლაც სხვადასხვა გვარის ხალხი ცხოვრობს (გოგოჭურთა მამიშვილობების გარდა), ვინც თავს შორეული ტომებიდან მოსულებად თვლიან. ეს თქვა ერთხელ ჩემთან საუბრისას ვაჟას ქალიშვილმა გულქანმაც. ცული ვიღაცას მოეპარა და ძალიან გაბრაზებული დამხვდა. მე რომ გაკვირვება გამოვხატე, ცული ვინღა მოგპარა, ეს როგორ ჩაიდინესო? „ესენი? –კითხვა შემომიბრუნა, – ამათ გაუკეთო აღარაფერია! შენ ესენ ფშავლებ ხვარა გგონიან? საცა ვინ მაიმუნ გამააგდეს, ყველა ჩარგალს არი შამოყრილი!"

აი ეს სხვადასხვა თემ-ტომის ხალხი გაფშავლდა, ისევე როგორც გაფშავლდა გოგოჭურთა თემის ხალხი, ფშავში ასე ბევრია გაფშავლებული. იშვიათია გვარი თავის წინაპრებს ხევსურეთიდან, ქისტეთიდან, დაღესტნიდან და საიდან აღარ მოსულებად არა თვლიდნენ. დღეს ვეღარავინ იტყვის მათზე რომ ისინი ფშავლები არ არიან*.

*პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ ზოგიერთი „ფშაველი ინტელიგენტისაგან" წამოვიდა ცილისწამება, თითქოს მე ვცდილობდე ვაჟას გახევსურებას. არადა, მე იმაზე მეტი არაფერი მითქვამს, რასაც ვაჟას მამა და თვით ვაჟა ამბობენ, დოკუმენტებშია შემონახული და ხალხი გადმოგვცემს.

იშვიათია ქართველი მწერალი, გამოჩენილი ადამიანი, ვისი წარმომავლობაც სხვა კუთხეს, ან სულაც სხვა ქვეყანას არ უკავშირდებოდეს. მაგალითად, გამოჩენილი ქართველი მწერლისა და უბრწყინვალესი ქართველი თავადის (იმ დროისთვის უპირველესი ქართველის) ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში, ქართული ლიტერატურის ისტორიის აკადემიური გამოცემის III ტომში, აკ. კენჭოშვილი წერს: „გადმოცემით, ჭავჭავაძეთა შორეული წინაპრები ხევსურეთიდან კახეთში ჩამოსახლებული გლეხები ყოფილან". უნახავს ვინმეს „ცისკარში" გამოქვეყნებული სტატია რომელიმე კახელისა, აკ. კენჭოშვილს ალ. ჭავჭავაძის გახევსურება უნდაო?

საბედნიეროდ, ჩემი წიგნით კმაყოფილი უფრო ბევრი აღმოჩნდა თვით იმავე ფშაველთა შორისაც. განსაკუთრებით ძვირფასი იყო ჩემთვის ბაჩანას შვილის (ვაჟა-ფშაველას ძმის შვილის), გიგლა რაზიკაშვილის მიერ თავისთან, შინ მიწვევა: ის ბოლო წლებში თბილისში იყო თავის გათხოვილ ქალიშვილთან, ლამარასთან. ასევე გულში ჩამწვდომი იყო ჩემთვის ვაჟა-ფშაველას ნამდვილი შვილიშვილების მადლიერებით სავსე, ცრემლიანი გამოხმაურება გორიდან.*

ასეა ვაჟა-ფშაველაც. ის უკვე, შეიძლება ითქვას, ძირძველი ფშაველი იყო და აკი ამიტომაც წერდა: „ასეა, ბატონებო, თუ ვისმე გეპრიანებათ ჩემი ვინაობის გაგება და გაცნობა, არ დავიზარებ, მოგახსენებთ: მე ვარ წმინდა ფშაველი ჩამომავლობით, როგორც დედით, ისე მამით".

შეიცვალა ზოგიერთი რამ სულა-კურდღელას ჩამომავლების ცხოვრებაში, მაგრამ უცვლელი დარჩა მათში სულიერი და ფიზიკური სიძლიერე, ცხელი სისხლი, სიამაყე და ჭკუა-გონება.

როგორც უკვე ვთქვით, ვაჟკაცობითა და გონიერებით ყოფილა განთქმული ქუმსის ვაჟი იმედა, რომელსაც მამა „მამის იმედსაც" ეძახდა თურმე მოფერებით. იმედა მარტო მამის კი არა, მთელი ფშავის ხევის იმედი ყოფილა. ის შიშის ზარს სცემდა თურმე მოთარეშე ლეკებს, ქისტებს. მთებზე თეთრი ცხენით მქროლავი ხან სად გაიელვებდა და ხან სად, ღრუბლებში მავალ მთვარესავით. ფშაველნი, მისი თვალის მკიდენი, წმინდა გიორგისავით ლოცულობდნენ მის სახელზე, ლეკებს კი თავზარი ეცემოდათო.

იმედა რომ მართლაც თემ-სოფლის საყვარელი ვაჟკაცი,

ჭკვასაკითხავი კაცი და იმედიანი დამცველი ყოფილა, კარგად ჩანს ლექსიდან:

„იმედო რაზიკაშვილო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარია!
რად დაგვაობლენ სოფელნი, თავზე რად დაგვცენ ცანია?
ვინღა მაუვლის სოფელსა, ვისღა აქვ იმის თავია?
ვიღას შავარტყათ წელზედა შენი ნარტყამი ხმალია?
გაგვილაღდება დუშმანი, და უფრო დაღესტანია,

წამოვლენ სამეკოპროდა, უნდა გადმოვლონ მთანია,
ბევრსა აქვ სისხლი საძებნი, უნდა იყარონ ჯავრია,
ბევრი გამოხრეს ყორნებმა შენგან მოკლული მკვდარია;
ბევრ მონადირე შახდება, სადაც შენ ნაომარია,
შანდობით მოგიხსენებენ: „სულით იაღიმც არია!"
ღიამც დაგხვდება, იმედო, დიდი სამოთხის კარია,
ბევრის ტყვის დედას შააშრე ცრემლით ნაბანი თვალია,
სოფელი დაგვინამუსე, არ მააყივლე გვარია!"

გვარის „მამყივლენი" არც იმედას შვილები ყოფილან. მისი ერთ-ერთი შვილი, ბერო, არანაკლები ვაჟკაცი დამდგარა: სოფლის დაბრიყვებას თუ ვინმე შეეცდებოდა, ან მამულს თუ ვინმეს შეეცილებოდნენ, ან – ცოლს, ყველას თურმე ესარჩლებოდა და ყველგან თავისი გაჰქონდა. ამიტომ სოფელში, თემში ძალიან ჰყვარებიათ.

ამაყი ყოფილა ბერო, თავმოყვარე. უკანაფშაველი ფილაშვილისათვის მარჯვენა მხოლოდ იმისთვის წაუცლია ხანჯლით, რომ ბეროს ცოლს ფაფანაგზე წაჰპოტინებია.

ბეროს ჩამომავლები, ვაჟას პაპა და პაპის ძმანიც, გამორჩეულად ძლიერნი ყოფილან. პავლე რაზიკაშვილი თავის მოგონებაში წერს: „ჩემი მამა-ბიძებიც ვაჟკაცები იყვნენ ღონითაც და გულადობითაც. მარტო ჩარგალში კი არა, მთელ ფშავის ხევში კაცი ხელს ვერ შეუქცევდა, მაგრამ თავის სოფელში ამაყობა სათაკილოდ მიაჩნდათ. წინაპირველად მიზეზს არავის მისცემდნენ ჩხუბისას და, თუ ვინმე ძალით წაეკიდებოდა, თავს არავის გაუყადრებდნენ. თვითონ ჩვენ, უნცროსებს, გვარიგებდნენ: ვაჟკაცობას ორის ხელით ჭერა უნდაო. ვაჟკაცს სანამ არ გაუჭირდება, თავი არ უნდა გამოაჩინოსო და, თუ შეუძლიან, როცა დრო

მოითხოვს, მაშინ დაიცდებაო...

ოჯახში ესეთი წესი და რიგი ჰქონდათ. მართალია, მამაჩემი მეცხვარე იყო, ცხვრის შემოსავლით ოჯახს ესარჩლებოდა. ჩემი ბიძები შინაკაცები იყვნენ – ხნავდნენ, თესავდნენ. მართალია, მამაჩემი უფროსი იყო, ძმები იმას ეკითხებოდნენ, მაგრამ მამაჩემიც ძმების უკითხავს და უნებულს თავიანს საქმეს არაფერს დაიჭერდა. როდესაც ისეთი რაიმე სამძიმო საქმე გაუჩნდებოდა ან საოჯახო, ან სამტრო და ან სამოკეთეო, ყველანი ერთად თავს მოიყრიდნენ, დედასაც თავისთან დაისომდნენ, ჯერ დედას ეკითხებოდნენ, მერე ერთმანეთსა და ერთის პირით რაღაცას დააწყობდნენ, ყველანი იმაზე დადგებოდნენ და უფრო კი დედის რჩევას ასრულებდნენ".

მთაში მაშინ განუყოფელი ოჯახები იყო. ძმების გაყრა სირცხვილად ითვლებოდა. ზოგ ოჯახში მთელი ჩამომავლობა ცხოვრობდა – შვილები, შვილიშვილები – თხუთმეტი, ოცი სული და მეტიც. დიდ მიწურ სახლში, სანახევროდ ბნელსა და გამომჭვარტლულში, კედელ-ყურეს ჩარიგებული თითო ტახტი ედგა თითო ოჯახს, ტახტის ქვეშ შეყრილი იყო ტარ-ხოკერი და წვრილმანი ხარახურა. კერის თავში, შუაცეცხლის ზემოთ, მამაკაცები სხდებოდნენ – სამამაცო იყო, შუაცეცხლის ქვემოთ, კერის ბოლოში სადიაცო იყო – ქალ-დიაცები და ბავშვები სხდებოდნენ.

რაზიკათ ოჯახიც გაუყოფელი ყოფილა, მრავალრიცხოვანი, ცნობილი თავის სიკეთითა და სიტკბოებით, ერთურთის დიდი სიყვარულით. ძმებს, რძლებს დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონიათ ერთურთისა, დიდი ნდობა. ყველანი თავდაუზოგავად შრომობდნენ, საქმეს ინაწილებდნენ და შემოსავალიც საერთო იყო – ერთად ჭამდნენ და ერთად ხარჯავდნენ. განაწილებით მხოლოდ მატყლს ინაწილებდნენ ქალები. ჯერ დედას მისცემდნენ, რამდენსაც ინებებდა, მერე რძლები გაინაწილებდნენ, რადგან ქმარ-შვილისათვის ტანსაცმლის ქსოვა და შეკერვა პირადად ცოლის საქმე იყო. დანარჩენ საოჯახო საქმეს დედა განაგებდა, რძლებს კი თანაშემწეებად თითო წლობით იყენებდა მორიგეობით. რძლები ვალდებულნი იყვნენ უხმოდ დამორჩილებოდნენ დიასახლისს, თორემ, თუ ქმრები გაუგებდნენ, არ აპატიებდნენ.

მშობლები

არც ვაჟა-ფშაველას მამა პავლე ყოფილა გვარ-ჩამომავლობის მომყივნებელი. ყოველმხრივ ღირსეული მემკვიდრე იყო თავის სახელოვანი, ჯიშიანი წინაპრებისა. ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა ხასიათის სიმტკიცე, გაუტეხლობა. ამის შესახებ თვით პავლეს მიერ დაწერილი, დაუმთავრებელი ბიოგრაფიული მონათხრობიდან ვიგებთ.

„ერთხელ, ერთის ჩვენის მეზობლის სახლში შევიგულე თხილით სავსე ტომარა. რადგან სახლი თავდანებებული იყო და კარებს კლიტე არ ედო, მეც მივეჩვიე, იქვე დავუჯდებოდი და, რაც მინდოდა ვამტვრევდი და რაც ჯიბეში ჩამივიდოდა, ჩავიყრიდი. რასაკვირველია, ეს ამბავი პატრონს შეუნიშნავ, იქვე სახლში დამალულა. მე ჩვეულებისამებრ მივედი და ისევ ტომარას მაუარე, მაუჯექ გვერდით. როდესაც გული დავიდინჯე, ცეცხლი შევანთე. მციოდა, შემოდგომა იყო. ბოჩოლებს თავი დავანებე, ცეცხლთან თბობა დავიწყე და თხილსაც მტვრევა დავუწყე. მანამდი კაცი ზედ არ დამეცა, ვერაფერი გავიგე. არა, ახლა წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებით გამამიყვანდა კარში. ახლა იქაც დაინახა, ხბუებს ძნა დაეშალა, ახლა იმაზედ გამიმეორა და როდესაც გული მაიჯერა, თავი დამანება, მარამ მე კი ისეთ დაბეჟვილი ვიყავი, რო ერთ კვირას ვეღარ მოვსულიერდი. უბედურება ის იყო, იმას ხომ არ დამაჯერეს, ახლა ცოლი შემხვდა, იმანა მცემა. ზევიდან რო დამაწვა, ძუძუები დაუჭირე, იმან კივილი შექმნა. ახლა დედამთილი. მტერს დაადგეს ის დღე რაც მე დღე დამაყენეს. როცა გული მაიჯერეს, მიმკვდარებული დამაგდეს, მაგრამ ამით რომ არ გათავდა ეს უბედურება! ახლა მაზლი შემხვდა, ახლა იმან უარესი დღე დამაყენა. მერე ვიფიქრე, ეხლა სხვები, ვინც სახლში კაცი და დედაკაცია, ალბად ისე თუ აქვთ პირობა, რო ყველათვე უნდა მცემონ. ამისი წამალი ეს მოვიგონე: ავდექი, ერთხელ, როდესაც შინ არავინ იყო, სახლს ცეცხლი წაუკიდე და გადავბუგე. გახდა დიდი დავიდარაბა, მამაჩემმა თოფით დამდივა მოსაკლავადა, თუ ტყეში არ დავმალულიყავ, მანამდი მორიგდებოდენ და დამშვიდდებოდენ". (46,20)

ამისთანა ოინებს სხვებსაც იგონებს ვაჟას მამა. ამ მოგონებებიდან კარგად ჩანს რაზიკაანთ ხასიათი. ეს ხასიათი ჭაბუკობაში კიდევ უფრო მეტად გამომჟღავნდა.

... პავლესთვის ცხვრის მოვლა-პატრონობა მიუნდვიათ თავის უფროს ძმა ბეროსთან ერთად. მეცხვარეობა კი, გარდა იმისა, რომ ძნელი საქმეა, ხიფათებითა და ფათერაკებით არის სავსე. განსაკუთრებით მაშინ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქურდი და ყაჩაღი იყო ჩასაფრებული. ჩვეულებრივი ამბავი იყო მწყემსების დახოცვა და ცხვრის გარეკვა, გატაცება. ჩანს ასეთი ბევრი შემთხვევა ჰქონიათ. ამიტომაც ამბობს პავლე, ყველას მოყოლის დრო არა მაქვს, ერთ ამბავს გავიხსენებ, რის შემდეგაც მეცხვარეობას თავი მიმანებებინესო.

იმ ზამთარს იორზე ჩარეკეს ცხვარი გამოსაზამთრებლად, თავად ჩერქეზიშვილის ადგილში. ერთ დღესაც თავადის მწყემსები, ოთხი-ხუთი კაცი, ქინძის საკრეფად წამოსულნი, ცხვარში შეცვივდნენ და მოტაცება დაუპირეს. პავლეს ძახილს ყურიც არ ათხოვეს, პირიქით, შემოუტიეს კიდეც – იფიქრეს ხუთ კაცს ერთი ფშაველი ბალღი რას გაგვიხდებაო. ვეღარ მოითმინა პავლემ, მიეჭრა და ერთერთ მათგანს დაეტაკა. „მე ხელზედ ზალტის საცერული მედვა და გაუსვი ფშაურათ, სარმა და კისრული დაავიწყდა, ცხვირიდან სისხლი დახეთქა. ეს რო ამხანაგებმა დაინახეს, ყველანი ჯოხებით ერთპირად მომესივნენ და დამიშინეს ზოგმა ფეხებში და ზოგმა თავში და ზოგმა ბეჭებში". ძალიან რომ გაუჭირდა პავლეს, ხანჯალი იშიშვლა და დაიფრინა.

საღამოს, როცა ცხვარი ბინაზე მირეკა, ძმამ და ნამგალებმა გალანძღეს – ყველა შენ რატომ გეჩხუბებაო. შენი მოუთმენელი ხასიათის გამო ჩვენც ხათაბალაში გვყრი. ისინი ალბად ჩერქეზიშვილის მწყემსები იქნებოდნენ და არ შეგვარჩენსო.

„მართლაც, როდესაც შეუტყვია ჩერქეზიშვილს ეს ამბავი, მეოთხე-მეხუთე დღეს შემჯდარა ცხენზედ, წინ ის გამაუმძღვარებია, რომელსაც ძალიან ვცემე. ვნახოთ, სადაც ცხვარი მყვანდა, ზედ მომატანა. შორითვე დაიყვირა: „შე მამაძაღლო, როგორ გაბედე ჩემი ყმის ცემა. ეხლა შენის მიზეზით საქონი ნადირს დაუღუპნია, რადგანაც ნაცემობით მწყემსი სამი-ოთხი დღე შინა გდებულა, ახლა ის ზარალი თქვენ უნდა მამცეთო!"

უბრძანა ბიჭს: ცხვარი გადასხლიტეო! ბიჭი ცხვარს მიესია და დაუწყო სხლეტა. მე თოფი მხრიდან მოიხადე და დაუძახე:

– თუ სიცოცხლე არ მოგწყინდათ, თავი დაანებეთო, იცოდეთ, თოფი შნოსათვინ არ დამაქვსო. მე მაქვ იმისთვის, ვინც ძალით მოინდომებს წართმევას ან მოპარვას. მართალია დღეს შენს მამულში ვარ, მაგრამ დღესდღეულად ვადამდინ ჩემია, რადგანაც საბალახე მოგეცით. დალოცვილო, თავადის შვილი ხარ, დიდი ხართ, მაშ ჭკვაც დიდი უნდა გქონდესთ. ჯერ ეს ერთი, რომ პირდაპირ მოდიხარ და ძალით გინდა, რისიც ყარაული ვარ და რისთვისაც წუთისოფელს ვიმწარებ, ცოლ-შვილს ვაკლივარ, დედ-მამას და ტოლსა და ამხანაგს. თქვენ გეფერებით, რასაც მთხოვთ, გაძლევთ, ხელმწიფესაც, თემსაც და სოფელსაც, სიკვდილ-სიცოცხლესაც ამითი უნდა გავუძღვე, ამათაც შენ მართმევ და, აბა, შინ რიღასთვის წავიდე ცოცხალი. გეფიცებით ღმერთსა და ჩემს დიდ სალოცავებს – თამარ დედოფალს და ლაშარის ჯვარს, უსისხლოდ არ მოგცემთ!”

თავადმა ჩერქეზიშვილმა იკადრა და მოეშვა ცხვარს, მაგრამ პავლეს უფროს ძმასთან მივიდა ბინაზე. პირველად არ ჰყავდა ბეროს ცხვარი მის ადგილში და კარგი ნაცნობობა ჰქონდათ. ბერო ხშირად ნანადირევს, ბატკნებს, ყველს უგზავნიდა ხოლმე. მივიდა თავადი და შესჩივლა: „ეგ კერპის ნაგლეჯი რა ჩამოგიყვანია, კინაღამ დაგვხოცაო”. ბეროსაც შეეჩივლა, ჩემთანაც ეგეთი არის, შიშით ხმა ვერ ამომიღიაო. იმ დღესაც ერთს ცოტას საქმეზედ, ბატკნის წოვებაში, ბატკანს ფეხები დასტაცა და იმითი მცემაო. რა ვქნა, ვეღარც დამითხოვნია, უკაცურადა ვარ და ვერც-რა მითქომ შიშითაო. რას ვიზამთ უნდა მაპატიოთ და მაგიერს სიკეთეს გადაგიხდითო.

– ბერო ყველაფერი შეიძლება, მარტო იმ პირობით, რომ ეგ კერპი აქ აღარ წამოიყვანოთ, თორო, იცოდე ან შააკვდება ვისმე და ან მოჰკლავს ვისმე.

– ო, ბატონო, მეც აგრე ვფიქრობ”.

ბერომ და ბეროს ამხანაგებმა იმ საღამოს კიდევ უარესად გალანძღეს პავლე, მაგრამ ის არც მაშინ გატეხილა: აბა, მაშ რაღას ნიშნავს ცხვარს კარგად მოუარეო რომ მეუბნებით, თუკი ვისაც რამდენი მოუნდება, იმდენი გავატანეო.

მიუხედავად ასეთი შეუპოვრობისა, თავისი მამა-პაპების მცნების თანახმად, პავლე თავისიანებთან, სოფელში, ძალიან მომთმენი იყო. იმის ჩხუბსა და აყალმაყალს ვერავინ გაიგონებდა. ამიტომ იყო, რომ თავის სოფლელს, მეზობელს რასაც მოუთმენდა, სხვას არ შეარჩენდა. მკლავიც უჭრიდა და ჭკუაც, მაგრამ რა როგორ მოეხმარა, არ იცოდა – ასპარეზი არა ჰქონდა.

მეორე წელს, მართლაც, ცხვარში აღარ წაუყვანია ბეროს – უბედურებას შემამთხვევს, შინ იყოს და ხვნა-თესვაში მოგეხმაროთო.

პავლეს გარჯა არ ეზარებოდა, მაგრამ ვერ აკმაყოფილებდა ერთფეროვანი გლეხური შრომა, არსებობისთვის ზრუნვა და შუაცეცხლით აკვამლებულ, მიწურ სახლში ჯდომა. უნდოდა, როგორმე უკეთესად, საინტერესოდ აეწყო თავის ცხოვრება, მაგრამ როგორ, არ იცოდა. ამის გამო სულ დაფიქრებულ-დაღონებული დადიოდა.

მოწყენილობამ უფრო მეტად დარია ხელი, როცა დაზამთრდა და ცხვარსა და ველს მიჩვეული ახალგაზრდა კაცი სხვებთან ერთად თაგვივით შეემწყვდია ნახევრად ბნელ მიწურში. ამ დროს საქმე იმდენი აღარაფერია მთაში. საქონელს თივას ქალებიც იოლად უყრიან, კაცები კი ურთიერთთან მიდი-მოდიან საფიხვნოდა და სახინკლაოდ. მაგრამ გრძელ ზამთარში ესეც მოსაბეზრებელია.

მეზობლად ბიძაშვილი ცხოვრობდა და პავლე ხშირად იმასთან დაიარებოდა, რადგან ისიც მოწყენილობით იტანჯებოდა. მას კოლოფში რაღაც წერილები ჰქონდა და ასეთ დროს იმათ ამოქექავდა და კითხულობდა ხოლმე. უკითხავდა პავლესაც. წერა-კითხვის სწავლებაც დაუწყო. პავლეს სწავლის დაუოკებელი სურვილი გაუჩინა, მაგრამ არც საწერ-კალამი იშოვებოდა და არც წიგნები. სიპებზე და ხარის ბეჭზე წერდნენ ნახშირით. პავლემ თითქოს მიაგნო თავის წადილს, მაგრამ მისი შესრულება ძნელი საქმე იყო.

ერთხელაც ცხვრის ტყავების შესასყიდად წავიდა მღვდელთან: თავისთვისა და მეუღლისათვის უნდოდა ქურქების შეკერვა. მღვდლებს საკლავების დაკვლის დროს თითო მხარი და ტყავი ეკუთნოდათ და ამიტომ ბევრი უგროვდებოდათ. მაღაროსკარში, მაშინ ფშავის ცენტრში, იდგა ერთადერთი ეკლესია. პავლეს მანამდე სულ რამდენჯერმე ჰყავდა მღვდელი ნანახი; ისიც კი არ იცოდა როგორ მისალმებოდა. იცოდა მხოლოდ, რომ

მღვდლისთვის „გამარჯობის” თქმა არ შეიძლებოდა – მკვდრების სიმრავლე იცისო.

პავლე ძალზე მოხიბლა მღვდლის სუფთად მოწყობილმა, კედლებშელესილმა სახლმა, მღვდლისა და მისი ოჯახის წევრების თავაზიანმა ურთიერთობამ. ამის გამო კიდევ უფრო მეტად მოუნდა ცოდნის შეძენა და ისეთივე კულტურული ცხოვრება.

პავლემ იმ წელს ტყავების შესაძენად ცალკე დაამზადა „თივა”, მღვდელს „თივებზე” მოურიგდა და ერთი „თივაც” უფეშქაშა. ნასიამოვნებმა მღვდელმა შინ შეიპატიჟა კარგი ახალგაზრდა და ცოლ-შვილს გააცნო – ჩემი ნათლული არისო. მერე, რაკი პავლეს წერა-კითხვით დაინტერესება გაიგო, მეფის მანიფესტები და რაღაც ხელნაწერები მისცა. იმ დღიდან პავლესთვის ყველაზე საინტერესო და საყვარელი რამ ამ ხელნაწერების კითხვა გახდა, ძილი აღარა ჰქონდა და სიმშვიდე. ოჯახში კი არ მოსწონდათ პავლეს ასეთი „ეშმაკთად ჩახედვა”, საქმეს მოცდენა. პავლეს მამამ, გივიმ, რომ შეიტყო მისი შვილი საქმეზე კი არ ფიქრობდა, რაღაც ქაღალდებს ჩასცქეროდა, ახლა ამის გამო წამოავლო თოფს ხელი. მოსაკლავად გაიმეტა „თემგვარის მომყივლე” შვილი. მთიელთა შეხედულებით, წიგნი კაცს ვერ აცხოვრებსო, საქმეს მოაცდენსო, ვერც ვაჟკაცობას იზამსო, დადედაჭუავდებაო. ვაჟიშვილისაგან კი ყველა სავაჟკაცო საქმეს მოელოდა, ვაჟკაცად გაზრდა უნდოდათ. წიგნის „ჩამხედვარე” კაცს დასცინოდნენ. ამიტომ იყო, რომ შემდეგაც კარგა დიდხანს მთიელნი სკოლაში არ უშვებდნენ ბავშვებს. ვაჟსა თუ ქალს ოჯახზე უნდა ეფიქრა, ოჯახის საქმე ეკეთებინა, რადგან საქმეს ვერ აუდიოდნენ, ჯაფა დიდი ჰქონდათ და, მართლაც, ვის ეცალა წიგნისთვის, ანდა მუქთამჭამლებს ვინ შეინახავდა.

პავლეს მოკვლით დამუქრებამაც ვერ შეუცვალა გუნება. ნამდვილი წიგნის შოვნა და მისი წაკითხვა ენატრებოდა. მიუხედავად ოჯახის ასეთი წინააღმდეგობისა, უფრო მოუხშირა მღვდელთან სიარულს, მაგრამ იმას თვითონ „ჟამნისა” და „დავითნის” მეტი არაფერი ჰქონდა, პავლესათვის რა უნდა მიეცა.

მღვდელს დედა ჰყავდა საღმრთო წერილის კარგი მცოდნე. იმან რაკი შეატყო ახალგაზრდას სწავლის წყურვილი, ნიჭი, ძალიან შეიყვარა. მოისვამდა გვერდით და წაკითხულს უხსნიდა. მაშინ გაიგო პავლემ, რომ მღვდლის მოვალეობა ღვთის მსახურება ყოფილა და საღმრთო წიგნებს უფრო გულისყურით მოეკიდა. მანამდე მასაც, ისევე, როგორც ყველა მთიელს, სხვაგვარი შეხედულება ჰქონდა მღვდელზე. მთიელებს ნამდვილ ღვთის მსახურებად მხოლოდ ხევისბერები მიაჩნდათ. მღვდლებს კი უცქერდნენ, როგორც მეფისა და მთავრობის მორჩილების მქადაგებლებს, ჯაშუშებს, ცხოვრებას დახარბებულ, მსუნაგ, გაიძვერა, ხალხის მყვლეფავ არაადამიანებს. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ეს, მართლაც, ასე იყო და სახელის გატეხაც აქედან მოდიოდა, თორემ ვინ არ იცის, რომ სამღვდელოებამ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის გადარჩენის საქმეში. ქრისტიანობამ, ქრისტეს რჯულის მტკიცე რწმენამ და მისმა მტკიცედ დამცველმა ეკლესიამ შემოგვინახა ქართველობა. მათი თავგანწირვის ფასად ბევრჯერ გადაურჩა საქართველო მოთხრასა და განადგურებას. სასულიერო პირები იყვნენ იაკობ ხუცესიცა და გრიგოლ ხანძთელიც, არსენ იყალთოელიცა და იოანე პეტრიწიც, მღვდელი იყო თევდორე და მრავალნი სხვანი, ვინც ფუტკრებივით თავდაუზოგავად შრომობდნენ, იღწვოდნენ, ქმნიდნენ და ეწირებოდნენ.

ეს არ იცოდნენ მთაში. ქრისტეს რჯულს იქაც ფიცავდნენ, მფარველობას ეხვეწებოდნენ „საქრისტიანოს გამჩენს”, მაგრამ ხევისბრის პირით და არა მღვდლის; ქრისტიან-ურჯულოთ საღოცავი ლაშარი იყო და იახსარი, მათი ნება-სურვილის მქადაგებელნი კი დასტურ ხევისბრები და ქადაგნი იყვნენ.

და, აი, პავლემ მთიელთა შეხედულების საწინააღმდეგოდ და თავისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ მღვდელიც ღვთის მსახური ყოფილა.

მართლაც, პავლეს, თავისი მტკიცე ნებისყოფის წყალობით, საკმაოდ კარგი თვითგანათლება მიუღია. კარგად სცოდნია ქართველ კლასიკოსთა შემოქმედება. თვითონაც კარგი მოლექსე ყოფილა, ცოტ-ცოტა რაღაცას წერდა კიდეც. ისედაც ჭკუა-გონებიან კაცს ამ განათლების წყალობით უფრო მეტი ავტორიტეტი მოუპოვებია. ისა ყოფილა ფშავ-ხევსურეთში დიდი თუ პატარა საქმეების გარჩევის დროს ერთ-ერთი მთავარი სიტყვის მთქმელი სისხლ-მესისხლეობით დაწყებული – მეზობლურ კინკლაობამდე. ამ ავტორიტეტის, ამ ჭკუა-გონებისა და განათლების შედეგი იყო ის, რომ პავლე რაზიკაშვილი ბოლოს და ბოლოს

ჩარგალში გაამწესეს მღვდლად. მანამდე კი ჯერ ხევსურეთში მღვდლობდა, შემდეგ მთავარ დიაკვნად იყო სოფ. მაღაროსკარში.

პავლეს კარგი ცხოვრების მოწყობაზე მაინცადამაინც არ უზრუნია, ზოგიერთი მღვდელივით ნამუსზე ხელი არ აუღია, მეზობლების ყვლეფა არ დაუწყია. მაღალი ზნეობისა და შეგნების კაცად დარჩა. იყო ნამდვილი მღვდელი, ნამდვილი მოძღვარი თავის მრევლისა, გულიანად შემსრულებელი თავის მოვალეობისა, იმდენი კი შეძლო, რომ სოფლის დახმარებით ახალი სახლი აიშენა, კრამიტით გადახურა, რაც იშვიათი იყო ფშავში, მაგრამ სახლი უფანჯრო იყო და იატაკიც მიწისა ჰქონდა. ამ სახლს ერთი ფანჯარა დიდი ხნის შემდეგ ვაჟა-ფშაველამ ჩაუსვა: თბილისში გააკეთებინა თურმე და დაშლილი მოიტანა ხურჯინით.

პავლეს კარგკაცობის შესახებ ჩარგლელი მჭედელა ბუკუკიშვილი იგონებს: „ჩვენებს და ვაჟას მამას სამ წელს გვება ერთად გუთანი. პავლე მღვდელმა ძალიან კარგი გუთნის გამართვა იცოდა.

პავლესთანა ნამუსიანი და ხალხის დამრიგებელი ფშაველი მე არ მახსოვს. ხშირად გვარიგებდა: კაცი უნდა იყო გამრჯე მუშა, წესიერი, ცუდი ენა არ უნდა მიიტანო სხვასთან, შფოთი არ უნდა ასტეხო, არ უნდა იქურდო, არ უნდა იყო მეზობელთან ავი.

შვილებს სულ იმას არიგებდა: ისწავლეთ, თქვენი გულისთვის ვიწვი და ვიდაგები, ტანზე ტანისამოსი ვერ ჩამიცვამს, შვილებს არაფერი დამიკლდეს, უსწავლელები არ დამრჩეს და მერე ქვეყანამ არ დამგმოსო". (37,110).

პავლე მღვდელი თანდათან მოღონიერდა ეკონომიკურად. ამას ხალხის ყვლეფით კი არა, სხვა გზებით ახერხებდა. მაგალითად, მიგრიაულთის ძირს, მჟავეწყალთან (ეხლანდელ ვაჟას წყალთან, არაგვს გაღმა, იმდროინდელ ფშავ-ხევსურეთის გზაზე – გზა მაშინ არაგვის მარჯვენა მხარეს მიუყვებოდა, მზის პირის მხარეს), დუქანი გაუხსნია და ვიღაცა სომეხი ვართანა ჩაუყენებია დახლიდრად. კახეთში, ართანასა და ახმეტას, ვენახები უყიდია და მეზვრე ჰყოლია დაყენებული. მაგრამ აქედან

ზედმეტი ჯახირის მეტი არაფერი რჩებოდა. იმდენიც კი ვერ მოიქონია, რომ გამორჩევით საყვარელი შვილისათვის – ვაჟასათვის უმაღლესი დაემთავრებინა.

პავლე თავის ვაჟკაცობითა და ზნეობით, „სამამაცო" საქმეებით მთელი ცხოვრება „მაგარ" კაცად ითვლებოდა.

„მე მახსოვს, – გადმოგვცემს მიხა რაზიკაშვილი, – ერთი შემთხვევა. ჩვენს მეზობელს საღმთო ჰქონდა. მასპინძელმა სტუმრებისთვის დიდი ჭედილა დაკლა, სუფრაზე მამასთან ვაჟაც იყო. ის ახალგაზრდებში იჯდა. ახალგაზრდებმა ერთმანეთში ჭედილის ძვალი (ქაჯია) ჩამოატარეს, მაგრამ ვერავინ გატეხა. ვაჟაც ბევრს ეწვალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მამა ვაჟას თვალყურს ადევნებდა. როდესაც ვაჟამ ძვალი ვერ გადატეხა, მამამ გადასძახა: „მომეცი აქაო!" მამა იმ დროს სამოც წელზე მეტისა იქნებოდა (აზვიადებს. ვაჟას მამა 59 წლისა გარდაიცვალა – გ. ხ.). ამოიღო ჯიბიდან წითელი ხელსახოცი, დაახვია ძვალს, გადასწია და გადატეხა. ნამტვრევები ვაჟას გადაუყარა და უთხრა: „ჯერ მოზვრები ხართ, ხართან ვერ გასწევთო!" ვაჟას ძალიან გაუხარდა მამის გამარჯვება, წამოხტა და გადაკოცნა. მამამ აუხსნა ვაჟას და იმის ამხანაგებს, ძვალი როგორ უნდა დაეჭირათ, რადგანაც ღონესთან ერთად ცოტაოდენი ხერხიც სჭირდებაო".

და, აი, ამ ძლიერმა, ჯან-ღონით სავსე კაცმა თავისი სათნო მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ერთი თვეც ვეღარ იცოცხლა. ცხელება შეეყარაო! ცხელება კი არა, საყვარელი მეუღლის უდროო სიკვდილმა მძიმედ იმოქმედა ოჯახზე უზომოდ შეყვარებულ პავლეზე და 1890 წლის 22 ოქტომბერს გარდაიცვალა 59 წლის ასაკში.

დედა ვაჟა-ფშაველასი, გულქან (ბაბალე) ფხიკლეშვილი, უკანაფშაველი ქალი იყო, გაბიდოურთა თემიდან. მასში მეტისმეტად ყოფილა გამჟღავნებული ფშაველი ქალისთვის დამახასიათებელი სიმშვიდე, სათნოება, პოეტური სული და ყველასი და ყველაფრის სიბრალული და სიყვარული. სულზე არანაკლებ ლამაზი ჰქონია გარეგნობა – ძალზე ლამაზი ყოფილა. წერა-კითხვა არ სცოდნია, მაგრამ სხვა მთიელი ქალებივით მასაც უზომოდ ჰყვარებია პოეზია, ლექსობა. სცოდნია უამრავი ხალხური ლექსი, კაფია, ლეგენდა-გადმოცემა, ზღაპარი, რასაც დიდი

გრძნობით უამბობდა შვილებს. თედო რაზიკაშვილი იგონებს: „უბრალო რამე ამბავს ისეთი ამბით, ისეთი ფერადებით შეზავებულს გადმოგცემდა, რომ იხიბლებოდა მსმენელი... იცოდა აუარებელი ლექსი და ზღაპარი, ცალკე კაცთა და ქალთა ცხოვრება, ლეგენდები და ამბები ჩვენს მეფეებზე, უფრო თამარზე და ერეკლეზე. როცა გვიამბობდა რაიმე სამწუხარო ამბავს, თან სტიროდა ხოლმე... იყო ბუნებით პოეტი, საშინელი მშვიდობის მოყვარე და უკიდურესობამდე გულკეთილი და უხვი, მოუღალავი მშრომელი და მოყვარული".

ცნობილია, რომ ფშაველ-ხევსურნი განსაკუთრებით მოყვარულნი არიან პოეზიისა, არიან მოლექსე-მოკაფიავენი, გრძელი ლექსების „მათქომნი" თუ „გამომთქმელნი", მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით ზოგიერთი ჩამომავლობაა გამორჩეული, ცნობილი. იმ გამორჩეულთა რიგში ყოფილან გულქანის მამა-ბიძანი. მისი ბიძა, პარასკევა გაბიდოური, ერთ-ერთი განთქმული მოლექსე ყოფილა ფშავში, ერთ-ერთი „გაუტეხელი". ვაჟა მის შესახებ წერს: „მან შექმნა სატირული ლექსები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე „ლექსობს". საუბედუროდ, წერა-კითხვა სრულიად არ სცოდნია, რომ ქაღალდის საშუალებით შენახულიყო მისი ნაწარმოებები, თუმცა მისი ნაწარმოებები დღესაც ცოცხლობს, იმათ დღესაც მღერის ხალხი, ეს ლექსები ღრმა იუმორით არიან სავსენი".

გულქანსაც მათგან მოსდევდა უფაქიზესი პოეტური სული. საოცრად ღვთისნიერი ყოფილა, გულკეთილი, შემბრალებელი. განსაკუთრებით ებრალებოდა ღარიბ-ღატაკნი, მშიერნი. კარზე მომდგარს ლამის თან გადაჰყოლოდა, არაფერს დაიშურებდა, სასმელს თუ საჭმელს, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ბევრი არაფერი ებადა. ვინც გინდა მგზავრს აევლ-ჩაევლო, პურუჭმელს არ გაუშვებდა.

ვაჟას კარის მეზობელი მარიამ ბაჩიაშვილი გვიამბობს ვაჟას ნალაპარაკევს თავის მშობლებზე: „მამაჩემი დედას ბუზურას ეძახდა. ერთი უყურეთ, უყურეთ ამ ბუზურას, კალთაში გამოხვეული რომ მიდის. ახუნის გორზე ჩამომავალი მგზავრი დაინახა, გზაში უნდა დაუხვდეს ჭიჭახევზე: დაჯე, შვილო, დაღლილი იქნები, პური გემშევაო".

ბუზურა ველური ფუტკარივით არის, ოღონდ ტანად ცოტა

უფრო მოზრდილია. ძალიან ტკბილი თაფლი იცის. ფუტკრებივით ისინიც სულ დაბზუიან და დაბზუიან.

სახელი ზედგამოჭრილი და, მართლაც, პოეტური შეურჩევია პავლეს თავის მეუღლისთვის.

„დედაჩემმა დაღლა არ იცოდა რა იყო. – იგონებს სანდრო რაზიკაშვილი, – შინაურს საქმეს სულ ის აკეთებდა: პურის გამოცხობა, ძროხების მოწველა, მათი დაბინავება, თივის დაყრა, რძის შედღვება, ქმარ-შვილისთვის ტანსაცმლის შეკერვა და მოქსოვა, სულ იმისი საქმე იყო. როდესაც ფქვილი გამოგველეოდა, საფქვავი წისქვილშიაც კი მას მიჰქონდა. ბევრჯერ მძინარეს გათენებისას რომ გამომღვიძებია, მინახავს, დედაჩემი ბუხართან ზის და გააქვს საჩეჩელს წკრიალი – მატყლსა სჩეჩდა. ის ბევრჯერ ღამეს ისე გაათენებდა, რომ ლოგინში არც კი დაწვებოდა, მეტადრე როცა მამაჩემის მოლოდინში იყო. მამაჩემი მაშინ მღვდლად იყო ხევსურეთში და იქიდან წამოსული ზოგჯერ გათენებისას მოვიდოდა ხოლმე სახლში და გარედან შემოიძახებდა: „აბა, ვინა ხართ შინა, ოჯახიშვილებო, გამომხედეთ კარშიო". დედაჩემი, აბა, ვის გააღვიძებდა, თვითონ გავიდოდა, ჩამაართმევდა ცხენს და თვითონვე დააბინავებდა, თანაც ეტყოდა ხოლმე: „კაცო, რას დახვალ ამ შუაღამისას, შე ბეჩაო?! რო სადმე გადაიჩეხო მაგ კლდე-ღრეში, ხომ დაჰღუპე შენი ცოლშვილიო".

გულქანი თავგადაკლულად მოყვარული ყოფილა თავის ქმარ-შვილისა. ვაჟა და მისი ძმები უკვე ვაჟკაცები იყვნენ, ცოლშვილიანები, მაგრამ დედა მაინც პატარა ბავშვებივით დასტრიალებდა თავს. შეხაროდა, ეამაყებოდა, ფრთები ესხმოდა მათი წარმატებებისაგან და მათი ყოველგვარი სიკეთე ცრემლს აღვრევინებდა.

სანდრო რაზიკაშვილი წერს: „ნიკომ (ბაჩანამ) გორიდან გიტარა მოიტანა, რაზედაც ის ძალიან კარგად უკრავდა და კარგად მღეროდა. როდესაც იმან ვახშამზე თავისი გიტარა ააჟღერა და ზედ სევდიანი ხმით '„მახსოვს პირველად" დაამღერა, დედაჩემმა თავი ვეღარ შეიკავა და მორთო ქვითინი, რამაც მეც გული ამიჩუყა და ტირილი დავიწყე"...

გულქანის ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონიაო, იგონებენ. რაღა თქმა უნდა, შვილების ცემაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

მას თავისი სიკეთით, ალალობითა და სიწრფელით ისეთნაირად შეეძლო ეთქვა შვილებისთვის, რომ ყოველგვარ დატუქსვასა და ცემაზე მეტად ჭრიდა.

მარიამ ბაჩიაშვილი ამასთან დაკავშირებით იგონებს: „ლუკას ხეზე ასვლისა ძალიან ეშინოდა. ვაშლის დაკრეფის დრო რომ მოატანდა, ხეზე ვერ ადიოდა, მუხლები მიკანკალებსო. მიზეზი რომ ვკითხე, ერთი ამბავი მიამბო: ბალღობისას ძალიან მიყვარდა ხეზე ასვლა, სულ ერთთავად ხეებზე ვიჯექი. დედაჩემს ეშინოდა ხიდან არ ჩამოვვარდნილიყავი და დამაშინა. მითხრა, შენ თუ ხეზე ასვლას არ მოიშლი, აგერ ახუნის გორზე, სულ ზევით, მაღალი წიფელი რომ დგას, ავალ, და იმ წიფელზე შევხდები, სულ წვეროზე მოვექცევი, იქიდან გადმოვვარდები, დავეცემი და მოვკვდები, შენ კი უდედოდ დარჩები, დედა მოგიკვდება და რაღა გეშველება ობოლსაო. დედის სიტყვებმა ისეთი გავლენა მოახდინა ჩემზე, რომ ის დღეა და ის დღე, მე ხეზე აღარ ავსულვარ. როცა ხესთან მივალ, მაშინვე დედაჩემის სიტყვები მამაგონდება და მუხლები ამიკანკალდებაო".

ასეთ დედას, ასეთ მშობლებს უნდა დაეზარდათ კიდევაც ისეთი შვილები, როგორიც ვაჟა და მისი ძმები იყვნენ.

დაბადება

ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი) დაიბადა სოფ. ჩარგალში 1861 წლის 14 ივლისს. შავი თმა თვალებზე ჰქონდა ჩამოფარებული. მნახველებს უთქვამთ, ეს თმიანობა იმის ნიშანია, დავლათიანი იქნება, სახელიანიო. ამ ნიშნით, თუ სხვა რამ გამორჩეულობით, პავლეს თავის ექვს შვილში ეს მესამე შვილი განსაკუთრებით ჰყვარებია. ვაჟას დედამ გულქანმა იცოდა თურმე თქმა: ექვს-ექვსი შვილი ისე დავზარდე, რომ მამას ვაჟას მეტი ხელში არავინ აუყვანიაო. ჩანს, ვაჟაზე ვერ იკავებდა თავს პავლე მღვდელი, თორემ სხვა შვილების მიმართ კი გაუტარებია მთიელთა წესი: ვაჟკაცი ფშავ-ხევსურეთში ბავშვს ხელში არ აიყვანდა, სირცხვილად ითვლებოდა.

ვაჟას დედა ჯერ კიდევ გასათხოვარი ყოფილა, როცა ერთი წინასწარმეტყველური სიზმარი უნახავს. ამის შესახებ ვაჟა თავის დაუმთავრებელ ავტობიოგრაფიაში „ჩემი წუთისოფელი" წერს: – „დედაჩემის მიერ ნაამბობიდან ღრმად ჩამჭედია გულში მის მიერ ნანახი იაკობისებური ცხად-მოჩვენება, რომელსაც შემდეგ, როცა წამოვიზარდენით და მეცნიერებას ცოტაოდენად ვუსუნეთ, აღარც კი ვუჯერებდით, თუმცა დედა მაინც ჩვენს თავს ფიცულობდა დასარწმუნებლად: „ჯერ ისევ ქალი ვიყავ გასათხოვარი", – ამბობდა დედაჩემი (ვეცდები იმის სიტყვებით გადმოგცეთ ნახული მოჩვენება) – მე და ჩემს ბიძაშვილს ქალს სხლოვანს (სოფელია ივრის ხეობაში) გარეთ დერეფანში გვეძინა. შუაღამე იქნებოდა, დგანდგარი, ბირდგნიალი დადგა ისეთი, მეგონა, მთა-ბარი თუ იქცევაო. შეშინებული წამოვჯე ლოგინში, გავხედე და მთელი ცა განათებული იყო. ორი ოქროსფერი ჯაჭვი იყო წამოსული, ერთი ჭიაურის გორიდან, მეორე სხლოვანის გორითა, გადამბულები, ზედ ცეცხლის ბალღები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ და ისეთ მწკეპრ (წმინდა) ხმაზე გალობდნენ, ისე ტკბილად, ღმერთო, იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყურიო.

ამ მოჩვენებასაც, რა თქმა უნდა, თავისი ძალა ჰქონდა და მაფიქრებინებდა, რომ ჩვენი დედ-მამის და მისი შვილების სვეტედში განგება მონაწილეობას იღებდა"...

დედის ასეთ შთამაგონებელ „ცხადმოჩვენებას" თუ სიზმარს არ შეიძლებოდა შვილებისთვის არ შთაენერგა რწმენა, რომ ისინი დიდი და სერიოზული საქმისთვის იყვნენ მოწოდებულნი, რაღაცა განსაკუთრებული უნდა ჩაედინათ ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ. და ურწმუნებიათ კიდეც. რომ ეს ასე იყო, ამას ადასტურებს ვაჟას სიტყვები: „ამ „თმიანობამ" თავისთავზე წარმოდგენა განმიდიდა, რაღაცა არაჩვეულებრივ ადამიანად მომაჩვენა ჩემი თავი და დამისახა არაჩვეულებრივი მომავალი".

პავლეს ნათლიად სასულიეროვე პირი, თავისი უფროსი შეურჩევია, განათლებული, კარგი კაცი, თუში. ქართველთა რწმენით ნათლულს ცალი გვერდი ნათლიისა აქვსო. არ შეიძლებოდა ამ ფაქტსაც არ ემოქმედნა ვაჟას თვითრწმუნებაზე.

საქართველოს მმაჩის სამმართველოს 1861 წლის მეტრიკულ ჩანაწერ წიგნებში ვაჟას შესახებ წერია: „...მიმრქმელი თი-

ჩარგალი. ვაჟას სახლ-კარი

ანეთის ოკრუღის ბლაღოჩინი და კავალერი იოვი ცისკაროვი". ხოლო ვაჟა-ფშაველას მეტრიკულ ამონაწერში, რომელიც მან წარადგინა თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, ვკითხულობთ: „მისი მშობლები: სოფელ ჩარგლის მცხოვრებნი, ჩარგლის წმინდა გიორგის ეკლესიის მედავითნე პავლე რაზიკოვი და მისი კანონიერი მეუღლე ბარბარე, ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. მიმრქმელი იყო თიანეთის მაზრის მღვდელმთავარი და კავალერი იობი ცისკარიშვილი, ხოლო საიდუმლო ნათლისღება აღასრულა ჩარგლის სამწყსოს მღვდელმა იასე გელაძემ მედავითნე ვასილ წოწკოლაურთან ერთად".

ჩანს, ნათლობა პავლეს ჩარგალში ჩაუტარებია და „ბლაღოჩინიც" იქ დაუპატიჟებია ნათლიად. ის მართლაც საპატივცემულო, ძალზედ განათლებული საზოგადო მოღვაწე ყოფილა. მისი პიროვნებით მოხიბლულა ქართული კულტურის დიდი მკვლევარი აკად. მარი ბროსე, რომელსაც მისთვის მიუნდვია თუშური (წოვა-თუშური) ფოლკლორული თუ ენათმეცნიერული მასალის აღწერა. მან მალე ჩააბარა „წოვა-თუშური ენის აღწერითი გრამატიკა". ამიტომ იობი ცისკარიშვილი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაში მიჩნეულია მთის კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ პიონერად (53). ასე, რომ შემთხვევითი არ არის პეტერბურგში ყოფნის დროს და შემდეგაც ვაჟას გამორჩეული მეგობრობა ცისკარიშვილებთან.

ცალკე დედა და ცალკე მამა თითქოს ერთურთს ეჯიბრებოდნენ შვილებისადმი ხალხური შემოქმედებისა და წიგნების, სწავლა-განათლების სიყვარულის შთანერგვაში. ცდილობდნენ ეზიარებინათ ამაღლებული ზნეობისათვის, ლამაზი სულიერი სამყაროსადმი. გათენებიდან დაღამებამდე მუხლჩაუხრელად მშრომელნი, დაღლილ-დაქანცულნი, პიროფლიანნი მაინც არ ივიწყებდნენ ამ უმთავრეს საქმეს, დროს პოულობდნენ შვილებისათვის ეამბნათ გადმოცემები, ზღაპრები, ასწავლიდნენ წინაპართა სადიდებლად ნათქვამ ლექსებს, ხალხური მარგალიტებით უვსებდნენ და უყვავებდნენ სულს. ძილის წინ ხის დიდ ტახტზე ჩამწკრივებულ, ბახალებივით თავწამოყაყვულ შვილებს გვერდზე შემოწოლილი დედა უყვებოდა ძილისპირულებს.

მამა კი უფრო წიგნებიდან ამოკითხულ ამბებს უამბობდა. მოუთხრობდა ჩვენს სახელოვან წინაპრებზე. განსაკუთრებით სიყვარულით ჰყვებოდა თურმე დავით აღმაშენებელზე. მისი დიდი ცხოვრებიდან განსაკუთრებით წიგნებისადმი სიყვარულის ეპიზოდს გამოჰყოფდა თურმე: „იცით, დავით აღმაშენებელს წიგნების კითხვა როგორ უყვარდა? ნადირობის დროსაც კი, არ ვიტყვით ლაშქრობაში, როცა სადმე გეზზე იდგა და ნადირს უცდიდა, ცალ ხელში წიგნი ეჭირა და მეორეში მშვილდისარიო".

პავლეს მონათხრობი დავით აღმაშენებელზე მთიელთა, ფშაველთა ნადირობის ქარგაზე იყო მოჭრილი, დილით ღამიანად გასულნი, საღამოს შინ რომ ბრუნდებიან. ხშირად მონადირეებს ისე უხდებათ სიარული მთელი დღის განმავლობაში, ერთხელაც ვერ ჩამოსხდებიან. ხანდახან, გეზში ჩამჯდარ კაცს, მარეკების მოსვლამდე კითხვის დროც კი რჩება, მაგრამ ნადირის მოსავალ გეზს არ მოსცილდება თვალი და ყური. აი, ასეთ ვითარებაში წიგნის კითხვა, მართლაც, საოცრებად წარმოიდგინება.

ალბათ, პავლემაც არ იცოდა, რომ დავით აღმაშენებელი სანადიროდ ერთი დღით კი არა, ერთი და ორი კვირით გადიოდა, თან ჯარი გაჰყავდა და ჯარს წვრთნიდა. ნადირობა ხომ იმ დროს ყველაზე კარგი წვრთნა იყო ჯარისა.

თუმცა მემატიანე გადმოგვცემს: „და უსაკვირვლეს არს ესე: უწყით ყოველთა, თუ ვითარ სასწრაფო არს ყოველთა საქმე ნადირობისა, და თუ ვითარ დაიმონებს შედგომილსა თვისსა და წარტყუენილ ჰყოფს, და ნადირობასა შინა არა რასა სხვასა, გარნა ხილვასა და დევნასა ნადირისასა; და თუ ვითარ ხელთ იგდოს, მიმხედველ ჰყოფს. გარნა მისი გულსმოდგინება ამასაც სძლევდა, რამეთუ თვით ნადირობასა შინა წიგნნი აქუნდიან ხელთა და, რაჟამს ჟამი იყვის, მისცნის ვისმე მსახურსა და ესრეთ დევნა უყვის. და ნუ უკუე ჰგონო, ვითარმედ ხელითა ცალიერითა მოიქცის, ანუ ცუდად დაშურის". (43, 348).

გულქანისა და პავლეს მონათხრობები რომ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა შვილებზე და მიჰყვებოდა მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ აღმაშენებლის მსგავსად ვაჟაც, შემდგომში, სასაგზლე ჩანთაში, თავის საყვარელ წიგნს, ლესინგის „ლაოკოონს", დაატარებდა თან.

პავლე მღვდელი სამსახურისა და სხვა საქმეების გამო ხშირად მოწყვეტილი იყო ოჯახს, მაგრამ „როცა კი შინ იმყოფებოდა, – იგონებს ვაჟა, – მუდამ მიამბობდა მოთხრობებს ძველი საღმთო ისტორიიდან, წერა-კითხვას მასწავლიდა ძველებურს წესზე. ჩაუჯდებოდა ხორცს ხინკლისათვის საკეფლად ფიცარზე, იქვე ტახტზე მეც დაუჯდებოდი პირდაპირ და ვუგდებდი გაფაციცებით ყურს იმის ტკბილ საუბარს, რადგან ძველი აღთქმის ზოგ-ზოგი მოთხრობა მეტისმეტად მომწონდა, ჩემს ყურადღებას იზიდავდა: დავითისაგან გოლიათის დამარცხება, სამსონ ძლიერის მოქმედებანი, ძმათა მაკაბელთა თავდადება და სხვა"...

ვაჟა ათ წლამდე ჩარგალში იზრდებოდა და მთელი ბავშვობა, რა თქმა უნდა, ისე გაატარა, როგორც ატარებენ მთიელი ბავშვები. ოთხი-ხუთი წლიდან ფაქტიურად ოჯახურ საქმიანობაში იყო ჩაბმული. ზაფხულობით უმთავრესად ხბო-ბატკნებს მწყემსავდა, შურდულით ჩიტებზე ნადირობდა, მარწყვსა და ჟოლს კრეფდა, მეზობლის ბავშვებთან ერთად ჩარგლულაში ჭყუმპალაობდა და კალმახს იჭერდა, კალმახის ჭერა ემარჯვებოდა თურმე. სხვას რომ სულ ვერაფერი დაეჭირა, ის მაინც დაიჭერდა ცოტაოდენს.

ანკესით თევზის ჭერას, განსაკუთრებით კალმახისას, დიდი აზრიანობა და დაკვირვება სჭირდება: თხილის ჯოხი გრძელი, ქერქ გაცლილი უნდა იყოს, წვერში წვრილი, ძუა თეთრი ცხენისა, ანკესი თავისებურად შემოხრილი; იმასაც უნდა ცოდნა, როდის ჭიაყელაზე მოდის, როდის სანსალაზე. მორევთან მიპარვით მისვლაა საჭირო, ანკესის მოთრევასაც ცოდნა უნდა... იმთავითვე ბუნების წიაღში ჩახედვის ვაჟასეული ალღო კალმახის ჭერაშიც მჟღავნდება.

მამის მონათხრობიდან გაიგო, ალბათ, რომ ქართველი მოლაშქრენი ღრმა მდინარეების გადალახვისას ცარიელ ტიკებს ბერავდნენ, ხელებით ეყრდნობოდნენ, ფეხებს აფართხუნებდნენ და ისე მიცურავდნენ. ვაჟა შინიდან ტიკს იპარავდა და არაგვზე მორევში იმით სწავლობდა ცურვას და სხვებსაც ასწავლიდა.

ფარიკაობაც უყვარდა. ესეც, ალბათ იმ გმირი წინაპრების წამხედურობით, მათი გმირობა ენატრებოდა.

ვაჟას თანატოლი ხეხერა ზურაბაშვილი იგონებს: ერთხელ ვაჟამ „ვეფხისტყაოსანი” წაგვიკითხა თავის მეზობელ ბავშვებსო. პოემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. აღტაცებულ-აღფრთოვანებულ ბავშვებს არანაკლებ აღფრთოვანებულმა ვაჟამ მოუწოდა: მოდი, ჩვენც დავლაშქროთ ქაჯეთის ციხეო – სულა და კურდღელას ციხეს დავეცეთო. ხის ფარხმლებით შეიარაღებულნი სამ ნაწილად გაყოფილან, სამი მხრიდან მისდგომიან კივილ-ჭყივილით, ხმლების ჩახაჩუხით შეცვივნულან ციხის ნანგრევში. მთავარი გმირი, ტარიელი, ვაჟა ყოფილა.

თელავი

მართალია, ვაჟა წერს, რვა წლისა მიმაბარეს თელავის სასულიერო სასწავლებელშიო, მაგრამ, ჩანს, კარგად აღარ ახსოვდა, რომ ათი წლისა ჩაიყვანა იქ მამამ. სასულიერო სასწავლებელში, ჩვეულებრივ, ათი წლიდან იღებდნენ. პავლე მღვდელს მიუღებინებია ვაჟა სასწავლებელში, საცხოვრებლად კი ვინმე თალიკო რამინსკაიასათვის ჩაუბარებია ოჯახში. თალიკო ქართველი აზნაურის ქალი ყოფილა, რუსზე გათხოვილი. ვაჟას შვილივით უვლიდა თურმე, ასმევდა, აჭმევდა, ურეცხავდა და ყოველივე ამაში პავლე თვეში ხუთ მანეთს უხდიდა.

საცხოვრებლად კი დაბინავდა კარგად, მაგრამ სასწავლებელმა არ გაუმართლა ის დიდი ინტერესი და სიყვარული სწავლისადმი, რითაც ვაჟა ჩარგლიდან წამოსვლისას იყო შეპყრობილი. თელავის სასულიერო სასწავლებელი ის არ აღმოჩნდა, რასაც ელოდა. გონების ძალადობაზე დამყარებულმა სწავლის სისტემამ ლამის სულ შეაძულა სწავლა. თვით ვაჟა წერს: „სასწავლებელში ყოფნამ ჩემს გულსა და გონებას ვერაფერი შემატა. ჩემს ფანტაზიას, გონების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, ჩემს ცნობისმოყვარეობას ვერ აწვდიდა ნოყიერს საზრდოს. იძულებული ვიყავი მიმემართნა სხვადასხვა წიგნებისათვის... ექვსი წლის ჩემი თელავში ყოფნის დროს სწავლის ნაყოფად

ჩაითვლება რამდენიმე რუსულ-ბერძნული ფრაზა, ქართულს ვინ გვაღირსებდა”...

ვაჟას ჩარგალში სამი დიდი მასწავლებელი ჰყავდა: დედა, მამა და ბუნება. სამივე საყვარელი იყო მისთვის. დედაც ისევე ბუნებრივად უყვებოდა ძველებურ ამბებს თუ ხალხურ ლექსებს, როგორც ჩარგლულა მორაკრაკებდა და ისიც ისეთივე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მას, როგორც მოალერსე დედა. რამდენი რამე ასწავლეს მამამ და დედამ და ერთი ხმამაღალი სიტყვაც კი არ დასცდენიათ, ერთხელ არაფერზე გასწყრომიან, ან კი რა საჭირო იყო სწავლას მოწყურებული ვაჟასთვის მსგავსი მეთოდი?

თელავის სასულიერო სასწავლებელში კი რამდენად უკუღმართად, არაპედაგოგიურად უნდა ყოფილიყო სწავლის საქმე დაყენებული, რომ ვაჟასაც, სწავლამოწყურებულ ბიჭს, გული ასცრუებოდა სწავლაზე. მეფის რუსეთის თვითმპყრობელური, კოლონიური სისტემის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა სასულიერო სასწავლებელს ამქვეყნიურ ჯოჯოხეთად აქცევდა. აზუთხვინებდნენ ისეთ რაღაცეებს, რაც ბავშვებში არავითარ ინტერესს არ იწვევდა, რაც მათ მხოლოდ გონებას დაუჩლუნგებდა და ინტერესს დაუკარგავდა მშობლიური ენისა და ისტორიისადმი, დაავიწყებდა ქართველობას. ყოველ შემთხვევაში, სწავლების ძირითადი დრო და ენერგია იმ არასაჭირო, მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის პოლიტიკისთვის საჭირო საგნების უაზრო ზუთხვას მიჰქონდა და რა გამწარებით, რა პედანტიზმით უნერგავდნენ, უტენიდნენ ამ უაზრობას თავში ბავშვებს! ვისთვის როგორ, მაგრამ ნამდვილად სწავლას მოწყურებული ბავშვებისათვის ასეთი ძალდატანება უდიდესი სულიერი ტანჯვა იყო. ამას ემატებოდა როზგი და ცემა-ტყეპა.

თელავის სასწავლებელში ასეთი სულთამხუთაობის, ასეთი მძიმე ყოფის შემდეგ, მართლაც რომ დიდი ბედნიერება იქნებოდა ვაჟასათვის თავის მშობლიურ ჩარგალში საშობაო თუ საზაფხულო არდადეგების დროს დაბრუნება. სამოთხედ ეჩვენებოდა ჩარგალიცა და მშობლიური კერაც. ჩანს, იმ ჯოჯოხეთმა უფრო გაუმძაფრა მთის სიყვარული და იქით ლტოლვა.

ვაჟას დაუწყია თავისი ავტობიოგრაფიის წერა, მაგრამ მალევე შეუწყვეტია, რადგან, რაც იქ უნდა ჩაეწერა, ბევრი რამ

უკვე აღწერილი ჰქონდა თავის ლექსებსა თუ მოთხრობებში, ანდა შემდეგში აპირებდა დაწერას. ბავშვობის შთაბეჭდილებები მას საგზალივით მიჰყვებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე და ზოგს ლექსად აყალიბებდა, ზოგს – მოთხრობად. უთუოდ ბავშვობის იმ ტკბილ-მწარის მოგონებაა 1906 წელს დაწერილი ლექსი „მთიელი ბავშვი ქალაქში".

„ახ მთებო, ამწვანებულო, როდისღა გნახავთ თვალითა?
ჩემო პატარა სოფელო, პატარიკაის ჭალითა,
სვიით გაბმულო მურყნებო, კალმახიანის წყალითა?!
ახ, საჭამანდო შვინდისავ, ხის კოვზითა და ჯამითა,
ნადუღო დედიჩემისა, გამაძღო შენი ჭამითა!
აუბნა დედას ზღაპარი, მე მომესმინა ღამითა?
არ იცით, ჩემო სწორებო, როგორა ვკვდები ჯავრითა?

. . . . . .

მანამ მანდ ვიყავ, შინ ყოფნა არად გამაჩნდა ბევრადა:
არც მთა მიღირდა ძვირადა, არც თავის კერა-კერადა,
აქ-ღა გავიგე, სამშობლო ტკბილი ყოფილა ძნელადა,
სიზმარში მუდამ მანდა ვარ, დავეხეტები ველადა,
გამეღვიძება, აქა ვარ, გავიბასრები ცრემლადა.

. . . . . .

ვინ იცის, რა მაგონდება! ქვაც მენატრება მშობელი,
თორემ ცოცხალი არსება, გულზედ მაბია ყოველი".

იგივე ფიქრები და განცდები აქვს გადმოცემული ვაჟას"საშობაო მოთხრობაში". საშობაოდ ჩარგალში აყვანილ ვაჟას აი, რა ფიქრები უტრიალებდა და რას განიცდიდა: „ეხლა ძლივს ამოვისუნთქე თავისუფლად. როდისღა ვიგრძნობ ამგვარ სიამოვნებას? ნეტა აღარ წამიყვანდნენ იმ ოხერ სასწავლებელში-მეთქი, ვფიქრობდი. ეს ფიქრი ხომ არ შემისრულდებოდა და არა, მაგრამ ის მიხაროდა, რომ ორი კვირა თავისუფალი მექნებოდა და სულთამხუთავი მასწავლებლები აღარ დამადგებოდნენ თავზე... ნიადაგ უნდა მესიამოვნა. ჯერ ერთი, გადავრჩი ბერძნულის მასწავლებელს, ამ დაობებულს, დახავსებულს ბურსაკს; ჯერ ქართული ანბანი არ ვიცოდით და ის კი მოგვიყვა ბერძნულს ენას. ნეტავი თვითონ მაინცა სცოდნიყო თავისი საგანი, ისიც მაშინა სწავლობდა. შავ-შავი, ხმელი კაცი იყო, დაგვადგებოდა თავზე და „გვაზუბრინებდა", „ალფა, ბეტა, ღამა, დელტა".

...ღმერთო, რა ამბავი იყო, როცა ის გაჯავრდებოდა: თვალები დაესისხლებოდა, მოავლებდა შეგირდს თმაში ხელს და გაისვრიდა, საითაც მოხვდებოდა: ერთი მუჭა ბალანი ხელში უნდა დარჩომოდა და მერე შებერვით აქეთ-იქეთ გააბნევდა. უნდა მოგახსენოთ, რომ როზგი მაშინ ახალი გადავარდნილი იყო, მის სავალალოდ და სამწუხაროდ, მაგრამ ჩუმჩუმად მაინც ამოქმედებდა. შენახული ჰქონდა სახლში და საჭიროების დროს მოიკითხავდა. „თქვე მ – ლებო, იქნებ იმას ფიქრობთ, როზგი გადავარდაო, ვერ მოგართვესთ, აბა, ერთი წამოაქციეთ!" – ეტყოდა ჩურჩულით გულდამშვიდებული უფროს შეგირდებს, რომელნიც სწრაფად გაჰბაწრავდნენ ერთ-ერთს ამ არწივის მსხვერპლს და წამოაქცევდნენ: „აბა, ერთი რიგიანად მოახვედრეთ მაგას ორმოციოდე როზგი". ბევრსა ჰყვიროდა საწყალი ბავშვი: – ვაი, დედავ, მოგიკვდიო, – მაგრამ ამაოდ. არწივი ეკალაძე დასძახოდა: – მოკვდი, მოკვდი, მოკვდი, ს-ინ! მაგრა დაჰკათ, მაგრა მაგ მ-ს!" ვაი იმ შეგირდ-ჯალათის ბრალი, რომელიც გულჩვილობას გამოიჩენდა და ვერ დაჰკრავდა გამეტებით; ახლა იმას გააძაგვრინებდა იატაკზე.

მე ბუხარში ვიჯექი და იქიდამ ვუცქეროდი ამ საშინელებას. დიაღ, ბუხარი იყო ჩემი სკამი მთელი ორი წელი, რადგან ადგილი აღარ იყო შეგირდისთვის და ერთთავად ნაცარში ამოგანგლული დავდიოდი. რა ღმერთი გამიწყრებოდა, დამეშავებინა რამე ამ სურათების მნახველს. ეკალაძეს ბრაზი მოუვიდოდა ხოლმე, რომ საბუთს არაფერს ვაძლევდი გაროზგვისას, მომიშარებდა რასმე და დამკივლებდა: „მ-ის სულს აგიტირებ, ფშაველო!". გამისომდა ბჯღალს ქოჩორზე, თითქოს ქორმა ქათამს გაჰკრა ბჯღალიო და გადაისროდა ბურტყლებს დაბლა".

ეს ჯოჯოხეთი ტრიალებდა „ალფა, ბეტას" ზეპირობის გამო. ვაჟას კი სწავლა უნდოდა, ნამდვილი ცოდნა. თავისით ცდილობდა რაღაცას, ეძებდა წიგნებს, თხოულობდა, კითხულობდა. პროვინციულ ქალაქში მაშინ ბევრი არაფერი იშოვებოდა წასაკითხი, მაგრამ რასაც იშოვიდა, ფშაური ხინკლებივით

სულმოუთქმელად ყლაპავდა. ერთხელ ხელში ჩაუგდია რაღაც ასტრონომიული წიგნი და ისიც კი დიდი გულმოდგინებით დაუმუშავებია.

საერთოდ, უსაქმოდ ვერ ჩერდებოდა თურმე თავიდანვე შრომას მიჩვეული ვაჟა. თუ წიგნი არ ეჭირა ხელში, დიასახლისს ეხმარებოდა: შეშას უჭრიდა, წყალს უზიდავდა... თუ არც არაფერი საქმე დიასახლისს ჰქონდა საიმისო, ან ამხანაგებთან არ თამაშობდა, აიღებდა მამა-პაპურ მშვილდ-ისარს და ფრინველზე სანადიროდ გადიოდა თელავის შემოგარენში.

ვაჟამ თავისი ნაკითხობით, უნარიანობით, ფიზიკური ძლიერებით მალე მოიპოვა მოთავეობა თავის ამხანაგებში. შეისწავლა კახური ჭიდაობა, კრივი და შეჯიბრებებში ტოლს არავის უდებდა. სასწავლებელში ყველას ერეოდა თურმე – თავის ტოლებს და დიდებსაც, მისი წამქცევი არავინ ყოფილა; სასწავლებელსაც და ამხანაგებსაც ისა ჰყავდათ ფალავნად კვირაობითა და დღესასწაულებზე გამართული ჭიდაობის დროს. მაშინ ჭიდაობა იყო ყველაზე დიდი და საინტერესო სანახაობა და ჭიდაობაში თავგამოჩენილი კაციც შორს გაითქვამდა სახელს. ვაჟას ფიზიკური ძლიერება უწყობდა ხელს, თორემ ჭიდაობა კახელებივით ვერ იცოდა. კახეთში ბავშვობიდანვე ჭიდაობენ. ფშავში, და საერთოდ მთაში, კი ხალხის თვალწინ წაქცევას ვერ იტანენ სიამაყის გამო. ვაჟას კი უმართლებდა, ვერავინ აქცევდა თორემ, მალე მიანებებდა თავს. რაკი უმართლებდა, ჩანს, წათამამებული ვაჟა გაამაყებულა და ამის გამო დასჯილა კიდეც. თავისი შერცხვენა ვაჟას თვითონ უამბნია. მიხა რაზიკაშვილი იგონებს: „ამხანაგებთან ერთად ვაჟა წასულა დღეობაში ალავერდობას. იქ დიდი ჭიდაობის გამართვა იცოდნენ. მთელი კახეთის მოჭიდავეები იქ იყრიდნენ თავს. მოწაფეებიც ჩაებნენ ჭიდაობაში. რაკი მაღალი ტანისა იყო, ვაჟა დიდებს დასჭიდეს. წრიდან გამოუსვლელად ექვსი წააქცია. „დავდიოდი, – სთქვა ვაჟამ, – რუსული მამალივით გათამამებული და კიდევ ვითხოვდი მოჭიდავეებსაო. ბოლოს გამომიყვანეს ერთი ხმელ-ხმელი ვიღაც მეძროხე, მე ვთქვი, რომ ამას ერთი ხელის მოვლებით ხე და ქვას შემოვაწყვეტავო და გაუფრთხილებლივ შევეტაკეო. როგორ მოხდა, არ ვიცი, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ჩემმა ფეხებმა ჰაერში შეითამაშა და მიწაზე ზღართანი მოვადინეო. ასე გავფუჭდი ფალავანი კაციო!”...

იმ დროს საქართველოში ძალზედ გავრცელებული იყო მუშტი-კრივი. ეს თავისებური ფიზიკური წვრთნა, ვარჯიში თბილისური ჩვეულებაა, აქედან გადაინერგა საქართველოს ზოგიერთ ქალაქში, მათ შორის თელავშიც.

მუშტი-კრივი ვაჟკაცური სპორტი იყო. აქ მჟღავნდებოდა ადამიანის შეუპოვრობა, ამტანობა, სისხარტე. მოწინააღმდეგენი შიშველი მუშტით ურტყამდნენ ერთმანეთს. შეტაკება ხდებოდა ძირითადად უბნებს შორის. ამდენი ხალხის ერთურთისთვის დარევა ხელჩართულ ომს მოაგონებდა მნახველს.

თბილისური მუშტი-კრივი, მისი რაობა აღწერილი აქვს ცნობილ ქართველ პოეტს იოსებ გრიშაშვილს „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში”. აქ იგი წერს: „კრივი პატარა ბიჭების შეჯიბრებით იწყებოდა. შემდეგ 18- 20 წლის ვაჟკაცები მოსდევდნენ, ხოლო, როცა ბრძოლა გამწვავდებოდა, ორივე ბანაკიდან გაისმოდა შეძახილი: „ქომაგი!” „ქომაგი!” და ეშხში შესული დარბაისელი და გამოცდილი ფალავნები უკვე ნამდვილ კრივს იწყებდნენ.

ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ მოკრივეთა ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ნაცემი და დაბეგვილი მოკრივენი სტოვებდნენ ასპარეზს და ნელ-ნელა უკან იხევდნენ (ეგრეთ წოდებული „დამდგარი კრივი” კი ხშირად ორ-სამ საათს გრძელდებოდა). მაგრამ ბრძოლა ამით არ თავდებოდა: დამარცხებულნი იშველებდნენ ქვებს, აგურებს, ხის ნაჭრებს და ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. ამის გამო ხშირად იმსხვრეოდა მეზობელი სახლების კარ-ფანჯრები, აივნები, შუშაბანდები და სხვ. ბევრი მოკრივე ბრძოლიდან დაჭრილი გამოჰყავდათ...

...როცა ქალაქში კრივი გაიმართებოდა, მაყურებლები სახლის სახურავებზე ადიოდნენ, ავსებდნენ ბანებს და იქედან შესცქეროდნენ ომს და ამხნევებდნენ გამბედავ მებრძოლთ თანაგრძნობის აღმოჩენით. როცა ქალაქგარეთ იბრძოდნენ შურდულებით და ხის ხმლებით, მაყურებლებს წინდაწინვე ჰქონდათ დაკავებული გორები და მაღლობი ადგილები.

კრივს განსაკუთრებით ახალგაზრდობა მისდევდა. ეს საკვირველიც არ არის. ქართველ ქალს ერთი ათად უფრო ტურ-

ფად ეჩვენებოდა ის ვაჟი, რომელიც კრივში გაიმარჯვებდა და სახელს გაითქვამდა. მოკრივენიც, რასაკვირველია, რამოდენადაც სახელის შოვნას სცდილობდნენ, იმდენადვე სწადდათ და ცდილობდნენ თავის გამოჩენას თავიანთ"ორთავ თვალის სინათლის" სასიამოვნოდ და სასიქადულოდ. გრიგოლ ორბელიანის თქმისა არ იყოს:

„აბა, მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ!"

კრივს ჰქონდა თავისი ჭეშმარიტად კარგი მხარე: „ქართველი კაცი პატარაობიდანვე იწვრთნებოდა სამხედრო ხერხებში, ავარჯიშებდა თავის საღ გონებას და გამჭვრეტელობას, რომელიც მას ბუნებით დაჰყოლია, ვარჯიშობდა სიმარდეში, სისწრაფეში – ერთი სიტყვით, კრივში ქართველი იძენდა ყველა იმ თვისებას, რომელნიც ძვირფასნი არიან სამხედრო საქმისთვის". („ივერია", 1885,1)

ვაჟას ერთგვარად კრივმა მისცა ასპარეზი თავის ვაჟკაცობის გამომჟღავნებისა, იმის დამტკიცებისა, რომ არც ის იყო თავისი სახელოვანი მამა-პაპების მომყივლე. სულ საგმირო საქმეებისათვის ანთებული ჭიდაობასა და კრივში იკლავდა ჟინს, ხარჯავდა თავის მოჭარბებულ ენერგიას, ავარჯიშებდა მკლავსა და გონებას. ტოლების კრივში უძლეველი ყოფილა ვაჟა, ამიტომ მისი ჯგუფი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

სასულიერო სასწავლებლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კრივის სკოლა, მართლაც, კარგი გაიარა ვაჟამ თელავში. თუ როგორი იყო ეს სკოლა თელავში (შემდეგ თბილისსა და გორში), როგორი ძალის მოკრივე იყო ვაჟა, ამაზე კარგად მეტყველებს უფრო მოგვიანებით პეტერბურგში მისი ყოფნის ერთი ეპიზოდი.

„ერთხელ, პეტერბურგში ყოფნის დროს, ვაჟას და გიორგის (ვაჟას უფროს ძმას – გ. ხ.) ფული სრულიად გამოლეოდათ და მშივრები დადიოდნენ თურმე ქუჩაში იმის იმედით, იქნება ვინმე ნაცნობი შეგვხვდეს და გვაჭამოს რამეო. შეხვედრიათ ნაცნობი გერმანელი სტუდენტი. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ გერმანელს უთქვამს: „წამოდით, ბილიარდი ვითამაშოთ

და, ვინც წააგოს, სადილი იმან გადაიხადოსო". ვაჟას გაუხარდა თურმე, რადგან ბილიარდს კარგად თამაშობდა და მოგების იმედი ჰქონდა. ეს ამბავი ასე აქვთ მოყოლილი ვაჟას ნათქვამად მ. შამანაურსა და ი. ბუქურაულს თავის მოგონებებში:

„გერმანელის ლუდხანაში ჩავედით. რა თქმა უნდა, ჩემი ძმა გიორგიც იქ არის, იმედი აქვს, რომ მოვიგებ. გიორგის სიხარულს საზღვარი არ აქვს, მამხნევებს, თან თვალს მიშვრება და მეუბნება: ეგრე, ძმაო, ეგრე, ვაჟავ, ერთი მუცლები მაინც ამოვივსოთო. თამაში ჩემს სასარგებლოდ დამთავრდა და ჩვენ უკვე სადილისთვის ვემზადებოდით, რომ ჩემი მოპირდაპირე მეუბნება: ცოტა ხანს იქით გავალ, მოვისაქმებ, მოვალ და ვისადილოთო. წავიდა, მაგრამ ის უკან აღარ დაბრუნებულა. თურმე, როგორც შემდეგში მიამბო, არც იმას ჰქონდა ფული, ისიც ჩემს დღეში ყოფილა, იმას ჰგონებია, რომ მე ბევრი ფული მქონდა, უნდოდა სადილს მე გამომრჩენოდა.

ბილიარდის პატრონმა გვიყურა, გვიყურა და როცა ჩვენ სადილი აღარ მოვიკითხეთ, მოვიდა და ბილიარდის ფული მოგვთხოვა. ჩავვარდი უხერხულ მდგომარეობაში. გროში ჯიბეში არ მიდევს, აღარ ვიცი, რა ვქნა. ვუხსნი ამ კაცს, რომ პირობისა და ჩვეულების მიხედვით ფული უნდა წაგებულმა გადაიხადოს, ვუთითებ წამგებზე; ვეუბნები, დაიცა, მოვა ის და გადაიხდის, მაგრამ ის დაჟინებით ფულს დაუყოვნებლივ ჩემგან მოითხოვს, ხმას უმაღლებს, ბიჭებს ეძახის. ბიჭებიც მოდიან და უნდათ გირაოში ქუდი წამართვან. მე ქუდს არ ვანებებ, იმათ ძალით მოინდომეს, მოიტანეს ჩემზე იერიში, მაგრამ მეც მაგრად დავხვდი. ერთი მათგანი ხელით შემეხო და მაგარი მუშტი მომთავაზა, ამას სხვებიც აჰყვნენ. გიორგი, რომელიც უბრალოდ მაყურებელი იყო ამ სეირისა, უცებ ქორივით დააფრინდა ჩემს გამრტყმელს, უმალვე ქვეშ ამოიდო და დაუწყო ცემა. რა თქმა უნდა, მეც მკლავი გავშალე და ვისაც შემოუნიავე, ფეხებზე არავინ დავაყენე, მეორედ შემოკვრა არავის სჭირდებოდა. შეიქმნა ერთი აურზაური. მუშტრები გულგახეთქილები გარეთ გარბოდნენ, რადგან რესტორნის პატრონი ხმამაღლა გაჰკიოდა: მიშველეთ, ყაჩაღები დაგვეცნენო! რესტორანი დაცარიელდა, სამაგიეროდ ყველა მოსამსახურე და ლაქია იქ მოგროვდა,

ყველანი მე და გიორგის მოგვესივნენ. გამშველებელი არავინ იყო, ყველა ჩვენ გვცემდა, ჩვენც ვუპასუხებდით და შეიქმნა ერთი გახურებული მუშტი-კრივი. თითო-თითოს შემოჰკრავს მუშტს გიორგი, დააპირქვავებს და მე დამიძახებს: „დაჰკარი-კავ, ლუკურიკავ, ძმაის ჭირიმე!... დაჰკა... დაჰკა... აქა გყავ შენი ძმა გიორგი!"

მეტი ჩარა აღარ იყო, ძალიან უნდა მომეწადინა და გამებედ-ნა, რადგან 20-25 კაცი გვესეოდა და, მართლაც, ბევრს ვადინე ცხვირ-პირიდან სისხლი, ბევრს შუბლზე კოპი დავასვი. მაგრამ რადგან ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, ჩვენ დაღლილობა დაგ-ვეტყო და საბოლოოდ გამარჯვება იმათი უნდა ყოფილიყო. ოთ-ხივ კუთხიდან შემოეხვივნენ გიორგის და სცემდნენ. მე კიდევ ორ კედლის შუა კუნჭულს ზურგი მივყუდე, მუშტებს ვიქნევ და ჩემთან არავის ვუშვებ, მინდა გიორგის მივეშველო, მაგრამ ვერ ვახერხებ. უცებ გიორგი დაუსხლტა ხელიდან ამ ბრბოს, გა-ვარდა გარეთ და მე დამიძახა: არ გატყდე, ძმაო, დაჰკა, ვაჟავ, დაჰკა, მე ეხლავე პოლიციას მოვიყვანო! მართლაც, თვალის დახამხამებაზე გიორგიმ პოლიციის ბოქაული მოიყვანა, თავის „გოროდოვოებით". ბოქაულს ყველანი ჩივილით მისცვივდნენ: გვიშველეთ, ბატონო, ყაჩაღები დაგვეცნენ, გვიშველეთო! ბო-ქაულის შეკითხვაზე რესტორნის პატრონმა უპასუხა, ორი ყა-ჩაღია, ერთი თქვენ რომ მოგიყვანათ, მეორე კი კუთხეში რომ დგასო – და ჩემზე მოუთითა. მე ისევ საომრად მომზადებულს, ჩემი პოზიცია მეჭირა.

– როგორ?! – განცვიფრებით წამოიძახა ბოქაულმა, – ეს ორი კაცი თქვენ ამოდენა ხალხს... არ მესმის...

– ვინა ხართ? – მოგვიბრუნდა ბოქაული ჩვენ.

– Черт их знает, кто они такие, жид – не жид, булгар – не булгар, молдав не молдав, кавкай... Кавкай... их мать! –წამოი-ძახა ერთმა მოწინააღმდეგეთაგანმა.

– შენი დედაც! – წამოვიძახე მე და გააფთრებულმა მივიწიე მლანძღველისაკენ.

ბოქაულმა, რასაკვირველია, შემაყენა და დამაშოშმინა.

არ მესმის, – წარმოთქვა მხრების აწევით ბოქაულმა და გად-მოგვხედა ჩვენ ორსა და მოპირდაპირეებს, – სირცხვილია, აბა

როგორ შევაყენო ოქმი, ამოდენა ხალხი უჩივის ორ კაცს, რომ გვცემესო. დამეკარგენით აქედან! – შეუყვირა ბრბოს ბოქაულ-მა და წამოდგა ზეზე, – მომშორდით, თქვენი სული აქ არ იყოს!

ზარდაცემული მოჩხუბრები იმწამსვე გაიფანტ-გამოიფან-ტნენ".

(46,172)

გაიარა რამდენიმე ხანმა და გიორგი მოდის ნევის პროსპექ-ტზე, შემოხვდა ვიღაც ახალგაზრდა, ევროპულად ჩაცმული, ცილინდრიან-ხელთათმანიანი, ტროსტით ხელში. მიუახლოვდა უცნობი თუ არა, მოწიწებით, ზრდილობიანად მიესალმა გიორ-გის, ცილინდრის მოხდით. გიორგიმ გაკვირვებით შეხედა უც-ნობს. „ვერ მიცანით? – ღიმილით ჰკითხა უცნობმა ფშაველს, – არა უშავს-რა, მოიგონებთ და, თუ შეიძლება, ერთი სადმე დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, ძალიან მინდა თქვენთან საუბა-რი". უცნობმა შეიყვანა ის ერთ ევროპულად გამართულ სასადი-ლოში, მოატანინა სასმელ-საჭმელი და შემოუსხდენ მაგიდას ის და გიორგი. აბა, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენლის, ნახევრად მშიერი ფშაველისათვის, იმნაირი სუფრა სიზმარი იყო. ლაპარაკობენ, შეექცევიან გიორგი და უცნობი.

– მაშ, ვერა მცნობთ, არ გაგონდებით? აბა, მოიგონეთ, სად შევხვდით ერთმანეთს? – შეეკითხა გიორგის უცნობი.

– რა ვქნა, მაპატიეთ, ვფიქრობ, მაგრამ არა მაგონდება-რა, ვერ გიცნობთ.

– მაშ, ლუდხანაში ამა და ამ დროს ჩხუბი რომ ჩამოვარდა, იმ ორში ერთი თქვენ არ იყავით? – ჰკითხა უცნობმა.

– დიაღ, ვიყავი, – მიუგო გიორგიმ.

– მეც იქ ვიყავი, – მიუგო ღიმილით უცნობმა გიორგის, – მეც ვიღებდი მონაწილეობას, მეც გეჩხუბეთ და... ერთი მითხარით ის, თქვენთან მეორე ვინ იყო?

– ჩემი ძმა იყო... რად იკითხავთ?

– რას ბრძანებთ, – თავის ქნევით უთხრა უცნობმა გიორ-გის, – მე ბოქსიორი ვარ, მთელი ევროპა მაქვს შემოვლილი. ჩემ დარტყმას ძნელად თუ ვინმე უძლებდა, მაგრამ თქვენი მუშტი უფრო მწვავე ყოფილა. ისეთი შემომკრა ფერდში შენმა ძმამ, რომ მოცელილი ბალახივით დავეცი იატაკზე. შინ რომ მივედი, ფერდი დალურჯებული მქონდა და სამი დღე და ღამე კომპრესი

მედო”... (მ.შამანაური, ივ.ბუქურაული) (46,174).

ვაჟას თელავში ნასწავლი მუშტი-კრივი მარტო პეტერბურგში კი არა, ცხოვრების მანძილზე ბევრჯერ გამოადგა, ზოგჯერ მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტადაც კი.

კრივში დიდი ძალის შემმატებელია მიჯნურობა, სატრფოსთვის გამჩვენეობა, როგორც გრიშაშვილი წერს. ვაჟაც არ იყო უამისოდ. მას თელავში უგრძვნია პირველი სიყვარული. ოღონდ ამ სიყვარულის ამბავი ვაჟას მეტმა არავინ იცოდა. არ იცოდა თვით იმ გოგონამაც კი, ვისაც ეტრფოდა. ვაჟა ამ გამიჯნურების ამბავს ასე გადმოგვცემს: ‘„რამდენადაც ძლიერი იყო ეს ჩემი სიყვარული, იმდენად გაუბედავი, დამალული, უსიტყვო, ისეთი, რომ ვგონებ, ვინც მიყვარდა, იმანაც არ იცოდა, მე კი, თუ მუდამ დღე არ მენახა თვალით, მოვკვდებოდი, რის გამოც, როცა დროს ვიხელთებდი, უნდა გავქცეულიყავ იქ, სადაც ჩემი „სატრფო” მეგულებოდა, რომ თვალით დამენახა, დავმტკბარიყავი მისი ცქერით. ჩემი სიყვარულისა მევე მრცხვენოდა, ეს სიყვარული დანაშაულად მიმაჩნდა და როგორ განუცხადებდი სატრფოს!”...

თელავიდან წამოსვლის შემდეგ ამ ბავშვურმა გატაცებამ მალე გაუარა და თბილისში სხვამ დაიჭირა თელაველი სატრფოს ადგილი. აქაც ისევე გაუბედავი, გაუმჟღავნებელი სიყვარულით იწვოდა; თბილისური შემდგომში გორულმა შეცვალა.

ვაჟას ჯანსაღი სიცოცხლით სავსე არსება ითხოვდა სიყვარულს, მისი სულისათვის აუცილებელი, თანმყოლი რამ იყო ეს გრძნობა, მაგრამ მთიელური სიამაყე და თავშეკავებულობა ზღუდავდა, ვერ ამჟღავნებდა. მთაში ხომ ვაჟკაცს ისე არაფერი უტეხს სახელს, როგორც სიყვარულზე ლაპარაკი და მექალთანეობა. მთაში შესისხლხორცებული მამაპაპური ზნეობისათვის კი არასოდეს უღალატნია ვაჟას. ვიდრე საცოლშვილო არ შეიქმნა და ვინც უყვარდა, მისი ცოლად შერთვა არ განიზრახა, მანამდე სიყვარული ვერავის გაუმჟღავნა. თუმცა მაშინაც სხვათა შუამდგომლობა დასჭირდა.

მიუხედავად ასეთი სისპეტაკისა სიყვარულში, ასეთი თავშეკავებულობისა, ფრთხილი სამიჯნურო ამბებისა, ვაჟას მაინც ქალების მოყვარული კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი. ეს,

ალბათ იმიტომ, რომ თვით ქალებს მოსწონდათ ვაჟა და ბევრი ცოლადაც სთავაზობდა თავის თავს.

ხალხში რომ ვაჟას ქალების მოყვარული კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი, კარგად ჩანს მისი სიცოცხლის ბოლოდროინდელი ერთი ეპიზოდიდან.

...ვაჟას განუზრახავს თავისი უმცროსი შვილის, ვახტანგის, საგურამოს სამეურნეო სასწავლებელში შეყვანა, რაკიღა მისთვის საამისო მიდრეკილება შეუმჩნევია. თვითონ ვაჟა ამ დროს ძალზედ დაავადებული ყოფილა და ამიტომ ეს საქმე მიუნდვია დავით ჯანაშვილისთვის, ვისაც აგრეთვე თავის შვილის ამ სასწავლებელში ჩაყვანა სდომებია. დავითს ეს ამბავი მოგვიანებით უამბნია ვახტანგისათვის: ”საგურამოში რომ გამგზავნა ვაჟამ, ხათრი ვერ გაუტეხე, ჩავედი, გავიგე სწავლის პირობები და თქვენთვისაც ბინა ვიშოვნე. როცა იქიდან დავბრუნდი, ვაჟა ჩემ სახლში (დავით ჯანაშვილი მაღაროსკარში ცხოვრობდა – გ.ხ.) ავადმყოფი დამიხვდა. გაეცივებინა, საბანში იყო გახვეული, სახე სრულებით არ უჩანდა. მე ვუამბე საგურამოს ამბები. სკოლის შესახებ ვუთხარი, რომ ბავშვებს მშვენიერი ბინა ვუშოვნე. დიდებული ოჯახი, ცოლ-ქმარი, ეტყობა ხვთისნიერი ადამიანები არიან-მეთქი.

როდესაც ქალზე (დიასახლისზე) ჩამოვაგდე ლაპარაკი, საბნიდან ცალი თვალი გამოყო და საცოდავად შემეკითხა: ჯეელიაო? ცუდად კი იყო, ციებისაგან აძაგძაგებდა. მე გადავიხარხარე: – მელა კვდებოდა და თავი საქათმისაკენ მიჰქონდაო, – ვუთხარი.

– არა, ისე შეგეკითხეო, – იმართლა თავი ვაჟამ. (37, 11)

თბილისი

თელავის სასულიერო სასწავლებელი ექვსწლიანი იყო და ვაჟამაც ექვსი წელი დაჰყო აქ. სწავლის წყურვილმა მაინც გაძლებინა ბოლომდე ამ ჯოჯოხეთისათვის. 1877 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში.

ვაჟა აქაც უცებ აღმოჩნდა ამხანაგების ყურადღების ცენტრში. თუ სადმე ჩხუბი ატყდებოდა, მაშინვე იქ გაჩნდებოდა და გამარჯვებაც იმათ რჩებოდა, ვის მხარესაც ვაჟა დაიჭერდა.

ვ. გოცირიძე გაზ. „სახალხო ფურცელში" ვაჟას ამ პერიოდთან დაკავშირებით 1915 წელს წერდა: „ზეტცერის ქარხანაში ვმუშაობდი. ბინაც იქვე ახლო მქონდა. მეზობლად შვიდი-რვა რაჭველი, სამოქალაქო სკოლის მოსწავლე ცხოვრობდა. მშობლებისაგან დავალებული მქონდა მათზე თვალი დამეჭირა.

ერთ საღამოს ერთმა პატარა მოწაფემ, ვანო ბედელაძემ, გულგახეთქილმა მოირბინა და მითხრა: „არიქა, გვიშველე... ჩვენს შეგირდებს სახელოსნოს შეგირდები დაესივნენ და სცემენო!" მეც გავიქეცი სადგურისაკენ, რადგან ვიცოდი, სად იყო ის სახელოსნო, რომლის მოწაფეებიც სახელგანთქმული იყვნენ ამისთანა უწესრიგობაში. შუა გზაზე მეტი გავლილი მქონდა, რომ შემომხვდენ ჩვენი ცელქები ერთი სიცილ-ხარხარით. დამინახეს თუ არა, მომცვინდნენ და მახარეს, სახელოსნოს შეგირდებს კარგად ვცემეთო. დავტუქსე ძალიან და დავემუქრე, ამაღამვე თქვენს სისაძაგლეს მივწერ თქვენს მშობლებს-მეთქი. ისინი, ალბათ, არ მოელოდნენ ჩემს გაჯავრებას და თავჩაღუნულებმა გამოსწიეს ბინისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ თავიანთ ლაპარაკში გაერთნენ. იგონებდნენ ვინ რა გმირობა გამოიჩინა „ბრძოლაში". შევნიშნე, რომ ჩემს მოწაფეებს კიდევ მომატებოდა ორი სხვა მოწაფე, რომელთაგან ერთი სულ უცხო იყო. ჩანდა, ბრძოლაში იმათაც მიეღოთ მონაწილეობა, მეტადრე ახსენებდნენ ლუკას სახელს, აქებდნენ მის „გმირობას". გამოირკვა, ჩემი გმირები დაძლეულიყვნენ მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგისაგან, ასე, რომ ზოგს კიდეც მოეკურცხლა სადგურისაკენ, მაგრამ წინ შემოხვედროდათ იმავე სკოლის მოწაფე, ფშავიდან ახლად ჩამოსული ლუკა რაზიკაშვილი, რომელიც თან მოსდევდათ ეხლა. გაიგო თუ არა ლუკამ, თურმე, მოწაფეების გაჭირვება, მიშველებოდა. როდესაც ერთმა ჩემმა მოწაფეთაგანმა, ნიკოლოზ ჩიკვაიძემ, წარმოთქვა აღტაცებით: „აი, შენი ჭირიმე, ლუკავ, კაცო, კაი დროს არ მოგვისწარი, ქორივით არ შემოგვერიე შიგაო!" ლუკამ ხელით ანიშნა – დაიცაო, და წარმოთქვა:

„შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი".

დაჰკრეს ტაში მოწაფეებმა და აისროლეს მაღლა ლუკა – გამიკვირდა 15-16 წლის ყმაწვილისაგან „ვეფხისტყაოსნის" სიტყვები. მოწაფეებს მოეწონათ გმირული ლექსები. გაამეორებინეს, სთხოვეს: კიდევ გეცოდინება რამე მაგისთანა ლექსებიო. ლუკაც არ დაზარდა, აუხსნა მოკლე შინაარსი „ვეფხისტყაოსნისა" და შიგადაშიგ ლექსები თქვა...

...გამომშვიდობების დროს წარმომიდგინა ორი მოწაფე: ჩიკვაიძე –ავთანდილად და კვიტაშვილი თუ მესხი, არ მახსოვს კარგად, –ფრიდონად. „მეო, – მითხრა სიცილით, – ტარიელობა უნდა ვიკისროო, მეტი გზა არ მაქვსო". (46,62)

დაუდგრომელი ბუნებისა ყოფილა ვაჟა, ცოცხალი, მიუხედავად სხვა მხრივ სიდინჯისა და წინდახედულებისა. სულ რაღაც თავგადასავლების ძებნაში იყო, მაგრამ უაზროდ კი არა. ამ საგმირო საქმეებს ყოველთვის რაღაც კეთილი მიზანი ჰქონდა. მასთან, ერთ ოთახში მცხოვრები დ. ქადაგიძე იგონებს:

„ზამთარია, ძალზე ცივა, შეშა არ გვაბადია, არც ფული გვაქვს, რომ ვიყიდოთ. ვსაუბრობთ თუ როგორ ვიშოვოთ შეშა. ვაჟა უცებ წამოხტა და დაიძახა: „არიქა, ბიჭებო, ვაგზლის შეშა!" ჩვენც მოგვეწონა ეს აზრი და ოთხივენი ღამე წავედით შეშის საქურდლად. როდესაც შეშას გადმოლაგება დავუწყეთ, უცებ მოგვესმა: „Кто,Там?! Стрелять буду!"

სიცოცხლე გაქვთ, დავიძარით. ვინ წინა და ვინ უკან. ვაჟა სამივეს ჩამოგვრჩა. ბინამდის არ დაგვისვენია. ვაჟას დაცინვა დავუწყეთ, რომ უკან დარჩა. ვაჟა თავისით გულს იკეთებდა და

გვეუბნებოდა: „ძალიან შეგეშინდათ და იმიტომ ძალიან გამორბოდითო".

ხილიანობის დროს ხილის მოსაპარად დადიოდნენ ბიჭები მუშტაიდისა თუ სხვა ბაღებში. რა ექნა მთიელ ბიჭს, ხილს დანატრებულს, ხილი ხომ უნდა ეჭამა, საყიდლად კი ფული არა ჰქონდა. დიდუბის მახლობლად, გერმანელთა კოლონიის ბაღებში შეპარულებს უხდებოდათ პატარა შეხლა-შემოხლა, მაგრამ მუშტაიდის ბაღებში ძალიანაც არ უშლიდნენ შესვლას."ვაჟას უყვარდა თეთრი თუთა. ახლაც ამ თუთას მიატანა. ბაღს ხილის დროს ყარაული ედგა. უცბად ხმა მოგვესმა: „ეი, ჭროღა ფშაველო (აქაც იცნობდნენ ვაჟას!) თავი დაანებე მაგ თუთას!" ვაჟა თეთრ თუთას „ჭროღა"' თუთას ეძახდა და ეს იყო მიზეზი, რომ მას მუშტაიდის ყარაულებმა უწოდეს „ჭროღა ფშაველი"... (დ.ქადაგიძე) (46,62)

ერთი მხრივ ეს ახალგაზრდული ფათერაკები, მეორეს მხრივ კი ვაჟა უკვე სერიოზულად ეკიდება საქმეს. თელავთან შედარებით თბილისში მეტი საშუალება იყო წიგნების შოვნისა და ვაჟაც არ უშვებდა ამ შესაძლებლობას ხელიდან. კითხულობდა ყველაფერს, რასაც ხელში მოიგდებდა. რაც შეეხება საკლასო გაკვეთილებს, მაინცდამაინც გულს ვერ უდებდა, არ აინტერესებდა. ვაჟა ბევრჯერ გაუფრთხილებიათ, თუ არ ისწავლი, ატესტატს არ მოგცემთო, არც თვით ვაჟას ჰქონდა ატესტატის მიღების იმედი, რადგან გამოცდების დროს „საეკლესიო სლაური" ვერ ჩააბარა. მასწავლებელი პეტროვი არ უწერდა ნიშანს, ვაჟა არ მიდიოდა სათხოვნელად. ყველას მისცეს ატესტატი, ვაჟა კი მეორე დღისათვის დაიბარეს, გალანძღეს სიზარმაცისათვის და როგორც უღირსს, სამადლოდ მისცეს.

ბედის დაცინვაც აქედან იწყება: „საეკლესიო სლავურის" უაზროდ მზუთხავები ითვლებიან წარჩინებულ მოსწავლეებად და ქება-დიდებით იღებენ ატესტატებს, ისინი, ვისი გვარებიც თუ ვისმე ახსოვს დღეს, მხოლოდ და მხოლოდ ვაჟას წყალობით, ხოლო ვაჟას თავისი გზით დაძრულ ნიჭს ატესტატსაც კი ამადლიან.

ასე ყოფილა თითქმის ყველა ნიჭიერი ადამიანი და ასე იყო ვაჟაც. მათი გუნება ვერ ეგუება მონურ წვრთნას, სწავლას იმისას, რასაც საუღლედ გამოწვრთნა ჰქვია. არც თბილისში ასწავლიან იმას, რისი სწავლაც გულით ეწადა ვაჟას – ქართულ მწერლობას. ამ წადილს – ამ სიყვარულს მთაში ყოფნისას დაუდო სათავე პავლე მღვდელმა, შეაყვარა რუსთაველი, გურამიშვილი, ილია, აკაკი... და ამ კალაპოტით ცდილობდა მიჰყოლოდა დინებას. ვაჟას ამხანაგებს კი აოცებდა ვაჟას საქციელი; მათთვის, ბნელ რუსიფიკატორულ ქსელში გახლართულთა, რუსოფილთა, ნიღილისტთა ოჯახებიდან გამოსული ბავშვებისათვის, მთავარი საზრუნავი იყო ცხოვრებისათვის გამოსადეგი „განათლების" მიღება და ფულიანი სამსახურის შოვნა, მთავარი იყო ლუკმა-პური ეშოვათ. ამიტომ ვერ გაეგოთ, რატომ იქცეოდა ესე უცნაურად ვაჟა, რაღა უნდოდა მაშ! რატომ ეპყრობოდა ისე აგდებულად ატესტატის მიღებას, უიმისოდ ხომ ვერ გახდებოდა ჩინოვნიკი. მისმა ამხანაგებმა, „კარგმა" და „წესიერმა" მოსწავლეებმა, ზეპირად იცოდნენ „საღვთო რჯული", „საეკლესიო სლაური", ლათინურიცა და ბერძნულიც, მაგრამ ვაჟასაგან გაიგონეს „ვეფხისტყაოსანი" და აღტაცებაში მოვიდნენ. სქოლასტიკური საგნებით დამძიმებულ, დაბნელებულ მათ გონებაში თითქოს მზის სხივმა ჩაანათაო, ისეთნაირად გამოცოცხლდნენ. ვ.გოცირიძესაც გაუკვირდა, ვაჟამ რომ „ვეფხისტყაოსანი" იცოდა და ვაჟასაც გაუხარდა „ვეფხისტყაოსნის" წამკითხველი კაცი რომ ნახა.

„– მაშ, შენ წაგიკითხავს „ვეფხისტყაოსანი?!" – წამოიძახა ვაჟამ და ორივე ხელი მტაცა.

– წამიკითხავს და ახლაც ვკითხულობ, მაგრამ კიდევაც ვერ გამიგია კარგად. შენ, ჩემო ბიძია, აკვანშივე დაგიწყია, ალბათ, რომ ზეპირად გისწავლია-მეთქი.

მითხრა: მე ბევრჯერ წამიკითხავს და თუ გინდა, მაგისი გემო გაიგო, მეორედ, მესამედ წაიკითხეო".

უკვე დიდი გემოვნება ჰქონია ვაჟას. სცოდნია რასაცა ჰქონდა გემო, მაგრამ ქართული მწერლობა აკრძალული ხილი იყო სასწავლებელში. ამიტომ '„ჭროღა თუთასავით" ქურდულად ეტანებოდა. ნებას არ აძლევდნენ, მაგრამ ძალად ითვისებდა. ქართული ლიტერატურის გემო ხომ გააგებინა თავის ამხანაგებს ვაჟამ და ახლა ფშაურ ზეპირსიტყვიერებასაც აზიარა. ლექს-კაფიები კი ბევრი იცოდა „ჩარგლური სკოლის" წყალობით. ხშირად უკითხავდა თურმე ამ ლექსებს. განსაკუთრებით ერთი

ფშაური ლექსი ჰქონდა აკვიატებულ-ამოჩემებული, – იგონებს დ. ქადაგაძე, – ამბობდა და თან ცეკვით ჰყვებოდა რიტმზეო:

„წაწალ წაწალთან დაწვება,
თუ პატარადაც დასცალდა,
თაფლ-ერბოსავით დატკბება".

სკოლის საგნებისადმი „მოუცლელობა" მარტო გარეშეს კითხვით კი არა, ჩანს, იმითაც იყო გამოწვეული, რომ ვაჟა ამ დროისათვის საკმაოდ ბევრს წერდა. ამას გვიდასტურებს მისი მეგობარი ანდრეევი:

„ვაჟა-ფშაველა, – წერს ის, – ჯერ ბავშვი იყო, ფშაველი ბიჭი, თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა და მას ბლომად ჰქონდა თავის ლექსები. ვინ არ იცნობდა ანტონ ფურცელაძეს, ვის არ გაეგო მისი სახელი: „ყმაწვილო, იყავ უცვლელად ერთგული შენის ქვეყნისა: იქა ხარ დაბადებული და იქვე ჩახვალ საფლავსა!" ვისწავლეთ კითხვა და ანტონის სახელიც ვიცოდით, არ გვენახა, მაგრამ მივარდნილ ადგილსაც კი გავრცელებული იყო მისი სახელი. ვისთვის-ღა არ იყო მისი კარი ღია: მასთან შეეძლო მისვლა ყველას, იგი მასწავლებელი იყო ახალი თაობისა, მოწინავე პირებისა. მე და ლუკა რაზიკაშვილიც მივედით ანტონთან. მიზეზი ჩვენი მისვლისა შემდეგი იყო: თავის გამოსაკვები გვიჭირდა. ლუკას ვუთხარი: ლექსები ხომ გაქვს დაწერილი, კიდევ დაწერე, წავუღოთ ანტონს, გავაშინჯოთ და თუ მოეწონა, ვისმე დავაბეჭდინოთ სანახევროდ. ეს აზრი მოეწონა ჩემს ამხანაგს ლუკას, მაგრამ, ცოტა არ იყოს, სცხვენოდა თავი გამოეჩინა, როგორც ლექსების მწერალს. მაინც გავაბედვინე და წავედით ანტონთან. ლუკამ წამოიღო თავის რვეული, როგორც მახსოვს, თხუთმეტი ლექსი. ამ რვეულს ზევიდან ჰქონდა შემდეგი წარწერა: „ლექსები შეთღზული ლუკა რაზიკაშვილისა".

შევედით ანტონთან, ღიმილით მიგვიღო, გამოგვკითხა ვინაობა, მიზეზი ჩვენი მისვლისა და ლუკამ მიაწოდა თავისი რვეული. ანტონმა იქვე, ჩვენთან, გადაათვალიერა რვეული, წაიკითხა რამდენიმე ლექსი, გვაჩუქა რამდენიმე ქართული წიგნი და გვითხრა, მივსულიყავით მეორე დღეს. ჩვენს სიხარულს

საზღვარი არა ჰქონდა, რომ ანტონი გველაპარაკა ჩვენ, სოფლიდან ჩამოსულ ბიჭებს.

მეორე დღეს დანიშნულ დროზე მივედით, ანტონმა თავზე ხელი დაადო და უთხრა ლუკას: „აბა, შემომხედე, შენ კაი ვაჟი ყოფილხარო!" დიდი ხანი გველაპარაკა, ზოგ-ზოგი ლექსების შინაარსზე სთქვა, ძალიან კარგიაო, მომეწონაო და სხვა, დაუბრუნა ლუკას რვეული და ზევიდან წარწერაზე წაეშალა წითელი მელნით სიტყვა „შეთხზული" და გაეშო მარტო:"ლექსები ლუკა რაზიკაშვილისა". თანაც უთხრა: ეს წარწერაც კმარაო და როცა გახდები ისეთი პოეტი, აი, როგორც ილია ჭავჭავაძეა, მაშინ დააწერე ხოლმე შენს ლექსებს „შეთხზული ლუკა რაზიკაშვილისა".

ეს ცოტა არ იყოს, არ ეამა ჩემს ლუკას და, როცა კარში გამოვედით, მეც რაღაც ღმერთი გამიწყრა, დაცინვით ვუთხარი: აბა, მართლაც ეგრე რო გააბრტყელე წარწერა, რომელი გამოჩენილი პოეტი ბრძანდები-მეთქი. ამაზე ამხანაგურად წამიქიმუნჯა". (გაზ. „სახ. ფურც." 1914 წ.) (46,65).

როგორც ჩანს, ვაჟა გულდაწყვეტილი წამოსულა ანტონ ფურცელაძისაგან. მიუხედავად იმისა, რომ შეაქო, თავზე ხელიც გადაუსვა და წიგნიც აჩუქა, მაინც ეტყობა, რაღაც ისეთი შენიშნა მის მოქცევაში, რაც არ ესიამოვნა. მისი მოპყრობა უფრო ვალის მოხდასავით იყო ახალგაზრდების მიმართ და არა გულიანი ჩაკვირვება, დაინტერესება, ისეთი, როგორიც ილიამ გამოიჩინა ვაჟას მიმართ, ანდა ისეთი, თვით ვაჟამ რომ გამოიჩინა გიორგი ლეონიძის მიმართ. მართალია, მაშინ შეიძლება, ბევრი არაფერი იკვეთებოდა ვაჟას ნიჭისა, მისნაირი შემწუხებელიც ბევრი ჰყავდა ანტონს, მაგრამ შემტყობი მაინც შეატყობდა. ჩვენს წინაპართ ტყუილად ხომ არ უთქვამთ: „სახარე ხბოს სასკორეში შეეტყობაო". თვითონ ვაჟას არ შეიძლებოდა რაიმე პრეტენზია ჰქონოდა, არც იმისი მოლოდინი, რომ ვისმე ძალიან მოეწონებოდა, დაბეჭდავდნენ. მაშინ თვითონ მიიტანდა რედაქციებში – მაგრამ რაკი მიიყვანეს და მიატანინეს, გულისხმიერებას უფრო სხვაგვარს ელოდა, ვიდრე გამოიჩინეს. რა ისეთი სუსტი ლექსები იქნებოდა 16-17 წლის ვაჟასაგან დაწერილი (მათგან ზოგიერთი შემონახულია და შესულია ვაჟას სრულ გამოცემაში), რომ თუნდაც ერთი ლექსი შეერჩია თხუთმეტიდან და რომელიმე რე-

დაქციაში ეშუამდგომლა, წაეხალისებინა. მე თქვენ გეტყვით და უარს ეტყოდნენ ანტონ ფურცელაძეს! ანდრეევისა არ იყოს, მაშინ ხომ მისი სახელი ჰქუხდა. არა, მან ამის მაგივრად მხოლოდ ყდაზე წარწერას მიაქცია ყურადღება: დიდკაცობა ადრე მოგინდომებიაო, ილია არა ხარო. ვაჟას გულუბრყვილო წარწერას, რომლისთვისაც ვაჟას არ მიუქცევია ყურადღება, ანტონმა ასეთი ყურადღება მიაქცია.

ცნობილია, რომ ანტონი ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებს პრინციპულად არ კითხულობდა, მწერლად არ თვლიდა.

ანტონ ფურცელაძის დამოკიდებულება ვაჟას შემოქმედებისადმი იმთავითვე სიმბოლური გახდა, თითქოს მან დაანათლა ეს უკუღმართობა, რომ შიგ რა იყო, იმას არავინ უკვირდებოდა, სიღრმეს არავინ ეძებდა, ერთეულების გარდა ვერავინ იგებდა, ზედაპირულს ხედავდნენ და გაიძახოდენ: ყურადღების ღირსიც არ არისო, ხალხური მელექსეაო, მთის პოეტიაო, ფშაველი გლეხიაო, მის შემოქმედებას მხოლოდ ეთნოგრაფიული მნიშვნელობა თუ ექნებაო და სხვა ამისთანები.

გორი

გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიას, რომელიც 1876 წელს გაიხსნა, უნდა მოემზადებინა სახალხო სკოლების მასწავლებლები. ლუკამ იქ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება. მართალია, თბილისის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელება იქვე, სამასწავლებლო ინსტიტუტში, სდომებია, მაგრამ საამისოდ არც ეკონომიკური მდგომარეობა უწყობდა ხელს და არც გამოცდების ჩაბარების იმედი ჰქონდა. გორში კი შედარებით იოლი იყო ჩარიცხვაც და ეკონომიკურადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა, რადგან სემინარიას ინტერნატიც ჰქონდა – კვება და ჩაცმა მთავრობისა იყო, უფასო.

ლუკა რაზიკაშვილამდე მთიელებს აქ მხოლოდ ოსებს იცნობდნენ, ფშაველი და ხევსური ჯერ არავინ ენახათ. ამიტომ

სემინარიის ეზოში ფშაველი მამა-შვილის გამოჩენამ ყველას ყურადღება მიიქცია. შემოეხვივნენ და ინტერესით ათვალიერებდნენ ფშაურ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ, ჭრელ წინდა-პაჭიჭიან, ამაყი შესახედაობის მთიელებს.

ქსნის ხეობის ოსები მთიულეთის მომიჯნავენი არიან, ლომისის ქედის გადაღმა-გადმოღმა ცხოვრობენ და იქაურმა რომელიღაცა ოსის ბიჭმა ჩაცმულობის მიხედვით ისინი მთიულებს მიამსგავსა. მიამსგავსა და მთელი ხმით შესძახა: „შენი კვნესაა-ამე!" მთიულურს ხომ გრძელი ხმოვნები აქვს, ბოლოდან მეორე ხმოვანს გრძლად წარმოთქვამენ და ამ გაგრძელებას ხშირად დასცინიან ხოლმე მეზობელი კუთხის მცხოვრებნი. მართალია, ესენი მთიულები არ იყვნენ, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ოსის ბიჭმა ამათი დაცინვა მოინდომა. ვაჟას ბრაზი მოაწვა, მრისხანედ გადაუბრიალა თავისი თაფლისფერი თვალები და ხუმრობის ხასიათი წაუხდინა ოსის ბიჭს. აგრძნობინა, რომ დაცინვას არ მოუთმენდა. პავლეს ამ ოსის ბიჭისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მან ვაჟას შეხედა და ჯაგარაშლილი რომ დაინახა, ეამა, ჩაეღიმა. ირგვლივ მყოფთ მაშინვე იგრძნეს, რომ ამათი გამასხარავება არ შეიძლებოდა.

იმ წელს გორის სემინარიაში ვაჟასთან ერთად სულ ოცდაორ ახალგაზრდას ჰქონდა საბუთები შეტანილი. მათ წინასწარი გამოცდა ქართულ წერაში ჩაუტარეს. ოცდაორიდან მხოლოდ შვიდი მიიჩნიეს გამოცდებზე დაშვების ღირსად და ამ შვიდეულში იყო ლუკა რაზიკოვიც. დიახ, რაზიკოვი! მოდაში იყო, განათლებულობად და დიდ ღირსებად ითვლებოდა თავისი გვარისათვის რუსული დაბოლოების მიკერება. ეს იმდროინდელი ეროვნული ღირსებისა და თვითშეგნების სიმდაბლის ერთერთი გამოხატულება იყო. ვაჟაც ძალიან ამაყობდა თურმე „რაზიკოვით" და რომ ვისმე ეთქვა რადაო, ძალიან მეწყინებოდაო, – დაცინვით იხსენებდა შემდეგში ვაჟა თავისი მამისა და თავისი ახალგაზრდობისდროინდელ უნებლიე შეცდომასა თუ ცოდვას.

გამოცდები ექვს საგანში ბარდებოდა. ვაჟამ ექვსივე გამოცდა ასე თუ ისე ჩააბარა: საღვთო რჯულსა და ქართულ ენაში ოთხები მიიღო, არითმეტიკა-გეომეტრიაში, გეოგრაფიასა და ისტორიაში – სამები. კიდევ ოთხმა ახალგაზრდამ ჩააბარა იმ შვიდიდან და პირველ კლასში ხუთი მოსწავლე მიიღეს.

მართალია, სემინარიაში მოსწავლეები ყოველმხრივ უზრუნველყოფილნი იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას გამორჩევით კარგი მოსწავლეებისათვის დაწესებული ჰქონდა თავისი სახელობის სტიპენდია, მაგალითად, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც" ჰქონდა დაწესებული ასეთი სტიპენდია. ლუკა რაზიკოვს ჩარიცხვისთანავე დაუნიშნეს „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" სტიპენდია და სემინარიის

ფორის სამასწავლებლო სასწავლებელი

დამთავრებამდე შეუნარჩუნეს.

მიუხედავად ასეთი კარგი პირობებისა, ლუკა თავიდან ძნელად ეგუებოდა ინტერნატის კარჩაკეტილ რეჟიმს, თავისუფლების შეზღუდვას. თვით სასწავლებლის „ფორმაც", „ტანსაცმელიც" ეხამუშებოდა. ფორმას კიდევ არა უჭირდა, მალე მიეჩ-

ვია და მერე ფშავში ასული კიდევაც იწონებდა თავს მეზობელ თანატოლებთან, „მამალივით იფხორებოდა თავის კაკარდიან ქუდითა", თავისუფლების სრულ დაკარგვასა და ოთხკედელშუა ტუსაღივით ჯდომას ვერ მიეჩვია, თითქოს ჰაერი არა ჰყოფნიდა, თითქოს სული ეხუთებოდა, სულ გარეთ იწევდა. თუ არ გაუშვებდნენ, იპარებოდა. ამიტომ აქაური მასწავლებლები დათმობაზე მიდიოდნენ მის მიმართ, ესმოდათ მისი და ხშირად თავად უშვებდნენ, ან, თუ იპარებოდა, თვალს ხუჭავდნენ. მიხვდნენ, რომ ბუნებაში ლაღად გაზრდილ მთიელ ახალგაზრდას უჭირდა ასეთი ცხოვრება, რომ მისთვის ხანდახან ბუნებაში განავარდება ჰაერივით იყო საჭირო. გუნება შეეკვროდა ვაჟას, დაღვრემილი სახით მიმოდიოდა ხოლმე და, როგორც კი ბუნებაში გავიდოდა, უცებ გამოიცვლებოდა, გახალისდებოდა, ხუმრობდა, ლექსებს ამბობდა, ამხანაგებს ებღლარძუნებოდა.

კვირა-უქმეებში უფრო სანადიროდ და სათევზაოდ უყვარდა სიარული. შიო მღვიმელი იგონებს: „ხშირად ლუკა და ნიკო ლეონიძე (მამა ჩვენი პოეტის გიორგი ლეონიძისა) ერთად მიდიოდნენ მტკვარზე სათევზაოდ დღე-ღამით. თან საკითხავი წიგნებიც მიჰქონდათ, მტკვარში რომ ჩანგლებს ჩაჰყრიდნენ ვადამდის, თავად წიგნებს ჩაუსხდებოდნენ. ძალიან კარგად მახსოვს, როგორ მოუთმენლად ელოდნენ ვაჟას და ნიკოს ამხანაგები: მოვლენ და ახალი თევზით დაგვაძღებენო. ასეც ხდებოდა. ეს ორი განუყრელი ამხანაგი, ნიკო და ვაჟა, არასდროს თევზს არ გაჰყიდდნენ, რამდენიც უნდა დაეჭირათ, სულ სემინარიაში მოჰქონდათ. დაუძახებდნენ ვასილა მზარეულს და ეტყოდნენ: მოხარშე და ერთი ძღომაზე აჭამე ბიჭებსო".

სულ სხვანაირ გუნებაზე დგებოდა ვაჟა, როცა ზაფხულის არდადეგები ახლოვდებოდა. ახლოვდებოდა ჟამი ერთი წლის უნახავი მთების ხილვისა. აფორიაქდებოდა, აფაცურდებოდა, მოუსვენრობა დაეტყობოდა და როგორც კი შეწყდებოდა სწავლა, აღარ ელოდებოდა ფშავიდან ჩამოკითხებას, ცხენს – მეორე დღესვე ფეხით გაუტევდა ფშავისკენ. შემოდგომაზე კი კლდის ლოდივით გამაგრებული ჯანით – „გაშავტყავებული" ჩამოგორდებოდა მთებიდან და კვლავ მწყურვალივით დაეწაფებოდა სწავლას.

გამაგრებულ ჯანთან ერთად ვაჟას სემინარიაში ჩამოჰქონ-

და ზაფხულის პერიოდში ჩაწერილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. გარდა იმისა, რომ ეს მისი საყვარელი საქმე იყო, გორის სემინარიის პროგრამაშიც შედიოდა და ოლქის სამოსწავლო მზრუნველის დავალებაც იყო სასწავლებლისადმი. მასალას ამოწმებდნენ მასწავლებლები და გზავნიდნენ თბილისში, სადაც ის ქვეყნდებოდა კრებულში: „Сборник материалов местностей и племен Кавказа“.

ინტერნატის კედლებიდან გასვლის ერთი მიზეზი იყო საზეიმო დღეებში ქალაქში გასეირნება და, განსაკუთრებით კი, ამ ზეიმების დროს გამართულ კრივში მონაწილეობის მიღება. გორი ორ უბნად იყო გაყოფილი – ზემო და ქვემო უბნებად. ზემო უბნელებს მაგარი ბიჭები ჰყოლიათ და ქვემო უბნელებს ყოველთვის ჯაბნიდნენ თურმე. ეს რომ გაიგეს ვაჟამ და მისმა მეგობრებმა, ქვემოუბნელებს გამოექომაგნენ და მას შემდეგ გამარჯვება ყოველთვის მათ მხარეზე რჩებოდა. „ჩავიდოდა თუ არა ვაჟა კრივში, –წერს შიო მღვიმელი, – ზემოთა უბნელებში ჩოჩქოლი ატყდებოდა: ჩამოვიდა ფშაველიო! ვაჟასთან ერთად კრივში ჩადიოდნენ ნიკო ლეონიძე, ნესტორ კიკნაძე და ლავრენტი ოქროპირიძე. მათი ჩასვლა და ზემოუბნელების დაძვრა ერთი იყო“.

იმ ფაქტიდან, რომ ვაჟა თბილისში ძლეულ, ნაცემ ამხანაგებს მიეხმარა, გორშიც დაჩაგრულთა მხარე დაიჭირა, კარგად ჩანს ვაჟას ბუნება და ხასიათი, ის დიდი კაცთმოყვარეობა, ჰუმანურობა და ადამიანის ღირსების დაცვა, რაც ქვაკუთხედია მთელი მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობისა, მისი არსებობისა. ვაჟას სიმწიფეში შესვლასთან ერთად, მწიფდებოდა და ნაყოფს იღებდა სათნო დედის, გულქანის, მიერ ჩანერგილი სიკეთის ქმნის ღვთიური გრძნობა, ბეჩავთა სიბრალული, დაჩაგრულთა გამოქომაგება. თუ დედა გულქანი ამას ალერსიანი სიტყვითა და წმინდა ცრემლით აღწევდა, მისი შვილი ვაჟა – მჭახე მარჯვენითა და ვაჟკაცური თანადგომით, სამამაცო ზნითა და კეთილშობილებით.

ხალხის სიკეთისათვის თავდადებასა და გმირობას უდრიდა ლუკას მოთავეობა გორის შემოგარენზე თავდატეხილი უბედურების დროს. ამ ამბავს მისი კლასის ამხანაგი ალ. ნათაძე გადმოგვცემს:

„იმ ხანებში გამოცდებისათვის ვემზადებოდით, მაგრამ ვაი იმ მზადებას: აქაც ისეთი სიცხის ბუღი ტრიალებდა, რომ სული ეხუთებოდა ყველას და გარეთ გამოსვლას ვერავინ ბედავდა. ან მზე დაჰკრავდა, ან სიცხისაგან დაოსებულს საჩრდილობელს მოაძებნინებდა. ქუჩაში იშვიათად თუ შეხვდებოდით ვისმე. აი, სწორედ ამ ჯოჯოხეთ დღეს, შუადღისას, საშინელი ზარების რეკვა მოგვესმა. ხალხი ეხლა კი ამოძრავდა, გაქცევა-გამოქცევა იკადრა იმის შესატყობად, თუ რა იყო მიზეზი ასეთი გახშირებული ზარების რეკვისა. ჩვენი დირექტორი სემიონოვი გამოვარდა ბალკონზე და გადმოგვძახა იქვე ახლო მდგომ მე და ვაჟა-ფშაველას: „წადით ეხლავე და გაიგეთ, თუ რა უბედურება მოხდა და შემატყობინეთ ყველაფერი – იქნებ ჩვენი დახმარებაც საჭირო იყოს ვისთვისმეო“. ჩვენ მაშინვე გავიქეცით; უკან წიწილებივით სხვა მოწაფეებიც წამოგვყვნენ. გორის გრძელი ქუჩა ჩავიარეთ და მივედით მტკვრის პირას. ისე თქვენს მტერს მოსწყდეს წელი, როგორც ჩვენ შევწუხდით და დავდარდიანდით იმ სანახაობით, რა სანახავიც ჩვენ წინ გადაგვეშალა: მთელი მტკვარი, ხიდი გორისა, დიდსამეფო ქუჩა მოდებული იყო კალიათი. ასეთი აუარებელი რიცხვი ამ საშინელი მწერისა ზღაპარშიც არ გაიგონების და კალმით არ აიწერების. თვალის დახამხამებაში მთელ გორს მოედო ეს საშინელი მტერი. სიარული შეუძლებელი ხდებოდა. ჩვენ მაინც მოვქუსლეთ სემინარიისაკენ და ყველაფერი ვაცნობეთ ჩვენს დირექტორს. მთელი სემინარიის მოწაფეები ხის ტოტებით ხელში გადავეღობეთ ამ ურიცხვ ჯარს, რომ სემინარიის ბაღი დაგვეფარა ამათ შემოსევისაგან და, მართლაც, შევაჩერეთ მათი მოძრაობა სკოლის არემარეში. კალია მალე შეესია გორის ყანებსა და ბაღებს, მისი ტალღა თითქმის სოფ. ბერშუეთს გასცილდა და ხელთუბნის მინდვრებს მოედო. მთელი ხალხი ფეხზე იდგა. მათ შორის მე და ვაჟა-ფშაველაც იქ ვიყავით. ადმინისტრაციაც ამოძრავდა.

კალიასთან საბრძოლველად ჯერ ახლომახლო სოფლები და მერე შორიდანაც გამოიყვანეს. ამ არეულებაში ვაჟა-ფშაველა თვალიდან ამცილდა, მისი გზა და კვალი ვეღარ გავიკვლიე და დაღონებული და დაძმარებული ამ მწარე სანახაობით სემინარიაში დავბრუნდი. ვაჟა-ფშაველა ღამე დაბრუნდა მთლად გაოფლილი და შეწუხებული. მან ყველაფერი გვიამბო: თუ როგორ

ჩამდგარა მუშებში და იმათთან ერთად უთხრია ორმოები. აუარებელი რიცხვი ჩაუყრიათ ამ ორმოებში და მერე მიწით ამოუვსიათ.

ამ ლაპარაკს სემიონოვიც დაესწრო, ამგვარი საშუალება ბრძოლისა ჭკუაში დაუჯდა და გასცა განკარგულება – დილის ხუთ საათზე ყველა ჩვენთაგანი ბარითა და ნიჩბით წავსულიყავით მინდვრებში და გლეხებთან ერთად ჩვენც მონაწილეობა მიგვეღო საერთო მტერთან ბრძოლაში, ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდით. ბელადებად ვაჟ-ფშაველა და რამდენიმე სხვა მოწაფე ამოირჩია. ამათ უნდა გავეყავით რაზმებად და ყველა მათ განკარგულებას დავმორჩილებოდით. მე, სემიონოვი და არისტო ქუთათელაძე ვაჟას რაზმში მოვხვდით.

მეორე დილით ხის ტოტებით, ბარებითა და ნიჩბებით გაუდექით გზას. ჩვენთან ერთად თითქმის ყველა მასწავლებელი იყო. დიდი სანახაობა იყო. ყაზარმებს რომ ავუარეთ, ჯარის უფროსმა დაგვინახა, გამოგვეხმაურა და სალდათები გამოგვაყოლა საშველად. მოვედევით მინდვრებს, ჩვენი წივილ-კივილი ზეცას სწვდებოდა. ვაჟა გვიყვიროდა და თან გვამხნევებდა. დავიწყეთ ორმოების თხრა. ბევრი ორმო მოვამზადეთ, შორიდან მოვუარეთ კალიას, მივერეკებოდით ორმოებისაკენ და ვავსებდით და მერე მიწას ვაყრიდით რომ, კალია ვეღარ ამოსულიყო.

საღამომდის ვიმუშავეთ და, სწორედ უნდა თქვას კაცმა, მარჯვედაც ვიმუშავეთ. ბევრი ორმო ამოვავსეთ და გზაც კი შევუკარით სხვა ყანებში არ შესულიყვნენ. ოთხი საათი იქნებოდა, სემიონოვმა გვიბრძანა სახლში წასვლა და საღამოზე ისევ გაგრძელება მუშაობისა. სიცხისაგან და მუშაობით დაღლილ-შეწუხებულნი დავბრუნდით შინ. ვაჟა-ფშაველა და რამდენიმე მოწაფე არ წამოვიდნენ ჩვენთან ერთად. ისინი სოფლელებში ჩაერივნენ და მუშაობა განაგრძეს.

ასე ყოველ დღე, სამი დღის განმავლობაში ვიბრძოლეთ ამ მოულოდნელ მტერთან. მტრის შემოსევის მეოთხე დღეს გაჩნდა საიდანღაც აუარებელი ფრინველი: ტარბი, ჭილყვავი, შოშია და სხვები, მეტადრე ტარბი და ჯგუფებად ეცემოდნენ კალიას და სულ მუსრს ავლებდნენ... გორში პარაკლისიც კი გადავიხადეთ, ნიშნად მტრის შემოსევისაგან გათავისუფლებისა. სემინარიაშიც გადავახდევინეთ პარაკლისი ჩვენს საღმრთო

სჯულის მასწავლებელს ლაზარე ტურიაშვილს. ამ პარაკლისის შემდეგ სემიონოვმა სიტყვა გვითხრა, მადლობა გადაგვიხადა და ასე დაასრულა: „იქ, სადაც ორი ხელი უძლურია, სამი ხელი კლდეს გაარღვევს, ზღვის ტალღებს შეაჩერებს, მთას მთას მოახლის და გაჭირვებულ მდგომარეობას საკეთილდღეო მდგომარეობად გადააქცევს ხოლმე, გაჭირვება გმირებსაც ზრდის და შეუმჩნეველს შესამჩნევად ხდის. დღეს თქვენ ყველანი ხართ ძლიერ საქმეში შესამჩნევი, მაგრამ გამჭრიახობითა და თადარიგიანობით ყველას ლუკა რაზიკაშვილმა გაჯობათ".

ბევრისათვის დღეს გაუგებარი იქნება, თუ რა ძალა ედგა ვაჟას, თავს რომ იკლავდა. ბევრმა, მხოლოდ თავის ჯამში ჩამხედავმა, ვისთვისაც ხალხისა და ქვეყნის ჭირი ღობეს ჩხირია, არ იცის, რომ მაშინ რაღაცა სხვაგვარი ენთუზიაზმი იყო, მით უმეტეს, მთაში. მთიელისაგან ჭირში ჩავარდნილი კაცის მოუხმარებლობა კაცის კვლას უდრიდა, წარმოუდგენელი იყო. კალიების შემოსევა კი იმ დროს, მართლაც, დიდ უბედურებად ითვლებოდა: გლეხებს პირწმინდად გაუნადგურდებოდათ მთელი წლის სარჩო და შიმშილით ამოწყდებოდნენ. ვაჟამ და მისმა მეგობრებმა კარგად იცოდნენ ხვნა-თესვით მოწეული პურის ფასი, თვითონაც გლეხების შვილები იყვნენ. განსაკუთრებით ვაჟასთვის იყო გასაგები სხვათა გასაჭირი, სხვათა უბედურება და თავს იკლავდა მათთვის. არც იცოდა ვისთვის, მაგრამ სულერთია – ადამიანებისათვის, უბედურებაში ჩავარდნილი თანამოძმეთათვის.

დღეს კი არა, ზოგისათვის მაშინაც გაუგებარი დარჩენილა ვაჟას თავგანწირვა. როცა სემიონოვმა შეაქო და ამ ამბის გმირი უწოდა, ვაჟამ ახლადმოსულ ულვაშზე გადაისვა ხელი. მისმა ამხანაგებმა ტაში შემოჰკრეს, ვიღაცამ კი ჩაიქირქილა და ვაჟას „კალიების უსტაბაში" უწოდა; ვაჟამ იქ კი შეიკავა თავი, მაგრამ მერე ანანა.

არა, ხუმრობაც უყვარდა ვაჟას, მაგრამ უმეტესობა მთიელებივით არც მას უყვარდა უთავბოლო ქილიკი და ლაზღანდარობა. ვერც უწესრიგობას ეგუებოდა. ამის გამო ბევრი უსიამოვნება შეხვედრია ცხოვრებაში. გორში სწავლის დროს კი ასეთი შემთხვევა ჰქონია: თვითონ, უკვე მესამე, დამამთავრებელი კლასის მოსწავლე, შესულა მოსამზადებელ კლასის მოსწავლეებთან და

უთხოვია, ცოტა წყნარად იყავითო. ბავშვები მეტისმეტად ხმაურობდნენ და ხელს უშლიდნენ გვერდზე ოთახში მყოფ უფროსკლასელებს, რომლებსაც სერიოზული სამეცადინო ჰქონდათ. ერთ-ერთ მათგანს, ჩანს, წლოვანებითაც დიდს, კოკოლის (თუ კოკოლიას) არად ჩაუგდია ვაჟას თხოვნა, – შენ ვინა გკითხავსო! – თავისი გაუგრძელებია. ეტყობა, ჯერ არ იცნობდა ვაჟას. ვაჟამაც ვაღარ მოითმინა მისი თავხედობა და გააცნო თავი – მიბეჟა. ამის გამო კინაღამ გამორიცხეს სემინარიიდან. პედსაბჭოს სპეციალურად უმსჯელია მის შესახებ, რაც დასტურდება 1881 წლის 18 თებერვლის ოქმიდან. მაგრამ, რაკი ვაჟამ მოინანია თავისი დანაშაული, რაკი მან „... **победил свою ложную гордость и подал руку примирения Коколи**“, და რაკი თვით კოკოლსაც უთხოვია – ჩემი გულისთვის ნუ გარიცხავთ, მეც დამნაშავე ვიყავიო, და რაკი ვაჟა საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა, აკმარეს „უმკაცრესი” საყვედური და „სამიანი” – ყოფაქცევაში.

როგორც ვაჟას საატესტატო ფურცლიდან ჩანს, დასაწყისში კარგად ვერ სწავლობდა. ერთადერთი ქართულში ჰქონდა ყოველთვის ფრიადი. უჭირდა რუსული, უჭირდა მათემატიკური საგნები, მაგრამ შემდეგ საგრძნობლად უმატა და გამოსაშვებ ატესტატში თითქმის სულ ხუთები უწერია – „**Весьма удовлетворительная**“. ეს ხუთებზე სწავლა ყველა საგნისა იმას არ ნიშნავს, რომ ვაჟას ეღალატოს თავისი პრინციპებისათვის. არა, ჯერ ერთი, აქ ასწავლიდნენ ქართულ ლიტერატურასაც, რამაც დააკმაყოფილა მისი მოთხოვნილება და ერთგვარად გაუნელა პროტესტის გრძნობა სხვა საგნების მიმართ; მეორეც, აქ არ აზეპირებინებდნენ იმ უაზრო საგნებს, რასაც სხვაგან და რასაც ასწავლიდნენ ზოგადი განათლებისათვის, მართლაც საჭირო იყო (ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, არითმეტიკა, გეომეტრია, რუსული ენა, პედაგოგიკა, ხატვა, საღმრთო რჯული). ადრე ვაჟა ბუნებრივი და ბავშვური ცალმხრივობით უდგებოდა საქმეს, მაგრამ შემდეგში თანდათან ჭკუაში ჩავარდა. თუმცა, ადრეც ქართულის გარდა რომ სხვა ინტერესებიც ჰქონდა იქიდანაც ჩანს, რომ თელავში ყოფნისას ასტრონომიის რაღაც წიგნიც კი დაუმუშავებია. ალბათ არც ნაკლები ფაქტორი ის თბილი ურთიერთობა იყო, რაც აქ არსებობდა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. ამას ემატებოდა ის დიდი კლასგარეშე ნაკითხობა, ის თვითგანვითარება, რასაც ვაჟა ეწაფებოდა გორში. ვაჟას სემინარიის ბიბლიოთეკის თითქმის ყველა წიგნი გადაკითხული ჰქონდა, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზეო. თავისუფალ დროს ჩამოჯდებოდა თურმე სემინარიის ეზოში დიდი კაკლის ძირში და კითხულობდა და კითხულობდა. „თუ რაიმე ახალი წიგნი გამოვიდოდა ქართულ ან რუსულ ენაზე, ამას ვაჟას ხელში ვნახავდით. ყოველ ახალ მოძრაობას ლიტერატურაში ვაჟასაგან შევიტყობდით”.

ვაჟა განსაკუთრებით ქართული ლიტერატურის შესწავლას უთმობდა დიდ ყურადღებას. ამ მხრივ მას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ სემინარიაში ქართული ენა სავალდებულო საგნად იქნა შემოღებული და მოწაფეებს უკვე აღარავინ უკრძალავდა მშობლიურ ენაზე მეტყველებასა და წერა-კითხვას.

ვაჟას ძირითადი ენერგია და ყურადღება მაინც მიმართული იყო კლასგარეშე კითხვისადმი, კლასგარეშე ლიტერატურისადმი. მისი მეორე სემინარიელი ამხანაგი ალ. სალარიძე ვაჟას ცოდნის წყურვილთან დაკავშირებით წერს: „ლუკამ ადრე დააღწია თავი „კაზიონურ” ატმოსფეროს და მთელ თავის ძალ-ღონეს ანდომებდა ცოდნის შეძენას. მან შეისწავლა ჰერაკლიტე, სოკრატე, პლატონის „რესპუბლიკა”, ეპიკურე. გადაიკითხა ბეკონი, კანტი, ბორელი, დრეპერი, ლებბოკი, სპენსერი, „**Современный социализм**“ ლაველესი, „მცენარეთა მეტამორფოზა” გოეტესი, დაბოლოს, მიუბრუნდა ჰომეროსს, ვირგილიუსს, დანტეს, მილტონს, შექსპირს, ბაირონს და ფოხტს. მოლეშოტისა და ბიუხნერის მატერიალიზმში იგი ეძებდა პასუხს ნივთისა და სულის რაობაზე.

„ლუკა ეკუთვნოდა იმ მძლავრ მოძრაობას, რომლის ლოზუნგად ერთ დროს იყო: „ცხოვრება თანახმად ბუნებისა”. იგი ვერ ეტეოდა პროგრამით განსაზღვრულ ჩარჩოებში, არ სწამდა პრაქტიციზმი, „პატარა საქმეები”, იგი სპობდა ქვეყნის ბოროტებას ერთის ხელის დაკვრით: „ყველაფერი ან არაფერი”. ამ თვალსაზრისით ლუკა ანარქისტი, „**Ꙋврꙗрлнмꙗм**“ იყო, მისი ფოიერბახული ჰუმანიზმი აღწევდა კოსმიურ საზღვრამდე. ლუკა სტოიკი, ფიზიკულტურის მოტრფიალე პირველი ქართველი ელინია, რომელიც შეედუღა ბუნებას. აი ფაქტი: ერთ მშვენიერ დღეს ლუკამ შემოიარა ჩემთან ფოხტის ფიზიოლოგიური წერი-

ლებისა და ბუხნერის „ძალა და მატერიის" წასაღებად. იმჟამად მე ვკითხულობდი ბარიატინსკის ლექსს „გოეთეს სიკვდილზე":

"С природой одной он жизнью дышал,
Ручья разумел лепетанье,
И говор древесных листов понимал,
И чувствовал трав прозябанье,
И была ему звездная книга ясна,
И с ним говорила морская волна".

მთელი მთა სიხარულისა ამოსკდა ლუკას გულიდან, ციბრუტივით ტრიალებდა ჩემს ოთახში და გაიძახოდა: „აი, ჩემი სარკე, მე ვიპოვე ჩემი თავი!" (46, 96).

ვაჟა თავის პოვნაში გულისხმობდა, ალბათ ბუნების მგოსნობას. ჩანს, თავიდანვე რაღაც თავისებური ოცნებები ჰქონდა, რაღაცა აწუხებდა, მაგრამ ჯერ თვითონაც არ ესმოდა რა. მისთვისაც გაურკვეველი გრძნობები იყო, ბუნდოვანი და ჩამოუყალიბებელი. ბარიატინსკის ლექსმა, ეტყობა ბიძგი მისცა თავის გრძნობებში გარკვევისაკენ; არწმუნებინა თავისი აზრები, რომელთა ღირებულებაში, ჩანს, ჯერ კიდევ ორჭოფობდა.

ვაჟა გორის სემინარიაში სწავლისას, გარდა იმისა რომ ბევრს კითხულობდა, ბევრსაც წერდა. ხშირად დაფიქრებული დადიოდა, განმარტოვდებოდა და ისეთ დროს, როცა ბავშვები ერთ ალიაქოთში იყვნენ, ვაჟა მიჯდებოდა სადმე განმარტოებით, ამოიღებდა ჯიბიდან ბლოკნოტს და გაჩქარებული რაღაცას წერდა. თავის ნაწერებს, უფრო კი ლექსებს, ხშირად აკითხებდნენ ვიწრო წრეში და ყველას ძალიან მოსწონდა. მის ნაცნობ-მეგობრებს კი არადა, ვაჟას ნაწერები უკვე კარგა ხანია რედაქციებსაც მოსწონდა. ჯერ კიდევ სემინარიაში შესვლამდე, 1879 წელს, გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნდა მისი პირველი კორესპონდენციები „წერილი ხევსურეთიდან", „ფშავის ხევიდან", „წერილი ხევსურეთიდან, სოფ. ხახმატი". ვაჟას სურდა ქართველი საზოგადოებისათვის გაეცნო ფშავი, ხევსურეთი, რომელთა შესახებაც იმდროინდელმა საზოგადოებამ თითქმის არაფერი არ იცოდა. ან კი რა უნდა სცოდნოდათ მაშინ, უგზოობით მოწყვეტილობის ჟამს, როცა ჩვენს დროში, ასფალტიანი გზების პი-

რობებშიც ისევე ძალიან ბევრს მოხევე და ხევსური ვერ გაურჩევია, მთიელსა და მთიულს ერთმანეთში ურევს.

ვაჟას სემინარიაში თავის წრე ჰყავდა, სულიერი მეგობრები, ვისთანაც ამ თავის შემოქმედებით ამბებზე საუბრობდა, ვინც ერთმანეთს უზიარებდა თავის ნაფიქრალ-ნააზრევს. ერთმანეთს სასარგებლო შენიშვნებსა და რჩევებს აძლევდნენ. ესენი იყვნენ შემდეგში ცნობილი მოღვაწენი: დავით კარიჭაშვილი, ლადო აღნიაშვილი, ალექსანდრე ნათაძე, თეოფილე ხუსკივაძე, ბაჩანა და სხვები. აი, ამათთან ერთად ლუკა იყო ერთ-ერთი მოთავე სემინარიაში ხელნაწერი ჟურნალის „რიჟრაჟის" დაარსებისა. მათ ამ ჟურნალში განაწილებული ჰქონდათ განყოფილებები. ლუკას პოეზია ებარა, მოთავე კი ლადო აღნიაშვილი იყო. მან საჭირო თანხის შეგროვებაც კი შეძლო სხვადასხვა მეცენატისაგან. თვით სემინარიის რექტორს, სემიონოვს, პროგრესულად განწყობილ რუს ინტელიგენტს, ხუთი მანეთი მიუცია და თან უთქვამს: „იმუშავეთ, იმუშავეთ, ჩემო გვრიტებო! თქვენი ქვეყანა გაგებულ მუშაობას მოელის და შრომას შეუჩვევლი, მოუმზადებელი მუშა ველარაფერს გაუკეთებს თქვენს სათაყვანებელ სამშობლოს. მე ცენზორს არ გინიშნავთ, როგორც ამ შემთხვევაში სხვა სკოლებში იციან ხოლმე, ჩემი თქვენდამი სიყვარული და თქვენი სიყვარულიც ჩემდამი თავდებია იმისი, რომ ბოროტად არ მოიხმართ ჩემს ნდობას" (ალ. ნათაძე). (46, 99)

პირველ ნომერში, რომლის ათი ეგზემპლარი გადაუწერინებიათ ბაჩანასათვის, როგორც კარგი კალიგრაფიის მქონესათვის, ლუკა რაზიკაშვილისა ერთი პოემა გაუშვიათ –„ყარსის ბოლოს" და ერთიც ლექსი – „მელოდია". ამ ჟურნალის ერთი ეგზემპლარი ილია ჭავჭავაძისათვის გაუგზავნიათ, ერთიც – „დროების" რედაქციისთვის. დაუგზავნიათ სხვებისთვისაც. ჟურნალს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დიდი მოწონება დაუმსახურებია. განსაკუთრებით აქტიური ყოფილა გორის ინტელიგენციისა და მათი მეთაურების, სოფრომ მგალობლიშვილისა და სხვათა, გამოხმაურება. მათ მოუწადინებიათ ჟურნალის თანამშრომლების ახლოს გაცნობა და ისინი ვახშამზე მიუპატიჟებიათ. იმჟამად ანტონ ფურცელაძე გორში იმყოფებოდა სტუმრად კერესელიძესთან. ბევრი საქებარი სიტყვა უთქვამთ, განსაკუთრებით ვაჟა შეუქიათ. „სოფრომი და ანტონი

თავის აღტაცებულ თვალებს არ აშორებდნენ ვაჟა-ფშაველას, ამ ჩაკირკიტებულ ამაყსა და მრისხანე მთის არწივს. თვითონ მას წააკითხეს თავისი ნაწარმოებები და ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა: ყველას სიხარულის ცრემლები მოგვადგა. ჩვენმა მწერლებმა სოფრომმა და ანტონმა მიიკრეს იგი გულზე, ეს ჩვენი ქვეყნის დიდება". (ალ. ნათაძე) (46, 101).

ვაჟა გულმოდგინედ სწავლობდა აგრეთვე რუსულ ენას, რადგანაც უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა რუსული და ევროპული ლიტერატურის გაცნობა. იმ დროისთვის უკვე საკმაოდ კარგად სცოდნია რუსული ენა, იმდენად, რომ თარგმნიდა კიდეც. მანამდე, 1880 წელს, ჟურნალ „ივერიაში" დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი ერკმან-შატრიანის მოთხრობა „ფეოდალის აღზრდა", ხოლო 1882 წელს უთარგმნია ოსტროვსკისა და სოლოვიოვის პიესა „ბედნიერი დღე".

უნდა ვიფიქროთ, რომ სემიონოვს გულწრფელად ახარებდა თავისი მოღვაწეობის შედეგები, იმ სიახლეთა შედეგები, რაც მაშინ მისი თუ სხვათა წყალობით გორის სემინარიაში ინერგებოდა. ის თავისი პედაგოგიური შეხედულებებით დიდი რუსი პედაგოგის უშინსკის მოწაფე იყო, დიდად განათლებული, პროგრესული მოღვაწე და კარგი სახელმძღვანელოების ავტორი.

სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ვაჟა მთელი არსებით ჩაება ყველა იმ საქმიანობაში, რაშიც ჩაბმული იყო იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია და, კერძოდ, გორის ინტელიგენცია. კაცმა რომ თქვას, თითქმის აღარაფერი ხდებოდა ისეთი, ვაჟა რომ არ ყოფილიყო მასთან დაკავშირებული. სემინარიის მეორე კლასში იყო, როცა გორის ხალხოსანთა წრეს დაუახლოვდა და მისი ერთერთი აქტიური მონაწილე გახდა. ამ მხრივ ვაჟაზე დიდი გავლენა მოახდინა ციმბირში გადასახლებიდან ახლად დაბრუნებულმა მიხეილ ყიფიანმა. სემიონოვმა მიხეილის წარსული კარგად იცოდა, მაგრამ მაინც გაბედა და მიიწვია თავის სასწავლებელში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. აქ ყიფიანმა გაშალა დიდი მუშაობა და ხალხოსნურ მოძრაობაში ჩააბა გორის მოწინავე ახალგაზრდობა, მათ შორის ვაჟა-ფშაველაც. ისინი აგროვებდნენ ინფორმაციას ხალხის ცხოვრების შესახებ და მოხსენებების სახით კითხულობდნენ. ამასთანავე,


Аттестатъ

ვაჟას ატესტატი

ამუშავებდნენ რეფერატებს საქართველოს ისტორიიდან. ორი რეფერატი ვაჟას წაუკითხავს – დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეზე. პავლე მღვდელმა ტყუილად არ შეაყვარა ისინი! „მაშინდელი ვაჟა ნამდვილი მთის არწივი იყო, ყოჩაღი, გამბედავი, შეუპოვარი, მეგობრისათვის თავდადებული, გამჭრიახი, წყლიანი მოლაპარაკე". (ს. მგალობლიშვილი).

ვაჟა გულიანად კი ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში, მაგრამ მალე რატომღაც აიცრუა გული. მალევე მიხვდა, რაღაც არ იყო მათი საქმიანობა დიდი იმედების მომცემი. თანაც უკვე შემოქმედებით წვას განიცდიდა და აღარ ეცალა პოლიტიკისა და კრებებისათვის, საიდანაც ბევრს არაფერს სიკეთეს ელოდა. იგივე ალ. სალარიძე ვაჟას ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ წერს: „ლუკა რაზიკაშვილს (ვაჟა-ფშაველას) ნაკლებად იცნობდნენ სემინარიელები, იგი წინდახედულად და გაფრთხი-

ლებით მუშაობდა ჩვენთან. ამიტომ ამხანაგები მასზე ამბობ-დნენ: „აი, ადამიანი, რომელიც დადის მარტორქად". როდესაც ბურსაკები საყვედურს ეუბნებოდნენ ლუკას – რატომ არ დადი-ხარ კრებებზეო, მისი პასუხი იყო: „მე ვტრიალებ ჩემი ღერძის ირგვლივო".

1882 წელს უფლისციხის კლდეში გამოკვეთილ დარბაზში ხალხოსანთა საიდუმლო შეკრებაზეც წარმოთქვა სიტყვა ვაჟა-ფშაველამ, სადაც ლაპარაკობდა ფშავ-ხევსურეთში მიწის განა-წილების საკითხზე. ეს სიტყვა ბარის მდგომარეობის მიხედვით იყო გაფორმებული, სხვათა სიტყვების მიმსგავსებულად, სო-ლიდარობისთვის, თორემ მთაში მიწების საკითხი არა მდგარა არასოდეს. თავად-აზნაურობა იქ არა ყოფილა და მიწები თვი-თონ მთიელების საკუთრება იყო. სოფლელები ურთიერთ შე-თანხმებით, წილისყრით ინაწილებდნენ სახნავ-სათესებსაც და სათიბებსაც (ტყე და საძოვრები საერთო იყო). ასე იყო საკოლ-მეურნეო რეფორმებამდე, ჩვენი საუკუნის 40-50-იან წლებამ-დე.

მთას ის სატკივარი არა ჰქონდა, რასაც იქ ლაპარაკობდნენ. ვაჟას ბარის სოციალური საკითხების მიხედვით უნდა აეწყო თავის გამოსვლები, რაც არც კარგად იცოდა და არც მთავარ საკითხად მიაჩნდა. იქ არავინ ლაპარაკობდა უფრო მთავარზე, – ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. ასეთი მიდ-გომა საკითხებისადმი გამოააშკარავა შემდგომში ვაჟას შემოქ-მედებამ – სოციალური საკითხები მას ნაკლებად აინტერესებ-და, ის უფრო მაღალ პრობლემებს ეჭიდებოდა.

ვერ მოერგო ვაჟა ხალხოსნობას. ამას ამჩნევდნენ და მისი უკმაყოფილონი იყვნენ. ვაჟამ კი იცოდა თავის მისია, თავი-სი უმთავრესი საქმე და არ უნდოდა ერთი მხრივ სასარგებლო, მაგრამ მაინც წვრილმანი საქმისათვის შეეწირა ენერგია და შე-საძლოა თავიც.

„პირველხანობით ლუკა აღტაცებული იყო მიშო ყიფიანის ქადაგებით. მან ბევრი რევოლუციური ლექსი ზეპირად დაის-წავლა და სიამოვნებით მღეროდა. მაგრამ ასეთმა გატაცებამ დიდხანს არ გასტანა. ლუკა ხალისით აღარ დადიოდა კრებებზე, ხანდახან სულ აღარ ესწრებოდა... ინტერესი პოლიტიკისადმი თითქმის დაჰკარგა და მისი ადგილი ლიტერატურამ დაიკავა. ამ

დროს ლუკა გატაცებით კითხულობდა რუსული და ევროპული ლიტერატურიდან სხვადასხვა ნაწარმოებებს.

რამდენადაც მე შევამჩნიე, ლუკა რაზიკაშვილი მეტად მგრძნობიარე პიროვნება იყო. სულიერი განცდა ხშირად ეცვლებოდა. ხან იყო მეტად მხიარული და საუბრის მოყვარე, ხან სულ ოცნებობდა და ასეთ დროს ლაპარაკსაც ერიდებოდა, ხან ბრძოლას ნატრულობდა და ყველიერში კრივში მონაწილეობა-საც იღებდა".

ვაჟა-ფშაველამ ს.მგალობლიშვილის ბინაზე წაიკითხა მოხ-სენება იოსებ დავითაშვილის შემოქმედების შესახებ. მან ძირი-თადად ამ ლექსების დადებითი მხარე აღნიშნა: „მე წინააღმდეგი ვარ იმ შაბლონური დაფასებისა, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგ-მა მოკრიტიკემ ჩვეულებად გაიხადა: გადაფურცლავენ წიგნაკს, ამოიკითხავენ ავტორის გვარს და თუ ის ნაკლებ ცნობილია, გა-ბედულად წამოიძახებენ: ეს უნიჭოა... ეს ლექსი არ ვარგა, ამას საშუალო ნიჭი აქვსო, იმას რითმა არ უვარგა და სხვა ამგვარი. ასეთი სუბიექტური საზომით მგოსნის დაფასება არა თუ მიუ-ღებელია, არამედ მავნეა და უნაყოფო".

რუსულის მასწავლებელმა ნოვოსპასკიმ ლუკას დაავა-ლა დაეწერა თემა: „ლექსი „მერანი", როგორც ბარათაშვილის მსოფლმხედველობის გამომხატველი". თემა შესანიშნავი გამო-უვიდა და დიდი ინტერესიც გამოიწვია. მსმენელნი ტაშის გრია-ლით შეხვდნენ. ბარათაშვილი შედარებული იყო ბაირონთან,

რუსოსთან, გოეთესთან და დღევანდელი თვალსაზრისით ძალ-ზედ სწორი და საინტერესო დასკვნები იყო გაკეთებული.

1882 წლის ივნისში ლუკა რაზიკაშვილმა წარჩინებით დაამ-თავრა გორის საოსტატო სემინარია. პედსაბჭოს დადგენილე-ბით საჩუქრად გადასცეს იან ამოს კომენსკის „დიდაქტიკა" და „ახალი აღთქმა". სემინარიის კურსდამთავრების ატესტატში ყველა საგანში „ხუთი" უწერია. ერთადერთი „ოთხი" ხატვა-ხაზ-ვაში მიუღია.

სემინარიის დამთავრებასთან დაკავშირებით ალ. გარსე-ვანიშვილმა დაგვიტოვა ვრცელი მოგონება: „სემინარიის დი-რექტორს სემიონოვს ჩვეულებად ჰქონდა ოფიციალური აქტის გარდა სადილის გამართვა კურსდამთავრებულთა პატივსაცე-

მად. იმ წელს, როგორც ვიცი, ეს არ მომხდარა. მიშო ყიფიანის დატუსაღებამ და საერთოდ გამეფებულმა რეაქციამ სულიერად ყველანი დასცა, ააშფოთა. ამავე დროს ხმა გავრცელდა, რომ სემიონოვი, როგორც უკიდურესი ლიბერალი, მოხსნილი იქნება სამსახურიდანო. ეს იყო მიზეზი, რომ სემიონოვს ტრადიციული სადილი იმ ზაფხულს არ გაუმართავს.

სამაგიეროდ, ვაჟა-ფშაველას და ზოგიერთი მისი ამხანაგის პატივსაცემად სადილი გამართა ჩემმა ნათესავმა, რომელიც სოფელ ხიდისთავში ცხოვრობდა. ეს იყო ვასო მეღვინეთუხუცესი, გორის ხალხოსანთა ჯგუფის აქტიური წევრი. იგი იღებდა მხურვალე მონაწილეობას გორის სცენისმოყვარეთა წრეში და ასრულებდა მთავარ როლებს. გარეგნობით იყო ლამაზი ყმაწვილი კაცი, ახლად წვერ-ულვაშ დამშვენებული.

ვაჟა-ფშაველას, მოსწავლეების გარდა, დიდად აფასებდა ბევრი ჩვენი ინტელიგენტიც. ერთი მათგანი იყო მეღვინეთუხუცესი. იგი ისე იყო გატაცებული ხალხოსნური მოძღვრებით, რომ მამულის ნახევარი გლეხებს უფასოდ გადასცა, თავისთვის კი დაიტოვა ვენახები, რომლებიც მისი სახლის ახლოს მდებარეობდა.

იმ სადილზე, ვაჟას ამხანაგების გარდა, დაესწრნენ ტბილისიდან მოსული კურსდამთავრებული გიმნაზიელები – ივანე რატიშვილი და მიხეილ გედევანიშვილი, შემდეგში ცნობილი ექიმი, რომელმაც თავის ხარჯზე ილია ჭავჭავაძის თხზულებები გამოსცა.

სადილობამდე სტუმრები დიდი კაკლის ქვეშ ისხდნენ. აქ გაიმართა საინტერესო საუბარი ლიტერატურულ თემაზე. პოლიტიკის შესახებ ხმა არავის ამოუღია. ივანე რატიშვილმა ვაჟას, სხვათა შორის, უთხრა: თქვენს რეფერატს ბარათაშვილის შესახებ აქებენ, კარგი იქნება თუ მის შინაარს გაგვაცნობო. ვაჟა სიამოვნებით დათანხმდა და მხატვრული ენით გადმოგვცა მოკლედ რეფერატის შინაარსი. ამის შემდეგ ივ. რატიშვილმა ბევრი ილაპარაკა სოციოლოგიის ერთერთ მიმართულებაზე, რომელიც დიდ მნიშვნელობას აძლევს ისტორიაში პიროვნებას.

მშვენიერი ქართული ენით გადმოცემულმა სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა მსმენელებზე. ვაჟამ ჩაიწერა ყველა ის მასალა, რომელიც რატიშვილმა დაასახელა.

სწორედ ამ დროს ეტლით მობრძანდა დირექტორი სემიონოვი. ჩვენ ყველანი ფეხზე წამოვხტით და ვენახის კარებთან მივეგებეთ. ახალგაზრდების დანახვაზე დირექტორს სახე გაუბრწყინდა და მხიარული ხმით შემოგვძახა:

„Друзья, дадим друг другу руки,
И смело двинемся вперед...
Пусть под знаменем науки
Союз наш крепнет и растет“.

– ამ ლექსის გამო, – თქვა სემიონოვმა, – ავტორი შორეულ ქვეყანაში გადაასახლეს, მე კი მირჩევენ გორიდან წასვლას მხოლოდ იმიტომ, რომ ახალთაობას ჰუმანურად ვეპყრობი და საზოგადოებას ვემსახურები... ამასაც ავიტანთ...

სადილი მოწყობილი იყო ვენახის ბოლოს, ერთი დიდი ხეივნის ქვეშ.

იმ დღის გმირებად იყვნენ ერთის მხრივ, თვით ჩვენი პურმარილიანი მასპინძელი ვასო და მეორე მხრით – სემიონოვი.

შუა სადილის დროს მასპინძელმა მოატანინა ჭიანური და დიდი გრძნობით ბაიათები დაუკრა. გაისმა ტკბილი მელოდიის ხმა, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა ყველანი. შემდეგ სამაგალითოდ დაუკრა ლეკურიც. გაჩაღდა ცეკვა. გამხიარულდნენ სტუმრები და ვაჟას სადღეგრძელო ხელმეორედ გადაჰკრეს...

რაც შეეხება სემიონოვს, მან თავისი მჭერმეტყველური სიტყვებით პირდაპირ მოხიბლა სადილზე დამსწრენი:

„ძვირფასო მოსწავლენო და ამჟამად კი ჩემო მეგობრებო! – მიმართა მან კურსდამთავრებულ სემინარიელებს. – ცოდნით შეიარაღებულთ დღეიდან, თქვენ ხელი უნდა მოჰკიდოთ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. კეთილი და პატიოსანი! გახსოვდეთ მხოლოდ, რომ მიზნის მისაღწევად მარტო ცოდნა არა კმარა; საჭიროა ამასთან ერთად მტკიცე ხასიათის შემუშავება. რა არის ხასიათი? ესაა ჰარმონიული, ასე ვთქვათ, შეკავშირება სამი ფსიქიური ფაქტორისა: გონების, გრძნობის და ნებისყოფისა. მტკიცე ხასიათს მოკლებულ მოქალაქეს დასტანჯავს წუთისოფელი – მე ამას ვამბობ ხაზგასმით... ამიტომ გულწრფელად გირჩევთ, ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქციოთ.

განივითაროთ თვითმოქმედების უნარი, მიეჩვიოთ დისციპლინას, სხვებიც ამას მიაჩვიოთ. ეცადეთ ნაკისრი ვალდებულება ზუსტად აასრულოთ და მაშინ... მხოლოდ მაშინ იგრძნობთ სიხარულს, რომელიც გამოიწვევს თქვენში მოქმედების ხალისსაც... თუ განახორციელებთ ამ დარიგებას, თქვენ იქნებით ნამდვილი სახალხო მასწავლებელნი და არა სოფლის მასწავლებელნი, როგორც ეს რამდენიმე წლის წინათ ბრძანა რეაქციულმა პედაგოგმა მოსალევსკიმ, კავკასიის ოლქის მზრუნველის თანაშემწემ. კერძოდ, შენ, ჩემო ლუკა! – მიმართა ორატორმა ვაჟას, – გეტყვი იმას, რაც შენთვის ხშირად მითქვამს! ბუნებით პოეტო, შენი ტალანტი არ დამარხო. განავითარე გონება, დააკვირდი და შეისწავლე ცხოვრება, იკითხე სხვადასხვა მიმართულების წიგნები და მაშინ შესძლებ, რომ ყოველმხრივ ჩვენი სინამდვილე დაასურათო. არ დაივიწყო, ჩემო ძვირფასო, ის სკოლა, რომელმაც შენ აღგზარდა, არ დაივიწყო აგრეთვე შენი კეთილი მასწავლებლები და მათ შორის მეც"...

აქ შეწყვიტა სემიონოვმა სიტყვა, თვალცრემლიანი მიუახლოვდა ვაჟას და სამჯერ გადაკოცნა... დანარჩენებს ხელი ჩამოართვა. ორმა მოწაფემ დირექტორს ხელზე აკოცა. ვაჟა-ფშაველამ აღელვებული ხმით ასე უპასუხა თავის საყვარელ დირექტორს:

„ძვირფასო მასწავლებელო, ნიჭიერო პედაგოგო და იშვიათო ადამიანო! გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ თქვენს ღვაწლს სიკვდილამდე არ დავივიწყებთ. თქვენი სახელი, როგორც სიმბოლო მოწაფეთა გონებრივი წინსვლისა, ჩვენ შორის წმინდა იქნება მარადის. ასეთსავე მაღალ გრძნობას განვიცდით ჩვენ იმ სკოლის წინაშე, რომელმაც აღგვზარდა და თქვენი ხელმძღვანელობით კეთილი მომავლისაკენ გზა გვიჩვენა". (46, 155-157).

აი, ასეთი დიდებული სკოლა გაიარა ვაჟამ გორში. სემინარია და გორის მოწინავე ახალგაზრდობა, მოწინავე ინტელიგენცია ის სასიამოვნო გარემო იყო, სადაც ვაჟამ თელავისა და თბილისის სულის შემხუთავი ატმოსფეროს შემდეგ შვებით ამოისუნთქა, სადაც მოიპოვა ის საკვები, რაც მის სულს სჭირდებოდა. ბედნიერ დამთხვევასავით იყო ისიც, რომ ვაჟას გორში სწავლისას იქ მოღვაწეობდნენ სემიონოვი და მიშო ყიფიანი. თანაც მანამდე ცენზორთა და რუსიფიკატორთა ფხიზელი თვალი უმთავრესად თბილისს დასტრიალებდა. მათთვის ზარდამცემი საშიშროება კი სწორედ გორში იბრძმედებოდა.

აი, ასეთი განწყობით, იმედებით, ქვეყნისა და ხალხისთვის სამსახურის დიდი წყურვილით, დიდი ცეცხლით აღგზნებული ემზადებოდა ვაჟა პრაქტიკული თუ შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

ტოლათსოფელი

გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიის დამთავრების- თანავე, 1882 წლის 1 ივლისიდან ვაჟა სკოლის მასწავლებლად გაანაწილეს სოფელ ტოლათსოფელში, ერწოში, თიანეთის მაზრაში (დღევანდელი თიანეთის რაიონი). ეს სკოლა ამტნისხევის სკოლად იწოდებოდა.

ამტნისხევი ეწოდებოდა დღევანდელ სოფელ ღულელებს. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „ამტნისხევი" მომდინარეობს ერთი ასურელი მამათაგანის – ანტონ მარტყოფელისაგან, რომელიც VI საუკუნეში მოსულა საქართველოში ქ. ედისიდან სხვა განსწავლულ ქართველებთან ერთად და განმარტოებით, მარტოდ ცხოვრობდა დღევანდელი მარტყოფის სიახლოვეს. მას სამისიონეროდ უმოგზაურია საქართველოში და მრავალი წარმართი მოუქრისტიანებია. თიანეთის მხარეშიც მისულა და ერწოში თავისი სახელობის ეკლესია დაუარსებია. იქვე ჩამომდინარ ხევსაც და მერე სოფელსაც ანტონის ხევი უწოდა ხალხმა. ანტონის ხევი კი დროთა ვითარებაში ფონეტიკურად იცვალა: რაკი მთიელებმა თანდათან კვლავ წარმართობისკენ იბრუნეს პირი და ის ეკლესიაც დაინგრა, ანტონი და მისი სახელიც მიავიწყდათ და ანტონის ხევი ჯერ"ანტნისხევად" იქცა, მერე – „ამტნისხევად!" (ჯ. ლომაშვილი).

1858 წელს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ ტოლათსოფელში ანტონისავე სახელზე აღადგინა ეკლესია. 1872 წელს კი ამავე საზოგადოებამ ეკლესიასთან გახსნა დაწყებითი სკოლა და უწოდეს – ამტნისხევის სკოლა. სკოლას შერჩა ეს სახელი, სოფლის სახელი კი „ღულელებმა" შეცვალა, რადგან იქ ხევსურეთიდან, სოფელ ღულიდან, ჩამოსახლებუ-

ლან ხევსურები. აქვე გვერდზე გადაბმული იყო ტოლათსოფელი, ტოლაშვილების უბანი, სკოლა იქ იყო და ამიტომ ტოლათსოფლის სკოლადაც მოიხსენიებოდა.

გორის მოწინავე საზოგადოებისაგან თავზეხელგადასმული და დიდი საქმეებისათვის გზადალოცვილი ვაჟა დიდი ენთუზიაზმით, დიდი სიყვარულით შეუდგა საქმეს. უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილ ვაჟკაცს თავისიანები ნაცნობ-ნათესავები სიხარულითა და იმედით შეხვდნენ – ფშაველ-ხევსურთ ხომ იშვიათად ჰყავდათ მაშინ ნასწავლი კაცი. ისინიც ისე თვლიდნენ და თვით ვაჟაც, რომ მათი ფარ-ხმალი უნდა ყოფილიყო, მათი ქომაგი. ვაჟას ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა, არც შიში ჰქონდა რამისა. მაგრამ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, არ სჯეროდა, რა უძლეველია ცხოვრების უკუღმართობა, რა დონკიხოტობაა მასთან შეხეთქებული ჭიდილი. არ იცოდა, რომ ქვეყნის სიკეთისათვის მებრძოლ ერთეულებს მაშინვე წინ აღუდგება ბოროტთა და მძარცველთა საოცრად ორგანიზებული, საოცრად დაუნდობელი ძალა.

ქვეყნისა და ხალხის სიკეთისათვის ანთებული მივიდა ვაჟა ტოლათსოფელში. მივიდა იმ იმედით, რომ ბავშვებს აღზრდიდა პატრიოტებად, მომავალ გმირებად, თავის თანამებრძოლებად, განათლებულ, მოაზროვნე ადამიანებად.

თავდავიწყებით შეუდგა ვაჟა ბავშვებთან მეცადინეობას, სკოლის საკითხების მოგვარებას. სკოლის შენობა სამოთახიანი იყო. ერთში გაკვეთილები ტარდებოდა, მეორეში– შორი სოფლებიდან მოყვანილი ბავშვები ცხოვრობდნენ, მესამეში–მასწავლებელი. ვაჟა გაკვეთილების შემდეგაც ისევ ბავშვებს დასტრიალებდა თავს. ხშირად ღამითაც უკითხავდა კლასგარეშე საკითხავ წიგნებს, მაგრამ წიგნები აკლდა. ამიტომ ვაჟამ 1882 წლის შემოდგომაზევე თხოვნით მიმართა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას":

„პატივი მაქვს ვაცნობო ზემოხსენებული საზოგადოების მმართველობას, რომ ჩემდამი რწმუნებული სკოლა, რომელშიც იმყოფება ოცდაათამდე ყმაწვილი და ათამდე ქალი, ექვემდებარება კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას. რადგანაც იგი საზოგადოება გულგრილად უცქერის დედაენაზე სწავლის მსვლელობას, ამიტომ არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვ-

ნილებას და არც გზავნის სახელმძღვანელო წიგნებს სამშობლო ენაზე. ამისთვისა ვსთხოვ საზოგადოების მმართველობას უმორჩილესად, დააკმაყოფილოს ეს ჩემი თხოვნა და გამომიგზავნოს ხუთი ეკზემპლარი „ბუნების-კარი" და ხუთმეტი „დედაენა".

ვაჟას თხოვნა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ განიხილა ი. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით და დააკმაყოფილეს: წიგნები გამოუგზავნეს. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისათვის, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ იქნებოდა, ვაჟასაგან სხვა ორგანიზაციასთან მათი მოურიდებელი ლანძღვა, მაგრამ ვაჟა საამისოდ იყო სწორედ შემართული – არავის არაფერში მორიდებოდა, არ დაენდო, ვინც საქვეყნო საქმეს უგულოდ ეკიდებოდა, ღალატობდა.

თავისუფალ დროს ან საბადურის ტყეებში დადიოდა სანადიროდ, ან ერწოს ვაკეზე ჩახლართულ მდინარე აძეძზე იხვებს ხოცავდა, ან თავის ტოლებს საჯილდაო ქვის აწევა-გადაგდებაში ეჯიბრებოდა, ანდა გლეხებთან ჩამოჯდებოდა საფიხვნოდ. თუ ვისმე საჩივარი ან სხვა რამ ქაღალდის დაწერა დასჭირდებოდა, უწერდა, თავადაც ექომაგებოდა, მღვდელსა და მამასახლისს არავის დააჩაგვრინებდა. ჯერჯერობით ყველგან თავისი გაჰქონდა და ამან კიდევ უფრო მეტი თავდაჯერებულობა შეჰმატა. შეიძლება ითქვას, ჯერ მისულიც არ იყო ერწოში, რომ იმავე 1882 წლის ოქტომბრის დასაწყისში „ლ. კათაკმეველის" ფსევდონიმით გაზეთ „დროებაში" გამოაქუხა მწვავე კრიტიკული სტატია „ჭრელი ამბები" (წერილი ერწო-თიანეთიდამ). ამ წერილში ერთი ხელის მოსმით, უშიშრად, მთელი პირდაპირობით სულ ერთმანეთს მიაყოლა „ბრწყინვალე თავადი ხიმშიაშვილი", რომელსაც დუშეთში, ორმოცი ვერსის მანძილზე სუნი დაუყრია ერწოში სარჩოს შოვნისა და საეკლესიო ადგილ-მამულები თაღლითურად მიუსაკუთრებია, „ხალხი უსინდისოდ დაუბეგრია და „ცეცხლში ჩაუყრია". ხიმშიაშვილის უკანონობა მთავრობას თავისი მხარდაჭერით განუმტკიცებია: „იმ წამს დაბადებულან ყაზახები, მოუთოკავთ წინააღმდეგები და გაუსტუმრებიათ გასასწორებელ-მოსაჭკვიანებელ სახლში".

ვაჟა აქ აკაკი წერეთლის ლექსს იშველიებს:

შ„უსამართლობა წინ მიდის კანონიერის გზებითა:
სრული უფლება ეძლევა სხვადასხვა კონგრესებითა".

„მას აქეთია საჩივარი მოქმედებს, მაგრამ ნამოქმედარი გლეხების სასარგებლოდ არ ჩანს. ხალხის თხოვნა და ღაღადება მიწაში იმარხება. მგონია, თორმეტი თხოვნა ეწყოს ზოგი კანტორაში, სხვა – სამეფო ქონებათა უპრავლენიაში, ვინ იცის – ნახევარი იმათგანი ჩირჩილმა შეჭამა და ნახევარი „ვინმემ" „ვინმეს" გულისათვის გადაყლაპა?!

ბატონიც, ამით ფრთებშესხმული, ხმარობს სისხლისა და ტვინის გამომსრუტავ საქციელს. დღიურზე იღებს (მოსავლისმოუსავლიანობის დროს, სულ ერთია) სამ მერკას, რომელიც შეადგენს თითქმის ორ კოდს; ახლა კომლეურად გაწერილია: თითო ლიტრა ერბო, ქათამი, კვერცხი, წეკო – ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც კი კბილი მოეკიდება... მიკვირს, რომ დედაკაცის მანდილსაც არ დაადო იჯარა!

...ერთ საცოდაობას კიდევ ეს ბეგარა წარმოადგენს: მოვა ერთი ინჟინერი „დაპლანავს" თავის თვალის ხაზზე, ხალხი გასთხრის ამ გზას; მოვა მეორე, ის კიდევ სხვაგან უჩვენებს, მესამე – სხვაგან!"

...ამ მაცდურს (თიანელ ზ. ახალკაცოვს – გ. ხ.) გადაუბირებია ჩვენი სუსტად სიმართლისმოყვარე ჩინოვნიკობა, დაუყენებია თავის კვალზე და შინაურის „პურ-მარილის" ძალით, როგორც უნდა, ისე მიჰყავს საქმე. ეს ბ. ა-ვი აუკიდებს შარებს, „ძალის" წარმომადგენელნი კიდევ უსვამენ სალაშინს იმისგან გაკეჭნილ საქმეებს.

აქაური მომრიგებელი მოსამართლე ბ. სიზოვი დაითანხმოს, საკვირველი არ არის, რადგან ყველა კაცი ჩვენს ფუტურო ბოძებზე აშენებულ ცხოვრებაში ემორჩილება „დობილ-ძმობილურ" კანონებს".

„...თავის სურვილი წმინდად აღსრულებაშიც მოიყვანა პოლიციის მოხელეებით და ოკრუჟნი სუდის ჩლენების გადაწყვეტილებით".

„მართლა, სულ თავი-და-თავი კი მავიწყდება. ამას წინათ „დროებაში" იყო შენიშვნა თიანეთის მღვდლების ყოფა-ქცევაზედ, მაგრამ კორესპოდენტს ბევრი დავიწყებია იმათ შესახებ. ეს სულიერნი მამანი სამკვდრო-სანათლაოში აღებულ ფულებს

როდი სჯერდებიან, ადვოკატობაც დაიწყეს! ჩხუბობენ, მერე თავის მრევლს აბარებინებენ, ტყუილად ხალხს აფიცებენ და თავის წმინდა დანაშაულებას თვითონვე ლაფში სტურტნიან".

აი ასე! ვაჟამ ბრწყინვალე თავად ხიმშიაშვილს მიაყოლა ყველა თაღლითი, ინჟინერი თუ სასამართლოს მოხელე, პოლიციელი თუ მღვდელი. გაზეთმა „დროებამაც" დიდი გაბედულება გამოიჩინა, როცა ეს თითქმის პოლიტიკური ჟღერადობის წერილი გამოაქვეყნა. წერილი მძლავრი ბომბის აფეთქებას ჰგავდა თიანეთის მაზრაში. მღვდელი თუ ჩინოვნიკი, გლეხი თუ თავადი, კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა – ყველა ერთმანეთს შეასკდა. ვინ ლოცავდა ვაჟას და ვინ – ლანძღავდა. იგრძნეს, რომ მოვიდა ისეთი ვიღაც, ვინც ძილსა და მოსვენებას დაუკარგავდა ხალხის წურბელებს, ვინც დაურღვევდა მშვიდსა და ბედნიერ ცხოვრებას ხალხის მყვლეფავებს და მტანჯველებს, ვინც ამოღებული ხმალივით დაუდგებოდა დაბეჩავებულთ, სიმართლეს. იგრძნეს და როგორც ყოველთვის, აქაც ბოროტი ძალა უცებ დაირაზმა ვაჟას თავიდან მოსაშორებლად, დაუყოვნებლივ, დაუხანებლად. მაგრამ როგორ? იმას ვერ იტყოდნენ, ტყუილი დაწერაო ან მასწავლებლად არ ვარგაო. საჭირო იყო შანტაჟის მოწყობა, ანკესზე წამოგება. ეს შანტაჟი იკისრა თიანელ გალანძღული მღვდლების მეგობარმა, ამტნისხევის ეკლესიის მღვდელმა აღნიაშვილმა, ვისაც ვაჟას სკოლა ექვემდებარებოდა უშუალოდ.

ჩანაფიქრი ვაჟას მოუთმენელ ხასიათზე იყო აწყობილი, ანკესზე თავისით უნდა წამოგებულიყო: რაკი უსამართლობას ვერ იტანდა, უსამართლობა უნდა ჩაედინათ მის მიმართ. ასე მოაწყო საქმე აღნიაშვილმა.

მღვდლის სახლი და სკოლა ერთიან შემოღობილში იდგა, შუაზე უბრალო ღობე ჰყოფდა. მანამდე რომ ფიქრადაც არ მოსვლია, ეხლა აღნიაშვილმა ღობის გადმოწევა მოიწადინა და სკოლის ეზოს მისაკუთრება, სადაც ბავშვები თამაშობდნენ ხოლმე და ვაჟაც ფიზკულტურის გაკვეთილებს ატარებდა. ვაჟამ ამისი ნება არ მისცა. მღვდლის მიერ მოყვანილ მუშებს დაუძრო ჩაყრილი მარგილები და გადაუყარა. მღვდელმა აღნიაშვილმა შეუტია. ვაჟამ, როგორც ასეთ დროს სჩვეოდა, სტაცა ხელი, ჯერ ძირს მოისროლა, მერე კი პანღურებით გააცილა სკოლის ეზოდან. მღვდელსაც სწორედ ეს უნდოდა. შევარდა შინ და კარგად

გაშანშალებული საჩივარი აფრინა ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებაში. საჩივარში გარდა თავისი, „წმინდა მამის", შეურაცხყოფისა, ბევრი უსინდისო ცილისწამებაც ჩაწერა ვაჟას მასწავლებლობასთან დაკავშირებით. საქმის გამოსაძიებლად თვით საზოგადოების ინსპექტორი დარსკი ავიდა ერწოს. ვაჟა ცუდად შეხვდა მას, სკოლაშიც კი არ აპირებდა თურმე შეშვებას, მამის თხოვნისთვის რომ არ გაეწია ხათრი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა იქ, შვილის სანახავად ჩამოსული. მიუხედავად ამისა, დარსკის მაინც ფაქტი არ უარუყვია და ვაჟას მასწავლებლობისთვის კარგი შეფასება მიუცია, ბავშვების ცოდნის დონითაც კმაყოფილი დარჩენილა. მასწავლებლობა კი მოუწონეს ვაჟას, მაგრამ იძულებული გახადეს „საკუთარი თხოვნის" საფუძველზე, „ჯანმრთელობის მოშლის საფუძველზე", განთავისუფლებულიყო სამსახურიდან. ეს მოხდა 1883 წლის გაზაფხულზე.

პირველი შეჭიდება ცხოვრების უკუღმართობასთან, ქვეყნის ბოროტ ძალებთან, მარცხით დამთავრდა. რომ ეგონა, სიმართლის მთქმელს ვერავინ რას გამომრჩებაო, ინტელიგენცია გვერდში ამომიდგებაო, ტყუილი აღმოჩნდა. სიტყვა, კრინტიც კი არავის დაუძრავს მის დასაცავად, არავინ გამოჰქომაგებია. ვაჟა მარტო აღმოჩნდა და ძალზე იოლადაც გაინაპირა მგლების ხროვამ.

ანთებულსა და აბრიალებულ ვაჟას პირველად მაშინ გადაესხა ცივი წყალი საზოგადოებისაგან. ამან ვერ ჩააქრო, რა თქმა უნდა, მისი ცეცხლი, მაგრამ რამდენადმე კი ჩაანელა. ცაში მონავარდე არწივი მიწაზე ჩამოსვა.

პეტერბურგი და კვლავ ჩარგალი

„გულზე მჭირს სამი იარაო", – იტყვის შემდეგში ვაჟა. ეს პირველი იყო. მაგრამ ვაჟა ისეთი სუსტი პიროვნება არ იყო, რომ ასეთ ჭრილობასა და მარცხს დაეფრთხო, დაელაჩრებინა, თავის მრწამსსა და მიზნებზე ხელი აეღო. ის თავის ცხოვრების მიზანს წინ ხედავდა.

ვაჟა სწავლის გაგრძელებაზე, პეტერბურგში წასვლაზე ოცნებობდა თურმე, მაგრამ ამისთვის საჭირო სახსრები არსაიდან ეგულებოდა და ამიტომ არას ამბობდა. აბა, რა ისეთი შემოსავალი უნდა ჰქონოდა ნახევრად წარმართულ მთაში პატიოსან მღვდელს პავლე რაზიკაშვილს, რომ მრავალრიცხოვანი ოჯახი ერჩინა, ხუთივე ვაჟისთვის ჯერ აქაური სასწავლებლები დაემთავრებინა და ახლა პეტერბურგსაც გაეგზავნა. აქაურს აუვიდა როგორღაც, მაგრამ პეტერბურგის წელი აღარა ჰქონდა. გულით კი ეწადა. უფროსი ვაჟი გიორგი კი გაგზავნა იქ, მაგრამ ვაი, იმ გაგზავნას – რის ვაი-ვაგლახით აწვდიდა საარსებო ფულს. გიორგი ხშირად წერდა იქიდან – ფული მომაწოდე, შიმშილით ნუ მომკლავ, ცოტაც როგორმე შემიწყვე ხელი, დავამთავრო, რომ ჩამოვალ, მომრიგებელ მოსამართლედ დამნიშნავენ მანდ და მერე მე ვიციო. პავლეც ვალებს იღებდა და უგზავნიდა.

ვაჟა-ფშაველა ამიტომაც და იმიტომაც, რომ უკვე ჩაება თავის საყვარელ საქმიანობაში, პედაგოგის კეთილშობილური პროფესიით ეწადა მომსახურებოდა თავის ქვეყანას, აღარ ფიქრობდა პეტერბურგზე, მაგრამ რაკი ასე მოულოდნელად თავისუფალი აღმოჩნდა, კვლავ გაეღვიძა სურვილი სწავლის გაგრძელებისა. იქნებ როგორმე, იქნებ რითიმე. იქნებ ძროხები მოიჭარბონ, რამე გაყიდონ და ცოტაოდენი ფულით გაემგზავროს და მერე ღმერთი რაღაცას მისცემს, რაღაცა გამოჩნდება. ლუკმა პური ჰქონდეს, მშიერი არ მოკვდეს ოღონდ, დანარჩენს ყველაფერს აიტანს. აიტანს რუსულ ყინვასაც, ჯანი მაგარი აქვს, მიჩვეულიც არის, ჩვენს მთაში განა ნაკლები ყინვა იცის!

ზაფხული ჩარგალში გაატარა და სექტემბრის დასაწყისში თავის მეზობელ ფშავლებთან ერთად საქონელი გამორეკა თბილისში გასაყიდად. ქალაქის სიახლოვეს, გლდანსა და დიღომში მაშინ ბაკები და ღამისსათევები ყოფილა. ერთი ასეთი ბაკი და დუქანი სოფელ გლდანთან ჰქონია კულა გლდანელს, სახელგანთქმულ მოჭიდავეს. თიანეთის მხრიდან ჩამოსული მთიელნი უმთავრესად მასთან აჩერებდნენ თურმე საქონელს ქალაქში ჩარეკვამდე. ჩარგლელებიც და სხვა ფშაველნიც მაშინ უმთავრესად თიანეთზე, თავის მაზრაზე, გამოვლით ჩამოდიოდნენ თბილისში. ვაჟამაც და მისმა მეზობლებმაც, ჩანს, ამ გზით ჩამორეკეს საქონელი და ღამე კულას ბაკში შეყარეს, თავად კი დუქანში შევიდნენ პურის საჭმელად. ცნობილმა მოჭიდავემ

პატივით მიიღო მთიელნი, პატივით მიიღო ვაჟა-ფშაველა. იმ ღამეს კულას ვაჟას საუბრიდან გაუგია, რომ სწავლის გაგრძელება სწადია, ამის საშუალება კი არ აქვს და აი, ახლა მოუდის საქონელი, რათა ცოტაოდენი ფული მოიმარაგოს. „გულს გული იცნობსო", ვაჟკაცმა კაცმა გაიგო ვაჟკაცის გულისტკივილი, მუხის ტოტივით მარჯვენა მკერდზე მიიბრაგუნა და დაიქადნა: კულა მოგიკვდეს თუ პეტერბურგს არ გაგგზავნოსო! თან შეჰპირდა, მოკლე ხანში, ამა და ამ დროს, თიანეთში ამოვალ საჭიდაოდ, შენც იქ იყავი და მთელს შემოსავალს შენ მოგცემო. მართლაც, ასულა კულა თიანეთში, მის ჭიდაობას დიდძალი ხალხი დასწრებია და მთელი შემოსავალი იქვე გადაუცია ვაჟასთვის.

ეს ფული, ცოტაოდენი თავისი, უფრო ბევრი დაპირებები – გამოგიგზავნითო, საზოგადოებებს ხარჯს გავაღებინებთო, შენ ნუ გეშინია, წადი და ყველაფერი კარგად იქნებაო – და 1883 წელს შემოდგომაზე ვაჟა პეტერბურგის თოვლ-ყინულიან გზას დასდგომია.

ვაჟას უფროსი ძმა გიორგი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ვაჟამაც გადაწყვიტა ამავე ფაკულტეტზე შესვლა, მაგრამ გორის სემინარიის კურსდამთავრებულს უნივერსიტეტში არ იღებდნენ, იღებდნენ მხოლოდ გიმნაზიადამთავრებულებს. მეტი რაღა გზა ჰქონდა, ადგა და თავისუფალ მსმენელად შევიდა.

იმავე შემოდგომის მიწურულს ვაჟამ ზაქარია ჭიჭინაძეს გამოუგზავნა წერილი, სადაც მეგობრული მოკითხვისა და პეტერბურგული შთაბეჭდილებების შემდეგ სწერს: „...თუ ძმა ხარ, წერილი მომწერე და მანდაური ამბები შემატყობინე უკრიტიკოდ, გაუკილავად, ისე, რომ ნათქვამს კლანჭი არ გამოედებოდეს. კარგი იქნებოდა, რომ გროშებსაც გამომიგზავნიდი. აქ ერთი მანეთი თუმანი ღირს, ჩემისთანა გაფხეკილი კაცისთვის კი ორამდეც მიაღწევს. ლექციებისა უნდა შევიტანო, ოცდახუთი მანეთი და ერთი თვის საზრდოღა დამრჩება. კოჭლად წავა საქმე, თუ ცხოვრების წყაროები არ გამოვძებნე".

ვაჟა დიდი გულისყურით ისმენდა ლექციებს, წიგნებსაც ბევრს კითხულობდა, მონაწილეობდა ქართველ სტუდენტთა შეკრებებში. ისინი ლუკმასაც უზიარებდნენ ვაჟას, მაგრამ, თავადაც გაჭირვებულებს, როდემდე შეეძლოთ ვაჟას რჩენა. ამას

თვით ვაჟას ამაყი სულიც ვერ აიტანდა. მან ქართველ სტუდენტთა ერთ-ერთ დამხმარე სალაროდანაც აიღო ორმოცდაათი მანეთი სესხად, ისიც შემოეხარჯა და დარჩა სრულიად ულუკმაპუროდ. საქართველოში კი ვაჟა თითქოს აღარც ახსოვდათ. კაპიკიც კი არავინ გაუგზავნა. მობეზრდა ვაჟას ძაღლუმადური ყოფნა, საშინლად გულდაწყვეტილმა და იმედგაცრუებულმა მიატოვა პეტერბურგი და 1884 წელს ისევ საქართველოში ჩამოვიდა.

ეს ორი წელი (1883-84) ძალზე უნაყოფო იყო ვაჟასათვის. გუნებაწამხდარს, იმედდაკარგულს, ჩანს აღარც კი უნდოდა რაიმეზე ფიქრი. სულ რაღაც სამი-ოთხი ლექსი ძლივს ამოთქვა და ისიც იმჟამინდელი მისი სულიერი განწყობილების გამომხატველი. 1884 წლის გაზაფხულზე, პეტერბურგში, არის დაწერილი, მაგალითად, ლექსი „ნუთუ მკვდარია ჩემი იმედი?" ასე დასვა კითხვა, როცა ცხადად დაინახა, რომ სწავლისათვის თავი უნდა მიენებებინა. იმდენად გულით ეწადა სწავლის გაგრძელება, ეგონა, თუ ამ სურვილს ვერ შეისრულებდა, დაიღუპებოდა.

„რით მოვირჩინო გულის ნაჭრევი, რამღა ამიგზნოს მე გულში ალი?"

მთებიდან გამოყოლილი ღადარი, რომელიც გორის სემინარიაში ცეცხლად აბრიალდა, ერწოს უსიამოვნო მასწავლებლობამ და პეტერბურგის ხელმოცარულმა სტუდენტობამ ისე ჩაუქრო, რომ აღარ სჯეროდა, თუ კიდევ შეძლებდა მის ხელახლა აღგზნებას. თანაც ეს ის პერიოდია, როცა ვაჟა ჯერ კიდევ თავის თავისა და თავის გზის ძიებაში იყო. ჯერ ვერც საკუთარი ხმა ეპოვა. ცდილობდა, ათი ან თოთხმეტმარცვლიანი საზომით ეწერა, ფეხი აეწყო XIX საუკუნის იმდროინდელი მწერლობისათვის, ილიასა და აკაკის შემოქმედებისათვის. შინაგანად კი ხალხური, რვამარცვლიანი ლექსის მოთხოვნილებას გრძნობდა, მაგრამ ჯერ ვერ ენდობოდა საკუთარ ინტუიციას.

პეტერბურგიდან დაბრუნებულმა, აღარც სტუდენტმა, აღარც მასწავლებელმა, აღარც პოეტმა, ბოღმითა და ეჭვებით გულგასენილმა ისევ თავის საყვარელ მთებში, საყვარელ ჩარგალში შეიმყუდროვა. იქ თუ მოეფონება ცოტა გულს, მაგრამ ვერც იქ

იქნება მშვიდად, რადგან თავისიანთა მზერაში დაცინვასა და ეჭვს დაუწყებს ძებნას – ვერ ივარგეო, გამოგაგდესო. სხვაგან ყოფნას კი ისევ მთაში სიკვდილი უჯობს. წლის მიწურულში დაწერა ლექსი „ამირანი", რომელიც მრავალმხრივ სიმბოლურია. იმ დიდ ეროვნულ, ღრმა ჩანაფიქრთან ერთად მასში ჩაქსოვილია პირადი განცდებიც. ზამთარს ჩარგალში გამომწყვდეული, ხელ-ფეხშეკრული თავად აღმოჩნდა კავკასიის მთებზე მიჯაჭვული ამირანის როლში; აღარც არავის ახსოვს, აღარც არავინ კითხულობს მის ამბავს:

„დაჰვიწყებია ეს მონა ძირს კაცსა, მაღლა ზეცასა,
არ იხსენებენ მისგანა დევ-ეშმაკების ულეტასა".

არც იმათ რამეში ჩაუთვალეს ის თავგანწირვა, ვისთვისაც და რისთვისაც მთელი მაზრის უფროსობა გადაიკიდა. დევ-ეშმაკებსა და მჭედლებში, ვინც ამირანის დასაბმელი ჯაჭვი გამოჭედეს, რაღა თქმა უნდა, ისინი იგულისხმებოდნენ, ვისაც ვაჟა შეებრძოლა და ვისთან ბრძოლაში ხელ-ფეხი შეუკრეს და მთაში გამოკეტეს:

„რომელთაც გრდემლზე დაჰკვერეს მის დასაბმელად ჯაჭვიო,
არ შეიბრალეს მართალი, გაგზავნეს ტყვედა მთაშიო".

აქ ლაპარაკია სიმართლისათვის მებრძოლ მართალ ადამიანზე, რომელიც ტყვედ გაგზავნეს მთაში. ვაჟა იმუქრება: ისიც იქნება, ამირანი ხელში ხმლით ბარს დატყდება თავს და ცოდვების მონანიე მჭედლებს მწარე ცრემლებს აფრქვევინებსო.

„ამირანში" აღწერილ ამბავს თითქმის არაფერი აქვს საერთო მითიურ ამირანთან. აქ ვაჟას ყველაფერი თავის ყოფაზე აქვს გადმოტანილი, ხმლითაც თავად ფიქრობდა მთიდან ბარზე დაცემას, იმ უწმინდურთაგან საქართველოს გაწმენდას, მოღალატე, ერის გამყიდველი, რუსულად გადაგვარებული ინტელიგენტისათვის ჭკუის სწავლებას. ამას კარგად მიხვდა მეფის ცენზურა, როცა მისი დაბეჭდვა აუკრძალა ჟურნალ „თეატრს" 1885 წელს.

საყურადღებოა, რომ ვაჟამ თავისი შემოქმედების დასაწყისშივე მიმართა მითოლოგიას. მითოსური სამყარო მის შემოქმედებაში ძველის აღდგენაა ახლებური ფორმით, შიგ ჩადებულია ახლებური აზროვნება. მითებიც, სხვა ხალხური გადმოცემების მსგავსად, რომლებიც მის შემოქმედებას დაედო საფუძვლად, თავის შემოქმედებით ქურაში აქვს გადადუღებული, როგორც ამას თვითონ ამბობდა.

ვაჟას მიერ მითოლოგიის ახლებურად ამეტყველება მის სიცოცხლეშივე შენიშნეს. „თანამედროვე ქართველ პოეტებს შორის ვაჟა-ფშაველა – მოვლენაა ყველაზე მეტად იდუმალი და თვითმყოფადი. ნებისმიერი სკოლისა თუ მიმართულების მიღმა დგას იგი. მიუსადაგია მისთვის მსოფლხედვა „თანამედროვეობისა". ძნელად სარწმუნოა, რომ ჩვენი თანამედროვეა ეს მკვდრეთით აღმდგარი ძე მითოლოგიური წარსულისა." (39,286) ცხოვრებაშიც ერთგვარად მითოლოგიურ ამბებთან სიახლოვეს ცდილობდა ვაჟა. რაც კი ძაღლი ჰყოლია, ყველას ყურშას ეძახდა – ასე ერქვა ამირანის ძაღლს, რომელიც ჯაჭვს ლოკვით აწვრილებდა. ყურშა ერქვა იმ მონადირის ძაღლსაც, კლდეზე რომ გადაიჩეხა და ბანდულის თასმით თავდაყირა დაეკიდა უფსკრულის თავზე.

„შაჰყეფე, ყურშავ, ოხერო, შე შავის პატრონისაო,
კლდეზე გიკიდავ პატრონი, ფურბერწის საბანდითაო".

„ამირანი" საყურადღებოა კიდევ იმითაც, რომ ამ ლექსით იწყება ვაჟასეული პოეზია, ხალხურ შემოქმედებაზე აღმოცენებული, ფშაური დიალექტით შეზავებული, მძლავრი, თავისებური ელვარების მქონე პოეზია.

ამ ფორმით ლექსების წერის ბიძგი მისცა, როგორც თვით ვაჟა წერს, რაფიელ ერისთავის ლექსის „სამშობლო ხევსურისას" გამოქვეყნებამ. ამ ლექსის წაკითხვამ თავისებურად შეუჩქროლა გული ვაჟას. დაუდასტურა თავისი გულის ნაგრძნობი, რომ ფშაური დიალექტი პოეზიისთვის იყო შექმნილი, ერთი მხრივ, თავისი საოცარი სილბოთი და მუსიკალობით, მეორე მხრივ „მსგავსი კლდისა სალისა".

ამის შესახებ აი, რას წერს ვაჟა თავის ერთ-ერთ აღსარების წერილში „პრო დომო სუა": „ჩემზე, უნდა მოგახსენოთ, ყველა-

ფერს, რაც კარგი და ხელოვნური რამ დაწერილა, ზემოქმედება, ძალა ჰქონია, აღტაცებაში მოუყვანივარ, მომწონებია. რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვაგვარად შესძრა იგი, ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, თუმც მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუმცა მაშინაც ლექსებს ვწერდი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ვბღაჯნიდი. მაგრამ ამ საერო ენაზე წერას ვერ ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც ჭირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მაშინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა".

დიდმა პოეტმა ამ დროიდანვე დაუდო სათავე ფსევდონიმ „ვაჟა-ფშაველას" ხმარებას. მანამდე მისი ფსევდონიმები იყო: „ლ. რაზ-ვი", „ლ. რ-ზ", „ლ. რ-ზ-კ-ლი", „ლ. კათაკმეველი", „მგელა ხინკალჭამიაშვილი", „ლ. რ".

1885 წლიდან გამოჩნდა მისი ახალი და უმთავრესი მწერლური ფსევდონიმი „ვაჟა-ფშაველა". ამ ფსევდონიმთან დაკავშირებით თავის მოგონებებში ვაჟა-ფშაველას უახლოესი თუში მეგობარი ივანე ბუქურაული წერს: „დიმიტრი ცისკარიშვილმა, რომელიც შემდეგ თელავის სამოქალაქო სასწავლებლის გამგედ იყო, მიამბო: „ჩვენ, ცისკარიშვილები და რაზიკაშვილები, პეტრეს ქალაქში თითქმის სულ ერთად ვიყავით. ხშირად მოდიოდა ჩვენთან ვაჟა. მოუსვენარი იყო ვაჟა? „კარგისა არსავ ვაჟა-ფშაველა", ვეტყოდი ხოლმე ვაჟას ხევსურული კილოთი. „ვაჟას" მე დავუმატე „ფშაველა", გამოვიდა „ვაჟა-ფშაველა", ამის შემდეგ სხვებმაც დაუძახეს ლუკას „ვაჟა-ფშაველა" და ეს სახელი დარჩა ფსევდონიმად".

შემდეგ თვით ვაჟას ვკითხე და იმანაც დასტური დამცა, რომ „ვაჟა-ფშაველა მიტრომ დამარქვა და მეც ფსევდონიმად ვიხმარეო". (24,48).

შემდეგში რაიმე მწვავე მასალის გამოქვეყნებისას ცენზურისა და მდევნელთა კვალის ასაბნევად ვაჟა ნაირნაირ ფსევდონიმებს მიმართავდა. ამ სიჭრელემ მარტო ვაჟას მდევნელთ

კი არა, ჩვენს დროში ვაჟა-ფშაველას სრული კრებულების გამომცემლებსაც აურია გზაკვალი. ბევრმა მეცნიერმა (თ. სახოკია, ალ. აბაშელი, ს. ყუბანეიშვილი, ს. ლეკიშვილი, ლ. ჭრელაშვილი, ალ. ჭინჭარაული, ელ. აბრამიშვილი, თ. მაჭავარიანი) ბევრი დრო და ენერგია მოახმარა მისი ფსევდონიმების გახსნას. გარდა ამ ზემოთ ჩამოთვლილი ფსევდონიმებისა, გამოვლინდა კიდევ შემდეგი ფსევდონიმები: „ვაჟა-კაცი", „ვ. ფ-ლა", „შენი მარად პატივისმცემელი მამუკა", „გოგოჭური", „მამუკა", „შენი ერთგული მამუკა", „ნარ-ეკალა", „იქაური", „ვ-ა-ფ-ლა", „ჟავა", „პარასკევა", „ ", „შენი კეთილისმოსურნე ექვთიმე", „ველაფშა", „ჟულაკა გოგოჭური", „ფშაველი", „ვ. ფ.", „უცნობი", „მეთვალყურე", „არამკითხე პოეტი", „დროებით თიანელი", „ფშაველი მწყემსი", „დაღონებული", „ეკალ-ძმარა", „მოკეთე". ამ ფსევდონიმთაგან ბევრის ამოცნობა გვიან მოხდა. მათ ამოცნობას კი ის მოჰყვა, რომ ვაჟას თხზულებებს დაემატა კიდევ ერთი ტომი ისეთი და იმდენი ნაწარმოებებისა, რომლებიც ერთ მწერალს ეყოფოდა. არის კიდევ სავარაუდო ფსევდონიმები („ბაყათარ ოსი", „გარეშე მაყურებელი", „მგზავრი", „ნაჩობნარი", „მთიული წყალობა"), რომელთა ნამდვილად ვაჟასეულობა საბოლოოდ არ არის დამტკიცებული, მაგრამ ჯერჯერობით რაც გარკვეულია, კიდევ ერთ ტომად შეემატება ვაჟას ტომეულებს ისე, რომ ფსევდონიმების ამოცნობით ვაჟას თხზულებები ათტომეულის შემდეგ თორმეტ ტომამდე გაიზარდა. გამოსავლინებელიც კიდევ რჩება. ამით კიდევ უფრო იზრდება იმის გამო გაოცება, რა ნაყოფიერი შემოქმედი ყოფილა ვაჟა.

იურისტობაზე მეოცნებე

გულმოკლული ვაჟა 1885 წლის შემოდგომამდე ებრძოდა ჩარგალში მომავლის უიმედობაზე მწარე საფიქრალს. დრო არის მკურნალი სევდისა და მწუხარებისაო და ვაჟასაც ნელ-ნელა გადაუარა, კვლავ მიუბრუნდა საწერს. 1885 წლის გაზაფხულიდან ჟურნალ-გაზეთებში თანდათან ჩნდება მისი ლექსები, კორესპონდენციები.

სხვა, ალბათ, შეუშინდებოდა ძლიერთა ამა სოფლისათა და

თავისი მაზრის უფროსობაზე ვეღარაფერს დაწერდა, მით უმეტეს, რომ თავადაც სჭირდებოდა ხანდახან მათთან ურთიერთობა, იქ უხდებოდა ტრიალი, თბილისისაკენ გზად მიმოსვლა. სამსახურის საქმეებზეც შესაძლოა, მათთან დასჭირვებოდა მისვლა, როგორც უმუშევარს. მაგრამ არ გატყდა ვაჟა. თავისას მაინც არ იშლიდა. „დროებაში" გამოაქვეყნა ფელეტონი „თიანეთი". ფსევდონიმად მიაწერა „მგელა ხინკალჭამიაშვილი" („ხინკალჭამიაშვილი" იქიდან, რომ ვაჟას ძალიან ჰყვარებია ხინკალი. იტყოდა თურმე: „გენაცვლე, ჩახოფებული (ჩამარილებული) ხორცის ხინკალო და პანტის არაყოო"), მაგრამ ფელეტონი უკვე იმ სიმძაფრისა არ იყო, როგორისაც „ჭრელი ამბები".

წერილი ერთგვარად კომპრომისული იყო. ვიღაც ვიღაცათა ლანძღვასთან ერთად, ვიღაც ვიღაცათა ქებაც გამოურია.

ფელეტონი ერთგვარი თავის მართლებით იწყება: იმიტომ ვწერ ამას , რომ სხვა კუთხეებივით ფშავ-ხევსურეთს კორესპონდენტი არ ჰყავსო. ვინც კი ოდნავ განათლებულია თიანეთის მაზრაში, ყველა რუსულად ცდილობს ლაპარაკს, რადგან ეს მიაჩნიათ განათლებულობის ნიშნადაო. ვაჟა სამდურავს გამოთქვამს ფელეტონში იმის გამო, რომ ახლად გახსნილი სამკითხველო ბანქოს სათამაშოდ და მერე წაგებულ-მოგებული პურ-მარილების საასპარეზოდ არის ქცეულიო.

ჰკიცხავს ვიღაც ადვოკატის ხრიკებს, მაგრამ მადლიერებას გამოთქვამს მოსამართლის მიმართ: „კიდევ კარგი, რომ მომრიგებელი მოსამართლე პატიოსანი მოხელეა. კარგად იცის აქაური ხალხის ავლა-დიდება, გულმტკივნეულად ეკიდება საწყალს და დაჩაგრულს"...

„ძველი მამასახლისი, რომელიც არაერთხელ და ორჯერ გაუკიცხავთ „დროებაში", გამოცვალეს და ახალი დააყენეს. ეს უკანასკნელი დიდს იმედს გვპირდება და, როგორც ჩანს, იქნება კიდეც შეგვისრულოს. პირველადვე გამოიჩინა თაოსნობა, სოფლის ნამდვილი პატრონობა. მშვენივრად მოაწყო სასოფლო სასამართლოს სადგური, ფხიზლად ეკიდება სოფლის ცხოვრების წესიერებას, თუმცა ერთის საყვედურის ღირსი კი არის – სოფლის სიფაქიზეს ჯერ არ დასდევს, ვითომ ეს საჭირო არ იყოს"...

„მაზრის ექიმი უფრო ფხიზლად არის, თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ ამ ბოლო დროს – სწორედ რომ ბოლო დროს! – გამოიჩინა ეს თვისება: აქაურ ყასბებს აუკრძალა შუა სოფელში საქონლის დაკვლა – ხოლერა გაჩნდებაო და მიუთითა სოფლის ბოლოს, ორის ვერსის მანძილზე"...

„სხვაც ბევრი რამ მქონდა სათქმელი, მაგრამ დარჩეს, კვლავ იყოს. დიდები, განათლებულები, არა, კადრულობენ „დროების" კორესპონდენტობას, მე მაინც მოგწერთ ხოლმე. მაინც საწყალი კაცი ვარ და ჩემს თავს იყოს აქაურების რისხვა, როგორც იქნება, გაუძლებ".

„ჭრელ ამბებთან" შედარებით ტონი აშკარად შერბილებულია. თუ იქ ერთი კარგი სიტყვაც კი არავის მიმართ დასცდენია, აქ პირველ რიგში საქებარს ამბობს მომრიგებელ მოსამართლისა, მამასახლისისა და ექიმისას. აღნიშნავს ნაკლსაც, მაგრამ ბევრზე თავს იკავებს, შემდეგისთვის იყოსო. ეს, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ვაჟას შეეშინდა, ხელი აიღო თავის პრინციპებზე. არა, უბრალოდ იმ „ჭრელი ამბების" ირგვლივ დატრიალებულმა ამბებმა დაარწმუნა, რომ უაზრობა იყო ასე წინდაუხედავად, ასე დონკიხოტურად შებრძოლება ბოროტებასთან. დაინახა, რომ, მამა პავლედან მოყოლებული ასეთი საქციელი არავინ მოუწონა, მხარი არავინ დაუჭირა. ვინც ერთგული მეგობარი ეგონა, იმანაც კი ალმაცერად დაუწყო ცქერა. საქმოსანმა ხალხმა, მაზრის ხელმძღვანელობამ ინტრიგანი შეარქვეს. ვაჟას კი ეგონა, იმ წერილის შემდეგ ხალხი მაინც გმირად აღიარებდა, მაგრამ რომ არ მოელოდა, ისეთი სამწუხარო რამ დაინახა: ყველა იმდენად იყო გართული თავის ჯამში ცქერით, იმდენად არ აინტერესებდათ ხალხისა და ქვეყნის საქმე, რომ მტყუან-მართლის გარჩევაც კი არ უნდოდათ, გარჩევა თეთრისა და შავისა. დაინახა ვაჟამ, რომ თავისი გმირი წინაპრების დრო წასულია, მათ მსგავსად საქვეყნო საქმეზე გულის შეტკივილი, მათებური ვაჟკაცობით მტერთან რკინება ეხლა დანაშაულად ითვლება, სიმართლის თქმა – მკრეხელობად, ვაჟკაცობა – უხეშობად, სიბრიყვედ. გაიძვერები და ქვეყნის დამაქცეველნი მოქცეულან ხელმძღვანელ პოსტებზე და კანონი მათ იცავს, თვალს ხუჭავს მათ უმსგავსობაზე, ხელს უწყობს ხალხის დამონებაში, ხალხის ყვლეფაში, რათა იმათ იცხოვრონ, როგორც უნდათ, იყვნენ მომხვეჭელნი, ამორალურნი, ოღონდ კი დაიცვან სახელმწიფოს ინტერესები. სახელმწიფოს არაფერს უშლის

მექრთამე მოსამართლე, მყვლეფელი მოხელე, პირიქით, ისინი ამით უფრო მეტად მორჩილებაში იყოლიებენ ხალხს, დაუკარგავენ მათ წამოყელყელავების სურვილს. მთავრობას უფრო მეტად აფრთხობს ვაჟასთანა სიმართლის მთქმელნი, რომელნიც იმ გაიძვერათა სახით ფაქტიურად ებრძვიან „ფუტურო ბოძებზე აშენებულ ცხოვრებას".

არ ეგონა ვაჟას, თუ მთლად ასეთი სუსტი იყო სიმართლისათვის მებრძოლთა ოპოზიცია, თუ ამდენი ჩასაფრებული მტერი ჰყავდა და თვით სახელმწიფო აპარატი იყო ყოველივე ბოროტების სათავე. ამიტომ ერთ-ერთ იმ დროინდელ თავის წერილში „ხმა მთიდამ" თავისი მწარე გამოცდილების მაგალითით აფრთხილებდა ახალგაზრდებს: „თუ ახალგაზრდა კაცი ხარ და გული ჯერ კიდევ „პატიოსნად" გიცემს, დიდი დარაჯი უნდა იყო შენის თავისა, რომ ამ შხამიან ობობას ქსელში არ გაება და სამუდამოდ არ დაიღუპო სულით და ხორცით. საბრალოა, მკითხველო, და ხშირად შესაცოდავიც ახალგაზრდა, რომელიც მივარდნილს „დაყუდებულსავით" ცხოვრობს და რომელსაც ყოველ წამს სხვადასხვა ქინქლა-კოლუები ჰკბენენ და სისხლსა სწოვენ... ღმერთო, რა მალე და მწარედ სტყუვდება ახალგაზრდა. დიაღ, მკითხველო,

Жизнь —— не то, что говорили

Мои книги и мечты...

მაგრამ... ლამის მეც წვრილმან რამეებზე არ მოვყვე ცხარე გოდებას"...

იმავე 1885 წელს აქვეყნებს „შვლის ნუკრის ნაამბობს", ლექსებს, მაგრამ თიანეთის „სატკივარი" მაინც ვერ მოუნელებია და ისევ მას უბრუნდება. „თიანეთის" გამოქვეყნებიდან ორი თვეც არ არის გასული და „დროებაშივე" „ლ.რ." ფსევდონიმით აქვეყნებს ფელეტონსვე „სოფელი თიანეთი". ესეც „თიანეთის" მსაგავსად „ჭკუა ნასწავლი ახალგაზრდის" თვალთახედვით არის დაწერილი. ნაკლთან ერთად დადებითიც არის მოხსენიებული. ფელეტონში მიწასთან არის გასწორებული ვინმე მაზრის ექიმი, მედიცინის დოქტორი ბ. კ. ბ-შვილი. საუბარია ჯერ მის, ექიმისთვის, შეუფერებელ საქციელზე, მერე მის ნაცოდვილარ დისერტაციაზე. „კაცს საზოგადოების თვალში ორი ღირსება ჰხდის პატივსაცემლად: გონებრივი განვითარება და პატიოსნება; ბ. ბ-ს პირველი ძალიან ღალატობს და მეორისა რა მოგახსენოთ. მისი დისერტაცია, მედიცინის დოქტორობის მისაღებად დაწერილი, მეოთხე კლასელის თხზულებას მოგაგონებთ, საკლასოდ დაწერილს...

...მისი აზრით, სტავროპოლის მუშა ხალხის უბედურება, უწმინდურებისაგან წარმოსდგება. ლიტერატურა, – ამბობს იგი დიდის ყვედრებით, – ხალხის უბედურების მიზეზად გარშემორტყმულს პირობებსა სთვლის, მაგრამ ეს შეცდომით მოსდის. დაბალი ხალხის პირველი და უკანასკნელი უბედურების მიზეზი უწმინდურობა ანუ ბინძურობა არის. ეს ბავშვურის ტიტინით დაწერილი მეცნიერული, ვითომ გამოკვლევა, შეუნელებია ადგილ-ადგილ ციფრებად და გამოუკვერია დისერტაცია, მაგრამ ნეტა ისევ მედიცინურ გამოკვლევაში ყოფილიყო გაბმული ბ. ბ-ი და ნ. ბარათაშვილის პოეზიის საკურთხევლის ცეცხლზედ არ დაეწყო ხელების თბობა. რა დააშავა ნ. ბარათაშვილმა ისეთი, რომ იმისი ცეცხლმოდებული სიტყვები: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის, ეს განწირული სულისკვეთება" და სხვა გამხდარა ბ-ის დისერტაციის დასკვნის დასამშვენებლად. როგორ შეძრწუნდებოდნენ სამარეში ნ. ბარათაშვილის ძვლები, თუკი როგორმე იგრძნობდნენ, რომ უღირსად მედიცინის დოქტორობის მძებნელი ქართველი, რომელიც ქართულად ჭირით აგებს ენას, იმეორებს მის, საქართველოს ბედისაგან გამოწვეულ სიტყვებს. მაგრამ არ აწუხებს ის, რომ ქართული არ იცის და საქართველოზე არაფერს ზრუნავს; ის დოქტორულის მედიდურობით დაიმედებულია დისერტაციაზე, რომელიც იმას შეუძენია მედგარის (!) შრომით, რათა გაუადვილოს მოძმეთა ცხოვრების გზა: „Не безследно-же пройдут эти порывы истомленной души, и стезя, с таким трудом протоптанная, все-ж останется, чтобы облегчить путь собратьям моим".

როგორი ერთგული და გულშემატკივარიც არის ჩვენი ექიმი თავის მოძმეებისა, იგი თავის ყოფაქცევით ამტკიცებს. ჰკითხეთ აქაურ ღარიბ ხალხს"...

„თუმცა თიანურ მოხელეებს შორის ამისთანა ყალბი ხალხი ბევრია, მაგრამ კარგებიც მოიპოვებიან. თიანეთი წინანდელზე ბევრად გაუკეთესებულა მაზრის უფროსის ბ. ლევან ჯანდიერის წყალობით"...

კადრი კინოფილმიდან ,,ვეფრება''

მართლაც, აღმაშფოთებელი ცინიზმი და თავხედობა იყო თიანეთის სწავლული ექიმის დისერტაცია. ის ექიმიც ერთი იმათთაგანი იყო, ვისაც ექიმობა ხალხის საძარცვავ საშუალებად მიაჩნდა, დისერტაციაც იმიტომ გაახლაფორთა, რომ მეტი შემოსავალი ჰქონოდა, ფართო ობობას ქსელს აბამდა ხალხში და ყოველივე ამით უნდოდა ბარათაშვილს გვერდში ამოსდგომოდა. ამას, რა თქმა უნდა, ვერ მოუთმენდა ვაჟა და ვერც მოუთმინა. ექიმის სიბინძურეს სხვა სიბინძურენიც მიაყოლა და კვლავ ფარი იფარა: ბოლოს ქება დააყოლა მაზრის უფროსისა. ეხლა უკვე მხოლოდ შიშველი ხმლით არ გადის ბრძოლაში ვაჟა, ფარიც გამოაქვს, ჩაჩქანიც. იცის, იქედანაც გადმოუქნევენ და რა სასურველია კიდევ მძიმე „ჭრილობების" მიღება, რომელთა მკურნალობას წლები სჭირდება.

მართალია, ვაჟამ საგრძნობლად შეცვალა ტაქტიკა, ნაკლოვანებებთან ერთად დადებითსაც აღნიშნავდა ხოლმე თავის ფელეტონებში, მაგრამ, დაჩაგრული ხალხის გარდა, ვის დასაცავადაც ეს წერილები იწერებოდა, მადლიერი მაინც არავინ რჩებოდა. ვაჟას „ყოველ წამს სხვადასხვა ქინქლა-კოღოები ჰკბენდნენ". ვაჟა არ იყო „თიანეთით" კმაყოფილი იმ მხრივ, რომ შერბილებულად დაწერა, ბოდიშებით, უსიამოვნება კი მაინც დიდი შეხვდა. „სწორედ მოგახსენოთ, მე სრულიადაც ვერ მოვიფიქრებდი, თუ აქ, ამ ჩვენს გაუნათლებელს მხარეში, ბეჭდვით სიტყვას ისეთი დიდი გავლენა ექნებოდა, როგორიც იქონია პირველმა კორესპონდენციამ. რა უმანკო და უკბილო კორესპონდენცია იყო და რამოდენი ყაყანი და მითქმა-მოთქმა კი გამოიწვია! მთელი ერთი თვე სულ ამ კორესპოდენციაზე ლაპარაკობდნენ, სულ იმაზე სჯიდნენ – ჰკიცხავდნენ, აქებდნენ... გაბრაზება იქამდინ მივიდა, რომ ერთმა მოხელემ თამამად გამოაცხადა – ეგ ვიღაცა მგელა ხინკალჭამიაშვილია, გაჩერდეს, თორემ თვით „დროების" რედაქციაში გავბერტყამო. გესმით? რედაქციაში გავბერტყამო?! საწყალობელი! მაგრამ როცა კაცს საფანელი შემოელევა და საბუთი აღარა მოეპოვება-რა, მაშინ მუშტზე დაიწყებს ცქერას".

ვაჟა წერილის დასაწყისში ეხება განაწყენებულ თიანელთა გამოხდომებს მის წინააღმდეგ, თორემ წერილის ძირითად ნაწილში განხილულია მაზრაში სისხლის საქმეების გარჩევისა და დამნაშავეთათვის სასჯელის გამოტანის საკითხი.

„ოლქის სასამართლოს „სეზონმა" ბედნიერად გაიარა. სასიხლო საქმეების გადაწყვეტამ კარგი შთაბეჭდილება იქონია მთიელებზედ. უნდა ვსთქვათ, რომ არცერთი საქმე არ იზიდავს ისე ძლიერ მთიელის ყურადღებას, როგორც სისხლის სამართლის საქმე. აქაური ხალხის შეხედულება სისხლის საქმეებზედ ძირეულად განსხვავდება კანონის შეხედულებიდამ და, თუ კანონი სასტიკად უცქერის რომელსამე დანაშაულებას, ხალხი კიდევ იმავე დანაშაულებაზედ სხვანაირად სჯის, მსუბუქს სასჯელს თხოულობს. ან რას იზამს, როცა ზოგიერთი ბოროტმოქმედება, მაგ: ქალის მოტაცება, მოღალატე ცოლის ცხვირის მოჭრა, შურისძიების გამო მოკვლა, ხალხის ჩვეულებას შეადგენს და ჩვეულება, ხომ მოგეხსენებათ, „სჯულზე უმტკიცესი არის". ჩვენდა სასიამოვნოდ, სასამართლო არ ივიწყებს ხალხის ჩვეულებას და, რაც კი შეიძლება, შეღავათს აძლევს დამნაშავეებს, მსუბუქ სასჯელს აკისრებს მათ. წრეულსაც ასე გახლდათ. თუმცა ბევრი „საციმბირო" და „საკატორღო" საქმეები გაირჩა,

მაგრამ ერთის მეტს არ გადაუწყვიტეს ციმბირში გაგზავნა და ისიც იმიტომ, რომ შემსუბუქება ვერასგზით ვერ მოხერხდებოდა. საბრალო მთიელს ბრალდებოდა ქალის მოტაცება და მისი ძალად გაუპატიურება. თუმცა ამნაირი შემთხვევა აქეთ იშვიათი არ არის, ბევრს თავმოსაწონებელ საქმედაც მიაჩნია, მაგრამ ძალად გაუპატიურებას კანონი სასტიკად უცქერის. ეს საქმე პირველად განიხილეს და წარმოიდგინეთ, რა რიგად შეშინდა მთა, როცა გაიგეს, რომ ამ საქმის გულისთვის დამნაშავეს ციმბირი გადაუწყვიტეს... თქვენ ვერ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რანაირი თავზარდამცემი გავლენა აქვს ხალხზე, როცა კანონი და ჩვეულება ერთმანეთს ვერ ურიგდებიან!.. მაგრამ, როგორც ვსთქვით, წრევანდელმა სასისხლო სამართლის განყოფილებამ ხალხის გული მოიგო".

ვაჟა ცოტა ხანს, სულ რამდენიმე თვე ისმენდა პეტერბურგში იურიდიული ფაკულტეტის ლექციებს, მაგრამ ამ ცოტა ხანშიც მოასწრო იურისპრუდენციაში ღრმად ჩახედვა. მან თან ჩამოიტანა წიგნები, ლექციების ჩანაწერები და მერეც განაგრძობდა მათ შესწავლას. ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდანაც კარგად ჩანს, როგორ კარგად ერკვეოდა ვაჟა მართლმსაჯულების საკითხებში, როგორ ცდილობდა მთის ადათ-წესებისთვის მიესადაგებინათ სახელმწიფო კანონები, თანხმობა ყოფილი

ყო ქართველი ხალხის მართლმსაჯულებასა და რუსის „ზაკონებს" შორის. სწორედ ეს შეუსაბამობა და უცხოს ძალად თავს მოხვევა იყო, რამაც ერთ დროს, საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებში, გამოიწვია დიდი გულისწყრომა ქართველ ხალხში. იმან გამოიწვია მთიულეთის, კახეთის, გურიის, სამეგრელოს და სხვა აჯანყებები. რუსეთის მთავრობის კანონით მკაცრად ისჯებოდა ის, რაც ქართველთა შეხედულებით არ უნდა დასჯილიყო, არ ისჯებოდა ის, რაც მკაცრად უნდა დასჯილიყო. ასეთმა შეუსაბამობამ განსაკუთრებით გულისწყრომა გამოიწვია მთიელებში. ღრეობის დროს მსუბუქი წაკეჭნავება, ვაჟკაცური ფარ-ხმლის შეჟღრიალება, ახალგაზრდათა ჩამოქროლება წრეში და მკლავის ცდა – თუ მთიელთაგან ვაჟკაცისათვის შესაფერის საქმედ, სამამაცო ზნედ ითვლებოდა – ახალი კანონის ძალით ისჯებოდა, ხოლო მრუშობა სულაც არ ისჯებოდა, რისთვისაც მთიელებს უმკაცრესი სასჯელი ჰქონდათ – ხიდის ყურზე ჩაქოლვა.

მთის ადათ-წესებისა და ახალი კანონების „ჭიდილისადმია" მიძღვნილი ვაჟას ერთი მცირე ზომის დრამატული ნაწარმოები „სცენები (ფშავლების ცხოვრებიდამ)". პიესას საფუძვლად უდევს სწორედ მთიელთა ადათ-წესებისა და „რუსის" კანონების შეუსაბამობა: ფშაველი მოღალატე ცოლს ცხვირს მოაჭრის, დასჯის მამაპაპურად, მის საყვარელს კი ხანჯლით მოჰკლავს. პრისტავთან თავის ფეხით მისულ ფშაველს საციმბიროდ გაამზადებენ. აქ მხატვრული ფორმით არის მოცემული ის, რაც თიანეთის მართლმსაჯულებაზე დაწერილ ფელეტონშია განხილული.

ჩანს, ძველი ადათ-წესების მიმდევარი ვაჟა, როცა პეტერბურგში იურიდიულ ფაკულტეტს ირჩევდა, ახალი კანონებისაგან მთიელების დაცვაზე ფიქრობდა. სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავდა. მანამდე კი ცდილობდა წერილების სახით მიეწოდებინა თავისი აზრი საზოგადოებისათვის, დაენახვებინა, თუ რა იყო მოსაგვარებელი, გასარკვევი, მაგრამ ამის დამნახავი და გამგები არავინ ჩანდა. არავის აინტერესებდა ვაჟას აზრი. ბიუროკრატული აპარატი ერთხელ და ერთხელ მიღებული კანონებით ხელმძღვანელობდა. ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისი ყოფილა თიანეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე, ვინც დამნაშავეთათვის სასჯელის დადების დროს მთის კანონებსაც ითვალისწინებდა. ეს სასიამოვნო ფაქტი აღუნიშნავი არ დაუტოვებია ვაჟას.

იურისტობაზე და კანონიერების დაცვაზე ფიქრი ვაჟას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. მაშინაც კი, როცა ის უკვე აღიარებული მწერალი იყო და თავის ცხოვრების წესიც გარკვეული ქონდა, მაგრამ რაიმე მცირე ხელფასიან სამსახურს ეძებდა, საარსებო წყაროს, უფიქრია იურისტად მუშაობა. თიანეთში განთავისუფლებულა მომრიგებელი მოსამართლის ადგილი და ვაჟას უთხოვია, თუ შეიძლება, მე დამნიშნეთ ამ ადგილზეო. უარი არ უთქვამთ, კარგიო ოღონდ საგნის ცოდნაში შემოწმება იქნება საჭიროო. ორი თვე იმეცადინა ვაჟამ, აღიდგინა პეტერბურგში მოსმენილიც და სასამართლოს რამოდენიმე მოხელისაგან შემდგარი კომისიის წინაშე წარსდგა გამოცდაზე. ეს გამოცდა კი

არა, ბედისაგან, უკუღმართი ცხოვრებისაგან მოწყობილი მწარე სპექტაკლი იყო: გენიოსს, უდიდეს ჰუმანისტს, საკაცობრიო პრობლემებზე დაფიქრებულ ვაჟას გამოცდას უწყობენ უვიცი, ყეყეჩი ჩინოვნიკები. და უწყობენ როგორ? ცინიკურად, ჩუმი ქირქილით, რადგან წინასწარვე გადაწყვეტილია, რომ ამ თანამდებობაზე ვაჟა არ მიიღონ, მაგრამ... ერთობიან. ვაჟა გოლიათის გულუბრყვილობით გადის და მოსწავლესავით პასუხობს დასმულ კითხვებზე. ფშაურ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ გოლიათს გამოცდას უწყობენ ფრაკიანი კაცუნები, ისინი ერთობიან, ვაჟას თავს კი ტრგედია ტრიალებს, საარსებო ლუკმა სჭირდება, ფიზიკური შრომა აღარ შეუძლია, ლამის ატირდეს კაცი, გამაძღარნი და კმაყოფილნი კი კბილებს იჩიჩქნიან და სულელურ შეკითხვებს უსვამენ. ორი თვის მეცადინეობის შედეგად ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა ვაჟამ, ისეთ საკითხებზე ესაუბრა მართლმსაჯულების მსახურთ, რაც მათ არც კი გაეგონათ. კომისია აღფრთოვანებული და გაოცებული დარჩა თურმე ვაჟას ცოდნითა და იურიდიულ საკითხებზე მსჯელობის უნარით, მაგრამ იმ ადგილზე, როგორც წინასწარ იყო გადაწყვეტილი, ვინმე თავადი ვახტანგ ბარათაშვილი მიიღეს. ვაჟა კი გულს იმითღა იოხებდა: იმათ უნდა გამოვეცადე, მაგრამ სინამდვილეში გამოცდა მე ჩავუტარეო.

თიანელი ქალი ნუცა შამანაური ამ ამბავთან დაკავშირებით იგონებს: „თბილისიდან დაბრუნებულმა ჩვენთან შემოიარა. დაღონებული იყო.

– რა მოხდა, ვაჟა, გამოცდები ვერ ჩააბარე? – შეეკითხა ჩემი მეუღლე.

– გამოცდები კი კარგად ჩავაბარე, მაგრამ ადგილი მაინც სხვას მისცეს.

– ვინ გამოგზავნეს?

– ვინა და კაცი უვიცი. არც ქართველია და არც რუსი. თქვენ იცნობთ მას – ვახტანგ ბარათაშვილს უბოძეს ეს პოსტი. მე მას შევხვდი, –განაგრძობდა ვაჟა, – საუბარი გავუბი. საკვირველიც არის და სამწუხაროც: რა სიკეთე უნდა მოუტანოს მან გლეხებს, როცა მათს ცხოვრებას არ იცნობს? როცა მას ვესაუბრებოდი, ილია ჭავჭავაძის დასურათებული გამოცემა მეჭირა და იმას ვფურცლავდი. ჩემი ყურადღება მიიქცია ლუარსაბ თათქარიძის

პორტრეტმა, ფურცვლა შევაჩერე. ვახტანგიც დააკვირდა სურათს და მკითხა:

– კტო ონ ტაკოი?

მე ვუპასუხე, ლუარსაბ თათქარიძეა-მეთქი და საუბარი გავუბი ლუარსაბზე. ის ჯერ მისმენდა, შემდეგ მკითხა:

– ა ონ ჟივოი?

სიცილი ძლივს შევიკავე, თუმცა სასაცილო კი არა, სატირალია. ასეთი კაცი რა სიკეთეს მოუტანს გლეხებს". (40,33).

ოთარშენი. ცოლის შერთვა

მასწავლებლობა არ გამოვიდა, მაგრამ ცხოვრება ჯერ წინ იყო და უნდა ეფიქრა სამსახურზე, სამუშაოზე. მარტო მწერლობით ვის უცხოვრია საქართველოში, რომ მას ეცხოვრა, მით უმეტეს, რომ ის ჯერ ვერც იდგა მყარ ნიადაგზე. სხვას კი არა და ჯერ თვითონაც არ სჯეროდა თავისთავისა. თორმეტი წლის სწავლაც, მიღებული პროფესიაც ენანებოდა წყალში ჩასაყრელად.

ამ გაჭირვების ჟამს ვაჟას ისევ თავის ნათელ, ტკბილ მოგონებებთან დაკავშირებული გორი ეიმედებოდა. ისევ იქით მოსინჯა ბედი და არც ტყუილად!

ოფიციალურად ადგილი არც იქ იყო, არაოფიციალურად კი სოფელ ოთარშენში (გორთან ახლოს) ცნობილი თავადის ოთარ ამილახვრის ოჯახში მიიწვიეს შინა მასწავლებლად. სულ არაფრობას მაინც ჯობდა ჯერჯერობით და დათანხმდა კიდეც.

ამილახვრის შვილს გიორგის, ვისთვისაც ვაჟას უნდა ესწავლებინა, სწავლის მეტი ყველაფერი აინტერესებდა. ეგოისტურად იყო აღზრდილი, ჯიუტი, თავნება. რომ ვერაფერი შეასმინა, ერთხელ მოთმინება დაკარგულმა ვაჟამ ლაწანი ადინა ყბაში. ნალოლიავებ გიორგის ძალიან ემწარა ფშაური სილა, გავარდა და კედელზე ჩამოკიდებულ თოფს ეცა. ატყდა ერთი წივილ-კივილი სასახლეში. იჭერდნენ გიორგის, ამშვიდებდნენ, ეხვეწებოდნენ. გიორგი კი უფრო გულდაგულ იზიდებოდა ვაჟასაკენ და თან გაიძახოდა: „ჰაი, დროებას რა ვუთხრა, რომ ვიღაც ფშაველი ამილახვარს სცემსო!"

ვაჟას სილამ კარგი შედეგი გამოიღო. გიორგი ცოტას მოჭ-
კვიანდა, დადინჯდა და მერე და მერე ძალიან დაუმეგობრდა
ვაჟას, რადგან ნადირობა და ჭიდაობა იმასაც ძალიან იტაცებ-
და. ხშირად ებღლარძუნებოდა ხოლმე ვაჟას და სანადიროდაც
დაჰყვებოდა. ვაჟამ „საფანტის" თოფი შეიძინა და თავისუფალ
დროს ფრინველზე სანადიროდ გადიოდა.

„ვაჟასთან გორიდან ხშირად გავდიოდით, – წერს ს. მგა-
ლობლიშვილი, – ერთხელ იანვარში ვეწვიეთ თ. ამილახვარს.
დაუძახეს ბიჭებს ოჩხის მოსაჩხრეკად და საორაგულოს დასა-
სინჯად. ლიახვს თოში მოაქვს, ნაპირები გამჭირვალე ყინულით
არის დაფარული. ვაჟა ბიჭებთან ერთად ჩადგა წყალში, ბევ-
რი ვემუდარეთ, გაცივდებიო, მაგრამ არ მომიკვდეთ, უწინ ის
ჩავიდა წყალში, მარდად მოჩხრიკეს ოჩხი და ცოცხალ-ცოცხალ
თევზს ისროდნენ ნაპირას. თითქმის ნახევარ საათს იდგა ვაჟა
გაყინულ წყალში. ასეთი კერპი და შეუპოვარი იყო ცხოვრებაში,
არავითარ საფრთხეს, განსაცდელს არ მოერიდებოდა".

ერთი ზამთარი (1885-86) გაატარა ვაჟამ ოთარშენში. ფუქ-
სავატი გიორგის წვრთნას მეტად, ალბათ, ვერც გაუძლებდა. ბე-
დად ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა.

ვაჟას შეუყვარდა ოთარ ამილახვრის მოახლე და მისი უკა-
ნონო შვილი კეკე ნებიერიძე (დედის გვარზე იწერებოდა). მაგ-
რამ როგორც თელავში, თბილისსა და გორში შეყვარებულ გო-
გონებს, მასაც ვერ უბედავდა თქმას. თავის სიყვარულისა და
კეკეს ცოლად თხოვნის სურვილი სხვა მოახლე ქალებს გაანდო
და შუამდგომლობა სთხოვა. მათ სიხარულით უშუამდგომლეს.
არც კეკეს უთქვამს უარი, რადგან არც თავად იყო გულგრილი
მოხდენილი ვაჟკაცის, ნიჭიერი მწერლისა და, რაც მთავარია,
თავისი უდროოდ დაღუპული მეუღლის პროფესიისავე კაცის
მიმართ.

კეკე კი დათანხმდა მაგრამ „კნეინა" დადგა უარზე – არ ეთ-
მობოდა კარგი მოახლის, მუქთი მუშა-ხელის გაშვება სასახლი-
დან. ვაჟას კატეგორიულმა განცხადებამ, რომ სულ ერთია მოი-
ტაცებდა, წაიყვანდა, დაათმობინა „კნეინასაც".

ვაჟამ გადაწყვიტა მთაში, ჩარგალში, წაეყვანა კეკე და ჯერ-
ჯერობით იქ ეცხოვრათ. საოცრად ლამაზი, კეთილი, მშვიდი და
მაღალი სულის ქალი, რომელიც თავის ცხოვრების მეგობრად,

ასევე მაღალი სულის ადამიანებს ირჩევდა (კეკეს პირველი ქმარიც მასწავლებელი იყო), მზად იყო ვაჟასთან ერთად თუნდაც ჯოჯოხეთში ჩასულიყო. მოახლეობაში გაზრდილ, ობოლ, ბედისაგან დაჩაგრულ ქალს არ გაუკვირდებოდა ვაჟას ღარიბული, მაგრამ მთის რომანტიკით სავსე ცხოვრება და იქნებ ხიბლავდა კიდეც.

1886 წლის გაზაფხულზე, აპრილის ბოლო იყო თუ მაისი, ვაჟამ ჩარგალში აცნობა, ცოლი მომყავს და ამა და ამ დროს მცხეთაში ცხენები დაგვახვედრეთო. გორიდან ძმები, თედო და ბაჩანა, გამოჰყვნენ. მცხეთაში პავლესაგან გამოგზავნილი ათამდე ფშაველი მაყარი დახვდა, სანეფო-საპატარძლო, ლამაზად ნაქსოვი ჯეჯიმებით დაკაზმული ცხენებიც ჩამოეყვანათ. საგზაოც გამოეყოლათ – პანტის არყიანი ტიკები. ჩამოსხდნენ, პური შეჭამეს, ადღეგრძელეს „ნეფე-დედოფალნი", „ახალყოილნი", დალოცეს ფშავ-ხევსურეთის სალოცავები პავლე რაზიკაშვილის ოჯახს მოწეული ბედნიერებისათვის, დალოცეს მოგზაურ ანგელოზი და მერე ნალის ძგრიალითა და დამბაჩების ქუხილით შეუყვნენ არაგვის ხეობას. ფშავის ხეობაზე როცა შეუხვიეს ჟინვალთან, ცხენები შეასვენეს, ტიკს პირი მოხსნეს და თავადაც ამომშრალი ყელი ჩაისველეს. აქ კიდევ უფრო მოგულადნენ, კივილ-ჭყივილით გააყრუეს არაგვის ჭალები, ცხენებს წაღმა-უკუღმა დააჭენებდნენ, ერთურთს ეჯიბრებოდნენ, ლაღობდნენ. განსაკუთრებით ბაჩანა ძვრებოდა ტყავიდან. გვარიანად ნასვამი იყო და თავის ცხენს, რომელსაც „ძმობილს" ეძახდა, წაღმა-უკუღმა დააჭენებდა ყიჟინით. გააჭენებდა, წინ გაიჭრებოდა, მობრუნდებოდა და ისევ ნეფე-დედოფალთან მოიჭრებოდა; თან გაიძახოდა: ბაჩუა ვარ, ბაჩუაო! ვაჟა აფრთხილებდა: კაცო, გონთ იყავ, ცხენს ნუ არბენ, გადმოგაგდებს, ნასვამი ხარო! – ვისა? მე გადმომაგდებსო?! – არ იშლიდა ბაჩანა. გააჭენა ცხენი და ღობეზე გადაახტუნა, სათიბში გაინავარდა. იქიდან რომ გამოაჭენა და გადმოახტუნა, ბაჩანა ვეღარ შემაგრდა უნაგირზე და ძირს მოადინა ზღართანი, მაგრამ სწრაფადვე წამოხტა და გაცინებულმა შესძახა: ბაჩუა ვარ, ბაჩუა!

– ბაჩუა კი არა, შე საწყალო, აჩუა ხარ, აჩუა! – გაუწყრა ვაჟა.

მიაღწიეს მაღაროსკარს, დღევანდელი ფშავის ცენტრს,

დღეს ყველაზე დიდ დასახლებულ პუნქტს არაგვის ხეობაზე. მაშინ კი აქ, სოფელ მაღაროს მისასვლელ ჭალაზე (მაღაროს კარს), მხოლოდ დუქნები იყო, მგზავრთა ღამის სათევები. აქ აუცილებლად შეჩერდებოდა მგზავრი. ზევიდან მომავალი, კართანის კლდეებს გადარჩენილი, კოპალის სამადლობელს დალევდა, კართანისაკენ მიმავალი კი შველას შესთხოვდა კოპალას, ხელის მომართვას, მშვიდობით მგზავრობას.

ხიწვა თურმანაულის დუქნის კარზე მიაძგრიალეს ცხენები ვაჟას მაყრებმა. შიგნიდან შეჟიავებული ფშავლების ლექს-კაფიობის ხმა გამოდიოდა. დაიქვეითეს ვაჟამ და მისმა მაყრებმა, აქაც უნდოდათ გაეხმაურებინათ ვაჟას ბედნიერების ამბავი, თითო ჭიქით დაელოცათ. შიგნითაც გაიგეს ფშავლებმა, ვაჟას პატარძალი მოჰყოლებიაო. უცხო ტომ-ჯილაგის ქალის მოყვანა თემის ადათის, მამა-პაპათა წესის დარღვევა იყო. ფშაველს ფშაველი უნდა ეთხოვა, ხევსურს – ხევსური, თუკი უნდოდა ნამდვილი, თავის გემოვნების ოჯახი შეექმნა. ამით გაღიზიანებულმა, კაფიაობის ჟინმოწოლილმა გიჟათ ქურსიკამ, გვარად გოგოლაურმა, არ დაიშალა და მთელი ხმით შემღერა: „უჩიტელს მაჰყავს ცოლიო"... და გადაამლაშა. ვაჟა შევარდა დუქანში, სწვდა ავყია მოკაფიავეს, გარეთ გამოათრია და თავის მაგარი მუშტით გონზე მოიყვანა და გონიც დააკარგვინა. ქურსიკას თანამეინახენი წამოეშველნენ. იმათ თედო, ბაჩანა იოსებ ჟამიაშვილი და სხვა მაყრები დაერივნენ. მთიელებმა მუშტით ჩხუბი არ იცოდნენ, ამიტომ ქურსიკამ ხანჯალი იშიშვლა და ვაჟას დაუქნია. ვაჟამ აიცდინა და რაკი თვითონ ხანჯალი არ ება წელზე, იოსებს ამოსტაცა ქარქაშიდან, ქურსიკას მეორედ მოქნეულს შეუფარა და ახლა თვითონ გადაუქნია. ქურსიკამ შეფარება ვეღარ მოასწრო, აცდენა სცადა, თავი გვერდზე გადასწია, მაგრამ მთლად ვერ აიცდინა, ყბა და ყური ჩამოსხიპა ბასრმა ფოლადმა.

სხვანაირად დაიწყო მთის რომანტიკა, ისე არა, როგორც კეკე ელოდა. ეს ყვავილივით ნაზი, პატარა ტანის ქალი გაშეშებული, ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დატაკებულ, დასისხლიანებულ მამაკაცებს სახეზე ხელებაფარებული შესცქეროდა შიშისაგან გულგახეთქილი და ცივი კივილით იკლებდა იქაურობას.

ალბათ, ამანაც დაანამუსა ფშავლები, დროზე შეწყვიტეს

ჩხუბი. თუმცა ბევრი სახუმარო და სასაცილო მიეცა მაყრებს, უფრო მხიარულ გუნებაზე დადგნენ.

დიდი სამზადისი იყო ჩარგალში. პავლე მღვდელი და მისი ოჯახი ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა და ყველა გვერდში ამოუდგა. გულით უხაროდათ თავისი სოფლის, ფშავის სიამაყის – ვაჟას გაბედნიერება. აინტერესებდათ, როგორ რძალს მოუყვანდა ვაჟა გულქანს. ბარელი ქალის ვარგისიანობა ეეჭვებოდათ. როგორმა სიხარულმა მოიცვა ყველა, როცა დაინახეს გულქანის ასლი და კვალი. ამიტომ პირველი დღიდანვე ვაჟაზე არანაკლებ შეიყვარეს ის ოჯახის წევრებმა და მეზობლებმაც. იმის შიში, რომ ბარელი ქალი ფშავის ცხოვრებას ვერ შეეწყობოდა, პირველ დღიდანვე გაქარწყლდა. კეკე ისე ჩაერთო ჩარგლურ ყოფაში, თითქოს აქ ყოფილიყოს გაზრდილი. ეს შეაძლებინა დიდმა კეთილშობილებამ და ვაჟასადმი დიდმა სიყვარულმა.

დიდთონეთი

დაოჯახების შემდეგ კიდევ უფრო მწვავედ დადგა სამუშაოს შოვნის საკითხი. ვაჟა თავის ძირითად პროფესიად პედაგოგობას თვლიდა და გულითაც უყვარდა ეს საქმე. მზად იყო მასწავლებლად ემუშავა ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყო, რადგან ფშავ-ხევსურეთში მაშინ ერთი სკოლაც კი არსად იყო. ვაჟა ჩამოვიდა თბილისში, მიიკითხ-მოიკითხა და გაიგო, რომ სოფელ დიდთონეთში თავისუფლდებოდა მასწავლებლის ადგილი. ბ. ჭელიძე, ისიც გორის საოსტატო სემინარიადამთავრებული და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდიანტი, ავადმყოფობის გამო ითხოვდა განთავისუფლებას. ვაჟას გარდა, ამ ადგილს სხვებიც თხოულობდნენ, მათ შორის სასულიერო სემინარიის მე-4 კლასის მოწაფე ვინმე ბარნაბოვი. საზოგადოებამ განიხილა მათი განცხადებები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და დაადგინა: „ეცნობოს რაზიკაშვილს, რომ ის დანიშნულია თონეთის სკოლის მასწავლებლად, ჯამაგირი მიეცეს იმ დღიდან, როდესაც ის გამოცხადდება სკოლაში".

ვაჟამ ფშავში მიიღო გამგეობის შეტყობინება და მაშინვე თავის მეუღლესთან ერთად გამოემგზავრა სოფელ დიდთონეთისაკენ. ბ. ჭელიძესაგან გადაიბარა სკოლა და „ქ. შ. წ.კ-ის გამავრცელებელ საზოგადოებას" გაუგზავნა შემდეგი შინაარსის მოხსენება:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას
დიდთონეთის სკოლის მასწავლებლის
ლ. რაზიკაშვილის
მოხსენება

მაქვს პატივი ვაცნობო მმართველობას, რომ დანიშნულს ადგილას გამოვცხადდი 16 ამ თვისას, 17-ს შეუდექი სწავლას. სწავლა ისევ ძველ შენობაში მიმდინარეობს. ჯერჯერობით ოცამდე მოსწავლეა, მათ შორის ორი სულ ახლები არიან. როგორც საზოგადოება და მამასახლისი იმედს მაძლევენ, მოსწავლეთა რიცხვმა ერთი-ორად უნდა იმატოს. სკოლისათვის საჭიროა „ბუნების კარი" არანაკლებ 5 ეკზემპლარისა,"დედა-ენა" 10 ეკზემ., დაფები, გრიფელები, კარანდაშები, საწერლები, კალმები, რვეულები. ახალი სკოლის შენობა ჯერ არ დაუსრულებიათ. ამასთანავე ვსთხოვ უმორჩილესად ერთი ეკზ. პროგრამაც გამომიგზავნოს მმართველობამ, რომლითაც მოვალე ვარ ვიხელმძღვანელო.

დიდთონეთის სკოლის მასწავლებელი
ლ. რაზიკაშვილი"

ამ განცხადებიდან ჩანს, ვაჟა რა გულდაგულ მოეკიდა საქმეს და ისიც, როგორი რთული ვითარება დახვდა სკოლაში. ძველ მასწავლებელს, არამცთუ სახელმძღვანელოები და საწერ-კალმები, პროგრამაც კი არა ჰქონია. ამის გამო კი, ჩანს, ბავშვების ნახევარიც არ დადიოდა სკოლაში.

სოფელი დიდთონეთი მანგლისის მხარეს არის, თბილისიდან ორმოცდაათ კილომეტრზე. ამ დიდ სოფელში ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ, საკმაოდ იყვნენ სომხებიც და ოსებიც. მოსახლეობა კულტურის მხრივ ძალზე ჩამორჩენილი იყო. წერა-კითხვის მცოდნე მთელ სოფელში არავინ მოიძებნებოდა.

ი. მანსვეტაშვილმა შემდგომში ვაჟას საკითხთან დაკავშირებით სკოლის შემოწმებისას დიდთონეთის მოსახლეობის შესახებ ასეთი რამ ჩაწერა თავის ანგარიშში: „რამდენადაც შევატყვე ლაპარაკში, გლეხები არ არიან წინააღმდეგი სწავლისა, თუმცა სწავლის სარგებლობა ძალიან ბუნდოვნად კი ესმით. და თუ სკოლაში ცოტა მოსწავლეები არიან, ამის მიზეზი იქ, საკუთრად თონეთში, ჩემი აზრით, ის უნდა იყოს, რომ თონელები, საზოგადოდ, აღებ-მიცემობის მიმდევარი, ჩარჩი ხალხია და, მანგლისისა და ქალაქის მიხედვით, სადაც ხშირად მიმოსვლა აქვთ, უფრო იმას რჩეობენ, რომ თავისი შვილები ან ვაჭარს მისცენ შეგირდად, ან რაიმე ხელობაში".

ვაჟამ თავიდანვე მკაცრად მოსთხოვა შეუგნებელ მშობლებს, რომ მათ შვილებს სისტემატურად ევლოთ სკოლაში. ხშირად, თუ თხოვნა და ტკბილი სიტყვა არ გაჭრიდა, უბრაზდებოდა კიდეც, ჯარიმით ემუქრებოდა.

ამას გარდა, შემდეგ და შემდეგ სხვა სირთულეებიც გაჩნდა. ახალი შენობა, რომელშიც იმავე შემოდგომაზე გადავიდა სკოლა, წამოდგმული იყო შემაღლებულ, საქარე ადგილზე. სკოლის კედლები ცუდად იყო შელესილი, ფარღალალა და ამიტომ, თან რაკი არცა თბებოდა, საყინულეს ჰგავდა. შეშა არა ჰქონდათ, არ მოუტანეს. დიდთონელები არ ასრულებდნენ ვალდებულებას, რომელიც „წ.-კ. გ. საზოგადოებასა" და დიდთონელებს შორის იყო დადებული 1880 წელს სკოლის გახსნასთან დაკავშირებით. სოფლელებს სკოლისათვის სამი საჟენი შეშა უნდა მოეტანათ და მასწავლებლისათვის წლიურად გადაეხადათ 300 მან. (ე.ი. თვეში 25 მან.). ვაჟამ ამის შესახებაც აცნობა საზოგადოებას, მაგრამ არც არაფერი შედეგი ამას მოჰყოლია, ისევე, როგორც პირველ თხოვნას წიგნებისა და საწერის თაობაზე. ზამთარი გავიდა, როგორც იქნა, საზაფხულო არდადეგებმაც მოაღწია და ინსტრუქცია კიდევ არ ჰქონდა მიღებული. „საზოგადოებამ" ასევე უყურადღებოდ დატოვა თხოვნა ჯამაგირის გაზრდის შესახებ.

ვაჟა ყოველივე ამას არად აგდებდა, რადგან თავის საყვარელ საქმეს ემსახურებოდა. მას სჯეროდა, რომ დიდი ეროვნული საქმე ებარა. ჯერ კიდევ გორის საოსტატო სემინარიის დამთავრებისას, გამოსაშვებ გამოცდაზე ვაჟას აურჩევია თემა: „რაში

მდგომარეობს სამასწავლებლო სემინარიის ძალა", სადაც იგი წერდა: „სოფლის მასწავლებელთა დიდი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ განათლება შეიტანონ ბნელ მაზრაში, უკეთესი ცხოვრებისათვის მოამზადონ ბავშვები, განავითარონ მათი გონება, რათა მათ შეეძლოთ თავისუფლად და გონივრულად იტრიალონ თავიანთ სფეროში, მიიყვანონ ისინი სასარგებლოსა და სამავნეოს გაგებამდე და იმ საჭიროებებისაც, რომლებიც ესოდენ უხვადაა მათ ცხოვრებაში. ახალგაზრდა თაობაში საჭიროა აღიზარდოს საზოგადოებრივი გრძნობა, საზოგადოებრივი ზნეობრიობა. ტყუილად როდი შესძახა მოლოტკემ პრუსია-საფრანგეთის ომის დროს: სოფლის მასწავლებელი იმარჯვებსო! მაშასადამე, საოსტატო სემინარიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მისი საგანი და პრინციპი ხალხია და მისდამი საგანგებო სამსახური. მას შეუძლია იამაყოს იმით, რომ მასწავლებლებს უშვებს, შეიძლება დიდი ცოდნით არა, მაგრამ გამსჭვალულთ ცოცხალი იდეებით, ნამდვილი რწმენით, საქმის ხალხს და არა მხოლოდ სიტყვის".

ვაჟას ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვებისათვის არ დაუწერია: ის მზად იყო და შეეცადა კიდეც ყოველივე საქმით დაემტკიცებინა, სიტყვა საქმედ ექცია. მას პედაგოგობა დიდ საზოგადოებრივ სამოღვაწეო არენად მიაჩნდა. სჯეროდა, რომ მასწავლებელს დიდი ეროვნული საქმის კეთება შეეძლო.

ვაჟა მასწავლებლის სარბიელად თვლიდა არა მარტო სოფლის სკოლას, არამედ მთელ სოფელს. ამიტომ იყო, რომ ხალხოსნური ენთუზიაზმით შეიჭრა როგორც ტოლათსოფელში, ისევე დიდთონეთშიც და ერთიანად ააფორიაქა ხალხი, მშვიდ დინებას მიყოლილი მტერ-მოყვარენი.

სკოლაშიც და მოსახლეობაშიც ერთნაირად, ერთი ძალით გაბედულად გააჩაღა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

ვაჟა სკოლაში მხოლოდ სასწავლო პროგრამით არა კმაყოფილდებოდა. ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ბავშვებისათვის სკოლა შეეყვარებინა, ბევრი რამ ესწავლებინა. ამ მიზნით ის კლასგარეშე და პროგრამის გარეშე მეცადინეობებსაც ატარებდა; გაჰყავდა ბუნების წიაღში და იქ უკითხავდა ხალხურსა და საკუთარ ლექსებს. ამ დროს ვაჟას უკვე გამოქვეყნებული

ჰქონდა ისეთი შედევრები, როგორიც არის „დევების ქორწილი", „არაგვს", „ქეიფი", „გიგლია" და სხვა. საკმაოდ სახელმოხვეჭილი პოეტი იყო და მისი ავტორიტეტიც დიდ როლს თამაშობდა ბავშვების რწმენის გამტკიცებაში. ყოველივე ამან კი ის შედეგი გამოიღო, რომ მეორე წელს, მართლაც, ერთიორად გაიზარდა მოწაფეების რიცხვი. ამასთან ერთად ვაჟა, როგორც ირკვევა, დიდ და საინტერესო მუშაობას ეწეოდა ხალხში, მშობლებში. შემორჩენილია ვაჟასეული ერთი ხელნაწერი, მოხსენება, რომელიც ერთხანობას პავლე რაზიკაშვილის დაწერილი ეგონათ, რაკი მის ბიოგრაფიულ ჩანაწერებთან იყო ჩადებული, არც თავი ჰქონდა, არც ბოლო და არც ხელმოწერა. სიმონ სხირტლაძემ გაარკვია, რომ ეს პავლესი კი არა, ვაჟას დაწერილია დიდთონეთში მასწავლებლობის წლებში და პოეტს იგი დაუწერია სპეციალური დანიშნულებით – მშობლებისათვის.

ვაჟამ იცოდა, რომ მშობლების მიმართ გამოჩენილი სიმკაცრე, მუქარა ბოლომდე ვერ უშველიდა საქმეს. საჭირო იყო იმ ბნელი, ჩამორჩენილი საზოგადოებისათვის, როგორიც დიდთონეთში იყო, აეხსნა, გაეგებინებინა სწავლის მნიშვნელობა. ამიტომ მოხსენება დაწერილია ძალზე მარტივად, დაბალი დონის მსმენელისათვის გასაგები ენით, ძალზე მარტივი, მაგრამ საინტერესო მაგალითების მოშველიებით. ამ მაგალითებით ნაჩვენებია, რომ ცოდნა სჯობია უცოდინრობას, რომ ნასწავლი კაცი უფრო იოლად უმკლავდება ცხოვრებას, უფრო გამარჯვებულია, ვიდრე უსწავლელი. ამასთან თავის მსმენელს უხსნის იმასაც, რომ მასწავლებელი, როგორი მოწადინებულიც გინდა იყოს, ვერაფერს გახდება ბავშვის აღზრდაში, თუ მშობლებიც გვერდში არ ამოუდგებიან და მის მძიმე ხვედრს არ გაიზიარებენ. თუ ოჯახი სხვას უნერგავს შვილს, სკოლა კი – სხვას, აქედან არაფერი გამოვა.

ვაჟა მასწავლებელზე არანაკლებ როლს მშობლებს აკისრებს და უფრო მეტსაც კი. ჩანს, მშობლების როლი იმიტომ უფრო გაამძაფრა, უნდოდა მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა ჩარჩ, უწიგნურ ხალხზე. უნდოდა ჩაეგონებინა, რომ მათი შვილების სიკარგე თუ სიცუდე მათ ქცევაზე, მათ პირად მაგალითებზე იყო დამოკიდებული.

„ავიღოთ კიდევ მაგალითი. – წერს ვაჟა, – მამა ღვთის მოყვარე კაცია. მუდამ დილით და საღამოთი სულ ცრემლით ევედრება ღვთისმშობლის ხატს. მაგრამ ერთი ცუდი ზნე სჭირს, – ვაჭრობაში სიმრუდე – დამპალ საქონელს ასაღებს. ერთს შეაპარა დამპალი საქონელი. მყიდველმა სახლში წაიღო ნივთი, ნახა კარგად, საქონელი დამპალია, არ გამოდგა?! დაუბრუნა საქონელი ვაჭარს: არ გრცხვენიან, ღმერთი არა გწამსო, უთხრა, ამას რომ მაძლევდი, შენს ღმერთს რას ეუბნებოდიო. ვაჭარი ეუბნება: „ის თვალი დადგეს, რა თვალმაც შენ მოგატყუა, ვა! თვალები სადა გქონდა, ვაჭრობა მაშ, რის ვაჭრობაა!" ბავშვებს ეს ყველაფერი ესმით. ხედავს მამაში ორს ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხარეს: სიტყვა ერთი აქვს იმის მამას, საქმე სხვა. ეს რას ნიშნავს? მამაჩემი სახარებაში კითხულობს „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო" და თვითონ კი ქვეყანა უტყუილებია, მაინც ბედნიერად ცხოვრობს! შვილიც, რასაკვირველია, მამისაგან იღებს მაგალითს და დაუწყებს ქვეყანას ტყუებას, გამოვა ქვეყნის ამომგდები.

აბა, ყველამ გავისინჯოთ ჩვენი ცუდი ჩვეულებანი და კარგად დაუკვირდეთ, თუ მასში აღზრდა არ იყოს დამნაშავე. ბევრი არ დაიჯერებს და იტყვის, რასაც წერა-მწერალი დაუწერს კაცს, მისი ბოლო ისე გათავდებაო.

ბევრი მაგალითი მინახავს, მამაც კარგი ჰყოლიყოს შვილსა, კარგი მაგალითებიც ენახოს და ნამდვილი გველი, ქვეყნის ამომგდები გამოსულიყოს. ხშირად ეგეც მოხდება ხოლმე, მაგრამ ბედისწერა აქ არაფერ შუაშია. რა ვუყოთ, ზოგი კაცი ავადმყოფობის გამო გულფიცხი, გულ-ანჯახია, მჭამელი, ბოროტი, დაუდეგარი. ამისთანა ბევრი მაგალითი ხდება, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემს ნათქომს მაინც არ ეწინააღმდეგებიან.

ბოროტი არ იბადება არასდროს კაცი. მის გაბოროტებაში გამზრდელი, მშობლები, თვითონ ჩვენა ვართ დამნაშავენი.

ბოროტება, სიგულფიცხე, ბრაზი ბავშვის გულში ცოტ-ცოტა იზრდება, ამაში ჩვენი უყურადღებობა და ცუდი მაგალითია.

ცოლ-შვილში ხშირად თავდაუჭერლად ვიქცევით, რასაც უნდა ვამბობთ, რასაც უნდა ვშვრებით, არ უყურებთ არც გონებას, არც სვინდისს. ბავშვის მახვილი გონება ამას იბეჭდავს გონებაში და გულში, მოსწონს, კარგი ჰგონია. არც ერთი სიტ-

ყვა და საქმე, რომლისაც ჩვენ თვითონ გვრცხვენიან შემდეგ, ბავშვებს არ გამოეპარება.

ამიტომ, რაც უნდა კეთილი გვინდოდეს შვილებისათვის, თუ კეთილს არ გავაგონებთ, კარგს მაგალითს არ ვაჩვენებთ, შვილების სიკეთით დატკბობას ვარ მოვესწრებით. ერთს კაცს უნდოდა მუხიდან ნავის გაკეთება, მაგრამ ბოლოს კბილის საჩიჩქნი ჩხირის მეტი ვერაფერი გააკეთა. ეს დაიხსომეთ მკვიდრად, ნუ დაივიწყებთ. ხომ გახსოვთ ვაჭარს რომ უნდოდა შვილის გადიდკაცება და ციმბირში კი ამოაყოფინა თავი. მარტო სურვილი და სიკეთის სიყვარული შვილებისადმი არა კმარა; ცოდნა, შეგნებაა საჭირო...

დედ-მამამ უნდა შვილებს შესწირონ თავისი სიცოცხლე. უმეტესი ჩვენი ფიქრი, ყურადღება შვილებზე უნდა იყოს მიქცეული. თუ შვილები გვეყვარება, რასაკვირველია იმათაც შეუყვარდებით; რაკი დაინახავენ, რომ გვიყვარს შვილები, გვენდობიან კიდეც, რჩევას გაგვიგონებენ, მაგალითს ჩვენგან აიღებენ და ეცდებიან ჩვენ დაგვემსგავსონ.

ყმაწვილს თუ დედ-მამის რჩევა, სიტყვა არ სწამს, საქმე მორჩომილია არც მაგალითს ექნება ძალა.

თუ გვინდა ჩვენს სიტყვას შვილებმა ფასი დასდონ, ხუმრობითაც ტყუილი არ უნდა ვუთხრათ და სხვებსაც უნდა ვთხოვოთ, ტყუილს არ მიაჩვიონ ჩვენი შვილები. ცხოვრებაში ბევრს განსაცდელს მოელის კაცი, ბევრჯერ დასჭირდება იმას ტყუილის თქმა. ამიტომ მშობლებმა უბრალო ხუმრობაშიც ტყუილს უნდა თავი დაანებონ.

შვილები რაკი გვეყვარება, სასტიკად, მხეცურად არ მოვეპყრობით. შურით და ცემით ბოროტი კაცი ვის გაუკეთილებია?

ცემით დაშინება შეიძლება კაცისა, გაპატიოსნება კი – არასოდეს, სული, მხოლოდ სული მოქმედებს სულზე, მხოლოდ გული იცნობს გულს.

სიყვარულითა და ჩაგონებით შეიძლება ასწავლოს შვილს მშობელმა სიყვარული, გულკეთილობა და გონიერება". (16, 89).

ვაჟას კი დაუწერია ეს მოძღვრება, მაგრამ არ არის ცნობილი, წაიკითხა თუ არა ის ერთად შეკრებილი სოფლის წინაშე. ის კი სავარაუდოა, რომ ხალხთან ურთიერთობისას შინ თუ გარეთ, ბევრჯერ და ბევრთან ექნებოდა ამ საკითხებზე საუბარი.

დაინახა ხალხმა, რომ ვაჟა მათი და მათი შვილების კეთილისმსურველი იყო და გულით მიენდვნენ, შეიყვარეს. შეიყვარეს კიდევ იმიტომაც, რომ მათ იფარავდა, ესარჩლებოდა მამასახლისისა და სხვათა თვითნებობისაგან. რამდენადაც იმათ შეიყვარეს, იმდენადვე შეიძულეს ამის გამო მთავრობის მოხელეებმა, მღვდელმა, მამასახლისმა. თანდათან იძაბებოდა ვითარება. აქაც იგრძნეს, რომ ვაჟა არ აპარპაშებდა ძველებურად, „აწყობილ" ცხოვრებას აურევდა. ამიტომ აქაც ატყდა ჩურჩული მის მოშორებაზე. თანდათან აითვალწუნეს და ცდილობდნენ რაიმე შარის მოდებას, გამოწვევას, რომ თავიდან მოეშორებინათ. იწვევდნენ და ვაჟამაც დაუფიქრებლად მიიღო გამოწვევა.

...მამასახლისის შვილისათვის თავის თანაკლასელს წამოერტყა და ამიტომ მეორე დღეს სკოლაში აღარ მოვიდა. სამაგიეროდ თვითონ მამასახლისი მოვიდა სწავლის დაწყების წინ და თავის შვილის მცემელს დაუწყო ცემა. ცემა ხომ მისი ხელობა იყო; ბავშვები კი არა, გლეხებიც სულ ცემა-ტყეპაში ჰყავდა. ვაჟამ რომ ეს დაინახა, გამოუვარდა, ერთი-ორი უთავაზა და აივნიდან გადმოაგდო, თან მიაძახა: შვილი სკოლაში გამოგზავნე, თორემ უარეს დღეს დაგაყენებო! მეორე თუ მესამე დღეს წინ შემოყრილ მამასახლისს ავად შეუღრენია ვაჟასათვის. ამის პასუხად ვაჟას თავისი თანამედროვე ცნობილი ფშაველი მოლექსის, ფოთოლათ მერცხალას, ნათქვამი კაფია მიუხლია:

„რას მიბღვერ, მამასახლისო, გული რად გიძე დიდია?
მიტომ თუ მედიდგულები, ყელზე რომ ჯაჭვი გკიდია...
სახლი რკინებით სავსე მაქ, ძაღლებიც ჯაჭვით მიბია.
ერთს თუნდა სულში ჩაგაკლავ, რომელიც უფრო დიდია.
შენ რო მე კაცად არ მაგდებ, მეც ხათრი ფეხზე მკიდია!"

მეორედაც მიუბეგვავს ვაჟას მამასახლისი. ამჯერად უკვე მოწაფის მშობლების ცემისათვის. მამასახლისს ჯერ ქრთამი აუღია მათგან, საქმეს გაგიკეთებთო და როცა არ გაუკეთებია, მერე უცემია მათთვის, – როგორ თუ სამდურავს მიბედავთო. ვაჟამ ვერ მოითმინა ასეთი აბუჩად აგდება კაცისა და ცემა ეგრე არ უნდაო...

ამ შემთხვევებში თვითონ მამასახლისიც დამნაშავე იყო და

საჩივარი ვერ გაჭრიდა. კაცის ცემა და ჩხუბი კი დანაშაულად არ ითვლებოდა, თუ ის სამართლიანი იყო, თუ ის ადამიანის ღირსების დაცვას ემსახურებოდა. საჭირო იყო უფრო მძიმე რაიმე ბრალდება წაეყენებინათ, რაღაცაში დაედანაშაულებინათ ვაჟა, რომ საჩივარი ეფექტური ყოფილიყო, რომ მოეშორებინათ. ეს საბაბიც თვითონ ვაჟამ მისცა თავისდა საუბედუროდ და იმათ საბედნიეროდ. ისევ მღვდელი და ეკლესია ჩაერთო საქმეში. სარწმუნოებასთან, იდეოლოგიასთან მკრეხელური დამოკიდებულების ბრალდება უფრო ჭრიდა, რაც იმ დროს სამშობლოსა და მეფის ღალატს უდრიდა. სახელმწიფო იდეოლოგია ქრისტეს რწმენა იყო. ეს იყო ხალხის მორჩილებაში ყოლის იდეოლოგია. „მოთმინებითა შენითაო", უქადაგებდნენ და ვინც არ ითმენდა, ის ქრისტეს უარმყოფელი გამოდიოდა. იმთავითვე ქრისტიანობაც და ყველა სხვა რელიგიაც, იდეოლოგიაც, ხალხის დამონების, ხალხის მორჩილებაში ყოლის იარაღი იყო სახელმწიფოს ხელში. მართალია, ქრისტიანობა ამასთან ერთად გადამრჩენელი იყო ქართველი ერისა, მან დიდი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის, თვითმყოფადობის საქმეში, მაგრამ XIX საუკუნეში მან სულ სხვა სახე მიიღო: მეფის რუსეთის ხელში ის იქცა კოლონიური ქვეყნის სრულ მორჩილებაში, მონობაში მოთმინებით ყოფნის იდეოლოგიად. ვინც ჩაგვრის წინააღმდეგ ხმას აღიმაღლებდა, მას ანტიქრისტეობას, ურწმუნობას, ღალატს სწამებდნენ.

ვაჟა ამაში კარგად ერკვეოდა და ამიტომაც ამბოხებული იყო არა იმდენად ქრისტიანობის, რამდენადაც მისი არსის წინააღმდეგ. ის ეწინააღმდეგებოდა მღვდელსა და ეკლესიას იმიტომ, რომ მათში ხედავდა მეფის რუსეთის დამპყრობლურ-მჩაგვრელური პოლიტიკის გამტარებლებს, დამცველებს, ჯაშუშებსასულიერო პირნი ვალდებულნი იყვნენ ყოველი აღსარება ჟანდარმერიისათვის ეცნობებინა. ეს დააკანონა პეტრე I-მა და ასე მოდიოდა. მშიშრები და ლაჩრები სწორედ სარწმუნოებასთან მიმართებაში იჩენდნენ პირმოთნეობას, თვალთმაქცობას. ვაჟა კი, პირიქით, სწორედ აქ ამჟღავნებდა პროტესტს. ამიტომ ის თავიდანვე ცუდ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა სოფელ დიდთონეთის ეკლესიის მთავართან, მამასახლისის ცოლისძმასთან, დ. შავშიშვილთან. მას უსაყვედურებია ვაჟასთვის: წირვა-ლოცვაზე რატომ არ დადიხარ ან მარხვას რატომ არ იჭერო? „მარხვა ის არის, რომ კაცი არ მოატყუო, არ დააბეზღო და ბოროტება არ ჩაიდინო", – უთქვამს ვაჟას.

ვაჟა სკოლაში არც საეკლესიო გალობას ასწავლიდა ბავშვებს. ი. მანსვეტაშვილმა სკოლის შემოწმებისას ერთ-ერთ ნაკლად ეს ჩაუთვალა ვაჟას. აი, რას წერდა იგი: „ერთი ნაკლი კიდევ სკოლისა, რომელსაც თვით მასწავლებელი გრძნობს, ის არის, რომ საეკლესიო გალობას არ სწავლობენ ყმაწვილები. მასწავლებელი თვითონაც ძალიან სწუხს, მაგრამ, რა ვქნაო, შემომჩივლა, მე თვითონ არ ვიციო. მაგრამ იმედია, რომ დღეის იქით ეს ნაკლი აცილებული იქნება. იქაურს მთავარს კარგად სცოდნია საეკლესიო გალობა, მე ვთხოვე, რომ ეს მოვალეობა იმას ეკისრნა. მთავარმა დიდის სიამოვნებით თანხმობა გამოაცხადა და იმედიც მომცა, რომ ზაფხულისათვის თითქმის მთელი წირვის გალობა ეცოდინებათო, საერო სიმღერები კი თვით მასწავლებელს უსწავლებია და რიგიანადაც მღერიან".

გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების ატესტატში ვაჟას „სიმღერა-მუსიკაში" „5" უწერია. ქართულ ხალხურ სიმღერებსაც მღეროდა და ბავშვებსაც რიგიანად ასწავლიდა. რომ მოეწადინებინა, შეძლებდა საეკლესიო სიმღერების შესწავლასაც, მაგრამ პრინციპულად არ სწავლობდა და არც ბავშვებს ასწავლიდა.

მაშინდელ ვითარებაში ქრისტიანობის ნამდვილ არსს მარტო ვაჟა კი არა, ბევრი საღად მოაზროვნე ხვდებოდა და ამიტომ ნელნელა ეკარგებოდათ რწმენა. განსაკუთრებით მთაში იყო პირნაქცევი ხალხი — ისევ ძველისაკენ, ნიშებისა და ხატ-სალოცავებისაკენ იბრუნეს პირი; ამიტომ XIX საუკუნის ნახევრიდან შეიქმნა „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება", რომელმაც მთაში თუ ბარში, თითქმის ყველა სოფელში, ააშენა საყდარი. ვაჟა განსაკუთრებით ამ საყდრების მიმართ ამჟღავნებდა უნდობლობას.

მწერალი დავით კასრაძე იგონებს: „ერთხელ ვაჟასთან ერთად პირველი გიმნაზიის ახლოს ვიდექით. ჩვენთან ჩემი თანამოსწავლე ამხანაგებიც იდგნენ. აქვე ახლოს იყო სამხედრო ტაძარი. ვაჟამ შეხედა ამ ტაძარს და სთქვა: ნეტავ ამას კი არ დავი-

ნახავდე და თუნდა ამ მეორე თვალსაც მოვითხრიდიო. „რატომ-თქო?" – შევეკითხე. ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა ვაჟას სიტყვებმა. „ეს ძეგლი, – თქვა ვაჟამ, – შამილის ბრძოლების დამარცხების ნიშანია; ნიშანია კავკასიის დაპყრობისა და მეფის ხმლით დიდებისაო".

ეს არაოფიციალურად. ოფიციალურად კი ეს აზრები არანაკლებ პირდაპირობითა აქვს ნათქვამი თავის პუბლიცისტურ წერილებში. ერთ წერილში „ხევისბრობა მთაში და მისი დღევანდელი სვე-ბედი", ვაჟა წერდა: „სასულიერო მთავრობამ ბევრ ადგილას, საცა ხატობა, დღეობა იმართება, საყდრები ააშენა ფშავში და ხევსურეთში, მაგრამ ხალხი მაინც გაურბის საყდარს და სანთლის დანთება ურჩევნია სადმე იქვე, იმ წმინდა ადგილის მიდამოში, დახავსებულ ლოდზე, ვიდრე გაბრწყინებულ ეკლესიაში... ეჭვი არ არის, რომ ეს მდაბიოდ, მდაბიო ადგილას ვედრება ღვთისა, შეიცავს პროტესტს ეკლესიური ღვთისმსახურებისა და მღვდლების წინააღმდეგ".

ვაჟა, როცა ამას წერდა, რა თქმა უნდა, იმავე აზრისა იყო, ისიც მხარს უჭერდა იმ მდაბიო მთიელთა აზრს და ისიც იმავე თვალით უყურებდა მეფის რუსეთის პოლიტიკის დასაყრდენ ეკლესია-საყდრებს და მათ მსახურთ. მღვდლების შესახებ თავისი აზრი უფრო კონკრეტულად ჩამოაყალიბა მეორე პუბლიცისტურ წერილში „მღვდლების ვინაობა".

„იქნება სთქვათ: მღვდლობა, ანაფორები რას გვიშლისო, მაგრამ ხომ ყოველი „პრისტავი" ამბობს და გეფიცება, როცა ეტყვი გაიხადე მუნდირი და გამოდი სამსახურიდან და ხალხს შეუერთდიო, დიაღ, ფიცითა სქდება: ნამდვილი ქვეყნის ერთგული ვარ, მუნდირში ხალხს უფრო ბევრში რაშიმე გამოვადგებიო. საქმით კი გამოდის, რომ ამჯურა ხალხს ვნების მეტი ქვეყნისათვის არაფერი მოაქვს, რადგან ვის პურსაცა სჭამენ, იმის ხმალს იქნევენ. ძაღლი საცა სალაფავსა სჭამს, იქა ჰყეფს...

ეს ერთი ჯურა მღვდლების ვინაობა ვიცით, ხოლო არიან სხვა მღვდლები, რომელნიც არ ვიცი რომელ პარტიას ეკუთვნიან. მე ვამბობ ხევსურეთის მღვდლებზე. ამ რამდენიმე წლის წინათ ქრისტ. აღმდ. საზოგადოებამ ააშენა, საცა არა მგონია, ხევსურეთში საყდრები და დანიშნა მღვდლები. საკმაო ჯამაგირიც გაუჩინა, თითო მათგანი იღებს წელიწადში 600 მანეთს და

ერთხელ თუ დაენახვება წლის განმავლობაში თავის მრევლს, დანარჩენი დრო თავიანთ სახლებში სხედან (ნუ დავივიწყებთ რომ ეს მღვდლები სულ ბარელები არიან გარდა ს. ახიელისა) და იღებენ პენსიებს. აი, ესეც ნიმუში ბიუროკრატიის კეთილგონიერებისა. სად არიან ეს მამანი? რას ფიქრობენ? ნუთუ არაფერს მოვალეობას არ ჰგრძნობენ წინაშე ერისა"...

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ მთიელები მღვდლების წინააღმდეგნი იმდენად არ იყვნენ საერთოდ: მათ ასე თუ ისე იცოდნენ ისტორიულად დიდი დამსახურება სამღვდელოებისა ქართველი ერის წინაშე. არა, ისინი ვერ ურიგდებოდნენ ახალი დროის თაღლით მღვდლებს, მატყუარებს, უწმინდურებს, გაიძვერებს, მედროვეებს; იმათ, ვინც სამღვდელოებაში მხოლოდ და მხოლოდ კარგი ცხოვრებისათვის შედიოდა და არა რწმენისათვის ან ხალხის, ქვეყნის სამსახურისათვის. თანაც მეფის ხელისუფლება რა უხვია თავის იდეოლოგიის გამტარებლების მიმართ: 600 მანეთს აძლევენ წლიურად, როცა ვაჟა-ფშაველას და მის მსგავს სკოლაზე გადაყოლილ მასწავლებელს ზუსტად მის ნახევარს აძლევენ – 300 მანეთს, თანაც იმასაც გლეხებს ახდევინებდნენ.

გარდა ამისა, ხალხსაც ყვლეფავდნენ და მთის სალოცავებიდან განძეულსაც იპარავდნენ. ამის გამოც დაუნდობლად ებრძოდა ვაჟა სამღვდელოების ზოგ უსინდისო წარმომადგენელს. ბესარიონ ტუქსიშვილი შესწრებია, ვაჟა მაღაროსკარში ოქრომჭედელ დავით ჯანაშვილს ელაპარაკებოდა თურმე გაბრაზებული: ეგ ჯვარი გააკეთე და იმ ქურდს არ წააღებინო ქალაქში, იქვე უნდა მიიტანოს, საიდანაც წამოიღო. ეგ ბერი კი არა, მძარცველი ყოფილა, ფშავლების ქონებას იტაცებსო. აქ იპარავს, ჩააქვ ქალაქსა და იქ ეპისკოპოსებს ასაჩუქრებს – ალბათ ღვდლობასა ჰპირდებიან. მე ამას მამასახლისსაც დავავალებო.

ვაჟა რო წავიდა, მივედი და დავითსა ვკითხე, რაზე იყო ვაჟა გაჯავრებულიო? იმაზეო, მითხრა, რო თამარღელის ეკლესიის ბერმა ხელაშვილმა ვერცხლის ჯვარი მომიტანა, ტარი აქვს გატეხილიო. რა ვიცი სად მიჰქონდა. ეს გაუგია ვაჟას და არც დასთმობს... რა ხათაბალა გამიხდაო.

აი, ეს განწყობილება ვაჟას სულის ამბოხად ექცეოდა ხოლმე, როცა საქმის გამო უხდებოდა მღვდლებსა და სხვა მოხელეებთან ურთიერთობა. უჭირდა თავის შეკავება, რომ ან სიტყვით,

ან კალმით, ან მუშტით არ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება მათდამი. ამ ამბოხის გამოხატულება იყო ისიც, რაც ვაჟამ დიდთონეთის ოპოზიციის მიმართ ჩაიდინა და რითაც მათ კარგი სამსახური გაუწია.

დიდთონეთის ეკლესიის გალავანში, ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ აშენებული საყდრის კედელსა და გალავანზე ნიშანი მიაკრა და თოფის სროლაში ვარჯიშობდა. განა ან თოფის სასროლი ადგილი სხვა არ იყო, ან არ იცოდა რას აკეთებდა, მაგრამ ამით ის მეფის რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას, დამონების იარაღს თოფავდა, გულს იფხანდა. ბრძოლა ეწადა, იარაღით ბრძოლა. იმ ხანებში გამოაქვეყნა „პაპიჩემის ანდერძი".

„ნუ დაისვენებ, ებრძოლე მტერს, მინამ გიდგა სულიო.
შვილო, მეც ეგრე ვიყავი, ეგ არი ჩვენი რჯულიო".

თოფის ხმაზე შეიძრა სოფელი: „ვინ არისო, ვინაო?" და მამასახლისი, ეკლესიის მთავარი და სხვა მოხელენი ფაცხა-ფუცხით წამოადგნენ თავს ვაჟას. წინასწარ ზეიმობდნენ მისთვის ჭკუის სწავლებას, რადგან „დანაშაულზე წაასწრეს". ეგონათ, ვაჟას შეაშინებდნენ; რაკი დანაშაულზე წავასწარით ქედს მოვახრევინებთო. ყვირილითა და მუქარით მოსთხოვეს შეეწყვიტა თოფის სროლა და მოსცილებოდა იქაურობას. ვაჟა დაერია მამასახლისსა და ნაცვლებს, ჯაჭვები ჩამოგლიჯა ყელიდან და ცემა-ტყეპით დაირეკა სოფლისაკენ.

ეხლა კი მიეცათ ნამდვილი საბაბი „ველური მთიელის" თავიდან მოსაშორებლად. იმავე დღეს შეადგინეს საჩივარი და ბოქაულ ლუკოვსკის მიართვეს. ბოქაულმა თავის მხრივ იშუამდგომლა თბილისის მაზრის უფროსის წინაშე „მავნე და მთავრობის მოწინააღმდეგე" მასწავლებლის სოფლიდან გაძევების თაობაზე. ლუკოვსკი მხოლოდ ამით არ კმაყოფილდებოდა, ითხოვდა ვაჟას პასუხისგებაში მიცემას. მართლაც, მაზრის უფროსმა თბილისში გამოიძახა ვაჟა, მისი დაპატიმრება ჰქონდა განზრახული. ამ საქმეში ჩაერია სკოლის მზრუნველი კონსტანტინე ყავრიშვილი და თავისი თავდებობით ვაჟას პატიმრობა ააცდინა. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" კი აცნობეს, თითქოს დიდთონელებს ეთხოვოთ გუბერნატორისათვის – სკოლა დაგვიხურეთო. „ქ. შ. წ. –კ. გ. საზოგადოების" გამგეობამ თავის ერთ-ერთ წევრს, საქმეთა მწარმოებელს ი. მანსვეტაშვილს, დაავალა სოფელ დიდთონეთში ასვლა და საქმის გამოკვლევა. ის იქ 1887 წლის 8 ოქტომბერს ჩავიდა და სამი დღის მანძილზე იძიებდა საქმის ვითარებას. გაირკვა, რომ სკოლის დახურვის მოთხოვნა ვაჟას მოწინააღმდეგეთაგან მოგონილი ტყუილი იყო. ამაში მანსვეტაშვილი დაარწმუნა არა მხოლოდ ხალხის გამოკითხვამ, არამედ იმ ფაქტმაც, რომ სწორედ მაშინ პროკურორმა, ჟანდარმერიის კაპიტანმა და მაზრის პოლიციამ გამოიძია ბრალდება, თითქოს გლეხებს ხელმწიფის სურათი დაეხიოთ, რაც ტყუილი აღმოჩნდა. ამ ამბავს დაწვრილებით აღწერს ი. მანსვეტაშვილი და დასძენს: „ეს ამბავი მე იმიტომ მოვიყვანე, რომ, ჯერ ერთი, მეჩვენებინა ზნეობითი სახე თონელების უმეტესი და გავლენიანი ნაწილისა, მეორე კიდევ იმიტომ, რომ ჩემის აზრით, ამ საქმეს კავშირი აქვს სკოლის საქმესთან. მე ვგონებ, რომ სათავე იმ ხმებისა, რომელიც იქ გვითხრეს, ვითომ თონელებს განზრახვა აქვთ გუბერნატორს ქაღალდი მისცენ სკოლის დახურვის თაობაზეო, აქ უნდა იყოს. ეს ხმები უნდა დაეყაროთ და ეს განზრახვა უნდა დაბადებოდათ იმათვე, რომელთაც თავისი ღარიბი მოძმენი არ დაიშურეს და ისეთი მძიმე დანაშაულება დასწამეს, როგორც ხელმწიფის პორტრეტის დახევა. და რადგანაც ამასთანავე მასწავლებელზე გუმანი ჰქონდათ შეტანილი, რომ ვითომ ის უმართავდა ხელს და გზას უჩვენებდა იმ გლეხებს, რომელნიც მიწის გაყოფას იყვნენ მოწადინებულნი, ამიტომ ამისთვისაც ხელი მიუყვიათ, რომ ეგება აქედან მოვიშოროთო. მაგრამ, რადგანაც პირველი ბოროტი საქმე ვერ აუსრულდათ, ეხლა ამისათვის თავი დაუნებებიათ და ყველა ერთხმად მეფიცებოდა, რომ ჩვენ თავის დღეში მაგისთანა არაფერი გაგვივლია გულშიო, სკოლისაც და მასწავლებლისაც მადლიერნი და კმაყოფილნი ვართო".

რაკი საქმე ისე არ წარიმართა, როგორც ვაჟას მოწინააღმდეგეებს სურდათ, დროებით შეძვრნენ, შეიმალნენ, თავიც მოიკატუნეს იმის შიშით, ცილისწამებისთვის პასუხი არ მოგვთხოვონო. მაგრამ ვაჟას იქ დარჩენის აზრს ვერ შერიგებოდნენ. ამიტომ, რაკი ძველი შერჩათ, მალევე განაახლეს ჩივილი და ახალი

ვაჟა ფშაველა ივერიაში ილიასთან

ი.მამისაშვილის ნახატის ილუსტრაცია

ცილისწამებები. მაზრის უფროსმა უკვე აღარ დაუჯერა მათ საჩივარს და ყურადღებაც აღარ მიაქცია. ამიტომ მათ „წ. კ. გ. საზოგადოებას" მიმართეს ცილისმწამებლური წერილით, თითქოს ვაჟა ბავშვებს სცემდა, ლანძღავდა და მისი შიშით სკოლას აღარავინ ეკარებოდა.

ეს იყო ნოემბერში, ი. მანსვეტაშვილის დიდთონეთში ყოფნის ერთი თვის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მან ეს ყველაფერი თავისი თვალით ნახა და თავისი ყურით მოისმინა, ეს ცილისწამება მაინც რატომღაც დაიჯერა. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან" იმავე მანსვეტაშვილის ხელმოწერილი წერილი მიიღო ვაჟა-ფშაველამ: არასასიამოვნო ამბები მოდის თქვენზე, რომ ხალხს მკაცრად ეპყრობით, ლანძღავთ, აგინებთ, სცემთ; სკოლაშიც სულ ხუთიოდე შეგირდიღა დადის. თვითონაც კარგად გესმით თუ მასწავლებელსა და სოფელს შორის

განხეთქილებაა, მაშინ მასწავლებელს იმ სკოლაში აღარ დაედგომება. ეცადეთ, როგორმე ყველა ეს ცილისწამება უარყოთო.

ყველა-ყველა, მაგრამ მანსვეტაშვილისაგან მიწერილმა წერილმა გააოცა ვაჟა. მეტი რა გზა იყო, ადგა და ვრცელი ახსნა-განმარტება გაუგზავნა „წ.-კ. გ. საზოგადოებას". გამგეობამ ეს ბარათი განიხილა ილია ჭყონიას თავმჯდომარეობით და ვაჟა გაამართლა. ამან ცოტა დაამშვიდა ვაჟა, თორემ ძალზე განერვიულებული ყოფილა ამ უსულგულო ბრალდებით.

ვაჟა კი გაამართლეს, მაგრამ ბოროტი ძალა მაინც არა ცხრებოდა. რაკი თავისას ვერ მიაღწიეს, ახლა გამგეობის თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძეს, მიმართეს პირადად, უფრო ჩამოყალიბებული ცილისწამებებით სავსე თხოვნით. ამის საფუძველზე, 1888 წლის ივნისის დასაწყისში, „გამგეობამ" ვითარების გასარკვევად და საგაზაფხულო გამოცდებზე დასასწრებად ახლა მეორე თავისი წევრი ალ. მირიანაშვილი გაგზავნა დიდთონეთში. ვაჟას ამ დროისათვის ბავშვები უკვე დათხოვნილი ჰყავდა, რადგან ყვავილის ეპიდემია გავრცელდა. თვითონ კი ჩარგალში იყო წასული. ამით კარგად ისარგებლეს ვაჟას მოწინააღმდეგეებმა, მამასახლისმა გაუწია მასპინძლობა მირიანაშვილს და ყველაფერი ისე ჩააწერინეს, როგორც მათ უნდოდათ. რამდენიმე სუსტი, ჩამორჩენილი ბავშვი მოუყვანეს, გაასაუბრეს და შთაბეჭდილება ცუდი შეუქმნეს. ყოველივე ამის შედეგად მირიანაშვილმა უარყოფითი დახასიათება წარუდგინა გამგეობას. სხვადასხვა ბრალდებათა შორის ჩამოთვლილი იყო ასეთებიც: „საღმრთო რჯული მეტად სუსტად იციან ბავშვებმა"... „ლექსების კითხვაში ჩქარობენ, მიუხედავად დასვენების ნიშნებისა და აზრისა" და სხვა მისთანები.

ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ, იმავე წლის 11 ივნისს, ხმების უმეტესობით გადაწყდა ვაჟას დათხოვნა სკოლიდან. არ დაეთანხმნენ ა. ჭყონია, ნ. ცხვედაძე, ვოლსკი და ფავლენიშვილი. ვაჟამ, როცა თავისი მოხსნის ამბავი შეიტყო, კიდევ გამოუგზავნა „წ.-კ. გ. საზოგადოებას" ახსნა-განმარტებითი ბარათი, სადაც ბრალს სდებდა მირიანაშვილს არაობიექტურობასა და არაკეთილსინდისიერებაში, მაგრამ აღარაფერი გამოვიდა. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ბოროტი ძალების დაჯგუფება უფრო აქტიური და ძლიერი გამოდგა კეთილ ძალთა წინა-

აღმდეგ. ვაჟა სხვას არაფერს ითხოვდა, სიმართლის გარკვევის მეტს, მაგრამ სიმართლე ამჯერადაც ფეხქვეშ გაითელა.

ვაჟას არ უნდოდა დიდთონეთიდან წასვლა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ უყვარდა თავისი პროფესია და კარგადაც ჩაერთო საქმეში; მეორეც, ოჯახის შესანახად ხელფასი სჭირდებოდა, არსებობის საშუალება და მესამეც, არ უნდოდა ნაძირალების, ვიგინდარების გული გაეხარებინა, მათი დასაცინი გამხდარიყო, ერცხვინებოდა ხალხისა და ქვეყნის თვალში. მართლაც და, რა საშინელება იქნებოდა ამაყი, ქედუხრელი ვაჟასათვის ასე გამობუნძულება.

დიდთონეთის გლეხობამ, იმათ, ვისაც ვაჟა ფარად ედგა, ექომაგებოდა, ეხმარებოდა, როცა მისი მასწავლებლობიდან განთავისუფლების ამბავი გაიგეს, ძალიან შეწუხდნენ. დაუყოვნებლივ შეადგინეს თხოვნა, რომელსაც ასოთხმოცმა კაცმა მოაწერა ხელი და ილია ჭავჭავაძეს მიართვეს. თხოვნაში ეწერა: „რადგანაც ჩვენ, მთელ თონეთის საზოგადოებას, გვსურს ლუკა რაზიკაშვილი ისევ მასწავლებლად, არაფერი დანაშაული არ აქვს სოფელთან სიკეთის მეტი და არც სკოლის შეგირდებთან, ჩვენ ამაზე უკეთესი მასწავლებელი არ გვინდა და წერა-კითხვის გამგეობასაც ვსთხოვთ ჩვენი თხოვნა მიიღოს. თუ ერთი-ორი კაცი უჩივის ჩვენს მასწავლებელს, საზოგადოებასთან იმათ საქმე არა აქვთ".

ამ თხოვნას ასოთხმოც კაცთან ერთად ხელს აწერდა დიდთონეთის მთავარდიაკვანი, ხოლო მათ ხელმოწერებს ბეჭდის დასმითა და ხელმოწერებით ადასტურებდნენ დიდთონეთის ახალი მამასახლისი ნიკო ბერუაშვილი და ამავე სიფლის მოსამართლეები პავლე გოგიჩაშვილი და სოლომონ მჭედლიძე.

ეს თხოვნა გამგეობამ განიხილა, მაგრამ უყურადღებოდ დატოვა.

კიდევ ერთი მარცხი განიცადა ვაჟამ. იმედი ჰქონდა, „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება" დაიცავდა, მაგრამ ამაოდ. ახალი მამასახლისი, ეკლესიის წარმომადგენელნი, გლეხები ითხოვდნენ ვაჟას, ის კი რატომღაც იმ ძველთა და მოხსნილთა ცილისწამებას მიაყოლეს. მართალია, ვაჟა ზოგ შემთხვევაში შეიძლება თავშეუკავებელი იყო, მაგრამ როგორ შეიკავებდა თავს ვაჟკაცი კაცი, როცა მოსწავლეს უცემდნენ სკოლაში, თვალწინ.

ის ხომ იმ დროს ვაჟას საპატრონო იყო და ვაჟა ვალდებული იყო დაეცვა. რანაირად შეიძლებოდა მკლავი არ გაეშალა იქ, სადაც ყოველ ნაბიჯზე მკლავი იშლებოდა. ნათქვამია: „მგლებში ჩავარდნილმა მგლებივით უნდა იყმუვლოსო". ვაჟას იქ რომ ინტელიგენტური შეგონებები დაეწყო, სასაცილოდ აიგდებდნენ. მუშტის ენა იყო საჭირო იმათთან ვინც მუშტით ლაპარკობდა, სხვანაირად ვერაფერს გააგებინებდა. ეს დიდთონელებმა გაიგეს, წერა-კითხვის საზოგადოებაშიც გაიგო ბევრმა. გაიგო თვით იმ ძველმა მამასახლისმაც, ვისაც ვაჟამ სცემა, რადგან მან ამ ცემის გამო არ უჩივლა. ვაჟა მუშტი-კრივისათვის არავის გაულანძღავს მაშინ, როცა „ივერიის"რედაქციიდან პანღურით ისროლა კაზაკთა თავხედი ატამანი აშინოვი, რომლის მუქარისაგანაც ვერხვის ფოთოლივით კანკალებდნენ სწორედ ისინი, ვინც ვაჟას მოხსნა „მიუსაჯა". მაშინ მთელ ქალაქს მოსდეს ვაჟას გმირობის ამბავი, აქებდნენ, ლოცავდნენ. საინტერესო იქნებოდა ერთი, რას გააწყობდნენ ზრდილობიანი ახსნა-განმარტებებით ხანჯალმოღერებულ ავანტიურისტთან.

ერთადერთი კაცი, ვისაც არასოდეს არვისი ეშინოდა და ვისაც ვაჟას დაცვა შეეძლო, ილია ჭავჭავაძე იყო. სხვათა საპირისპიროდ ის დიდადაც აფასებდა მას, მაგრამ ამ შემთხვევაში არც მან დაიცვა, რადგან ჩანს ნაწყენი იყო ვაჟაზე. ილიასადმი წარდგენილ ცილისმწამებლურ საჩივარში დიდთონელები წერდნენ, რომ ვაჟამ ეკლესიას თოფის სროლა აუტეხა, ურწმუნოაო. სინამდვილეში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაჟა ნაძალადევ საყდრებს და რელიგია-პოლიტიკას უცქერდა ალმაცერად და ქართული არც ეკლესია და არც რწმენა არასოდეს უარუყვია.

ილია ჭავჭავაძე ქრისტიანობას, მის რწმენას ქართველობის შენარჩუნებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს ძალად თვლიდა. ამიტომ იყო, რომ მთელ თავის შემოქმედებაში ქრისტიანობის ერთგულებას ქადაგებდა, ე.ი. ქართველობისათვის ერთგულებას, ხოლო ქრისტიანობისათვის ღალატს, ქართველობისათვის ღალატთან აიგივებდა; ამ ღალატის გულში გავლებასაც კი დაღუპვად თვლიდა. ასეა ეს ჩაფიქრებული „განდეგილში" (2, 34). თვითონაც მორწმუნე იყო ილია და სისტემატურად დაიარებოდა ეკლესიაში.

ანდა, შეიძლება მართლაც, ილიას არ სიამოვნებდა დიდ შე-

მოქმედებისათვის მოწოდებული პიროვნების წვრილმან კინკლაობაში დროისა და ენერგიის დაკარგვა. უნდოდა, რომ ვაჟას მთელი ენერგია შემოქმედებისათვის მოენდომებინა. ილიას ადრევეც უნდოდა, პეტერბურგიდან ხელმოცარულად დაბრუნებული პოეტი თავისსავე მასაზრდოებელ ატმოსფეროში გაებრუნებინა. მაშინ ძმებს ყიფშიძეებს უთქვამთ ილიასათვის: ვაჟას ფული ვუშოვოთ და ბერლინის უნივერსიტეტში გავგზავნოთო. ილიას შუბლი შეუჭმუხნია: „ბატონებო, ვაჟა პეტერბურგიდან იქნებ ბედმაც დააბრუნა, ახლა გერმანიაში უპირებთ გაგზავნას? ძლიერ კარგი, მაგრამ იცით კი რა გამოვა? თავი გაანებეთ, გერმანიაში იქნებ არაფერი გამოუვიდეს, უკეთეს შემთხვევაში ფილოსოფიას დაეწაფება, მაშინ ფანდურს მაღლა ჭერში შესდებს. ვაითუ, ვერც ფილოსოფოსად ივარგოს, ფანდურიც სამუდამოდ დაემსხვრას. მაგას ჰონორარი დაუნიშნეთ, ისევ მთაში წავიდეს და წეროს – თავისებური ფანდურის ჟღერით დაგვატკბოსო" (ი. იმედაშვილი) (46, 309).

ილია თავიდანვე კარგი შეხედულებისა იყო ვაჟას შემოქმედებაზე. 1886 წელს გამოქვეყნებული ორმოცამდე სხვადასხვა სახის ნაწარმოებიდან რამდენიმეს გარდა ყველა „ივერიამ", ილიამ, გამოაქვეყნა და აქედან ოცამდე ლექსი და ორი პოემა – „მოხუცის ნათქვამი" და „გიგლია". ეს იმ დროს, როცა ილია ლექსებს ძალზე იშვიათად ბეჭდავდა თავის „ივერიაში", ძალზე მკაცრი და მომთხოვნი იყო.

„ივერიის" თანამშრომელი გრ. ყიფშიძე კრებულში „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება" წერს: „კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა თავის თავსაცა და სხვასაცა. ამ მხრივ არავის ჰზოგავდა, არც თავის თავს, თავის ნაწერებს, მეტადრე პოეზიას, დიდად არ აფასებდა და ამ მხრივ მეტად თავდაბლობდა. ისე მოსწონდა ვაჟა-ფშაველას ნაწერები, მეტადრე პოეტური პროზა და პოეზია, საერო კილოზედ აგებული, რომ მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ჭეშმარიტი, ნამდვილი პოეტი ეგ არისო. მაგის ლექსებსა და პოემებს რომ ვკითხულობ, აგრეთვე ბაჩანასას, მრცხვენიან, ჩემის მელექსეობისა და ახლა ხომ კალამს როგორღა ავიღებ ხელში ლექსის დასაწერადაო". (21, 102).

რედაქციის თანამშრომლებსაც გადაჭარბებულად მიაჩნდათ

ილიას აღტაცება ვაჟა-ფშაველათი. უმეტესობა მკითხველი საზოგადოებისათვის კი, რა თქმა უნდა, გაუგებარი იყო ვაჟას შემოქმედება. არ მოსწონდათ მისი ხალხური სტილი, უფრო სწორედ ამის გამო პოეტად არ თვლიდნენ და ხალხური მელექსის დონეზე აყენებდნენ. განსაკუთრებით არ მოსწონდათ ყურსმიუჩვეველი ფშაური კილო და „მაღალგემოვნებიანი" მკითხველი „ივერიის" რედაქციას ანონიმურ წერილებსაც კი სწერდა, რომ „შეეწყვიტათ ვაჟას ლექსების ბეჭდვა და მით გაზეთის ავტორიტეტი აეწიათ".

მიუხედავად ასეთი საერთო დაუნახაობისა, ილიას შორს და ღრმად ხედვამ მაინც შეამჩნია თავიდანვე ვინ იყო ვაჟა. „წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების" საქმეთა მმართველი და გაზეთ „ივერიის" თანამშრომელი ი. მანსვეტაშვილი გვიამბობს: „ვაჟამ თავისი „მოხუცის ნათქვამი" მოგვიტანა „ივერიაში" დასაბეჭდად. რედაქციაში შევიკრიბენით თანამშრომლები, ხელნაწერი წავიკითხეთ. მკითხველის მოვალეობა კისრად ედვა გიგა ყიფშიძეს, რომელსაც რედაქციის მედავითნეს ვეძახდით. გიგამ თავისებურად გრძნობით გადააბულბულა.

– გიგა, აბა, ერთი კიდევ გადაიკითხე! – ეუბნება ილია.

გიგამ გადაიკითხა,ილია დიდხანს ჩაფიქრებული იჯდა. ეტყობოდა, დიდი შთაბეჭდილება იქონია წაკითხულმა. მერე, თითქოს ძილიდან გამოერკვაო, ილიამ აღტაცებით წამოიძახა შემდეგი სიტყვები, რომელიც წინასწარმეტყველური აღმოჩნდა:

– არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი უნდა ძირს დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!" (46, 308).

ეს სიტყვები მანსვეტაშვილსაც და ივერიის სხვა თანამშრომლებსაც გადაჭარბებულად მიუჩნევიათ. ასევე მიუჩნევია თვით ვაჟა-ფშაველასაც, როცა ილიას ნათქვამი გადაუციათ, მაგრამ ძალიან კი გახარებია და წახალისებულა. გალაღებული იყო იმ ხანებში ვაჟა – საქმე წაღმა მიუდიოდა. თავისი საყვარელი საქმე – მასწავლებლობა, საყვარელი მეუღლე და მწერლობაშიც ილიასაგან ასეთი შეფასება, ერთ წელიწადში ორმოცამდე ნაწარმოების გამოქვეყნება! მართლაც, მწვერვალზე იყო. და უცებ საქმის ასეთნაირად შემობრუნება!

დარჩა ვაჟა უადგილოდ, ულუკმაპუროდ. – რა ვქნა, როგორ ვიცხოვრო, არსებობა ხომ მინდაო? – კითხულობდა გულმოკ-

ლული. ისევ „წ.-კ. გ. საზოგადოებამ” სცადა ვაჟასათვის ხელის გაწოდება „ვაჟას რედაქციაში მოწვევა მუდმივ მუშაობისათვის გადაწყვეტილი იყო. მხოლოდ ილია ცოტად ეჭვობდა და გვეუბნებოდა:

– კარგსა ვშვრებით, გამოგვადგება? ან კიდე, რომ გამოგვადგეს, ცოდო არ იქნება, მისი ნიჭი გაზეთის მუშაობაში ჩავკლათ?!

მართალს ამბობდა ილია. აქაც წინასწარმა გრძნობამ არ უმტყუნა მას და მალე თვით ვაჟამ მოგვცა პასუხი ზემოთ მოყვანილ საეჭვო საკითხებზე.

ვაჟამ რედაქციაში იმუშავა მხოლოდ სამი დღე. ვაძლევდით გადასაკითხად და გასასწორებლად კორესპონდენციებს, ვათარგმნინებდით პატარა წვრილ ამბებს რუსული გაზეთებიდან. ორ დღეს მუშაობდა, თუმცა იმის მუშაობას დიდი ხალისი არ ეტყობოდა. მოვიდა რედაქციაში მესამე დღეს, ცოტა ჩაფიქრებული იყო... იმავე დღეს ვაჟამ გამოგვიცხადა, რომ რედაქციას თავს ანებებს: მე აქ მუშაობას ვერ შევძლებო. რედაქციას თათბირი ჰქონდა და ასე გადავწყვიტეთ: მიგვეცა ვაჟასათვის თვეში ხუთი თუმანი და ვაჟას სამაგიეროდ, ევალებოდა თვეში რაიმე ნაწარმოები უსათუოდ მოეწოდებინა. ვაჟა აიბარგა და გასწია თავის ჩარგალში. დაუბრუნდა არწივი თავის საყვარელ მთებს”. (31, 107).

ი. მანსვეტაშვილი რომ წერს, რედაქციაში ვაჟა უხალისოდ მუშაობდაო, გულისხმობს და სხვანიც ამას გულისხმობენ, თითქოს ვაჟას მთები ენატრებოდა და თბილისში ყოფნა არ შეეძლო. არ არის მართალი! ვაჟას უჭირდა ყოფნა იმათ შორის, ვინც არ დაიცვა, ვინც სოფლის ვიგინდარების, ხალხისა და ქვეყნის წინაშე მართალი გაამტყუნეს, არ დაიცვეს. რედაქციაში შენიშვნაც მისცეს — მაგიდა დაულაგებელი გაქვს, მტვრიანიაო! ნაწყენი იყო და კმაყოფილი, გახარებული კაცის ნიღაბს ვერ აიფარებდა, ვერ ითვალთმაქცებდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროის უპირველეს რედაქციაში ყოფნა დიდ პერსპექტივას უშლიდა წინ ნაწარმოებების გამოქვეყნებისა, სრული ჰონორარის მიღებისა და უზრუნველი ცხოვრებისას. ვაჟას თავად არ შეეძლო და არც ითვალთმაქცებდა, მაგრამ სხვისი პირფერობაც გულს ურევდა. ამას კი მობოდიშების მიზნით უთუოდ ადგილი ექნებოდა ილიას

ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი

რჩეულის წინაშე იმათგან, ვინც მისი მოხსნის საკითხს ხმა მისცა. ვაჟას უნდა ეთმინა თავხედობა იმათიც, ვინც ილიასა და ილიას თანამებრძოლთ მოძველებულ მწერლებად თვლიდა და წარამარა შეურაცხმყოფელ გამოხდომებსაც არ ერიდებოდა. მიხვდა ვაჟა, რომ ამ მოწამლულ ატმოსფეროში მას სუნთქვა არ შეეძლო. იცოდა, რა მძიმე ცხოვრებაც ელოდა მთაში, მაგრამ ბარის ჯოჯოხეთს ისევ მთის ჯოჯოხეთი ერჩივნა. ი. მანსვეტაშვილის

სიტყვებს: „დაუბრუნდა არწივი თავის საყვარელ მთებსო”, რატომღაც საზეიმო განწყობილებით იმოწმებენ მკვლევარნი, ისე გვიხატავენ, თითქოს ვაჟა ბარში ძალად ვიღაცას ჩამოეყვანოს, ცხრა კაცი ჯაჭვით დაებას და ეხლა აშვებულს, სიხარულით მიეშურებინოს საყვარელი მთებისათვის, თითქოს არ სცოდნოდა, რა დუხჭირი, რა მძიმე, რა გამოყრუებული ცხოვრება ელოდა იქ. მთა მაშინ არის მიმზიდველი, როცა ცხოვრებაც ლაღია, თორემ დუხჭირი ცხოვრებისათვის მთა ორმაგად მძიმე ასატანია.

ჯერ ჩვენ დროში, როცა საყოველთაო საშუალო განათლებაა, საშუალო დამთავრებულნიც კი თაკილობენ გლეხურ შრომას, გლეხურ ცხოვრებას, ვაჟას კი, იმ დროს, როცა პედაგოგი სანთლით საძებარი იყო, როცა ფშავ-ხევსურეთს ორი-სამი კაცი თუ ჰყავდა განათლებული, უარი უნდა ეთქვა ყველაფერზედ და კვლავ მამა-პაპურ გლეხურ ცხოვრებაში ჩაბმულიყო. ეს იოლი და რომანტიკული იმისთვის არის, ვინც არ იცნობს მთის მძიმე ცხოვრებას.

ძნელია, ალბათ, იმის წარმოდგენა, თუ რა მძიმე იქნებოდა ამ ამაყი კაცისათვის მოხსნილის, სამსახურიდან გამოგდებულის, თავმოყვარეობა- შელახულის დაბრუნება მის ხელისშემყურე ოჯახში, მშობლებთან, მეზობლებთან, ნაცნობ-ნათესავებთან. ვაჟას სწორედ ამ განწყობილებით უნდა დაეწერა:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ, თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა.
საკეთილდღეო ქვეყნისა მედვა სულად და გულადა:
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი მქონდა მეორე რჯულადა.
ეხლა თავ-თავქვე მოვდივარ, ხევში მიმელის ბნელია,
თან მომდევს ფიქრი მწუხარე, გულის, გონების მწველია.
მაღლიდან დაბლა, ჩამოსვლა, ვაჰმე, რა მეტად ძნელია!
წამლობას ვეღარ გამიწევს ეხლა ცრემლები ცხელია.
რად მოვალ, თავქვე რად მოვალ, ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად?
იმ მთას თავს რისთვის ვანებებ, თუნდ ვიქცე ტანჯვის ფიალად?!

(„მთას ვიყავ”)

და ესეც:

„მე რა ვქნა? ვზარდე ბარტყები–ბალღამს მასმევენ მწარესა
და მიბნელებენ ძალადა ორსავ–მზესა და მთვარესა;
გარეთ მაგდებენ ყინვაში და მიკეტავენ კარებსა;
პურის მაგივრად ქვას მძღვნიან, ჯაჭვით მიბოჭვენ მკლავებსა,
ხორცს სხვას აძლევენ, გამოხრულს, მე მომიყრიან ძვალებსა”.

(„ნეტავი შენა, მერცხალო”)

აი, ასე განიცადა მასწავლებლობის მიტოვებინება, დათმობინება იმ ბუდისა, სადაც ბარტყები ზარდა, გამოაგდეს ყინვაში და გამოხრული ძვლები მიუყარეს. განიცადა დატოვებინება იმ მთისა, სადაც გულით შეჰხაროდა მზესა და მთვარეს, ღმერთის სიახლოვეს იყო. უკვირს კიდეც ვაჟას, რატომ ჩამოვდივარ დაბლა, როგორმე გამეძლო, თუნდაც სულ ტანჯვაში ვყოფილიყავიო, მაგრამ ძნელი იყო გაძლება, არ ელოდა, რომ ის „მთა დააზრობდა ფეხებს”.

ვაჟას დიდთონეთიდან განთავისუფლებას იმითი ამართლებდნენ, ვითომ მის სიცოცხლეს იქ საფრთხე ემუქრებოდაო, მოკვლით ემუქრებოდნენო, მართალია, მისი მოწინააღმდეგე მამასახლისი გადაყენებული იყო სამსახურიდან, მაგრამ არ მოასვენებდაო, ეცდებოდა სამაგიეროს გადახდასო. ტყუილია! ასე თუ მოვყვებით, ყველა პროგრესული მოღვაწე, ქვეყნისა და ხალხის სიკეთისათვის მებრძოლი, განსაკუთრებით მაშინ, ტერორის ქვეშ იყო. ყველას მოკვლით ემუქრებოდნენ, მაგრამ არავინ არსად გადახვეწილა. მოკვლით ემუქრებოდნენ თვით ილიასაც პეტერბურგიდან დაბრუნებისა და თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნების პირველი დღეებიდანვე, მაგრამ არ დამფრთხალა, თბილისიდან არ გაპარულა და ყვარლის სიმაგრეში არ ჩაკეტილა. ნახევარი თვის ხელფასიც იქნებ იმიტომ აღარ მისცეს ვაჟას, რომ მის სიცოცხლეს უფრთხილდებოდნენ?

ასე უსიამოვნოდ დამთავრდა ვაჟას პედაგოგიური მოღვაწეობა. საყვარელი საქმისაგან ჩამოცილებამ მას ძლიერ ატკინა გული და ეს გულისტკივილი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. ამაზე მეტყველებს გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მასწავლებელ ლადო ბზვანელისადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონები:

„მასწავლებელის ბედზედა მრავალჯერ დამიკვნესია,
ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა, თესლი კეთილი სთესია!

რა ვუყოთ, მასწავლებელი დღეს არა ფასობს ჩვენშია.
თუმცა ხსნა ჩვენის ერისა მხოლოდ და მხოლოდ თქვენშია.
სული გასუქდეს, ბევრით სჯობს, ვიდრე გასუქდეს ლეშია".

(„ლადო ბზვანელს")

ვაჟა თავის ნაწარმოებებში ხშირად აქსოვდა პედაგოგიურ აზრებს, ბავშვების აღზრდის საქმეს დასტრიალებდა თავს. ეს ჩანს მის ბევრ ლექსსა თუ მოთხრობაში. საბავშვო მოთხრობები, რომელშიც აღწერილია მთიელთა მაღალზნეობრივი ცხოვრება, მომავალი თაობის აღზრდისათვის ფასდაუდებელი განძია, ისინი პატარებსაც და დიდებსაც უნერგავენ მშობლიური მხარის სიყვარულს, სიკეთის ქმნის სიხარულს, ჰუმანიზმს, ოპტიმიზმს, აცნობენ და აყვარებენ ბუნებას, ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს, მათ ზნეს, აყვარებენ მცენარეულობას – ყვავილებს, ბალახს...

ვაჟა საბავშვო მწერლობის დიდი დამფასებელი იყო, რადგან სწორედ ისინი ზრუნავდნენ მომავალი თაობის აღზრდაზე, მათ სულიერ საკვებზე. ამიტომაც თქვა შიო მღვიმელზე: „ეს პატარა კაცი, დიდი კაციაო". ვაჟამ დიდი შეფასება მისცა საბავშვო მწერლობას, ხაზი გაუსვა იმ სიძნელეებს, რომელიც ამ დარგში მომუშავე მწერლის წინაშე დგას. ის წერდა: „ნურვის ჰგონია, ადვილი იყოს საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების წერა, ყველაზე ძნელი სწორედ ესაა"...

ვაჟა თავის პუბლიცისტურ წერილებში ხშირად აყენებდა პედაგოგიურ-აღმზრდელობით საკითხებს. ზოგი სპეციალურად ამ თემისადმი იყო მიძღვნილი, ზოგში კი სხვა საკითხებთან ერთად ამასაც ეხებოდა. მაგალითად, სტატიაში, „ერთი კვირა ხევსურეთში", ხევსურთა საჭირბოროტო სხვა საკითხებთან ერთად არ ივიწყებს სწავლა-განათლების მნიშვნელობასაც ამ „ყველაზე მეტად ჩამორჩენილი კუთხისათვის". 1883 წლის 11 დეკემბერს კი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობას წარუდგინა პროექტი მთაში მოძრავი სკოლების შემოღების თაობაზე. ვაჟა ამ პროექტში წერდა: „პატივცემულ გამგეობას კარგად მოეხსენება, რომ ჩვენში მეტად მცირეა სასოფლო სკოლების რიცხვი, ამ სკოლებსაც სული აქვთ შეხუთული, რა გარემოებისაგან, ამას განმარტება აღარ

ესაჭიროება. ზოგ ადგილას ისე გაჭირდა საქმე, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, საქმე გაუჭირეს, სკოლების დაკეტვას ამჯობინებენ იმათ ქონას... სკოლები ცოტა მოდის ჩვენი სოფლების რიცხვზე, ასს სოფელზე ერთი სკოლა და, მაშასადამე, რიცხვი ამ სკოლაში ნასწავლთა, შედარებით საზოგადოდ მცხოვრებთა რიცხვთან უსათუოდ ნაკლები უნდა იყოს.

მაშასადამე, ჩვენი სასოფლო სკოლა ვერ სწვდება თავის დანიშნულებას: რაც შეიძლება მომეტებულს ასწავლოს წერა-კითხვა სოფლები სადაც ახლომახლო მდებარეობენ, იქ კიდევ არაფერი უშავს, რა ქნან მთის მცხოვრებთა, რომელნიც დაქსაქსულად ცხოვრობენ? როგორ გზავნონ თავიანთი შვილები ოცისა და ოცდაათი ვერსის მანძილზე?

ერთი სახსარი ამ გაჭირვებისაგან თავის ხსნისა არის შეცვლა ახლანდელი წესისა, მთა ადგილებში მაინც, თუ ბარად არა. მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გამგეობა იქონიებს მოძრავ სკოლებს. ამ სახით საქმის შეცვლამ არ უნდა შეაშინოს, რადგან სხვა ქვეყნების მაგალითმა უნდა გაგვამხნეოს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ცხოვრება უფრო სხვა მდგომარეობაში, სხვა პირობებშია მომწყვდეული და ამის მეტი სახსარი სკოლებს თავის ხსნისა სხვა აღარ დაგვრჩენია.

გამგეობა თუ კეთილ ინებებს და შეიწყნარებს ამ აზრს, შეიძლება სხვა სკოლები ჯერჯერობით დასტოვონ ისე, როგორც არიან და სცადოს ამისთანა მოძრავი სკოლა ჯერჯერობით ფშავში...

ფშავში რომ გაიმართოს ერთი მოძრავი სკოლა, თუ ხეირიანი მასწავლებელი ექნა, გაუწევს ექვსი სკოლის სამსახურს.

მასწავლებელი ამოირჩევს რვა დიდ სოფელს, რომლებსაც გარეშემო წვრილი სოფლები ახვევია. თითო სოფელში მასწავლებელს სამოცზე ნაკლები ქალი და ვაჟი არ ეყოლება და ამათ გაუნაწილებს ერთი წლის დროს ან შრომას. წლის თავზე თუ ივარგა მასწავლებელმა, ეყოლება იმას „ანბანის" მცოდნე ოთხასზე მეტი მოწაფე. სხვა რომელი სკოლა შესძლებს ამას ერთი მასწავლებლის მეოხებით?

ვიმედოვნებ, გამგეობა ამ ამბავს უყურადღებოდ არ დასტოვებს" (16, 171).

ამაო იყო ვაჟას იმედი. მის ამ ჭკვიანურ ჩანაფიქრს არავინ

გამოხმაურებია, არავითარი დაინტერესება არ მოჰყოლია. ხომ შეიძლებოდა ვაჟასათვის ჩარგალში გაეხსნათ სკოლა და საშუალება მიეცათ ეს თავისი ჩანაფიქრიც ექსპერიმენტის სახით განეხორციელებინა. ხალხისათვის უსარგებლო მღვდლები, მეფის რუსეთის პოლიტიკის დასაყრდენნი, არხოტამდე ყველგან ჩააყენეს, ეკლესიები აუშენეს, 600 მანეთი დაუნიშნეს, მთელ ფშავ-ხევსურეთში კი ერთი სკოლის გახსნაზე არავინ ფიქრობდა. რა დიდი შეღავათი იქნებოდა ეს თვით ვაჟასათვისაც. მაგრამ ეს სხვა საკითხია, მთავარი კი ის არის, რომ უკვე დიდი ხნის წინ სკოლას ჩამოცილებული ვაჟა, უკვე ფშაურ ყოფასა და მწერლობაში მტკიცედ ჩაბმული, მაინც არ წყვეტს პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ფიქრს და ფშავში გამოკეტილი თვალ-ყურს ადევნებს, რა სიახლეებია ამ მხრივ ჩვენში თუ საზღვარგარეთ. და ის ფშავიდან უფრო მეტსა ხედავს, ვიდრე ისინი, ვისაც ამ საქმეთა ხელმძღვანელობა აქვთ მინდობილი.

დაბოლოს მაინც ჩარგალი

უბრუნდებოდა საყვარელ მთებს ბრძოლაში დამარცხებული არწივი, რომელმაც მთებიდან დაიხულუზნა, რათა იქ, ბარში მეტისმეტად მომრავლებული ყვავ-ყორნები მიეფრთხ-მოეფრთხო, ბევრს გაჰკრა ბრჭყალი, მაგრამ მათმა სიმრავლემ თავისი ქნა. მოქანცულნი ველის არწივნი, ვისმა ხმამაღალმა ყაშყაშმაც თავის დროზე ბარს საზარელი ძილი დაუფრთხო, გამოაღვიძა, ახლა იმდენად ძალაგამოლეულნი იყვნენ, რომ თავის ჯიშისას მხარი ველარ უჭირეს და მხოლოდ მწარე ღიმილიანი მზერა გააყოლეს მთებისაკენ გაბრუნებულს.

მიდიოდა ვაჟა ბარიდან ისე, როგორც თემისაგან მოკვეთილი ალუდა ქეთელაური. დიახ, არის რაღაც საერთო ვაჟას სამსახურიდან დათხოვნასა და „ალუდა ქეთელაურს" შორის – ეს პოემა ხომ სწორედ იმავე 1888 წლის ბოლოს 13-14 დეკემბერს გამოქვეყნდა. მიეშურებოდა მთაში, სადაც სულს მოათქმევინებდა არაგვის ხილვა, მშობლიური კერა, ცოლი, შვილი, ზაფხულობით

კი და-ძმებიც იქ იყრიდნენ ხოლმე თავს და დროს ლაღად ატარებდნენ. კარგი ძმობაც ჰქონდათ და კარგებიც იყვნენ. ხუთივე ნასწავლი იყო, ამათგან სამი ცნობილი მწერალი: თედომ საბავშვო პროზითა და ხალხური სიტყვების შეკრება-გამოცემით გაითქვა სახელი, ხოლო ბაჩანას, როგორც პოეტს, ბევრნი ვაჟაზე მაღლაც კი აყენებდნენ (ჩანს, ამას სოციალ-დემოკრატები შვრებოდნენ, ვის მხარესაც რატომღაც იდგა ბაჩანა). ამიტომაც ბაჩანა ყველაფერში ეჯიბრებოდა და ექიშპებოდა ვაჟას: ნადირობაში, თიბვაში, სიმძიმის აწევაში და, რაღა თქმა უნდა, მწერლობაშიც.

„პირდაპირ სადღესასწაულო ხასიათი ეძლეოდა მათს შეკრებას, – წერს ნ. ნათაძე, – მხიარული ბაასი, სიცილი, ხუმრობა სუფრაზე და სუფრის გარეშე, დაუსრულებელი იყო. ხშირად თედო და სანდრო, მათთან მიხაც, მისცემდნენ ხოლმე ერთმანეთს პირიპირს და აუტეხდნენ ვაჟას ხუმრობით დაცინვას, რომ გაეჯავრებინათ იგი, მაგრამ ვაჟა ლომივით იგერიებდა ყველას და არ ყოფილა ისეთი წამი, რომ მის სახეს წყენა შესტყობოდა, თუმცა ბევრჯერ ხუმრობას ძლიერ ამლაშებდნენ".

„უფრო ბაჩანა და თედო მიიტანდნენ იერიშს ვაჟაზე, – გვიამბობს ივ. ბუქურაული, – ვაჟა კი ივჯდა დინჯად თავის დარბაისლურ შეხედულებით. ბაიბურად არ მიაჩნდა მას მათი დაცინვა, სიცილ-კისკისი, თითო-თითოს ახედ-დახედავდა და ჩაიღიმებდა... ძმებში ღვარძლიანი და დამცინავი უფრო იყო ბაჩანა და ამასთან იყო ფხუკიანიც. რა ხუმრობასაც სხვა ძმანი აიტანდნენ, ის ვერ იტანდა, გულის მოსვლა ჩქარა იცოდა".

ბაჩანა სულ რაღაცას უჩხიკინებდა ვაჟას. ერთხელ მიზეზი რომ ველარაფერი უპოვა, ჩხვლეტა დაუწყო ჩხირით. – კარგი მომასვენეო! – გაუწყრა ვაჟა. „შენ რატომ არ ასვენებ მეტყეველებს, ღვდლებს, მამასახლისსა და სხვადასხვებსაო!" უთხრა ბაჩანამ.

ცეკვა-თამაშს რომ დაიწყებდნენ, ტაშს უკრავდნენ და თან გაიძახოდნენ: „ტაში, მელან, ტაში, მელან!" ამას ვიღაცა ფშავში მოარულ ვაჭარს, ვართანას დასცინოდნენ — მას თურმე მოსწონდა ფშავლის ქალი მელანია. სადღაც დღეობასა თუ ქორწილში ეს ვაჭარი დამთვრალა, გახურებული ცეკვა-თამაშის დროს ტაშს უკრავდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცეკვავდა და

თან ყვიროდა: ტაში, მელან! ტაში, მელან! ტაში, მელანო!

ძმათა ლაღი შეკრებები სოფელში 1890 წლამდე გრძელდებოდა, სანამ მათი მშობლები ცოცხლები იყვნენ. 1890 წლის შემოდგომაზე კი ჩარგლური ხალისიანი შეკრებები შეწყდა. 16 სექტემბერს 56 წლის ასაკში „ჭვლებისაგან" გარდაიცვალა დედა, გულქანი, ხოლო 22 ოქტომბერს მამა პავლე — ცხელებისაგან. ეს მოულოდნელი უბედურება, მართალაც მეხის დაცემასა ჰგავდა, რადგან ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე ცოლ-ქმარი უძღვებოდნენ მთელ საქმიანობას და ოჯახის სადავეებიც ეჭირათ.



ვაჟას ოთახი

მათი სიკვდილის შემდეგ კი მოიშალა და დაიშალა მღვდლიანთ დიდი ოჯახი.

1891 წლის აგვისტოში, როგორც კი წლისთავი გადაუხადეს მშობლებს, ძმებმა დარჩენილი ქონება გაიყვეს და ყველანი თავთავისი გზით წავიდ-წამოვიდნენ. უფროსი ძმა გიორგი თია-

ნეთში ვექილობდა და იქვე დაემკვიდრა საცხოვრებლადაც, ბაჩანამ იმ დროისათვის მოახერხა ხევსურეთში სკოლის გახსნა და იქ მასწავლებლობდა, თედო ხელთუბანში (გორის რ-ნი) ასწავლიდა და იქვე დასახლდა; უმცროსი ძმა სანდრო თელავში სწავლობდა, შემდეგ კი თბილისში დაიწყო მუშაობა. ჩარგალში მხოლოდ ვაჟაღა დარჩა. უძრავი ქონება, სამეურნეო იარაღები არაფერი გაუყვიათ, ვაჟას დაუტოვეს ყველაფერი. მოძრავი ქონება კი, როგორც „პირობის ქაღალდიდან" ჩანს, შემდეგნაირად გაუყვიათ (წინა პუნქტები არ არის საინტერესო):

„6. დანარჩენი ნაძრავი ქონება, ცხვარი, ცხენები, და ძროხები გავიყავით თანასწორად და გვერგო:

გიორგის: ერთი ფური (გახტა), ერთი მოზვერი (ბოქა), ორი წლევანდელი ხბო (წარბა და მერცხალა), და სამი ცხვარი;

ლუკას: ერთი მოზვერი (ბოღრა), ერთი ფური (თამამა) და კიდევ ერთი ხარი (ვართანა);

ნიკოს: ერთი ხარი (ფესანგა) და ექვსი ცხვარი;

თევდორეს: ერთი ფური (პირნათელა), ერთი დეკეული (წკრიალა), კიდევ ერთი დეკეული (ლევანკა) და ერთი წლევანდელი ხბო (ხახმატა);

მართას: ერთი ფური (ბიბინა), ერთი მოზვერი (თვალშავა) და ექვსი ცხვარი;

სანდროს: ერთი ფაშატი ცხენი და ერთი მოზვერი (ქარუმა)".

სანდროს აღზრდა, როგორც მცირეწლოვანისა, ოთხივე ძმამ იკისრა. აღარც მშობლები, ძმები წავიდ-წამოვიდნენ, ერთადერთი და მართაც ყვარელში გათხოვდა და გამოყრუვდა „ღვდლიანთ სახლი" – დარჩა მარტო ვაჟა თავისი მეუღლითა და წვრილშვილით ცხოვრების პირისპირ. აღარავინ შემწე და ხელის შემშველებელი. ბარში გაზრდილი ნაზი ქალი კეკე მთის მძიმე პირობებში მაინც ვერ შეძლებდა იმდენს, რამდენიც მთიელის ოჯახის გაძღოლას სჭირდებოდა. არც მაინცადამაინც ვაჟა იყო მიჩვეული გლეხურ საქმეს. სანამ მშობლები ცოცხლები ჰყავდა, ყველაფერს ისინი აკეთებდნენ, ვაჟა ისე თუ წაახმარდა ხოლმე ხელს. მას არა საქმავდნენ, ხელს უწყობდნენ შემოქმედებით საქმიანობაში. ეხლა კი მეტი გზა არ იყო, ყველაფერი – წვრილმანიდან მსხვილმანამდე – თვითონ უნდა ეკისრა, რაც არ იცოდა, უნდა ესწავლა და ოჯახს გასძღოლოდა, სხვანაირად შიმშილით სიკვდილი ელოდათ.

მიგრიაულთის ძირს, პავლე მღვდელს რომ დუქანი ჰქონდა, ეს დუქანიც ვაჟას დარჩა, მაგრამ ლუკამ ვაჭრობა არ იკადრა და დუქანი გააუქმა. ან კი როგორ ისარგებლებდა დუქნით, როცა მისი შეხედულება დუქანზე ქვეყანამ იცოდა. აი, რას წერდა ერთ-ერთ თავის ადრინდელ „თიანურ ფელეტონში":

„ჩვენ მხარეს, სხვათა შორის, ერთი ჭირი სჭირს და ამ ჭირით მარტო ჩვენ არა ვართ დაავადებულნი, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიც. ეს ჭირი სამიკიტნოების გამრავლება გახლავთ. საცა ოთხი- ხუთი კომლი სადმე სჩხირია, იქვე საყელში უსათუოდ დუქანია დასკუპებული. აზრი და მიზანი მედუქნისა ყველასათვის აშკარაა: უნდა სწოვოს დუქანმა სისხლი და ტვინი ოჯახებისა...

ხალხიც გრძნობს ამას, ხოლო ერშიაც მოიპოვებიან ისეთნი, დუქანს მოწყალე თვალით რომ უცქერიან. ესეც ზოგიერთი ჩვეულების ბრალია: რომ მოკვდეს ვინმე, სად წავიდე? ასე უცბათ საით ვიშოვნო სასმელი და საჭირო სანოვაგეო?

მკვდრების ხსოვნა და პატივისცემა კარგი საქმეა, ხოლო ეს პატივისცემა იმ ზომამდე არ უნდა მივიყვანოთ, ცოცხლები იმათ მსხვერპლად შევეწიროთ – ეს უფრო დიდი უგუნურება იქნება ჩვენი.

მკვდრების გულისათვის მიკიტნების ყოლა და დუქნების

ქონა ცოცხლების ცოცხლად დამარხვას მომაგონებს, თვით სიცოცხლისა და ერის არსებობის მტრობას, რასაც არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი არ იკისრებს, არც იკადრებს"... (15, 220).

ვაჟა ამ დროისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო (30 წლისა), მაგრამ ჯანმრთელობა უკვე შერყეული ჰქონდა. ეს უყო „ციმბირის წყლულმა", თვალიც იმისგანა ჰქონდა დაზიანებული...

1890 წლის ზაფხულში ვაჟას ბიძამ, მწარიამ, სოფელ ბოწახში ავადმყოფი ხარი დაკლა. რაკი ზაფხული იყო და იმდენ ხორცს ვერაფერს მოუხერხებდა, იაფად მიჰყიდა ვაჟას. ვაჟამაც ოჯახის სარჩოდ თითქმის ნახევარი ხარი აჰკიდა ცხენს და შინ წამოიღო. გამოჭრა ხორცი, რბილი კასრებში ჩაამარილა, ძვლები ბუხრის თავზე დაჰკიდა გასახმობად. კმაყოფილი იყო, რადგან ხორცი ზამთარშიც გაიყვანდა მის პატარა ოჯახს. თურმე ხარი ჭირიანი ყოფილა და ეს არც ბიძა მწარიას სცოდნია. მწვადები იქაც გემოზე უჭამიათ, ვაჟას შინ ხინკალიც გაუკეთებია. სხვას არაფერი და ვაჟას კი, ჩანს, თვალზე მოისვა ხორციანი ხელი, „ბედნიერი" გამოაჩნდა. „მეორე თუ მესამე დღეს ვაჟას სიცხე მისცა და თვალის ქუთუთოზე ქავილი დაუწყო, ზედ მუწუკიც გამოუვიდა. მაშინვე შეატყო დედაჩემმა, რომ ის მუწუკი „ბედნიერი" იყო. ის იმოდენა ხორცი სულ მიწაში ჩავფალით, რომ ძაღლებსაც კი არ ეჭამათ.

ვაჟა იმის შემდეგ ჩაწვა ლოგინში და მთელი ერთი თვე, თუ თვე ნახევარი ლოგინიდან არ ამდგარა. ვაჟას ცხენიც, რომელსაც ის ხორცი ეკიდა, ვერ ასცდა ამ ჭირს. იმასაც გამოაჩნდა „ბედნიერი" და ვაი-ვაგლახით ძლივს მოვარჩინეთ" (ალ. რაზიკაშვილი).

ვაჟას დედა მკურნალობდა შინაურული წამლებით. სხვამხრივ განკურნა, მარტო თვალის ქუთუთოს ვერაფერი უწამლა. მაშინ ვაჟა თბილისში ჩამოვიდა და ოპერაცია გაუკეთეს: მკლავიდან ხორცი ააჭრეს და თვალზე მიაკერეს. მაინც ვერ განიკურნა მთლიანად, თვალის ქუთუთო ჩამოფხავებული დარჩა და ცრემლმდინარი. ასეთი თვალის გამო ფშავლებმა მისთვის შერქმეულ „რაზიკაანთ დევს" „ცალთვალა" დაუმატეს და ახლა „რაზიკაანთ ცალთვალა დევს" ეძახდნენ.

და, აი, ასეთი ჯანგატეხილი, ჯერ კიდევ ავადმყოფი ვაჟა დედისა და მამის სიკვდილის შემდეგ იძულებული გახდა, ლოგინიდან წამომდგარიყო და ყველაფრისთვის მიეხედა: თივაც მოსატანი იყო და შეშაც, ძნაც მოსაგულებელი და გასალეწი: ზამთარი დგებოდა და ყველაფერი ველზე რჩებოდა.

რა ფიზიკური და სულიერი ტკივილების დაძლევის, რა უკანასკნელი ძალების დაძაბვის ფასად უხდებოდა ვაჟას დედისა და მამის დატოვებული საქმის დაბოლოება, მომთავრება. ავად იყო თუ კარგად, სულერთია, უნდა საქმე ეკეთებინა, უნდა ჭაპანი ეწია, სანამ სული ედგა და შეება ისეთსავე მძიმე ფიზიკურ შრომას, როგორსაც უხსოვარი დროიდან ეწეოდნენ მისი მამა-პაპანი: ხნავდა, თესავდა, მკიდა, ლეწავდა, თიბავდა, თივას ეზიდებოდა, შეშას, ამას ემატებოდა საქონელი და სხვა ათასი ოჯახური წვრილმანი, ნავთი და მარილი. ერთ-ერთ ფოტოზე აღბეჭდილია, ვაჟა როგორა თლის ცულისტარს. და როდისღა იცლიდა წერისათვის, როგორღა ახერხებდა?

ვაჟა-ფშაველას შვილი ვახტანგ რაზიკაშვილი იგონებს: „მამაჩემი მაინცდამაინც კარგი მეურნე არ გახლდათ, თუმცა ყველაფერი ემარჯვებოდა. იმისი ხელით გაუკეთებელი არაფერი რჩებოდა. თვითონ აკეთებდა უღლებს, ტაბიკებს, ცულისტარს, ნიჩბებს, ნამგლებს, წალდისა და ხერხის ტარებს, საქონლის ბაკებს, წნავდა ლასტებს, მართავდა საბძლებს, აწყობდა ლატანს, სთლიდა საბძლის კავებს, აკეთებდა მარხილებს და სხვა.

ყველაფერს თავისებურად აკეთებდა, სხვების ნახელავს არ ჰბაძავდა, რაღაც ახალი შეჰქონდა საქმეში. ხშირად ეს ახალი უვარგისი იყო, მაგრამ მაინც თავისებურად გაკეთებული მოსწონდა.

მამა კარგად აგებდა ყორეს. ორი ყორული აქვს თავისი ხელით გაკეთებული. დღემდის არის დარჩენილი ჩვენს სახლთან, ნასკოლარის ბოლოზე, ვაჟას ხელით აგებული ქვის ყორე. კიდევ დიდ ხანს იდგმება ის ყორე. ქვები ლამაზად არის ერთმანეთზე გადაბმული, მოხერხებულად და ოსტატურად გადაკერებული.

საცხენე გომურის კედელიც მამამ თვითონ ააშენა.

თავის ნაკეთები საქმე ძალიან მოსწონდა. შორიახლოს დაჯდებოდა, უყურებდა ხოლმე სიამოვნებით თავის აგებულ ყორეს და ამვლელ-ჩამომვლელი მგზავრისა თუ მეზობლის დანახვაზე

იქადნებოდა – აბა, შეხედეთ, ასე უნდა ყორეს აგება! აბა, როგორი ბიჭი ვარო! მართლაც, მამაჩემის აგებულ ყორეს ვერავინ დაიწუნებდა. სულ ერთავად ყორეებს აგებდა და ხელი უკვე შეჩვეული ჰქონდა ამ ხელობისათვის.

შრომასა და საქმეში იყო მუდამ გართული. სულ ფუსფუსებდა. უსაქმოდ ვერასდროს ნახავდით. აკი თვითონაც ამბობდა ერთ ლექსში:

„არც როს უსაქმოდ არა ვარ,
მუდამ ვკოწიწებ, ვჩუჩუნებ".

ჩვენს ეზოში რაც ხეხილი დგას, სულ მამაჩემის დარგულია. კალველი ვაშლის ჯიში ფშავში პირველად მამაჩემმა გაავრცელა და ვაშლის იმ ჯიშს ფშავლები დღესაც „ლუკაის ვაშლს" ეძახიან!" (37, 13).

ჩარგალთან ახლოს, მიგრიაულთის ძირს მცხოვრებმა ეფრემ ბუთხაშვილმა ვეებერთელა მსხლის ხე მიჩვენა და მითხრა: ეს ვაჟა-ფშაველას მოცემული ნერგიაო. „მაშინ ცამეტ-თოთხმეტი წლისა ვიქნებოდი, ჩარგლის კარს ვიყავით ბალღები. ვაჟამ შემოიარა ცხენით. ნერგები ჰქონდა ცხენის გავაზე დაკრული. მკითხა: შენ ვისი ხარო? ვუთხარი მამუკაისიო – მამაჩემთანა ძმაკაცობდა, ხშირად მოდიოდის სტუმრადა. ერთი ნერგი გამოსწვადა და მითხრა: წაიღე, დარგე და ჩემს სახსოვრად გაახარეო. გახარებულმა წამოვიღე და დღე და ღამ იმას შევტრიალებდი. მაშინ ხილი არ იყო ფშავში – არ გაიხარებსო. პირველად ვაჟა-ფშაველამ მოიტანა და, როცა დაინახა ხალხმა, რომ იხარა, მერე ყველამ ხეხილის გაშენება დაიწყო. მხოლოდ, ვაჟას მერე კი მე გავაშენე, ძალიან დამაინტერესა. ეს ვაჟასეული მსხალი ეხლაც ყოველწლიურად ისხამს და ახლა რამდენს ისხამს!"

ვაჟასაც ისევე, როგორც უმეტესობას მთიელებისას, 5-6 ძირი ფუტკარიც ჰყოლია, რომელთა მხოლოდ თვითონ უვლიდა, სხვას, არც შინაურს და არც გარეულს, მათთან მიკარების უფლება არა ჰქონდა. გულქანის გადმოცემით, მიუჯდებოდა თურმე „მამაი" რომელიმე ხოკერს საფრენთან, საათობით ადევნებდა თვალს მათ ფუსფუსს და ებუტბუტებოდა: „მე და თქვენ ერთნაირად თავდაუზოგავ შრომაში ამოგვდის სული, ერთ-

ნაირად წმინდა. ღმრთის მოსაწონ საქმეს ვემსახურებითო!“.

„ფუტკრის გატეხვა“, თაფლ-სანთლის გამოდნობა, ნარჩენების დამუშავება — სულ ვაჟას საქმე იყო, მარტო გულქანს თუ წაახმარებინებდა ხელს.

„გატეხილი“ ხოკრიდან ახალი ფიჭის ხილარს ამოიღებდა ჯამში, სანთელს აანთებდა, იობისად დალოცავდა: „იობის პელთა-ნებასამც იქნება, ღმერთმა ალალ უყვას — ფუტკარ იმისაგან არიო“, მერე დაგვიდგამდა იმ თაფლიან ჯამს საჭმელადა“ — იგონებდა გულქანი.

თითქოს არც ესწავლოს თბილისისა და გორის სასწავლებლებში, არც პეტერბურგში, ვაჟა გარეგნულად ყოველნაირად ფშაველ გლეხს დაემსგავსა. მ. შამანაური წერს: „ხშირად ყოფილა შემთხვევა, მივსულვარ ვაჟასთან, მიკითხნია და უთქვამთ: იქით არის, ხნავსო. მივსულვარ ადგილობრივ ვაჟასთან და თვალწინ წარმომდგომია შემდეგი სურათი: ვაჟას აჩაჩა გუთანში (ხის გუთანში) შეუბამს ყევარი ხარი, თვითონ ფეხშიშველა ეწევა გუთნის დედობას, ცოლი კი მეხრის მოვალეობას ასრულებს, ხარებს წინ უძღვის.

– რა ვქნა, ძმაო, თუ ეს მიწა არ ავჩიჩქნე და პური არ მოვიყვანე, ყველანი მშივრები დავიხოცებით, რადგან ჩემი პოეტობა-მწერლობა ნავთის, მარილის ფულს ძლივს მაძლევსო”.

ვაჟას ძმები

გიორგი

ძმები რაზიკაშვილები, შორიშორს ცხოვრების მიუხედავად, კავშირს არ წყვეტდნენ ერთმანეთთან, მიწერ-მოწერაცა ჰქონდათ, მისვლა-მოსვლაც და ლექსობა-კაფიაობაც; ზოგ შემთხვევაში კი დიდ ასპარეზზე გამოტანილი ლიტერატურული პაექრობაც.

უფროსი ძმა, გიორგი, როგორც აღვნიშნეთ, თიანეთში იყო ვექილად და ბინითაც იქვე დაემკვიდრა. თიანეთში, სამაზრო ცენტრში ჩასული ვაჟა, რა თქმა უნდა, უმთავრესად მასთან მიდიოდა, როგორც თავის ოჯახში. „გიორგი, მამაჩემის დახასიათებით, ყველაზე ნიჭიერი ყოფილა. ბუნებითაც უჭრიდა ენა. უმაღლესი იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული. გარეგნობით თითქმის ყველას სჯობდა – მაღალი, მხარბეჭიანი, ლამაზი და ღონიერი, განთქმული ხუმარა და მოქეიფე იყოო. არ დარჩენია არც ერთი სოფლის მოხელე, რომ არ გაელექსოს და მასხრად არ აეგდოს. ცხოვრობდა თიანეთში და სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების დაცვის გამო დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, მაგრამ დიდხანს არ უცოცხლია. ხშირად იგონებდნენ ძმები ვაჟასთან მის გახუმრებას და ბევრსაც იცინოდნენ ხოლმე”. (36, 41).

ვაჟა და გიორგი შეხუმრებულები ყოფილან, თუმცა გიორგის ხუმრობას ცოტა, არ იყოს დიდკაცური, ბოროტი ხუმრობის სუნი უდის. გაზულუქებული გამძღარი კაცი სასაცილოდ იგდებს ღარიბ ძმას, ვაჟას. ალ. რაზიკაშვილი გვიამბობს: „ვაჟას ჰქონდა ერთი ძველი გახუნებული ნაბადი. ამ ნაბდით ხშირად ესტუმრებოდა თავის ძმას გიორგის თიანეთში. გიორგის არაერთხელ უთქვამს ვაჟასათვის, მოიშორე ეს გახუნებული ნაბადიო, მაგრამ ვაჟა მაინც არ იშორებდა. რაკი თხოვნით ვერაფერს გახდა გიორგი, გადასწყვიტა ხერხისთვის მიემართნა: ერთხელ, როდესაც ვაჟა საქმეებს მორჩენილიყო და შინ წასასვლელად მომზადებულიყო, შეეკაზმა თავისი იორღა ცხენი, აეკიდა ხურ-

ჯინი, გავაზე კიდევ თავის ძველი ნაბადი დაეკრა, თვითონ კი ბაზარში წასულიყო. ამ დროს გიორგის ეპოვნა დრო: მოეხსნა იმის ცხენისთვის ის ნაბადი, გაეშალა, თავის ცხენისათვის ამ ნაბდიდან ორი თექალთო გამოეჭრა, შემდეგ ნაბადი ისევ დაეხვია და დაეკრა ვაჟას ცხენისათვის ისე, რომ ვაჟას ეს ამბავი არ სცოდნოდა. გამოეთხოვა გიორგის, მოახტა თავის „ნიკორს" და მოუსვა შინისაკენ. ივრის მინდორი რომ გაიარა, მიადგა სოფლივნის მთას. სოფლივნის მთას რომ გადაივლის კაცი, იქიდამ ჩვენს სოფელს გადაჰხედავს. ვაჟა შეუდგა ამ მთას თუ არა, ერთბაშად თურმე კოკისპირულმა წვიმამ კი დაასხა. მოხსნა ვაჟამ ცხენს ის თავისი ნაბადი და მოიხვია, მაგრამ შენც არ მომიკვდე, რომ იმან ის წვიმა ვერ დაიჭირა და უშენს ვაჟას შიგ ზურგში. ვაჟა ხან იქით მიუბრუნებს კალთებს ნაბადს და ხან – აქეთ, მაგრამ წვიმა თავისას არ იშლის. ბოლოს რომ მიუსვ-მოუსვა ხელი და კარგად გაშინჯა, ჰხედავს და რას ხედავს? იმის ნაბადში ისეთი ფანჯრებია გამოჭრილი, რომ შიგ თურმე ბუღა-კამეჩი გაძვრება. მაშინვე მიხვდა ვაჟა ვისი „ძაღლობაც" იყო ეს ოინი, მაგრამ რას გააწყობდა".

ხუმრობა! ხუმრობა მაშინ იქნებოდა, ამ დაჭრილი ნაბდის შემდეგ იქვე ახალი ნაბადი რომ აღმოეჩინა ვაჟას, თორემ რა ხუმრობაა მისი საწყალი, ერთადერთი ნაბდიდან ჩინოვნიკმა თავისი ცხენისთვის თო-

ქალთოები გამოიჭრა, ისედაც დაავადებული ძმა კი მთაზე დასასველებლად და თითქმის სასიკვდილოდ გაიმეტა. ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ ასეთი გამძღარი მოხელე იმასაც არ ჰკითხავდა ვაჟას, ჰქონდა თუ არა ახალი ნაბდის ფული. ან აქცევდა თუ არა ვაჟა ყურადღებას ნაბდის სიძველეს? ტანსაცმელს ჩინოვნიკებისთვის ჰქონდა მნიშვნელობა, თორემ ქართველებს უთქვამთ: „ღვდელი ჭილობში იცნობაო".

გიორგის მეორე „ხუმრობა": მას, როგორც მსმელ და სტუმრისმოყვარე კაცს, უქუჩდებოდა ხოლმე ცარიელი ბოთლები. ვაჟა აიღებდა, ჩაალაგებდა ხურჯინში და წაიღებდა ჩარგალში. ეს რამდენჯერმე მოხდა. გიორგიმ ამას მიაქცია ყურადღება. „დაიცა, ლუკავ, ერთი ოინი თუ არ გიყავი, რა კაცი უნდა ვიყოო", გაიფიქრა გიორგიმ გულში. გაიარა დრომ, მოვიდა ვაჟა, გიორგიც დაუხვდა ჩვეულებისამებრ. მიდის ვაჟა შინ. ოთახის კუთხეში ეყარა ცარიელი ბოთლები. ჩაიწყო ეს ბოთლები ვაჟამ ხურჯინში, გამოემშვიდობა გიორგის და გასწია შინისაკენ. მივიდა შინ. ვაჟას ცოლმა ამოალაგა ხურჯინიდან ცარიელი ბოთლები და შეუდგა რეცხვას. ჩაასხა წყალი ერთ ბოთლში, ხედავს ძირიდან წყალი წურწურით ჩამოდის; ნახა ბოთლი ძირში გახვრეტილია: „კაცო, – დაუძახა ცოლმა ვაჟას, – რათ გინდოდა ეს გახვრეტილი ბოთლები თიანეთიდან აქ რომ მოიტანეო?" ვაჟა მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე. არაფერი არა თქვა, მხოლოდ ოდნავ ულვაშში ჩაიცინა".

ან ეს რა ხუმრობაა? სოფელში, და ისიც მთაში, ცარიელი ბოთლი ყოველთვის საჭიროა, რადგან ბევრი იხარჯება: სტუმარს ისე ვერ გაისტუმრებ, თუ საგზაოდ არაყი არ ჩაუსხი, ზოგი თავად უნდა ჩაიდგა სამგზავროდ და უკან აღარ მოგყვება. სხვადაც რამდენი რამისთვის არის საჭირო. ერთი დღის სავალზე, მთაზე გადაიტანა და აღმოჩნდა, რომ ვექილს უხუმრია, ძირები დაუხვრეტია. სხვაც რომ არა იყოს რა, ბოთლები გააფუჭა. სტუმრის მოყვარე მოქეიფე კაცი ხშირად იხდიდა ალბათ ძვირადღირებულ წვეულებებს, ერთხელ კი არ გახსენებია კაპიკებად ღირებული ნავთი გაეგზავნა ვაჟასთვის, ან წამლების ფული მიეცა. ასე ყოფილა მაშინაც და ასეა დღესაც: სახელმწიფო მართლმსაჯულებაში ჩამდგარი მოხელენი თავის თავისა და თავის უფროსების მეტს ვეღარავის ამჩნევენ, არც სატკივარი

ვისიმე გაეგებათ, თუნდაც ისინი თავისი ალალი ძმები იყვნენ. „დედაჩემის, თინათინ რაზიკაშვილის ნაამბობიდან ვიცი. „ძმებში გიორგი ყველაზე კარგად ცხოვრობდა და ძალიან უზრუნველიც იყოვო. რასაც გაიხდიდა, მიჰყრიდა, ვიდრე გაარეცხვინებდა, ახალს იყიდდა და ჩაიცვამდა. ჭურჭელზედაც, თუ სახლში სჭამდა, სულ ახალ-ახალი ჭურჭელი მოჰქონდათ. ვაჟას ეს შეუმჩნევია და უთქვამს: იმას იმდენი უყრია, სად რა წაიღოს, არ იცის, მე კი აქ გამოსაცვლელიც არა მაქვსო. სხვის წაღებას, მე წავიღოო". (36, 41).

თედო რაზიკაშვილის ქალიშვილის, ეთერის ამ მოგონებიდანაც კარგად ჩანს, რომ გიორგი ვერ ამჩნევდა ვაჟას გაჭირვებას. ერთხელ ნახმარ ტანსაცმელსა და ჭურჭელს მეორედ აღარა ხმარობდა, სხვებს აძლევდა, ვაჟასთვის კი ცარელი ბოთლებიც არ ემეტებოდა, იდგა და ბოთლებს ძირებს უხვრეტდა. იქნებ ეს ერთგვარი ჩუმი ქიშპიც იყო ვაჟას მიმართ – უნდოდა რაც შეიძლება მეტად გამოეჩინა თავისი „სიდიდე" მწერალ ძმასთან შედარებით. ამასთან ერთად არც ის არის გამორიცხული, რომ გიორგი ამ მეტისმეტად მაძღრისი თანამდებობის დაკარგვის შიშით, ყველანაირად ცდილობდა დაემტკიცებინა ირგვლივ მყოფი მეფის მოხელეთათვის „ბუნტოვშჩიკი" ძმის უთანაგრძნობა. ცდილობდა დაერწმუნებინა მეფის მთავრობა თავის ერთგულებაში იმითი, რომ არ იცოდა (სხვა მოხელეებთან ერთად) ვინ იყო ილია ჭავჭავაძე და არ სცნობდა ვაჟა-ფშაველას, როგორც მწერალს, როგორც პიროვნებას.

ასეთ უფროსებს და ასეთ ძმებს ხშირად იქაცა აქვთ პრეტენზია უკეთესობისა, რაშიც უპირატესობა ღარიბისა თუ დაჩაგრულის მხარეზეა – ეკაფიავებოდა კიდეც ვაჟას, მაგრამ ქართულად ვერ ახერხებდა, უფრო რუსულად ემარჯვებოდა და უფრო უაზროდ. ნადირობაში და სროლაშიც სულ იმის სამზადისში იყო, რომ ვაჟაზე კარგად ინადირებდა, უბრალოდ მოუცლელობისაგან არ ჩანდა როგორც მონადირე. სანადიროდ არასოდეს არ იყო ნამყოფი, მაგრამ არა კმაყოფილდებოდა შვლებით და წვრილი ნადირით, უთუოდ ირემი უნდა მოეკლა და ისიც – ხარი, არანაკლებ 10-12 რქის ნაყრიანი. გაწმენდილ-გაკრიალებული თოფი, გამზადებული ვაზნებით კედელზე ეკიდა და წასვლის მეტი აღარა უნდოდა რა... მაგრამ ამ წასვლაში იყო საქმე. ხანდახან გიორგის ვაზნების სათვალავიც აერეოდა ხოლმე, რა თქმა უნდა ვაჟას დააბრალებდა და აუტეხდა ერთ დავიდარებას. ვაჟა კი დაცინვით ეუბნეოდა:

– ბიჭო, შენ ნამდვილი ტარტარენი ხარ. ერთი, თუ ღმერთი გწამს, დაიხედე შენს მუცელზე, ყაზარასავით რომ გაბერილხარ, რომელ ნადირზე ოცნებობ? შენ და ირემი? ღმერთმა ნუ შემარგოს შენი მოკლული ირმის ხორცი! ნუთუ მართლა მონადირეობაში სდებ თავს? ერთი დამიხედეთ ამ მონადირეს! ტყუილად თოფს და პატრონებს ნუ აცდენ, ვეფხვმა იცის, როგორ მოიხმაროს... მოიტა რაღა აქ!.. ხომ გაგიგონია ნათქვამი: „იარაღნ მამცენ, ფშაველო, რად გი არ იცი ხმარებაო". აი, ეს შენზე და შენისთანა მონადირეებზეა ნათქვამი, გესმის? ჰო, მოიტა, შენ კარგი ბიჭი ხარ, კიდევ იშოვნი, ერთი ათიოდე ვაზნა მაინც ჩამოდი... მაშ რად მიხარიან მე შენი თავი. ერთად წავიდეთ ერთად სანადიროდ. ბუღაანში წაგიყვან, ახმეტის თავში, იქ ადვილი სასიარულოა. ირემსაც ხომ არ უყვარს ღადე-ღუდე ადგილები... ადვილად ივლი... ყვირილობას წავიდეთ, ყვირილობას. უთუოდ მოვკლავთ ხარს. გიყვარდეს ირმის სუკები, ზედ ახმეტური მაჭარი. ჩვენს ვენახსაც, ამბობენ, წლეულს კარგა ასხიაო"...

იმდენს ელაპარაკებოდა, რომ ბოლოს ისიც თავს ბუღაანში წარმოიდგენდა, ვაჟას ხომ უვაზნებოდ ვერ გაუშვებდა და რამდენიმე ცალს სასწრაფოდან ამოაცოცებდა. ვაჟაც სიამოვნებით გამოართმევდა და ჯიბეში გააქანებდა". (მ. რაზიკაშვილი) (46, 231).

ამაყი იყო ვაჟა, ჩანს, არაფერს არა სთხოვდა. რატომ უნდა ეთხოვა? ვე-

რა ხედავდა გიორგი, რომ მის ძმას ძალზე უჭირდა, ცოლ-შვილის გამოსაკვებად დაავადებული კაცი წელებზე ფეხს იდგამდა, ცოლ-შვილი მშიერ-ტიტველი ჰყავდა, გიორგი კი უაზროდ ხარჯავდა, ჩანს, ქრთამად აღებულ ფულებს.

ვაჟა, მონადირე და თოფ-იარაღის უზომოდ მოყვარული მთიელი, მარტო ვაზნების თხოვნისაგან ვერ იკავებს თავს, ათას რაღაცას ჰპირდება ნადირობაში თავის გამოჩენის მსურველ ვექილს. პოლიციასა და მოხელეებს იარაღისა და ვაზნის შოვნა არ გაუჭირდებოდათ, რამდენსაც გინდა იშოვიდა, შეეძლო ვაჟასთვისაც ეშოვნა, მაგრამ არა, უნდოდა ეიძულებინა, რომ ეთხოვა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ აკლია ვაზნები და ვაჟას უყვირის, ეჩხუბება – შენ მომპარავდიო.

მოკლედ, გიორგი გაღმა იყო, ვაჟა – გამოღმა.

ბაჩანა

ბაჩანა ვაჟას მეორე ძმის, ნიკო რაზიკაშვილის ფსევდონიმია. ამ სახელით არის ცნობილი ქართულ მწერლობაში. ტანდაბალი, მომცრო ტანისა ყოფილა და ამიტომ შეურქმევიათ ბაჩა, ბაჩანა. ბავშვობაში ძალიან სწყინდა თურმე ეს მეტსახელი, თიკუნი, მაგრამ შემდეგში შეეგუა, კიდეც მოსწონდა და ლიტერატურულ ფსევდონიმადაც შეირჩია. ის ხუთი წლით უმცროსი იყო ვაჟაზე.

ტანად კი პატარა ყოფილა, დაბალი, მაგრამ ჩასხმული ჯირკვა, მხარბეჭიანი, ძალიან მკვირცხლი, ფიზიკურადაც ძლიერი და ამასთან ძალზე ფიცხი. მის შესახებ ხშირად ხუმრობდნენ: ვაი იმას, ვინც მაგას გააბრაზებს, სანამ სიტყვას მოათავებს, ბაჩა ვეფხვივით დაახტებაო. თავისი ფიცხი ხასიათის გამო ბევრ ხიფათს, ბევრ უსიამოვნებას გადაჰყრია ცხოვრებაში. ერთხელ მიპარვით ფერდში დაჭრეს კიდეც, რამაც საბოლოოდ შეურყია ჯანმრთელობა.

სახით ისიც თავის ძმებივით ლამაზი სახისა ყოფილა, უკან გადავარცხნილი გრუზა ქოჩორი კიდევ უფრო ლამაზ იერს მატებდა. ამიტომ ბევრ კარგ ქალსაც მოსწონდა, მაგრამ მაინც თავის ბავშვობის შეყვარებული, თავისი თანასოფლელი მარიამ გურასპაული შეირთო, ფშავლის ლამაზი ქალა. თავისი თემსოფლის ქალის მოყვანა მთის ადათით აკრძალული იყო, მკაცრად ისჯებოდა. ბაჩანასაც თემიდან მოკვეთით ემუქრებოდნენ, ამიტომ ის გარიდებული იყო ჩარგალს და მასწავლებლობდა გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში, სიღნაღში, ხევსურეთში (ბარისახოში), ფშავში (აფხუშოსა და მაღაროსკარში).

ბაჩანას 18 წლისას დაუწყია ვეჯინში მასწავლებლობა. გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ არჩევანი ჰქონია: ან მღვდლობა, ან მასწავლებლობა. მას მასწავლებლობა აურჩევია.

უსამართლობას ვერც ბაჩანა ეგუებოდა, დაჩაგრულთ ექომაგებოდა და ამის გამო მტრად გადაჰკიდებიან გურჯაანელი თავადები. ერთი აბაშიძე ვიღაცა ყოფილა, ნამეტნავად ის გადაჰკიდებია, გამომწვევად ექცეოდა თურმე. ერთხელ მას ბაჩა-

ნას აქლემის ბეწვის კაშნე მოუხვევია ყელზე და წაუღია. ბაჩანას არ შეურჩენია, წაურთმევია.

წვეულებაზე სადღაცა ყოფილან. უკნიდან წამოჰპარვია ეს აბაშიძე და სასიკვდილოდ დაუქნევია თავში ხანჯალი. ბაჩანას თავის გვერდზე გაწევა მოუსწრია, მაგრამ ხანჯალს ლავიწის ძვლები ჩაუჭრია. ისეთი მძიმე ჭრილობა ჰქონია, ექიმს არ დაუდვია ხელი. ვიღაც ექიმბაშს მოურჩენია შინაურული წამლებით.

სკოლიდან დაუნახია ბაჩანას ეს აბაშიძე როგორ ართმევდა გლეხს გუდურა შეშას. ფანჯრიდან გადმოფრენილა, წამოუქცევია და მაგრა უცემია. ამის გამო ხევსურეთში ისე გაუგზავნიათ, როგორც გადასახლებაში. 7 წელი იმასწავლებლა ბარისახოში. ხევსურებს ძალიან ჰყვარებიათ, ხათრი ჰქონიათ მისი. ბევრჯერ მოსისხლენიც შეურიგებია. „ბიძურა და ჭრელა ლიქოკლები სასმლით ჩამოვიდნენ მასთან აფხუშოში, ბარისახოდან წამოსვლის შემდეგ, ცრემლმორეულებმა ბევრი ჰკოცნეს. მამამაც კარგად აქეიფა ისინი და ისე გაისტუმრა ორი დღის შემდეგ", – მიამბო ბაჩანას შვილმა გიგლა რაზიკაშვილმა.

ის აბაშიძე ბოროტი კაცი ყოფილა. რევოლუციის დროს ცუდკაცობა არ შეურჩენიათ ქიზიყელებს და მისი თავი მარგილზე ჩამოუცვიათ.

მხიარული, დაუდეგარი კაცი იყო, შეუპოვარი. პოეზიაშიც გაუმართლა. ხშირად მას უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ვაჟას. თავადაც არ ეპარებოდა ეჭვი ამაში და ვაჟას ყოველთვის ექიშპებოდა. ალბათ ცდილობდა იმის დამტკიცებას — ტანად ბაჩა ვარ, მაგრამ ლუკას მაინცა ვჯობივარო. სხვა ძმები ერიდებოდნენ ვაჟას, ბაჩანა კი მოურიდებელი ყოფილა. დაეტაკებოდა თურმე და ხან ერთი იყო ძირს და ხან მეორე. ღონით ვაჟას ხანდახან კიდევაც ჯობნიდა თურმე.

მთაში კარგი ვაჟკაცობის, მკლავმაგრობის ერთ-ერთი გამოსაცდელი საშუალებაა თიბვა. სათიბში, განსაკუთრებით „მუშათ" (ნადის) დროს ეჯიბრებიან ხოლმე ერთურთს, „ვისაც თავი აქვს ცდისა". მკლავმაგარი ბაჩანა ხშირად იწვევდა თურმე ვაჟას.

ერთხელ მამა-შვილები მთაში ყოფილან სათიბზე. მათთან ყოფილა მათი დისწული მიხაც. ჰოდა, მიხა იგონებს: „პირველად

ვაჟა დაწინაურდა და ბაჩანას გადმოსძახა: „ბაჩო, მკლავი სჭრის, მკლავიო!.." „ვნახოთო" – მიაძახა ბაჩანამ. მკლავი ორივეს უჭრიდა, მაგრამ აქ ცელზე და მის ლესვაზე იყო დამოკიდებული, ბაჩანას უფრო ემარჯვებოდა მუშაობა და ლესვა ცელისაც კარგად იცოდა... რამდენიმე ხნის შემდეგ ბაჩანა დაწინაურდა და ვაჟას გადმოსძახა: „ვაჟავ, ეხლა ვისი მკლავი სჭრისო?!" ვაჟამ დააგდო ცელი და დაჯდა: – „ამ ბლაგვით მუშაობა შეუძლებელიაო". მამამ, რომელსაც ვაჟა განსაკუთრებით უყვარდა, ცელს გადააბრალა და ვაჟა დამარცხებულად არ გამოიყვანა. მოვიდა ბაჩანაც, ისაუზმეს, გაულესა ცელი ვაჟას და განაგრძეს მუშაობა". (46, 234).

ბაჩანა, რაკი თავისებურად დამცინავი და ღვარძლიანი ყოფილა, ვაჟასთან შეხვედრისას არ უშვებდა შემთხვევას და სულ რაღაცას ეკამათებოდა, სულ რაღაცას უმტკიცებდა. ვაჟა არა ჰყვებოდა, მაგრამ ხშირად ისიც არ უთმობდა და ქილიკზე ქილიკითვე პასუხობდა. ივ. ბუქურაული იგონებს: „ერთ საღამოს ვაჟა, ბაჩანა, ჯაჯანაშვილი (სახელი არ მახსოვს) და მე წავედით მუშტაიდის სასეირნო ბაღში. მოსეირნე ხალხი ბევრი ირეოდა. ჩვენ დავიჭირეთ მაგიდა, მოვატანინეთ სასმელ-საჭმელი და შევექეცით...

სხვათაშორის, ლაპარაკი ჩამოვარდა არაგვზე. მე ვკითხე, თუ არაგვი მთაში როგორ მოდის, ვიწროდ თუ გაშლით, ხიდებია თუ ფონები. აქ ბაჩანამ სთქვა, რომ ბარისახოსთან არაგვზე გადავხტომილვარო. ვაჟამ პირზე ღიმილით შემომხედა, ჩაიცინა და სთქვა: „ჰო, დიაღ, არაგვზე გადახტა ეს ბიჭი!" ბაჩანა შეფხუკიანდა, დაიკრა გულში მუშტი და დაიწყო ფიცით მტკიცება, რომ მართლა გადამხტარა, მოწმეებსაც კი ასახელებდა. ვაჟა იღიმებოდა და იმეორებდა: „დიაღ, არაგვზე გადახტა ეს ბიჭიო!"

ცოტახნის შემდეგ ბაჩანა ადგა და მიიმალა სიბნელეში. არ გაიარა დიდმა ხანმა, უცბად მოგვესმა ფართხალი და მასთან ძახილი: ვაჰ! ვუჰ! მე და ჯაჯანაშვილი წამოვვარდით და გავექეცით იქითკენ, საიდანაც ხმა მოისმა. და რა დავინახეთ? დგას ბაჩანა მთლად წყალში გაწუწული და ჩოხისა და ახალუხის კალთებს სწურავს. თურმე იქვე ახლო ნაპირებიდან ბალახგადაფარებული რუ ყოფილიყო, ბაჩანას ვერ შეემჩნია რუ სიბნელეში და შიგ შუაში ჩავარდნილიყო. მოვიდა ბაჩანა მაგიდასთან მთლად

დასველებული. „ბიჭო, – გაიცინა ეხლა კი გულიანად ვაჟამ, – აკი არაგვზე ხტებოდი, აქ კი პატარა რუზეც ვერ გადამხტარხარ?"

მოკლედ, მთაში თუ ბარში, სადაც შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ბაჩანა უთუოდ რაღაცაში წაექიშპებოდა ვაჟას, რაღაცაში შეეჯიბრებოდა. ვაჟა ხშირად თუ გუნებაზე იქნებოდა, ძალზე გულუბრყვილოდ, კეთილი გულით აჰყვებოდა ხოლმე, უცებ დიდ ბავშვად იქცეოდა.

იგივე ივ. ბუქურაული იგონებს: „ერთხელ სოფლიდან ჩამოსულ ვაჟას და ბაჩანას დაეჭირათ სასტუმროში ოთახი სალდათის ბაზართან. ვაჟასთან და ბაჩანასთან იყო მათი ძმა სანდროც. ბაჩანა და სანდრო მაშინ გავიცანი პირველად. ვიხუმრეთ, ვილაზღანდარეთ, ბოლოს დავიწყეთ სკუპით ხტუნაობა – ვინ უფრო შორს გადახტებოდა. ვხტოდით სამნი: ვაჟა, ბაჩანა და მე: სანდრო არ იღებდა მონაწილეობას. ვაჟამ გაიძრო ჩოხა, ჩუსტები. წაიღებდა ვაჟა ხელებს უკან, შედგებოდა თითის ფრჩხილებზე, გადაგვავლებდა თავმომწონედ მოელვარე თვალებს და ისკუპებდა. „როგორია ბიჭი?!" – წამოიძახებდა ვაჟა. „მაგთვენი არაფერი", – იტყოდა ბაჩანა თავისებური კისკისით. ვხტოდით რიგ-რიგად. ერთმანეთს მაგდენად ვერა ვჯალდავდით. „დაიცათ, ვაჟნო, ერთიც კიდევ უნდა გადავხტე!" – წამოიძახა ვაჟამ. ისკუპა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ცოტა ტანი ფეხებს ველარ მოაყოლა და ზღართანი მოიღო იატაკზე. ამ დაცემის დროს ვაჟას ლაჯებში გაუსქდა უბრალო ბამბის შალვარი. ასტეხეს ძმებმა სიცილი. ვაჟამ ამოიღო ნემსი, ძაფი და არხეინად შეუდგა შალვრის დაკერებას" (46, 234).

ძმები ხშირად ერთურთს ალექსებდნენ, იუმორისტული ლექსების მიწერ-მოწერით კითხულობდნენ ერთურთის ამბავს. ეს იყო უმთავრესად ვაჟასა და თედოს შორის. ხანდახან ერთვებოდნენ ამ გალექსებაში სანდრო და მათი დისწული მიხა.

ვაჟასა და ბაჩანას შორის კი ხშირად სერიოზული, ცხარე კამათი იმართებოდა ლიტერატურულ საკითხებზე. ერთურთს რჩევას აძლევდნენ, მითითებებს ამა თუ იმ ნაწარმოებებზე, კამათობდნენ. ბაჩანამ უსაყვედურა ვაჟას, მაგალითად, კვირიას წნელით რატომ შემოარტყი ხმალიო, „მუში" (ლაფანი) მაინც გეთქვაო. ვაჟამ ბაჩანას მისცა შენიშვნა „თაღლაურას" გმირის

ღალატით დაღუპვაზე – გმირის ეგრე დაღუპვა ცოდოაო.

1960 წელს აფხუშოში ერთადერთი მოხუცებულიღა ცხოვრობდა – „ჟამიათ ბებერი", იმან მიამბო ბევრი რამ ვაჟასა და ბაჩანაზე და, სხვათა შორის, აი, ეს ამბავიც: „ბაჩანას სკოლა ჩვენს სახლში ჰქონდა, მეც მასწავლიდა...ერთხელ ვაჟამ შემოიარა, ნათიბი ჩვენ მთაში ჰქონდა, თივას აქედან ეზიდებოდა. შემოვიდა ვაჟა შინ, რაღაცა დაილაპარაკეს და ეცა ბაჩანა. ატეხეს ერთი ლეწა-მტვრევა: მერე გავიგეთ ბაჩანასაგან, თურმე „ხმელ წიფელზე" უკითხია აზრი ვაჟასთვის – ესეთი რაღაც აზრი მომივიდა და ივარგებსო? ვაჟას კი თვითონ დაუწერია და გამოუქვეყნებია კიდეც. ამაზე ყოფილიყო გაბრაზებული ბაჩანა".

ასეთი მტრული შეჯახების შემდეგ ძმები მალე ივიწყებდნენ წყენას, უცებ გადაუვლიდათ და ისევ ძმანი იყვნენ.

ვაჟას და ბაჩანას შინაურულმა ლიტერატურულმა კამათმა ერთხანობას პრესის ფურცლებზეც გადაინაცვლა და საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო. კამათი დაიწყო ისევ და ისევ ბაჩანამ, როცა ვაჟას ერთ-ერთი უბრწყინვალესი, ძალზე თანამედროვედ ჟღერადი (მაშინაც და დღესაც) ლექსი გამოაქვეყნა „დროებაში" 1909 წალს. აი, ეს ლექსი:

კაი ყმა
(ხევსურულ ჰანგზე)

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო, ნათქვამის არა გვრცხვენოდეს,
მსმენლის გულს აბორგოვებდეს, არავის არა სწყენოდეს?
ვინა, ვინ არის კაი ყმა, ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს?
მიდით, იქ მიდით, სადაცა ხალხი ხალხზედა ღელავდეს,
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ–მტერსა, ხმლები, ხანჯრები
ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს, ცოცხლები მკვდრებსა
სთელავდეს;
ფარების დადგეს ჯღრდეები, თვალები თვალებს სწველავდეს;

მოციქულობდენ ტყვიანი, შუბები შუბებს სწვერავდეს,
ჭიაფრად მუზარადებსა სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი, სუდარაებსა ჰკერავდეს.
ვინც მიეგებოს მტერს წინა, წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს.
სახე-სისხლგადამდინარი ტკივილს არ გამოიტყოდეს,
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა, ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაჰბეროს, დაათბოს, როცა ჰყინავდეს.
პირველად ომის დამწყები, ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს,
სხვანი იყოფდენ ნადავლსა, ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს,
მიძღვნილსა საუფროსოსა ამხანაგებსვე სწირავდეს.
დარაჯად ედგას ლაშქარსა, როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს.
სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს, ცდუნება არა სძირავდეს.
მტრის ჯავრის ედგას ლოგინი, მტრის ჯავრი საბნად ჰფარავდეს.
იქ იდგეს ხმალამოწვდილი, საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს.
გაბეჩავებულს სიმართლეს უსამართლობა სძალავდეს.
სხვისი იუბნოს სახელი, თავის გარჯასა ჰმალავდეს.
მზედ იდგეს ხევსურეთისა, უხვად შუქს ჩამაჰლალავდეს.
სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი, კვდებოდეს, არა გმინავდეს;
თავის სამარხად, სუდრადა მარტო სახელსა სწირავდეს.
ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა, მკვდრისა ვსვათ შესანდობარი.
წყლული სცნას დედის კოცნადა, თავის ლოგინად – სამარი.
საკაცე – თავის ლურჯადა, ქვა-ლოდი – ნაბდად საფარი,
ქალისა, რძლისა ქვითინი ეგონოს სიცილ-ხარხარი,
დენა ცრემლისა – ხორხოშა, ღრუბელთა გადმონაყარი.
სულეთს შავიდეს ხმლიანი ლაღი ლაღისა ცხენითა,
წინ მიუძღოდეს არწივი ხმით მოყაშყაშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა, გადასრულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს, დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი მცინარი, თავის ფეხითა.
გახარებული უფალი კარგ ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა.
ანგელოზები ხარობდენ, ალ-ქაჯნი იყვნენ წყენითა.
აი, ვინაა კაი ყმა, მოსაგონარი ქებითა!
არა თქვენ, სადიაცენო, რო ძროხებივით სძღებითა;
ღამე მაძღრები დასწვებით, დილით მშივრები სდგებითა;
თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ არც როს არ გამასდგებითა.
თავისად სცოცხლობთ, მცონარედ, ლეში ალაღოთ ჰკვებითა;
გაიგებთ კარგის გარჯასა, გწყინთ და შურითა ხდებითა;
უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს, უქმად საფლავში სწვებითა,
დაჰკარგავთ სააქაოსა, ვერც საიქიოს სწვდებითა,
არ იცით, დასჩნდით რისადა, ან რისათვისა ჰკვდებითა!"

ბაჩანა რატომღაც არ დაეთანხმა ვაჟას კარგი ყმობისაკენ მოწოდებას, ვერ გაიგო, რას ითხოვდა ვაჟა თუ ამ კარგი ლექსის გაბაიბრურება უნდოდა, საკმაოდ მდარე ლექსით გაეპაექრა ჟურნალ „განთიადში".

ვაჟა-ფშაველას
(მისი ლექსის გამო: „ვინ არის კაი ყმა")

შენ იმას თვითონ ბრწყინვალე, ამკობ ქებათა-ქებითა
და კვლავ სამეტოდ „კაი ყმას" ჰრთავ სხივ-შარავანდედითა.
მაგრამ იმ ხოტბა-შესხმასა, რახან „კაი-ყმა" ყოფილა, –
უნდა დავძინოთ, რომ მასთან დიდი დარდაკიც ყოფილა.
თორემ ჩვენ დროში კარგ ყმობას, ვინ იზამს ტუტუცის მეტი?
და ვინ შეაქებს ამისთვის, ძველი თათქარიძის მეტი?"

ვაჟას გული ატკინა მის ჩანაფიქრზე, მის მოწოდებაზე — კაი ყმობა ვქნათ, მამულისთვის მტერს ვეკვეთოთო — ასეთმა გამოხმაურებამ და მერე ისიც ვისამ? ძმისამ, პოეტ ბაჩანასაგან, ვისი იმედიც, ალბათ, ყველაზე მეტად ჰქონდა; ვისი ლექსი „მუხა", თავისი ღრმა პატრიოტულობის გამო, საზოგადოებამაც აიტაცა, ილია ჭავჭავაძესაც ძალიან მოსწონდა და მოსწონდა ვაჟასაც. ხშირად სადმე საზოგადოებაში ლექსის თქმას როცა სთხოვდნენ ვაჟას, ჯერ ბაჩანას „მუხას" იტყოდა თურმე და მერე თავის „არწივს". ვაჟას არ შეეძლო უპასუხოდ დატოვება ამ გატრიზავებისა და „სახალხო გაზეთში" უპასუხა ლექსითვე:

პასუხი ბაჩანას
(მისი ლექსის გამო)

„მაშინ კარგია კაი ყმა,
რო დილა-ბინდზე დგებოდეს,
იცვამდეს გრილსა რკინასა,
„ომს ვიზამ" – იმუქრებოდეს.

ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა
წაღმა-უკუღმა დგებოდეს.
იხარჯებოდეს კაი ყმა,
ფარი ოხრადა რჩებოდეს”.

(ხალხური)

რა ფრიად დავღონებულვარ, ცრემლი მადგება თვალებში,
მუხლთ მეკვეთება, ვმუნჯდები, სიდამბლე მომდის მკლავებში:
ყორნის ყრანტალად ქცეულა ბულბულის სტვენა ჭალებში,
გულსა და გონებას მირევს ავად ბუნების თარეში,
კარგისა შეცვლა ავზედა ამ ჩვენ სამშობლო მხარეში!
მიკივის: „გაიგონეო: მზეს უმზეობა სჯობია;
კაი ყმა, ვინც უნდა იყოს, ბრიყვი და დასაგმობია!
რა უნდა ვუთხრა მე იმას, ვინც ასეთ ფიქრსა ჩვეულა?!
როგორ მწყინს, კაი ფანდური შუაზე გადამტვრეულა.
რა ცუდი საქმე მომხდარა, იგიმცა მიწა წყეულა!
უმსგავსობაა: კეთილი ბოროტისაგან ძლეულა.
გული მიკვდება, თვალთაგან მდუღარე გადმონთხეულა!..
მუხავ, უთხარი შენს მგოსანს, ასწიე მკლავი გმირისა!
რად მოგდგომია საჭრელად ცულით, გამტეხი პირისა.
შენს კაი ყმობას დასცინის საჯაროდ მთქმელი ძვირისა,
გუშინ რომ გუნდრუკს გიკმევდა, დღეს შენს მოკვლასა ჰკივისა.
თუ არ გრძნობს უსამართლობას, სატრფიალო ხარ იმისა?!
შენ უპასუხე, მუხავ, შენ, მე მეტს ვერ ვეტყვი ვერასა,
მტრობაში ჩამომართმევენ და დამიგმობენ წერასა.
ძალით ან ხვეწნით, ცხადია, ვის მოვაწონებ მღერასა?!
მხოლოდ კაი ყმებს ვუსურვებ უხვად სამშობლო კერასა!”

ბაჩანა, ჩანს, მეტისმეტად გააბრაზა ვაჟას პასუხმა. მართლაც, მწარე იქნებოდა საქვეყნოდ სამშობლოს მოღალატედ გამოცხადება, თანაც ძმისაგან. ეს იმ დროს, როცა კაცს სამშობლოსათვის თავგანწირულ რაინდად მიაჩნდა თავი და იყო კიდეც. ვაჟას საპასუხოდ ჟურნალ „ერში” გამოაქვეყნა ლექსი „მთამა სთქვა”, სადაც ნაგულისხმევია სამშობლოს დამმონებელი, მძარცველი, საიდან სად მოთრეული მტერი, მაგრამ გარკვეულწილად ვაჟას მისამართითაც არის ნასროლი ისრები:

„ვდგევარ და თვალი მიხუჭავ, თოვლ-ფიფქო, თავზე მედები.
ვეტრფი ჩემს ერს და სამშობლოს, ოცნებით თავზე ვევლები.
თვალი კი ვერ გამიხილავ, მტერო, წინ ამეხეჩები.
ნეტევი ან მე დამთხია და ან ეგ მოჰკლა წყეული.
ჩვენს სახლ-კარზედა ბატონობს საით სად გადმოთრეული;
შურისძიებამ შემიპყრო, ვარ თავგულგამორეული.
დახე, როგორა გვერთგულობს, როგორ გვისრულებს აღთქმასა,
ჯერ დაგვაშიშვლა, დაგვძარცვა, ახლა გვიპირებს დაჭმასა.
თუ კიდევ რას გამოგვრჩება? კი დაგვაჯერებს ამასა?
დღესამდე სიყვარულისა მისთვისაც მქონდა კუნჭული,
ეხლა კი გამომერეცხა, ცოფით ამევსო სულგული,
ბნელეთის ზღვაში დამენთქა საკაცთმოყვარო კუნძული.
წმინდა და სპეტაკ გულშია, ზღვევის ჩამისხდა გველები,
მგელი, სისხლ-ხორცით უძღები და ვეფხვი შეუბრალები.
მწენენ და მღადრვენ, არ ვიცი, როდის მოვთხოვო ვალები?
მიწყდება ბეწვი მოთმენის წამ-ერთი ჭირად მიხდება.
ყოფადი ნაადრევი სჯობს, ქმნადი – რაც მალე იქმნება.
თუ ისევ მოკლედ, თორემა მერე გვიანღა იქნება”.

ვაჟამ იოლად ამოიცნო ბაჩანას ნართაულები, მაგრამ მაინც ისევ სამშობლოზე ჩივილზე გადაიტანა, თუმცა კონკრეტულ, თავის მისამართით გამოშვებულ ისრებსაც უფარა. საპასუხოდ დაწერილი ლექსი „მთამ სრულიად სხვა თქვა” (პასუხად ბაჩანას) იმავე წელს გამოაქვეყნა „დროებაში”.

„მთამ ეგ არა სთქვა, ბაჩანავ, როგორაც შენა გგონია.
მისი ნათქვამი, ნაგრძნობი, მე სულ სხვა გამიგონია.
გაცვრცვილმა, ნაცემ-ნაგვემმა, აღშფოთებულმა ფრიადა,
ისევ თავს უთხრა: „დამშვიდდი, გულო, რამ აგაზვიადა?!
მომთმენი, აუჩქარები, ამწონ-დამწონი საქმისა
კი არ გამხადო მსხვერპლადა შენ შემთხვევითი წამისა?
სურვილი მალეობისა მოსაწონია თავისა?
ერთი წელი და ათასი ბარდაბარია ჟამისა.
მაშ ჩვენი ტანჯვაც ჩავთვალოთ სიბნელედ ერთის ღამისა.
გვიან აყვავდეს, იგი სჯობ, ხილ-ხული ჩემსა არესა,
მინამდე ადრე და დაზრეს, დღეს იგემებდეს მწარესა.
არ მომწონს ფაცი-ფუცობა, სულსწრაფთ, უმეცართ ხელობა,
თუ სამერმისოს კარგს ვხედავ, დღევანდლის დღისა მწველობა

სურდოდ მაჩნია, – ჭლექისა იმას არა აქვს ნიშანი,
ოღონდ გვეჭდიოს გულში ღრმად, ყველას მომავლის მიზანი,
მოვრწყოთ ნაღვაწით ოფლითა ჩვენი სამშობლოს მიწანი!..
აჰღელვებულხარ ძალიან, თავის ძმა ვეღარ გიცანი!
რომ მომავალი ჩვენია, ამას რად უნდა მისანი?!"

ასეთი მებრძოლი, შეუპოვარი სულის პატრონი იყო ბაჩანა, ლაღი, იმედიანი. მაგრამ შემდეგში უკუღმა დაიწყო ტრიალი ცხოვრების ჩარხმა და ბაჩანაც თანდათან ჩაქრა. პეტერბურგში განათლების მიღების დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ დიდი ცდისა და წვალების მიუხედავად, ვერაფერი სახსრები გამოძებნა. ეს ხელმოცარვა დიდ დაღად ჰქონდა გულში ჩარჩენილი. იყო მთებში მიყრუებულ სოფლებში გამოკეტილი. მისი მდგომარეობა ჩანს მისივე წერილიდან, რომელიც მას თედოსათვის მიუწერია: „ვარ მარტოკა, ვესაუბრები მხოლოდ ჩემს თავს, მოპასუხე და ხვაშიადის მოზიარე არავინაა, გარდა არაგვისა, მთებისა და ბეჩავის ჩემის ცოლისა... ვზივარ ბევრჯერ ჩემთვის, საცოდავ ფიქრებში გართული, ვუკრავ ფანდურს, ვესაუბრები ბევრს რასმე ჩემის გულის ამონაკვესისას და საწყალი ჩემი ცოლი კი ზის და ჩამოსდის ცრემლები!.. ესაც ნუგეშია ტანჯულის მგოსნისა, არა, ძმაო?.. კიდევ კარგი, რომ ეს მაინც მიგებს და მაფასებს, რაც კი მოეთხოვება იმის განვითარებას. ნეტა, საზოგადოება რომ არა ვსთქვა, წიგნები მაინც მქონდეს ბევრი-ბევრი, რაც საჭიროა, მაშინ კიდევ აღარას ვიტყოდი, იმეებით მაინც ვიცხოვრებდი... დიახ... ჩემი მოწაფეები, ჩემი საყვარელი შვილები... ისინი რომ არ მართობდნენ კიდევ ან გავგიჟდებოდი, ან სხვა რამე უფრო უკეთესი დამემართებოდა... დავჯდები, შემოვისხავ გარს ჩემს ბარტყებს, ვკითხულობ და ხშირად მეც ვტირი ჩემს მოწაფეებთან".

ასეთ გამოყრუებულ ცხოვრებას ზედ ერთვოდა ცოლ-შვილის ავადმყოფობა. ამას მოჰყვა თავს დატეხილი დიდი უბედურება – ერთბაშად ორ-ორი შვილის სიკვდილი.

ამ ტრაგედიამ უფრო დააძაბუნა ბაჩანა, ცოლ-შვილზე თავგადაკლული მამა. იმედების გაცრუება, სიღატეკე, მარტოობა, სიკვდილიანობა – ასეთი იყო ბაჩანას ცხოვრება, განსაკუთრებით, მეორე ნახევარში.

ბაჩანა აფხუშოდან 1918 წელს წამოვიდა დუშეთში, მენშევიკების დროს, იქ მასწავლებლობდა. 1920 წელს კვლავ სიღნაღში დაბრუნდა. უკვე ძალიან ავადობდა. გარდაიცვალა 1928 წლის დეკემბერში. ბაჩანას დამკრძალავი კომისის თავმჯდომარე ყოფილა პლატონ კეშელავა, ისინი ნათელ-მირონებიც ყოფილან. მწერალთა კავშირიდან მოუწყვიათ გასვენება. მეუღლეს დატირების ნებას არ აძლევდნენ თურმე, პლატონს დაურთია ნება და ხმით უტირია მარიამ გურასპაულს:

„დაიცა, ცეცხლო, ნუ მედები,
ვერ დაგიწვივარ და ვერც დამწვავ!
დაიცა, გულო, ნურც შენ მებრძვი,
ვერ მოგიკლივარ და ვერც მამკლავ!
სიკვდილო, ნურც შენ მოგწონ თავი,
სირცხვილზე მეტი არც შენა ხარ!
თქვენი ჭირიმე, ჩარგალელნო დებო და ძმებო, ბიძებო!
განა რო შამიფერა ღმერთმა,
არ მაპატია, მაზღვევინა
გადამდეგობა თემ სოფლისა,
გადამდეგობა თემთ პირისა,
რას უშავებდა ე ბალღები,
აქ არ ვიყავა დამნაშავე?!
რად არ დამთხარნა ორნი თვალნი,
რად არ დამიხმნა ორნი ხელნი
დედა მოგიკვდეთ, მანონაო,
აგაღებინე ენა-ყბადა,
წაგაღებინე ქარსა-დ წყალსა!"

მის ტირილს დამსწრე საზოგადოება დიდად გაუოცებია. დაასაფლავეს დიდუბის პანთეონში.

თედო

თედო რვა წლით უმცროსი იყო ვაჟაზე. ამიტომაც ვაჟა მასზე თავიდანვე ბევრს ზრუნავდა. ერთად უხდებოდათ შრომა პატარაობიდანვე სიღარიბეში წამოზრდილებს. შრომა არ ეზარე-

ბოდა, მაგრამ ძილი უყვარდა დათვის ბელივით ჩამკვრივებულს და... დედის რძე.

„კარგად მახსოვს, როცა ძუძუს ვწოვდი ისევ, მეხუთე წელში ვიყავი. ხბორებში მგზავნიდნენ, მაგრამ სანამ დედა ძუძუს არ მომაწოვებდა, არ წავიდოდი ხოლმე", – წერს თ. რაზიკაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში.

არც ვაჟა-ფშაველას და არც ბაჩანას თავისი ბავშვობა არსად აღუწერიათ. თედოს აღუწერია და, რა თქმა უნდა, ის მარტო თედოსი კი არა, სხვა მისი ძმების ბავშვობის ნამდვილი სურათია, იმ განსხვავებით, რომ ვაჟას დროს ჩარგალში სკოლა არ იყო, მერე გახსნეს და მალევე დახურეს. თედოს მიერ აღწერილი თავისი ბავშვობა ტიპურია არა მარტო მისი ძმებისათვის, არამედ საერთოდ მთიელი ბავშვებისათვის. აი, რას გვიამბობს: „ექვსი წლის ჩარგლის სკოლაში დავდიოდი, მაგრამ ვაკეთებდი რამეს თუ არა, ეს იქიდან ჩანს, რომ ერთხელ, როცა სტრელეცკი მოვიდა სკოლების დასათვალიერებლად, სწავლის გათავების შემდეგ გამომეღვიძა, პარტაზე დამძინებოდა...

ქართული წერა-კითხვა ჩემმა ძმამ ნიკომ მასწავლა. პირველად ძალიან მიჭირდა, მერე კი კარგად ვსწავლობდი. მესამე განყოფილებაშიც გადამიყვანეს და დაიკეტა კიდეც ჩარგლის სკოლა... მანამ ხვნა-თესვას შევიძლებდი, საქონელში დავდიოდი, მერე კი ყველა გლეხურ საქმეს ვაკეთებდი. თავისუფალ დროს კი ტყესა და წყალში ვატარებდი. ისე გავიზარდე, ქალამანი არ მღირსებია... ეჰ, რაღა გავაგრძელო, იმ ხანებში საშინლად ღარიბად ვცხოვრობდით. ტანზე ბევრი არაფერი მცმია, შარვალი სულ არა, ზაფხულში კი შიშველი ფეხით დავდიოდი ცხვარსა და ძროხაში... მახსოვს ისე დამეყელებოდა ფეხის თითები, რომ ხანჯლით დაჭრილსა ჰგვანდა, მერე რა ძნელი იყო ამისთანა ფეხებით რიყეზე მაყვლიან ნაკაფებში და ახალ ნამკლებში სიარული! რო მომაგონდება, ახლაც ჟრუანტელი მივლის ტანში. ზამთარში ისე დამისქდებოდა ხოლმე ხელები, თითქოს დანით დაუჭრიათო...

ორი წელიწადი დავრჩი უსწავლელი, თითქმის გადამავიწყდა რაც ვისწავლე, ქართულს კი, აბა, რას დავივიწყებდი. ერთ ზამთარს „საქართველოს ისტორია" გადავწერე. ეს წიგნი თევდორე მღვდელს ეკუთვნოდა, მამაჩემს ეთხოვა და, რადგან ძველი

გამოცემა იყო და არსად არ იშოვებოდა, მამაჩემმა შემიკვეთა, გადამიწერეო. სხვა საქმისაგან გამანთავისუფლა და ჩავუჯექი ამ წიგნს. ზამთრის სიცივეში ჩავდიოდი სკოლის ოთახში და იქა ვწერდი. მაშინ სკოლა უკვე დაკეტილი იყო (სკოლის დახურვის მიზეზი ის იყო, რომ მასწავლებელი ანისიმოვი რუსი იყო, ქართული არ იცოდა, ბავშვებს ვერაფერს აგებინებდა, ამიტომ მოწაფეებმა ნელ-ნელა და ბოლოს სულ მიანებეს სკოლაში სიარულს თავი. 1880 წელს გაუქმდა ჩარგლის სკოლა - გ. ხ.)

ორი წლის გაცდენის შემდეგ ჩემმა ძმამ ლუკამ წამიყვანა ტოლათსოფელში, სადაც ის დანიშნეს მასწავლებლად... ლუკასთან სულ ერთი წელი დავყავ, რადგან სკოლა მაისში ისევ დაკეტეს". (36, 14).

ამის შემდეგ ნიკოს (ბაჩანას) წაუყვანია გორში, სადაც მაშინ თვითონ სწავლობდა, სემინარიაში მისაბარებლად. იქ დაქირავებულ ბინაში ნახევრად მშიერ-ტიტვლები დიდი გაჭირვებით ცხოვრობდნენ. თედო მძიმედ ავადაც გამხდარა ციებით. 1889 წელს წარჩინებით დაუმთავრებია სემინარია, მაგრამ სკოლაში ადგილი არსად ყოფილა. „კიდევაც რო გვქონდეს, მაინც არ მოგცემდით, თქვენ ისეთი გვარისა ხართო", – უთქვამს თედოსათვის სკოლების ინსპექტორს დარსკის. მას, ეტყობა, კარგად ახსოვდა ლუკა რაზიკაშვილი ტოლათსოფელში დატრიალებული ამბების გამო. ერთი წლის შემდეგ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თედო დანიშნა მასწავლებლად გორის მაზრის სოფელ ხელთუბნის სკოლაში. იმავე წელს მშობლებიც დაეხოცათ და დარჩა თედო ობოლი და არაფრის მქონე უცხო ხალხ-ქვეყანაში. ვაჟას, ჩანს, შიში ჰქონდა, თედო, გამოუცდელი ბალღი, როგორ გაართმევდა თავს საქმეს, ცხოვრებას. შიში ჰქონდა იმისა, რომ თედოსაც ისევე გამოაგდებდნენ სკოლიდან, როგორც თვით ვაჟა გამოაგდეს, როგორც გამოაგდეს ბაჩანა ვეჯინიდან. იცოდა თავის ჯიშ-ჯილაგის ამბავი და იმიტომ. ამიტომ გადაწყვიტა თედო ჩარგალში დაებრუნებინა და მამის საქმე, მღვდლობა ჩაებარებინა. ამისათვის მზად იყო, როგორც უმცროსი ძმისათვის, ჩარგლის სახლ-კარიც დაეთმო, თავად კი, ჩანს ან ცალკე გასვლას აპირებდა, ან სხვაგან წასვლა ჰქონდა გუნებაში. ამ აზრით, სხვა ძმებთან მოთათბირების შემდეგ თედოსათვის მიუწერია:

„ძმაო თევდორე

გატეხით, გამაგრებითა ხმალმა ბედენად არ გასჭრაო, ნათქვამია. მაშასადამე, რაც მე გითხრა და გიამბო, შენმა ძმამ, არასასიამოვნო ამბავი, როგორც ვაჟკაცმა, გულმტკიცედ უნდა მოისმინო. მართალია, ისეთი არაფერი შეგვმთხვევია, რომ სხვას არ შემთხვეოდეს. დედ-მამა უნდა დაიხოცოს, შვილები დარჩნენ. შენი სიზმარი გაგვიმართლდა. მართლაც, მიწის ზვავი დაეცა ჩვენს სახლს: დედ-მამა დაგვეხოცა, ძმაო, მაგრამ რა ვუყოთ, მოთმინების მეტი არაფერი გვმართებს. მოთმინება და ამასთან გამოფხიზლება; მტერი ბევრი გვყავს, ბევრს გაუხარდა ჩვენი ზარალი, მაგრამ ჩვენ კიდე იმას უნდა ვეცადნეთ, რომ მტერი გავაშავოთ და გავაწბილოთ... აბა რა ვუყოთ სახლს და ოჯახს, მეც რომ თავი გავანებო, ხომ სულ გაოხრდა და გატიალდა იქაურობა. შენი იმედი მაქვს, რომ ჭკვიანი კაცი ხარ და გესმის მომავალი. შენ ეხლავე უნდა და, რაც შეიძლება მალე, თხოვნა გაუგზავნო არქიელს, მითუმეტეს, რომ შენ სალდათობა ნარგები გაქვს (61 ბილეთი) და „პრისუსტვიამ" გამომიცხადა შენზე, თუ ამ ექვსი წლის განმავლობაში იმან მასწავლებლობას თავი დაანება და ყოველ წელს მოწმობა არ წარმოგვიდგინა მასწავლებლად ყოფნაზე, პირდაპირ სალდათად წავაო. რა ვიცით, კაცის თავს რა შეემთხვევა, ძმაო, იქნება დაგითხოვონ, ხომ იცი, ჩვენი საზოგადოების ამბავი. შენს თხოვნაში არქიელს განუმარტავ ამ გარემოებას: და დამრჩა გასათხოვარი და ძმა – აღსაზრდელი-თქო. ამასთან, სამრევლო სკოლის გახსნასაც დაჰპირდი; რაც შეიძლება ჩქარა ეცადე, იმას ნუ იფიქრებ, ძმაო, რომ ჩემთვის მინდოდეს შენი მღვდლობა. არა, მე ის მინდა, რომ ოჯახში კაცი იყოს ვინმე. მე, საითაც იქნება, გზას გავიგნებ. ჩემი ძმური რჩევა ეს არის, მე, როგორც უფროსმა ძმამ, გირჩიე ჩემი მოვალეობისამებრ და ახლა შენ იცი და შენმა ჭკუამ.

შენი მარადის კეთილის მოსურნე ძმა
ლუკა რაზიკაშვილი".

ვაჟა დარწმუნებული იყო ძმას ისეთი რამ ურჩია, რაზეც ის უარს არ ეტყოდა, მაგრამ თედომ მტკიცე უარი უთხრა.

თედოს ისე უყვარდა მასწავლებლობა და უკვე ისე ჩაერთო საქმეში, რომ სოფლის მასწავლებლის ბედკრული შრომა და

მოღვაწეობა არ გაცვალა მღვდლის, ასე თუ ისე მაინც, სახარბიელო თანამდებობაზე. ოჯახში თავიდანვე შრომას ნაჩვევს არ ეშინოდა საკუთარი ოფლით ცხოვრების. ის, გარდა იმისა რომ ერთდროულად ოთხ ჯგუფს ამეცადინებდა სკოლაში, ცდილობდა ფიზიკური შრომითაც მაგალითის მიმცემი ყოფილიყო გლეხებისათვის ყოველგვარ საქმეში. ჯერ სკოლის ქვა-ღორღიანი შემოგარენი გაასუფთავა ბავშვების დახმარებით და ბაღი გააშენა. მშობლების სიკვდილის შემდეგ წილში ნარგები ცხენი ვინმე აზნაურ იაშვილს გაუცვალა ერთ ჭაობიან მიწის ნაკვეთში. ეს ბაყაყების ბუდე, ლელიანი ჭაობი, თედომ საოცარი თავგანწირვით დააშრო და ერთი დღიური ბაღ-ვენახი გააშენა. გაიჩინა ფუტკარი.

მანამდე კი ხელთუბნელმა კეთილმა მეზობლებმა ამოურჩიეს ერთი ღარიბი, მაგრამ პატიოსანი, მშრომელი ოჯახი წყალობა იშხანიშვილისა და მათი თოთხმეტი წლის ქალიშვილი თინათინი გაურიგეს. ღარიბმა ოჯახმა შვილივით მიიღო ობოლი, ღარიბი სიძე და პირველ ხანებში, რაც კი შეეძლოთ, ხელს უმართავდნენ, სანამ თვითონ შესძლებდა წელში გამართვას. მოღონიერდა და მარანში „ვაჟას საზედაშე" ორმოცკოკიანი ქვევრი ხელუხლებლად ქონდა ხოლმე. მას მხოლოდ ვაჟას სტუმრობის ჟამს მოხდიდა. თედო მოიპატიჟებდა ხოლმე თავის საყვარელ მასწავლებელს ნიკო ლომოურს და სხვებს და იწყებოდა ლხინი და დროსტარება. მერე იწყებდნენ ვაჟას გადაპატიჟებას, მაგრამ ვაჟას არ უყვარდა სტუმრად სიარული, გაუთავებელი ქეიფები და მალევე უშველიდა ხოლმე თავს: აქ ჭამა-ყლაპვის მეტს ვერაფერს ვაკეთებო. „მისთვის ქეიფი წამება იყო.

თედო

ვერ იტანდა ვერც სმას, ვერც ხმაურს და აურზაურს, სუფრიდან პირველი ადგებოდა, გაივლ-გამოივლიდა, მეორე ოთახში გავიდოდა და თავის საქმეს ჩაუჯდებოდა ხოლმე... ძმები დაუწყებდნენ ხოლმე დაცინვას: ვერ გაგვიძლო ვეფხვმაო. (36, 49).

"ერთმა ჩვენმა ნათლი-მამამ იგი დაპატიჟა და, როგორც ჩვეულება ჰქონდათ, ვაჟას ღვინო მიაძალეს. მასპინძლის მამამ ვაჟას თავის გამოსასყიდად ლექსის დაწერა სთხოვა. ვაჟამ უარი არ უთხრა და იქვე ექსპრომტად თქვა:

„გულიც მეყოფა საამოდ, ღვინოს ნუ მასმევთ უხვადა,
თუ დავთვერ, ეს მასპინძლობა მაშინ ჩაგივლის ფუჭადა...
ტვინს ნუ დავჩაგრავთ, ცოდვაა, ნუ გადვიქცევით კუჭადა,
თორემ სმით ვერ შემაშინებთ, თედო აქა მყავ ბურჯადა.
მოართვით, რამდენიც გსურდეთ, ღვინო ბიჭს ჩასაყლურჭადა!
(36, 50).

თედოს ქეიფი ჰყვარებია, ბევრს სვამდა და ცოტა ღიპიანიც ყოფილა. ამაზე დასცინოდა კიდეც ვაჟა. თედო კი თავისებურად გემრიელად ჩაიკისკისებდა თურმე: მოგიკვდეს ძმა, თუ გიმტყუნოს, მოკლას ხარი თივამაო.

თედოსა და თედოს ოჯახს ძალიან უყვარდა ვაჟა, მათთვის ზეიმი იყო ამ გახუნებულჩოხიანი და თხელძირა ჩუსტებიანი, კეთილი გოლიათის გამოჩენა, მისი მონათხრობის მოსმენა. ექვსი ქალი ჰყავდა თედოს, ექვსივე გარს შემოეხვეოდნენ ხოლმე. ქალები ჰყავდა, მაგრამ ვაჟკაცებად ზრდიდა მათ მამა. იცოდა როგორ მძიმე შრომაში იყვნენ მთის ქალები და მათაც აჩვევდა ყოველგვარ საქმეს, ეუბნებოდა: „ქალები კი ხართ, მაგრამ თქვენი თავის იმედით უნდა იყოთო. ყოველთვის მე ხომ არ გეყოლებით და ქმრები კი, ვინ იცის ვინ შეგხვდებიანთო".

ვაჟასაც ძალიან უყვარდა ისინი. „განსაკუთრებით უყვარდა ჩემი უფროსი და გულქანი, რომელსაც ჩვენი დიდედის (მამაჩემის დედის) სახელი ერქვა და, როგორც თვითონ ვაჟა იტყოდა ხოლმე, თავისი მოსახელის ნამდვილი განსახიერება იყო ყველაფრით: დარბაისელი, ნიჭიერი, ბეჯითი. გიმნაზიას ოქროს მედლით ამთავრებდა, რითაც ვაჟა-ფშაველა დიდად ამაყობდა: დაენაცვლა ბიძა, პირწავარდნილი დედაჩემი გულქანია, ეს ნამ-

დვილად გვასახელებსო, – იტყოდა ხოლმე. ვაჟა-ფშაველა რომ ქუთაისსა და ფოთში მიიპატიჟეს, ისიც თან წაიყვანა".

სამწუხაროდ, გულქანს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. ვაჟას იმედისა და საყვარელი ძმისწულის მძიმე ავადმყოფობა თვით ვაჟას ავადმყოფობას დაემთხვა. ზუსტად იმ ხანებში „გულქანმა სისხლი ამოახველა და საჭირო გახდა მისი ცემში წაყვანა. ვაჟას ფილტვების ანთებაზე გართულება დაერთო. იგი ამ დროს თბილისში იყო. მთის ჰაერს შეჩვეული ვაჟა თბილისის სიცხეს ჯანმრთელიც ძნელად იტანდა და ზაფხულობით თავის დღეში თბილისს არ გაჰკარებია. სანდროსაც კი მთისკენ იწვევდა ხოლმე. ანთებამ ვაჟას მაგრად ჩასჭიდა ხელი და სიცხე აღარ უნელდებოდა. მამაჩემი დარდისაგან ადგილს ვეღარ პოულობდა, მეურნეობა კი თავისას მოითხოვდა. ხელთუბანში ფუტკრის ყრისა და გამრავლების დრო იყო, მკა მოახლოვდა, შემდეგ ბაღი იყო დასამუშავებელი, თანაც ორი გაჭირვებული ავადმყოფი. საიდან რა დაეწყო, არ იცოდა. ცემში ოთახი მაინც იქირავა: გულქანს წავიყვან, დავაბინავებ, მანამ ვაჟასაც სიცხე დაუკლებს და იმასაც იქ ჩავიყვან, თორემ თბილისის სიცხით ძმა მომიკვდებაო. მაგრამ ეს უკანასკნელი ძმური ზრუნვა ვერ შეუსრულდა. სიცხე არ უკლებდა, პირიქით, უფრო და უფრო უძლიერდებოდა ვაჟას. ექიმები განძრევის ნებას არ ძლევდნენ.

როდესაც თედომ საბოლოოდ და მტკიცედ გადაწყვიტა აღარ დაეჯერებინა ექიმებისთვის და ძმა ცემში წაიყვანა, გორში გაიგო – ვაჟა გარდაიცვალაო. უზომო იყო მისი მწუხარება და კიდევ უფრო გაორკეცდა, როდესაც შეიტყო, ვაჟამ თავის „დეკა და ღვიანის" ნატვრაში დალია სულიო. მამამ ვაჟაზე ზრუნვა ახლა ავადმყოფ პოეტ ირიდიონ ევდოშვილზე გადაიტანა, რომელიც გულქანთან ერთად ცემში იყო და ნაძვნარის ჰაერით იხანგრძლივებდა უკანასკნელ დღეებს.

ვაჟა-ფშაველას სიკვდილის გაგებისას როგორც გულქანმა, ისე ირიდიონმაც თურმე სისხლი აღებინეს, რის შემდეგაც დიდხანს აღარ უცოცხლიათ არც ერთსა და არც მეორეს". (36, 51).

წერა თედოს ნ. ლომოურის წაქეზებით დაუწყია ჯერ კიდევ სემინარიაშივე. ალბათ გრძნობდა სიკეთით სავსე მწერალი კაცი, რომ ვაჟასა და ბაჩანას ძმაც არ იქნებოდა უნიჭო. დაიწყო წერა, არც ურიგოდ გამოუდიოდა, უბეჭდავდნენ კიდეც, თვი-

თონ რედაქციები სთხოვდნენ, მაგრამ თავად იყო მოკრძალებული, განსაკუთრებით იმიტომ, რომ თავისი უფროსი ძმების, ვაჟა-ფშაველასა და ბაჩანას, ნაწარმოებების გვერდით საკუთარი პატარა ლექსებისა და მოთხრობების გამოჩენა უხერხულად მიაჩნდა, დროის ფუჭ კარგვად და მთელ დროს ისევ ფიზიკურ შრომას ახმარდა. „მაგრამ, აი, ღებულობს კიდევ ერთ პატარა ბარათს:

„ვაჟა-ფშაველამ, ბაჩანამ დაჰმღერეს მაღლა მთაშია,
შენც ბანი მიეც ბარიდან, ძმებს ამოუდექ მხარშია!"

სწერდა პოეტი ქალი განდეგილი და ეს გულწრფელი მომართვა მოწოდების ხმად ჩაესმა თედოს, თითქოს მაშინ უფრო გაიფურჩქნა მისი ნიჭი" (36, 24). მისი შესანიშნავი მოთხრობები ი. გოგებაშვილმა ბავშვებისათვის საკითხავ „ბუნების კარშიც" კი შეიტანა სხვა საუკეთესო ნაწარმოებებთან ერთად.

თედო რაზიკაშვილი საბავშვო მოთხრობებით არის ცნობილი თორემ, არც პოეზიაში იყო ურიგო. მისი ზოგიერთი ლექსი ქართველმა ხალხმა გაითავისა. აი, თუნდაც ეს ლექსი ბევრმა ზეპირად იცის და ის კი არ იცის, რომ თედო რაზიკაშვილისაა:

„მიყვარხარ, ტკბილო კახეთო, დიდი ალაზნის ჭალაო,
ირემო იალაღზედა, ივრის პირებზე - ჩალაო;
ბარდებში მძრომო ხოხობო, ტურფაო ხარისთვალაო,
შირაქო, ცხვრების დედაო, – ზედ ჯეირნების ფარაო".

ამასთან ერთად, თედო რაზიკაშვილი „სადაც არ უნდა ყოფილიყო, ლხინსა თუ ტირილში, ქორწილსა თუ ნათლობაში, ხვნაში, მკაში მინდორში, ბაღში, გზაში, სკოლასა თუ დუქანში, ყოველთვის თან ჰქონდა ქაღალდი და ფანქარი, იწერდა გაგონილ გონებამახვილურ სიტყვებს, ანდაზებს, გამოცანებს, თქმულებებს, ლექსებს, გადმოცემებს, ზღაპრებს. კარგი მთქმელები სახლშიც მოჰყავდა, ელაპარაკებოდა, ეშაირებოდა, აშაირებდა მათაც, რომ რაც შეიძლება მეტი ეთქვათ, თვითონ კი ჩაეწერა". (36, 19)

მისი ჩანაწერები, ქართლური და ფშაური ზღაპრები 1909 წელს გამოიცა ორ ტომად, ხოლო ხალხური პოეზია – გვიან.

შრომობდა თედო და უფასდებოდა, შრომობდა ვაჟა და არ უფასდებოდა, სიღარიბიდან ვერ ამოდიოდა, ოჯახი ვერ გამოეკვება. ეს ალბათ აწუხებდა თედოს და, თავად ქართლის ბარაქიანი მიწით კმაყოფილი, ვაჟასაც მოუწოდებდა ჩამოსულიყო, ჩამოსახლებულიყო ბარად. ეს თავისი სურვილი მერე საჯაროდაც გამოთქვა – 1902 წელს გაზეთ „ცნობის ფურცლის სურათებიან დამატებაში" გამოაქვეყნა ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსი „არყი". არყს, მართალია, რუსულს ეძახიან, მაგრამ ჩვენ მთებშიც ბევრია, იზრდება მაღლა მთებში და თანაც ჩრდილოეთის ფერდობებზე, თოვლ-ყინულიან მხარეს, მკაცრ პირობებში. თედომ ვაჟას ცხოვრება, თვით ვაჟა არყს შეადარა და თან გაკვირვებული კითხულობდა, რა აძლებინებს არყს ასეთ პირობებშიო. ვაჟა-ფშაველამ ძმას იმავე წელს, იმავე „ცნობის ფურცელში" უპასუხა ლექსით:

პასუხი არყისა
(ვუძღვნი თ. რაზიკაშვილს)

რა გითხრა, ბიჭო, ისეთი, არ გავაჯავრო მსმენელი?
ის მასაზრდოებს, რომ დიდის ტრფობის ჭირის ვარ მთმენელი,
გულში რომ ცეცხლად მიღივის, სიცოცხლის გამომცემელი.
კლდეზე ვარ დაფუძნებული, იგია ჩემი მრჩენელი.
ეს გიკვირს? ტყუილად გიკვირს, უშრეტს მაწოდებს ნექტარსა,
საით პოულობს, ვინ ჰკითხავს, მე ვენაცვალე დედასა!..
ქვევიდან დიდი ჭანდრები, შემომყურებენ შურითა:
რად ვდგევარ იმათზე მაღლა ასეთ ამაყის გულითა,
თუმც ხშირად შემურვილი ვარ ნისლებ-ჯანღების მურითა,
ტანმომცრო, გაბუებული, მხოლოდ ძლიერი სულითა...
ბრაზობენ მტკიცე რადა ვარ, შეურყეველი რჯულითა.
იქნება კიდეც ნატრობენ, რომ ვინმემ მომჭრას ცულითა?!
მე ვარდი გამიგონია – ტურფა ყვავილი ბარისა,
თვალ-გულის მახარობელი თურმე პირიმზეს ჰგავისა.
სხვაფრივ კი ხელსაყრელია და არასა რგებს არვისა.
ჩემი ბეჩავი ტოტებიც მქნელი როდია ავისა!..
იმათგან ცოცხი იკვრება, კალოს საგველი, ხვავისა.
გაჰყიდის ვინმე ბეჩავი... წვრილი ცოლ-შვილი ჰყავისა,
მოუტანს საზრდოს იმათა, მზრდელი მშობლურის ვალისა,
რომ გაალაღოს საწყლები, ცრემლი შეუშროს თვალისა...
იუბენ ცხოველმყოფელად, ძმა ამას გეტყვის თავისა".

1905 წლის რევოლუციას, როგორც ყველა, თედოც სიხარულით შეხვდა, რადგან მასაც ეგონა, რომ ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მიდიოდა. ვაჟასი არ იყოს, ისიც აქტიურობდა. ისე მოხდა, რომ იმ ხანებში, როგორც იქნა, მოამთავრა სახლის მშენებლობა თედომ, საღმრთო გადაიხადა. სტუმრად ჩამოსული ვაჟა ქეიფის შემდეგ დარჩა, მითუმეტეს, რომ ერთი ოთახი საკუთრად გამოუყვეს, როცა სტუმრად ჩამოვიდოდა, იქვე შეეძლო ძილი და მუშაობა.

საღმრთოს მესამე თუ მეოთხე დღეს, ღამით პოლიცია დაეცა და მოჰყვნენ სახლის ჩხრეკას. „უეცრად ერთმა პოლიციელმა ბუხრიდან ნიკოლოზ მეორის სურათი გამოიღო, რომელიც თურმე თავდაყირა იდო. გაცეცხლებულმა პოლიციელმა ყვირილი ატეხა. ამაზე ვაჟამ დინჯი ხმით რაღაცა წარმოთქვა, რის გამო პოლიციელი სწრაფად მიუბრუნდა და შეეკითხა: – რა თქვიო? ვაჟამ უპასუხა: ყრუებისთვის ორჯერ არ რეკავენო და სანამ პოლიციელი რამეს უპასუხებდა, მეორე ოთახში გავიდა...

შემდეგ ძმების ლაპარაკისა და სიცილის დროს გამოირკვა, რომ ვაჟას უთქვამს: „უ ვყჭკრლ ვეწმ ყვრე სეყირ!" ბაჩანას დაცინვაზე – რა ვაშკაცი ხარ, პოლიციელმა დაგაფრთხო და მეორე ოთახში დაიმალე, ალბათ დონ-კიხოტი ეგონე, არა ჰგევხარ, თუ რაო! – ვაჟამ მხოლოდ გაიღიმა და უპასუხა: განა დაგავიწყდა: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, კარგისა ვაჟკაცისაგან?" უკეთესი იქნებოდა ჟანდარმს ჩავვარდნოდი პირშიო?"

ბუხარში თავდაყირა დადებული ნიკოლოზის სურათი კმაროდა მიზეზად, რომ დიდი ხნის სურვილი შეესრულებინათ და სოფლის მეამბოხე მასწავლებელი საციმბიროდ გაემზადებინათ... ხელ-ფეხზე ბორკილდადებული ციმბირისაკენ, ოლენეცის გუბერნიაში გაამგზავრეს სამუდამო პატიმრობაში. მაგრამ 1905 წლის რევოლუციამ მოუსწრო და მანიფესტით ყაზანის ციხიდან უკან დააბრუნეს. ეს ამბავი თედოს აღწერილი აქვს თავის ერთ-ერთ მოთხრობაში „ყორანი" (36, 29).

თედო კი დაბრუნდა, მაგრამ სკოლა დაუკეტეს, დაიწყო რეაქცია. დამსჯელი რაზმები მოედვნენ სოფელს. ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებულთ იჭერდნენ, ხვრეტდნენ, სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ. თედოსაც არ ასცდებოდა სიკვდილი, ფშავში რომ არ გაესწრო. ოჯახის თან წაყვანის დრო აღარ დარჩა, მაგრამ ყველამ იცოდა მეამბოხის სახლ-კარს ისე არ დატოვებდნენ. მეზობლებმა წინასწარ შეატყობინეს მათ: დამსჯელი რაზმი მოდის თურმე და სახლიდან გამოდით, ჩვენთან გადმოდითო. მათი ეზოდან გაყვანა და გაღმა სერიდან გულდაგულ დამიზნებული ზარბაზნის ყუმბარამ ჩიტის ბუდესავით აისროლა ჰაერში თედოსა და თინასაგან დიდი წვა-დაგვით, სიყვარულით ნაგებ-ნალოლიავები სახლი. ნანგრევებს ცეცხლი წაუკიდეს, მთლად გადაწვეს – ასე ცდილობდა რუსის ხელისუფლება თავის მოწინააღმდეგეთა დედაბუდიანად ამოგდებას.

ჩუმად მოუტანეს თედოს მეუღლეს ამბავი, გორიდან მიხა რაზიკაშვილმა დაგიბარათ სასწრაფოდ ჩამოვიდეს და ბავშვებიც ჩამოიყვანოსო. მიხამ მატარებლით ჩაიყვანა მცხეთამდე, მცხეთას კი ვაჟა-ფშაველა ელოდა ცხენებით. ერთი ღამე დუშეთში გაათიეს, მეორე დღეს თვალივამდე ძლივს მიაღწიეს. ზამთარი იყო, სახიფათო იყო მგზავრობა, თანაც ისეთი პატარა გოგონებისათვის, რომლებიც ჯერ ცხენზე არ მსხდარიყვნენ. კლდიან, თოვლ-ყინულიან ბილიკზე მგზავრობა ჭირდა.

– ფრთხილად, ფრთხილად! – მალ-მალ აფრთხილებდა ვაჟა, – თორემ დამემტვრევით და თევდორეს რაღა პასუხი გავცეო.

ცუდ ადგილებში, სადაც ცხენების გადავარდნა იყო მოსალოდნელი, ცხენებიდან ჩამოსხამდა, თითო-თითოდ გაიყვანდა ხელის კიდებით, მერე ცხენებს გაიყვანდა. მაღაროსკარიდან თავის მეგობარი გოგოთური დაემგზავრა და იმან გაახარა ვაჟა: კართანის სახიფათო მონაკვეთზე, ყველაზე სახიფათოზე, მარტო აღარ იქნებოდა. დაიღალნენ მშიერი ცხენები, დაიწყეს ბორძიკი. მალიმალ ამხნევებდნენ შეძახილებით ვაჟა და გოგოთური ცხენებს.

გული გადაელიათ მგზავრებს. ოღრო-ჩოღრო გზას დასასრული აღარა ჰქონდა. უკვე ღამდებოდა და ჩარგალი კი ჯერ არსად ჩანდა. მალე მივალთო ამხნევებდნენ ვაჟაც, გოგოთურიც, მაგრამ ბავშვებს აღარა სჯეროდათ. უკვე შიშს გვრიდა შავად წამოყუდებული მთები, თოვლი და ზვავები. და უცებ სიბნელიდან მოისმა ყველაზე სანატრელი და საყვარელი ხმა:

– ოჰ, მადლობა ღმერთსა, მოხვედით!

თედო შესახვედრად წამოსულიყო, შინ ვეღარ ისვენებდა თურმე. აღარ ეგონა, რომ კიდევ ნახავდა თავის საყვარელ გო-

გონებს. ეხლა კი სიხარულისაგან აცრემლებული სათითაოდ იხუტებდა გულში, ჰკოცნიდა.

თითქმის სამ წელს დარჩა თედო ფშავში. ხან ჩარგალს იყო ვაჟასთან, ხან აფხუშოში ბაჩანასთან. აქაც თავისებურად მუხლჩაუხრელად შრომობდა, ეხმარებოდა ძმებს სოფლურ საქმიანობაში. აფხუშოში ბაჩანას ქვა-ღორღიანი კარ-მიდამო გაღორღა, ყორედ შემოავლო ეზოს. შემდეგ მოხნა. ნახევარში ხორბალი დათესა, ნახევარში – კარტოფილი. ხედავდა ძმების გაჭირვებას და ეხმარებოდა, უსაქმოდ არა ჩერდებოდა – უქმად ყოფნა მაშინაც მეყოფა, როცა მოვკვდებიო.

1909 წელს დაბრუნდა თედო ხალთუბანში და შეუდგა დანგრეული, განადგურებული სახლ-კარის აღდგენას. იმას კი აღადგენდა, მაგრამ რა აღადგენდა ნაწერებს, ლექსებსა და მოთხრობებს, უამრავ ჩანაწერს ხალხური სიტყვიერებისას. კიდევ კარგი, რომ ძირითადი ნაწილი ამ ხალხური ზღაპრებისა და ლექსებისა ჩაბარებული ქონდა გამომცემლობისათვის და გამოვიდა კიდეც იმ წელს ორ ტომად ქართლური, კახური და ფშაური ზღაპრები.

„თედო 1905 წლიდან სკოლას ვეღარ დაუბრუნდა, მაგრამ ხელთუბნელები მაინც თედო მასწავლებელს ეძახდნენ. იმიტომ კი არა, ადრე რომ მასწავლებლობდა. არა, თედო სკოლაზე ისევ ზრუნავდა, ისევ ძველებურად უკითხავდა სოფლის ახალგაზრდობას ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, ესაუბრებოდა საჭირბოროტო საკითხებზე... სკოლა ხელთუბანში ხელახლა 1913 წელს გაიხსნა. მასწავლებლად გამოგზავნეს ახალგაზრდა ქალი ოლღა მთიულიშვილი. გამოუცდელ, შეშინებულ მასწავლებელს თედო ამოუდგა მხარში, გაამხნევა, დაეხმარა.

თედო, ეს ყელამდე საქმეში ჩაფლული კაცი, საქართველოს სხვა სასიკეთო საქმიანობაში ჩასაბმელადაც იცლიდა. დამოუკიდებელ საქართველოს ხანაში კოოპერაციული საზოგადოება შექმნეს, თავისი ბაღების შემოსავალი შეიტანეს საერთო ფონდში. ასე ჩამოაყალიბეს სასოფლო სამეურნეო ბანკი: ხილი ერთიანად გაიტანეს აზერბაიჯანში, საიდანაც ცოცხალი საქონელი ჩამორეკეს და გლეხკაცობას დაურიგეს; ამან კი ნივთიერად ფეხზე დააყენა ხალხი. მალე ბანკის შენობა აშენდა, ამას მოჰყვა სკოლის შენობა, გაიხსნა სავაჭრო ცენტრი, გაიყვანეს გზები...

განზრახული იყო სამკითხველოს გახსნა...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „სოფლის ბოროტმოქმედებმა მამაჩემს შევიწროება დაუწყეს: ხან ფუტკარი მოჰპარეს და დაანელეს, ხან საქონელი გამოურეკეს და შეჭამეს, ხან საქონლის საკვები მთლიანად გადაუწვეს. იყო შემთხვევა გზაშიც დახვდნენ მოსაკლავად. 1922 წლის 19 იანვარს როდესაც ის ნასვამი ბრუნდებოდა გორიდან, ბოროტმოქმედები კვლავ დაესხნენ თავს, დანებით ორმოცდათექვსმეტი ჭრილობა მიაყენეს და ველურად მოკლეს. მკვლელობას მეთაურობდა კოტე თუმანოვი, რომელმაც იარაღის მუქარით ხალხს რაღაცა შეთითხნილ ბრალდებაზე მოაწერინა ხელი. მთავარი ბრალდება კი ასეთი იყო: „თედო რაზიკაშვილი მევახშე იყო, სოფელმა ველარ გაუძლო და მოიშორა თავიდან!" აი, ასეთი ბნელი ადამიანები, მძარცველები რევოლუციის სახელით ხოცავდნენ სამშობლოს ნამდვილ შვილებს და მათ ადგილს იკავებდნენ. ორმოცდათექვსმეტ ჭრილობას რომ მიაყენებენ ადამიანს, ისინი ხომ სადისტები, სისხლს მოწყურებული კაცის მკვლელები არიან და აკი ამისთანა „რევოლუციონერებმა", რევოლუციის დროსაც და რევოლუციის შემდეგაც. უზომოდ სვეს ქართველი ხალხის სისხლი.

სანდრო

„თბილისში მაშინ უკვე არსებობდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი და ამ პრეზიდიუმმა ითავა თედო რაზიკაშვილის დაკრძალვა. მისი ცხედარი დედაქალაქში ჩამოასვენეს და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს" (11, 74).

სასამართლოზე მკვლელის სიმამრმა გიგა სტეფანიშვილმა თქვა: მენშევიკე-

ბის დროს მე ცოლ-შვილი სიცივითა და შიმშილით მეხოცებოდა. რაზიკაშვილმა ორმოცდაათიათასი მასესხა არც თამასუქი დაუწერია და არც სარგებელი გამოურთმევიაო.

– მერე ასეთი კაცი მოჰკალითო! – იყვირა პროკურორმა. მკვლელების მიერ მოყვანილი ორმოცდაორი ტყუილი მოწმიდან ყველა გაიპარა.

სანდრო

სანდრო (ალექსანდრე) რაზიკაშვილების უმცროსი ძმა იყო. მშობლები როცა დაეხოცათ, სანდრო მცირეწლოვანი იყო, თელავში სწავლობდა, სამოქალაქო სასწავლებელში, ამიტომ აიღეს ძმებმა ერთნაირად მასზე მზრუნველობა. განსაკუთრებით ეს მზრუნველობა თედოს უკისრია, როგორც ჩანს, რაკიღა მას ადრე მოუმაგრებია წელი თავისი გარჯისა და ქართლის მიწის მადლ-ბარაქიანობით. სანდრო კი ზარმაცი იყო, უფროსი ძმების გულშემატკივრობითა და ზრუნვით განებივრებული. ნიჭიერი კი იყო ძმებივით, მაგრამ სწავლა ეზარებოდა. ამიტომ სწერდა ვაჟა თედოს ერთ-ერთ წერილში: „სანდრო რას აკეთებს? მაგაზე ბრაზი მომდის, ზარმაცია, უღმერთოდ ზარმაცია"...

ძმები სანდროს ყოველთვიურად, თუ მორიგეობით, ათ-ათ მანეთს უგზავნიდნენ. ეს ირკვევა იაკობ მანსვეტაშვილისადმი მიწერილი თედოს წერილიდან, სადაც თავის გაჭირვებას უხსნის და ხელფასის დროზე გადმორიცხვას სთხოვს:"... დედ-მამა დამეხოცა და სულ მე მომეხვია თავს გასაზრდელი ძმაცა და დისწულიც, ამასთანავე თვით ოჯახსაც უნდა გაუწოდო ხელი. ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, რაღა დამრჩება, რომ ძმას 10 მან. ვუგზავნო თვეში და დას და დისწულს კიდევ ცალკე (ჩემი ძმები თავსაც ძლივს კმაობენ)".

ვაჟას ყველაზე მეტად უჭირდა, მაგრამ შესაძლებლობისდაგვარად, ისიც არ აკლებდა დახმარებას და ზრუნვას სანდროს. მისთვის თელავში სწავლისას ვაჟას ერთხელ, მაგალითად, ფულთან ერთად შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნია:

„ძმაო სანდრო!

გიგზავნი ექვს მანეთს. მეტი უნდა გამომეგზავნა, მაგრამ ვერა ვარ იმ ადგილას. შენც უნდა მომიტევო. მერე კიდევაც გამოგიგზავნი, ოღონდ თავის საქმეზედ მუყაითად იყავი. ჩვენ კარგადა ვართ, მხოლოდ შენის ამბის გაუგებლობა გვაწუხებს. წიგნი მომწერე. იყავ მშვიდობით. სააღდგომოდ წამოდი, თუ არ დაგეზარება

შენი ძმა ვაჟა-ფშაველა".

სანდრო და ვაჟა

სანდრომ შემდეგში „რეალური სასწავლებელი" დაამთავრა და თბილისში დაიწყო მუშაობა ფოსტის მოხელედ. ხელფასი მცირე ჰქონდა, ღარიბულად ცხოვრობდა. როგორც მისი მეუღლე ბარბარე იგონებდა, მისი ქმრისათვის დუშეთში უკეთესი სამსახური შეუთავაზებიათ, მაგრამ სანდრო არ დათანხმებულა, გადაწყვეტით უთქვამს: ჩემს ძმებს თბილისში ბინას ვერ მოვუშლი, სხვაგან სად უნდა იწოწიალონ, აქ რაზიკაშვილების თავშეყრის ადგილი უნდა იყოსო...

მართლაც, თბილისში ვაჟა-ფშაველას ჩამოსვლისთანავე სანდრო აფრენდა დანარჩენ ძმებთან წერილებს: ლუკა ახლა ჩემთან არის და ჩამოდითო. ძმები ბაჩანა და თედო, წერილის მიღებისთანავე დედაქალაქისაკენ გამოსწევდნენ...

დაახლოებით 1909 წელს ცოლად შეირთო ბაკურციხელი ბარბარე ილიას ასული პეტრიაშვილი და დასახლდნენ მლეთის ქუჩაზე 9 ნომერში (ახლანდელი ა. ხორავას ქუჩა). შვილი არ შესძენიათ და სანდროს უშვილებია თავისი ცოლის დის შვილები ქეთევან და ნათელა ფურცელაძეები.

დიასახლისი ქალბატონი ბარბარე, რომელსაც შინაურულად ბაბოს უწოდებდნენ, ყოველთვის ითვალისწინებდა მეუღლისა და მაზლების თხოვნას და ხინკალს ამზადებდა... ერთხელ ვაჟას რძლისათვის მოუტანია საოჯახო წიგნი „სამზარეულო" და ასეთი ავტოგრაფით მიუძღვნია:

„გიძღვნის ამ წიგნს სამახსოვროდ
შენი მაზლი, რძალო ბაბო,
კაი ხინკალი მოხარშო,
მარილი არ მოაჭარბო,
ლოქოს სანელი ისწავლო,
ტკბილი იყოს და თან შამრგო".

გარეგნულად ძალზე ლამაზი კაცი ყოფილა სანდრო, ვაჟას ჩამოჰგავდა თურმე, მაგრამ მისგან იმითი განსხვავდებოდა, რომ ვაჟასავით ნაჯაფი არ იყო, თბილისელი მოხელის კვალობაზე კაი ჯანზე ყოფილა. ამასთან ძალზე უყვარდა ქეიფი, მხიარულება, სტუმარი. რაკი ძმებისაგან იყო გაზრდილი, სანდროც ცდილობდა სამაგიეროს გადახდას და თითოეული მათგანის ჩამოსვლა ზეიმად იქცეოდა. ხშირად წინასწარ დათქმულ დროზე ყველანი ერთად მოიყრიდნენ თავს, მოიწვევდნენ თავის განუყრელ მეგობრებს: ვასო მათურელს, შიო მღვიმელს, ივანე ბუქურაულს, გიორგი ქუჩიშვილს და იყო ერთი მხიარულება და დროსტარება. ხორაგი და ღვინო თედოს ჩამოჰქონდა ხოლმე ჩვეულებრივ ქართლიდან, „მაგრამ თუ დაემთხვეოდა და ძმების ზეიმს შეესწრებოდა სანდროს სიმამრი ილია პეტრიაშვილი, თავის ბაკურციხული კახურით, მაშინ დაიწყებოდა ერთი ამბავი: გაამასხარავებდნენ „ხელთუბნურას", ვითომ ღვინოებში წერიაო, –იტყოდნენ და ელოდნენ, როდის იფეთქებდა მამაჩემი, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ საყვარელი ძმა (ვაჟა-ფშაველა – გ. ხ.) მის დაყენებულ ღვინოს უფრო სიამოვნებით შეექცეოდა და მათ დაცინვას აინუნშიაც არ აგდებდა... იწყებოდა მხიარული სიცილ-საუბარი, ერთმანეთთან გაშაირება, ხშირად ცეკვაც. ამ დროსტარებაში რომ უფრო მეტი მხიარულება შეეტანა, მამაჩემი გადმოვიდოდა საცეკვაოდ და უნდა გენახათ მაშინ, როგორი სიცილ-კისკისი ატყდებოდა გარშემო. აძუნძულდა ჩვენი დათუ-

ნაო, დასცემდნენ ყიჟინას. ის კი უფრო უმატებდა ბრაცაბრუცს და ძალიან ახალისებდა იქ მყოფთ. (36, 55).

ეს ქეიფები მერე ქოსების დუქანსა და ორთაჭალის ბაღებში გრძელდებოდა. იქ მასპინძლობას ძირითადად ვაჟას ნათლიმამა, თიანელი კაცი ვასო მათურელი კისრულობდა. ის „სახელმწიფო პალატაში" მუშაობდა, დიდ ხელფასს იღებდა (ოთხმოცდ მანეთს, ჩვენ ფულზე დაახლოებით რვაათასს). შვიდი-რვა კაცის მთელი ღამე ქეიფი კი ორმანეთ-ნახევარი, სამი მანეთიც არ უჯდებოდა.

ვასო მათურელი სანდროს მეზობლად ცხოვრობდა ვარდისუბნის ქუჩაზე (ახლანდელი ჯანაშიას ქუჩა) და ხშირი მისვლა-მოსვლაც ჰქონიათ. ვასო თავადაც მომლხენი კაცი ყოფილა, კარგი თამადა, კარგი მომღერალი. მას ჩამოუყალიბებია მომღერალთა გუნდი „ივერია", თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში", წერდა მოთხრობებსა და სტატიებს. დაგვიტოვა კარგი მოგონებები ვაჟაზე. ის ვაჟას გვერდზე უზის იხინჭობას 1914 წელს გადაღებულ ჯგუფურ ფოტოზე, კალთაში კი თავისი შვილი ირაკლი მათურელი უზის.

ვასო მათურელი 1916 წელს თბილისიდან თიანეთს გადასულა საცხოვრებლად, სკოლაში მასწავლებლობდა, იქაც გუნდი ჩამოუყალიბებია. 1926 წელს ახმეტაში გადასახლებულა. გარდაიცვალა 1946 წელს.

რაკი სანდრო თბილისში ცხოვრობდა, ვაჟას რედაქციებში გასარკვევი საქმეების შესახებაც ხშირი მიწერმოწერა მასთან ჰქონდა.

1909 წელს ს. ფირცხალავას გამომცემლობა „სორაპნის" პატრონის მ. გაჩეჩილაძისათვის ურჩევია ვაჟას ნაწერები გამოეცა. გაურიგებია კიდეც მათი საქმე და შედეგად გამოცემულა ვაჟას ნაწერები „ცრემლების" სახელწოდებით. ვაჟას თურმე ახალი ნაწარმოებებიც უნდა ჩაერთო, მაგრამ რატომღაც აღარ მიუტანია. ამიტომ გაჩეჩილაძეს ჰონორარის ნაწილი დაუკავებია. ვაჟას უჩივლია და საქმე მოუგია. ფულის აღება შიო მღვიმელისათვის უთხოვია. მას ფული უნდა მიეტანა სანდროსთვის, სანდრო კი ფშავიდან ჩამოსულს ვინმეს გაატანდა ვაჟასთან. ამ ამბებთან დაკავშირებით ვაჟას მოუწერია სანდროსთვის სახუმარო კილოზე აწყობილი წერილი:

„ჰა, ბეჩავ, სანდროს, კვნესამე!

როგორა ხართ და რას კეთილ-გუნებას? მე კარგა არა ვარ. გულის ტკივილი დამჩემდა. მოგელით თქვენცა და აღარ კი მოსდიხართ. სიტყვა სხვაა საქმე სხვაა, – ეს რა ამბავია! შენ და გაჩეჩილაძე როგორა ხართ? გაძლევს ფულს თუ არა, მომწერე. ან შიოს საქმე როგორ არის? დემურია ნახე და უთხარი, რომ სამი თუმანი თუმცა გამომიგზავნა, ორი თუმანიც გამომიგზავნოს, ფული ჩემთვის ძალიან საჭიროა. აღლაძეც ნახე და უთხარი, რომ „კაი ყმის" ფული გამომიგზავნოს. ჰა, ბეჩავ, ბალღო, კაი ყმავ, წაიკითხე კარგად, დედის კვნესამე, გამზრდლისა, ამ ლექსს რო წაიკითხავ, თორმეტი ყური შაიბი, თორმეტი გული ჩაიდევ, ხოლო თვალებს მომატება არ ესაჭიროება.

ამ წერილს „პაწაწა" გრიგოლს ვატან. დიაღ, იმ გრიგოლს, რომელმაც შუადღის დროს რომ დაუმიზნა შველს თოფი და შემოყენებული ჩახმახი დაჰრჩა, რადგან ამჟამად წასთვლიმა, თვლემამ ძილი შობა და საღამო ხანმაც მოატანა; მზე უკვე ჩასული იყო, როცა გაიღვიძა. ჰა, ბეჩავ, ბალღო მონადირეო!

სხედან(მარცხნიდან მარჯვნივ):არ. ევდოშვილი,ბაჩანა შიო მღვიმელი, ვაჟა ფშაველა,ვაჟას შვილი ლევანი:დგანან: თედო და სანდრო რაზიკაშვილები

მომიკითხე ჩემი რძალი სიყვარულითა და პატივისცემით; გელით უსათუოდ. წამოდით, რაღა ფეხს უკანა სდგამთ, თქვე კაი კაცებო, ახალი თევზი ბლომად არის, რძე და ერბო, ყველი და ხაჭო, დოვი და შრატი. თუ წამოხვალთ მომწერეთ – დუშეთში ცხენებს გამოგიგზავნით.

სიყვარულით შენი ძმა ვაჟა".

ძმები რაზიკაშვილების ბიძაშვილი გრიგოლი, რომლისათვისაც ვაჟას წერილი გაუტანებია, ერთი აყლაყუდა, უვარგისი კაცი ყოფილა. „გრიგოლი მეტისმეტად მაღალია, საჟენზე მეტი. ცოტა მცონარა კაცია, ქალები უყვარს, არაფრის კეთება და ძილი. მუშტი ძალიან უჭრის". (თედო რაზიკაშვილი). გრიგოლს ჰყოლია თავისფერი ზარმაცი და არაფრისმქონე მეზობელი ლუკა პეტრიაშვილი. ამ ლუკასთვის შეულექსებია ერთხელ ქავთარ რაზიკაშვილს, ვაჟას ბიძაშვილს და მშრომელ კაცს, რომელზეც ვაჟას ლექსიც აქვს დაწერილი:

ქავთარი: – ლუკავ, შენ დაფარულზედა,
გრიგოლს დაუდის ნახირი.
ლუკა: – გუშინაც გამოუვარდი
არ მისდის კაცის ძახილი.
ქავთარი: – ლუკავ გრიგოლის ჩხუბობა,
ნუ გეგონება ადვილი,
შენ მუშტით ვერას დააკლებ,
თუ არ იხმარე მახვილი,
მოგიკვდი, მაინც რას უქამ
მაღლა სამ გაშვირს თავ-ცხვირი.
ლუკა: – საცა შავწვდები, იქ დავკრავ,
ახლა კიბისად სად ვილი.

ქავთარმა გაკილა ბიძაშვილი და მეზობელი იმის გამო, რომ არც ერთს ჰქონია ნახნავი და არც მეორეს საქონელი ჰყოლია.

იმავე გრიგოლის ხელით უბრუნებს სანდრო პასუხს. წერილი ასე მთავრდება: „შენი „ცრემლების" კორიანტელი ისევ გაჩეჩილაძის „სორაპანში" ტრიალებს, არაფერი არ ვიცი. შიოს ჟესტი მოაბეს. ჩემი დედაკაცი ცოტა მგლოვიარედ არის და, ხო იცი, რო გავისეირ-გამოვისეიროთ, თუ მე ჩემებურად არ ვიქეიფე, რა იქნება.

ბევრი რამის მოწერა მინდოდა, მაგრამ ეს პატარა ჯეელი ძაანა ჩქარობს.

თქვენი სანდრო".

ასეთ წერილებს გარდა, გალექსება-გაბაასებაც ყოფილა ვაჟა-ფშაველასა და სანდროს შორის. კილოდ აღებული ჰქონიათ ვინმე მთიული ბურდულის უხეირო ლექსის ფორმა. ამ მთიულს ვაჟასთვის უძღვნია საკუთარი ლექსი, ჩამოუტარებია რედაქციებში, მაგრამ არსად დაუბეჭდავთ. ბოლოს სანდროსთვის მიუტანია და უთხოვნია: „აჩვენე ვაჟას, შეასწოროს და შემდეგ

ეგების შენ მოახერხო სადმე დაბეჭდვაო”. ვაჟას ეს ლექსი წაუკითხავს და ბევრი უცინიათ. თანაც ვერაფერი გაუგიათ. აი, ამ ლექსის თავ-ბოლო:

ვაჟა-ფშაველას დედობილთ მიერ კვნესამე

ბეჩავ... კვნესამე, ბალღებო,
თეთრი თმა შეგვიბენია,
და თქვენს ნაწოვსა ძუძუ-რძეს,
ძროხის რძეზე სცვლით ბნელნია...
და იღბალი გვიღალატებს
წაგვლეჯს გამმარჯვე გვირგვინსა
დეე დილით ბრძოლის ველზე
დავრჩეთ კეთილად მაშვრალნი.

ლექსისა კი არაფერი გაიგებოდა, მაგრამ აქედან აღებული ფრაზები „დედობილთ მიერ კვნესამე” და „ჰა, ბეჩავ,” ძალიან გამოსდგომიათ ერთურთისათვის სახუმარო მიმართვისას. ეს ფრაზები იყო გამოყენებული სანდროსადმი გაგზავნილ ვაჟას ზემოთ მოყვანილ წერილშიც. ლექს-კაფია სანდროს დაუწყია. ფშაური წესის თანახმად ვერ გაუშვებდა ხელიდან ისეთ სალექსო ამბავს, რაც ვაჟას შეემთხვა გაჩეჩილაძესთან:

ვაჟა-ფშაველასა და გაჩეჩილაძის ბრძოლის გამო
(ვუძღვნი ჩემს ძმას ვაჟა-ფშაველას. მიბაძვა ბურდულისა)

ჰა, ბეჩავ, ვაჟას კვნესამე – ცალ თვალს რომ ისა ჰხუჭავსა,
ლოქოს თევზს ძაან რო სწყალობს, ზედაც ნუნუას ჰყლურჭავსა
ლაღად გაზრდილი მთაშია, სოფელს ჩარგალ რო ჰქვიანო.
წყაროს წყლით არის ნაზარდი, ჭიჭახევას რო დიანო,
იმის ნათიბი „თივები” აფხუშოს ზოვზედ ჰყრიანო...
გაისეირნებს თბილისში, განა თუ პური ჰშიანო?
თვითონ იქ ჭაშნიკებს შინჯავს, ცოლ-შვილნმშიერნი ჰყრიანო!
კვნესამე შენი, ვაჟაო, კვნესამე შენი ძმისაო!
შამაუძახებს ვაჟაი გაჩეჩილაძე ბიჭსაო:
„რა უყავ, ბიჭო, ფულები იმ ჩემი „ცრემლებისაო”?
არ გამოგადგა, ბეჩავო, მოწმობა სამსონისაო,
დაგათვლევინო მთლიანად, მადლმა ლაშარის ჯვრისაო.

ამოდიოდეს კუნელი მაგ შენი „სორაპნისაო”;
მათრახსაც კარგადა ვხმარობ, ხანჯარიც კარგად სჭრისაო.
შენ დღეში დარდის უნახავს, ახლა გაგიჩენ ჭირსაო”.
ჭირიმე შენი, ვაჟაო, შურთხი ხარ მაღლის მთისაო,
იმედი მაქვის აიტან, არ გეწყინება ძმისაო.
ამისი მალექსებელი ქალაქ თბილისში ზისაო,
შენფერა ბიჭებისასა, სხვასაც მრავალსა სთხზვისაო”.

ამაზე ვაჟამ უპასუხა, მაგრამ მიზეზი ხომ უნდა ჰქონოდა რაიმე. კონკრეტული ფაქტი არაფერი იყო, მაგრამ სასმლისა და ქალების სიყვარულიც იკმარებდა გასაკილად .

ვუძღვნი ალ. რაზიკაშვილს
(მიბაძვა ბურდულისა. „ვაჟა-ფშაველას დედობილთ მიერ კვნესამე და ჰა, ბეჩავ, ბალღებო”)

ჰა, ბეჩავ, სანდროს კვნესამე, თვალების, ულვაშისაო:
ჰა, ბეჩავ, ბოთლების მცლელო და მტერო ქალებისაო.
ჰა, ბეჩავ, სანდროს კვნესამე, შე ჯიხვო შავის კლდისაო,
შეუდრეკელო სმაშია, პირის ოფლ გადაგდისაო.
ჰა, ბეჩავ, სანდროს მოუვა გორით წერილი ძმისაო
და სატრფიალო გოდება მიხასი, დისწულისაო.
ჰა, ბეჩავ, ბეჩავ ბიჭებო! არა ჰღალატობთ ჯიშსაო.
გიპატიჟებენ სმაზედა, წერილი წერილს ცვლისაო.
ნეტევი თვალითა გნახოთ, დრო რო დადგება სმისაო.
თეთრიანი რო დაცლილა, წითლიანს ქვევრსა ხდისაო.
თევდორე: „ღვინოს უყურეთ, გემო აქვს ბადაგისაო”.
გავარდა საქართველოში ხმა თქვენის ბიჭობისაო.
რა უჭირს ისეთს დედასა, ვინც თქვენფერ შვილებს ზრდისაო.
ჰა, ბეჩავ, ფშავლის შვილებო, თვალის მთხრელებო მტრისაო.

ვაჟამ თავის ძმა სანდრო, როგორც ფშავში იტყვიან, ალექსა, ან წააკაფიავა ქალებისა და ღვინოს მოყვარულობის გამო. მას ზედ მიაყოლა თავიანთი ერთადერთი დის შვილი მიხაც, რომელიც დედიძმების მსგავსად კარგი მოხდენილი კაცი ყოფილა, ისიც ქალების მოყვარული.

ეს მიხა, რაზიკაშვილების ერთადერთ დას, მართას, ვიღაცა ჩარგალში მასწავლებლად მისული ჯაფარიძისაგან გაუჩენია.

მიხა

ის ვიღაცა დამფრთხალი გაქცეულა. ძმებს გაუზრდიათ ბალღი და რაზიკაშვილობაზე დაუწერიათ. ნიჭითა და გარეგნობით დედიძმებს ჰგვანებია და ამიტომ დედიძმებსაც ძალიან ჰყვარებით. მასაც ძალიან ახლობლობა და სიყვარული ჰქონია მათი. ისიც გორში მიუღებინებია ვაჟას სასწავლებელში და იქვე დაბინავებულა. სანამ დაოჯახდებოდა, ისიც თურმე სანდროს უბამდა მხარს მექალთანეობაში. ამიტომ მასაც საჭიროდ ჩაუთვლია ვაჟასათვის პასუხის გაცემა.

აქა ბრძოლა ვაჟა-ფშაველასი და გაჩეჩილაძისა
(ვუძღვნი ვაჟა-ფშაველას, მიბაძვა ბურდულისა)

ჰა, ბეჩავ, ვაჟას კვნესამე, შე ჯიხვო შავის კლდისაო,
ქალაქში ჩამოვარდნილო, მალექსებელო ძმისაო.
ქებითა მომხსენებელო, მიხასი დისწულისაო:
„მე მაგას ვიტყვი მალი-მალ, ვფიცავ კახურის ძირსაო
ჩემ გზაზედ მიდის ეგ ბიჭი, მსგავსია დედის ძმისაო”.
ჰა, ბეჩავ, ვაჟას ჭირიმე, მაგის ხირიმის, ხმლისაო:
მაგის მოქნეულ ფრანგული, ქვიტკირ კედლებსაც სჭრისაო,
მაგისი ცხენი ნიკორიც, ზვავია მაღლის მთისაო,
იქ არ იციან ბეჩავთა, აწყენინებენ გმირსაო,
ველარა შეაგნებინა გაჩეჩილაძის ბიჭსაო
უარს უშვრება ფულებზედ: „ვისი რა მოგცე, რისაო,
ვინა ხარ, ვის დაჰკარგვიხარ, ანუ რომელი მხრისაო?”
არც ემოწმება სამსონი, გადასულია პირსაო.
ჰკარგავს ექვს თუმანს ვაჟაი, ბრაზით იხოკავს პირსაო,
გულზე იმჯიღავს მუშტებსა, „სორაპანს” უკრეჭს კბილსაო:

„დავკრავ, დავვედრებ, ღმერთს ვფიცავ, მუშტით
დავამტვრევ ცხვირსაო,
სამსონსაც ზედ მივაყოლებ, მაგ გაუტანელ ფლიდსაო...
გორში გავარდა ამბავი, ვაჟა-ფშაველას ცდისაო.
დეპეშა-დეპეშას მისდევს, გაზეთი გაზეთს სცვლისაო.
„არიქათ, ვაჟას უშველეთ, ვინა ხართ იმის მხრისაო!”
ძმანი იბრძვიან ერთადა, სანდროსაც ოფლი სდისაო,
თითოსა შემოქნევითა ხუთ-ხუთ, ექვს-ექვსსა ჰყრისაო.
ძმა-დისწულთ წამოიწიეს: ჩვენი მარჯვენაც სჭრისაო.
ჰა, ბეჩავ, ვაჟას ჭირიმე, ვინ აწყენინა გმირსაო?
ემზადებიან ქალაქში, თედო იპარსავს პირსაო,
მიხა იწმენდავს მუნდირსა, ორმხრივ აისხამს ღილსაო.
ტიკებსაც არ ივიწყებენ დრო დაგვიდგება სმისაო;
ბრძოლაში გამოგვადგება, გაგვიადვილებს ჭირსაო.
ჰა, ბეჩავ, ფშავლის შვილებო, ჭირიმე თქვენის ხმლისაო,
ასს მირჩევნიხართ თითონი, დრო რომ დადგება ცდისაო...

II

ჰა, ბეჩავ, ვაჟა-ფშაველო, შე ჯიხვო შავის კლდისაო,
სიამაყეო ფშავისა, ბადალო მაღლის მზისაო.
ჰა, ბეჩავ, ვაჟა-ფშაველო, მარტო არა ხარ, ძმისაო,
არწივი მხარკვერიანი ერთიც აფხუშოს ზისაო*,
თავზე მუზარადს არ იდგამს, გრძელბეწვა ქუდზე სცვლისაო,
თბილად ინახავს ქეჩოსა თან შეიმშვენებს პირსაო,
ქავ-ციხეს შეჰფარებია, ნაყევრალების ძირსაო,
გარს შემოუვლავ თხრილები, კედლები ქვიტკირისაო.
ურდულით ჰკეტავს კარებსა, შემოღამების პირსაო.
ძმობილისეულ ბერდენკას, კარისკენ უზამს ცხვირსაო.
სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ნუ მიაწერავთ შიშსაო.
სადღაც სწუხდება ვაჟკაცი, ფერი ედება მგლისაო,
ხშირად ცუდ სიზმრებსა ხედავს და აცემინებს ცხვირსაო.
ამჟამად ვაჟას ამბავი, მოუტანია გზირსაო,
ბაჩანას შეატყობინეს მოაჩაკჩაკებს ვირსაო.
გრიგოლს გასძახის ბოწახსა: ნუ მისცემიხარ ძილსაო!
ლევანს კი ნურავინ ეტყვით არ მოაცდინოთ წიგნსაო,
ოქროს მენდალზე ათავებს, პირველ რიგებში ზისაო.

III

ფშავით დაიძრნენ ფშავლები, კორიანტელი დისაო.
ცრემლით დაცლილა ვაჟაი, რა გაუჭირდა გმირსაო!
მუდამ მყვირალი ვაჟკაცი ეხლა რაღაზე სტირსაო?
შეყრილან ახალგაზრდები ვინ გამოუსწრებს ვისაო.
ჯღრდეები მოდის თოფისა, ვადები ბრჭყვინავს ხმლისაო,
მოჰყავთ შეკაზმულ ნიკორი ადგამენ უნაგირსაო;**
მაგრა უჭერენ თასმებსა, გმირ არ დაეცეს ძირსაო.
სამ-სამთ უჭირავთ სადავე, ოფლი გადასდით პირსაო...
სასოვეთავით მათ მისდევს სვავნი დარაჯნი მთისაო,
კაწალხევისკენ* დამწკრივდნენ, თავქვე იზამენ პირსაო,
წინ ყორნებ გამოიმძღვარეს: იყავით მუდამ მზირსაო,
თვალყურ ადევნეთ მასთანვე აფხუშოურსა გმირსაო.

IV

ხევსურთ მოუძღვის ძაღლიკა, არწივი მაღლის მთისაო,
თავიდან ფეხებამდისინ ვეფხვი აბჯარში ზისაო,
ხმალსა ადნება ქარქაში, ნალესს არაგვის პირსაო.
მხარზედ ჰკიდია ხირიმი, ნაჩუქარია ძმისაო:
ეხლა კი გაჩეჩილაძეს რისხვა დაატყდა ღვთისაო,
დარჩება ფშავლის შვილებსა მის ფულიანი ქისაო!
ვაჟასაც შესწყდა ცრემლები, შუქ ეფინება პირსაო.

V

ქალაქს მოვიდა ამბავი: მოდის ფშავ-ხევსურთ ჯარიო,
წინ მოუძღვება ფოცხვერა და ხიმიკაურ***ხარიო.**
„სორაპნის" რედაქციასა უნდა ამტვრიონ კარიო.
სალუდის კარზედ ხევისბერთ გლოვის ჩამოჰკრეს ზარიო.
დაჰკლეს შვიდი წლის კურატი, დაიმწყალობნეს ცხვარიო.
არა ხუმრობენ ვაჟანი, დადგება ცოდვა-ბრალიო.

VI

მაგრამ ხომ ვიცით, ზოგჯერა, რომ სასწაულიც არიო:
ბრძოლისა გადაუხდელად სახლში ბრუნდება ჯარიო.
აქაც ის მოხდა, მთიელთა უკანვე წავლეს გზანიო;
მალე მივიდენ სახლშია, არ დააყოვნეს ხანიო.

ბობოქრობს ხიმიკაური: რა რიგ ლაშქრობა არიო?
უჩხუბრად რაად მავლიეთ საქალაქონი გზანიო!

VII

რა მოხდა, რისთვის ბრუნდება ომგადუხდელი ჯარიო
საბედისწეროდ ხვარ იცნეს გაჩეჩილაძის შარიო.
იქნებ მთებს გაუავდარდათ, ბარს კი დაუდგა დარიო?
არა, არც ეგრე დამცირდნენ, სწყალობთ ლაშარის ჯვარიო.
მტერი დამარცხდა უბრძოლოდ, მათაც შესწყვიტეს შარიო.
უომრად გაჩეჩილაძემ დაბლა დახარა თავიო,
იხდის, რაც მედიატორეთ კისრად დაადვეს ვალიო.
ვაჟაც დამშვიდდა, აღარ ჰქუხს, დაწმნდა ამღვრეულ წყალიო.
– ჰა, ბეჩავ, ფშავლის შვილებო, თქვენ ხო არა გყავთ ცალიო,
გაჩეჩილაძე რას გასძლებს, კლდე რომ ვერ გასძლებს სალიო.
ჰა, ბეჩავ, ბეჩავ ბიჭებო, ბურდულიც თქვენთან არიო,
ცისკარი ამომავალი, შოთა რუსთველის დარიო,
შიო, ივანე, სევასტი — ქიზიყელები ძმანიო,
გორით მოგელით ტიკები, თედომ დაკრიფა ზვარიო.
ნაზუქი, ქადა, ნამცხვრები, გნოლი, კაკაბი, ვარიო...
დისწულის ნანადირევი — შველი, ირემი ხარიო,
ჩავაბერინოთ დუდუკი, დავაკვრევინოთ თარიო.
ომსა ქეიფი სჯობია, სიკვდილს დაუდგეს თვალიო.

როგორც მიხა რაზიკაშვილის ამ გრძელი ლექსიდანაც ჩანს, ვაჟას სასარგებლოდ გადაუწყვეტია სასამართლოს საქმე, გაჩეჩილაძისათვის დაუკისრებიათ დანარჩენი ფულის გადახდაც. როგორც ვთქვით, ამ ფულის აღება ვაჟას შიო მღვიმელისათვის მიუნდვია. შიოს კი აუღია, მაგრამ თავადაც ხელმოკლე მწერალს, სანდროსთან მიტანამდე ფული შემოხარჯვია, ახლა იმან დაუგვიანა. ვაჟამ ამ ამბის გამო ფშავიდან გამოაგზავნა

ფშაური მუხამბაზი
(ვუძღვნი ჩემ ძმას შიოს)

გაჩეჩილაძე ღიღინებს მდგომი „სორაპნის" კარზედა:
„შენი ჭირიმე, უფალო, რომ დამარიგე ჭკვაზედა.

ვაჟა-ფშაველამ მაწვნია, მეც მოვექეცი ახზედა.
რაც ფული უნდა მიმეცა, გადავიტანე სხვაზედა.
ეტყვიან შიო მღვიმელსა განთქმული არის სმაზედა...
...ამ დროსა შიო მღვიმელი პადვალში იჯდა სკამზედა,
ადღეგრძელებდა რაც კი რამ არსებობს ქვეყანაზედა:
სამშობლოს, ლიტერატურას, ქვაც თუ სადმე ძევს ქვაზედა"...

ეს შიოს ამბავი. მაგრამ უყურადღებოდ არ შეიძლებოდა დაეტოვებინა დისწულის მიერ მოწერილი ლექსი. ვაჟას მის პასუხად ასევე გრძელი ლექსი, ლექსი კი არა პოემა დაუწერია, რომელშიც მიხასთან ერთად თავის ძმა თედო და სხვა ქართლელი მეგობარ-ნათესავებიც არიან მოყოლილნი. საოცარია, ასეთი სახუმარო ლექს-წერილებისთვის როდისღა იცლიდა! აქ მხოლოდ მცირეოდენს მოვიტან:

აქა ამბავი დისწულ-დედიძმათი

ქართლით მოიდა ამბავი, გადმაიარა მთანიო,
საით გაიგო, ბეჩავმა, ნეტავ, საჩარგლო გზანიო?
კითხვითაც აღარა მკითხა შემომიმტვრია კარიო.
იმ დროსა მე და ბაჩანა ერთად ვიყვენით ძმანიო,
ვახშამსა ვჭამდით ერთადა იყო საღამოს ჟამიო,
ხონჩაზე ქერის პურ გვედვა, ხელში კაპრიან ჯამიო.
ვანხევს ერთგულის ნახვეწი კაკლის ნუჟრისა არიო.
ვავლიეთ არაყისადა ვაჟი, ცოლი და ქალი.
რომ ვერ ვიშოვეთ ვერსადა, ვერ ვართ რომ აღარ არიო.
უსასმლოდ არას მოვიშლით, ტყავგარექცევან ყმანიო
დავლიეთ ღვინო-არაყი, მთელი იმის გვარიო
თუ მოვინდომეთ, იცით რად? რომ შეგვეწყალა მკვდარიო.
თან გვედღეგრძელა ცოცხლები, რაზიკაანი ძმანიო.
და რომ არსაით აღმოჩნდა, არაყს ვარჩიეთ წყალიო.
ამ დროს გვესტუმრა ქართლიდან ამბავი ნაფრენალიო.
შუბლი შაიკრა სტუმარმა, როს გადაგვავლო თვალიო.
როდესაც გვნახა ფხიზლები, ერთიც არა ვართ მთვრალიო.
„მოიტათ, დამალევინეთ, – გვითხრა, – ხახა მაქვს მშრალიო.
აქ რისთვის წამოვჩერჩეტდი მე ეს თავმოსაკვდავიო.
აფსუსო, თედოს სუფრაო, მაისივითა ჰყვავიო...
რა გინდა, სულო და გულო, აწყვია როგორც ხვავიო,

დოში, სათალი, მოთალი, იხვრის სხვადასხვა ძვალიო.
კაკაბი, გნოლი, კურდღელი — მიხაის მონაკლავიო...
მიხეილს ჭლექი გაუჩნდა, მას გული სტკივა ცალია,
მარცხენას ძუძუს თავზედა ადგება რაღაც მჭვალია,
ღმერთმა დასწყევლოს დიაცი მაჩაბელისა ქალია,
ბიჭი იმისგან გაფუჭდა, ჭლექი იმის ბრალია..."

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ბევრი რამ არის მოთხრობილი, მაგრამ, როგორც ირკვევა, ვაჟას ის რატომღაც ადრესატებისათვის აღარ გაუგზავნია; ეს ლექსი ს. ყუბანეიშვილს აღმოუჩენია ვაჟას ხელნაწერებში. ერთი კია საინტერესო: ამ ლექსის ერთი მონაკვეთი საიდანღაც გავრცელებულა ხალხში სულ სხვაგვარი ინტერპრეტაციითა და ვარიანტით. მე თვითონ ჩამიწერია და გამომიქვეყნებია კიდეც „ვაჟასა და ბაჩანას" ლექსობის სახით.

აი, ეს კაფია, ვითომ ვაჟასა და ბაჩანასაგან ნათქვამი:

ვაჟა: ერთხელის მე და ბაჩანა,
ერთად ვისხედით ძმანია.
ბაჩანა: წინ გვედგა გაშლილი სუფრა,
თითო კაპრიან ჯამია.
ვაჟა: ვგზავნენით არაყისადა,
ხან ქალი, ხანაც რძალია.
ბაჩანა: ერთმანეთს ვეუბნებოდით:
„ეგ ხო კაცისად მავნეა?"
ვაჟა: ნამეტნავად კი მაშინა,
როცა ის აღარ არია". (54, 9).

ვაჟა და მუზა

ვაჟას მუზა ეძალებოდა, საწერად მუდამ ხელი ექავებოდა, კალამი ეწეოდა მაგიდისაკენ. მაგრამ იძულებით საქმეს თავისი გაჰქონდა, ოჯახს არ ეღალატებოდა, შვილებს ვერ დახოცავდა სიცივითა და შიმშილით. მხოლოდ ღამე, ჯალაბთ დაძინების

შემდეგ, ძლივს მიუჯდებოდა მაგიდას მთელი დღის ნაჯაფი, ანდაც უქმეებსა და წვიმიან ამინდებში. თავისი მეგობარი მიქაბერიძისათვის შეუჩივლია ვაჟას: „ზოგჯერ დიდი სურვილი მაქვს ჩავიმუხლო და რაიმე დავწერო, მასალა ბლომად მომეპოვება, მაგრამ განა შემიძლია გულდამშვიდებით ვწერო, როცა თვალწინ სახრჩობელასავით მეხატება ჩემი ნივთიერი უმწეო მდგომარობა, ჩემი ცოლ-შვილის ლუკმა-პურის მოსაპოვებლად ყოველდღიურად ტანჯვა და ვაება".

ძირითადად ღამე წერდა ვაჟა, დღისით მოუცლელობის გამო, მაგრამ ხშირად ლამპის ასანთები ნავთიც კი არა ჰქონდა. ასეთ დროს ბუხრის პირს მიმჯდარი ცეცხლის შუქზე წერდა. გულქანს, მის გამორჩევით საყვარელ ქალას, გამნათებლის, გამშუქებლის როლი ჰქონია დაკისრებული: მას ბუხარში ნელ-ნელა უნდა ემატებინა ცეცხლისათვის ხმელი ფიჩხი, ანდა ჩალა. ამის გამო ძალიან გაბეზრებული ყოფილა გულქანი და ჩუმ-ჩუმად ბუზღუნებდა. მას ბავშვებთან ჩურჩული უნდოდა, ან ეძინებოდა დაღლილ-დაქანცულს, მამა კი არ უშვებდა, საწერს აღარ ამთავრებდა.

შემოელეოდა ნავთი და ხან ფული არა ჰქონდა საყიდლად, ხან – დრო. ამას დაუძლურებაც დაემატა. ყოველთვის და მითუმეტეს ზამთარში ვერ შეძლებდა მხოლოდ ნავთისათვის მთის გადავლას და თიანეთში ჩასვლას. არადა უნავთობა მისთვის ცეცხლ-ნავთი იყო, განსაკუთრებით მუზის მოძალების ჟამს, ღამე რომ ძილს არ აძინებდა. ერთი ასეთი გასაჭირიდან მეზობლის ბალღს ზ. ტოპეშაშვილს უხსნია; მისი ნაამბობია: „ერთ ზამთრის დილას ვაჟამ ადრე დამიძახა და მითხრა: დიდ რასმე წიგნსა ვწერ და ნავთი არა მაქვსო. თურმე მთელი ღამე ბუხრის ალზე ეწერა. უნდა მომეხმაროო, თიანეთს უნდა ჩახვიდე ნავთი მიყიდოო. მე სიხარულით დავთანხმდი, მაგრამ ვაჟას ფული არა ჰქონდა. ნავთის ფულის საშოვრად ჯერ ქათმების ჭერა დავიწყეთ, მერე კვერცხები მოაგროვა, კვერცხები რომ დააკლდა, ცოლს ასესხებინა მეზობლებში. თავისი ცხენი შემიკაზმა, კვერცხები ხურჯინში ჩავაწყვეთ, ქათმები კი უნაგირის კეხზე გადავკიდეთ და გავუდექი თიანეთის გზას ნავთის მოსატანად, მაგრამ დახე უბედურებას!

სულ ცოტა გზა მქონდა გავლილი, რომ თავდაღმართზე ერთმა ქათამმა შეიკრიახა, ცხენი დაფრთხა და ორივენი, მეცა და ცხენიც მიწაზე დავეცით. რასაკვირველია, კვერცხები მთლად დაიმტვრა და შერცხვენილი ისევ უკან დავბრუნდი. ვაჟამ ბევრი იცინა და ახლად ისესხა სათიანეთო კვერცხები, მეც მეორედ გავემგზავრე თიანეთს, რომ ვაჟასთვის ნავთი მომეტანა. როდესაც ვაჟას ნავთი მოვუტანე, ძალიან გაეხარდა, დიდი მადლობაც მითხრა – ახლა კარგა დავწერო და რამდენიმე დღეს გამგელებული მუშაობდა. ასე დაწერა ვაჟამ „ბახტრიონი" („ლიტ. გაზ". 1956, 22).

ისეც მომხდარა, ცალკე მუხლჩაუხრელი ფიზიკური შრომისაგან და ცალკე მოძალებული მუზისაგან სულშეხუთულს თავი მიუნებებია საქმისათვის და საწერს მისჯდომია. თავს დატეხილ ორთაჭიდილში, ვაჟას რომ აქეთ-იქით ეწეოდა, ხანდახან მუზა ძალავდა. ის უკვდავი ქმნილებები, როცა თავში მომწიფდებოდნენ და დაბადებას ითხოვდნენ, ვეღარ უწევდა წინააღმდეგობას, ვერ აკავებდა ისევე, როგორც მშობიარე ქალი ვერ შეაკავებს ბავშვის დაბადებას. ასეთ შემთხვევაში ისე იქცეოდა ხოლმე, როგორც მოქცეულა ერთხელ მკის დროს. ვაჟას მეუღლე თამარი იგონებს: „ერთხელ მე და ლუკა ყანასა ვმკიდით სულა-კურდღელაურთ მამულში. იმ ხანებში რომელიღაც პოემაზე მუშაობდა (რომელზე კარგად არ მახსოვს). ყანა ძალზე გადამწიფებული იყო. ორთავენი სამკალში ვიყავით. შუადღე გადასული იყო. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ყანა უნდა მოგვემკო სასწრაფოდ. ლუკას უცებ რაღაც აზრი მოუვიდა, ნამგალ-სათითეები ძირს დაყარა და აჩქარებული ნაბიჯით დაეშვა თავქვე, შინისაკენ. მივაძახე: კაცო, სად მიდიხარ?! ყური არ მათხოვა, გზა განაგრძო. მაშინ მივხვდი, რომ საწერად მიდიოდა... დამტოვა მარტოკა ყანაში: მომკალიც, მკონავიც და ძნის ამგებელიც, სამივე საქმე უნდა შემესრულებინა მარტოკას. მეც ხომ ვერ მივატოვებდი ყანას. ბალღები საქონელთან იყვნენ: ზოგი ინდაურებში და ზოგიც ხბორებთან და ცხვრებთან. არავინ არ მშველოდა. მარტოკამა ვმკე იმ დღეს ყანა. საღამოთი ავკონე, ავაგე წერებად და დაბინდებისას, ხურჯინ-საგძლით, წყლის ჭურჭლით ჩემი და ვაჟას ნამგალ-სათითეებით შინ ჩამოვედი.

საქონელი მოერეკათ და შეეყარათ ბაკში, რომელიც ახლოს, ხევს გაღმა, იფნის ქვეშ გვქონდა შემოღობილი.

ლუკა მაგიდას მიჯდომოდა, რაღაცას წერდა. ჩემსკენ არ მოუხედავს, თითქოს ვერც კი იგრძნო ჩემი მისვლა.

ავიღე ტაგნები ფურების დასაწველად და როცა გამოვდიოდი, დამიძახა: ქალო, ხინკალი მინდა, ერთი ხინკალი მოვხარშოთო! დაღლილი ვიყავი ძალიან და დამეზარა, მაგრამ სიტყვა არ შემიბრუნებია, რადგან ლუკას თქმა ჩემთვის კანონი იყო.

გავედი ბაკში, ფურები დავწველე, გამოვიტანე რძე, სარძევეში ჩავწურე და დაღამებულში შევუდექი ხინკლის კეთებას. შეშა არ გვქონდა, მოვიტანე, დავჭერი, ცეცხლი დავანთე, ხორცი დავკეპე და ცომის ზელას შევუდექი. ძილი თავს მართმევდა, ძლივს ვახვევდი ხინკალს. როგორც იქნა, მოვხარშე ხინკალი და შევუტანე ხონჩით.

ლუკას სახეზე ღიმილმა გადაურბინა. შევატყვე ესიამოვნა, შემომხედა და მითხრა: ყოჩაღ, დედაკაცოო!

ლუკა ცოტას სჭამდა, მხოლოდ მალ-მალე უყვარდა პურის ჭამა.

ერთხელ გუთანი დააყენა კვალში, ხარები არ გამოგვაშვებინა, წავიდა მაშინაც შინ საწერად. მე და ბალღები ხარებს ვედექით. შეწუხდნენ ხარები, უღლიდან იზიდებოდნენ. ვედექით ხარებს და ვატრიალებდით ისევ კვალში.

მკაცრი იყო ლუკა, დაჟინებით ვერაფერს გავუბედავდით. სანამ თვითონ არ გამოვიდა გუთანთან (მაშინ სახლის ახლოს, გაღმა ყორუღში ვხნავდით), ჩვენ ვერ გავბედეთ დაძახება.

ლუკას ხასიათი გაგებული მქონდა, ამიტომ ხელს ვუწყობდი, ვერ ვუბედავდი მეთქვა, ოჯახს შენახვა სჭირდება, გაისარჯე და ცოლ-შვილს რჩენა უნდა-მეთქი.

როგორც იყო, ერთხელ გაბრაზებულმა გავბედე და ვუთხარი: რა არის, კაცო, ცოლ-შვილი მშიერ-ტიტველი გყავს, შინ არაფერი გაქვს, ყველაფერი თავდება, შენ კი ზიხარ, ჯღაბნი და სულ ჯღაბნი-მეთქი. მოველოდი ძალიან გაჯავრდებოდა, ჩემი ნათქვამისა მეევე შემეშინდა, მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა. გაიცინა და მითხრა: ეჰ, შე საწყალო, უსწავლელი ხარ და რა გითხრა, ნასწავლი რომ იყო მაგ სიტყვას არ გაპატიებდიო". (37, 35).

უბედურება ის იყო, რომ ნასწავლ ხალხს ბევრს არ ესმოდა ვაჟასი, უსწავლელთაგან რა გასაკვირი იყო. ვერ იგებდნენ

ვერც მის შემოქმედებას, ვერც მის ქცევას. ვერ უგებდა თვით მეუღლეც კი, რომელსაც ასეთი ლექსი უძღვნა: „გზადაკარგულის ნუგეშო, შენს სხივებს ვენაცვალეო!"

ვაჟას მეუღლე თამარი რომ იგონებს, პოემაზე მუშაობდა და არ მახსოვს რომელზეო – „სტუმარ-მასპინძელს" წერდა მაშინ ვაჟა. იმ ადგილას სადაც აღაზა გაუმხელს თემისაგან მოკვეთილ ჯოყოლას, შენი მეგობარი ზვიადაური დავიტირე სასაფლაოზეო, ვაჟამ აღარ იცოდა რა ეპასუხებინა ჯოყოლასათვის. უცხო კაცის დატირება ხომ ასევე მძიმე დანაშული იყო თემის წინაშე, მითუმეტეს, თემის მოსისხლე მტრისა. რა უნდა ეპასუხა ჯოყოლას? კარგი გიქნიაო? ვერ იტყოდა – დანაშაული იყო! ეთქვა ცუდი გიქნიაო? – ვერც ამას ეტყოდა, რადგან თვითონაც თემის შეხედულების წინააღმდეგ წავიდა. ორი-სამი თვე უფიქრია ჯოყოლას პასუხზე, სამი თვე იტანჯებოდა. და, აი, ამდენი ტანჯვის შემდეგ, მკის დროს, უცებ იელვა თავში: „იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა?" გაიხსნა სამი თვის შეგუბებული ნაფიქრალი და ნიაღვარივით დაიძრა, დაიძრა და წამოიღო თავქვე სულა-კურდღელაურთ ყანიდან. ვეღარ შეაკავა ვეღარც ცოლის ბუზღუნმა და ვეღარც იმან, რომ შეიძლებოდა ერთ ღამეში დაღუპულიყო საჩქარო სამკალი.

ლოდი რომ მოსცილდა გულიდან ვაჟას, შვებით ამოისუნთქა, გუნება დაეწმინდა, დამშვიდდა, გახალისდა, ხინკალიც მოუნდა და ჟიპიტაურის დაყოლებაც.

თამარმა სიბნელეში დაწველა ძროხები, რძე პინებზე დაწურა, დილანდელი რძე წანაღბა, შესაყველებლად დაადგა; ამასობაში ხინკლის გული დაკაფა, შეაზავა, მერე ცომი მოზილა, გუნდა მოჭრა და ქერქები დაათხელა, ხინკალი მოახვია, ჩაყარა, მოხარშა; მერე ხონჩაზე ამოიღო და ორთქლავარდნილი რომ მიართვა, მაშინღა შეწყვიტა წერა ვაჟამ და მეუღლეს შესცინა.

თამარმა ჩათვალა, რომ ეს იყო ღიმილი მისი კარგი მეუღლეობით კმაყოფილებისა. არა, ეს მარტო ამით გამოწვეული ღიმილი არ იყო. ეს ღიმილი იყო შინაგანი მტანჯველი ცეცხლისაგან განთავისუფლებისა, რომელსაც შემოქმედი კაცის მეტი ვერავინ გაიგებს.

ეს ერთი და გამონაკლისი შემთხვევა არა ყოფილა. ასე სხვა დროსაც მოქცეულა ვაჟა. ისევ თამარის მოგონება: „საკვირველ

კაც იყო ის საწყალი... ერთხელ, აი, ზენ, კარისპირში გუთანი შე-
ვაბით. ხუთი-ექვსი კვალი კი გავავლიეთ, რომ ელდიანივით მა-
იფიქრა რაიმა.

–თამაროო, – მითხრა, –ცოტახანს ეს ხარები შევასვენოთ,
რაღაცა მამაგონდა, შინ ჩავივლი და თუ დავიგვიანო, ხარებს
სამხარ ამაუტანოდი ბარემ დასამხრდებიან კიდეცაო.

გაუშვა ხელი გუთანსა, ხელში სახრის დაჭერა იცოდა უღ-
ლის ხარებისადა, ის სახრეც დააგდო და ჩაეფარა შინასაკა. მე
ხარებ გავაჩერე, კარგახანს ვიჯე გუთანთანა, კინაღართ ერთ
ტერფ წინდა მოვქსოვე. რო აღარა-დ აღარ ამაიარა, ვთქვი ხა-
რებს მაინც დავასამხრებო და წავედ შინასაკა თივის ამოსა-
ტანადა. ეზოს რომ მიუახლოვდი, იქ ბალღებს, ვახტანგსა და
ბეკურთ ბალღს, ხბუები ჰყვანდა, იმათ მითხრეს: ვაჟამ გამოგ-
ვყარა აქ აღარ შემოხვიდეთ, ხბუებიც თამართან არეკეთო. სახ-
ლისაკ წავედ და კარებზე ელქეშად მივედ, კარებში ნელ-ნელა
შავიხედე. ვაჟას ტახტთან „სტოლ" მიედგა და თავჩაღუნული
რაღაცას წერდა. ჯერ ვთქვი, ვკითხო – აღარ ამაივლიო? მაგრამ
ველარ გაუბედე – ვაი თუ ეწყინოსო და ისევ ნელნელა უკან გა-
მოვბრუნდი, საბძლიდან თივა გამოვიტანე და ხარებს წავუღე.
დავუყარე სამხარი ხარებს და ვუცდი იქნება ამაიაროსო, რომ
ქვენაით ძახილ მამედინა:

– თამაროოო! ხარებ გაუშვი ხვალ გამოვხნათო!

ყევარს ვაბამდით. გავუშვი ხარები და სახლისაკ წავედი.
სახლთან რო მივედი, გამოვიდა შინიდანა და სიტყვა წინ დამახ-
ვედრა: არა უნდა-რა, თამარო, ხვალ გამოვხნათ რა ბევრი მანდ
არი. დღეს მაგაზე ათჯერ მეტ კაი საქმე გავაკეთეო". (ლევან
ბოძაშვილი).

აი, ასეთი დაუოკებელი ჟინი და ცეცხლი იყო ის ძალა, რა-
მაც ვაჟას ამდენი დააწერინა, ამდენი შეაქმნევინა. მაინც გასა-
ოცარია, ამდენ წვრილმან საოჯახო საქმეში ჩაფლულმა კაცმა,
რომელიც არც მთასა და არც ბარში არ აკლდებოდა არც ჭირსა
და არც ლხინს, არც კერძოსა და არც საქვეყნო საქმეს და თანაც
ახალგაზრდა გარდაიცვალა, როდის ან როგორ მოასწრო ამ-
დენის დაწერა. უკვირთ ხოლმე პუშკინისა თუ ლერმონტოვისა:
ახალგაზრდები დახოცეს და ამდენი რამე როდის მოასწრესო.
მათი არ არის გასაკვირი, არისტოკრატები იყვნენ და წერა-კით-

ხვის მეტი საქმე არა ჰქონდათ-რა. მათი სასმელ-საჭმლისათვის
ყმა-გლეხები, მოსამსახურენი ზრუნავდნენ. ვაჟას კი თვითონ
უნდა ეღვარა ოფლი იმ ყმა-გლეხივითაც, პუშკინისათვის რომ
შრომობდა და უნდა ეფიქრა და ეღვაწა იმგვარადაც, როგორც
პუშკინი იღწვოდა. ვაჟას ნაფიქრალ-ნააზრევი არაგვივით მოს-
ჩქეფდა და მისი შებრკოლებაც კი არაფერს შეეძლო ისევე, რო-
გორც ვერაფერი შეაჩერებს არაგვის დენას. ძლიერ ნიჭს ვერ
უშლის ხელს ამქვეყნიური გაწამაწია, მას ვერ შეაფერხებს მო-
უცლელობა, ოჯახური საქმე. და ეს უწყვეტი დენა იყო სათავე
მისი სიუხვისა. ბევრზე ხელსაც კი არ აწერდა, ერთი პოემა „ივე-
რიელნი" თიანეთიდან ჩარგლისაკენ მიმავალმა დაკარგა სად-
ღაც.

ვაჟას თავის სამუშაო ოთახში, რომელიც თვითონ გადაიტიხ-
რა საცხოვრებელი სახლის ცალ მხარეს და ფანჯარაც თვითონ
გამოჭრა, ხის ტახტზე თავისი მოკლული დათვის ტყავი ჰქონდა
დაგებული, ზედ ვეფხვის გამოსახულებიანი ქეჩა ეფინა. მუშაო-
ბისაგან დაღლილი დროდადრო ამ ტახტზე წამოწვებოდა. დათ-
ვის ტყავი რომანტიკისთვის არ იყო – მაშინ რწყილი იყო ბევ-
რი მთაში, კაცს რწყილი არ დააძინებდა თუ დათვის ტყავზე არ
დაწვებოდა – დათვის ტყავს რწყილი არ ეკარებოდა. საპატივ-
ცემულო სტუმრის დაწვენაც ამიტომ იცოდნენ დათვის ტყავ-
ზე. როგორც ყველა მთიელის სახლი, ვაჟას სახლის უკანა კედე-
ლიც მიწაში იყო, ნესტიანი, წყალი ჟონავდა. იმ კედელთან ედგა
ტახტი და იმ ნესტმაც შეუწყო ხელი მის გაციებასა და გვერდში
წყლის ჩადგომას, პლევრიტს. ახლა გვერდებსაც ეტყობა ჟე-
ჟავდა ფიცრები, დიდი ღრიჭოები გასჩენოდა ტახტს. ავადმყო-
ფობის დროს, ბოლო წელს თვითონ დაუწყია ტახტის შეკეთება,
აკანკალებული ხელებით ხერხავდა თურმე ფიცრებს. ამ სუ-
რათს ჩუმად უთვალთვალებდა მისი საყვარელი ქალა გულქანი
და სიბრალულისაგან ცრემლად იღვრებოდა.

ბუხრის თავზე ირმის რქები ჰქონდა მიკრული. რქის ტოტებ-
ზე ეკიდა ფარ-ხმალი და თოფები: დათვზე სანადირო საუკეთე-
სო თოფები ჰქონდა ვაჟას – „ბერდენკა" და „აინალი". კარს უკან
კუთხეში კი ოთარშენში ყოფნის დროს ნაყიდი ორლულიანი
ჰქონდა მიყუდებული ღამე შემოტევებული ნადირისა თუ ქორი-
სათვის გამზადებული. ირმის რქების გვერდით კედელზე ეკიდა

მამა-პაპური „მჭვარტლიანი ფანდური", რომელსაც მალ-მალ ჩამოიღებდა ხოლმე წერის დროს და „თითს აჩქამებდა ბერასა"; წყნარი ღიღინით ააყოლებდა ხმას, მერე ისევ წამოხტებოდა და წერას აგრძელებდა. როგორც პიანინოსა თუ როიალზე წერენ მუსიკას, ისე წერდა ფანდურზე ლექსებს. ამიტომ არის, ალბათ, რომ მისი გმირები ხშირად უკრავენ ფანდურს და მის ლექსებსაც ბევრს „სიმღერა" აქვს სათაურად.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ვაჟასათვის „სიმღერას" კიდევ სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. მისი „... ყველა „სიმღერა" უსაშველო სევდითაა შექმნილი. წუთისოფლის ამაოება, შავი ვარამით გადანისლული დღეები და საკუთარი პიროვნების არარაობის უკიდურესი შეგრძნება წარმოადგენს ვაჟას სიმღერის ძირითად ჰანგს... „სიმღერას" ვაჟა მხოლოდ იმ ლექსებს უწოდებს, რომლებშიც საკუთარ დარდს, ტანჯვას, გაცამტვერებას, არარაობას გამოხატავს. ამიტომ ითხოვს თამამად ტირილი არ დამიშალოთო...

„მე რომ ტირილი მეწადოს,
თქვენ ვის რა გინდათ ნეტარა".

... ვაჟას სიდიადე იმაშიც გამოიხატება, რომ დარდიანსაც სიმღერა შეუძლია. მისთვის ვარამი უბედურების საწყისი როდია. უგრძნობი და გალაღებელი ადამიანი სძულდა ვაჟას. დარდი და სევდა მისთვის ადამიანობის ყველაზე დიდი საზომი იყო. მისი ბედნიერების საწყისიც დარდის სიბრძნეშია ჩასახლებული:

„ნუ დამასვენებ ნურასდროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული". (12)

მგზავრობის დროსაც წერდა ვაჟა, სტუმრად ყოფნის დროსაც. თბილისში თავის ძმა სანდროსთან ერთი ოთახი ჰქონდა ამოჩემებული. იქ სადილის შემდეგ ცოტას წაიძინებდა, მერე მაგიდას მიუჯდებოდა, დაწერილს მეორე დღეს სანდროს უკითხავდა: „– აბა, ყური დაუგდე შენ ძმასა, რა დავწერე, ერთი წაგიკითხო!" – ეტყოდა ხოლმე.

ვაჟას არ უყვარდა თუ ვინმე შეესწრებოდა მისი შემოქმედებითი წვის მომენტს. თუ ვინმე ამ პროცესიდან გამოიყვანდა, საშინლად ღიზიანდებოდა. მითუმეტეს საქვეყნოდ ამაზე არც არაფერს იტყოდა, ალბათ, რომ არა იპ. ვართაგავას კრიტიკული წერილი, რომლის პასუხშიც ვაჟამ გამოამჟღავნა თავისი შემოქმედებითი მეთოდის ზოგიერთი მხარე. გათქვა ზოგიერთი საიდუმლო, რაც არ არის ინტერესმოკლებული არც მკვლევართა და არც ჩვეულებრივ მკითხველთა მხრიდან. შემოქმედებითი ქმნადობის ამბავი ისევე გამჟღავნებული აქვს წერილებში „რო დომო სუა" და „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ". აზრი ერთია, ვაჟას მუზა ისევე ლაღად, თავისუფლად მოედინებოდა, როგორც მთის ანკარა წყარო. მას აღარ სჭირდებოდა დაწმენდა, დალექვა. ახალი იმდენი ჰქონდა დასაწერი, ძველების შეკრეჭა-შელამაზებისათვის აღარ ეცალა. იპ. ვართაგავასადმი გაცემულ პასუხში ამიტომ წერდა: „მას ძალიან გულით უნდა გაიგოს. როგორი წესი მაქვს წერისა – ერთბაშად ვწერ თუ, რამდენჯერმე გადავწერ ერთხელ დაწერილს, რაც ხშირად შესწორებას მოსდევს. უნდა მოგახსენოთ, ძალიან დიდ ნაკლადაც რომ ჩამეთვალოს, არც ერთი ჩემი ნაწარმოები ერთხელის მეტად არ გადამიწერია შავად დაწერილიდან და ნაკლებად მქონია შემთხვევა დაწერილი ადგილები შემესწორებინოს... წერის დროს ზოგიერთ ნაწარმოებს რამდენიმე ხნით შეუყენებივარ, ცოტა რამეს, ერთ ორ ტაეპს, ზოგისას დასასრულს". (15, 364).

ოჯახის წევრები, ახლობლები გადმოგვცემენ, რომ ვაჟა ყველაფერზე ლექსსა წერდაო. რაც გინდა მომხდარიყო, მეზობელი რომ მეზობელს წაეჩხუბებოდა, ვაჟა მაშინვე საწერ-კალამს ეცემოდაო. იმათ არ იცოდნენ რას წერდა ვაჟა და ამიტომ ეგონათ ამ რაღაცა ყოფით ამბებს ლექსავდა, როგორც ეს ხალხშია მიღებული. სინამდვილეში კი ვაჟას სწორედ ასეთი უბრალო, ყოფითი ამბები აძლევდა ბიძგს, აზრებს უჩენდა, რაც სრულიად სხვაგვარ, ამაღლებულსა და განზოგადებულ გამოხატულებას პოულობდა. ყველა მოვლენა, ყველა საგანი ვაჟას არსებაში თავისებურ პრიზმაში გადატყდებოდა. სულითხორცამდე პოეტი ამ სამყაროს არიდებდა თვალს და სადღაც, შორეულ სივრცეში,

ლამაზი ანარეკლების სამყაროს ხედავდა. ხანდახან უმნიშვნელო წვრილმანში ისეთ მნიშვნელოვან რაღაცას შენიშნავდა და აღმოაჩენდა, რომ თვითონაც ვერ წარმოიდგენდა, თვითონაც არ მოელოდა, ყოველ წუთს შემოქმედებით წვას განიცდიდა მისი პოეტური ქურა, ქურა კი არა ბრძმედი გამუდმებით ადნობდა ცხოვრებისეულ ჯართს და ქმნიდა „ხელოვნურ" მარგალიტებს.

...მოუკვდა საყვარელი მეუღლე და ამ ამბავთან დაკავშირებით დაწერა ლექსი „იას უთხარით ტურფასა". პოეტურად არის დანახული საყვარელი არსება – მომცრო ტანისა და ძალზე მოხდენილი, ლამაზი, სათნო, კეთილი, ნაზი ქალი, ასევე თავის ყველაზე საყვარელ ყვავილს, იას შეადარა. კეკეს სახით იას ხედავდა. რომ არ იყოს გადმოცემა – ეს ლექსი კეკეს გარდაცვალებას მიუძღვნაო, ალბათ, მართლა ყვავილისადმი, იისადმი, მიძღვნილ ლექსად ჩავთვლიდით და სხვა რამის ძებნასაც არ დავიწყებდით, იმდენად განყენებულია. მასაც სათაურის ქვეშ „სიმღერა" უწერია.

...ცხენი მოუკვდა და ამანაც შესანიშნავი ლექსის დაწერის ბიძგი მისცა.

ვაჟას ცხენი ძალიან უყვარდა. სადმე სტუმრად მისული, როგორც გინდა დასველებული ან გათოშილი ყოფილიყო, შინ არ შევიდოდა სანამ ცხენს კარგად არ დააბინავებინებდა მასპინძელს.

ვახტანგ რაზიკაშვილი წერს: „მამას ყოველთვის კარგი ცხენი ჰყოლია. ცუდ, ჯაგლაგ ცხენებს შინ არ გააჩერებდა. მე „ნიკორი" მახსოვს. შავი, იორღა ცხენი, მხოლოდ ჩემს ხსოვნაში უკვე ბებერი იყო, იმდენად ბებერი, რომ ზამთარში გომურის წინ გამოსული დაეცა და ვეღარ ადგა. მამამ ბევრი უტრიალა, მაგრამ ვეღარაფერი უშველა. მამას ცრემლი მოერია იმ ცხენის სიკვდილზე. შეახვია ფარდაგში და ისე დამარხა".

ეს ამბავი ნიშანდობლივია. ერთი ცხენი „ბედნიერმა" რომ დაუავადა, ადრე მოკვდა, ისიც დამარხა და იმ შთაბეჭდილებით დაწერა ლექსი „იმედი რაზიკაული". თავისი განცდები თავის გმირ წინაპარს გადააბრალა. მის მთებზე მოელვარე თეთრი ცხენის სიკვდილი წარმოიდგინა და უიმცხენოდ დარჩენილი გმირი. ლექსის შინაარსი ასეთია: გმირი გულჯავრიანია, დაღვრემილია, მხოლოდ ოხრავს. კითხულობენ – მტერს ხომ არ დაუჯაბნიაო? არაო. შვილი ხომ არ მოჰკვდომიაო? არაო. მაშ რაღაზე ტირისო?

„– შვილს ვინ ახსენებს ან ცოლსა? მეტი დარდი აქვს მაზედა:
ცხენი მაუკვდა ლურჯაი, აღარა ჯდება სხვაზედა...
ცხენს გაუთხარა სამარე, დამარხა თავის ხელითა,
დაულბო ლურჯას ლოგინი, მამსქდარის ცხარის ცრემლითა...
ცხენს გლოვობს რაზიკაული იმიტომ არის ავადა!"

... სრულიად უბრალო შემთხვევას დაუწერინებია ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსი „ჩივილი ხმლისა", უფრო სწორედ, ბიძგი მიუცია დასაწერინებლად, რადგან გმირ წინაპრებზე, მათ დიდ მამულიშვილურ საქმეებზე, მათ უანგარო თავდადებაზე ფიქრი ყოველთვის თან სდევდა ვაჟას.

მიხა მთიბელაშვილი, ვაჟას საყვარელი მოწაფე, შემდგომში ფშავის მღვდელი, იგონებს: „ბიძაჩემი ლუკა უსაქმოდ არასოდეს მინახავს, როდესაც უნდა ჩამომევლო იმის კარზე, ყოველთვის რაღაც საქმით იყო გართული.

ერთხელ გზად ჩამოვიარე ვაჟას სახლთან, თორმეტ-ცამეტი წლისა თუ ვიქნებოდი მაშინ, ეზოში ვაჟა ლასტს ქსოვდა.

– გამარჯობა ბიძავ-მეთქი! – შევუძახე. ლუკამ თავი ასწია, მიცნო და დამიძახა:

– აბა, ძმისწულო. აქეთ გადმოდი, წნელი მომიჭერი, საცაა ზამთარი კარზე მომადგება, მე კი გომურისათვის კარები ჯერაც არ გამიკეთებია, მოდი, დამეხმარეო.

ღობეზე გადავხტი, სწრაფად მასთან გავჩნდი.

ლუკამ მომიწონა სიმარდე, თავზე ხელი გადამისვა, ხმალი გამომიწოდა და მითხრა:

– აი, ამით მოსჭერო!

– ბიძაჩემო, ამით როგორ მოვჭრი, ხმალი წელშია გადატეხილი-მეთქი. ლუკამ გაიცინა, თვალებში ჩამაცქერდა:

–ეგ ხმალი სამშობლოს იცავდა. მაგ წელში გადაწყვეტილმა და გადაქანცულმა ხმალმა თავისი ვალი მოიხადა, შრომასა და ჯაფას წელში გაუწყვეტია, ახლა მაგისი ნახევარი შეგვრჩა და მაგისი პატივისცემა გვმართებსო, – მითხრა ვაჟამ.

ჩამაფიქრა ვაჟას სიტყვებმა. ორი დღის შემდეგ, როცა მასთან სახლში მივედი, შესანიშნავი ლექსი წამიკითხა „დაჟანგებულხარ, გორდაო", რომელიც ჩემთან ლაპარაკის შემდეგ დაუწერია" (49, 23-24).

...ლექსი „არწივი" თვითონ ვაჟასაც ძალიან ჰყვარებია და ხშირად ამბობდა ხოლმე, როცა ლექსის თქმასა სთხოვდნენ სუფრასთანა თუ სცენაზე. ამ ლექსში, რა თქმა უნდა, სამშობლო, საქართველო, იგულისხმება, ათასი ჯურის მტრებისაგან ნაჯიჯგნი და განაწამები. მართლაც, საოცარი სიმბოლიკაა: დაჭრილი არწივი და ყვავ-ყორნები!

ამ ლექსის შექმნისთვისაც, როგორც გადმოგვცემენ, პირად ინციდენტს მიუცია ბიძგი. ერთნი ამტკიცებენ, რომ შექეიფიანებული ვაჟა, ოცდაექვსი წლის ჯან-ღონით სავსე, ძლიერი, შეუპოვარი, მართლაც, არწივის მსგავსი, მგზავრ ხევსურებს რატომღაც მოშარებია ჩარგლის კარს, ხევსურებს უცემიათ და ამაზე დაუწერიაო.

მეორენი ამტკიცებენ, ნადირობის დროს თავად დაუჭრია არწივი და მისი წვალებისათვის რომ უცქერია, ძლიერ შებრალებიაო.

ვაჟას ქალიშვილი თამარი კი გადმოგვცემს, როცა მეტყეევე ხიზანიშვილმა ხელშეკრული ჩაიყვანა თიანეთში, იქიდან დაბრუნებულმა დაწერაო.

იმისი დადგენა, თუ რომელი ამათგანი შეეფერება სინამდვილეს, ძნელია. ერთი კი აშკარაა, რომ, მართლაც პირად ინციდენტს მიუცია ბიძგი ამ შედევრის შესაქმნელად.

და ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი შემთხვევაა ვაჟასთან. „გოგოთურ და აფშინაც" ხომ პირადმა ინციდენტმა დააწერინა – კაწალხეველ გიორგი ხორნაულთან მჟავეწყლის თაობაზე შეხლა-შემოხლამ.

თუნდაც „გველისმჭამელი". აქ ხომ მთელი დიალოგი ქმარსა და ცოლს, ანუ მინდიასა და მზიას შორის, ზუსტი ასლია ვაჟასი და მისი მეუღლის, თამარის, დავისა. ვაჟა ქვეყნის დიდი სამსახურისთვის იღვწოდა, ცოლი კი სულ იმას ეჯიჯღინებოდა, ოჯახს შენახვა უნდა, ჯღაბნას მოეშვიო.

ყველაფერს რომ ცხოვრებიდან იღებდა, სინამდვილიდან და იმას უდებდა საფუძვლად თავის ნაფიქრალს, ამიტომაც არის

მისი შემოქმედება ასე ახლოს ხალხის გულთან.

ასეთი იყო ვაჟა და ასეთები იყვნენ მისი დიდი წინამორბედები: რუსთაველი, გურამიშვილი. ისინიც იმიტომ იყვნენ საყვარელნი ქართველი ხალხისათვის, რომ ხალხის წიაღიდან იყვნენ ამოზრდილნი. ყველაზე დიდი მწერლები ყველაზე მეტად გასაგებნი იყვნენ ხალხისათვის.

გარდა ამისა, რუსთაველსა და ვაჟას შორის რაღაც საერთო შენიშნა ჩვენი მწერლობის ბურჯმა, უდიდესმა მოაზროვნემ ილია ჭავჭავაძემ, როცა ამბობდა, „რუსთაველის შემდეგ ასეთი პოეტი ჩვენ არა გვყოლიაო". ილიამ, ღრმად ჩახედულმა კაცმა, რაღაცა ისეთი დაინახა, რასაც სხვანი ვერა ხედავდნენ. მაინც რა არის ეს საერთო? გარდა ზოგადსაკაცობრიო იდეებისა და პრობლემებისა, უდიდესი ჰუმანიზმისა და ოპტიმიზმისა, ვაჟას რუსთაველთან ანათესავებს პოეტური ხატვის უმაღლესი ხელოვნება.

არც რუსთაველი და არც ვაჟა არ იძლევიან პერსონაჟთა პორტრეტულ აღწერას. არ გაცნობენ, რანაირი თვალები, რანაირი ცხვირი, რანაირი ულვაშები და ა. შ. აქვთ მათ გმირებს, ისინი ასე არ აქუცმაცებენ თავიანთ იდეალურ გმირებს: ავთანდილს, ტარიელს, ნესტანს, თინათინს, ალუდას, ჯოყოლას, აღაზას, ლელას და სხვა. ამ და სხვა მათი მსგავსი გმირების დახასიათებას ისინი რაიმე ერთი მოქნეული ფრაზით, „გენიოსური კალმის მოსმით", როგორც ბრძანებდა დიდი ილია, აღწევდნენ გაუგონარ შთამბეჭდაობას. მაგალითად, როცა შოთა რუსთაველი იტყვის „ავთანდილ იყო... საროსა მჯობი, ნაზარდი მსგავსი მზისა და მთვარისაო", – უცებ თვალწინ წარმოგვიდგება კვიპაროსზე უფრო ლამაზად აშოლტილი ულამაზესი ვაჟკაცი. აქ უკვე ზედმეტია რაიმე დეტალური აღწერა. ერთი და ორი სიტყვით მთლიანობაშია მოცემული სრული სურათი.

ზუსტად ასევე ხატავს ვაჟა თავს პერსონაჟებს. ერთ-ერთი თავისი საყვარელი პერსონაჟის – ალუდა ქეთელაურის მიმართ იტყვის „კაცია დავლათიანიო" და თვალწინ წარმოგვიდგება ღმერთთან წილნაყარი, დინჯი ვაჟკაცი, წარმოგვიდგება თავსი ხასიათითაც და გარეგნობითაც.

ამ გარეგნულ დაუკონკრეტებულობასთან ერთად ვაჟას გმირები შინაგანადაც არ არიან კონკრეტულნი. მიუხედავად დიდი

სოციალური ტკივილებისა, მისი გმირები არ არიან სოციალურნი. „ისინი არ არიან ჩვენთვის ნაცნობი კონკრეტული ეპოქისა და საზოგადოებრივი ფენის შეხედულებათა მატარებელნი, ეს კი მათ თითქოს დროისა და სივრცის გარეშე აყენებთ და მონუმენტურ ზოგადადამიანურ ხასიათებს ანიჭებთ".

(34, 90).

ტარიელი ამბობს:

„მზესა მე ვჯობდი შვენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა,
იტყოდეს ჩემნი მნახავნი: „მსგავსია ედემს ზრდილისა".

ამ შედარებათა შედეგად წარმოგვესახება რაღაცა არაამქვეყნიური სილამაზის, ჯადოსნური ხელით შექმნილი საოცრება. და ასეა ყველა იდეალური პერსონაჟი. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი – მზესთან და მთვარესთან არიან შედარებულნი. ერთნაირ ეპითეტებს, ერთნაირ საღებავებს ხმარობს სამივეს მიმართ, მაგრამ საოცარი ის არის, რომ სამივე განსხვავებულ პიროვნებად წარმოგვიდგება. რუსთაველი ამას რაღაცნაირი უაღრესად დახვეწილი ოსტატობის, დიდი ტალანტის წყალობით აღწევს. ასევე არიან ვაჟას პერსონაჟებიც. ვაჟა ზვიადაურის შესახებ იტყვის: „ფშავ-ხევსურეთის ფარხმალი, ცით ჩამოსული სვეტადაო" და წარმოგვიდგება ასევე ღვთაებრივი წარმოშობის იდეალური ვაჟკაცი. ასე ერთი შტრიხით თავის გმირს ისეთი საოცარი სიცხადით, ისე შთამბეჭდავი ფერებით წარმოგვიდგენს ვაჟა, რომ მათი მეხსიერებიდან ამოშლა შეუძლებელია: „ბერი ლუხუმი", „ხოშარეული ხარია", ლელა „ქალი ჰგავს სამოთხის ყვავილს" და სხვა.

მწერლური ხელოვნების ეს გენიალური, უმაღლესი მეთოდი ახსნილი და გაანალიზებული აქვს XVIII საუკუნის უდიდეს გერმანელ მოაზროვნესა და განმანათლებელს ლესინგს. ამიტომაც იყო, რომ ვაჟა მის „ლაოკოონს" ხელიდან არ უშვებდა თურმე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საგზალთან ერთად დაატარებდა ნადირობის დროსაც კი. ლესინგთან ხედავდა თავისი ნააზრევის დადასტურებას და ამიტომ მოსწონდა ასე ძლიერ. ლესინგი იქ წერს: „ის პოეტი, ვინც ცდილობს სილამაზის შემადგენელი ელემენტები თანმიმდევრულად აჩვენოს, მან, რა თქმა უნდა,

იმედი არ უნდა იქონიოს, რომ ამით შეძლებს სხეულის მთლიანი სილამაზის ჩვენებას. მან უნდა იცოდეს, რომ ეს ნაწილები, გამოხატულნი დროით თანმიმდევრობით, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოახდენენ იმ შთაბეჭდილებას, როგორსაც ახდენენ ერთდროულობაში, ერთიანობაში; რომ მათი ჩამოთვლის შემდეგ ჩვენი შთაბეჭდილება ვერ შესძლებს სილამაზის ელემენტების თავმოყრას მწყობრი სახით; რომ მიზნად დასახვა იმისა, თუ როგორ ეფექტს მოახდენს ასეთი და ასეთი პირი, ცხვირი, ასეთი და ასეთი თვალები – ერთად შეერთებულნი აღემატებიან ადამიანის წარმოდგენას და რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მსგავსი ნაწილები შერწყმულია ბუნებაში ან ხელოვნების ნაწარმოებში. ამ შემთხვევაში ჰომეროსი სანიმუშოთა შორის სანიმუშოა. მაგალითად, ის ამბობს: ნირეი იყო უმშვენიერესი, აქილევსი უფრო მეტად მშვენიერი, ხოლო ელენე – ღვთაებრივად ლამაზი. მაგრამ ის არსად არ აღწერს სილამაზეს წვრილმანებში. ეს მაშინ, როცა მთელი პოემა ელენეს სიყვარულზეა აგებული. ამ შემთხვევაში რას გაიფურჩქნებოდა ახალი თაობის პოეტი!" (27, 233).

ე. ი. ვაჟაც ისევე სურათებით აზროვნებდა, სურათებს ხედავდა თავისი შემოქმედებითი წვის ჟამს და იმ სურათებს აღწერდა. ამ თეორიულ ნააზრევს გვიდასტურებს თვით ვაჟას ნათქვამი, რომელიც ივ. გომელაურის მოგონებებშია შემონახული. ის წერს: „მე პატარაობიდანვე მაინტერესებდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორა ხდება პოეტის შემოქმედება: ისე, როგორც სიტყვიერების თეორიაში სწერია, თუ სხვანაირად.

ჩემ კითხვაზე ვაჟა ჯერ ცოტა ჩაფიქრდა, შუბლი შეიჭმუხნა და შემდეგ დაბეჯითებით მითხრა:

სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე კი როცა ვწერ, სურათები მომდის თავში და მე მხოლოდ ვცდილობ, რომ ეს სურათები კარგად გამოვიყენო... როცა დავწერ და წავიკითხავ, მერე მეც მივხვდები, რა აზრიც არის გატარებული.

ეს ახსნა-განმარტება ძალიან მომეწონა, ჭკვაში დამიჯდა, მითუმეტეს, რომ ემთხვეოდა რუსეთის დიდი კრიტიკოსის ბ. ბელინსკის აზრს: Поэт мыслит образами" (52, 100).

პოეტური ხედვისა და მეთოდების თურმე რა საოცარი მსგავსებაა გენიოსებს შორის, როგორა ჰგვანან ისინი ერთმანეთს.

მათ ხომ ერთურთისაგან დამოუკიდებლად, ქვეშეცნეულად გაკეთეს აბსოლუტურად ერთი და იგივე. მათ აერთიანებთ უმაღლესი პოეტური ხედვა და ალღო.

აი, ეს არის ის, რაც ლესინგმა, ევროპის აზროვნებაში რევოლუციის მომხდენმა, შენიშნა ჰომეროსის „ილიადასა" და ‘„ოდისეაში". ეს არის ის, რასაც ილია ჭავჭავაძე, რევოლუციის მომხდენი ქართულ აზროვნებაში, ხედავდა რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. რუსთაველთან რომ შეენიშნა ილიას, ეს არ იყო გასაკვირი. გასაკვირი ის იყო, რომ ვაჟას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შენიშნა მან ის სიღრმისეული და ქვეყანას განუცხადა, მაგრამ ვინ იყო მისი ნააზრევის გამგები. მოაზროვნეთა ნიღაბაფარებულნი ჩუმ-ჩუმად ქირქილებდნენ ვაჟას შემოქმედებაზეც და ილიას ნათქვამზეც.

ლესინგის ნააზრევი მარტო პერსონაჟების ხატვის მეთოდს არ ემთხვევა ვაჟასთან. დამთხვევაა მოვლენათა ხატვაშიც.

ლესინგი ერთმანეთს უდარებს სკულპტურას, მხატვრობას და პოეზიას და დაასკვნის, რომ, მართალია, სამივე ერთ საწყისზეა აღმოცენებული, სამივე ერთ მიზანს ემსახურება, მაგრამ მათი გაიგივება არ შეიძლება. მხატვარს სურათზე დეტალურად გადააქვს დასახატი ობიექტი, ეს მისთვის აუცილებელია, მაგრამ პოეზიისათვის ეს აუცილებელი არ არის, პირიქით, პოეზიაში დაწვრილებითი აღწერა უსუსურობაა, უნიჭობაა. ნიჭიერი პოეტი რაიმე მთავარ დეტალზე ხაზგასმით წარმოგვიდგენს სრულ ხატს რაიმე მოვლენისა, მას მთელი სიღრმით განგვაცდევინებს.

ლესინგის ნააზრევს აქაც საოცრად ანხორციელებს ვაჟას პოეტური ალღო. მაგალითად, თემისაგან მოკვეთილი მარტოდ დარჩენილი აღაზა როდესაც ჯოყოლას დამარხავს კლდის თავზე და „ლაშდაღრენილ, სასტიკ" მთის მდინარეში გადაეშვება, ვაჟა სულ ორიოდ სიტყვით ამბობს: „წაიღო წყალმა აღაზა, ლამსა და ქვიშას შაჰრია"... აქ რიგითი პოეტი დიდ აღწერას მოგვცემდა იმისას, თუ როგორ აქცია მდინარემ ნაფლეთებად, ნაქუც-ნაქუც აღაზა. ვაჟა კი ერთი სიტყვით გვიჩვენებს, რომ უმცირეს ნაწილებად ქცეული აღაზა ლამსა და ქვიშაში აირია.

გარდა პოეტური მეთოდისა, ლესინგის „ლაოკოონში" ვაჟა ბევრ ისეთ ნააზრევს პოულობდა, რაც მის სულსა და გულს ეხ-

მიანებოდა. აი, თუნდაც ეს ადგილი: „კანონმდებლობას არ უნდა ჰქონდეს არავითარი უფლება მეცნიერებაზე მბრძანებლობისა, რადგან მისი საბოლოო მიზანი ჭაშმარიტებაა. ჭეშმარიტება – ადამიანის სულის მოთხოვნილებაა და ოდნავი შეზღუდვაც კი ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, ტირანიაა".

მეფის რუსეთში მკაცრი ცენზურა იყო დაწესებული, განსაკუთრებით გაფაციცებულნი იყვნენ დამონებულ პერიფერიებში, სადაც თავისუფალი აზრის გაფაჩუნებაზეც კი ელეთმელეთი მოსდიოდათ. ასეთთა მიმართ დიდ სიმკაცრეს იჩენდნენ. ვაჟამაც ბევრჯერ იწვნია ეს სიმწარე. ამიტომ იქ, ჩარგალშიც, შემოქმედებითი პროცესის დროს, ცენზურის შავი აჩრდილი ყოველთვის თავს დასტრიალებდა, ბოჭავდა, ბორკავდა, მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ლაჩრულად არ ემონებოდა მბრძანებლობას, მაინც იძულებული იყო ანგარიში გაეწია მისთვის, იძულებული იყო მოეთოკა, მოეზომა თავისი სათქმელი, ზოგი რამ კი საერთოდ არ ეთქვა. შემდეგში, ერთ საპოლემიკო წერილში წერდა: „ბევრს ჩემს ნაწერებს ცენზურის თვალის ასახვევად განგებ ვაწერდი „ძველისძველი ამბავიო", „ზღაპარიო" „თქმულებანიო", იმ მოსაზრებით, რომ დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არა ჰქონიყო".

ცენზურამ იმთავითვე თვალი დაადგა ვაჟას ნაწერებს. მისი ნამდვილი პოეზიის საწყისი ლექსი „ამირანი" 1885 წელს უნდა დაბეჭდილიყო ჟურნალ „თეატრში", მაგრამ ცენზურამ აკრძალა და რამდენიმე თვით გადაიდო მისი დაბეჭდვა.

მეორე წელს „ივერიაში" იბეჭდებოდა ლექსი „სიმღერა" – „ერთხელც იქნება მოვკვდები, მივებარები მიწასა"... მაგრამ ცენზორმა ლუკა ისარლოვმა, იმის შიშით, ეგზარხოსი სამსახურიდან გამაგდებსო, სიტყვა „ერთხელც" შეცვალა „როცა"-თი. ასეთი გადაკეთების, შეცვლის შემდეგ დაიბეჭდა „ხმელი წიფელი", „მთის წყარო", „სოფლის სურათები" და სხვა.

იმედას მხრიდან „ნათესავები”

ვაჟა თბილისში ჩვეულებრივ ორჯერ ჩამოდიოდა – გაზაფხულზე სააღდგომოდ და მერე საშობაო-საახალწლოდ. არა იმიტომ, რომ თავისი თბილიში გამოჩენა საზეიმო დღეებისათვის დაეკავშირებინა. ალბათ უფრო იმიტომ, რომ აღდგომის შემდეგ საგლეხო საქმეები იწყებოდა – ხვნა-თესვა, მკა, თიბვა, ჭირნახულის დაბინავება, თივის მოზიდვა შეშა და – საშობაოდღა შესძლებდა ამოსუნთქვას. ჩამოვიდოდა თბილისში და ჩამოუვლიდა რედაქციებს, მეგობრებს. მეგობრები კი, ისეთნი, ვისთანაც გულს გადაშლიდა, ღამის გასათევად დარჩებოდა, ჩანს, ცოტა ჰყავდა და მკაცრად შერჩეული. სანამ უმცროსი ძმა სანდრო თბილისელი გახდებოდა, მანამდე ასეთ მეგობრებთან დგებოდა ბინად. შიო მღვიმელის გარდა, რომელსაც სიყვარულით „პატარა დიდკაცს” ეძახდა (ტანად პატარაა მაგრამ მწერალი დიდიაო), ერთ-ერთი ასეთი გულითადი მეგობარი ჰყოლია იოსებ იმედაშვილი, თვალსაჩინო მოღვაწე, დიდი მამულიშვილი, შეუპოვარი ვაჟკაცი, ილია ჭავჭავაძის საქმის ერთგული. სულიერმა ერთიანობამ, ურთიერთ სიმპათიამ განსაზღვრა, როგორც ჩანს, მათი მეგობრობა. თუ რამ განაპირობა ვაჟას მეგობრობა იოსებ იმედაშვილთან და მის ოჯახთან, კარგად ჩანს მისი შვილის, ცნობილი მკვლევრის პროფ. გაიოზ იმედაშვილის, წიგნიდან „იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზა”. მოვიყვან ვრცელ ამონაწერს, რადგან ის ტიპურია და კარგად დაგვანახებს არა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევას, არამედ იმას, თუ ვაჟა რა პრინციპით ირჩევდა მეგობრებს, ვისი ნახვა უხაროდა თბილისში ჩამოსულს და ვისი – არა.

ჯერ თვითონ იოსებ იმედაშვილი ვინ იყო:

„როგორც ქალაქში ჩამოსული გლეხი, იოსებ იმედაშვილი, მოქალაქეობრივად მუშათა წრეებში ჩამოყალიბდა და პრესაში თუ წიგნებზე მუშაობამ ინტელიგენტად რომ აქცია, შინაგანი სწრაფებით მაინც გლეხთა წარმომადგენლად თვლიდა თავს. ალბათ ამიტომაც მისთვის მთავარი იყო გლეხობისა და მუშების ეროვნული გათვითცნობიერება, მათში ცოდნა-განათლების შეტანა. მისი გულისყური მარად უბრალო ხალხის ჭირ-ვარამს დასტრიალებდა და არასოდეს არ წყვეტდა პრაქტიკულ ურთიერთობას ხალხთან, თავის მოღვაწეობის დასასრულამდე ყოველდღიური ცხოვრების ინტერესებით გლეხებთან და მუშებთან იყო დაკავშირებული.

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ იყო არცერთი რაიმე კულტურული ღონისძიება თუ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა, რომ იოსებ იმედაშვილს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და კეთილი კვალი არ დაეტოვებინოს. თუკი საქმე საზოგადო ინტერესს ეხებოდა, მისთვის სიძნელე არ არსებობდა, არაფერს უშინდებოდა და დასახულ მიზანს მაინც აღწევდა, ყოველთვის გამარჯვების იმედით იყო სავსე, სხვებსაც აიმედებდა და რაც არ უნდა ეკეთებინა, არასოდეს არ ცდილობდა პირად სარგებლობასა და გამოჩენა-გამორჩენას. ეს იყო მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ურყევი პირობა, რასაც სხვებისაგანაც მოითხოვდა.

თანამედროვენი გაოცებულნი იყვნენ მისი დაუცხრომელი ენერგიით, შრომის უნარითა და უანგარო მოღვაწეობით მშობელი ქვეყნის ,საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. მის თავდადებულ ღვაწლს ხალხის სამსახურში განსაკუთრებული მადლიერებით იგონებდნენ იმდროის საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ერთი პიროვნებისათვის მეტისმეტი იყო ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც შეძლო ადამიანმა, რომელსაც არავითარი თანამდებობა და ქონება არა ჰქონდა, ჯიუტი მოწოდებისა და შრომის უნარის მეტი. ხალხისა და ეროვნული კულტურის უსაზღვრო სიყვარული აძლევდა მას ძალას, რომ მთელი თავისი პირადი ცხოვრება, აწმყო და მომავალი მხოლოდ ხალხის კეთილდღეობის ზრუნვასთან დაეკავშირებინა.

ეს იყო მიტინგებისა და მანიფესტაციების მეთაურობა, პოლიტიკური აგიტაცია, რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რიგებში დგომა, არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვა-გავრცელება, ხალხის დარაზმვა მომავალი ბრძოლისათვის, საკუთარი ჟურნალისა და გაზეთის გამოცემა, რევოლუციური პოეზია, ლიტერატურული კრიტიკა, დრამატურგია, თეატრის, ოპერის და კინოს აღორძინებისათვის ხელის შეწყობა, პროვინციის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაზე წერა, სა-

ქართველოს დაბა-სოფლებში სახალხო ლექციებით გამოსვლა, აჭარლების, ინგილოების, ფერეიდანელი ქართველების ბედ-იღბალზე ზრუნვა". (22, 4).

1905 წლის 6 დეკემბერს ს. საგარეჯოს მამასახლისთა კრების დადგენილებით ივრის ხეობის რევოლუციური თვითმმართველობის წარსამართავად „ყველა მამასახლისთა მოქმედების გასაერთიანებლად და გასაწესრიგიანებლად, მთელი ივრის ხეობის მამასახლისთა ხელმძღვანელად არჩეულ იქნა მამასახლისი ი. იმედაშვილი, რომელსაც მამასახლისთა მამასახლისად რაცხდნენ (22, 65).

იმავე ხანებში აჯანყებულ გურიაში რუსის მთავრობის ბრძანებით გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიცია გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. გაზეთებში გაჩნდა ცნობები ყაზახთა მხეცურ მოქმედებასა, გურულების ხოცვა-ჟლეტვასა და მათი სოფლების გადაწვა-გადაბუგვაზე. ამან აღაშფოთა მთელი ქართველი საზოგადოება.

იოსებ იმედაშვილმა მოიწვია ივრის მამასახლისთა კრება სოფ. ხაშმში, სადაურიც თვითონ იყო და იქვე გადაწყვიტეს, რომ თბილისს წასულიყვნენ მეორე დღესვე... რადგან გურიის მდგომარეობა დაყოვნებას არ ითმენდა. ნოემბრის დასაწყისს ივრის ხეობის გლეხთა მრავალრიცხოვანი დეპუტაცია იოსებ იმედაშვილის მეთაურობით ცხენებზე ამხედრბული თბილისში ჩამოვიდა, მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს წარუდგა"...

„კახელ გლეხთა ამ ღირსახსოვარ შემოსვლას თბილისში შემთხვევით შესწრებია მაშინ ჯერ კიდევ მოწაფე სანდრო შანშიაშვილი, რომელიც შემდეგ იგონებდა: „მაშინ მოწაფე ვიყავ... უფროსი ამხანაგები ლაპარაკობდნენ – ლევ ტოლსტოი გურულებს გამოესარჩლა და ქვეყანა შესძრა მათ დასახმარებლადო... ერთ დღეს ყოფილ ალექსანდროვის ბაღთან, სადაც ეხლა ძნელაძის ძეგლი დგას, გაველ და შინ მივდიოდი, ვგონებ, ნაშუადღევი უნდა ყოფილიყო... დავინახე ჩემ პირდაპირ ცხენოსნები მოემართებოდნენ, ყველანი ჩოხებში იყვნენ გამოწყობილნი, მათ წინ მოუძღოდათ თეთრ ცხენზე მჯდომი მხედარი, მკერდზე ჩამოკიდებული ქონდა მამასახლისის ყვითელი ჯაჭვი. შეატყობდით, რომ ის იყო ამ ცხენოსანთა მეთაური. მათ მძიმე-მძიმედ ამოიარეს ეხლანდელი ჯორჯიაშვილის ქუჩით, გამოუხვიეს პროსპექ-

ტით და გაემართნენ მეფისნაცვლის სასახლისაკენ, რომელშიც ამჟამად მოსწავლეთა სასახლეა. ასეთი რაზმის გამოჩენაზე პოლიცია დაფაცურდა. მე ფეხდაფეხ მივდევდი. არც ცხენოსნები ჩქარობდნენ... ცნობისმოყვარე ხალხი აედევნა უკან. ერთი პოლიციელი წინ გადაუდგა, ჰსურდა შეეჩერებინა. თეთრ ცხენოსანმა რუსულად უთხრა – მამასახლისი ვარ, ჩამომეცალეო და გასწიეს სასახლისაკენ... მთავარ შესასვლელს რომ მიადგნენ, ახლა იქ შეიქმნა პოლიციელებისა და დარაჯების ფაცი-ფუცი, მაგრამ ამ ცხენოსნებთან ვერაფერს გახდნენ... ცხენოსნების მეთაური ერთ ოფიცერს, რომელიც სასახლიდან გამოვიდა, რუსულად ეუბნებოდა – ჩვენ გლეხების დელეგაცია ვართ და მეფის ნაცვალი უნდა ვნახოთო... მცირე ხანში ვიღაცა უფროსი გამოვიდა აივანზე, ცხენოსნებმა ქუდები მოიხადეს, ხოლო თეთრცხენოსანმა არ მოიხადა ქუდი, ცხენი წინ წააყენა და თავისი სათქმელი უთხრა, რომლის მთავარი შინაარსი ასეთი იყო: აღშფოთებულმა კახეთის ხალხმა დელეგაცია გამოგზავნა, რომელიც მოითხოვს ბრძანება გასცეთ, რათა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ გურიაში ხალხის ხოცვა-დარბევა და გამოყვანილ იქნას გურიიდან დამსჯელი რაზმები, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გურულების დასაცავად იარაღი აღვმართოთ... თეთრ ცხენზე მჯდომი ეს მხედარი იოსებ იმედაშვილი იყო, შემდეგ გავიგე, რომ იგი დაეპატიმრებინათ"... (22, 69).

მხედრებს ზღვა ხალხი შემოუერთდა და თავისუფლების მოედანზე მიტინგი გაიმართა. მეფის მთავრობა დათმობაზე წავიდა და გურიიდან ჯარები გამოიყვანეს.

ი. იმედაშვილი 1905 წელს აირჩიეს პირველ სახელმწიფო სათათბიროს ჯერ სამაზრო, შემდეგ საგუბერნიო ამომრჩევლად, შემდეგ დაასახელეს დეპუტატად. ის თავის გამოსვლებში, როგორც ერის კაცი, ითხოვდა საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიას, მოითხოვდა ჩვენი ერის შელახულ უფლებათა აღდგენას. ამის გამო სოციალ-დემოკრატებმა გარიცხეს თავის რიგებიდან „როგორც გამყიდველი იუდა და ამხანაგების საზიზღარი მოღალატე". დაიწყეს ცილისმწამებლური აგიტაცია მის წინააღმდეგ და დაუნიშნეს ტერორი. „პირველად სოფელში (ხაშმში – გ. ხ.) ყოფნისას შუაღამით მის ბინას დაეცნენ, ტყვია დაუშინეს და ცოლშვილიანად უნდა ამოეხოცათ, მაგრამ ხალხი ჩქარა მიეშ-

ველა და იმედაშვილი გადაარჩინეს. მეორედ, 1907 წლის 5 დეკემბერს, კახეთის გზატკეცილზე სოფლიდან მომავალს, მთელი ბანდა დაეცა მოსაკლავად და დიდი სროლა აუტეხეს. ი. იმედაშვილმა ეტლში ჩაიჩოქა და ნაბადი მაღლა ასწია თურმე. ისე რომ ტერორისტების ტყვიები ცარიელ ნაბადში გადიოდა. ორგან მაინც დაჭრილა, მხარში და ცხვირში, მაგრამ რევოლვერმომარჯვებული სროლითვე დასდევნებია გაქცეულებს.

თვითონაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაუღალავად მებრძოლ ვაჟას, რა თქმა უნდა, უთუოდ დიდ სიამეს გვრიდა ასეთ პიროვნებასთან მეგობრობა და ეს მეგობრობა ასევე დიდად სასიამოვნო იყო იოსებ იმედაშვილისათვის.

ვაჟა-ფშაველას გაცნობას იოსებ იმედაშვილი ასე იგონებს: „ვაჟა-ფშაველა 1895 წელს გავიცანი, როდესაც აღა-მაჰმადხანის მიერ თბილისის აოხრების 100 წლის თავის პარაკლისზე აბჯარ-ჩაჩქანოსანი თუშ-ფშავ-ხევსურნი ჩამოიყვანა. შემდეგ უფრო ახლოს შიო მღვიმელმა გამაცნო. გაცნობისთანავე ვაჟას ჩემი დიდი ნატვრა გავუზიარე – ნება მომეცი პოემა „ბახტრიონი" ცალკე წიგნად გამოვცე–მეთქი. ჩემი საქმიანობა და გვარი რომ შეიტყო, სიამოვნებით შემომღიმა და მითხრა: „ჩემი წინაპარი იმედა იყო, იქნებ ჩვენ ნათესავები ვართო"...

„ასეთ უეცარ შეკითხვაში ცხადია ვაჟა-ფშაველამ მაშინ იოსებ იმედაშვილისადმი ერთგვარი სიმპათია გამოხატა, მისი გაცნობა-დამეგობრებისადმი მზადყოფნა, მაგრამ მოულოდნელობით ერთგვარად დაბნეული მამაჩემი სერიოზულად ჩაჰკითხვია „იმედას" ასეთი საერთო ძირის შესაძლებლობაზე, რაზეც შენიშნავს: „იხუმრა თუ მართლა თქვა, არ ვიცი, მაგრამ იმ დღეს მეგობრულად ერთად ვისადილეთ... ვაჟას ჰონორარის ანგარიშში ფულის ნაწილი მივეცი, თან ას ცალ წიგნს შევპირდი. ამიერიდან მეგობრები შევიქენით და როცა კი ჩამოვიდოდა, ჩემთან იყო ხოლმე მთაწმინდაზე".

იოსებ იმედაშვილმა „ბახტრიონი" ანტონ გოგიაშვილს დაასურათებინა. პოემის გმირთა ჩაცმულობა, იარაღი და სხვა ვაჟასთან შეათანხმებინა. წიწოლას ხეზე ჩამოხრჩობის სცენა რომ წაუკითხავს „მუხაზე ჩამოკიდული, კაცი სჩანს სამკლავიანი," – გოგიაშვილს წამოუძახნია: „დახე, ფშავლებში სამ მკლავიანი ხალხიცა ყოფილაო". ვაჟას გაუღიმია და დინჯად უთქვამს:

ვაჟას ჯალაბი

„სამ მკლავიანი კი არა, სამკლავიანი, მკლავზე წამოცმული საომარი სამკლავით, რკინის საფარითაო". „ბახტრიონისათვის" სპეციალური წერილი დააწერინა გ. ყიფშიძეს. იმავე წელს ამ გამოცემაზე თბილისის რუსულმა გაზეთმა „ნოვოე ობოზრენიემ" გულთბილი ცნობა მოათავსა.

„ერთხელაც ვაჟა შემეკითხა: – ჩემმა „ბახტრიონმა" ხომ არ გაზარალაო?

– ვაჟას სახელი მაზარალებს-მეთქი?

– ჰოდა, – მომიგო ნასიამოვნებმა, – უნდა გადავეშვათ ბახტრიონ-გალავანზედა... ახლა მომისმინე, – მითხრა და გადაშალა „ჰაოს და ქართლოს!"

ვაჟამ თავისებური, სადა, მაგრამ მეტად მეტყველი კილოთი დაიწყო კითხვა, თითქოს ბაგეთაგან სიტყვები კი არ მოისმოდა,

ცხოველი სურათები გამოკრთოდა, ცეცხლის ნაპერწკლები სცვიოდა... ეს პოემა შევიძინე და ოცი მანეთი მივეცი"... მაგრამ ამ პოემის გამოცემა ცენზორმა აკრძალა და ვაჟას ხელნაწერი ამჟამად ინახება საქართველოს ცენტრალური არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდში...

ვისაც ვაჟა-ფშაველას ეს პოემა ყურადღებით წაუკითხავს, მიხვდებოდა, თუ 1899 წელს, „ბახტრიონის" გამოცემის ორი წლის შემდეგ, ვაჟამ რა აზრითა და მნიშვნელობით უთხრა იოსებ იმედაშვილს პოემის „ჰაოს და ქართლოსის" წაკითხვის წინ: „უნდა გადავეშვათ ბახტრიონ-გალავანზედაო". აქ არაფერია დაფარული და გასიმბოლოებული, პოემის ფაბულის ნასკვი ისტორიულ ანალოგიას შეიცავს. ბახტრიონიდან თათრები რომ გავდევნეთ, ისე უნდა მოვექცეთ ქართლოსის მოღალატე სტუმრებსაო, რომელიც ომიდან ჭრილობებით დაბრუნებულ ქართლოსს თავისივე სახლში არ უშვებდა...

მათი ახლო ნაცნობობა, დაწყებული „ბახტრიონის" გამოცმის სამზადისში, ჩქარა ახლობელ-მეგობრობაში გადაიზარდა. თუ ზაქარია ჭიჭინაძეს არ მივიღებთ მხედველობაში, განსაკუთრებით სანდო, უშუალო და გულითადი მეგობრობა მამაჩემს ვაჟა-ფაშაველასთან ჰქონდა, რომელიც, როდესაც კი თბილისში ჩამოვიდოდა, მამაჩემს უზიარებდა ხოლმე თავის ახალ პოეტურ სიტყვას, თუ რაიმე პირადულ საოჯახო საჭიროებას, მით უმეტეს, რომ არა იშვიათად ღამის გასათევად ჩვენს ბინაზე რჩებოდა ხოლმე".

იოსებ იმედაშვილი იგონებს: „დაწოლისას მეტყოდა ხოლმე: – სანთელი და საწერ-კალამი დამიდეო. ასე იყო პირველ ხანებში, შემდეგ, რაკი მისი ხასიათი გავიცან, სანთელ-საწერ-კალამთან ერთად ქაღალდსაც მოვუმზადებდი ხოლმე, მაგრამ ვაჟა ხშირად ყაბალახიდან იღებდა ქაღალდს, ან როგორი ქაღალდიც შეხვდებოდა, დასწერდა. უმეტესად კი ვაჟას ლექსები, პოემები ან სხვა მასალები, უკვე მთაში დაწერილი, მზამზარეული ჩამოჰქონდა ხოლმე. ვიდრე კალამს აიღებდა ხელში ლექსის დასაწერად, ზოგჯერ ცალი თვალით ცად (ჭერს) მიბჯენილი გარინდებული იყო, თითქო ვიღაცას თვალი შეასწრო და უთვალთვალებს, ანუ ფიქრით ესაიდუმლოება, ფუჩუნებდა, ბაგეთ მძიმედ

არხევდა, ხანდახან წამომდგარი, სახლში ბოლთის ცემით, ძლივს გასაგონი ხმით ლაპარაკობდა". (46, 274).

„ვაჟას და მამაჩემის პირადი მეგობრობა ეროვნული პრობლემის ერთნაირი გაგებაც იყო, რაც მათ პრაქტიკულ ცხოვრებაშიც გამოამჟღავნეს. ეს თვით ვაჟას შემოქმედებაშიც საკმაოდ შთამბეჭდავადაა გამოხატული – ეროვნული იდეალების მხატვრულ ინტერპრეტაციაში და საერთოდაც მის თემატიკას ახასიათებს როგორც ჭაშმარიტ ჰუმანისტს.

რასაკვირველია, ვაჟა-ფშაველა, თავისი დიდი ნიჭისა და ფშაური უბრალოების გარდა, არანაკლებად დიდბუნებოვნებით იპყრობდა ყურადღებას, რაც მით უფრო იყო შესამჩნევი, რომ, როგორც მამაჩემი შენიშნავდა, იგი კერძო ცხოვრებაში სხვებს არა ჰგავდა გარეგნობით, ჩაცმა-დახურვით, მიხვრა-მოხვრით, ლექსთა კითხვით – საიდუმლოებით შთაგონებული, ქურუმის იდუმალი ლოცვა იყო... მის მიხვრა-მოხვრასა და ლაპარაკს რომ ვუკვირდებოდი, უნებლიეთ ზეზვა, ლუხუმი და სხვა მსგავსნი გმირნი წარმომიდგებოდნენ ხოლმეო... ციმბირის წყლულით ცალთვალატირებული, დინჯი, დარბაისელი, თავაზიანი... თავმდაბალი და ამავე დროს, ზვიადიც.

იმ ხანებში ვაჟას უფროსი ვაჟიშვილი ლევანი თბილისში სასწავლებლად უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ რადგან ქალაქში საკუთარი ბინა არა ჰქონდა, ერთ გასაჭირად გადაექცა მისი სადმე საიმედო ოჯახში სრულ ხარჯზე ქირით მოწყობა. ეს საქმე მალე მამაჩემს მოუწყვია – ლევანი თავისი სახლის პატრონის ივანე გოგიაშვილისათვის სრულ კმაყოფაზე მიუბარებია. ამის შემდეგ ვაჟას უფრო გაუხშირებია თბილისში ჩამოსვლა და მუდმივმა შეხვედრებმა მამაჩემთან, კიდევ უფრო დააახლოვა ისინი, ერთმანეთის ავ-კარგი გააგებინა და ძმადნაფიცებივით შეაყვარა.

ერთხელ ვაჟა მეტად აღელვებული სწვევია მამაჩემს და შეუჩივლია – ამასა და ამას ვესტუმრე და ნეტა არ წავსულიყავიო... თურმე ვახშამი რომ გაუთავებიათ, მასპინძელს ვაჟასთვის უთქვამს, ახლა ამაღამ ჩვენთან მოისვენეთ და ხვალ როგორც გენებოთ, ისე გაუდექით თქვენ გზასაო... ამ დროს მასპინძლისათვის გვერდით მდგარ ცოლს რაღაც ჩაუჩურჩუ-

ლებია აშკარად უსიამოვნო გამომეტყველებით. ეს გაუგია, თუ უგრძვნია ვაჟას და უღირსი დიასახლისისაგან გულნაწყენს, მაშინვე დაუტოვებია მათი ბინა...

იმ ღამეს მამაჩემთან ტკბილი საუბრის შემდეგ დამშვიდებულ ვაჟას კარგად ჩასძინებია და მეორე დღეს დიდად ნასიამოვნები წასულა.

ვაჟასთან შეხვედრებიდან მეტად სასიამოვნოა მისი ერთი გამოსვლა, რომელსაც მამაჩემის ბინაზე გამართულ, რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენტების შეხვედრაზე ჰქონია ადგილი. ეროვნული საკითხების გარჩევას ცხარე კამათი მოჰყოლია. რ. დოლიძე, ალ. ჯაფარიძე, არ. ორმოცაძე და სხვები ეროვნულ საკითხს ხელაღებით უარყოფდნენ, სამშობლოს ხსენებას და, კერძოდ, საქართველოს გამოსარჩლებას სამარცხვინოდ სთვლიდნენ – ხალხთა ურთიერთობა ეროვნული კი არა, კლასობრივი თვალსაზრისით უნდა განვიხილოთო... ამ კამათში ვაჟა-ფშაველაც ჩარეულა და, მამაჩემის მოგონებით, შემდეგი უთქვამს.

– ყმაწვილებო, ძალიან კარგს უბნობთ – ხალხთა ძმობა და ერთობა რომ ჩვენი მცნება არ იყოს მამაპაპით გადმოცემული, არც ასე გავიქელებოდით და ყველა გამვლელის ჩასაყლაპი არ შევიქნებოდით... არ დაივიწყოთ, რომ ვინც თავის თავს არ ცნობს და პატივს არა სცემს, ვერც სხვას სცნობს. ვისაც სამშობლო არა აქვს, შემოდგომის მოწყვეტილი ფოთოლივით ქარს გაჰყვება და გაისრისება, ესეც იცოდეთ, რომ სამშობლო სწორედ გლეხებისაა, მუშისა, რომელიც თავის მიწაზეა მიკრული, თავის მამულში, და არა მდიდრისა, რომელიც თავისი ქონებით მსოფლიოში იქ ჰპოვებს სამშობლოს, სადაც კარგად ეცხოვრება... თქვენი მცნება კარგია, მაგრამ თავისუფალი საქართველო არ უნდა დაივიწყოთო...

ვაჟას ეს შენიშვნა ყველამ ყურადღებით მოვისმინეთ, ზოგს არ ესიამოვნა, მაგრამ ვეღარა პასუხი შეჰკადრა, მხოლოდ, ვგონებ, არ. დოლიძემ დაიწყო იმაზე მსჯელობა, რომ მცირე მდინარეები დიდს უერთდებიან, დიდი თევზნი პატარებს ჰყლაპავენ, საქართველო რას გააწყობს იმპერიალიზმის ამ გააფთრებულ ხანაშიო... ამაზე ვაჟამ ისევ შეუბრუნა: ყმაწვილო, ძალინ ჩამიფილოსოფოსეთ, მაგრამ ერის უნარიანობა მხოლოდ სიმრავლეზე არ არის დამოკიდებულიო"... (22, 29-32).

„ივერიასთან" დაუმძრახება

ვაჟა თავის ქმნილებებს სხვადასხვა რედაქციებს აწვდიდა – „დროებას", „კვალს", „თეატრს", „ჯეჯილს", „მწყემსს", მაგრამ ძირითადად „ივერიაში" მიჰქონდა, ილიასთან, და „ივერიაც" ყველაფერს უბეჭდავდა, თუ ცენზურა არ აკრძალავდა. ასე გრძელდებოდა 1894 წლამდე. სამსახურიდან მისი განთავისუფლების შემდეგ დათქმულ ჰონორარს უხდიდნენ და ვაჟაც კეთილსინდისიერად ასრულებდა დანაპირებს – სისტემატურად აწვდიდა მასალას. წელიწადში ერთ-ორჯერ ჩამოდიოდა ქალაქში, ჩამოურიგებდა რედაქციებს თავის ნაღვაწს. თუ რაიმე გროშებს გაიმეტებდნენ, იმასაც აიღებდა და ქოსების დუქანში დაპატიჟებდა ნაცნობ-მეგობრებს, რედაქციის თანამშრომლებს. მეგობრების, ადამიანების პატივისცემისათვის არაფერი ენანებოდა. თუკი ფული ექნებოდა, დანახარჯს სხვას არ გადაახდევინებდა. ამას ბევრი იგონებს, ხშირად ისეც მომხდარა, ის რაღაცა კაპიკები ქალაქშივე დაუხარჯავს და მთაში ხელცარიელი დაბრუნებულა. ამის გამო ცოლიც ბევრჯერ წასჩხუბებია – „შენ რა იმის დრო გაქვს, ეგრე ხარჯო, მშიერ ჯალაფნ შამოგტირიანო!"

– მაშ, რა ვქნა, დედაკაცო, ხალხს პატივისცემა უნდაო! – თავს იმართლებდა ვაჟა.

1893 წლის ბოლოს „ივერიამ" გაანაწყენა ვაჟა-ფშაველა: აღარც მიწოდებული ნაწარმოებები დაუბეჭდეს და აღარც კუთვნილი ჰონორარი მისცეს. ამით ვაჟა უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში ჩააყენეს.

ამ დროს „ივერიას" ე. წ. ახალი მიმართულება ჰქონდა აღებული; მისი თანამშრომლებიდან ბევრნი „მესამე დასელების" მომხრენი იყვნენ, ილიასაც უკვე დიდი ხანია უტევდნენ და მის თანამოაზრეთაც. ისინი ილიას და მის თანამებრძოლთ ძველი, დრომოჭმული აზრების მქადაგებლებად მიიჩნევდნენ. მესამე

დასელები მარქსისტულ იდეებს, პროლეტარიატის მიერ მჩაგვრელთა დამხობის საკითხებს ეპოქის საკითხებად მიჩნევდნენ, ხოლო ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას – ნაციონალისტობად. იმდენად აღარაფრად აგდებდნენ ილიას, რომ რედაქციაში შესულ ბევრ მასალას, და მათ შორის ვაჟა-ფშაველასასაც, ისე იწუნებდნენ ან იწონებდნენ, რომ მას აღარც კი ეკითხებოდნენ. ვაჟა „კვალის" რედაქციამ დაიცვა. მის საპასუხოდ გამოქვეყნებულ სტატიაში „ივერიის" თანამშრომელი „მეველე" თავს იმართლებდა:

„ვაჟა-ფშაველამ გამოგვიგზავნა რამდენიმე ფელეტონი, რომელიც დაწუნებული იყო სარედაქციო კომიტეტისაგან და ვერ დაიბეჭდა. ამას გარდა, მოიტანა ერთი ლექსი, რომელიც მე და ერთმა ქართველმა პოეტმა, რომელიც ამ დროს რედაქციაში იყო შემთხვევით, თუმცა ხუთჯერ თუ ექვსჯერ გადავიკითხეთ, მაგრამ არათუ პოეზია ამ ლექსისა ვერ შევიგნეთ, არამედ ვერც იმას მივხვდით, რისი თქმა უნდოდა ავტორს. ამიტომ, არც ეს ლექსი დავბეჭდეთ, რასაკვირველია, ამის შემდეგ ვაჟა-ფშაველა რედაქციაში აღარ გვინახავს"...

ვაჟამ წყენაც ადვილად იცოდა და „ივერიას", მართლაც ახლოს აღარ გაჰკარებია. ეს ზურგის შექცევა ივერიელებმაც იწყინეს და ვაჟას ძველი შარი გაუხსენეს. საქმე შემდეგში იყო: პეტერბურგში ყოფნის დროს, როგორც უკვე ვთქვით, ვაჟამ „სტუდენტთა კასისაგან" სესხად 50 მანეთი აიღო. 1892 წელს მათ ყველა მევალისათვის დაუგზავნიათ წერილები და ვალის გადახდა შეუხსენებიათ, მათ შორის ვაჟასთვისაც: ვაჟა-ფშაველამ ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

თქვენზედ ირიცხება პეტერბურგის ქართველი სტუდენტების ხუთი თუმანი. უმორჩილესად გთხოვთ მოგვაწვდინოთ ნაწილ-ნაწილად მაინც, თუ ერთად გამოგზავნა ვერ შეიძლოთ. შვიდ ყმაწვილს არავითარი ცხოვრების სახსარი არ მოგვეძევება".

ვაჟამ ეს წერილი უკიდურესი გაჭირვების ჟამს მიიღო. ახალი ნაავადმყოფარი იყო, ოჯახიც ახალი გაყრილი. ერთი ძროხა დარჩა ოჯახის მარჩენლად. რასაც ცოტაოდენ ჰონორარს იღებდა, მეზობლებს აძლევდა იმასაც, იმით აკეთებინებდა საქმეს,

რადგან თვითონ არ შეეძლო. ნავთისა და მარილისთვის ძლივს რაღაც რჩებოდა და ამ დროს... ორმოცდაათი მანეთი გამოგვიგზავნეო. ქვეყანამ იცოდა რა დღეში იყო ვაჟა, იმათაც კარგად იცოდნენ, მაგრამ მაინც მოსთხოვეს ათი წლის წინანდელი ვალი. ახლა ისინი მიემატნენ ვაჟასთვის ყელში წამჭირებლებს. ამით გაბრაზებულმა ვაჟამ საპასუხოდ ეს მისწერა:

„ბატონებო!

ფრიად ვწუხვარ, თქვენს თხოვნას რომ ვერ ვასრულებ უქონლობისა გამო, რასაკვირველია, და თუნდაც მქონდეს, მაინც არაფერს არ გამოგიგზავნიდით. რისთვისაო? იკითხავთ. იმისათვის, რომ ეს ფული ვალად არ ამიღია სტუდენტების წრისაგან; თუ ვალის თხოვნაა და ვალად ჩასაგდებია ხუთი თუმანი, ამ ვალს ეხლანდელები კი არ უნდა თხოულობდეთ, ისევ იმათ უნდა ითხოვონ, ვინც ეს ფულები გაიღო და არა თქვენ, რომელთაც არავითარი ნაწილი არა გაქვთ იმ 50 მანეთში. ეს ერთი, მეორე: ვთქვათ ვიშოვე ხუთი თუმანი და გამოვგზავნე, რომელი ერთი მშიერი უნდა გაგაძღოსთ იმ ხუთმა თუმანმა? შვიდს კაცსა გვშიანო, შემომტირით, – არავითარი საშუალება ცხოვრებისა არა გვაქვსო. მერე რას აკეთებთ მანდ ეგ შვიდი კაცი, მშივრებმა რა უნდა ისწავლოთ? შიმშილ-წყურვილით მიღებული სწავლისა მე არაფერი მწამს, რადგან ასეთი სწავლა-დიპლომით შეიარაღებული მხოლოდ კუჭის გაძღომაზე ჰფიქრობს და უთქვენოდაც მრავალნი გვყვანან კუჭის მსახურნი, მუცლის მაღმერთებელნი. ცხრა მთას იქით რომ შიმშილით არ იხოცებოდეთ და ჩემისთანა ღარიბს მომეტებულად არ აღარიბებდეთ, არა სჯობს ჩამოხვიდეთ თავის სამშობლოში და აქ დაიხოცნეთ. თუ სხვა ხელობას ვერას მიიღებენ ეგ მშიერნი, ხელები ხომ ასხიათ ტანზედ, იმუშაონ და იცხოვრონ. თუ ვაჟა-ფშაველა არა თაკილობს, ხმარობს თოხსა და ნიჩაბს, გუთანს იჭერს, მაგათ რატომ არ უნდა იკადრონ?

თქვენი კეთილისმოსურნე ვაჟა-ფშაველა".

ვაჟას ამ წერილს განაწყენებული ტონი დაჰკრავს აშკარად. შეიძლება ერთგვარად მოუზომავიც, მაგრამ ვაჟა პირდაპირი იყო და არ უცდია ღობე-ყორისათვის მიდება-მოდება, სტუდენტების დაშოშმინება, მოტყუება. უნდა სცოდნოდათ იმათაც, რა

მძიმე პირობებში ცხოვრობდა ვაჟა. თუ იცოდნენ და მაინც ითხოვდნენ, ესეც არაფრად ჩაგდება იყო ვაჟა-ფშაველასი.

ვაჟას წერილი პეტერბურგის ქართველმა სტუდენტებმა გამოუგზავნეს „მწყემსის" რედაქციას. მათ გამოაქვეყნეს ეს წერილი და თან მინაწერი დაურთეს: „ვთხოვთ „ივერიის" რედაქციას ამ წერილის გადაბეჭდვასო". „ივერიამ" გადაბეჭდა და თანაც ერთგვარად დაიცვა კიდეც ვაჟა. რუსულმა გაზეთებმა კი უკუღმართად გააზვიადეს ვაჟას წერილი. „ნრვრე რქრზპენმე" თავის კომენტარში ასკვნიდა, თითქოს ვაჟა უარყოფდა სწავლა-განათლებას და ქართველ სტუდენტებს ურჩევდა, წიგნები გადაეყარათ და თოხისა და გუთნისათვის მოეკიდათ ხელი.

ეს მაშინ. ორი წლის შემდეგ კი, ვაჟას ზურგის შექცევით განაწყენებულმა „ივერიის" რედაქციამ და, კერძოდ, მისმა თანამშრომელმა „მეველემ" (დ. მიქელაძემ), ძველი ამბავი რატომღაც გაიხსენეს, ვაჟასათვის სამაგიეროს მიზღვის სულმდაბლურ გზას მიმართეს და ვითომ სტუდენტთა ფულის გადაუხდელობის გამო ვაჟა მიწასთან გაასწორეს. „მეველის" წერილი ასე მთავრდებოდა:

„დასასრულ, ვაჟა-ფშაველა გაკვირვებული ამბობს: „თუ ვაჟა-ფშაველა არა თაკილობს, ჰხმარობს თოხსა და ნიჩაბს, გუთანს იჭერს, მაგათ რატომ არ უნდა იკადრონო?" ასე ეგონება ადმიანს, ამისი დამწერი ან ცინცინატი უნდა იყოს, ან გარიბალდი და ან მთავარსარდალი სამხრეთის შტატებისა, გენერალი მაინც, რომელნიც გუთანზე მუშაობენ. მაგრამ ამას ამბობს ვაჟა-ფშაველა, რომელსაც, უეჭველია, ცოტა არ იყოს, დავიწყებია თავისი ხარისხიცა და თავისი მდგომარეობაც და მთელს განათლებულს ქართველ ახალგაზრდობას ახლის ცხვირ-პირში კადნიერ და უაზრო სიტყვებს".

მართლაცდა, რა ბრიყვული, რა კადნიერი და თავხედური პოზიცია უკავია „მეველეს". ვაჟას ახლის პირში, შენ ნუ გავიწყდება, რომ „ხარისხითა და მდგომარეობით" არაფერს არ წარმოადგენო. „მეველე" და მისი ბანაკისანი უარესს აკადრებდნენ ილიას და რა გასაკვირია, ვაჟასთვის ეკადრებინათ. ვაჟას „შავი დააწვა ღრუბელი". მას ვერ გაეგო, რამ გააბოროტა ეს ხალხი, რას ერჩოდნენ.

„შხამიან ისრებს მესვრიან, გამიპეს გულის ფიცარი,
თუ დამეშაოს მე რამე, ძალნი მრისხავდენ ღვთისანი".

იმდენი მითქმა-მოთქმა შეიქმნა, იმდენი სალანძღავი აკადრეს ვაჟას, რომ იძულებული გახდა ჟურნალ „კვალში" პასუხი გაეცა მათთვის. ამ პასუხიდან კარგად ჩანს, თუ რა დღეში იყო ვაჟა.

„ივერიას" სწორეთ თავის სამტვრევლად გაუხდა ჩემი წერილი სტუდენტებთან 50 მან. შესახებ მიწერილი, რომელიც მე მმართებს და მოვალედაც ვრაცხ ჩემ თავს გადავიხადო. აქამდინაც უნდა მომეშორა ეს ვალი, მაგრამ საიდან და როგორ, როცა არა მაქვს და არცა მქონია არასდროს იმოდენი, რომ დღიურ ლუკმას მოჭარბებოდეს?...

... ნუთუ იმის თქმა „მხოლოდ დიპლომისათვის სწავლა არას არგებს ქვეყანას" უარყოფაა განათლებისა?! არა, ვერ ვიტყვი იმას, რომ ჩემი წერილი ლმობიერია, სასტიკი პასუხი მომივიდა, რაიც ახლა მე თვითონ მენანება; მაგრამ რა მექნა? თხოულობდნენ ფულს და დაკმაყოფილება კი არ შემეძლო, რადგანაც არა მქონდა და რატომ არა მქონდა, ეგ „ივერიის" რედაქციას ჰკითხეთ. წამლების ფულიც კი არ მომეძევებოდა, ექიმიც ვერ მოვიწვიე უქონლობის გამო... „ივერიის" რედაქციაში მივაწერინე წიგნი ჩემს ძმას თ-ს და ვათხოვნინე ფული, მაგრამ ყურადღება არ მომაქციეს...

... ვაცხადებ საჯაროდ, ვთხოვ კიდევაც „კვალის" რედაქციას, ეს ჩემი წერილი ისე შეინახოს, როგორც თამასუქი და, როცა დაიწყება ჩემი ნაწერების ცალკე წიგნად ბეჭდვა, ჩემი კუთვნილი ჰონორარიდან ხუთი თუმნის მაგივრად გაუგზავნოს შვიდი თუმანი...

... ამასთანავე, როგორ არ მერჩია ჩემის, როგორც თვითონ იწერებოდნენ, შიმშილით შეწუხებული თანამოძმეთათვის, ჩამოდით თავის სამშობლოში და, თუ სხვა ხელობას ვერ იშოვნით, გუთანს მაინც მოჰკიდეთ ხელი-მეთქი, როცა მე პირად კალმის მსახურად ცნობილი, ამ მხრივ მომდურავი ვარ კალმისა და მხოლოთ მადლობელი გუთნისა, რადგან თავსა და ცოლშვილს იმით ვარჩენ...

...არ ვიცი, რად მოუწადინებია „მეველეს" გამაშაოს საზოგა-

დოების თვალში, როდესაც, თუ საზოგადოებამ არა, ჩემმა დაახლოებულმა ნაცნობებმა კარგად იციან ჩემი ხელმოკლეობა, სიღარიბე და ისინი მაინც არ გამამტყუნებენ; იციან იმათ, რომ დღეს სიღარიბის გამო საკუთარი შვილებიც ვერ მიმიცია სასწავლებელში და სხვას რა დახმარება შემიძლია აღმოუჩინო, ძალიანაც რომ მინდოდეს და გული მტკიოდეს – ეს ერთი. მეორე: თუ სიღარიბე და ამის გამო ვალების გადაუხდელობა დანაშაულად ჩასათვლელია, ამ დანაშაულში „ივერიის" რედაქციაც მონაწილეა. რათა? მათა, რომ ჩემი ძალ-ღონე ამ გაზეთს შევალიე 7 წლის განმავლობაში და თვეში ჩემი შემოსავალი 10-15 მანეთს არ ასცილებია. თქვენ მიბრძანეთ, ამ ფულს რას გადაარჩენს ცოლ-შვილის პატრონი კაცი? ვიმეორებ, არ არის კარგი ამაზე საუბარი, ამის გამომჟღავნება, მაგრამ, როცა ძალას გატანენ, გიწვევენ, უნდა ითქვას, რას იზამ კაცი?! განა ტყუილად სდებენ „ივერიას" ბრალს, რომ იგი უმადლოდ და უმადურად მოეპყრა განსვენებულ ნინოშვილს?..

...„მეველე" უკვე ჩემი კერძო ცხოვრების, – „დაბინავებას" დაებღაუჭა, რის გამო მეც მეძლევა საბუთი გავიხსენო მისი ბინადრობა. განა „მეველე" არ იყო დაბინავებული, რომ ბინა მოიშალა, ჩაბუდდა „ივერიის" რედაქციაში ლუკმის გულისათვის და მოუშალა ბინა იმათ, ვისაც უფრო მეტი შრომა, ღვაწლი მიუძღოდა, ვინც უფრო მეტი ამაგი დასდო გაზეთს?! დღეს იგი მარტო თვითონ დანავარდობს „ივერიის" ფურცლებზე, წერს აჭია-ბაჭიას, გაიძახის ალთა-ბალთას, ედება ღობე-ყორეს და ჰგონია, ვითომ მწერალია თავის ჭკუაში...

...მერე რა დაცინვით მიხსენიებს... ნუ ეშინია „მეველეს", მისდა სასიხარულოდ არავინ ცდილობს საქართველოში გარიბალდ-ცინცინატობას. ჰაი, თუ გაუხარდებოდა, რომ ასეთი ახირებული ადამიანი გამოჩდებოდა, რათა მიეცემოდა საბუთი ერთი კარგი მეთაური გამოეცხო, აღეღო ბაგე და ეთქვა: სახრჩობელა მაგასაო! მეველეს რას არ ეამებოდა მათი „პრეტენზიები!" ნუ გეშინია, მეველევ, მე არც ერთი გახლავარ, არც მეორე, არც მესამე, არამედ ვარ უბრალო მოკვდავი და არა თქვენსავით დიდებული არსება" (16, 189).

ბევრი რამ ჩანს ამ წერილიდან და ჩანს ისიც, რომ „მეველე" და მეველესთანა მედროვენი თავხედურად პარპაშობდნენ და

თავხედურად უტევდნენ სწორედ იმათ, ვინც ეძვირფასებოდა სამშობლოს, ვინც სამშობლოზე ფიქრში ათენ-აღამებდა. ისინი თავის თავს მაღლა აყენებდნენ ვაჟაზეც და ილიაზეც. მართლაც, „აჭია-ბაჭია" სტატიებში სამჯერ მეტს იღებდნენ იმასთან შედარებით, რასაც ვაჟას აძლევდნენ, ხშირად იმის მესამედსაც არ აძლევდნენ – რომ დაგიბეჭდეთ, იმისიც მადლობა თქვიო.

ერთი წლის მანძილზე – 1895 წლის ივლისამდე ვაჟას ყოველგვარი ურთიერთობა ჰქონდა გაწყვეტილი „ივერიასთან". მის ფხიზელ თვალს არ გამოჰპარვია, რომ აქ „ძაღლის თავი" „ახალი" მიმართულების მომხრეთა დამოკიდებულებაში იყო დამარხული, იმ ახალი თაობის დამოკიდებულებაში, რომლის შესახებ 1894 წელს „კვალი" წერდა: „ისინი უარჰყოფენ ძველს ჩვენს ინტელიგენტებს – მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მავნებლად მიაჩნიათ ჩვენი საზოგადოების წარმატებისათვის... ეს მესამე დასი ჰხდება დაუძინებელ მტრად ახლანდელი ჩვენი ინტელიგენტ-მეთაურებისა"...

მალევე მიხვდა ვაჟა ყველაფერს, მალევე გაერკვა საქმის ვითარებაში და დაუყოვნებლივ აღადგინა ძველებური კეთილგანწყობილება „ივერიასთან". მან სამშობლოს, ქვეყნის ინტერესებისათვის ილიასთან დგომა უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე პირადი წყენა და ვიღაც ქვეგამხედავებთან ანგარიშსწორება, ვიდრე თავისი გაჭირვება და ჰონორარები. აღადგინა ურთიერთობა და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ძველებურადვე დიდი პატივისმცემელი იყო ილიასი. ილიასადმი მიძღვნილ ლექსში სწორედ ის უკუღმართობანი იგულისხმება:

„ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს, თავზე დაგვჩხავის ყორანი,

გაღმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი,
გაგვიბატონდა, მგოსანო, სირეგვნე შეუწონარი".

ძალად ლხინი

ვაჟა-ფშაველა მძიმე ავადმყოფობამ და ზედაც მიყრილმა მძიმე შრომამ ფიზიკურად მოტეხა, მაგრამ სულით ძველებურად უტეხი დარჩა, ბუნება არწივული შერჩა. ბეჩაურს დღეში ჩავარდნილს სიამაყე და ღირსება არასდროს დაუკარგავს. ბევრი უსამართლობა, ბევრი წყენა შეხვდა, მაგრამ „გული ვერ მოკლა მტრის ხელმა, გული გულადვე რჩებოდა". ვაჟა არ გაურბოდა ხალხთან ურთიერთობას, ხალხსა და ქვეყანაზე გული არ გაავებია, დიდსულოვნად ყველას ყველაფერს აპატიებდა. დიდი ბავშვივით იყო. იოლად ავიწყდებოდა ყოველგვარი წყენა, იოლად მიუტევებდა. მაინც უყვარდა ადამიანები. რაღა გული უნდა ჰქონოდა, ან დრო, მაგრამ ქორწილ-ნათლობებს, დღეობა-ხატობებს, ჭირსა თუ ლხინს არსად დააკლდებოდა. უყვარდა ნათესავების მოკითხვა. ვაჟას მეუღლე თამარი გვიამბობს: „თუ ვინმე ნათესავი მოუკვდებოდა, ჩაისვამდა ხურჯინში საკლავს (მამალ ბატკანს ან თოხლს), ტიკში არაყს ჩაისხამდა, გამომაცხობინებდა ქადა-ხმიადს, დამაკეთებინებდა ან თვითონ დააკეთებდა სანთლებს, შეჯდებოდა ცხენზე და წავიდოდა დაზარალებულ ნათესავთან".

მოლხენაც კარგი იცოდა. სადღეგრძელოების თქმა ლექსებით უყვარდა. თითოეულ სადღეგრძელოზე უამრავი მისადაგებული ლექსის თქმა შეეძლო, ხალხურის, სხვისი თუ საკუთარის. გრძელი სადღეგრძელოები არ უყვარდა. ღვინის დასხმის დროს კი ჩვეულებრივ შესძახებდა თავისი ლექსის „ქეიფის" სტროფს:

„დამისხი, დამალევინე, ეგ ღვინო ოხერტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო სოფლის უკუღმა ტრიალი!"

მართალია, ვაჟას ზეპირი კაფია არ ემარჯვებოდა, მაგრამ შემორჩენილია ხალხის მეხსიერებაში თითო-ოროლა ნიმუში მისი კაფიაობისა. სოფ. ღულელების მკვიდრმა ვანო ქისტაურმა გაიხსენა ერწოში ყოფნის დროს როგორ ეკაფიავა ვაჟა თორღვა ქისტაურს.

ვაჟა: თქვენთან მწადიან ბაასი,
ეხლა ძლივს შეგხვდით სწორთაო.
თორღვა: – დიდი ხარ, ვაჟა-ფშაველავ,
მხარბეჭიანი, კოხტაო,
ხელმწიფეს უნდა უმღერდე,
რო თამარ მეფეს შოთაო.
ვაჟა: –დიდთან დიდია ვაჟაი,
პატარიასთან – ცოტაო,
მოსისხლეს არას ვუმღერებ,
მეცა ვცნობ თავის სწორთაო.

მოლხენის დროს უბრალოება უყვარდა, თავმდაბლობა, თავშეკავება, გაკრიალებულ რესტორანში შესვლა ერიდებოდა, სიამეს უფრო უბრალო სუფრა ჰგვრიდა. ასეთ დროს ერთთავად ღიღინებდა. უყვარდა ფანდურზე დამღერებაც, დინჯი დაბუბუნება. ყველაზე მეტად ორი სიმღერა უყვარდა, ამ სიმღერებს ღიღინებდა ყოველთვის. ერთი იყო რუსული სიმღერა:

„Казбулат удалой, бедна хижина твоя"...

და მეორეც ქართული: „გაღმა ერთი მტრედია, ჩემი საყვარელია"... ერთიცა და მეორეც იმიტომ უყვარდა, რომ მის პირად მდგომარეობას ესადაგებოდა. პირველი – მის გაჭირვებულ ცხოვრებას, მეორე კი – უიმედო სიყვარულს. ჩარგლურას გაღმა, ვაჟას სახლის მოპირდაპირედ ცხოვრობდა მისი სიყრმისდროინდელი სატრფო, მოლოდინაანთ სალომე; მეზობლის ცოლად შერთვას კი მთის კანონი კრძალავდა. სალომეს ტრფიალს მიუძღვნა ცნობილი ლექსი: „გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ".

ბესარიონ ტუქსიშვილის ნაამბობი მიამბო ლევან ბოძაშვილმა: „ხატობებში სიარული ვაჟას ძალიან უყვარდაო. მე პირადად შუაფხოს ხატში, იახსარში ვნახე პირველად. სუფრასთან იჯდა. ხელში ვიღაცის ფანდური აიღო, ჩამოჰკრა და თან ნელ-ნელა ააყოლა:

„კიდევაც დაიზრდებიან
არწივთა ბარტყნი კლდეშია,
ისე არ დაკნელდებიან,
ჩაცვივდნენ ვინმეს ხელშია".

პირში შევყურებდი კიდევ რას იტყვისო, მაგრამ ფანდური გვერდზე გადადვა და სუფრაზე წილობას დაეწვადა".

თბილისში „ქოსების დუქანი" ჰქონდა ამოჩემებული, იქ უყვარდა ქეიფი. სხვაგან იშვიათად შევიდოდა. ეს დუქანი დღევანდელი ზაარბრიუკენის მოედანზე (ყოფილი ვორონცოვის) ხიდის ყურთან იყო. იქ ძმებს, ხელაშვილებს, ჰქონდათ ცნობილი დუქანი. ქოსები გათვითცნობიერებულნი ყოფილან და ამიტომ, როგორც სანდო ხალხთან, თავს იყრიდნენ პროგრესულად მოაზროვნენი, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი.

ვაჟა ვერ იტანდა მდიდარ ხალხთან ურთიერთობას, მითუმეტეს პურობასა და ქეიფ-დროსტარებას. მაგრამ თუ შემთხვევით აღმოჩნდებოდა მათთან ერთად სუფრასთან, უსათუოდ რაიმეს ეტყოდა გულის მოსაფხანს. განსაკუთრებით ხალხის ძარცვაგლეჯით გამდიდრებულებს ვერ ურიგდებოდა. ამიტომ იყო, რომ მდიდრებიც უფრთხოდნენ მასთან ურთიერთობას. ეს კარგად ჩანს ვეფხო აკობაშვილის მოგონებიდან:

„ვაჟა და მამაჩემი აბრამი დიდი მეგობრები იყვნენ. მამაჩემი თიანეთის მამასახლისი იყო. მამაპაპეული ქონებაც ბლომად ჰქონდა: გუთნეული, საქონელი, წისქვილები, კარგი სახლ-კარი და სახნავ-სათესი მიწები. სოფლისთვის ამოღებული ხმალი იყო. სოფელსაც უყვარდა და აფასებდა, ოც წელიწადზე მეტს მამასახლისად იყო არჩეული".

ერთხელაც სტუმრები ჰყოლია დაპატიჟებული აბრამს, ხინკლის სამზადისი ჰქონდათ. პირველი წყება ჩაუყრიათ და თავად აბრამი დასტრიალებდა თურმე თავს. ზუსტად იმ დროს, შემთხვევით ვაჟა-ფშაველაც მოსულა. გაჰხარებია აბრამს, გაჰხარებიათ სტუმრებს. მხიარული სუფრა და დროსტარება გამართულა.

„ამ დროს შემოგვესწრო პავლე გუგუდაშვილი, – განაგრძობს ვეფხო აკობაშვილი — პავლე გუგუდაშვილი მდიდარი გლეხი იყო თიანეთის მაზრაში. მას ოციათასზე მეტი ცხვარი ჰყავდა, უთვალავი ცხენის ჯოგი, ძროხა, ღორი. ერწოში ცხოვრობდა, სოფელ მაგრანეთში. ერწოშიც სახლი ჰქონდა, თიანეთშიც, თბილისშიც. თბილისში ბაკიც ჰქონდა თავისი სასადილოთი და ღამის გასათევით. ეს ბაკი იჯარით აღებული ჰქონდა სახელგანთქმულ მოჭიდავეს კულა გლდანელს.

წამოწოლილია ვაჟა, თეთრ ჩოხაში ქაიხოსრო (მიხეილ) ზანდუკელი ვინც ფოტოებს უღებდა.

ჰოდა, ეს პავლე გუგუდაშვილი ამ ქეიფის დროს მოვიდა ჩვენსა, თან მწყემსი ახლდა.

პავლეს არ ესიამოვნა ვაჟას დანახვა, რასაკვირველია, არც ვაჟას გახარებია. პავლემ მაინც თავაზიანად მოიკითხა ვაჟა, ვაჟამაც თავაზიანი პასუხი გასცა და სავსე მათარა მიაწოდა. პავლემ დალოცა, მათარა გამოცალა, მამაჩემს რაღაცა გადაულაპარაკა და წასასვლელად მოემზადა. ყველანი წამოდგნენ სუფრიდან და სტუმარი ეზოში გააცილეს. პავლე შეჯდა ცხენზე, მწყემსიც უცებ მოაჯდა გაუხედნავ ცხენს. მაგრამ ცხენი ყალყზე შედგა, შემდეგ გააფთრებული წინ გაიჭრა, წაიბორძიკა, მწყემსი ძირს გადმოვარდა. ცხენმა უზანგში ფეხგაჩრილი მწყემსი მოითრია. პავლემ თავისი ცხენით გზა გადაუღობა დამფრთხალ ცხენს და შეაჩერა. ფეხნაღრძობი მწყემსი აივანზე დასვეს. დედაჩემმა ამოვარდნილი ძვალი ისევ თავის ალაგას

ჩაუსვა და მალამოთი დაუზილა.

პავლემ მწყემსს უსაყვედურა:

– რას გადაეკიდე ამ გაუხედნავ ცხენს, ძალად ხომ არ უნდა შეაკლა თავიო.

ამაზე ვაჟამ უპასუხა:

– შენთან ძაღლურად სიცოცხლეს, სიკვდილი უჯობს ცდაშიაო.

– რატომაო?

– იმიტომ, რომ ამდენი დოვლათის პატრონი მშიერი ჰკვდები და მწყემსებსაც მშივრებსა ჰხოცავო.

– ასე რომ არ მოვქცეულიყავი, მეც შენსავით ვიქნებოდი, კატა არ გიჩხავის სახლშიო, – უპასუხა პავლემ.

ბევრი იცინეს" (24, 18).

მდიდრებსა და გაზულუქებულებს ვერ იტანდა ვაჟა, თორემ უბრალო ხალხთან ურთიერთობა სიამოვნებას გვრიდა. მათ არავის დააჭარბებდა თავს თავის პოეტობით, არც რაიმეს აკადრებდა მდიდრების მსგავსად, ხოლო თუ უნებლიედ რაიმეს აკადრებდა, ბოდიშს მოუხდიდა, დანაშაულს პატივისცემით გამოისყიდიდა. ამის საილუსტრაციოდ ისევ ვეფხო აკობაშვილის მოგონება გამოგვადგება.

„ერთხელ თურმე ვაჟა თიანეთიდან ახმეტაში მიდიოდა. ივრის გაღმა ჩვენი წისქვილი იყო. ვაჟა რომ წისქვილს მიუახლოვდა, ხედავს მეწისქვილეს ჩვენი ცხენი დაუჭერია და სცემს. ვაჟამ შორიდანვე დაუტატანა:

– რას ერჩი მაგ ცხენს, აბრამამ რომ გაიგოს, ვერ გადაურჩებიო!..

– ვერც შენ მომჭამ ფეხებსა და ვერც შენი აბრამაო! – ეთქვა მეწისქვილეს და უარესად დაეწყო ცემა ცხენისათვის.

ეს კი ვეღარ მოეთმინა ვაჟას, ცხენდაცხენ მისულიყო მეწისქვილესთან და მათრახი გადაერტყა, გაბრუნებულიყო და თავის გზას გასდგომოდა. მეწისქვილეს მიეძახნა:

– დამაცადე, თუ აბრამას შენი თავი გომურში არ ჩავაგდებინოო.

– ვერც შენ მომჭამ ფეხებს და ვერც შენი აბრამაო! – უპასუხა თურმე ვაჟამ.

ახმეტიდან რომ ამოიარა ვაჟამ, მამაჩემს შეხვედროდა ივ-

რის პირას, ბოგირზე. მამაჩემს ეთქვა:

– მე და ჩემი მეწისქვილე გიჩივით სასამართლოშიო.

– რას მიჩივითო?

– მეწისქვილე ცემას გიჩივის, მე კიდევ წისქვილის გაცდენას, სამი დღის მინდი დამაკარგვინეო.

– ვერც შენ მომჭამ ფეხებსა და ვერც შენი მეწისქვილეო, – სიცილით ეთქვა ვაჟას და თან დაეყოლებინა, – მართლაც მეტი მომივიდა. მოდი, გავიდეთ წისქვილში, შეგვარიგე, ცუდი გულით რატომ უნდა იყოს ჩემზეო.

მართლაც მისულიყვნენ მეწისქვილესთან. მეწისქვილე დიდ უარზე დამდგარიყო:

– შერიგება კი არა, შენი ხათრი რომ არაო, – მამაჩემისათვის ეთქვა, – ამას აქედან ცოცხალს არ გავუშვებდიო.

– იცი ეს ვინ არის? – ჰკითხა თურმე მამაჩემმა.

– ვინც უნდა იყოს, შენზე დიდი კაცი ხომ არ იქნება, – უპასუხა მეწისქვილემ.

– ჩემზედაც დიდია და შენზედაც, ჩვენ „ნაჩალნიკებზედაც" დიდია..

– რაში ეტყობა, რა ვიცი, ჩინები მაგას არ უჩანს და მედლები.

– ვაჟა-ფშაველა გაგიგონია?

– მერე რა რომ გამიგონია, ეგ რა შუაშია?

– რა შუაშია და ეგ არის ვაჟა-ფშაველა.

– თვითონ ესა?

– დიახ, თვითონ ესა.

განცვიფრებული მეწისქვილე თავიდან ფეხებამდე ზომავდა ვაჟას, ხან მამაჩემს შეხედავდა გამომცდელი თვალით, ხომ არ მაბრიყვებსო, ბოლოს ვაჟას მიუბრუნდა და ჰკითხა:

– გამაგებინე ვინა ხარ, მართლა ვაჟა ხარ?

– მართალს გეუბნება აბრამი, ვაჟა ვარ.

– რაზიკაშვილი?

– რაზიკაშვილი.

– პოეტი?

– პოეტი. – და ერთმანეთი გადაკოცნეს. შერიგდნენ.

ვაჟამ პურ-მარილი ამოალაგა ხურჯინიდან და თან პატარა ტიკჭორაც მოაყოლა ახმეტური ღვინით სავსე.

სუფრაზე გამოირკვა, რომ მეწისქვილე მოლექსეც ყოფილიყო, ვაჟას რამდენიმე ლექსიც იცოდა ზეპირად.

და გაიბა ქეიფი. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა, ლექსი ლექსსა, ერთს თუ ვაჟა იტყოდა, ორს მეწისქვილე ამბობდა და ვაჟა განცვიფრებული შეჰყურებდა უკვე არა ვიღაც უბრალო მეწისქვილეს, არამედ პოეტს, და სირცხვილი უფრო მეტად სწვავდა. ვაჟა წარამარა ბოდიშს უხდიდა მეწისქვილეს, ეუბნებოდა, მაპატიე, დამნაშავე ვარ შენს წინაშეო. მეწისქვილე კი ღმერთს მადლობას სწირავდა – ეს შემთხვევა რომ არა, მე შენ გაცნობას ვინ მაღირსებდაო". (1, 21).

ვაჟა ლხინის დროს აყალ-მაყალსა და არევ-დარევას ვერ იტანდა, არ უყვარდა ყოყლოჩინობა და თუ ვინმე გაბედავდა, არ მოუთმენდა, მაშინვე ჭკუაზე მოიყვანდა ან ბარაქიანი სილით, ანდა ისევ ბარაქიანი მათრახით. ერთ-ერთ ქორწილში მაყრები ვერა და ვერ დააწყნარეს, იწევდნენ ერთმანეთისაკენ, არც ხვეწნამ გაჭრა და აღარც მუდარამ. მოთმინებადაკარგული წამოხტა ვაჟა, მათრახით დაერია და იმავე წუთს წესრიგი დამყარდა.

ცნობილმა ბუკინისტმა კიმოთე მახაურმა გაიხსენა ზენამხრელი კაცის გიორგი (კიკია) ბუჩუკურის ნაამბობი: „წოვა ჭინჭარაულმა, განთქმულმა ყაჩაღმა, თავადი ზანდუკელი რომ მოკლა (ე. ი. 1908-09 წლებში), იმ ხანებში იყო – კვირა დღეს შარახეულაზე ნიკო ბოძაშვილს კალმახი დაეჭირა ნემსკვით და მეც რაღაცაზე ჩამოვიარე, შევხვდით. მითხრა, თვალივის ძირს ჩავიაროთ შანიძის დუქანში, თევზი მოვახარშვინოთ და წაუქეიფოთო.

ამ დროს ზევიდან ცხენოსანი გამოჩნდა, ვიღაცა ფაფახიანი. მე ვუთხარი ნიკოს: ხო დასდგამ ერთ ჩარექიანს, თუ ამ კაცს გზა ავაქცევინეო. კაი ბიჭი ვიყავ თავი მომწონდა.

– დავდგამო, — მითხრა.

დავდექი ბილიკზე ვიწროში და დოინჯშემოყრილმა გავიბოტიტნე. უცნობმა ცხენი ზედ მომაგდო და მკლავის სიმსხო, შავი მათრახი გადმომიჭირა. მე გზის ძირში დავეცი, იმან კი ვითოც არაფერიო, გაიარა. მე ტკივილისაგან ვიგრიხებოდი, ნიკო – სიცილისაგან. ნიკოს ვუთხარი: გავიაროთ ერთი, დუქანში იქნებ გაჩერდეს, ვინ არი, იქ ვუჩვენებ სეირსო. გავიარეთ, ვიკითხეთ

და მჭედელი იყო ერთი, იმან გვითხრა: ის ვაჟა-ფშაველა იყო, მოეშვით, თორემ უარესს მიიღებთო".

თუ პატივისცემაზე მიდგებოდა საქმე, ვერც ამაში შეედრებოდა ვინმე ვაჟას, გინდა შინ და გინდა გარეთ. ვაჟას ლამაზი პატივისცემა არ დავიწყებია მიხა ტურაშვილს: „ვაჟას ჩარგლელმა მეზობელმა და მეგობარმა ოსა ზურაბაშვილმა ცოლად შეირთო ჩვენი სოფლელი ფრუშკა წვეროშვილის და ნინო. ჩვენც, მე, ჩემი ძმა გამიხარდი და სხვები გავყევით ქალის მაყრებად.

მეორე დღეს ვაჟამ ნეფე-დედოფალი და ქალის მაყრები შინ მიგვიწვია. მაყრების გარდა სხვებიც ბევრი წამოვიდა ვაჟასთან. ვაჟამ თავიდანვე გაგვაფრთხილა: ერთი ბოთლის მეტი არაყი არა მაქვს და საწყენად არ დაგრჩეთო.

– გულს ნუ დავაკლებთ, გავყვეთო! – წამოიძახა გამიხარდიმ და გავყევით.

ვაჟას ადრევე შეეკვეთა ოჯახში ხინკალი. როცა შინ შევედით, მალე სუფრაზე ცხელი ხინკალიც მოიტანეს. ვაჟამ ფრუშკასა და გამიხარდის უთხრა:

– არიქათ, ბიჭებო, აგერ, კუთხეში, ბოთლია არყიანი და მოიტანეთო!

ფრუშკამ და გამიხარდიმ ძლივს მოიტანეს ოცლიტრიანი მოქსოვილი წნელის გოდორში ჩადგმული შტოფი, რომელიც არაყით იყო სავსე. ხალხმა სიცილი ატეხა:

– კაცო, ჩვენ მართლა ერთი ბოთლი არაყი გვეგონაო!

– სანამ ამ ბოთლს არ დასცლით, ფეხს აქედან ვერ მოიცვლითო! – თქვა ვაჟამ და მართლაც, ასე მოხდა: სანამ ის შტოფი არ გამოგვაცლევინა, არ მოგვეშვა".

მეზობლების გადმოცემით, ვაჟა ქორწილსა და ჭირს არ დააკლდებოდა, პატივისცემას არ დააკლებდა არავის, მაგრამ ეკლესიაში შესული კი არავის გვინახავსო.

...პავლე ჟამიაშვილის ქორწილი იყო ჩარგალში. ჯვრის დასაწერად ნეფიონი ჩარგლის საყდარში წავიდნენ. ვაჟა სხვა ხნიერ კაცებთან ერთად შინ დარჩა. მღვდელმა ჯვრისწერაზე უარი განაცხადა: დღეს პარასკევია, არ იქნებაო. აღარც თხოვნამ გაჭრა, აღარც ქრთამმა. ეჯიბი გაიქცა შინ ამ ამბის შესატყობინებლად. ვაჟამ დააბარა, მიდი და გადაეცი მღვდელს ჩემგან, თავის მოვალეობა შეასრულოსო. მღვდელი მაინც ჯიუტობდა, – მე ვაჟა არ

ვიციო. ესეც მოახსენეს ვაჟას. წამოხტა ვაჟა და გაბრაზებული გაემართა საყდრისაკენ ჩოხის გრძელი ბოლოსა და სახელოების ქნევით.

– პარასკევს მე მოგცემ შენა, შე პირძაღლოო! – შეუყვირა ვაჟამ.

მღვდელი აფაცურდა – ეხლავე, ეხლავეო და ჯვრისწერა ჩაატარა.

მეორე შემთხვევა. იოსებ ნაყეური იწერდა ჯვარს დედუკა ბაჩიაშვილზე. რატომღაც ჩარგლის საყდარში საქორწინო გვირგვინები არ აღმოჩნდა. „ვაჟა-ფშაველა მეფის ნათლია იყო. ეს რომ შეიტყო დაუძახა დედოფლის ბიძას ფოცხვერას და უთხრა: რასა ღონდებით, რომელი გვირგვინი იქნება ყვავილების გვირგვინზე უკეთესიო! ვაჟამ ყვავილები მოაკრეფინა, უცებ დაწნა ორი გვირგვინი და ღვდელს მიართვა: ესენი დაადგი თავზეო. ჯვრისწერა იმ ყვავილის გვირგვინებით ჩატარდა (42, 54).

...ერთხელ კიდევ ჭირის ამბავი იყო. მღვდელი და დიაკვანი წესს უყენებდნენ მიცვალებულს. ვაჟა შორიახლოს იდგა და ყური მოჰკრა, რომ დიაკვანი რაღაც ნაცნობ სიტყვებს ბუტბუტებდა. კარგად მიაყურადა და თავის პოემის „სტუმარ-მასპინძლის" სიტყვები ჩაესმა ყურში: „მოვსდექით შენნი მოძმენი, შენის სამარის კარსაო"... ვაჟას უადგილოდ გაეცინა და გაამხნევა დიაკვანი: ეგრე, ეგრე, ეგრე სჯობია, ამ სიტყვებით უფრო გაუნათდება საიქიოს შესასვლელიო...

ვაჟაც ისევე, როგორც სხვა ფშავლები, ყოველთვის და ყველგან დადიოდა ხატობა-დღეობებში საკლავითა და სანთელ-საწირავით. წესის შესრულების შემდეგ ჩამოჯდებოდა ხნიერ ხალხთან, უსმენდა იმათ საუბარს და შიგადაშიგ ბლოკნოტში იწერდა თავისთვის საინტერესო ამბავს, ლექსს, ანდაზას თუ სიტყვას.

სმა არ უყვარდა, არაყს ბევრს არა სვამდა, ლუდს უფრო ეტანებოდა, როცა შეთვრებოდა, მერე წვეთს აღარ ჩაუშვებდა პირში. ხოლო როცა ღრეობა დაიწყებოდა, ადგებოდა და წავიდოდა სუფრიდან: სასმელიც აიმღვრა და ხალხიცაო.

ასეთ დროს, ვისაც უნდა ეთხოვა, დაეძალებინა, არაფერი გამოუვიდოდა, პრინციპული იყო, ნებისყოფიანი. პაპიროსს ახალგაზრდობიდან ეწეოდა, მაგრამ 1890 წელს, ავადმყოფობის

შემდეგ, აკრძალა და აღარასოდეს მოუწევია.

ვაჟა ჩუბინი და მონადირე

ნადირობისა და თოფ-იარაღის სიყვარულითაც ვაჟა-ფშაველა ნამდვილი მთიელი იყო.

ფშავის თითოეული თემი (თორმეტიდან) რაღაც ერთი მთავარი თვისებით ყოფილა გამორჩეული. გოგოლაურები ლექს-კაფიით იყვნენ ცნობილი, ქისტაურები – სილამაზით, მათურელნი – სიმამაცით, ჭიჩოელნი – სიბრიყვით, ჩარგლელნი – ნადირობით, თოფის სროლით. ვაჟა ამ მხრივაც გამოემსგავსა თავის წინაპრებს. თუმცა ვაჟა მთელი ფშავის, ყველა თემის, საუკეთესო თვისებების გამაერთიანებელი იყო, ფშაველთა ყველა ნიშან-თვისებამ მოიყარა მასში თავი.

ბუნების მესაიდუმლე იყო ვაჟა, ბუნებაზე უსაზღვროდ შეყვარებული. ბუნე-

ბის განცდა კი იმაზე მძაფრი არ შეიძლება იყოს, ნადირობის დროს რომ არის. ეს მძაფრი განცდები სჭირდებოდა ვაჟას, ბუნების სიღრმისეული წვდომა და ამიტომაც გადაჰქონდა ასე ლამაზად და დამაჯერებლად ქაღალდზე. ბევრი მისი შედევრი სწორედ ნადირობისას მიღებულ შთაბეჭდილებებზეა აღმოცენებული. რად ღირს თუნდაც მისი „შვლის ნუკრის ნაამბობი", რომლის საფუძველიც ასევე პირადი შემთხვევა ყოფილა. როგორც მისი მეზობლები გადმოგვცემენ, ასეთი შემთხვევა პირადად ვაჟას ჰქონია: შვლისათვის უსროლია ისე, რომ ვერ გაურჩევია წვრილიანებში დედალი იყო თუ მამალი. დედალ შველს არც თვითონ ესროდა და არც სხვას ასროლინებდა. ახლოს რომ მისულა და უნახავს შველი დედალი იყო, ძუძუებიც ნაწოვი ჰქონია, ძალზე შეწუხებულა. სადღაც მაყვლიანებში დამალული ნუკრიც აღარ უძებნია. მას შემდეგ ვაჟას შვლისთვის თოფი აღარ უსროლიაო.

დათვზე ნადირობა განსაკუთრებით ჰყვარებია ვაჟას. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ დათვზე ნადირობისას უფრო მეტია სიმძაფრე და აზარტი, უფრო მეტად დათვთან შეტაკებისას მჟღავნდება ვაჟკაცობა, შეუპოვრობა. თურმე თითო გასროლით ხოცავდა დათვებს; იმისი თოფი რომ გავარდებოდა, იმედი იყო, დათვი ვერ წავიდოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უშიშარი იყო ვაჟა, ნადირის გამოჩენაზე არ აკანკალდებოდა და არც თვალი აუხამხამდებოდა.

ფშავის გარდა, ვაჟა კახეთის მდიდარ ტყეებშიც ხშირად ნადირობდა. მისი და, მართა, ყვარელში იყო გათხოვილი და იმასთან სტუმრად ჩასვლისას შემთხვევას არ გაუშვებდა, იქაურებთან ერთად ტყეებში რომ არ გაევლო.

ერთხელ ძმები, ვაჟა და ბაჩანა, ჩასულან სტუმრად და-სიძესთან და სანადიროდაც გაუვლიათ. ამ ნადირობის ამბავს მართას უფროსი ვაჟი მიხა ასე გადმოგვცემს: „ვაჟას წილში ბოლოზე სიარული შეხვდა, ბაჩანას–შუაში და სიძეს–თავში. ყველანი მიდიან წინდახედულად, აუჩქარებლივ, მონადირულად. დიდი მანძილი არ გაუვლიათ, რომ ზევით სიძის თოფი გავარდა. ცოტა ხნის შემდეგ მოჰყვა ბაჩანას თოფის ხმა. ეს ცოტა ზევით და წინ იყო. ვაჟა წინ გაიქცა მის წინ პატარა ტაფობი გადაიშალა. ზევიდან ფეხის ხმა მოესმა. დაინახა, რომ რაც ძალი და ღონე აქვს,

მისკენ დათვი მორბის. ვაჟა მოემზადა. გაუსწორდა თუ არა, გავარდა მისი თოფიც. დათვმა ერთი კი შეჰღრიალა და დაგორდა. ცოტა ხნის შემდეგ ბაჩანაც გამოჩნდა, ის დათვს კვალდაკვალ მოსდევდა. დაინახა რა, რომ დათვი მკვდარი გდია, დაიძახა: ჩემი უნდა ჰქონდეს მოხვედრილიო! მივიდნენ, ნახეს, დათვს მარტო ერთი სჭირდა, ისიც შიგ იღლიაში. ნასროლი ვაჟას ეკუთვნოდა. დაუმასრავეს სიძეს (ცარიელი ვაზნით დაუსტვინეს, მიიხმეს – გ. ხ.), გაატყავეს დათვი, ცოტა შეისვენეს, შემდეგ აიკიდა სიძემ ტყავი და ისევ წინ გაემართნენ.

ვაჟა ეხლა შუაში მოექცა. კარგა მანძილი გაიარეს და დანიშნულ ქედამდის, სადაც საბოლოოდ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ბევრი აღარ უკლდათ. ყოველ ნაბიჯზე დათვებისა და ღორების ნაჩიჩქნი და ნათხარი იყო... ყოველ წვრილმანს ათვალიერებდა, ყოველი ამობრუნებული ხე, წამოყუდებული ხის ძირი იქცევდა მის ყურადღებას, ნიავიც არ იძვროდა. რამდენჯერ გამოიძრო ქუდიდან ბეწვი და გაშინჯა მიმართულება ქარისა. ბეწვი სწორედ ეცემოდა... არა, ნიავის მხრით საშიში არ არის, გაიფიქრა, მარტო ფეხის ხმას უნდა ვუფრთხილდე...

ამ ფიქრებში გადაადგა პატარა ტაფობს, შესდგა ათვალიერებს. წაიწია წინ. ერთს ხმელ ტოტს თავისდა უნებურად დაადგა ფეხი. ტოტი გატყდა, ოდნავ ახმაურდა. უცებ შეასწრო თვალი, რომ გაწოლილი ხის ქვეშიდან დათვი წამოდგა, გასაპარავად ემზადებოდა, მაგრამ ვაჟამ არ აცალა: იგრიალა თოფმა და დათვი მიწაზე დაეცა. ღრიალებს, ნატყვიარს სწვდა პირით და იჯენჯავს. გავარდა მეორეც – დათვი ჩაიკეცა. გამარჯვება ისევ ვაჟას დარჩა". (46, 362).

ფშაველ-ხევსურთა ხატობა-დღეობებში, ანდა მკვდართ დღეს ყაბახის დადგმა იციან. ნიშანს დასდგამენ ორას-სამასი მეტრის მანძილზე და ყველა ესვრის, ვისაც ‘„თავი აქვს ცდისა". ჯილდოდ დაწესებულია ან ძროხა, ან ცხვარი, ან მიცვალებულის რაიმე ნივთი, ან ფული. ნიშანს ვინც მოარტყამს, დათქმული ჯილდო მას დარჩება.

თიანელი რევაზ გოჯიაშვილი ვაჟას შეუდარებელ სროლასა და ყაბახზე გამარჯვებასთან დაკავშირებით ერთ ეპიზოდს იხსენებს: „ერთხელ, სოფელ ჩაბანოში იოსებ ტერელაშვილის ღაბახი დაიდგეს. ერთი კვირის განმავლობაში მთელი მაზრის

ჩაფრები და გამოჩენილი მსროლელნი მოდიოდნენ, მაგრამ ვერასს გზით ვერ მოარტყეს ნიშანში. ამ დროს თიანეთს ჩამოვიდა ვაჟა და, როგორც ნათლიმამა, მესტუმრა. მოსვლისთნავე შევძახე: „ვაჟავ, ასე და ასეა საქმე, წამოდი, ესროლე და მასახელე კაცი-მეთქი!" ვაჟა დამთანხმდა. შევსხედით ცხენებზე და წავედით ღაბახთან. ბევრი მსროლელი და მაყურებელი დაგვიხვდა. ვაჟა გადმოხტა ცხენიდან, მოიზომა თოფი, ესროლა ერთი და ნიშანიც გადავარდა. ყველას გაუკვირდა ეს ამბავი. მეორე დღეს საჩუქრად კარგი ჭედილა მოართვეს".

ასე ბევრჯერ აუღია ყაბახი ვაჟას ფშავში და ხევსურეთში. ერთხელ ხახმატშიც გაუოცებია ხევსურნი. აფხუშოობას, ჩარგლის თემის მთავარ სალოცავში, კი ვინ მოსთვლის, რამდენჯერ უსახელებია თავის „აინალს". ერთ ბოლო დროინდელ ყაბახის აღების ამბავს კი ვაჟას მეუღლე თამარი გადმოგვცემს:

„ხატობაში, აფხუშოობას ყაბახი (ფშაურად – ღაბახი) იცოდნენ. ყაბახს მრგვალი პურის ხმიადს ვეძახდით. ხმიადის შუაგულში მრგვალად გამოჭრილი (ჭიქის პირზე შემოჭრილი – გ. ხ.) პატარა ქაღალდი აკრავს. სწორედ ამ ქაღალდს უნდა მოარტყას მსროლელმა ტყვია. აი, ამ ყაბახს ესროდნენ მეხატე მამაკაცები თოფებს.

ეს ხატობა იმართება სამი დღით. თითქმის ყოველდღე იდგმებოდა ყაბახი. ზოგს მკვდრის პატრონი დასდგამდა, ზოგი შესაწირავს იძლეოდა ყაბახში გამარჯვებულის სასარგებლოდ. ამ შესაწირავს შეადგენდა წინდა–საფუხარი ან ფული (სამი მანეთიდან ოცდახუთ მანეთამდე), ჩოხა-ახალუხი, ქამარ-ხანჯალი ან სხვა რამ ნივთი, ხანდახან კურეტიც იცოდნენ.

მეთოფეთაგან ვინც უკეთესად ესროდა და მოარტყამდა ყაბახს, იმას დარჩებოდა ყაბახში დადგმული ფული და ნივთი.

თოფოსნობა (თოფის სროლა) იმართებოდა საჯარე ბინებიდან ცოტა მოშორებით. მსროლელებსა და ნიშანს შორის მანძილი უნდა ყოფილიყო დაახლოებით ორასი-სამასი მეტრი.

მახსოვს, ერთხელ კაი ხანი გაგრძელდა ყაბახზე სროლა. ვერავინ ვერ მოარტყა. სთხოვეს ლუკას, ჩასულიყო სასროლ გორაზე და ესროლა. ლუკა ადგილიდან არ დაძრულა, თუმცა მანძილი უფრო შორი რჩებოდა. მოითხოვა თოფი და მწვანეზე დამჯდარმა სუფრის გვერდიდან ესროლა ყაბახს. ყაბახი დაგორდა.

ყარაულმა დაგორებული ხმიადი დაიჭირა, აიტაცა მაღლა ხელში და დაიძახა: გაუმარჯოს! ხმიადს ქაღალდზე ეტყობოდა ნატყვიარი. ყაბახი აღებული იყო. სუფრის გარშემო მსხდომმა ხანში შესულმა ფშავლებმა მხიარულად შესძახეს ლუკას: „ყოჩაღ, ლუკავ!"

ბოლო დროს სანადიროდ აღარ დადიოდა. მარტო მტრედებზე გაივლიდა ხოლმე ნახნავებში, ანდა ჯეჯილობის დროს კურდღლებზე ნადირობდა... ლუკას საკუთარი საყუჩი (საფარი) ჰქონდა სახლის ახლოს სულა-კურდღელათ ციხის კაკალთან. ამ კაკალზე სხდებოდნენ მტრედები დილა-საღამოს. ლუკაც ამ დროს უსაფრდებოდა თავის საფანტიანი თოფით. მტრედებს რომ არ შეენიშნათ, საფარს ფოთლები ჰქონდა გაკეთებული საზარეში. ეს საზარე ახლაც არის, ოთხ სვეტზეა აშენებული და თავზე ქვის სახურავი აქვს თაღებზე გადაყვანილი. ამ საზარეში ჩაუსაფრდებოდა კაკლის წვერზე შემომჯდარ ქედნებს". (37, 54).

საარაყე ქვაბს რომ შემოსდგამდნენ, ვაჟა თავის სასაფანტე თოფს აიღებდა– კურდღლის შესაწველი ცეცხლიაო და ჭიჭახევს აუყვებოდა ხოდისა და საძერიათ ველტყიანებისაკენ. არ გავიდოდა დიდი ხანი და, სად ნახულობდა ისე გეზად, თითქოს გალიაში ჰყოლოდეს დამწყვდეული, ერთს ან ორ კურდღელს მოიტანდა. იცოდა ნადირ-ფრინველის ალღო, ზნე და ამიტომ ემარჯვებოდა ნადირობა. წამომხტარ კურდღელს კი, ოღონდაც თვალი მოეკრა, არ ააცდენდა.

თევზაობაც უყვარდა ვაჟას. ბავშვობიდან მიჩვეული იყო ანკესით თევზაობას და შემდგომშიც უფრო ხშირად ანკესითვე იჭერდა კალმახს. საკალმახოდ კი ჩარგლურას გარდა არაგვს გადაღმა კაწალხეურაზეც დაიარებოდა. ბადით არაგვზე იჭერდა ფიჩხულს და მურწას. ბადის სროლა კარგი იცოდა. წყალდიდობა, წყალმურღვობის დროს კი ორაგულს დაეძებდა მორევებში თხილის წკეპლით. აღმოაჩენდა, ფრთხილად მოუგანებდა გვერდში გრძელ ჯოხზე დამაგრებულ წვერბასრ ჩანგალს, გამოჰკრავდა და გამოითრევდა – მოჩანგლავდა.

ტყისთვის ბრძოლა მეტყევეებთან

ვაჟა-ფშაველა იმთავითვე ვერ ურიგდებოდა მეფის მოხელეებს. სულიერად ვერ იტანდა მათ მგლურ დამოკიდებულებას ხალხისა და ქვეყნის მიმართ, ვინც მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ფიქრობდა. მათთან ბრძოლაში, მართალია დიდი სიმწარე იწვნია, მაგრამ ამან გული ვერ გაუტეხა, ხელი ვერ ააღებინა ცხოვრების პრინციპზე. მას სხვაგვარად არ შეეძლო. თვითონ ვაჟაზე იყო ყველაზე მეტად ზედ გამოჭრილი მისივე ნათქვამი: „ვერ მააწონებთ კარგ ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშიაო". მამასახლისებს – მამაძაღლისებს ეძახდა, მღვდლებს – მგლებს, მეტყევეებს – მეტყავეებს.

ლევან ბოძაშვილის ნაამბობი: მამაჩემი დავითი საზოგადოებრივ მოსამართლედა ყოფილა არჩეული მაღაროსკარში კიდევ სხვა ორ კაცთან ერთად. სამნი ყოფილან. იმათ ევალებოდათ კვირაობით ადგილზე ყოფნა, ხალხიც კვირა დღეს ჩამოდიოდა საქმეებზე. ერთხელ ვაჟა-ფშაველაც ჩამოსულა ჩარგლიდან, მხარზე გუდა ჰკიდებია, გუდაში საგზლად პური და დამბალი ხაჭო ჰქონია. მისულა ძმასთან, ბაჩანასთან, რომელიც მაშინ მაღაროსკარის სკოლაში ყოფილა მასწავლებლად და თან პრისტავთან ყოფილა მდივნად („პისრად"). ბაჩანას გაჰხარებია ვაჟას დანახვა, უთქვამს: რა კარგია რომ ჩამოხვედი, ვეღარსაით შეგატყობინე – დღეს ჩვენი პრისტავი ოზიევი მყავს დაპატიჟებული, სუფრას ვამზადებთ, პური ერთად ვჭამოთო. ვაჟას ხმა არ ამოუღია, ცოტა საქმე მაქვსო–უთქვამს, მალე მოვალო, გუდა რძლისთვის (ბაჩანას ცოლისთვის) მიუბარებია.

პრისტავი ოზიევი და ვაჟა ერთმანეთთან კარგად ვერა ყოფილან, რადგან ცუდი კაცი ყოფილა, ფშავლებს ცუდად ეპყრობოდა თურმე, მათრახით სცემდა ხანდახან უმიზეზოდაც კი. არ მიეცა ვაჟას მასთან შეხვედრის საშუალება რომ ეთქვა სათქმელი.

ვაჟა რომ დაბრუნდა, სუფრა გაშლილი ყოფილა, იმასღა ელოდებოდნენ თურმე. ბაჩანას ოზიევის გვერდით, მარცხენა მხარეს დაუსვია. რა თქვეს, რა ილაპარაკეს და ვაჟას რძლისთვის უთქვამს, ჩემი გუდა მომიტანეო. ამოუღია ვაჟას დამბალი ხაჭო, დაუჭრია და ოზიევისთვის შეუთავაზებია – სცოდნია თურმე ძალიან ეჯავრებოდა. ოზიევს სახე იქით მიუბრუნებია: მოაშორე, ეს რაღა ააყროლეო! ვაჟას ხელუკუღმა დაუფარებია სახეში და სკამიანად დაუხეთქებია იატაკზე. ამდგარა ოზიევი და უხმოდ წასულა. გაბრაზებულა ბაჩანა, სცემია ვაჟას: რა უგემური ხარ, ეს რა ჩაიდინეო! ვაჟაც ამდგარა: შენ ხმა ჩაიწყვიტე, თორემ შენც იმას მიგაყოლებო; ფშავლები ცემით ამოწყვიტა, შენ კი მაგას უძვრებიო! – ამდგარა ვაჟა და შინ წასულა.

ოზიევთან ამ ამბის შემდეგ ვაჟას შეხვედრას ეხება სოფელ გუდარახში მცხოვრებ ნინო წიკლაურის ნაამბობი: „ვაჟასა და ჩემ ძმას ძალიან მიაჩნდათ ერთურთი. ქალაქში იყო სამუშაოდ წასული „ბუნტოვშჩიკებთანაც" სადამ ჩაება და როცა მოვიდოდა, ვაჟას სანახავად რო არ გასულიყო, ისე არ იქამდა. ვაჟამაც ხშირად იცოდა ჩვენსა მოსვლა. დედაჩემს ძალიან უყვარდა ვაჟა, როგორც შვილის მეგობარი.

ერთხელ ვაჟა შუადღის ხანს მოვიდა ჩვენსა. დედამ შინ შემოიპატიჟა, ერბო-კვერცხი გაუკეთა, ერთი ბოთლი არაყიც მოუტანა. ამ დროს კარებზე ვიღაცეები მოხმაურდნენ. დედამ გაიხედა და „პრისტავი ოზიევი და სტრაჟნიკებიაო", – უთხრა ვაჟას. „ნუღარ გახვალ გაანებე თავიო", – ვაჟამ უთხრა. „ვაიმე, კარზე მოსული სტუმრები ეგრე როგორ გაუშვა პურუჭმელებიო". „მაგ ძაღლებს ეგრე შაუხდებაო".

ცოტა ხნის შემდეგ პრისტავი და ერთი სტრაჟნიკი თვითონ შემოვიდნენ სახლში, გამარჯობათო, თქვეს. ვაჟას ხმა არ გაუცია. მერე უთხრა ოზიევს: „რა არის, რას დასწანწალებთ, რას აუგემურებთ ხალხსაო!".. პრისტავი ფეხზე იდგა, ვაჟა იჯდა, ისე ლაპარაკობდნენ, ხან ქართულად, ხან რუსულად. ხმასაც აუწიეს. ბოლოს პრისტავმა უთხრა: „რა იყო, კაცო, შენ დასაჭერად ხომ არ მოვედი! ცხენები დაუპარიათ და ხევსურეთში წასასვლელად ცხენები გვინდაო!"

„ცხენები ვინც დაიპარა, იმათ წაართვით, ამათ რაზე ართმევთო... ან ჩემ თავს ვინ დაგაჭერინებთ, ძალიან კი გინდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში გივარდებათო!", – მიაძახა ვაჟამ უკვე კარში გასულებს. დედამ უთხრა: „ვაიმე, ვაჟავ, რადარ სუფრასთან მაიპატიჯენ, ი პრისტავს ჯერ სუ გულ-მუცელნ ერევიან ჩვენზე, ეხლა სუ გაჯავრებულ წავიდა, ი ბალღს აუტეხს რასა"...

„ნუ გეშინიან, ვერაფერს იქამს, ეგ სუფრის ღირსი არ იყო, ჩემზედაც გულ-ნაწლევ ერევა, მაგრამ ვერასა მრჩებაო".

ვაჟა რო წავიდა, დედაჩემი სულ იმას ამბობდა, როგორ მეშინოდა ჩხუბი არ მოუვიდესთო, აღარ ვიცოდი რა მექნა. ვაჟა მაგ პრისტავსა შურობს, ფშავლებს რადა სცემსო. აბა, ვაჟა ყველას დამცველია, ღმერთმა აცოცხლოსო. წასულ შაბათსაც მაღაროსკარში მგონი ჩხუბი მოსვლიათ, ვაჟას დაუტყლეშავისო, იმას ამბობდნენო".

ვაჟას მთაში განსაკუთრებით მეტყევეებთან ჰქონდა ხელჩართული ბრძოლა. მას მიაჩნდა, და სამართლიანადაც, რომ მთაში მთავრობის მოხელეებისაგან ტყის დაცვა არ იყო აუცილებელი; რომ ტყეს მთაში მთიელები თვითონ უკეთესად იცავენ. სადაც არ შეიძლება ტყის გაჩეხვა ზვავისა თუ ნიაღვრების საშიშროების გამო, იქ ხეს არ მოჭრიან, ასეთ ტყეებს ხატს „გადასცემენ", „დაცულად", „ხატის ტყედ", „მკვრივად" გამოაცხადებენ და წიწკარსაც კი აღარავინ გაიტანს იმის შიშით, ხატი დაგვამიზეზებსო. ისედაც, მთიელი კაცი თუ მოჭრის ხეს, მხოლოდ აუცილებელი საჭიროებისათვის – შეშად ან სახლისა და გომურისათვის. ამაზე კი გადასახადი არ უნდა იყოსო. ვაჟამაც კარგად იცოდა, რომ მეტყევეები ტყის დაცვისთვის კი არ იყვნენ, არამედ გადასახადებისათვის, ხალხის ყვლეფისათვის. იცოდა, მეფის მთავრობას ვერაფერს შეაცვლევინებდა, მაგრამ მაინც იბრძოდა, არ მოსწონდა ხალხის საძარცვავი კანონი, არ მოსწონდა მეტყევეთა საქმიანობა და ებრძოდა, ებრძოდა იმიტომ, რომ შერიგება არ შეეძლო. იცოდა, არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ მაინც გულს იოხებდა.

ცამდე მართალი იყო ვაჟა, მაგრამ ვინ უსმენდა. მეტყევეები თავისას განაგრძობდნენ, ხალხს ტყის მოჭრაზე ბილეთს უწერდნენ, აჯარიმებდნენ. ვაჟა ამას ვერ ითმენდა. რას გამორჩებოდა მეტყევეებს, როცა ზურგს უკან მათ მთავრობა ედგა, მთავრობა, რომელიც ხალხიდანაც და ბუნებიდანაც ყველაფრის გამოწოვას ცდილობდა ობობასავით. მთავრობას შემოსავალი აინტერესებდა და არა ფშავ-ხევსურეთის კეთილდღეობა, ვაჟას კი თავისი ქვეყნის სიკეთე უნდოდა მხოლოდ. აბა როგორ შეიძლებოდა შერიგება ამ ორი სრულიად საწინააღმდეგო ინტერესისა.

ის, რის წინააღმდეგაც ვაჟა იბრძოდა, ათმაგად და უფრო მეტად არის გაუარესებული ჩვენს დროში. ფშავ-ხევსურეთს თუ მაშინ ერთი ტყის მცველი გიორგი ხორნაული ემსახურებოდა, ეხლა ორი სატყეო მეურნეობაა თავისი სარაიონო და რესპუბლიკური სამმართველო-სამინისტროებით, ვინც ძირითადად ამ ტყეების ხარჯზე არსებობენ. სადაც უნდათ და როგორც უნდათ იჭრება ტყეები და ხალხს სულაც არაფერს ეკითხებიან. თან ადიდებენ ვაჟას, — ბოროტებას ებრძოდაო, იმავე ბოროტებას კი აათმაგებენ. ეს იყო საბჭოთა წყობილების ცინიზმი ვაჟას მიმართაც და ხალხის მიმართაც.

ერთხელ თიანეთის მაზრიდან მეტყევე ლევან ხიზანიშვილი გადმოსულა ჩარგლის ტყის დასაბეჭდად, რათა ხალხს უნებართვოდ არაფერი მოეჭრა. თან ხლებია თორმეტი ტყის მცველი. მამასახლისიც გამოუყოლებია, რადგან ვაჟას შიში ჰქონიათ. ვაჟას გაუგია მათი გადმოსვლის ამბავი და თოფით წასდგომია თავს ხეების ბეჭდვის დროს.

– ერთს, არ გაგიშვებთ ცოცხალს, მოშორდით ეხლავე აქედან, რა საქმე გაქვთ აქ რომ დაეხეტებითო!

– ა, ვაჟავ, ვაჟავ, რას შვრები, კაცო, რაზე გვხოცავ, ეხლავე წავალთო! – შეეხვეწნენ თურმე და თავისთან მიიტყუეს. უცებ ეცნენ, ხელები შეუკრეს და ოთხ ტყის მცველს თიანეთში წააყვანინეს. ჩარგლიდან თიანეთისაკენ მაღალი მთაა გადასავალი და ერთი დღის სავალია, ხელშეკრული ჩაიყვანეს „ნაჩალნიკთან". „ნაჩალნიკმა" დატუქსა ტყის მცველები და ვაჟა მაშინვე გამოუშვა. ამასობაში კი ხიზანიშვილმა ჩარგალში თავის საქმე მოასწრო.

არ გასულა დიდი ხანი და ვაჟა ხიზანიშვილს მაღაროსკარში, დავით ჯანაშვილის დუქანში შეხვდა. სანამ ვაჟა მიიხედ-მოიხედავდა, ხიზანიშვილი უცებ სადღაც გამქრალა.

– რა იქნაო? – იკითხა ვაჟამ.

– შენი შეეშინდა და თავქვე ჩაეფარა გაჭენებულიო,– უთხრეს.

ვაჟა გამოვარდა, მოახტა თავის „ნიკორს" და ორ-სამ კილომეტრშივე წამოეწია. ხიზანიშვილმა თოფი მოუღერა: არ მოხვიდე, თორემ დაგკრავო!

– კაცი არ იყო, თუ არ დამკრაო! – ზედ მიაგდო ცხენი ვაჟამ,

ააგლიჯა თოფი და მათრახით მიაცოცხალმკვდარა, თოფი კი შინ, ჩარგალში, წაიღო.

ხიზანიშვილი წავიდა თიანეთში, მაგრამ სამსახურიდან გაგდება ელოდა, თუ გაუგებდნენ, რომ სამსახურებრივი იარაღი, „ბერდენკა", აჰყარეს. გადაწყვიტა სასწრაფოდ როგორმე მოეგვარებინა საქმე ვაჟასთან. გაამზადა კარგი პურ-მარილი, სასმელი, აჰკიდა ცხენს და ჩარგალს გადმოვიდა. მივიდა ჩარგლის თემობის წევრთან, ოსა ზურაბაშვილთან, და სთხოვა, ვაჟასთან შემარიგე როგორმე, ეგების თოფი დამიბრუნოს, თორემ ვიღუპებიო. ოსა გაჰყვა. ჯერ მარტოდ მივიდა ვაჟასთან. მეზღვნე კი ჭალაში, წნორთან დატოვა.

ვაჟა გაბრაზდა და ოსა გალანძღა: თქვენ როგორ მეუბნებით შეურიგდიო, როცა მთელი ხალხი მე უნდა მიბამდეთ მხარს მაგათთვის აქედან ფეხის ამოკვეთაშიო!

ოსამ ნელ-ნელა დაიყოლია ვაჟა. მისი დაყოლიება არ იყო ძნელი, წყენა მალე გადაუვლიდა ხოლმე. შევიდა ხიზანიშვილის მდგომარეობაშიც, შეეცოდა. უთხრა ოსას: ეხლა მიპატიებია, რაკი ეგრეა საქმე, მხოლოდ შემდეგში აღარა ჭამოსო... შევურიგდები იმ პირობით, თუ წნორიდან მუხლისკვრით ამოვა აქამდეო. ოსა წავიდა ხიზანიშვილთან... და ვაჟამ იქვე მყოფი ივანე მოლოდინაშვილი დაადევნა: ჩადი იმ კაცმა მანდ ბობღვა არ დაიწყოს, არ შემარცხვინოსო.

მოიყვანეს ხიზანიშვილი, ვაჟა მხიარულად შეხვდა, გაეხუმრა, შინ შეიპატიჟა, ხინკალი გააკეთებინა, იქეიფეს, იცინეს და ბოლოს ის წართმეული „ბერდენკაც" დაუბრუნა.

ვაჟას ერთი მტერ-მოყვარე „აბეშიკი"იყო ჩარგლის მეზობლად, სოფელ კაწალხევში, მცხოვრები გიორგი ხორნაული, პოემა „გოგოთურ და აფშინას" პერსონაჟის, ბლოელ აფშინას პროტოტიპი.

ხორნაულები ხევსურეთიდან, ბლოს ხეობიდან, სოფელ კაწალხევში მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში ჩამოსახლებულან. გადმოცემის თანახმად, ხორნაულებს კაცი გამოუგზავნიათ ფშავში ამ ხეობის კარგად დასათვალიერებლად, მოსწონებია ხეობა მზირს და უკან დაბრუნებულს თავისიანებისთვის უთქვამს – კა წყალ-ხევიაო, ე. ი. კარგი წყალი და ხევიაო.

ჩამოსახლებულ ბლოელთ მეზობელი სოფლის მცხოვრებნი

– აფშოვლები, მიგრიაულები, ჩარგლელნი – გამუდმებით ეკინკლავებოდნენ სათიბ-საძოვრების, წყალ-ჭალების გამო, ედავებოდნენ მიჯნებზე, საზღვრებზე, არ იხდენდნენ. მიგრიაულ-კაწალხევლებს ბევრჯერ ჰქონიათ შეტაკება, ხოცვა-ჟლეტა. ხმლის ნაცვლად ხანდახან ლექსსა და კაფიას იშველიებდნენ, ერთურთს ალექსებდნენ, მწარესა და სასენოს არ იშურებდნენ. აქ უკვე ფოთოლათ მერცხალას, მიგრიაულთა „ფალავანს" გაუჭრეინებია ხმალზე მეტად. მწარ-მწარედ, საოცარი ენამახვილობით ალექსებდა კაწალხევლებს, ულექსებდა ქალებს, რითაც პირდაპირ სიშმაგემდე მიჰყავდა ხევსურეთში სიფიცხით ცნობილი ხორნაულები. სადაც შეხვდებოდნენ, მიბეგვავდნენ, მიჰკეჭნიდნენ, მაგრამ ვერ აშლევინებდნენ. ის კიდევ უარესსა და უარესს ამბობდა.

ხორნაულთ ქალები დასალაპარაკებლადაც კი არ იკარებდნენ თურმე ახლოს, ის კი ისე ლექსობდა, თითქოს იმათთან „ვწაწლობო", „ვსწორფრობო". „წაწლობა" ფშაურია, ფშავლებმა იცოდნენ, „სწორფრობა" ხევსურული – ქალ-ვაჟს ერთურთი რომ მოეწონებოდათ, მეგობრობდნენ, ჩუმად ერთადაც წვებოდნენ, მაგრამ ხვევნა-კოცნის მეტი არაფერი შეიძლებოდა. „წაწლობასა" და „სწორფრობას" არავინ უშლიდა, მაგრამ თუ თავს შეირცხვენდნენ, ხიდის ყურზე ჩაქოლვა არ ასცდებოდათ. ჰოდა, აი, ფოთოლათ მერცხალა (გამიხარდი ფოთოლაშვილი) ტყუილ კაფიებს უვრცელებდა ხორნაულთ ქალებს.

„კაწალხევს გადავიარე, გომურ ავიღე ქირითა,
ხარი მყავ გასაკვებავი, უნდა გავკვებო თივითა.
თამარისძის ქალ ციკაი არაყს მიზიდავს მინითა.
საბძელში შამამიჩნდება, როგორც ცისკარი დილისა;
დედა დაუწყებს ძახილსა: – ციკავ, ქათმები ყივისა!
– მერცხალის მკლავზედა ვწევარ დაძეხით ჩემის ჭირითა!"

თავადაც ცნობილმა მოლექსემ, მიგრიაულთელმა მოხუცმა მარიამ ბუთხაშვილმა („ნინიას ქალმა") ჩამაწერინა: „მერცხალასთან კაწალხეველი ქალები არავინა წვებოდა, მაგრამ ისე ალექსებდა, ხევსურებს აბრაზებდა. მოიგდებდნენ კაწალხევლები მერცხალას სადმე, მიბერტყავდნენ, მიამკვდარებდნენ –

რატო გვილექსებ ქალებსო, ის კიდევ უარესსა და უარესს იტ-ყოდა. თავიც რო მოეჭრათ, ლექსობას მაინც ვერ მააშლევინებ-დნენ".

„ნეტავ ფშაველი არა მქნა, კაწალხევს მამცა აღწერა,
მანდაურ ჩოხამც ჩამაცვა, ხევსურეთულად სამწვერა.
„კუდაის ხარით მივუდგე" - გულად დავყარე სამჯერა.
სუმელჯათ ბანზედამც დამსვა, ხან ზენ მეხედნა, ხან – ქვენა,
თამარსამც კარზე ქსელნ ედგნეს, ლელიკას მისცნა ფარტენა".

ეს ის ფოთოლათ მერცხალა იყო, ვისი ნიჭითაც ვაჟა-ფშაველა აღფრთოვანებული იყო და თავის პირველ კორესპოდენციებში ვისი პიროვნებითაც დაიწყო ფშავლების გაცნობა საზოგადოებისათვის.

... ჩარგლისკარის ცოტა ზემოთ დღესაც ამოდის მლაშე ვეძა, რომელსაც ვაჟას დროსაც საქონელს ასმევდნენ სამარილებლად, მარილის მაგივრობას ის ეწეოდა, იმ უმარილობის ჟამს.

ერთხელაც, ერთი ვინმე მწყემსი ხორნაული ასმევდა საქონელს ამ მარილიან წყალს. ვიღაც ჩარგლელმაც თავისი მორეკა და ხორნაულს უყვირა: მოაშორე წყალს შენი საქონელი, ჯერ მე უნდა დავალევინოო! „მოიცა დალევენ ბარემ და მერე დაალევინეო", – უთხოვია ხორნაულს.

– კაცო, არ გეყურება რო გეუბნები! –მივარდნია საქონელს და ჯოხითა და ქვით დაუწყია გამოყრა. გაცეცხლებული ხორნაული სწვდომია ჩარგალელს, თავით ჩაუყუდებია კოდში და შიგ ჩაუხრჩვია – ვერც ეხლა გასძღებიო!

იმ კაცის თავში მიუციათ კაწალხევლებს სოფ. გუდარახის ადგილი ჩარგლელებისათვის.

მოუთმენელი ხასიათის გამო ქორწილ-ნათლობებში თუ სხვა ამბებში ხორნაულებს არ ეპატიჟებოდნენ ფშავლები – აგვირევენ სუფრას ციცეებიო. ასეთ დროს ხორნაულები თვითონ მიდიოდნენ – მრავალრიცხოვანი სოფლიდან 25-30 თავმომწონე ახალგაზრდა ყოველთვის გამოდიოდა. აისხამდნენ ფარ-ხმალს, მოახტებოდნენ დარახტულ ცხენებს და მიიტანდნენ ძგრიალს, სადაც ქორწილ-ნათლობას დაიგულებდნენ. არაფერი ეწყინოთო, საუკეთესოდ ხვდებოდნენ, რადგან ისიც იცოდნენ, ქორწილის წესის დაყენებასა და პატივისცემაშიც ვერავინ შეედრებო-

და მათ. ხალხურ სიტყვიერებაში ცნობილია ასეთი ლექსი:

„ხორნაულთ ახალგაზრდანი ჯღანს იწროდ ბანდევნიანა,
იმათი შიშით ლეკები გზაზე ვეღარა დიანა".

ვაჟას დროს ხორნაულთ ახალგაზრდებს შორის ვაჟკაცობითა და უნარიანობით გამორჩეული ყოფილა გიორგი ხორნაული. თვითგანათლებულს წიგნი ჰყვარებია და ბიბლიოთეკაც კარგი ჰქონია. შემდეგში მეტყეველ – „აბეშიკად" დაუნიშნავთ და მთელი ფშავ-ხევსურეთის ერთადერთი მეტყეველ ისა ყოფილა. ცხვარიც ბლომად ჰყოლია და ქონებაც დიდძალი შეუძენია. მას დუშეთიდან აუყვანია ხელოსნები და კაწალხევში აუშენებინებია ორსართულიანი, მოჩუქურთმებულ აივნიანი სახლი, თუნუქით გადახურული. ეს ისეთ დროს, როცა ჟინვალს ზემოთ კრამიტით გადახურული სახლებიც კი თითებზე ჩამოსათვლელი ყოფილა. ამ სახლის სანახავად ისე მოდიოდნენ ფშავ-ხევსურნი, როგორც რაღაცა საოცრების. საოცრებას აქ ისიც ემატებოდა, რომ გიორგის პირველად მოუტანია „მომღერალი ყუთი" – გრამაფონი. ამას გარდა, თბილისში იმ დროს რაც კი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, ყველა გამოწერილი ჰქონია.

საფერნი ყოფილან ვაჟა და გიორგი და დამეგობრე ბულან კიდეც. ვაჟა

ხშირად დაიარებოდა კაწალხევში ძმობილთან, მისი ბიბლიოთეკით სარგებლობდა. გიორგის შვილი ვანო ხორნაული იგონებს: „ერთხელ თოვნაში მოვიდა ვაჟა, ერთმანეთი მოიკითხეს, გადაჰკრეს. ქულაჯა გაიხადა, წითელ ახალუხიანი იჯდა. წიგნებში ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი" იპოვა, გადაშალა და თავისი ძმის, თედოს, „ფითრი" წაგვიკითხა. მერე თავისთვის რაღაცა წიგნები გადმოარჩია, მეორე დღეს წაიღო და წავიდა".

გიორგი ხორნაულს ვაჟაზე არანაკლებ პატივსა სცემდნენ და აფასებდნენ და არა მარტო ფშავსა და ხევსურეთში. შემოსავალი იმდენი ჰქონია, რომ მისი ფული თბილისის ბანკებში „არ ეტეოდაო".

გიორგის სოფელ თვალივში, ბესო შანიძის დუქანში, უყიდია პარიზული კედლის საათი (ეს საათი დღესაც მის აშენებულ სახლში ჰკიდია და გასაოცარი სიზუსტით მუშაობს). საკმაოდ

გიორგი ხორნაული

ძვირიც ყოფილა – ათი მანეთი მიუცია, როცა ცხვარი სამი მანეთი ღირდა. ყიდვის დროს შესწრებია ერთი შარახეველი ფშაველი, იმასაც მოსწონებია საათი და ბესოსთვის უთქვამს:

– არიქა, ე, მენაც მინდა ეგეთა საათი, გამამიტანე მენაცა!

– ეხლავეო! – უთქვამს ბესოს, გასულა საქათმეში და მამალი შემოუყვანია, მიუწვდია ფშავლისათვის და უთქვამს, – აი, შენი საათი, დილით იყივლებს ადექი, ქანდარაზე შეჯდება და შენც დაიძინე – პარიზული საათი ისეთ კაცს უნდა, როგორიც ხორნაულია და შენ რაში გჭირდებაო?!

ვაჟას და გიორგის მეგობრობასაც მისდგომია ჩრდილი, რაკიღა ვაჟა მეტყევეების წინააღმდეგ იბრძოდა. ამ დაპირისპირების გამო ერთხელ ფშაველ-ხევსურთა საერთო სალოცავში „კოპალის ქვობაზე" დატაკებულან, ხმლები უშიშვლებიათ და ფარებიც ჩაუბღუჯიათ. მეშველიც ვერ ჩარეულა, ვერაფერი გაუწყვიათ, სანამ თვითონვე არ უთქვამთ, გვეყოფაო. ხევისბერს ვერცხლი ჩაუთლია ხანჯლის ბუნიდან არყიან თასში და ძმად გაუფიცნია, ფიც-ვერცხლი უჭმევია – სხვანაირად არ შეიძლებოდა ნაჩხუბრების ხატიდან გაშვება.

სწორედ ეს პირადი ინციდენტი იყო, რაც ვაჟამ „გოგოთურსა და აფშინაში" გამოიყენა და რაღა თქმა უნდა, თავის პოეტურ ქურაში გადამდნარი. თუმცა ვაჟა ამას არ ამჟღავნებდა. ჯერ ერთი, ძველი მეგობრობა არ აძლევდა ამის ნებას და მეორეც, მთაში ტყუილ გალექსებას დიდი მტრობა და მკვლელობაც კი მოჰყვებოდა ხოლმე. ამიტომ იყო, „იპოლიტე ვართაგავას კრიტიკაში" ვაჟამ თითქმის ყველა პოემის ამოსავალზე თქვა რაღაც, „გოგოთურ და აფშინაზე" კი... „თუ რა პირადმა განცდამ, რა შემთხვევამ დამაწერინა"გოგოთური და აფშინა" ან ვინა მყავს გოგოთურად, ვინ აფშინად დახატული, ეგ ჩემი საიდუმლოებაა და საფლავში თან ჩავიყოლებ, მაგას არ ვიტყვი და არც საჭიროა, რადგან თქმა არაფერს შეჰმატებს საქმეს და უთქმელობითაც არაფერს დააკლებს".

ვაჟასა და ხორნაულს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა მჟავეწყალთან დაკავშირებით.

იმ მჟავეწყალს, რომელიც ბეშახევაზე, არაგვის მარჯვენა მხარეს, გამოდის და დღეს „ვაჟას წყაროს" სახელით არის ცნობილი, უხსოვარი დროიდან მთის ხალხი სამკურნალოდ იყენებ-

და. ქარებიანი და დახუთულნი აბაზანებს იღებდნენ, ვისაც კუჭი სტკიოდა, სვამდა და ყველას ძალიან შველოდა. ვაჟას დროსაც ბევრნი მოდიოდნენ აქ. სამკურნალოდ მოსულნი ფიჩხის ქოხებს დგამდნენ და, აბაზანებისათვის წყლის გასათბობად თუ საჭმლის მოსამზადებლად, ტყეს ჭრიდნენ. გიორგი ხორნაული, როგორც „აბეშიკი", ტყის ჭრისათვის მათ ერთ საერთო ბილეთს უწერდა. ეს თანხა ძალზე უმნიშვნელო იყო, ბევრზე განაწილებული მით უმეტეს, მაგრამ გიორგი მაინც აფრთხილებდა თურმე, მდიდრებმა გადაიხადეთო. სოფელ ლახატოელმა ფშაველმა ალექსი ხუციშვილმა გადმომცა: „ექვსის წლისა, ვიქნებოდი, მამამ გამიყოლა ვეძაზე. იმოდენა ხალხი იყო, ხატობა თუ არიო, ვთქვი. ყველას თავთავისი ქოხი ედგა, ჩვენც დავჭერით თხილები და ფოთლის ქოხი დავდგით.

მეორე თუ მესამე დღეს კარგად ჩაცმული კაცი მოვიდა ცხენით, თოფ-იარაღში იყო ჩამჯდარი. თქვეს – ხორნაულიაო, „აბეშიკიო". კუნძზე ჩამოჯდა და ქვითარი გამოწერა. თუში მეცხვარე იყო ერთი, იმას მიაწვადა და უთხრა: ეგ ბევრი არაფერია, მაგრამ, ვინც მდიდრები ხართ, იმათ გადაიხადეთო. აემას წილში ნუ გაიყვანთ, ექვსი შვილი ჰყავსო, – მამაჩემზე უთხრა. იმის წასვლიდან არ გაუვლია დიდ ხანს და ვაჟა მოვიდა, ქვითარი მაატანინა და დახია: ჩვენი ტყისა არავის რა ესაქმებაო".

მთაში ბევრს მუდმივად ცხვრის ხორცის და ცარიელი პურყველის ჭამით, არაყის სმით, კუჭი ჰქონდა დაავადებული, ზოგიც უზომო ჯაფისაგან დახუთული იყო, დაქარიანებული. ექიმი და წამალი სად იყო. ისევ ბალახ-ბულახით მკურნალობისა და ვეძის აბაზანების იმედად იყვნენ – ერთადერთი „კურორტი" ჩარგლისკარი იყო. იქაც ფიჩხის ქოხებში აბაზანამიღებულთ ხშირად წვიმა ასველებდა, ცივდებოდნენ და უარესი ემართებოდათ. ამიტომ გიორგი ხორნაულს განუზრახავს აქ კურორტის აშენება და თავისი ფულების დაბანდება. სატყეო უწყებისაგანაც მიუღია ამის თანხმობა, ინჟინრებიც მოუყვანია, დაუპროექტებინებია და შესდგომიან მუშაობას. მოსულა ვაჟა. იმ დროს გიორგი იქ არა ყოფილა. ვაჟას გამოუყრია მუშები: მამაჩემის მამულში მჟავე წყალია, თუ ტკბილი წყალი, არავის საქმე არ არისო. ცემენტით ამოშენებული დაუნგრევია, ტყვიის მილი წაუღია და ხორნაულისათვის ორაზროვნად დაუბარებია: ამ მილისაგან

ჩემი „აინალის" ტყვიებს ჩამოვასხამ და ერთს შენ გამოგიგზავნიო!

გიორგი ხარნაული რომ მოსულა და ეს ამბავი გაუგია, გაბრაზებულს მიუბრუნებია ცხენი და პირდაპირ ჩარგალს წასულა ვაჟასთან. „შემოსვლისას მე დამიძახა, – მიამბო ოსა პაპამ, – გაცეცხლებული იყო. მითხრა,-წამოდი, ჩვენ ლაპარაკს დაესწარი, თორემ ხომ იცი მერე კუდებს რამეს გამოაბამენო. წავედით. გიორგი ცხენიდან არ ჩამოსულა, პირდაპირ ისე მიადგა ვაჟას კარზე. ვაჟაც გამოვიდა.

– რატომ გამიყარე მუშები, ხელი რატომ შემიშალეო? – ჰკითხა.

– იმიტომ გაგიყარე, რომ მანდ არაფერი გესაქმება. გასაკეთებელს მე თვითონ გავაკეთებ. მაგ წყლის შემოსავლით შენ კი არა, მე უნდა ვიცხოვრო, კურორტს მე ავაშენებო! შენ არა გჭირდება, მე კი მიჭირსო!

– რისი ამშენებელი ხარ, ცოლ-შვილი მშიერ-ტიტველი დაგიდის. მე ხალხისათვის მინდოდა ამეშენებინა, რაღაცა დარჩენილიყო, თორემ მე არაფერი მაკლია. მე ხალხისათვის მინდოდა, შენ კი შენთვის გინდაო! – მილანძღა, შემოაბრუნა ცხენი და წამოვიდა".

საქმე მაინც სასამართლომდე მისულა. ვაჟას თიანეთის მაზრის სასამართლოსთვის აცილება მიუცია – აქ მე ყველას ვეჯავრები, გიორგი ხორნაულს კი ყველა მიუდგებაო და დუშეთში უთხოვია საქმის გარჩევა. ჩანს, ვაჟას თავიდანვე ეეჭვებოდა ამ საქმის მოგება, გრძნობდა, რომ ტყუოდა. ახლომახლო მყოფთაგან, ახლო სოფლებიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით ჩარგლელებზე, მოწმედ არავინ დასდგომია, ამიტომ მოწმეების ძებნა შორს დაუწყია. ლევან ბოძაშვილის მოგონება:

„ეს იყო 1914 წელს. მე მაშინ 9 წლისა ვიყავი. შემოდგომის პირი იყო. ადგილზე მოთიბული თივა უკვე საბძელში გვქონდა შეტანილი.

შუადღე იქნებოდა. ძაღლები ახმაურდნენ. მამაჩემმა შინიდან დერეფანში გამომძახა: გახედე, შვილო, ვინ არისო!.. გადავიხედე და დავინახე ცხენზე მჯდომარე კაცი. ძაღლები ცხენს გარეშემო უვლიდნენ. მე ის კაცი არასოდეს მენახა, სახლისკენ მოვბრუნდი და მამაჩემს შევძახე, ვიღაც უცხო კაცია, აქ მოდი-

სო. მამა მაშინვე გარეთ გამოვიდა და ცხენოსანი კაცისკენ წავიდა, ძაღლებს დაუთათანა, ჩამოქვეითებულ მგზავრს მიესალმა.

– კაცო, რა ავი ძაღლები გყოლია, პავლე, ცხენიდან ჩამოსვლის საშუალება აღარ მომცეს, – უთხრა მამაჩემს. ამ საუბრით დერეფნის კარებთან მოვიდნენ, ცხენი მამაჩემს ეჭირა, შავი ცხენი იყო, შუბლზე თეთრი; ასეთ ცხენს ჩვენში საღარს ეძახინ. მამაჩემმა ცხენი დერეფნის ბოძზე დააბა, მომიბრუნდა და მითხრა: წადი, შვილო, თივა ჩამოუტანეო! იქვე გვერდზე იყო საბძელი, მივირბინე და ახლად შეყრილი თივა ავიღე, რასაც მოვერეოდი და ცხენს დავუყარე. მოვიდა მამაჩემი, ცხენს აღვირი წამოჰყარა და თივა კარგად მოუჩოჩა. შემობრუნდა დერეფანში და სტუმარს ამბის კითხვა დაუწყო.

– კაცო, ვაჟავ, მაშ აქ საიდან, შეწუხებული ხო არაფერზე ხარო?

ამასობაში დედაჩემმა დერეფანში მდგარ ტახტზე ნაბადი დააგო და მამამ დასაჯდომად მიიწვია სტუმარი.

– მადლობთ, პავლე, არა გვიშავ დღევანდლამდე, ვცოცხლობთ კია. აბა, უსაქმოდაც არავინ გაირჯება. შარახევში მეორედ ეხლა შენთან მოვედი, შარშანწინ ლახატოში ვიყავ ყრუვ-გიორგისთან. შენი სახლი არ ვიცოდი, ბესარიონს ვიცნობ, იმან მომასწავლა ჭალიდან, პირველად იქ მივედ.

ამ დროს დედაჩემმა საჩქაროდ ერბო-კვერცხი გააკეთა, მახსოვს, ქვის ჯამში, ერთი ბოთლი არაყი, პური და ყველი გაამზადა. მამამ ტახტის წინ სამფეხა ჩიკა დადგა და დედაჩემმა ხონჩა რომ გამოიტანა, მამამ ამ ჩიკაზე დადგა ხონჩა. მამაც გვერდზე დაუჯდა ვაჟას. მე იქვე ვიდექ, დერეფნის ბოძზე მქონდა ცალი ხელი შემოხვეული და ყურს ვუგდებდი იმათ საუბარს. მამამ დამსაქმა: წადი, შვილო, თუნგით ახალი წყალი მოგვიტანეო. მე სწრაფად დავეშვი და წისქვილის წყალგადასაგდებიდან შარახეულას ანკარა წყალი ამოვკრიფე და მოვუტანე. თუნგი რომ დავდგი, ვაჟამ მითხრა: ყოჩაღ, შე მამაძაღლო ბოლშევიკო! ერთი შენი ტოლი ბოლშევიკი მეცა მყავს სახლშიო. ცხადია მე ვერ გავიგე რა მითხრა, შევედი სახლში და დედასა ვკითხე – ვინ არი, დედავ, ეგ სტუმარიო?

– ეგ, შვილო, პოეტია, ვაჟა-ფშაველა, მამაშენი რო გიამბობდა გუშინა, ის მაგის დაწერილიაო.

ისევ გარეთ გამოვედი, ისევ დერეფნის ბოძთან დავდეგ და უფრო ინტერესით ვუყურებდი სტუმარს. ვაჟას შავი ჩოხა ეცვა, მასრებიც შავები ჰქონდა, შიგადაშიგ აკლდა. თავზე გრძელბეწვა შავი ტყავის ქუდი ეხურა. ქუდი მაიხადა და იქვე გვერდზე დაიდო, თმა-წვერზე ხელი ჩამოისვა, უბის ჯიბეში მარჯვენა ხელი ჩაიყო და ჭრელი პირსახოცი ამოიღო (შემოღებული იყო მთაში წითლით ჭრელი, არშინის სიგრძე-სიგანის ნაჭრები, რომლებსაც პირსახოცებს ეძახდნენ), თვალისკენ წაიღო და კი არ მოისვა, მიიდო, ისე შეიშრო თვალიდან მომდინარე ცრემლი. ეს პირსახოცი მთელი პურის ჭამის მანძილზე უბეში აღარ ჩაუდვია, შეიმშრალებდა გადმობრუნებულ თვალს და მარჯვენა მუხლზე დაიდებდა ხოლმე.

პური ჭამეს, ვაჟამ სამი არაყი დალია და ძალიან ეხვეწა მამა, მაგრამ მეტის დალევაზე უარი თქვა.

პურის ჭამის დამთავრებისას ვაჟამ მამას უთხრა:

– პავლე, შენ კარგად იცი მე უსაქმოდ არ მოვიდოდი... ეგ სუნიანი ხევსური რომ დაგვაჯდა თავზე და ხალხს საშუალებას აღარ აძლევს ბუნების დოვლათით თავისუფლად ისარგებლოს... ალბათ იცი, მე და მაგისი დავის ამბავი. ეხლა საქმე „სუდამდე" მივიდა.. მე თიანეთიდან საქმე დუშეთში გადმოვიტანე, რადგანაც მაგას თიანეთში ბევრი ძაღლები ჰყვანან. ეხლა „ლაზბორი" დუშეთში იქნება მომავალ შაბათს. გიორგი ხორნაული ცდილობს ეგ მჟავეწყალი სატყეოს მიაკუთვნოს, მე ვუმტკიცებ, რომ ეგ წყალი ჩვენი ადგილისა და ხალხისაა. მე ყველა სოფლის მოწინავე კაცები ვნახე, აქ შენ და ბესარიონიღა დამრჩით და, აი, შენთანაც მოვედ. თქვენ „სუდში" მოწმეთა ხართ ჩაწერილები. პავლე, ძალიან ცოტა გექნებათ სათქმელი, მარტო ის უნდა სთქო, რომ ეგ მჟავეწყალი ჩარგლის საგოგოჭურო თემის გასადევარშია, ე. ი. ჩარგლის ხევი რასაც გასდგამს, არაგვს გაღმა და გამოღმა – საგოგოჭურაო. მეტი არაფერი.

მამა, მახსოვს, ფეხზე ადგა, მაიხადა ქუდი და ვაჟას უთხრა:

– შენი ჭირიმე, ვაჟავ, მოდი მაგ საქმეში ნუ გამრევ. მე საქონლიანი კაცი ვარ და ტყეში ვცხოვრობ. არ შეიძლება ისე ვიყო, რომ რაიმე დანაშაული არა მქონდეს. კაცო, ეგ კაცი მთელი ფშავის სატყეოს უფროსია, ერთი „პრატაკოლის" შედგენა ჩემთვის დაღუპვა იქნება და მე ეხლა იმის თავი არა მაქვს, მაგას

ვეჭიდავო. მაპატიე, შენი ჭირიმე, და მე ვერ წამოვალ სასამართლოზეო.

– პავლე, შენ მოწმედ იმით დაგაწერინე, იმედი მქონდა ისე იტყოდი, როგორც ჩვენი ხალხისად კარგი იქნება და ეხლა მეტი ჩარა არ არის ეს უნდა გააკეთო. ნუ გაშინებს, თუ რამე დაგიწყოს, მე აქ ვიქნებიო.

მახსოვს, მამაჩემი კიდევ ეხვეწებოდა, მაგრამ ვაჟა დაჟინებით მოითხოვდა მამას სასამართლოზე გამოცხადებას. მამამ ვაჟა გამოაცილა, დაიგვიანა, ალბათ კიდევ ილაპარაკეს ამ საქმეზე. რო მოვიდა, მამამ თქვა:

– უჰ, ეს რა საქმეში გამხვია, მაგისი ხათრი ძალიანა მაქვ, მაგრამ მოწმედ მაინც ვერ წავალო.

შემდეგ გავიგე, რომ მამა მოწმედ წასულა, მაგრამ როცა დაუნახია მოწმეებს მღვდელი აფიცებდა – მას გაგონილი ჰქონია, ვინც ტყუილად დაიფიცავს, მოდგმა არა რჩებაო – ამოუღია მანეთი, სასამართლოს მაგიდაზე დაუდვია: ვიხდი ჯარიმას, თქმით არაფერს ვიტყვიო, გამოსულა გარეთ, ცხენი იქვე ჰყოლია, შემჯდარა და გამოქცეულა. უთქვიათ ეგ უფრო სიმართლეს იტყვისო, კაცი დაუდევნებიათ, მაგრამ ვეღარ დასწევიან. ისიც გავიგე, მერე, მალევე სადღაც, შარახეულაზე შეხვედრია ვაჟას მამა. მამას მოუბოდიშებია და თან უკითხია, რა ჰქენი, როგორ გადაწყდა საქმეო?

– როგორ გადაწყდებოდა, გამამტყუნეს პ...ჭ კომბოსტოიანებმა! (ე. ი. ბორშიჭამია რუსმა მოსამართლეებმა) მაგრამ ეგ არაფერი, დედას გიტირებთ ყველას, იმათაც და თქვენცაო!

ამოჰკრა ცხენს მათრახი და გამცდაო".

ამის შემდეგ ხორნაულმა სულ მიანება თავი მჟავეწყალს. ვაჟამ კი დადგა ფიცრის ფარდული, აბაზანებისათვის საჭირო კასრები შეიტანა და სამკურნალოდ მოსულ ხალხს იქ იღებდა. თვითონაც სჭირდებოდა აბაზანების მიღება და ფიქრობდა, ძირითადად იქ ვიქნებიო. ფული მაინც არა ჰქონდა ექიმებთან მკურნალობისა. ავადმყოფებს ქვითრებს უწერდა და მცირეოდენ ბაჟს ახდევინებდა. ვაჟას მოჯამაგირედ ჰყოლია ვიღაც უძილაური. ერთხელ მისთვის მიუცია ქვითრები და უთქვამს: გადი ბეშახევაზე, წყაროს თავზე დაჯექ და ვინც მოვა წყლის დასალევად, ქვითრები მოუხიე და ფული გამაართვიო.

არა, ეს არ იყო არც ხალხის ძარცვა, არც სიმდიდრის გროვება. ეს იყო უკიდურესად გაჭირვებული კაცის მიერ საარსებო სახსრების ძებნა. ვაჟა მიდიოდა იმაზე, რომ მომსვლელ ხალხს რაღაცა გროშების ფასად მომსახურებოდა: შეშა მოეტანა, დიდ ქვაბებში წყალი ჩაესხა, გაეთბო, იქიდან კასრებში გადაეტანა, მეორესათვის წყალი შეეცვალა და ა. შ. ამაყი ვაჟა სადამდე უნდა მიეყვანა გაჭირვებას, რომ ასე დაემცირებინა თავი. მიგრიაულებმა კი სულ სხვა თვალით შეხედეს ამ ამბავს: სამკურნალო წყალს თვითნებურად დაეპატრონა, ჩვენ ფარგლებში შემოიჭრა ჩარგლელი კაციო, ფარდული დაუნგრიეს და არაგვში გადაუყარეს, თვითონ ვაჟას კი მუქარა შეუთვალეს: ცალთვალა დევო, თუ არაგვს გამოღმა გამოსული დაგინახეთ, ცოცხალს არ გაგიშვებთო!

ვაჟამ ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობა თიანეთის მაზრის უფროსს, მაგრამ პასუხმა დაიგვიანა, პირადადაც არ მიიღო სალაპარაკოდ. ვაჟას ამ დროს მთავრობა, როგორც არასაიმედო პირს, უთვალთვალებდა. ვაჟამაც იფიქრა, ვაითუ ჩემს წინააღმდეგ რაიმე არის ჩაფიქრებულიო და მეფის ნაცვალთან აფრინა დეპეშა:

„Гударахи злоумышленники разрушили мое помещение для больных, об этом хател заявить Тионет. уездн. начальнику, не допустил к себе... жизнь моя в опасности. Прошу распоряжения".

მეფის ნაცვალმა, მართლაც, არ დატოვა უყურადღებოდ ვაჟა-ფშაველას საჩივარი და თიანეთის მაზრის უფროსს დაავალა საქმის გამოძიება. თიანეთის მაზრის სასამართლომ განიხილა საქმე. მოწმეებად ვაჟას ჰყვანდნენ ისინი, ვისაც თავის დროზე წყლით სარგებლობისთვის „ბაჟი" გადაახდევინა. საქმე ვაჟამ მოიგო და მის სასარგებლოდ მიგრიაულებს გადაახდევინეს ასი მანეთი (46, 390).

ფშავ-ხევსურეთში ყველამ იცოდა ვაჟა-ფშაველასი და ხორნაულის მტრობის ამბავი და ამას ხშირად ლექს-კაფიებში იყენებდნენ მასალად. გადმოცემის თანახმად, ცნობილ ხევსურ მოლექსეს, ღულელ ნია ქისტაურს შუაფხოსკენ მიმავალი ვაჟა ხომის ძირს დუქანში უნახია და შეულექსებია:

ნია: – ხორნაულმ არსად მოგასწროს
არაგვს აღმე ნუ მიჰყვები,
შუაფხოს შავლილს ამბობენ
წინ სადმე გადაეყრები.
ვაჟა: – რას დამაკლებენ ჩარგლელსა
კაწალხეველი ბრიყვები,
სულ ეგრე დაწანწალებენ
ხელმწიფის აბეშიკები,
ბევრ დაუჭერავ ვაჟასა,
ე მაგისთანა ციყვები,
კიდევაც ავყრი აბჯარსა
სახლის კარამდე მივყვები.

მთიელები, საერთოდ, ვერ ითმენდნენ თავისი თანამოძმის გადიდკაცებას, გამდიდრებას, წამოყელყელავებას. თუ ვინმე ასეთი გამოჩნდებოდა, მოიშორებდნენ, მოჰკლავდნენ. ვაჟა იოლად ჩააწყნარეს, თანამდებობა არ უწყობდა ხელს, გიორგი ხორნაულს კი მთავრობაც იცავდა. მის მეტობას, ცხვარ-საქონლის სიმრავლეს და „დიდკაცობას" ვერც ვაჟა ურიგდებოდა და ვერც თვით გიორგის თანასოფლელები, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხელგაშლილი ყოფილა. შობა-ახალწელს ყველასათვის საჩუქარი მიჰქონდა თურმე, სახლის ასაშენებლად უფასოდ აჭრევინებდა ტყეს ყველა გაჭირვებულს, თავისიანს. ამის გამო ბევრს ჰყვარებია კიდეც და როცა ჩუმი შეთქმულება წამოუწყიათ მის წინააღმდეგ, კაწალხევის ორმოცდაჩვიდმეტი კომლიდან ორმოცდაათს უარი უთქვამს, მხოლოდ შვიდს შეუკრეფია მანეთ-მანეთი. იმ შვიდ კაცს მოუწვევია ზენაური, ყაჩაღად გასული ხევსურები მის მოსაკლავად. ერთი ბარისახოელი ყოფილა, სულხანაური. შვიდი მანეთი უჩვენებიათ და დანარჩენ ორმოცდაათ მანეთსაც შეჰპირებიან ტყუილად. მკვლელები უთენია გაუყვანიათ გ. ხორნაულის სახლის პირდაპირ და კლდეში ჩაუსაფრებიათ. იმ დღეს გვიან ამდგარა გიორგი, ხელში აყვანილი პატარა გოგონა ეზოში გამოუყვანია. ერთ-ერთ მკვლელს მაინც დაუპირებია სროლა, მეორეს ხელი აუკრია თოფისათვის: არ ესროლო, ამ კაწალხეველთიც რა ვთქვა, ამათ მოსაცემს მე მოგცემო. ამდგარან და იქიდან ტყედატყე გადასულან კილდოვანზე.

ეს მკვლელობა რომ ჩაშლიათ, თანასოფლელთ მეორედ სხვა მკვლელები უნახავთ – გაყაჩაღებულები შარახეველი ხთისიკა ლიქოკელი და კევლიანელი უქათ მამუკა (ბურდული), ბარისკენ ჩამოსახლებული ხევსურები. არა თმობდნენ, რადგან არეული დრო იყო, ბარიდანაც ხმა მოდიოდა–მდიდრები, თავადები უნდა მოისპონო. სპობდნენ კიდეც, ეს საზარელი კაცთა კვლა „მესამე დასელებმა" უფრო ადრიდან დაიწყეს, ხოლო ილია ჭავჭავაძეზე ხელის აღმართვის შემდეგ, რა თქმა უნდა, აღარავის მოკვლა და მოსპობა აღარ წარმოადგენდა სიძნელეს. ასეთი ძმათამკვლელობისათვის წაქეზებული ხალხი აღარ ეცდებოდა მოთმინებას, თავის შურისა და მტრობის გულში ჩაკვლას, თანაც თუ ეს მკვლელობები ხდებოდა დიდი საქმისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ლოზუნგით. ნ. ჟორდანიამ ილიას მკვლელობაც კი სრულიად კანონზომიერად ჩათვალა, ხოლო ვინც მათ ამ საზარელი მოქმედებისათვის გმობდა – რეაქციონერებად. აი რას წერდა ის ილია ჭავჭავაძის დაკრძალვიდან ერთი თვის შემდეგ სოციალ-დემოკრატების გაზეთში – „ჩვენი გზა". „როგორც ჰხედავთ, მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ვთქვათ: ყველა ეს მართალია, ვთქვათ სოციალ-დემოკრატების მიერ მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი?.. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუაგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება იქ ნაფოტებიც ცვივა? დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე, მარა ამიტომ რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა".

ამრიგად, ერთი ნაფოტი იმ დიდი ხის ჭრაში, რომელსაც საქართველო ერქვა, გიორგი ხორნაულიც აღმოჩნდა. სხვა მდიდრები, ბევრი ცხვრის პატრონი ხალხი, შემდეგში მიაყოლეს.

ეს ვაჟას სიკვდილის მეორე წელს მოხდა, 1916 წლის გაზაფხულზე. გიორგი ხორნაული ჩვეულებრივ ჩავიდა შირაქში თავის ცხვრის ფარების გამოსაცილებლად. მშვიდობით იმგზავრეს ფშავის ხევამდე, თვალივამდე. იქ ბესოს დუქანში სუფრა გააშლევინა, გაზაფხულისა და ცხვრის მოსვლა დაალოცვინა ყველას, ვინც იქ შეესწრო. სიზმარი ჰქონია ცუდი ნანახი და ისიც

უთქვამს, სახლამდე ვერ ავაღწევო. დუქანში საეჭვო ადამიანები გამოჩენილან და საეჭვოდვე გამქრალან. უშალეს თურმე წასვლა, მაგრამ არ დაიშალა. ცხვარს წინ წაუძღვა. ცხენი აღვირით მიჰყავდა. ბუსნის ჭალას ტყიდან ესროლეს. პირახვეულს ჩამოურბენია უქათ მამუკას თოფის დასატაცებლად და წამით დაშტერებია მომაკვდავს. მერე უთქვამს: ლამაზი ვაჟკაცი ყოფილიყო, ადრე რომ მცნობოდა, მოსაკლავად არ გავიმეტებდიო. გიორგი ხორნაულის სიკვდილზე ხმით ნატირლის კილოზე ლექსიც არის ნათქვამი, რომელიც პირველად ვახტანგ კოტეტიშვილმა შეიტანა თავის „ხალხურ პოეზიაში”:

„ლომო, შე ლომის მოკლულო, ბუსნის ჭალაის პირსაო,
ვინ შაგიღება მხარ-ბეჭი წითელი ატლასითაო,
ვინ გაგიმეტა სათოფედ, პატრონი ბევრი ცხვრისაო?
ლამაზად დაგიტირებდი ხათრი არ მქონდეს ქმრისაო”.

გიორგი ხორნაულიც ვაჟა-ფშაველასავით ლამაზი ვაჟკაცი ყოფილა. იგი ცოლ-შვილიანი თავის სოფლელს, ქორიათ მზექალას, ჰყვარებია. ისიც ლამაზი ქალი ყოფილა, ვაჟკაცური. საქონლის სამწყემსოში თოფი დაჰქონდა თურმე. გიორგი ხორნაულის მოკვლის ამბავი კაწალხევის ჭალაზე სამწყემსურში ნამყოფისთვის უთქვამს ვიღაცას. მოუტრიალებია თოფითოფს ზიდავდა თურმე, და გულში დაუკრია, თუმცა ცოცხალი როგორღაც გადარჩენილა და მერე მიაგრიაულთაში გაუთხოვებიათ.

აი, ასეთი პიროვნება იყო ვაჟას”ბლოელ აფშინას” პროტოტიპი გიორგი ხორნაული და არა ისეთი მხდალი და გაიძვერა, როგორადაც წარმოდგენილია ვაჟას შესახებ არსებულ ზოგიერთ გამოგონილ „მოგონებაში”.

საქვეყნო გულისტკივილი

მთაში გამომწყვდეულ, გლეხურ საქმეში ჩაბმულ ვაჟა-ფშაველაზე ისეთი შეხედულება ჰქონდა ბევრს მაშინაც და შემდგომშიც, თითქოს ის რომანტიკული, ცხოვრებით გალაღებული არწივივით ნავარდს სცემდა მაღლა ცაში, დღენიადაგ ფანდურზე დამღეროდა და ქვეყნის ავ-კარგი აღარ აინტერესებდა, არაფერს კითხულობდა, არაფერში ერეოდა. მართლაც, ისეთ პირობებში მყოფი კაცისაგან მოულოდნელი იყო კონტაქტების შენარჩუნება საქვეყნო საქმეებთან. სინამდვილეში კი ვაჟას არასდროს შეუსუსტებია კავშირი ბართან, ყოველთვის ფხიზლად ადევნებდა თვალს მოვლენებსა და ფაქტებს, ყველაფრის საქმის კურსში იყო, ყველას და ყველაფერს ეხმიანებოდა ლექსებითა თუ სტატიებით. ლექსებით გამოეხმაურა ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებას განჯიდან 1893 წელს, იმავე წელს ალ. ყაზბეგის გარდაცვალებას, 1907 წელს ილიას მკვლელობას და სხვ. ვაჟას გულს უკლავდა სამშობლოს რჩეულ შვილთა მწარე ხვედრი, მაგრამ განსაკუთრებით მწარედ განიცადა თავისი „მხრისა” და თავის მსგავს სიდუხჭირეში მყოფი კაცის აღსასრული. კაცისა, ვინც მოძულებული ჰყავდა შინაურსაც და გარეულსაც, ბინა არა ჰქონდა და საჭმელად პური. დის ქმარი, „დიდი კაცი” შინ არ უშვებდა, როგორც „გიჟს”. დავით კლდიაშვილი ალ. ყაზბეგისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების გამო წერდა: „ბევრი უსამართლოდ ექცეოდა სანდროს და ხანდახან ცხარე ცრემლითაც ატირებდნენ მას”. ვაჟამ კი სისხლ-ცრემლიანი ლექსი მიუძღვნა:

„შვილო ტანჯულის ქვეყნისავ, სული დაჰლიე ტანჯვითა,
მიუხვალ მამა-პაპათა, ამოღებულის ხანჯრითა,
ცრემლად დამდნარის გულითა, დაღლილი მტრისა ჯავრითა!..”

ვაჟა-ფშაველა ასევე ეხმაურებოდა ან მონაწილეობას ღებულობდა გამოჩენილ ადამიანთა საღამო-იუბილეებში, თუკი შეატყობინებდნენ, მიიწვევდნენ. მას მონაწილეობა მიუღია შიო მღვიმელისათვის გამართულ „საბავშვო დილაში”, ე. ჩერქეზიშვილის „საბენეფისოდ გამართულ საღამოზე” და სხვა, მაგრამ

მათგან მაინც ყველაზე აღსანიშნავია ვაჟას მონაწილეობა აკაკი წერეთლის იუბილეში.

1908 წლის 7 დეკემბერს ქართველმა ხალხმა დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადა თავისი საყვარელი პოეტის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ეს საერთო სახალხო ზეიმი მარტო საქართველოში კი არა, მთელს რუსეთის იმპერიაში აღინიშნა. თბილისში გამართულ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საიდანღა არ ჩამოვიდა დელეგაციები, ხალხი. წესით ვაჟაც აქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეჭვობდნენ, აკაკისაგან განაწყენებული შეიძლება არც ჩამოვიდესო. ვაჟა დიდბუნებოვანი ადამიანი იყო და პირად, წვრილმან გრძნობებს არ აჰყოლია. მას არ შეეძლო თაყვანი არ ეცა ერის საამაყო პიროვნებისათვის, არ ეზეიმა სამშობლოს ზეიმით. ვაჟა ჩამოვიდა, მიუხედავად იმისა რომ ზამთარი იყო. მთაში ამ დროს თოვლისა და ყინვების გამო ხშირად გზებია ჩაკეტილი, ვიწრო, ყინულიან ბილიკებზე ცხენ-კაცის გადაჩეხვა იოლად მოსალოდნელია, არაგვის სიო ძვალ-რბილში გამტანია, ცხვირ-პირისა და ხელფეხის მომზრობი. ცხენზე ვერ გაძლებს კაცი და ვერც შეჯდება, ფეხით უნდა იაროს, თუ თავისი თავის სიკეთე უნდა, ცხენი კი აღვირით ატაროს. ვაჟასთვის ეს ორმაგად ძნელი საქმე იყო, რადგან იმ დროს ხშირად ავადობდა.

თავი გადადო ვაჟამ, რადგან მისი სიძნელეებისა და გასაჭირის გამგები არავინ იყო.

ს. მშველიძე იგონებს: „მე, მიხა და თედო რაზიკაშვილებმა ერთი თვით ადრე დავიკავეთ ბილეთები შიო მღვიმელის ხელით. ჩავედით ტბილისში სანდრო რაზიკაშვილის ოჯახში, მაგრამ ძალიან გულნატკენები დავრჩით, რომ ვაჟა არ დაგვხვდა იქ, თანაც გვითხრა სანდრომ, რომ ვაჟა არ ჩამოვაო, ამან უფრო მოგვიკლა გული. რას ვიზამდით, დავემორჩილეთ ბედს და შევუდექით ვახშმის ჭამას... ღამის თორმეტი საათია, ჩვენ ყველანი ღვინით შეხურებულნი ვართ. კარებზე ვიღაცა აკაკუნებს. სანდროს ცოლი კარებს მივარდება და გააღებს. მობრუნდება და გვეუბნება: მაზლიაო... ვაჟას ჩამოსვლამ ძალიან გაგვახარა ერთის მხრით, მაგრამ მეორე მხრით კი მოგვიკლა გული: გვითხრა, რომ აკაკის მე ძალიან პატივს ვცემ, მაგრამ იუბილეზედ კი არ წამოვალო. დავიხოცენით ყველანი, ჩავქინდრეთ თავები. თედო მაინც ჭექს:

გათენდეს, წამოვა, აზრს შეიცვლისო! ვაჟა მაინც უარზეა. მე მომაგონდა, რომ ვაჟა ნაწყენი იყო აკაკისაგან...

გათენდა, მეორე დღესაც უარზე იყო. ჩვენ ვუთხარით, ნუ წავალთ, ისე გავიაროთო. როგორც იყო წამოგვყვა. სახელმწიფო თეატრს აუარებელი ხალხი ეხვევა, ვინ იცის, რომელი კუთხიდან არ იყვნენ ჩამოსულები. ვაჟა ჩუმად არის. ჩვენც ჩუმად ვართ. გავცდით თეატრს, შევხვდით სამსონ ფირცხალავას. სამსონს ძალიან გაეხარდა ვაჟას ჩამოსვლა. დიდი ხვეწნის შემდეგ დავიყაბულეთ, ბილეთიც ვუშოვეთ საჩქაროდ და შევედით თეატრის კარებში.

დაიწყო მილოცვები, მაგრამ გვწყინს, რომ ვაჟა არა ჩანს. პირველ ანტრაქტზე მივედით ვაჟასთან და ვუთხარით: რას შვრები, ვაჟა, მთელი ერის დღესასწაულია, ნუთუ შენ არ უნდა აღნიშნო შენი აქ ყოფნა უბრალო რამით მაინც-თქო.. ვაჟამ მითხრა, კარგი, აბა, ავიდეთ ბუფეტში და ერთი ბოთლი ღვინო დამალევინეთ, რომ მუზა მოფრინდესო. მე ხუმრობით ვუთხარი ფული არა მაქვს-მეთქი.

– ვაი, თქვე ბეჩავო ჩინოვნიკებო! მაშ, მოიტათ ქაღალდი.

უცებ ვიღაცამ ამოიღო უბის წიგნაკი და მიაწოდა, მისცეს ფანქარიც და ჩემ ზურგზე დაწერა ის ლექსი...

სცენაზე ვაჟას გამოჩენამ ხომ სულ გადარია ხალხი; ხანგრძლივი ტაში და ოვაციები ვაჟას, ყვავილების სროლა, აღფრთოვანება და სიყვარული" . (46, 327).

ვაჟა დიდი მგზნებარებით ეხმაურებოდა ყოველ აქტუალურ საკითხს, მაგრამ მის პუბლიცისტურ წერილთა უმეტესობა მაინც ეროვნულ საკითხებს ეხება, რადგან ერი და ერის სიყვარული თავისი „კაცობის გვირგვინად" მიაჩნდა. მარტო კალმით არა, ვაჟა ყოველთვის მზად იყო საქმითაც გამოსდგომოდა ქვეყანას, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, სადაც კი რამეს ეკითხებოდნენ.

ვაჟამ დიდი ამაგი დასდო შირაქში მთიელთა დასახლების და შირაქის შენარჩუნების საქმეს. შირაქის ველ-მინდვრები ოდითგანვე ქართველ მთიელთა – თუშ-ფშავ-ხევსურთა და მთიულ-გუდამაყრელთა – საზამთრო საძოვრებად ყოფილა. აქ იზამთრებდა ხოლმე მათი ცხვრის ფარები. შირაქში დასახლება

ვაჟა-ფშაველა ლეო და დათიკო ცისკარიშვილებთან

არსად იყო და არც რაიმე კვალი არსებობდა. შემდეგში სახლებისათვის საძირკვლების გაჭრის დროს აღმოჩნდა დაახლოებით პირველი საუკუნის დროინდელი ქართველთა სამოსახლოების კვალი, სამარხები.

1899 წელს მეფის მთავრობამ განიზრახა შირაქში ჩამოესახლებინა რუსები ისევე, როგორც ეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოიმოქმედა.

მეფის რუსეთი გარუსების, ადგილობრივთა რუსებში აღრევის მიზნით სხვა ხალხებშიც აკეთებდა ასეთ ოპერაციებს.

გარდა რუსებისა, ევროპიდან და აზიიდან ჩამოყვანილ კოლონისტებსაც ასახლებდა საქართველოში – მაგალითად, გერმანელებს.

შირაქის ნაყოფიერი მიწა რომ სამოსახლოდაც კარგი იყო, ეს მთიელებმაც იცოდნენ, მაგრამ არა სახლდებოდნენ იქ, რადგან საზამთრო საძოვრად უნდოდათ. ეხლა კი შეიქმნა საფრთხე შირაქის მთლიანად დაკარგვისა. ამას კი სჯობდა, იქ ისევ მთიელები დასახლებულიყვნენ.

თავის სამოსახლოდ ვერ იმეტებდნენ შირაქს მთიელნი, „სამაგიეროდ მეფის რუსეთი აქ ასახლებდა შიგა გუბერნიებიდან მოსულებს (მან რუსების დასახლება ჯერ კიდევ 1899 წელს დაიწყო). აგრეთვე შირაქში დაბანაკებული ჯარის ნაწილის ჯარისკაცებს სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, რის დამადასტურებელია ის, რომ დღეს აქ მცხოვრებ რუსებს ქართველები „ასტავნოის" („რიყითვნრღ") უწოდებენ (19, 23).

მთავრობის განზრახვას ყური მოჰკრა ილია ჭავჭავაძემ. მან ჩუმად გაანდო ეს საქმე ვაჟა-ფშაველას და სთხოვა, ასევე ჩუმად ჩაეგონებინა მთიელებისათვის შირაქში დასახლებულიყვნენ. მთიელებმაც რაკი იგრძნეს მოსალოდნელი საფრთხე, გადაწყვიტეს, უმალ თავად დაეკავებინათ შირაქი და ნელ-ნელა იწყეს დასახლება. გაჩნდა პატარა სოფლები – ზემო ქედი, ქვემო ქედი, არხილოს კალო. მეფის მთავრობას არ ესიამოვნა ქართველ მთიელთა თვითნებობა, მისი პოლიტიკის საწინააღმდეგო მოქმედება და განიზრახა მათი იქიდან აყრა. ამასვე ითხოვდნენ თუშებიც, რომელთაც მხოლოდ ცხვრის საძოვრების აღდგენა უნდოდათ და სხვა არაფერი. მათ მტრობა გამოუცხადეს იქ დასახლებულ ხალხს და ჰაერში უკვე სისხლის სუნი ტრიალებდა – შეტაკება იყო მოსალოდნელი. რამდენიმე მოთავე ქურდულად მოკლეს, რამდენიმეს წამოსვენება მოუხდათ მთაში. დიახ, მთაში მიასვენებდნენ შირაქში მოკლულსა თუ გარდაცვლილს, თავიანთ საგვარეულო სასაფლაოზე, თავის წინაპართა გვერდით ასაფლავებდნენ. უცხო მიწაში ჩასაფლავად, „გადასაგდებად" ვერ იმეტებდნენ თავის მკვდარს, მით უმეტეს, რომ არ იყო გარკვეული დასტოვებდნენ მათ აქ, თუ აჰყრიდნენ. შირაქიდან ფშავამდე მკვდრის ატანას კი ცხრა-ათი დღე სჭირდებოდა. ამ

ხნის მანძილზე, განსაკუთრებით ზაფხულში, მკვდარი მეტად იხრწნებოდა; ზამთარში კი წარმოუდგენლად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული თოვლითა და ზვავებით ჩაკეტილ ბილიკებსა თუ მთებზე საკაცის ზიდვა.

ცალკე სიძნელემ, ცალკე კიდევ იმან, რომ მკვდართ იქ დაუმარხავად მიწას მყარად ვერ ემკვიდრნენ, ჩააგონა ფშავლებს, რომ იქ დამარხვა იყო საჭირო. ვიღაცას უნდა გაეწირა თავი თუ თავისი მკვდარი. და, აი, ხვნის დროს თოფი დაჰკრეს შირაქში დასახლების ერთერთ მოთავეს პავლე იანვარაშვილს. მან სულთმობრძავმა ანდერძი დატოვა: „აქ დამმარხეთ! ჩემი ცოდვა ჰქონდეს, ვინც აქედან ფშავში მათრიოს. სანამ აქ არ დავიმარხებით, შირაქს ვერ დავემკვიდრებითო!" შეუსრულეს ანდერძი და პირველი ის დამარხეს იქ. მას შემდეგ სხვებიც დაასაფლავეს და სოფელმა ფესვი მოიკიდა, დაემყარა მთიელი შირაქს. მერე უფრო გულდაგულ დაიძრნენ მთიელნი შირაქისაკენ. მთაში უპურობით შეწუხებულებმა გაიგეს შირაქის მიწის ბარაქიანობა და რაღა დაიჭერდა. ვაჟა წერდა: „ფშაველიც სთესავს ოთხი-ხუთი წლის გადაღალულ-გადაბრუნებულს მიწას და წესისამებრ ჰმკის, ლეწავს, მაგრამ მაინც ისევ ნახევრად მშიერია, რადგან უღონო, გამოღალული მიწა უხეირო, მცირე მოსავალს იძლევა.

აი, ეს გახლავთ მიზეზი, რომ აქაურებმა მიაშურეს ხამს და ნაყოფიერს შირაქის მიწებს და განა მარტო ფშავლებმა, არა, მთის ხალხი გამგელებული მიიწევს შირაქისაკენ, როგორც, მაგალითად, მთიულები, გუდამაყრელები, მოხევენი და სხვა",

მაგრამ თუშებსა და ფშავლებს შორის ბრძოლამ დიდხანს გასტანა. თუშების მხარეს იყო მთავრობა, ძალა, ფული და გამოცდილი ადვოკატები. ფშავლების მხარეს კი – ქართველი ინტელიგენცია, სიმართლე და ვაჟა-ფშაველა. იმართებოდა სასამართლო პროცესებიც, ერთ-ერთი ასეთი პროცესის დროს, როცა თუშების ნაცადმა ადვოკატმა, თავადაც თუშმა, სანდრო ცისკარიშვილმა, მთელი თავისი იურიდიული ცოდნა და გამოცდილება მოიშველია და საქმე თუშთა სასარგებლოდ გადახარა, ვაჟამ უკიდურეს ძალას მიმართა: ბარაქიანი სილა შემოჰკრა ადვოკატს. აქვე ისიც წამოაძახა თუშთა დამცველს, ქრთამად რამდენი ჰქონდა აღებული. ამით საქმე თავიანთ სასარგებლოდ შემოაბრუნა, მაგრამ ბიუროკრატიულ ქვეყანაში სიმართლის

პოვნა ასე ადვილი არ იყო. ამიტომ ვაჟას ხშირად უხდებოდა ჩასვლა შირაქში, წერილების გამოქვეყნება პრესაში, ბრძოლა...

რაკი მართალი გზით ვარაფერი გააწყვეს, მოწინააღმდეგენი ახლა ცილისწამებაზე გადავიდნენ, შეეცადნენ ვაჟა შირაქის საქმისათვის ჩამოეცილებინათ. გაზეთში „ხმა კახეთისა" 1914 წელს გამოაქვეყნეს წერილი, სადაც ცილი დასწამეს ვაჟას, თითქოს ქედელებისაგან ათასი მანეთი აეღოს ქრთამად, საქმისათვის კი არ მიეხედოს. ამ წერილის ამბავი ქვემო ქედიდან მიწერილი კერძო წერილიდან გაიგო ვაჟამ და „სახალხო გაზეთის" რედაქციას „დაგვიანებული პასუხი" გაუგზავნა. ამ საქმის ვითარების გასარკვევად დაწერილ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „ქედში მთის ხალხის ჩამოსახლებით დიდი საქმე გაკეთდა, მეორე საქართველო შეიქმნა თითქმის. ვისაც კი ჩვენგან იოტისტოლა შეგნება აქვს, სიყვარული თავისი ხალხისა, ამ ფაქტს სიხარულით უნდა ეგებებოდეს. საუბედუროდ, ყველა არ მიეგება სიხარულით და ზოგიერთი მოხელე ქართველთაგანი სწორედ ავაზაკურად ეპყრობოდა ქედელებს. უწოდებდა მოძალეებს (თავის ნებით დასახლებულთ), ჰყვლეფდა, ჰღვერავდა და ბევრი გადმოსახლებული იძულებული გახდა, ისევ მთაში დაბრუნებულიყო. ჩვენდა საუბედუროდ, ზოგიერთი მოხელე დღესაც ამ გზას ადგია, ხოლო არ ვიცი ამისთანა ქართველმა როგორ უნდა ატაროს ქართველის სახელი?

შარშან მკათათვეში რამდენიმე წერილი მივიღე ქედიდან; მთხოვდნენ იქ ჩასვლას; ბოლოს წერილებს კაციც მოჰყვა, სახელდობრ ბაზიერ ბაიაშვილი. იმან მომიტანა 30 მან. საგზაო ფული და თითქმის ძალიძალად წამომიყვანა: ეგები რამ გვიშველოო. რისთვის, რა საქმეზე? აი სწორედ ამ საქმეზე წერა და საუბარი მეზარება. მეზარება, რადგან საქმეს ძმათა მოძულების სუნი უდის, არ არის საქვეყნოდ გამოსატანი. ამისთანა საქმე არ უნდა გახდეს თავის დღეში საგაზეთოდ, არამედ უნდა შინაურულად გამოკეთდეს. ხომ მოგეხსენებათ, საქვეყნოდ გატანილ საახალუხეს პერანგიც აღარ გამოსდის. დღეს რა გაეწყობა, უნდა გავიხსენო ის უმსგავსი საქმე, რამაც მე ძალაუნებურად ქედელების ვექილად გამხადა.

თურმე თუშებს არ გაეშოთ სათიბად ქედელები შირაქში, გათიბული თივებიც ჩამოერთოთ ადმინისტრაციულის წესით და

საჯაროდ გაეყიდათ. ამ ნიადაგზე უნდა შეტაკება მოეხდინათ და გარეშე პირებს ხელი მოეთბოთ. ღვთის მოწყალებით ეს არ მოხდა და დღეს ქედელებს თიბვის ნება აქვთ შირაქში...

შარშან შირაქში 300-400 ვერსის სიშორიდან სამჯერ მომიხდა ჩასვლა, ხან ცხენით, ხან ფეხით. წელს მეოთხედ ჩავედი. ალბათ აქედან წარმოსდგა ის ცილისწამება, ვითომც მე ფული გამომერთოს ქედელებისათვის და კი აღარ ჩამოვსულიყავი?

შარშან პირველად რომ ჩავედი ქედში, ხალხს ჩემთვის დიდძალი ფული დაემზადებინათ – 2400 მან. მაგრამ მე ამ ფულიდან მხოლოდ 800 მანეთი ავიღე და დანარჩენი ისევ უკან დავუბრუნე. ავიღე იმიტომ, რომ თავად ღარიბი კაცი ვარ და სხვაც რომ არა ვსთქვათ, გზას, მისვლა-მოსვლას დიდი ხარჯი სჭირდება.

ჩემს მოკამათე „მეთვალყურეს" კი იმას მოვახსენებ პირველად და უკანასკნელად: მე რომ ხალხისათვის ფულების დატყუვნაზე მევლო, ს. ჩარგალში საქათმეში არ ვიცხოვრებდი და დაგლეჯილი ჩოხითა და ჩუსტებით არ ვივლიდი, ფიზიკური შრომით ხელებზე და ზურგზე ტყავი არ მექნებოდა გადამძვრალი". (46, 375–380).

ვაჟას ბრძოლამ და ამაგმა დიდი შედეგი გამოიღო. დღეს საქართველო წარმოუდგენილია „პურის ბეღლად" წოდებული შირაქის გარეშე; საზამთრო საძოვრებიც ბევრია და ზვრებითაც განთქმულია. ამიტომ ლოცულობენ შირაქელნი დღესაც ვაჟას სახელს და ყოველ წელს ზეიმობენ „ვაჟაობას".

ვაჟა და არტისტობა?

ვაჟა-ფშაველას მრავალმხრივ ინტერესთა სფეროში იყო მოქცეული ქართული თეატრიც, დრამატურგია. მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ მსახიობთან ვასო აბაშიძესთან, დუშეთში დაბადებულ-გაზრდილ კაცთან. ვასო აბაშიძის მეშვეობით იგი დაუმეგობრდა ვალერიან გუნიასაც. თბილისში ჩამოსვლისას აუცილებლად მოინახულებდა ხოლმე მათ, წვეულებაშიც მათ გარეშე არსად წავიდოდა და თეატრშიც ყოველთვის დადიოდა. 1889 წელს, როცა ვასომ გააცნო თავისი ოჯახი, თავისი მომხიბლავი მეუღლე მაკო საფაროვა, რომელ-

საც ასევე თურმე ენატრებოდა ვაჟას გაცნობა, ვაჟა უფრო მეტად ჩაერთო თეატრის ცხოვრებაში. სწორედ მათ მისცეს ბიძგი, რომ იმავე წელს ზედიზედ დაეწერა და გამოექვეყნებინა მცირე ზომის დრამატული ნაწარმოებები: „სცენა მთაში" (ხევსურების ცხოვრებიდან), „სცენები" (სცენა ხევსურეთში, სცენა ბარში).

ამ „სცენებით" მაშინ არავინ დაინტერესებულა. თვით „მოკვეთილიც" კი, ქართული დრამატურგიის მშვენება, ვაჟას სიცოცხლეში სცენაზე არ დადგმულა. მაშინ თუ ბევრს ვაჟას მთლიანი შემოქმედება ეთნოგრაფიულ ღირსებად მიაჩნდა, ჩვენს დროში ეს მცდარი შეხედულება „სცენებს" მაინც შეუნარჩუნეს. აი, რა წერია ჩვენი დროის ყველაზე ავტორიტეტულ, ასე ვთქვათ, კანონდებლურ გამოცემაში – „ქართული ლიტერატურის ისტორიის IV ტომში": „ვაჟა-ფშაველას „სცენები" სიუჟეტისა და მოტივების მხრივ არ სცილდებიან ეთნოგრაფიულ-საყოფაცხოვრებო ეტიუდების ჩარჩოებს. ავტორს არ უცდია ამ „სცენებში" რაიმე ღრმა პრობლემის ან თემის გაშუქება"... (44, 486).

ასე მარტივად არის გაგებული ეს „სცენები". ჩვენს ცნობილ მკვლევართაგან ზოგს ასე ესმის, ზოგი კი საერთოდაც არ ახსენებს ამ „სცენებს". სინამდვილეში კი ვაჟას აქ, ისევე როგორც სხვა ყველა თავის მხატვრულ ნაწარმოებში, ღრმა ჩანაფიქრი აქვს, „ღრმა პრობლემა", რომელსაც ჩაკვირვება და ჩაწვდომა უნდა. ვაჟამ კარგად იცოდა, რისთვის იდგმება სცენაზე სპექტაკლი, რა როლი ეკისრება მას მაყურებლის მიმართ. უშინაარსო ეთნოგრაფიული სცენის წარმოდგენით ხალხისა და სცენის მოცდენა არასაკადრისი იქნებოდა.

მაინც რა ჩანაფიქრი აქვს ვაჟას ამ „სცენებში", რომლის ამოკითხვაც ასეთი შეუძლებელი შეიქმნა? რა ხდება „სცენაში": ორი თანასოფლელი ხევსური აბიკა და მამასწვერა „მთას" უთიბავენ ფშაველ მამუკას. ღამე მამასწვერას ავსული, დევი მოეჩვენება და აბიკას ურჩევს, დასაძინებელი ადგილი შევიცვალოთ, ცუდ ადგილას მოვხვდითო. შელაპარაკდებიან, საცერულებით ეცემიან ერთმანეთს და დასისხლიანებულებს შემოსწრებული მამუკა გააშაველებს. შორიდან კი ისმის რუსების ზარბაზნების ხმა. თურმე იმ ხმას დაუფრთხია ბარიდან დევები და მთას შემოხიზნვიან. ესენი არიან, რომ ხალხს რევენ და ძმას ძმას აკვლევინებენ. ამიტომაც არის, რომ ვერ გაუგია მამასწვერას: „ქვე რა

გვქონდ დღეს საშუღლარი! დასწყიოს ღმერთმა, დევ-ეშმაკთ გადაგვლახეს, იმათ ქვე გვაქნიეს შუღლი".

რუსთ ხელმწიფესაც რაღაც ეშმაკეული გზით მოელიან თიანეთს – „ღურბლით მოვალისავ, რკინის ყუთჩი იჯდებისავ".

ავტორიტეტულ „ტომეულებში" კი ვკითხულობთ: „ვაჟა-ფშაველამ ამ სცენაში დიალოგების მეშვეობით გამოხატა ის ფაქტი, რომ ბევრ მთიელს „უბრალო კუნძი დევად ეჩვენებოდაო"...

მეორე „სცენები" (ფშავლის ცხოვრებიდამ) ასევე არასწორად არის „შეფასებული". თურმე ისიც „არ სცილდება საყოფაცხოვრებო მოტივის სფეროს, ღალატის ცნების ჩვეულებრივ გაგებას"...

მცირე პიესაში მოთხრობილია, თუ როგორ დასაჯა ფშაველმა შალვამ ცხვირის მოჭრით მოღალატე ცოლი, ხოლო ცოლის საყვარელი, ბარელი კაცი, ხანჯლით მოკლა. მერე კი თავისი ფეხით მიდის პრისტავთან და ეუბნება: „ცოლი გავასახიჩრე და მისი კურო კი მოვკალ... გთხოვთ დამიჭიროთ... მართალია, ეხლა ძველი დრო აღარ არის, რუსობაა, მაგრამ ვერ მოვითმინე... მამა-პაპის ჩვეულება ეგ იყო ჩვენი"... პრისტავი „დათვს" უწოდებს მამაპაპური წესის აღმსრულებელ ფშაველს და ჩაფარს უბრძანებს, გათოკეო – საციმბიროდ გაამზადებენ.

ამ „სცენებში" დაყენებულია ის დიდი სოციალურ-ეროვნული საკითხი, რაცა დგას ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში", ალ. ყაზბეგის მთელ შემოქმედებაში, მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში" და სხვაგან – ქართველთა ადათ-წესების შეუგუებლობა რუსთა მიერ ძალად თავს მოხვეულ კანონებთან. ეს პრობლემა, რომელზედაც ვაჟას იურიდიულ ინტერესებთან დაკავშირებით გვქონდა საუბარი, უმნიშვნელო არ იყო. პირიქით, ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი იყო იმ დროისათვის და გარკვეულწილად ასეთადვე რჩება დღესაც.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მცირე ზომის ნაწარმოებებში მჟღავნდება ყველაზე მეტად ვაჟას გასაოცარი იუმორი. ამ სცენებში, ამ ჟანრში მიეცა ვაჟას საშუალება ფშაური დახვეწილი თუ ილიასეული ღრმა იუმორის გამომჟღავნებისა.

თუ დღეს ამდენად გაუგებარია ვაჟას „სცენები" ჩვენი მკვლევრებისათვის, რაღა გასაკვირია, რომ ისინი ვერ გაეგოთ

მაშინ, როცა ვაჟას შემოქმედებისა ბევრი არაფერი ესმოდათ საერთოდ. ამიტომაც სცენისათვის ისინი არავის შეუმზადებია. რაკი „სცენები" ვერ გამოიტანეს სცენაზე, გადაწყვიტეს, თვით ვაჟა გამოეყვანათ. ჯერ ერთი, რომ იმ ხანებში მზადდებოდა დასადგმელად პიესა „ხევსურთა ქორწილი" და მთიელის როლში მთიელს რომ ეთამაშა, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა (იმ ხანებში გამოაქვეყნა ვაჟამ წერილი „ხევსურული ქორწილი", ალბათ, პიესაში დაშვებულ უზუსტობათა კორექტირებისათვის.), მეორეც, ვაჟა-ფშაველა-მსახიობი მაყურებელს მოიზიდავდა და ყოველთვის გაჭირვებულ ქართულ თეატრს ცოტა შემოსავალს გაუზრდიდა. ეს ვასო აბაშიძეს მოსვლია აზრად და ვაჟასთვის შეუთავაზებია:

–სულ რომ ქართული თეატრის სიყვარულზე ლაპარაკობ, მოდი, ერთი კარგი საქმე ქენი – ჩვენს ახალ სპექტაკლში ითამაშეო.

– თუკი შევძლებ, არ დაგზარდებითო! – თანხმობა მიუცია ვაჟას.

– ამ სპექტაკლში, – უთქვამს ვასოს, – ჩემი მეუღლე მაკო პატარძალია, შენ ნეფე იქნებიო.

– თუკი ამისთანა პატარძალი მეყოლება, იქნება გავბედო თამაშიო, – უთქვამს ვაჟას, – ოღონდ ქორწილის დროს თუ სულმა წამძლიოს და პატარძალს ვაკოცო, არ გეწყინოსო.

ვაჟა დათანხმებულა, მართლაც შეუსრულებია ხევსური ნეფის როლი, მაგრამ ძალიან უღიმღამოდ. მსახიობობა ყველაზე შეუფერებელი იყო მისთვის. დიალოგებს, სიმღერებს ისე აჭიანურებდა თურმე, ხალხი უხერხულობისაგან იშმუშნებოდა დარბაზში. ვასოსაც რაღაცა როლი ჰქონია ამ სპექტაკლში და ერთ-ერთი სცენის დროს ჩაუჩურჩულებია:

– ჩქარა, კაცო, ხმა ამოიღე, თორემ ხალხს დაეძინაო.

იმ დღიდან ვაჟა სცენას აღარ გაჰკარებია, იმ დღეს კი, მართლაც კარგი შემოსავალი მიუღია თეატრს.

ყველა რაღაც შემოსავალს იღებდა, ხშირად ვაჟას წყალობითაც, თვით ვაჟა კი ბევრს ვერსაიდან რას იღებდა. ამიტომ წუხდნენ მისი მეგობრები, ცდილობდნენ რაღაცაში ჩაებათ, რაღაცა საქმე მიეცათ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვერც რაიმე სახსრები გამოუძებნა ვაჟას, ვერც წიგნი გა-

მოუცა. საზოგადოების კიდევ ერთი წევრი სამსონ ფირცხალავა იგონებს: „ვაჟა-ფშაველას მძიმე მდგომარეობას რომ ვხედავდი, მინდოდა რითიმე დავხმარებოდი. ერთხელ ვურჩიე, შილერის ტრაგედია „ორლეანელი ქალი" გადმოეთარგმნა და წარმოედგინა გამგეობაში, ეგებ გამოეცათ და სასყიდელს მისცემდნენ. ვაჟამ მოკლე დროში შეასრულა თარგმანი და მოუტანა გამგეობას, რომელმაც ი. ჭავჭავაძეს გადასცა გასასინჯად. ილიამ არაფერი დასკვნა არ წარმოადგინა და წიგნი გამოუცემელი დარჩა".

ილიას, როგორც ჩანს, თარგმანი არ მოსწონებია. აზრიც ამიტომ არ გამოუთქვამს. თუმცა რაღა აზრი იყო იმაზე მეტი საჭირო, რომ ილიამ არ მოიწონა, დაიწუნა. მან ვაჟას თარგმანი დაუბრუნა „საზოგადოებას" და თან დააყოლა: „თარგმანი „ორლეანელი ქალისა" მე არ მომეწონა, მაგრამ უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას, მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეს და სხვასაც ვისმე გაასინჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისის ნაწარმოებების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთის კაცის აზრი და შთაბეჭდილება".

სამსონ ფირცხალავა მონდომებული ყოფილა, გამოცემით თუ ვერა, დადგმით მაინც ვინმე დაეინტერესებინა, რომ ვაჟას შემოსავალი რაიმე გასჩენოდა. მას დაუინტერესებია კიდეც ამ პიესით დრამატული საზოგადოება და სასწრაფოდ მიუწერია ვაჟასთვის ფშავში: „ძმაო ვაჟა! როგორც კი მიიღო ეს წერილი, დაუყოვნებლივ აფრინე შენი „ორლეანელი ქალი". მაგ პიესით გაიხსნება სეზონი 23 სექტემბერს. ამიტომ ეხლავე უნდა შევუდგეთ მზადებას. მერე „საზოგადოებასაც" გამოვაცემინებ. შენი ს. ფირცხალავა. 1904 წ. VIII. ტფ".

ვაჟა ამ პიესის თარგმანზე ძალიან გატაცებით მუშაობდა. მას არ შეეძლო რაიმეს ზერელედ, მხოლოდ ფულისთვის კეთება. „ერთხელ, დეკემბრის თვეში, – წერს მიხ. შამანაური, – ამხანაგთან ერთად შუაღამისას მომიხდა ვაჟასთან შესვლა. ვაჟას ოთახიდან სინათლე გამოდიოდა, შევედით შიგ, გულით მიგვიღო. ვაჟას მაგიდა ბუხართან მიედგა, მაგიდაზე ლამპა ოდნავ ბჟუტავდა, ვაჟას მურყნის ჩხირი გაეთალა, ზედ კალმის წვერი შავი ბაწრით მიება და შილერის „ორლეანელ ქალს" სთარგმნიდა. ვაჟამ თარგმანიდან რამდენიმე ადგილიც წაგვიკითხა. ეს ლექსად წყობა ისეთი მშვენიერება იყო, რომ დაღლილობა მთლად გადაგვავიწყდა და აღფრთოვანებულებმა ვაჟას დავუწყეთ კოცნა. ვაჟამ გვითხრა, მე ამას იმიტომ ვთარგმნი, რომ ჩვენს საზოგადოებას დავანახო, თუ როგორ უნდა თარგმნა. ამავე დროს მე ვგრძნობ, – განაგრძო ვაჟამ, – რომ შილერთან მე უფრო ახლოს ვდგევარ, მე უფრო ღრმად ვწვდები იმის სულსა და გულს, მე უფრო მესმის იმის გულის ძგერა, ვიდრე მას, ვინც უშუალოდ ნემენცურიდან ეს ნაწარმოები რუსულად თარგმნაო".

სპეციალური სხდომებიც მოიწვიეს, დადგენილებებიც გამოიტანეს, მაგრამ „ორლეანელი ქალი" მაინც ვერ გამოსცეს. ამ შრომამაც ფუჭად ჩაუარა ვაჟას.

კეკეს დაღუპვა. თამარი

ვაჟას და მართა

ვაჟა ყოველ შემოდგომაზე ჩადიოდა კახეთში, ყვარელში, თავისი დის მართასა და სხვა ნათესავების მოსანახულებლად, სანადიროდ და რაც მთავარია, საოჩხროდ. ოჩხრობა ისეთ დროს იცოდნენ მთიელებმა, როცა ოჯახს უბედურება შეემთხვეოდა: საქონელი გაუწყდებოდა, ხანძრისაგან დაეწვებოდა სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი. ასეთი ოჯახი ჩამოივლიდა ნათესავებს, ახლობლებს და ვისაც რითი და რამდენით შეეძლო, შეეწეოდნენ, ხელს გაუ-

მართავდნენ. ვაჟას სულ საოჩხროდ ჰქონდა საქმე. მასაც სხვა მოლექსეებივით შეიძლებოდა თავის თავზე ეთქვა ფოთოლათ მერცხალას ნათქვამი: „კარჩი მგელ ვერას შამიჭამს, შინ შამოტანილს – ციცაო". ამიტომ მართა და სხვა ნათესავები კახეთიდან ატანდნენ ხოლმე ოჯახის სარჩენად ხახვ-ნიორს, ლობიოს, ჩურჩხელას, ღვინოს და სხვა.

1902 წელს გვიან შემოდგომაზეც ასეთი მიზნით ჩავიდა ვაჟა ყვარელში. ოჯახიდან ოჯახში ეპატიჟებოდნენ, ლხინობდა, დროს ატარებდა, შიგადაშიგ სანადიროდაც დაჰყავდათ. ოჯახისთვის იმარაგებდა სანოვაგეს.. ოჯახი კი მრავალრიცხოვანი ჰყავდა უკვე – ოთხი შვილი: თამარი, ლევანი, გულქანი და მარიამი. კეკე მეხუთეზე იყო ფეხმძიმედ.

დეკემბრის პირველ რიცხვებში დიდი თოვლი მოვიდა მთაში, ჩარგალში. ველზე დარჩენილი თივის მოზიდვა ზურგით მოინდომა კეკემ. ამ ციცქნა ქალმა მძიმე ტვირთი აიკიდა ჩვეულებისამებრ. ორსულობისჟამს მთიელი ქალები სამუშაოს ეძალებიან – მშობიარობა იოლი გვექნებაო. მართლაც, იოლი აქვთ ხოლმე მშობიარობა. ხშირად ბავშვები სამკალს და სამწყემსოს ნამყოფებს გაუჩენიათ მარტოდმარტოდ, საღამოს ბავშვიც მოუყვანიათ, საქონელიც მოურეკიათ, დაუბინავებიათ, და არც არავის შეუმჩნევია, რომ მშობიარეა, სანამ ბავაშვი არ აჩხავლებულა. მთიელი ქალის ასეთ ყოფას, ჩანს, კიდეც შეეგუა კეკე და ვერც მთლად შეეგუა. მეხუთე შვილზე უმტყუნა: მუცელი მოსწყდა და ვინ რას უშველიდა. უცებ გათავდა. ლუკასთან კაცი აფრინეს, თუმცა კი იცოდნენ, დიდი დრო დასჭირდებოდა მის მოსვლას, უმისოდ დაასაფლავა ბაჩანამ.

ყვარელში როცა ავი ამბის მაცნე ჩავიდა, ვაჟა და მისი დისწული მიხა სანადიროდ იყვნენ. ეს ცუდი ამბავიც სანადიროში შეატყობინეს. მიხა იგონებს: „ჩამოვათრიე შველი ტყიდან და ჩამოვკიდე ხეზე გასატყავებლად. ვაჟა იქვე ჩამოჯდა და პაპიროსს მოუკიდა. დავიწყე ტყავება. უკანა ფეხებიც არ მქონდა ჩატყავებული, რომ ქვევიდან ფშავლის ქალმა დამიძახა: აქ ჩამოდი, შენთან საქმე მაქვსო!

– არა მცალიან, – ვუპასუხე მე, – და თუ რამე საქმე გაქვს, მოდი და აქ მითხარიო.

– მოდი, ჩემმა ძმამ იოსებმა დამაბარა, უნდა რამე გითხრაო.

ვაჟამ ეჭვის თვალით გადმომხედა მეუბნება:

– ჩადი, გეძახისო.

მეც ჩაველ. ქალი მეუბნება:

– ფშავიდან კაცი ჩამოვიდა, წერილიც ჩამოიტანა, რომ ლუკას ცოლი მოჰკვდომია და ნიკოს — ქალიო. ნუთუ თქვენ ჯერ არაფერი გაგიგიათ, ასე არხეინად რომ ნადირობთო?!

მე გავშრი, კინაღამ გული შემიწუხდა. მუხლები ამიკანკალდა და ხეს მივეყუდე. ქალი წავიდა. მე კიდევ რამდენიმე ხანი გაშეშებული ვიყავი ერთ ადგილას. შემდეგ შევტრიალდი, მიველ შველთან და ტყავება დავუწყე. ხელი მიკანკალებდა. დანას ხან სად წავატაკებდი, ხან სად. ვაჟა მიცქერის. უკვე ჩემ სახეზე ამოიკითხა, რომ რაღაც არასასიამოვნო ამბავი მითხრეს".

მიხამ ვერ გაუმხილა ვაჟას ეს ამბავი. ფშავლის ბიჭი ვიღაცა მოვიდა და იმას წამოსცდა. ვაჟამ ერთი ამოიგმინა, ყველაფერს თავი მიანება და ბინაში მისვლისთანევე ცხენი მოითხოვა. იმ ღამესვე უნდოდა წასვლა. ძლივს დააშოშმანა მართამ იმ პირობით, რომ ხვალე მეც გამოგყვებიო, ერთი ღამით სიჩქარეს და დაგვიანებას კი აღარაფერი მნიშვნელობა აქვსო. ვაჟა დაემორჩილა დას. მეზობლებიც მოვიდნენ მისასამძიმრებლად, სანუგეშებლად. სასმელი მოიტანეს, შესანდობარი სუფრა გააწყვეს. ვაჟამ პირი არაფერს დააკარა. მხოლოდ ღვინოს სვამდა და პაპიროსს-პაპიროსზე ეწეოდა. შიგადაშიგ თავისებურად გადაკეთებულ ლექსს ბუტბუტებდა:

„ემაში ბაწარა დავდევ, აის ბაწარა რა იქნა?
სიკვდილი მაიპარავდა, მაინც ქურდია, მაინცა!"

მართა არიგებდა, ამშვიდებდა, უნდა გამაგრდეო, დარდით აღარაფერი ეშველებაო. ვაჟა კი ოხრავდა: „ეჰ, დაო, შენ რომ ახლოსა მყავდე, მე რაღა მიშავდა, ჩემ შვილებს ობლობა არ შეეტყობოდა, მაგრამ ეხლა რა ვქნა, ადამიანი არ არის სახლში, რომ პური გამოაცხოს, ბავშვებს გაურეცხოს, დაუკეროს და და-

აძინოს... ადვილია?.. ხომ იცი, ოჯახისა არა მესმის რა და არც შემიძლია გავაკეთო ის, რაც ქალის საქმეა; ნიკო რომ ახლოს მყავდეს, მაშინ კიდევ არა ჭირდა რა. (ნიკო – (ბაჩანა) აფხუშოში მუშაობდა მასწავლებლად, ჩარგლიდან სამ კილომეტრზე – გ. ხ.), ეხლა იმათაც თავის დარდი აწუხებს. ნიკოს ხომ იცი, როგორ გაგიჟებით უყვარდა ის ბავშვი. მე კიდევაც მეშინიან, თავს არა აუტეხოს რა".

მას მერე ვაჟა ყვარელში აღარ ჩასულა, გული აღარ მისწევდა და აღარც ხალისი ჰქონდა. ალბათ საყვარელი მეუღლის სიკვდილში თავსაც ადანაშაულებდა და ყვარელსაც – შინ რომ ვყოფილიყავი, გვერდს რომ ვყოლოდი, იქნება ეგრე არ მოსვლოდა, იქნება რამეს ვუშველიდიო. ებრალებოდა მთლად ვაჟას მინდობილი სუსტი ქალი უვაჟაოდ რომ აღმოჩნდა სიკვდილის პირისპირ. ნუგეშად ისევ ლექსი ექნა ვაჟას, ლექსს გაანდო თავის წუხილი:

„იას უთხარით ტურფასა, მოვა და შეგჭამს ჭიაო...
მიწავ, შენ გებარებოდეს ეგ ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, უმშობლე, როგორაც შენი ზნეაო"

ჯერ მანამდე რა დღეში იყო ვაჟა და ეხლა მეუღლის სიკვდილის შემდეგ უფრო ცუდ დღეში ჩავარდა. მართალია, უფროსი ქალი თამარი თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა იყო, ამ ხნის ქალებს კი მთაში ყოველგვარი საოჯახო საქმე უკვე ეხერხებათ, მაგრამ ოჯახის გაძღოლას მაინც რას შესძლებდა. უდიასახლისოდ ოჯახი ვერ იქნებოდა, რადგან მთიელის ოჯახში კაცისაგან ქალის საქმის ტვირთება ძნელზე ძნელი საქმეა; მით უმეტეს ვაჟასნაირი კაცისთვის. როგორ შეძლებდა ძროხების წველას, რძის დღვებას, პურის ცხობას და ბავშვების ტანსაცმლის რეცხვას. ამიტომ ნათესავთა და ახლობელთა დაძალებით ვაჟამ გადაწყვიტა მეორე ცოლის მოყვანა. ურჩევდნენ კიდეც ზოგი ვისა და ზოგი ვის. თავისმა კარგმა მეგობარმა, ბესო შანიძემაც ურჩია თავის მხრივ – საშენო ქალი ხორხში გიორგი დიდებაშვილსა ჰყავსო შინ მობრუნებული, და სათხოვნელად გაყოლაც აღუთქვა. თავადაც ხორხელი ქალი ჰყოლია ცოლად.

ეს იყო 1904 წელს. ბესო შანიძე ცნობილი ენათმეცნიერის აკაკი შანიძის ბიძა იყო. მას განთქმული დუქანი ჰქონდა ფშავის

არაგვის ხეობაზე სოფელ თვალივთან. ბესო ცნობილი ყოფილა თავისი კარგი კაცობით, შეგნებულობით. სხვა მედუქნეებივით მეტისმეტად გავაჭრუკანებული არა ყოფილა. უფულო მგზავრისთვის შეეძლო უფასოდ ეჭმია. ფულს არ ახდევინებდა არც ვაჟას და არც ცნობილ მოლექსეებს, მათ ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა. თვითონაც საკმაოდ განათლებული ყოფილა, კულტურული. აკაკი შანიძე ახალგაზრდობაში, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობის დროს, ზაფხულობით მასთან ჩამოდიოდა დასასვენებლად და ფოლკლორული მასალის შესაგროვებლად. ბესოც ყოველნაირად ხელს უწყობდა, სპეციალურად იბარებდა ცნობილ მოლექსეებს, აქეიფებდა და ამით ახალგაზრდა აკაკის ხელს უწყობდა იმ ძვირფასი მასალის შეგროვებაში, რომელიც შემდეგში ბრწყინვალედ გამოსცა და გამოიყენა ქართული ენის კვლევა-ძიების საქმეში.

თბილისისაკენ მიმავალ-მომავალი ვაჟა ბესოს დუქანს არ გასცდებოდა, აუცილებლად შეისვენებდა, ცხენსაც შეასვენებდა, ხშირად ღამესაც ათევდა.

დუშელი ნინო წვერაძე იგონებს: „თვალივში ჩასვლისას ვაჟა პირველად ბესოს დუქანში მივიდოდა. კამფეტების ყუთში პატრონის დაუკითხავად ხელს ჩაჰყოფდა და ბავშვებს ორი ხელით კამფეტებს გადაუყრიდა: აჰათ, ბალღებო, დაიჭით, ჭამეთ, ღორი გლეჯითა, თორო რას იპარსებაო, – წაიხუმრებდა. თუ ვაჟას შეამჩნევდა ბესო შორიდანვე, უმალ დაიძახებდა: აბა, მიშველეთ, მოდის ის ცალთვალა დევი; კაცო, ოჰ, ოჰ, დამალეთ ეგ კამფეტები, თორემ სულ დაღუპავს აქაურობას! მერე ვაჟას გულითადად მიესალმებოდა და ხუმრობით შინ შეიპატიჟებდა: ოჰ, ოჰ, მოხვედი, უმი ხორცით გაზრდილო? მოდი, მოდიო!

ერთმანეთი ძალიან უყვარდათ ბესოს და ვაჟას.

ერთხელ ვაჟამ საახალწლოდ ბესოს დამბალი ხაჭო გაუგზავნა და მილოცვის ბარათიც თან გააყოლა: ძმაო, ბესო, გილოცავ ახალ წელს, გიგზავნი ძველ დამბალ ხაჭოს. დაბერდი ამ სუნით და ამ გემოთიო. ბესოს მისალოცად კევი გაუგზავნია ვაჟასათვის: აი, ძმაო, საჭმელი მაინც არა გაქვს, დაადექი ამ კევს და ღეჭეო!" (37, 90).

ჰოდა, თუ ვინმე ამოუდგებოდა ვაჟას გაჭირვების ჟამს გვერდში, რა თქმა უნდა, ასეთი გულითადი მეგობარიც უნდა ამოს-

დგომოდა და ამოუდგა კიდეც. დათქვეს დრო და ერთ შაბათ საღამოს ვაჟა, ბაჩანა და მღვდელი კავკასიძე დარახტული ცხენებით მიადგნენ ბესოს დუქანს. მანაც დარახტა თავისი ცხენი, წაუქეიფეს, მოგულადდნენ, მოფშავლდნენ, საგზაოც ჩაიდგეს, არაგვი გატოპეს და ფაცხა-ფუცხით შეუყენეს ცხენები სწროფავის აღმართს, მოკლედ გადავლეს საყვირილოს ქედი და ჩაეშვნენ ხორხის ხეობაში. ძმები ვაჟა და ბაჩანა თოფ-იარაღში იყვნენ ჩამსხდარნი – მაშინ ასე დადიოდა ყველა მთიელი.

კი გამოეგება სტუმრებს დიდებათ გიორგი, მაგრამ წარბი შეიკრა გუდამაყრელმა, მიხვდა მათი მისვლის მიზეზს, სხვანაირად ისინი მასთან რად მივიდოდნენ? შეიძლება უკვე ყურიც ჰქონდა მოკრული, შეიძლება ბესომ ან მისმა მეუღლემ შეატყობინა ჩუმად, ვაჟა რომ მისი ქალის თხოვას აპირებდა.

– საით გაგიწევიათო? – ჰკითხა გიორგიმ და ამით ის უთხრა, ჩემთან თქვენ არაფერი გესაქმებათ, თქვენი გზა ნახეთო. მიუხვდა ვაჟა ქარაგმულს და ბრაზიანადვე მიახალა:

– საითაც გაგვიწევია, იქ მოვედით – შენი ქალი თამარი უნდა წავიყვანო, არცა მრცხვენიან და არც მეშინიანო!

გიორგი გაშრა, კიდევ უფრო აიმრიზა, მაგრამ ველარაფერი ქნა, სტუმრები შინ შეიპატიჟა, უმასპინძლა კიდეც, მაგრამ გუ-

ლი ვერ გახსნა. არც თანხმობა უთქვამს და არც უარი. ეს უკვე თანხმობას უდრიდა.

გიორგის უნდოდა ალბათ ოჯახისათვის ფასის დადება, წესისა და რიგის დაყენება. მთხოვნელების რამდენჯერმე უარით გასტუმრება, პირის სანახავის მიტანინება და მისთანები, რაც, ჩვეულებრივ, სამ წლამდე გრძელდებოდა ხოლმე. ვაჟას კი სად ჰქონდა ამის დრო და გული. მისი ოჯახი არ ითმენდა. მეორე მისვლაზე უკვე იმ აზრით მივიდნენ, რომ თამარი წამოეყვანათ და წამოიყვანეს კიდეც. ბაჩანამ მოძებნა ბიძაშვილ ქალებთან დამალული თამარი და ხელჩაკიდებული ძალად შემოიყვანა სტუმრებთან. მიიყვანა და ვაჟას დაუსვა გვერდით მოჩუქურთმებულ სკამტახტზე. თვითონაც გვერდით მიუჯდა – ჩვენიაო! ვაჟამ პირველად მაშინ ნახა თამარი და ჩუმ-ჩუმად შეათვალიერა. როგორსაც ეუბნებოდნენ, მართლაც ისეთი ზორბა ქალი აღმოჩნდა თამარი, მართლაც შესაფერისი მეწყვილე ვაჟასი. გიორგი ფეხზე წამოიჭრა და კედელზე ჩამოკიდებულ ხანჯალს მისწვდა:

– დამძიმდით, ფშავლებო, თორემ არწივის ბუნებისა ვარო!

ვაჟას და ბაჩანას მხოლოდ ეღიმებოდათ გუდამაყრელის ტყუილ ფაფხურზე, არაფერი უთქვამთ: გაუშვი გული მოიოხოსო. მხოლოდ ოჯახის წევრები ეცნენ გიორგის, ასუსუებდნენ, ემუდარებოდნენ — გონი დაიტანე, ხათაბალა არაფერი ასტეხოო! თამარმა ცრემლები ჩამოყარა, რაკი მამამ იმასაც დაუწყო ლანძღვა, მოკვლით იმასაც ემუქრებოდა.

– მომკალი, მე მომკალი, ამათ რას ერჩიო! – ტირილის ხმაზე ამოჩქამდა თამარი და ამით ისიც თქვა, ჩემ თავს ესენი მირჩევნიანო.

დაამშვიდეს გიორგი. თან და თან სასმელმაც გაჭრა, გამხიარულდნენ. „ბუზიკაც" ააჩქამეს. ცეკვა-თამაში გაიმართა. თავისებურად ლამაზად ცეკვავდა ბაჩანა, ვერცხლის ძეწკვებით მორთულ ჩოხაში გამოწყობილი. ყველა მას მისჩერებოდა. ტაშს უკრავდნენ. მარტო ვაჟა და თამარი ისხდნენ წყნარად. ვაჟამ შენიშნა, რომ შორიახლოს ჩამომჯდარი თამარის პატარა და, ქეთო, მას მისჩერებოდა მოღუშული.

– რას მიბღვერი, ცალთვალა რო ვარ, იმით ხო არა მწუნობო? – ჰკითხა ვაჟამ.

– არა გწუნობო,– უპასუხა ქეთომ.

გიორგი დიდებაშვილმა ვაჟა გაიხმო მეორე ოთახში და ხელწერილის დაწერა სთხოვა, რომ ქალს შეინახავდა. ვაჟამ დაწერა:

„1904 წლის 31 მარტს გაძლევ ამ ხელწერილს მე ამისა ქვემორე ხელის მომწერელი სოფელ ჩარგალში მცხოვრებელი, მღვდლის შვილი ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი, შენ, ხორხში მცხოვრებელ გიორგი დიდებაშვილს მაზედ, რომელიც მე ზემორე აღნიშნულმა პირმა წავიყვანე ხასად შენი ქალი თამარი, რომლისაც თანხმობა იყო სრული და უნდა შევინახო წესიერად, არაფერი გავუფუჭვო არც ცუდის ქცევით, არც სიმშილით და სიტიტვლით. აგრეთვე შენის ქალისაგან მოველი ამასვე, რომ თავისი ყოფა-ქცევით არ მიმიყვანოს იქამდე, რომ დავითხოვო სახლიდან და თუ შევნიშნე სიკეთე და მოხერხებული იქნება, უნდა ჯვარი დავიწერო შენს ქალ თამარზე. შვილები იმასთან ნაყოლი ვიშვილო და სხვა შვილებიც არ გავაბედენო. აგრეთვე, უკეთუ ჩემ სიკვდილამდე არაფერი მიზეზი მივეცი შენს ქალს და ვიცოცხლე, ჯვარ-დაუწერელიც რომ დარჩეს ჩემთან, როგორც კანონიერ ცოლს უფლება ჰქონდეს ჩემს მოძრავ და უძრავ ქონებაზე და არასდროს არც შვილს და არც ძმებს, ჩემს ბიძაშვილებს არ შეეძლოთ კანონიერი ნაწილი დააკლონ, რომელზედაც ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი.”

ბაჩანამ შეიხედა რაკი შეაგვიანდა ვაჟას. წააკითხეს მასაც, გიორგიმ სთხოვა შენც მომიწერე ხელიო. ბაჩანამ კალამი ჩააწო სამელნეში: „მეც დამსწრე ვარ და ყაბულადაც ვარ ზემოთ მოხსენებულს პირობაზე”, ნიკო რაზიკაშვილი.

მეორე დილით კიდევ პურის ჭამის, ოჯახისა და წაღმართის დალოცვის შემდეგ თამარს საპატარძლოდ შეუკაზმეს ცხენი, ლამაზი ჯეჯიმი გადაუფინეს უნაგირზედ, ლამაზი ხურჯინი აუკიდეს და ზედ შესვეს შიბით მკერდაყვავებული ქალი. მანაც ვაჟკაცურად მიაყოლა ცხენი ქმარ-მაზლს. მზითვი და სათავნო შემდეგისთვის გადადეს, მამა-ბიძაშვილებიც მერე დაავლებდნენ თვალს.

პატარა გოგონები, გულქანი და მარიამი, ბაჩანას ცოლისათვის დაეტოვებინათ მაღაროსკარში – იმჟამად უკვე იქ იყო ბაჩანა მასწავლებლად. თამარი და ლევანი ჩარგალში ოჯახს უვლიდნენ. თამარი იგონებს:

„მაღაროსკარში რომ მივედით, ბაჩანამ და ვაჟამ ბავშვებს ახარეს: შვილებო, დედა მოგიყვანეთო! და ბავშვები სიხარულითა და კანკალით შემომეხვივნენ. შემრცხვა: ახალგაზრდა ვიყავ და მეთაკილა.

ბაჩანას ცოლი მარიამი სათნო და კეთილი ადამიანი იყო. გვერდით მომიჯდა და მითხრა: გული უჩვენე, ცოდონი არიანო. მეც შემეცოდნენ ბავშვები, ვანუგეშე, მოვეფერე და ლუკას ვუთხარი: აქ ნუ დავტოვებთ ბავშვებს, მინდა ესენი ჩემთან იყვნენ, წასვლისას თან წავიყვანოთ-მეთქი. მართლაც ბავშვები ცხენებზე შემოვისხით და წავედით ჩარგალში. შინ ლუკას უფროსი ქალ-ვაჟი, თამარი და ლევანი დაგვხვდნენ. დამხვდა ღარიბი, არეული, აწეწილ-დაწეწილი ოჯახი, უდედო, დაუბანელი, მოუვლელი ბავშვები. მისვლისთანავე დავაკრიალე სახლი. სისუფთავეს და საოჯახე საქმეს ბავშვობიდანვე ვიყავ მიჩვეული”.

თამართან ვაჟას ერთი შვილი შეეძინა – ვახტანგი. ეს იყო ვაჟას მეხუთე შვილი. თუმცა ამის შესახებ სხვა რამესაც ჰყვებიან – მუცლით მოყოლილს ეძახდნენო – ქმრიდან შინ მობრუნებული თამარი თურმე უკვე ფეხმძიმე ყოფილა. ვაჟას ეს ძალიან სწყენია და ბავშვსათვის თავისი გვარი არ მიუცია.

ვაჟას შვილები

ვაჟას შვილებზე, ბუნებრივია, ზოგი რამ ითქვა და კიდევაც ითქმება თვით მათი ოჯახის ყოფასთან დაკავშირებით, მაგრამ ცალკე სათქმელიც რჩება. მათ ხომ ვაჟას სიკვდილის შემდეგ ზოგმა ცოტა ხნით, ზოგმაც დიდი ხნით კიდევ გააგრძელეს იმთავითვე გაუხარელი ცხოვრება. მემკვიდრეობით ვერაფერ ქონება-ცხოვრებას უტოვებდა შვილებს, ამიტომ გრძნობდა მძიმე განსაცდელი მოელოდათ მათ. ცდილობდა ასეთი ცხოვრებისათვის შეემზადებინა, გამოებრძმედა, შეეგუებინა. მკაცრად ეპყრობოდა, მოფერება და შებრალება არ იცოდა, პატარობიდანვე საქმეში ჰყავდა, ქალებსაც და ვაჟსაც შვიდი-რვა წლისებს სათიბ-სამკალში ატრიალებდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ ცოლთან, კეკესთან ვაჟას ოთხი შვილი ჰყავდა, სამი ქალი და ერთი ვაჟი. მარიამს

დიდხანს არ უცოცხლია, 1935 წელს ახალგაზრდა გარდაიცვალა მაგრანეთში, სადაც ის იყო გათხოვილი.

თამარი

კეკესა და ვაჟას პირველი შვილი თამარი იყო. ოთხი კლასის განათლება ძლივს მიუღია, მაგრამ ძალზე ნაკითხი და ნიჭიერი ყოფილა. გარეგნულადაც ლამაზი, თავდაჭერილი, მოყვარული თავისიანებისა. მის შესახებ ერთხელ გ. ლეონიძეს უთქვამს – არისტოკრატად დაბადებულიაო.

თამარიც ერწოში იყო გათხოვილი შალვა ბეწუკლიშვილზე. ვაჟა-ფშაველას როგორ არ უყვარდა თავისი სიმდიდრით განთქმული მძახალი გეჯა ბეწუკლიშვილი, როგორ არად აგდებდნენ ერთმანეთს (ვაჟა გეჯას იმის გამო რომ მდიდარი იყო, გეჯა ვაჟას – რაკი ღარიბი იყო), ამის შესახებ სხვაგან ვამბობთ. არც თამარს ჰყვარებია თავსი ქმარი შალვა ბეწუკლიშვილი. მას თავიდან ვაჟას მეგობარი, რომელიღაც თუში ჰყვარებია, თავისზე ბევრად უფროსი. შემდეგში იხსენებდა თურმე, შალვა რომ მოვიდა ჩემს სათხოვნელად, გოდორში დავიმალე, სანამ არ წავიდოდნენ, არც ვაპირებდი გამოსვლას, მაგრამ დედინაცვალმა ძალად ამომათრია იქედან, იმან შეუწყო ხელი, ეჩქარებოდა ჩემი მოშორებაო.

თამარს არა ჰყვარებია, თორემ არც შალვა ყოფილა ურიგო კაცი. მდიდარ მამას მისთვის პეტერბურგის უნივერსიტეტი დაუმთავრებინებია, ბრწყინვალედ სცოდნია გერმანული ენა (მისი დამსახურება ყოფილა ძმისწულს, ცნობილ ქართველ მთარგმნელს, ვახტანგ ბეწუკელს, გერმანული ენა რომ ასევე შეუსწავლია). მოწინავე ინტელიგენციასთან ჰქონდა თურმე ურთიერთობა, გარეგნულადა და ჩაცმულობით კი გლეხისაგან არ გამოირჩეოდა. შესაძლოა ეს მამის გასაოცარი სიძუნწისა და სიხარბის ბრალიც იყო.

ერთხელ შალვა თიანეთისაკენ მიემგზავრებოდა თურმე ცხენით. ივრის პირას სუფრა ჰქონიათ გაშლილი თიანელ კომკავშირელ-კომუნისტებს. მიუპატიჟებიათ და უთხოვიათ: ერთი ისეთი სადღეგრძელო გვითხარი, ჩვენ რომ არა გვქონდეს ნათქვამიო.

– აბა, მაშინ ქაქუცა ჩოლოყაშვილს გაუმარჯოს, ვიცი თქვენ

ვაჟა-ფშაველას სიძე შალვა ბეწუკლიშვილი

იმის სადღეგრძელოს არ იტყოდითო!

მესამე დღეს წაუყვანიათ შალვა და მას შემდეგ იმის შესახებ აღარავის რა გაუგია.

დიდ ჯაფაში ყოფილა თამარი ბეწუკლიშვილების ოჯახში. ძალზე გაუხარელი სიცოცხლე ჰქონია. უამრავი მწყემსის, მოჯამაგირის მოვლა-პატრონობა გარკვეულწილად მის კისერზე გადადიოდა. „მოჯამაგირეების მოჯამაგირეები ვიყავითო" – იტყოდა თურმე თამარი. ერთხელ მოსაკითხად, სანახავად ასულან თამართან ვაჟა, ბაჩანა და ლევანი, ვაჟას შვილი. ამ არაადამიანურ ჯაფაში რომ უნახავთ, ვაჟა ძალიან დაღონებულა. გეჯასთვის საყვედურიც უთქვამს, გეჯას მასხრად აუგდია: შენ რაღა იცი, ცხოვრება როგორ უნდაო.

– ეგ შეიძლება არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რაც უნდა დიდი ცხოვრება-ქონება გქონდეს, ერთხელაც იქნება დაპატარავდებაო.

–მაშ, მითხარ ბარევალ, როდის დაპატარავდება ჩემი ცხოვრებაო? – შეუცინია თავის ქონების ულევლობაში დარწმუნებულ გეჯას ვაჟასთვის.

– შენი ცხოვრება მაშინ დაპატარავდება, როცა მე გამადიდებენო, – ბრაზიანად უპასუხნია ვაჟას. გაბრაზებულა ბაჩანაც. თამარისათვის უთქვამს, ადექი, შენცა და შინ წამოდი, მოშორდი ამათაო!

– ვაიმე, როგორ წამოვიდე, მამა-ბიძები როგორ შევარცხვინო... ჯანდაბას ჩემი თავი, რასაც ვიზამ, ვიზამო.

დარჩენილა თამარი და ოჯახი არც ქმრის სიკვდილის შემდეგ მიუტოვებია. ან კი სად უნდა წასულიყო? მისი მთავარი საზრუნავი თავისი დაობლებულ-დაწიოკებული ძმის შვილები, 1923 წელს დახვრეტილი ლევანის ობლები ყოფილან.

თამარი 1961 წელს, მამის ფართოდ აღნიშნული იუბილის შემდეგ გარდაიცვალა. ანდერძი დაუტოვებია ჩარგალში დამმარხეთო, მაგრამ არ შეუსრულებიათ, ვახტანგი წასულა რატომღაც წინააღმდეგი.

ლევანი

კეკეს და ვაჟას 1887 წელს შეეძინათ მეორე შვილი ლევანი. მემკვიდრე განსაკუთრებით ეამაყებოდა ვაჟას და დიდ მზრუნველობასაც იჩენდა მის მიმართ. ცდილობდა შვილებიდან მისთვის მაინც როგორმე მიეცა განათლება, სამსახურში სადმე ჩაეყენებინა, თანაც ჩაეყენებინა ისეთ საქმეში, რომელიც ქვეყანას, განსაკუთრებით კი მთას, გამოადგებოდა. 1910 წლის 5 ნოემბერს ნიკო ცხვედაძეს, შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის ხუროთმოძღვარს სწერდა: „შეუძლებელს მე არაფერს ვთხოულობ. პირადად ჩემი თავი ჯანდაბას, ხოლო ჩემმა შვილმა რა დააშავა, რომ როგორც მისი მამაა გარიყული და მივიწყებული, ჩემ შვილსაც ასე გულგრილად ეპყრობა საზოგადოება, ნორჩ, ახალგაზრდა კაცს, რომელსაც სწავლა-განათლება ეჭირება, რომელიც შეიძლება ფრიად სასარგებლო კაცი დადგეს. ჩემმა შვილმა, როგორც სხვა ათასმა, მოწმობით დაამთავრა სათავადაზნაურო გიმნაზია და უსახსრობის გამო ორი წელიწადია შინა მყავს სოფელში და ლამის, რაც უსწავლია, ისიც დაივიწყოს.

ეს ჩემთვის მეტისმეტად გულსაკლავი მოვლენაა და ვგონებ, ვისაც ცოტაოდენი ჩემი პატივისცემა აქვს, არც უნდა ესიამოვნოს ეს ამბავი.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, როგორც პატიოსან ქართველ კაცს, უანგარო მუშაკს, და გთხოვ, რომ როგორმე გამგემ სარაჯიშვილის სტიპენდიებისა, დაუნიშნოს ჩემ შვილს სტიპენდია, რომ გავგზავნო სწავლის გასაგრძელებლად ყირიმში ან სხვაგან სადმე, რათა შეისწავლოს პრაქტიკულად ყველის ან ერბოს კეთება და მისთანები, რაც ფრიად საჭირო და გამოსადეგია მთაში, რათა ეს ცოდნა გაავრცელოს თავის თანამოძმეთა შორის.

ვაჟა და მისი მეორე მეუღლე
თამარი. დგანან: ლევანი და ვახტანგი

იმედი მაქვს, ჩემს თხოვნას არ დაწიხლავთ და არც მე დამგმობთ ამგვარი თხოვნისათვის.

თქვენი მარადის პატივისმცემელი ვაჟა-ფშაველა".

ვაჟას ამ თხოვნას, ჩანს, მაინც არ მიაქციეს ყურადღება, რადგან ლევანსაც ისევ გორისათვის მიუმართნია, იქ მიუციათ სამსახური, სოცუზრუნველყოფის გამგეობა ჩაუბარებიათ, ბინად კი ბიძა თედოსთან ცხოვრობდა. აქვე სოფ. ხელთუბანში გაიცნო თამარ თვარელიძე, 17 წლის ქერა, ცისფერთვალება, ძალზე ლამაზი გოგონა. ლევანიც არანაკლებ ლამაზი ყოფილა. გორელი თანამედროვის, ექვთიმე გეგიას მოგონებით, თაფლისფერი ცხენი ჰყოლია და როცა სოფელზე

ამოივლიდა, მთელი გოგოები გზის პირზე გამოეფინებოდნენ. ეგეთი ლამაზი ვაჟკაცი ჩემ სიცოცხლეში არ მინახია. ცოლი ხომ ლამაზი ჰყავდა, მაგრამ ლევანს მაინც ვერ შეედრებოდა. ეგეთი დახვეწილი ინტელიგენტი კაცი იშვიათიაო.

რთვლობის ქეიფისა და დროსტარების შემდეგ თედო რაზიკაშვილს მთელი ახალგაზრდობა, თავისი ქალებიც, ერთ ოთახში იატაკზე დაგებულ ფარდაგზე დაუწვენია. დაუწყიათ ხუმრობა თამარისა და ლევანის დაწაწლებაზე, ფშაურად ერთმანეთთან დაწვენაზე და ამ ხუმრობა-ხუმრობაში ლევანსა და თამარს ერთ-ურთი კი შეჰყვარებიათ.

თამარის ძმა იოსებიც კარგი ვაჟკაცი ყოფილა, კარგი მეგობარი ლევანისა. ამ საბაბით ლევანს მოუხშირებია მათთან სიარული, მაგრამ თამარი დამფრთხალი ხოხობივით გარე-გარე უვლიდა. „ეს ის დრო იყო, – იგონებდა ღრმა სიბერის ჟამს თამარი, – ქალებს რომ გვაშინებდნენ, ახალგაზრდა კაცის ჩოხის კალთა არ შეგეხოთო, თორემ დაფეხმძიმდებითო...

ერთხელ ლევანი ჩვენთან მოვიდა, ჩოხაზე ღილი ასწყვეტოდა. დედამ მითხრა აიღე ნემს-ძაფი, დაუკერეო. მივედი, ხელის კანკალით ვუკერებდი, შორიდან თან გული ამოვარდნაზე მქონდა, ვშიშობდი ჩოხის კალთა არ შემხებოდა".

გაუმჟღავნეს თუ არა ერთურთს სიყვარული ლევანმა და თამარმა, ნიშნობა ისე სწრაფად გადაიხადეს, ვაჟა-ფშაველასაც კი ვერ, უფრო კი, ვფიქრობ, არ შეატყობინეს, რადგან დედინაცვლის ენის გამო ლევანი იმ დროს განაწყენებული იყო, ამიტომ მალევე გადახდილი ქორწილი ერთ კვირას გაგრძელდა, რაც უმთავრესად ვაჟასთვის მოწყობილ ზეიმს უფრო ჰგავდა. ეკლესიაში ჯვრისწერის დროს რაკი შვილ-რძალს ვაჟაც მიჰყვებოდა, ფეხქვეშ სულ ხალიჩა-ფარდაგებს უფენდნენ ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე და ზედ ვარდ-ყვავილს უყრიდნენ. მღვდელმა ჯვარი დასწერა, ვაჟამაც დალოცა, კისერზე ოქროსძეწკვიანი საათი ჩამოჰკიდა რძალს. ხალხი თურმე გაიძახოდა: ვაჟა-ფშაველასაგან დალოცვილებს, ჯვრისწერა რადღა უნდაო. ქორწილის შემდეგ სამახსოვრო სურათიც გადაიღეს. ვაჟა შუაში ჩასვეს შვილ-რძალმა. მან მოიბოდიშა და ოდნავ გვერდშექცევით დაჯდა – ჩამოფხავებული თვალის გამოჩენა ერიდებოდა. ეს იყო 1915 წლის 14 მაისს.

ქორწილიდან ვაჟა ისევ თბილისში დაბრუნდა სამკურნალოდ.

ბუბათ გაგა (ხორნაული).

გორში ლევანს ამბავი ვიღაცამ მოუტანა: მამაშენი კვრინჩხის შეჭამადსა ნატრობსო, იქნებ უშოვოთ და ჩაუტანოთო. ხმელ კვრინჩხს თბილისის ბაზრებშიც როგორმე უშოვიდნენ და საჭამანდსაც როგორმე გაუკეთებდნენ, მაგრამ ეს, ჩანს, ვაჟასეული მოკრძალებული და ლამაზი მანერა იყო მონატრებული შვილ-რძლის ხილვისა. გვიანი შემოდგომის ხილია კვრინჩხი, ზაფხულში ძნელად საშოვნელი. მაინც უშოვიათ, შეჭამანდიც გაუკეთებიათ და თბილისში ჩასულან ვაჟას სანახავად. ვაჟა ფეხმძიმე რძალს მოჰფერებია და უთქვამს: „ამბობენ მალე ლუკა გაჩნდებაო". ამ ნათქვამიდან ისიც ჩანს, რომ ვაჟა გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას – მთაში (და, ალბათ, ძველ საქართველოში ყველგან ასე იყო) მხოლოდ გარდაცვლილთა სახელებს არქმევდნენ ახალდაბადებულებს. ლევანმა მართლაც ლუკა დაარქვა თავის ვაჟს, რომელიც ვაჟას სიკვდილის შემდეგ დაიბადა. მას მოჰყვნენ ქალები: ქეთევანი, პეპელა (ეკატერინე).

ლევანი თავისი ცოლ-შვილით მამის კერაზე, ჩარგალში, დაბრუნდა საცხოვრებლად. ეს მომხდარა 1920 წელს, გორის მიწისძვრისაგან დანგრევის შემდეგ. მესამე შვილი, პეპელა, სწორედ ჩარგალში დაიბადა, პაპისეულ ტახტზე.

ლევანი გამორჩეულად უყვარდათ თურმე თანასოფლე-

ლებს. ყოფილა ძალზე ნიჭიერი, გონიერი. ამასთან ფიზიკურადაც ძლიერი, მარდი. „ისეთი მარდი იყო ლევანი, ჩარგლელები ამბობდნენ აღმართში გაქცეული კურდღელი დაიჭირაო. ეს არ ვიცი რამდენად მართალი იყო, მხოლოდ ის კი ჩემი თვალით მინახია, ორ გაშლილ ნაბადზე როგორა ხტებოდა", იგონებს მეუღლე თამარი. ყოველივე ამ სიკეთის გამო ხალხს ფშავის კომისრად აურჩევია.

არეული დრო იყო რევოლუციისა და მისი შემდგომი ხანები; ძარცვა, ყაჩაღობა, კაცის კვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ქისტები, ლეკები, ოსები და სხვანი ამ არეულობით სარგებლობდნენ, გადმოდიოდნენ და ცხენებს, ცხვარ-ძროხას იპარავდნენ. ამიტომ უკანაფშავის მთაზე ქისტეთისაკენ მიმავალი გზა-ბილიკები შეკრული ჰქონდა თუშ-ფშავ-ხევსურთა გაერთიანებულ რაზმებს, რომელთან ერთადაც ყოფილა ლევან რაზიკაშვილი. ქისტებს ფშავიდან წაუსხიათ ცხენები ღამით და მათურაზე გადაურეკიათ. მაცნეს ეს ამბავი შეუტყობინებია რაზმისათვის. იქიდან ქისტებისათვის დადევნება მიუნდვიათ ყველაზე მუხლადი და გულადი ვაჟებისათვის – გაგა ხორნაულისა, ივანე გორზამაულისა, ლევან რაზიკაშვილისა და გიგია ჭინჭარაულისათვის. გაგა ხორნაული, ბუბათ გაგად წოდებული (ობლად გაუზრდია დედას, სახელად ბუბას) მთელ ფშავ-ხევსურეთში ცნობილი იყო როგორც მგლის მუხლა მონადირე – კვირისტავები არა ჰქონდა და გაქცეულ ნადირს ეწეოდაო. დასწევიან ქისტებსაც ხახაბოს ჭალაზე.

შორიდანვე დაუნახავთ, ვიღაცეებს ცხენები ბალახზე მიეშვათ, თავად პურის საჭმელად დამსხდარიყვნენ. მაინც არ მოვტყუვდეთო, გიგიასთვის უთქვამთ, შენზე უფრო ეჭვს არ აიღებენ, წადი და თუ ხევსურები არიან, ჩამოჯექ იმათთან, თუ ქისტები – გასცდი, იმაზე გავიგებთ და დავთოფავთო. ჩაუვლია გიგიას, მისალმებია და გზა გაუგრძელებია. ამათ გაუგიათ რომ ქისტები იყვნენ და უსროლიათ. ორი მათგანი მოუკლავთ და მესამე, დაჭრილი, ლოდს ამოჰფარებია და საპასუხო სროლა აუტეხია. ქისტის ნასროლს ლევანისთვის ქუდი გაუხვრეტია, მოუგდებინებია. გაგას დაუყვირია: – კლდეს მააფარე თავიო! – ისე ვერ ვუმიზნებო, – უთქვამს ლევანს და თავამოყოფილს გაუგ-

რძელებია სროლა. გაგას ძალად დაუხრეინებია თავი. იმ ერთ ქისტსაც შეუწყვეტია სროლა, კიდევ მოხვედრია ტყვია. გიგიას უთქვამს, როცა მისულან, ბარემ დავასრულოთო, თოფიც მოუღერებია. გაგას ხელი უტაცნია, არ დაუკვრევინებია. პირიქით, ჭრილობები შეუხვევია ქისტისთვის და ნაბადი წაუხურებია, რომ სიცხეს არ შეეწუხებინა. დაჭრილისათვის არც იარაღი აუყრევნებია გაგას – ვაჟკაცობას ნუ ჩამოვყრითო. სხვა ნადავლი კი, იარაღი და სხვა რაღაცეები, წილით გაუყვიათ. ლევანს ყარწიკა შეხვედრია, გაგას – ნაგანი, ივანეს – ხანჯალი, გიგიას თათრული შაშხანა. დანარჩენი ალბათ წილში დანამატად გადიოდა, სართად.

რამდენიმე დღის შემდეგ თუშ-ფშავ-ხევსურთა გაძლიერებული რაზმი, რუსის ჯართან ერთად ჯარეგოში ჩასულა. ის დაჭრილი ქისტი უკვე იქ ჰყოლიათ ჩაყვანილი. ერთი ქისტის ბალღი კი თურმე გიგიას თოფს დააშტერდა – უცნია მამის თოფი. ცოტახნის შემდეგ კოშკიდან საიდანღაც გავარდნილა თოფი და გიგია უსულოდ დაცემულა. მოვარდნილა ის ქისტის ბალღი და მამის თოფი აუტაცნია, ჰკოცნიდა და თანა ტიროდა თურმე. ხმა ვერავის გაუღია, რადგანაც ქისტებთან შეტაკებას მორიდებიან. შებინდების ხანს ერთი ქისტი მისულა გაგასთან და უთქვამს: დაღამდება თუ არა, აქედან წადი, თავს უშველეო. მხოლოდ იცოდე სხვას არავის უთხრა, თორემ შენც აქ მოჰკვდებიო. გაგას ლევანისათვის მაინც უთქვამს, არ მიუტოვებია და როგორც შეღამებულა, ცალცალკე გამოპარულან. იმ ღამეს იქაურ ქისტებს მაისტის ქისტებიც წამოშველებიან და იქ მდგომი ჯარი მთელერთიანად ამოუწყვეტიათ.

ქისტთა მდევრობასთან დაკავშირებით ფშაველ მოლექსეს ხოტბა შეუსხამს ვაჟების სიმამაცისათვის:

„ქისტებ იპარვენ ცხენებსა ქუჯეგათ სახლის ძირსაო,
გაუდის ხევსურეთზედა, ბილიკ იციან მთისაო.
შაატყობინეს პოსტზედა გაგას, ბუბაის შვილსაო,
ქისტების ოინ გაიგო გული აძგერდა ყმისაო,
მუხლად მარდია მავალი, შავარდენია მთისაო.
მალედვე წამაეწია, ხან იყო შუადღისაო,
ეგრე მააყრის ტყვიასა, როგორც ხორხოშა ცისაო...

ორნი ჰყვან ამხანაგები, ქორ-შავარდნები მთისაო,
მაგათაც უნდა შაქება, კვალი გაიგეს მტრისაო:
ივანეს გორზამაულსა, ლევან რაზიკაშვილსაო".

გიგია ჭინჭარაული ძმადნაფიცი ყოფილა მიხა ხელაშვილისა. მისი დაღუპვა მძიმედ განუცდია და ლექსიც მიუძღვნია. როგორც ამ ლექსის დათარიღებიდან ჩანს, ეს ამბავი 1918 წელს მომხდარა.

მას შემდეგ კიდევ უფრო დამეგობრებულან ბუბათ გაგა და ლევანი. თუმცა მანამდეც ჰქონიათ ნათელ-მირონობა – გაგა მონათლული ყოფილა ვაჟას მამის პავლესაგან.

ერთხელ, სწორედ ბუბათ გაგასთან წვეულებაზე ყოფილან სოფ. კაწალხევში ვაჟა და ლევანი, მამაშვილნი. ლევანს თავისი კარგი ცეკვით ხალხი აღტაცებაში მოუყვანია. ვაჟას კი ჩაჰღიმებია: „მე ის მინდოდა, სწავლა თავში შესვლოდა, მაგას ფეხებში წასვლიაო. თუმცა ჩვენ დროში ფეხებს უფრო ფასი დაედო, ვიდრე თავსაო".

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ვერაგული ანექსიის შემდეგ ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით 1922 წელს დაიწყო ბრძოლა სამშობლოს ხსნისათვის. მისმა „საქართველოსთვის შეფიცულთა" რაზმმა უთანასწორო ბრძოლები ჩაატარა კახეთში ბოლშევიკურ ძალებთან და თანდათან მთაში გადაინაცვლა. ქაქუცას მოწოდებაზე აჯანყდა ხევსურეთი. მათ ზოგიერთი ფშაველიც შეუერთდა, მათ შორის მიხა ხელაშვილი. ამის გამო რუსის ჯარმა კომკავშირელ კონსტანტინე ლესელიძის მეთაურობით ზარბაზნები დაუშინეს ხევსურთ სოფლებს. დაიწყო დახვრეტები მთელ საქართველოში. თუკი ვინმემ თანაგრძნობა გამოხატა ქაქუცას გამოსვლებისადმი, თუკი ვინმე თანამოაზრედ დაიგულეს, ყველას დაუნდობლად სპობდნენ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ლევანი თურმე ერთად სწავლობდნენ ჯერ თელავში, მერე თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, იქ დამეგობრებულან და, ბუნებრივია, ფშავზე შევლისას მეგობრები სიხარულით, მაგრამ მაინც საიდუმლოდ შეხვედრიან ერთ-ურთს. სიფრთხილისათვის ქაქუცას რაზმი ჩარგლის მაღლა, საყდართ გორზე დაბანაკებულა ღამის გასათევად, თვითონ

კი შეღამებულში ლევანთან მისულა სტუმრად, უქეიფიათ, ლევანს ერთი ახალთ-ახალი ნაბადიც უჩუქებია. მეორე დღეს ღამიანადვე გასულა ქაქუცა. ორჯონიკიძესა თუ ფილიპე მახარაძეს დაურეკიათ მაღაროსკარში ლევანისთვის, პარტიულ კომავშირელთა რაზმი შეადგინეთ და ქაქუცას ბანდას გზები შეუკარითო, ამოხოცეთ, მოსპეთო. რაკი ბრძანება იყო, ლევანს ვალის მოხდის მიზნით შეუდგენია რაზმი და ვითომ დასდევნებია. ხალხის თვალის ასახვევად უნდოდა ქაქუცას დევნის ინსცენირება. ამ დევნაში ჩარგლის ზევით სადღაც არაგვის ჭალაზე თვით ლევანის რაზმი აღმოჩენილა ქაქუცას ხალხის ალყაში. ლევანს მოუსწრია დაძახება:

– ლენკო! (ასე ეძახდნენ თურმე ქაქუცას გიმნაზიაში), რას შვრები! თუ ამ ხალხის ამოხოცვას აპირებ, პირველი ტყვია ბარემ მე დამკარიო!

გამოსულა საფარიდან ქაქუცა და ლევანსა და მას ერთმანეთი გადაუკოცნიათ. ჩეკისტებს და მათ მოყურიადეებს რა გამოეპარებოდათ? 1922 წელს აფხუშოს თავს სათიბზე ნამყოფი ლევანი დაუპატიმრებიათ. ხელშეკრული ლევანი სათიანეთოდ ახუნის მთაზე გადმოუყვანიათ და რატომღაც ივრის ხეობით კი არა, შარახევზე ჩამოუტარებიათ: სოფელ ლახატოში ცნობილი მოლექსის ყრუვ-გიორგის შვილთან, ივანე მგელიაშვილთან მისულან ღამის გასათევად. სტუმართმოყვარეობით ცნობილი ოჯახი იყო, მაშინაც გახარებიათ კარგი სტუმრების მისვლა, მაგრამ ვაჟა-ფშაველას სახელოვანი შვილის დატყვევების ამბავს ძალზე შეუწუხებია.

პოლიციელები ნაცნობები ყოფილან. ივანეს კი ჯერ უცნობნი სცემდნენ თურმე პატივს, როგორც ნამდვილ მთიელ კაცს, ნაცნობები და მის ოჯახში ბევრჯერ ნაპურმარილევნი ხათრს არ გაუტეხდნენ. უთხოვია ივანეს, ვაჟას შვილს ხელშეკრულს ნუ მაყურებინებთ, შეუხსენით, სუფრასთან წესზე დაჯდეს, ნუ გეშინიათ, ეგ ისეთი მამის შვილია, გაქცევას არ იკადრებსო. მაშინ ჯერ კიდევ, ჩანს, მთლად ადამიანობა დაკარგულნი არ იყვნენ ჩეკისტები, ლევანისათვის ხელები შეუხსნიათ და მთელი ღამე ქეიფში გაუტარებიათ. გათენებულა, გამოსულან და ლევანს მასპინძლისთვის უთქვამს, შენი შაშხანა გამომიტანეო. დაფეთებულან პოლიციელები – ნეტავ რას აპირებსო! ივანეს

ვაჟას შვილიშვილი ლუკა რაზიკაშვილი მეუღლესთან, ქალიშვილებთან: თამარ, მარინე და ნინოსთან; შვილიშვილებთან: ლევან, მაია და მალხაზთან.

ერთი კი შეუვლია თვალი ყველასათვის და ისევ და ისევ ლევანის რწმენით დაიმედებულს უყოყმანოდ გამოუტანია თავისი „ხუთსროლიანი". თვით ვაჟასაგან იარაღში გაწვრთნილს სხარტი მოძრაობით, თითქმის დაუმიზნებლად ხუთი უსროლია ეზოს ბოლოში მდგარი ახალგაზრდა მსხლის ხისათვის და ხუთივე დაუკრია. თოფი ივანესთვისვე დაუბრუნებია და უთქვამს: ერთხელაც კიდევ ხომ გავახმიანე მთები... ეგ ნატყვიარები ჩემ სამახსოვროდ დარჩეს... მე აქეთ ვეღარ ამოვივლიო. კი შედავებიან, მაგას რად ამბობო, მაგრამ ლევანის ეჭვი უსაფუძვლო არ იყო.

ის ნატყვიარი მსხალი მაღლა გამხმარა, დაბლა ყლორტები ამოუყრია. ივანეს გადაუჭრია და ხელახლა დაუმყნია, ლევანის სახელზე გაუხარებია. სიკვდილამდე სულ იმ ხეს ეფერებოდა თურმე თავისი დაკოჟრილი ხელებით და თან თვალცრემლიანი ბუტბუტებდა: რა ვაჟკაცი დაღუპესო. (ცნობა მოგვაწოდა ივანეს შვილიშვილმა თინათინ მგელიაშვილმა).

კარგახანს თიანეთში ჰყოლიათ, მერე თბილისში, მეტეხში ჩამოუყვანიათ და დახვრეტა მიუსჯიათ. შეშფოთებულა ქართველი ინტელიგენცია, უცდიათ ლევანის ხსნა. შალვა დადიანი, პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი – იმ დროისათვის ყველაზე სახელოვანი მწერლები – მისულან ინტელიგენციისა და ხალხის სახელით სერგო ორჯონიკიძესთან – ვაჟა-ფშაველას შვილია, ნუ დახვრეტთო. როგორც ყვებიან მისულან საქვეყნოდ ცნობილი ქართველი ქალებიც: ვერიკო ანჯაფარიძე, ნატო ვაჩნაძე, თამარ ჭავჭავაძე, მაგრამ „რკინის კომისარი" ყველას ამ სიტყვებით ისტუმრებდა თურმე: „ვაჟა-ფშაველას შვილს კი არა, თვით ვაჟაც რომ ცოცხალი იყოს, იმასაც დავხვრეტავდითო!" მეტეხის ციხიდან გაუყვანიათ სხვა ტუსაღებთან ერთად. დამხვრეტთა მონაწილის გადმოცემით ლევანი სიკვდილის წინ ოდნავადაც არ შემკრთალა, არ ეპუებოდა, ლანძღავდა თურმე ჯალათებს. მათ სამშობლოს გამყიდველებს, ხალხის მტრებს უწოდებდა. ემუქრებოდა: არ შეგრჩებათ, ძაღლებო, ჩვენი დახვრეტა, ხალხი სამაგიეროს გადაგიხდითო!

ისევე, როგორც ბევრმა სხვამაც საქართველოში, მეც არ ვიცოდი რომ ლევანს ცოლ-შვილი დარჩა და ისინი გორში ცხოვრობდნენ. ამ წიგნის 1987 წლის პირველი გამოცემის შემდეგ, როცა გადამუშავებაზე და შევსებისათვის დავიწყე ზრუნვა, მაშინ გავიგე ლევანის შვილები გორში ცხოვრობენო. ჩავედი და კითხვა-კითხვით მივაგენი ოსტროვსკის ქუჩის 47 მცხოვრებ შეჭაღარავებულ და ძალზე სიმპათიურ მანდილოსნებს, ქეთევან და პეპელა რაზიკაშვილებს. ქეთევანი ადრე დაქვრივებულა, კარგი შვილები ჰყავს და შვილიშვილებიც. პეპელა კი აღარ გათხოვილა და დას ამოსდგომია გვერდში შვილების აღზრდაში.

როდესაც მე ჩემ სირცხვილად ჩავთვალე აქამდე იმის უცოდინრობა, რომ ვაჟას შვილიშვილების შესახებ არაფერი ვიცოდი, თვალცრემლიანებმა ღიმილით მანუგეშეს: ეგ შენი ბრალი არ არის, ისე ააწყვეს ცხოვრება, რომ ჩვენ შესახებ არავის არ უნდა სცოდნოდაო. და აი, რა მოვისმინე იმ საღამოს:

„ვაჟა-ფშაველა მკითხავთან სადღაცა ყოფილა, ლევანიც თან ჰყოლია. გარეთ ეზოში რიგი მდგარა რო მისულან, ბევრი ხალხი ყოფილა, ვაჟასაც რიგი დაუჭერია. მკითხავს შინიდან დაუძახ-

ნია: დიდი ვიღაცა მოვიდა, შემოვიდესო! შესულა ვაჟა და შეუყვანია ლევანიც. სხვა რა უთხრა მკითხავმა არ ვიცით, ერთი კი ის უთქვამს: შენი შვილი ცოლს ირთავს მალე, ლამაზი ქალია, მხოლოდ ისეთი სიმახინჯე აქვს, არ ეტყობაო.

მამას და დედას ძალიან უყვარდათ თურმე ერთურთი. ალბათ უფრო ლამაზი სხვა აღარავინ ეგონათ და მამას ერთხელაც, ოჯახში თავის სიდედრის თანდასწრებით უთქვამს:

„მკითხავმა ესე-ესე გვითხრა მე და მამაჩემს და, აბა, მაგათი რამე დაიჯერებაო?

– არა, ტყუილი არ უთქვამს, აი ნახეო, დედასთვის თმები გადაუწევია თავის დედას და მისი ყურები უჩვენებია – ერთი სხვანაირი ჰქონია, მეორე სხვანაირი.

მეტეხის ციხეში რომ ჰყოლიათ მამა, დედა ჩამოსულა ჩარგლიდან მის სანახავად. მაშინ უთქვამს მამას, მე შეიძლება გავიქცე და, აბა, შენ იცი, ბავშვებს როგორც მიხედავო. დედა შეშფოთებულა: რა გიჭირს გასაქცევი ვაჟას შვილს, ეგ არ გააკეთო, არ შეცდე, გაქცევის დროს მოგკლავენ და იცოდე შვილებსაც დავხოცავ და თავსაც მოვიკლავო.

მეტეხის ციხიდან ვინმე ზანდუკელს უნდოდა თურმე გაეპარებინა ლევანი, მაგრამ მამამ არ ისურვა გაქცევა, თუ ვეღარ მოახერხეს არ ვიცით. დედას გაქცეული ეგონა თურმე, რადგან სამი წელი რატომღაც ეძებდნენ ჩარგალში. ალბათ რომ დახვრიტეს იმის გაგებინება არ უნდოდათ ხალხისთვის. თუმცა გაზეთში გამოუქვეყნებიათ დახვრეტილთა სიები. მამაც ყოფილა იმ სიაში.

ჩვენ ჩარგალში აღარ გვედგომებოდა. „მთიულაი"'(ასე ეძახდნენ ვაჟას მეორე ცოლს) არ გვიხდენდა. ცდილობდა თავიდან მოვეშორებინეთ. მამა ელოდა დაჭერას და თავს არიდებდა თურმე, დიდი ხნით გადიოდა სახლიდან. მაშინაც სათიბზე რომ წასულა აფხუშოს თავს, დაუბარებია, არავის უთხრათ სადა ვარო. ლევანის დასაჭერად მოსული ჩეკისტებისათვის „მთიულას" მიუსწავლებია, აქ და აქ არისო.

მთელი საჭმელი კიდობანში ჰქონდა ჩაკეტილი, უნდოდა გვაჭმევდა, არ უნდოდა, არ გვაჭმევდა. ლევანის მოტანილ სურსათსაც იქ კეტავდა და დედასაც არაფერს ეკითხებოდა, ისიც ხმას ვერ იღებდა თურმე. დედას კი ჩარგლიდან არ სდომებია წამოსვლა – ლევანის კერას არ გავაციებო, ხშირად ტყეშიც

კი გადიოდა ღამის სათევად ხელაშვილის დასთან, სალომესთან ერთად – ისა მეგობრობდა თურმე დედასთან. ორივეს შიში ჰქონდა თურმე დაჭერისა, ერთს როგორც „მავნებლის" მეუღლეს, მეორეს კიდევ „ყაჩაღის" დას.

როგორც კი ლევანი დაუჭერიათ, შეშინებულ დედას მთელი ნაწერები რაც კი რამე ყოფილა, ბუხარში შეუყრია. ვაჟასიც ბევრი ყოფილა, ლევანისაც, მაგრამ იქვე ყოფილა ქაქუცა ჩოლოყაშვილის და სხვა მეგობრების წერილები – იმათი გადარჩევის დრო აღარ იყოო.

მეტისმეტად აუტანელი რომ გამხდარა ჩარგალში ყოფნა, დედიძმა, იოსებ მთვარელიძე ამოსულა გორიდან და იმას წამოვუყვანივართ. დედას ცხენისთვის რაც აუკიდია, იქიდან მხოლოდ ის წამოუღია, ერთ ხურჯინში აქეთ-იქეთ მე და ჩემი და, მეორეში ჩემი ძმისთვის ხურჯინის ცალად ქვა ჩაუდვია და წამოვუყვანივართ. იოსები კარგი კაცი იყო, ფედერალისტი. თედო და მიხა რაზიკაშვილებთან ერთად ამ ორგანიზაციის წევრი იყო თვითონაც. 1928 წლამდე, სანამ ის გარდაიცვლებოდა, არა

ლევანის ქალები პეპელა და ქეთევანი. ქეთევანის შვილ-რძალნი და შვილიშვილები

გვიჭირდა, თავის შვილებზე მეტად გვპატრონობდა. მერე კი დაიწყო ჩვენი უბედურება. ყველამ ზურგი შეგვაქცია, თუმცა დედაც იმასა ცდილობდა, რაც შეიძლება შეუმჩნევლად ყოფილიყო, შვილები როგორმე გადაერჩინა.

არ ვიცით მითითებით იყო თუ თავისით აკეთებდნენ, აქედანაც

აყრა და გაყრა უნდოდათ ჩვენი. მამას ნაყიდ ნაკვეთზეც აღარ გვაყენებდნენ, რომელიც ვაჟასაგან მიცემული იმ 50 მანეთით იყო ნაყიდი, იუბილის დროს რომ მიეცათ. იოსების გარდაცვალების შემდეგ მისი შვილ-რძალი მტრად გადაგვეკიდნენ. გვყრიდნენ სახლიდან, მაგრამ სად უნდა წავსულიყავით? იმ ოთახს, რომელშიც ჩვენა ვცხოვრობდით, სახურავი გადახადეს, თოვლი და წვიმა ზედ დაგვდიოდა. დედა საწოლის თავებზე გადაჭიმავდა საწვიმარს და ისე ვიყავით შეყუჟულები.

– ღმერთმა ნათელში ამყოფოს თადეოზ გოზალიშვილი, – ილოცება ქალბატონი პეპელა, – იმისი შვილი სწავლობდა ჩემთან, თამარ გოზალიშვილი, იმას ეთქვა მამისთვის – პეპელას ღამე რომ სძინავს, წვიმა ასველებს ხოლმეო, სახლი დაუნგრიესო. მოვიდა თადეოზი, წაგვიყვანა და თავისი სახლის ერთ ოთახში დაგვაყენა. ცოლს უთხრა: საჭმელს რომ გააკეთებ, პირველად ამათ შეუტანეო.

თადეოზმა ხალხს გამოუცხადა, ლევანის ქვრივ-ობლებს სახლი უნდა ავუშენოთო. სირცხვილია, ნუთუ ხალხი არა ვართ, ფული შევაგროვოთ და იმის ნახევარს მე დავდებო – მას საკუთარი საკონდიტრო ჰქონდა. ფული თვითონვე აკრიფა, ქვა როგორ მოაზიდვინა, სხვა მასალა, ან მუშებთან მორიგება-გარიგება, დედას არაფერი გაუგია, არ ჩარია, რადგან დედას არც ეცალა, დილიდან დაღამებამდე ქარხანაში იყო. პირველად რომ უთხრეს სახლი უნდა აგიშენოთო, გული ამოუჯდა და იმდენი იტირა, ძლივს დააწყნარეს. მერე უთხრა თადეოზს, მთლად ეგრე უფასოდ არ მინდა, მაქვს ოქროს და ვერცხლის ნივთები, იმას მოგცემო. მერე მამიდა თამარის ნაჩუქარი დიდი ფარდაგიც გაყიდა. ჩვენი ნივთები მესამედსაც ვერ აანაზღაურებდა, თადეოზმა თითქმის სულ თავისი ფულით აგვიშენა.

დღესაც იმ ოროთახიან, პატარა სახლში ცხოვრობენ დები პეპელა და ქეთევან რაზიკაშვილები.

30-იან წლებში დედა თავს იკლავდა შრომით რათა კომუნისტების გული მოეგო, სტახანოველიც იყო, მოწინავეც, რომ არაფერი მოეშარებინათ მისი შვილებისათვის. ღამის ცვლაში როცა მუშაობდა, ოროლი შვილი თან დავყავდით, იქ გვაძინებდა. ლუკა „ფეზეოში" სწავლობდა. მამიდა თამარი ჩამოვიდა ერწოდან და ქეთევანი თავისთან წაიყვანა.

– ერთხელ, ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელმა ვინმე ჭიჭინაძემ სულ არაფერზე მიღრიალა: თქვენი დრო წავიდა, რაზიკაშვილო, ჩოხა-ახალუხებით რომ დაიჯგიმებოდითო!

– დედაც იმასა ცდილობდა, რომ არავის გავხსენებოდით, შეუმჩნევლად ვყოფილიყავით და ამას ცდილობდა ვახტანგ რაზიკაშვილიც. ყველას უმტკიცებდა და არწმუნებდა: მამაჩემს ერთადერთი მემკვიდრე მე დავრჩიო, მისი ჰონორარია თუ რამ სხვა, მე მეკუთვნისო. ამიტომ იყო, რომ არც გულქანისა და თამარისა იცოდა რამე საზოგადოებამ. ვაჟა-ფშაველას იუბილეს რომ ამზადებდნენ 1961 წელს, მოსაწვევებისათვის ჩავედი თბილისში, მწერალთა კავშირში სერგი ჭილაიასთან მივედი და ჩემი ვინაობა ვუთხარი. ფეხზე წამოვარდა გაოცებული: რას მეუბნებითო, ლევანის ქალიშვილი ბრძანდებითო?! ლევანს შვილები დარჩაო? ვახტანგისაგან ჩვენ ვიცით, ლევანს არავინ დარჩენიაო. როგორ, იმან არ იცის თქვენ შესახებო?! ყვიროდა ბატონი სერგი, ლანძღავდა ვახტანგს.

– როგორ არ იცის. არც დიდი ხანია, რაც ჩვენთან იყო-მეთქი, –მე ვუპასუხე.

მართლაც, იმ რამდენიმე თვის წინ იყო ჩამოსული ვახტანგი ჩვენთან. აი, ამ ოთახში ღუმელის ირგვლივ ვიყავით შემომსხდრები. ჩვენდა სასიკეთოდ კი ის არ ჩამოვიდოდა, რა აინტერესებდა არ ვიცი. დედას და იმას კამათი რაღაცაზე მოუვიდათ. დედამ მოწმობა ამოუფრიალა – შენ ჭკვიანად იყავი, თორემ მე ვიცი რაც რაზიკაშვილი ხარო! ვახტანგმა ხელიდან გამოგლიჯა და ღუმელში შეაგდო. მერე გავარდა სახლიდან და გაიქცა.

ვახტანგი თურმე თავის დედას მუცლით მოჰყვა. ეს იცოდა ვაჟამ და ბავშვს გვარს არ აძლევდა. აქ, გორში ჩამოიყვანეს ისაც სასწავლებლად და მოწმობა დიდებაშვილობაზე ჰქონდა, დედის გვარზე. სანდროს წერილიც მოეწერა, მგონი მიხასთვის: რანაირი კაცია ეს ვაჟა, რატომ არ აძლევს გვარს მაგ ბალღსო! ლევანმა და მიხამ რაღაცნაირად მოახერხეს და რაზიკაშვილობაზე დაწერესვაჟას სიკვდილის შემდეგ. დიდებაშვილობის მოწმობა ჩვენთან ყოფილა დარჩენილი და ეტყობა იმისი მოსპობა აინტერესებდა ვახტანგს და მოსპო კიდეც. გვარის გადაკეთებასთან დაკავშირებით კი 1916 წელს, ვაჟას სიკვდილის შემდეგ შეუტანიათ ცვლილებები (ამასთან დაკავშირებით იხილეთ საქ. ცენ-

ტრალური არქივი, ფშავის საეკლესიო ჩანაწერები, 1905 წელი).

ვახტანგი თავგადაკლული კომკავშირელი და პარტიის მუშაკი იყო. ბევრი ცუდი საქმე ჩაიდინა. ერთი ჩარგლელი პირქუშაშვილი თავის ხელით მოკლა, მიხა ხელაშვილის, ლევანისა და მიხა რაზიკაშვილებს დახოცვაშიც წილი ედო. მერეც გულ და გულ ცდილობდა ლევანის კვალის წაშლას. იცით რატომ? პირველ რიგში შურით, რაკი ის ნიჭიერი და ყოველგვარი სიკეთით შემკული იყო, მას იცნობდნენ როგორც ვაჟას ღირსეულ შვილს, ხალხს უყვარდა. ვახტანგს კი პატივს არავინ სცემდა, როგორც ყოველმხრივ უვარგისსა და „მამის" შემარცხვენელს. ოთხივე შვილი ნიჭიერი და კარგი იყო ვაჟასი, ის კი გამორჩევით უნიჭო იყო. ამითაც მტკიცდება რომ ის არ იყო ვაჟას შვილი.

შეიძლება უხერხულიც იყოს ამის ლაპარაკი, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს ,ხალხმა ხომ უნდა იცოდეს სიმართლე.

ვაჟა-ფშაველას წიგნების ჰონორარიდან ხომ შეიძლებოდა ჩვენთვისაც რაიმე მოემადლებინა ერთხელ მაინც. კაპიკი არაფრისა მიგვიღია, თვითონ კი გაფუფუნებული იყო. ჩემი იქ ყოფნის შემდეგ, ბატონ სერგის დედაჩემისათვის ერთჯერადი დახმარების სახით კარგა დიდი თანხა გამოუწერინებია, პენსიაც დაენიშვნინებინა, მისულიყო ვახტანგი და ისიც იმას აეღო – ეგ თანხა დედაჩემისთვის არის გამოწერილი, თამარი დედაჩემსა ჰქვიანო. დედა 1987 წელს გარდაიცვალა 95 წლისა. აბა, თუ ვინმეს სადმე როდისმე უხსენებია?"

ამასთან დაკავშირებით აი რა მიამბო ლევან ბოძაშვილმა. ის ფშავში ცნობილი კაცი, მამაჩემის განუყრელი მეგობარი იყო. მან, უკვე წადროვნებულმა, ბოლოს თბილისელი ქალი შეირთო და სიცოცხლის ბოლო წლები თბილისში გაატარა. ხშირად მირეკავდა თავისი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კრებულების მომზადებაში მისახმარებლად და ხინკალ-ჟიპიტაურის თანამეინახედ. თანაც უამრავ რამეს მიყვებოდა. ერთხელაც სიტყვამ მოიტანა და ვახტანგ რაზიკაშვილზე ჩამოგვივარდა სიტყვა.

– „შენ არ ვიცი მოგიკრია ყური თუ არა, ძმისწულო, მაგ ვახტანგს მუცლით მოყოლილს ეძახდნენ ჩარგალელნი – არ იყო ვაჟას შვილიო. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მინდა გიამბო... სანამ ცოცხალი იყო, ვერ ვამბობდი, მაშინებდა, ერთი ხათაბალა კაცი იყო (კაციცა ჰყავს მოკლული), თუმცა კი მალე

მენაც იქ მამიწევს წასვლა, იქაც ვიცი ხათაბალას რას ამიტეხს, მაგრამ რაც იქნება იქნება, მინდა იცოდე სიმართლე, – ხმამაღლა, მთელი ხმით იცინოდა ძია ლევანი, როგორც ჩვეულებრივ სჩვეოდა.

– ერთხელაც ეგ ვახტანგი, გიამბო თავის ძმისწულსა, ჩემთან წავიყვანე შარახევში. იქ პური რო უნდა გვეჭამა, მეზობელს, გიორგი ტუქსიშვილს დავუძახე. გაუხარდა: ვახტანგის ნახვა მაინტერესებსო. ცოტა რომ შევქეიფიანდით, გიორგიმ ვაჟა-ფშაველას შესანდობრის თქმა დააპირა, ვითომ ვახტანგს ვასიამოვნებო.

– მამაშენ ვაჟაის სულ გაანათლოს ღმერთმაო.

– ერთი ვაჟას სულ-საიქიოცა, იმის მამგონისაცაო! – იყვირა ამ ვახტანგმა, – ის კაცი თუ იყო, თქვენ ის კაცი გგონიათო?! – აყვირდა რო სულ ცოფი ყარა. არაყიანი ჭიქა ძირს დაჰკრა, გატეხა. საწყალი გიორგი, ადგა და უხმოდ წავიდა. მერე მიამბო:

– მაგას რა მამაფიქრებდა, რო ვაჟას ეგრე გინებას დაუწყებდა, ეგ ბეჩავი ეგა. თან იმას იძახის ვაჟას შვილი ვარო, თან საფლავ-სამარეს უტრიალებს. ტყუილად არ ულექსებიათ ფშავლებსა:"რაზიკაშვილო ვახტანგო, გაგთეთრებია ქოჩორი, ჟინვალის ქვემოთ კაცი ხარ, ჟინვალის ზემოთ – ჩოჩორიო". მენ ისი მგონავ, ჩემ ნათქომ ეწყინა, რაკი შამსწვრალი ვარ მაგაზე რო თქო ვაჟამა:"განა ჩემ გაკეთებულიაო". ვეხსომები ნიადამა, მაშინ ეგ ცხრა-ათის წლისა იქნებოდა... ქვევიდან საიდანღაც მოვდიოდით ცხენებითა. ვაჟაც ჩვენთან იყო. იმას ცხენის გავაზე ეგ ვახტანგი ჰყავდა შემოსმული. შარახეულაზე რო მოვედით, წვიმებისაგან წყალი წამოდიდებული იყო. ვაჟას ცხენმა წაიფორხილა და ვახტანგი წყალში ჩავარდა.

– არიქა, ვაჟავ, ვაჟავ! ბალღი ჩავარდა წყალშიო! – ავტეხეთ ყვირილი, გავიქეცით მისაშველებლად.

– ჩავარდეს მაგისი დედაც, განა ჩემ გაკეთებულიაო! – ალბათ ბალღის უშნოობამაც გააბრაზა ვაჟა – ტახტას რატომ მაგრა ვერ ჩაეჭიდაო, ამაჰკრა ცხენსა და წავიდა. ვახტანგი ჯანაშვილ იოსებს შემოვუსვით ცხენის გავაზე და იმან წაიყვანა. ჩემ სიტყვა იმიტომ ეცა სენცეცხლასავითა, რომ იფიქრა დამცინისო, რაკი ამან იცის, ვაჟაის შვილი არა ვარო.

გიორგის ეგონა ეგრე, თორო რამდენჯერ შევ-



ქაქუცა ჩოლოყაშვილი

სწრებივარ ვაჟა ცუდად მოეხსენიებინოს, ეჯავრებოდა, ვერ უხსენებდი. მუზეუმის თანამშრომლებს კვლევის უფლებას არ აძლევდა. თბილისში სხვანაირად ეჭირა თავი – იქიდან ჰონორარებს ელოდა როგორც ვაჟას"ერთადერთი" მემკვიდრე".

საბჭოთა წყობილების დროს (1985-6-7 წლებში), როდესაც „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებაზე" ვმუშაობდი, ლევანის დახვრეტასთან დაკავშირებული საარქივო მასალების მოძიებაზე არც მიფიქრია, რადგან ვიცოდი, ამის მცდელობასაც კი, დანაშაულად თუ არა, სიგიჟედ მაინც ჩამითვლიდნენ. გვიან, 2000-იან წლებში შევარდნაძის მოფოქრაქებულ საქართველოში, როცა სახელმწიფოსა და კანონებზე აღარავინ რას ფიქრობდა, უფრო სწორედ იგივე კომუნისტურ რეჟიმის მსახურთაგან წერე და იკითხეს პოლიტიკა იყო გამეფებული, მომაფიქრდა ლევანის საქმეთა მოძიება. მაგრამ, რომ იტყვიან, იქვე გადამესხა ცივი წყალი: საქართველოს ცენტრალურ არქივში მითხრეს ეგეთი მასალები ჩვენთან არ არის, „კგბ"-ს არქივი კი ნაწილი 1991-92 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დროს დაიწვა, ნაწილი რუსეთშია გადატანილიო. და, აი, 2001 წლის იანვარში, სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ლევანის „საქმე" ინახება საქართველოს უშიშროების სამინისტროსთან არსებულ არქივში, იქვე მათ შენობაში, ვაჟა-ფშაველას 72-ში. აქ საექსპერტო-კრიმინალური სამმართველოს უფროსი აღმოჩნდა ჩემი ძველი მეგობარი, მაგრამ დიდი ხნის უნახავი ფშაველი კაცი გივი ღუბიანური. მან თავის კაბინეტში მოატანინა „საქმე" და ორი დღის განმავლობაში ვშიფრავდით რუსულ-ქართულად ნაწერ საბუთებს, გაკრულ (ჩანს ზოგჯერ განგებ) ხელმოწერებს.

სანამ მკითხველი ამ მასალებს გაეცნობოდეს, მინდა შევახსენო ის დრო, ის ვითარება, რამაც შეიწირა ლევან რაზიკაშვილის (და მასთან ერთად ათასობით პატრიოტის) სიცოცხლე. ამისათვის მოვიყვან იმ ტრაგიკული ამბების მონაწილისა და შემდეგში საფრანგეთში გადახვეწილი მამულიშვილის სოლომონ ზალდასტანიშვილის წიგნიდან შემდეგ მონაკვეთს.

1921 წლის თებერვალში რუსეთმა მოახდინა საქართველოს ვერაგული ანექსია. ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ამას ვერ შეეგუა. აშკარა ომში დამარცხების შემდეგ დაიწყო ქვეყნის ხსნისათვის სამზადისი.

„ქართველი ხალხის მხედრულად დარაზმვასა და აჯანყებისათვის მომზადებას ასრულებდა სამხედრო ცენტრი, რომელიც ჩამოყალიბდა 1922 წლის მარტში შემდეგი შემადგენლობით: თავჯდომარე გენ. კ. აფხაზი (ილია ჭავჭავაძის დის შვილი – გ. ხ.); წევრები: გენერალური შტაბის გენერალი ალ. ანდრონიკაშვილი, გენ. ვარ. წულუკიძე, პოლკ. გოგი ხიმშიაშვილი და პოლკ. როსტომ მუსხელიშვილი (ქართული მეორე დივიზიის შტაბის უფროსი). პარტიზანული რაზმის უფროსად დაინიშნა კახეთში პოლკ. ქაიხოსრო (ქაქუცა – გ.ხ.) ჩოლოყაშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი) ქართლში – მიხ. ლაშქარაშვილი.

აჯანყების გეგმა იყო შემდეგი: პირველი და მთავარი გამოსვლა უნდა მოეხდინა ქაქუცა ჩოლოყაშვილს დუშეთში. როცა თბილისიდან მის წინააღმდეგ გაგზავნილი რუსის ჯარი მასთან ბრძოლაში ჩაებმებოდა, მცხეთის მხრივ მ. ლაშქარაშვილი თავისი რაზმით ზურგში დაარტყამდა. ამით მტრის რიგებში მოახდენდა არეულობას და შეერთებული რაზმებით ქაქუცას მეთაურობით თბილისს მოადგებოდნენ. ამავე დროს აჯანყება უნდა მომხდარიყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლში და კახეთში.

1922 წლის ზაფხულში ხალხში უკმაყოფილება გაძლიერდა. აქა-იქ პატარა გამოსვლებიც მოხდა. ზოგი პროვინციები საერთო გამოსვლის დაწყებას თხოულობდნენ. ქაქუცას, რომელიც გასული იყო თავისი რაზმით ტყეში და სამხედრო ცენტრიდან განკარგულებას ელოდა, ხევსურები ძალას ატანდნენ და თხოულობდნენ რუსებთან ომი დაეწყო. ისინი ქაქუცას უთვლიდნენ: „რუსების სიმხეცეს ვეღარ ვიტანთ – წაბილწეს სოფლები, დაანგრიეს ოჯახები. გაგვიძვეხ და მტერს შევუტიოთო!" იმის შიშით, რომ ხალხი თავისთავად არ გამოსულიყო და ამით საერთო გამოსვლისთვის არ ევნო, ქაქუცა კახეთიდან მთიულეთში (ხევსურეთში – გ. ხ.) გადავიდა...

1922 წლის აგვისტოში აჯანყება მაინც მოხდა. გამოვიდა კახეთი და ხევსურეთი. მოძრაობას ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩაუდგა სათავეში. მეამბოხეებმა დუშეთის მიდამოებში მოიყარეს თავი. რუსებმა თბილისიდან აჯანყებულების წინააღმდეგ რამდენიმე ათასეული ჯარისკაცი გაგზავნეს და შტაბის უფროსად პოლკ.

როს. მუსხელიშვილი („დამკომის" სამხედრო წევრი) დანიშნეს. როდესაც „დამკომის" (დამოუკიდებლობის კომიტეტი – გ. ხ.) სამხედრო ცენტრმა ეს ამბავი გაიგო, მოითხოვა, რომ „დამკომი" ჩასდგომოდა სათავეში ამ მოძრაობას... სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უარჰყო ნაადრევ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება და ეს შეხედულება თავიანთ რაზმელებს შეატყობინა. დუშეთს მიახლოებული რაზმები შ. ფალავანდიშვილსა და მ. ლაშქარაშვილისა როტმისტრ ბაგრატიონ-მუხრანელის მეთაურობით დაიშალნენ და სახლში დაბრუნდნენ. ამის გამო პოლკ. რ. მუსხელიშვილმა თავისი გეგმის შესრულება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა რუსების ჯარით იერიშით მისულიყო ქაქუცას წინააღმდეგ. ქაქუცა მტერს მაგრად დაუხვდა: პირველ შეტევაზე დიდი ზარალიც მიაყენა. რუსებმა მცხეთისაკენ დაიხიეს. ძალების სიმცირის გამო ქაქუცა იძულებული იყო დევნა შეეჩერებინა. ძველ პოზიციაზე დაბრუნდა და იქ გამაგრდა. რუსებმა თბილისიდან დამხმარე ძალები მიიღეს და ხელმეორედ შეტევაზე გადავიდნენ, დაამარცხეს ჩოლოყაშვილი და მის რაზმს რკალი შემოარტყეს. ქაქუცამ ბრძოლით რკალი გაარღვია და კახეთისაკენ დაიხია. რუსები ხევსურეთში შევიდნენ და სოფლები გაანადგურეს. თბილისში ამ გამოსვლის გამო დაჭერა და დახვრეტა დაიწყეს"... (19, 11 – 14).

იმჟამად ფშავში მილიციის უფროსად სწორედ ლევან რაზიკაშვილი იყო. მას მოსთხოვეს ქაქუცას წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღება, მაგრამ რაკი ისა და ლევანი სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან მეგობრები იყვნენ, რაკი, როგორც ჩანს ლევანი თანაუგრძნობდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირებს (სხვაგვარად არ შეეძლო ვაჟა-ფშაველას შვილს მოქცევა), შეპყრობის ნაცვლად, ხელიც კი შეუწყო ფშავ-ხევსურეთიდან ქაქუცას მშვიდობიანად გასვლას. ამას კი როგორ აპატიებდნენ, როგორ გაუგებდნენ რუსული სოციალიზმისათვის თავგადაკლული ცოფიანი ძაღლები, ვისი დევიზიც იყო: „დავახრჩობ დედას, მივხვრიტავ მამას, თუკი მიბრძანებს პარტია ამას".

ჰოდა მოქმედებდა დაუნდობელი სისხლისმსმელობით ცნობილი, ხალხის შიშითმზარავი „Чека (Чрезвычаиная комиссыя)" საგანგებო კომისია).

საქართველოს საგანგებო კომისიას

სსსრ თიანეთის მაზრის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო სისხ. სამ. განყოფილება, 9 ოქტომბერი 1922 წ.

თანახმად თიანეთის მაზრის აღმასკომის თავჯდომარის განკარგულებისა 7 ოქტომბერი ა/წ. 4052 ამასთან ერთად იგზავნება თქვენს განკარგულებაში პატიმარი ყოფილი ფშავის რაიონის მილიციის უფროსი ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი, რომელიც დაპატიმრებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. იოვიძის პირადი განკარგულებით სხვადასხვა ბოროტმოქმედებაზე და ირიცხება მათზე.

მაზრის პოლიციის უფრსის მაგივრად დ. (?)

სისხ. სამ. განყ. უფროსის მაგიერ ა. გონჯილაშვილი.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის
საგანგებო კომისიის თავჯდომარეს
თიანეთის მაზრის სოფელ ჩარგლის მცხოვრებლის
თამარ გრიგოლის ასულ რაზიკაშვილის
თხოვნა

გირდგენთ რა ამასთან ერთად მოწმობას, უმორჩილესად გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს უმწეო მდგომარეობაში და ჩემი მეუღლის ლევან რაზიკაშვილის საქმე საჩქაროდ გამოიძიოთ და გაარჩიოთ, რომ ყოვლად უდანაშაულო ადამიანი ტყუილუბრალოდ არ დაისაჯოს საპყრობილეში ჯდომით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ თუ ჩემი მეუღლე ლევანი დამნაშავე იყოს რაიმე საქმეში, თავისი ფეხით არ გამოცხადდებოდა თიანეთის საგანგებო კომისიაში.

მთხოვნელი თამარ გრიგოლის ასული
რაზიკაშვილისა
1922წ. 19 ოქტომბერი ქ. თბილისი.

მოწმობა

1922 წელსა ღვინობისთვის 11-ს დღესა ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, თიანეთის მაზრის, ფშავის უბნის სხვა და სხვა სოფლებში მცხოვრებნი ვაძლევთ ამ მოწმობას თიანეთის მაზრის სოფ. ჩარგალში მცხოვრებ – ფშავის უბნის მილიციის უფროსს ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილს მასზედ, რომ ეს რაზიკაშვილი არის სვინდისნამუსიანი, პატიოსანი და ყოველმხრივ

სანდო პიროვნება. რაზიკაშვილი მენშევიკების დროიდან მოყოლებული ვიდრე დღესნამდე იყო ჩვენი – ფშავის უბნის მილიციის უფროსად და მთელი ამ ხნის განმავლობაში იყო ერთგული თავის სამსახურისა და მშრომელთა ინტერესების დამცველი, სასტიკი მდევნელი ყველა ბოროტმოქმედებისა, განსაკუთრებით ბანდიტ-ყაჩაღებისა, რომლებთანაც მას ჰქონდა არა ერთხელ და ორჯერ მცირე ძალებით სროლა და ბევრჯერ იყო მისი, რაზიკაშვილის სიცოცხლე განსაცდელში. რადგან ჩვენი ხეობის ბანდიტები, მომეტებულ შემთხვევაში ხევსურები იყვნენ, რომლებიც სოფელ ჩარგალსაც კი მთლიანად გვედავებოდნენ, რაზიკაშვილი მომხრე იყო ხევსურების დასჯისა, რასაც ის აშკარად ამბობდა სასოფლო ყრილობაზედ და მთავრობისაგან, მთავრობის სახელით მოითხოვდა ხევსურების დასჯას, რაზედაც მას აქვს მოხსენება გაგზავნილი უმაღლეს მთავრობაში და თიანეთში თავის უფროსებთან არა ერთხელ და ორჯერ მოწერილი, რასაც ჩვენ რაზიკაშვილი ყრილობაზედ გვეუბნებოდა. რაზიკაშვილი ერთგულია საბჭოთა ხელისუფლებისა და დიდი წინააღმდეგი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თავის რაიონში შემოშვებისა, ხოლო მომხრე იყო ჯარის შემოსვლისა, რომელსაც დახვდა და ამით რაზიკაშვილის და ჩვენი მისწრაფებაც განხორციელდა.

მოწმობა ესე ეძლევა რაზიკაშვილს საქართველოს საგანგებო კომისიაში წარსადგენად.

1. ლევან გარსევანიშვილი
2. გიორგი გარსევანიშვილი
3. პავლე გარსევანიშვილი
4. პავლე ჟამიაშვილი
5. ივანე გორზამაული
6. ნინო რაზიკაშვილი
7. ხთისო მარცვალაშვილი
8. მარიამ პირქუშაშვილი
9. ლევან თათარაშვილი
10. მიხა გურასპაული
11. ბეწინტურ მარტიაშვილი
12. ივანე მოლოდინაშვილი
13. ბეკურ ბაჩიაშვილი
14. ალექსი ბაიაშვილი

15. გიორგი ბაჩიაშვილი
16. გიორგი თაგვაშვილი
17. ხთისო მგელიაშვილი
18. ხთისო პეტრიაშვილი
19. ნიკო ჩოხელაშვილი
20. ლევან მარტიაშვილი .
21. გიორგი წიწილაშვილი
22. იოსებ თურმანაული
23. ნიკო მგელიაშვილი
24. მიხა მგელიაშვილი
25. გიორგი ლაშქარაშვილი
26. პეტრე ნადირაშვილი
27. (?) მჭედლური
28. დავით ჟამიაშვილი
29. ბესარიონ მარცვალაშვილი
30. მახარე მოლოდინაშვილი
31. გიორგი მოლოდინაშვილი
32. ალექსი მარტიაშვილი
33. ალექსი რაზიკაშვილი
34. თევდორე თეთრაული
35. გიორგი რაზიკაშვილი
36. პავლე რაზიკაშვილი
37. თევდორე ჟამიაშვილი
38. გრიგოლ რაზიკაშვილი
39. სალომე ჟამიაშვილი
40. ივანე მარტიაშვილი
41. კიკო ჟამიაშვილი
42. გიორგი მარტიაშვილი
43. ალექსი პეტრიაშვილი
44. სანდრო პეტრიაშვილი
45. იოსებ ჟამიაშვილი
46. ივანე მარტიაშვილი
47. შალვა მარტიაშვილი
48. ხთისო არჯალაშვილი
49. ღვდელა რაზიკაშვილი
50. გიორგი პირქუშაშვილი
51. პაპი ჟამიაშვილი
52. ივანე ბუკუკიშვილი
53. დავით დარძული

54. გაურკვეველი ხელმოწერა
55. „————————" ————————

ამ მოწმობის სინამდვილეს ვამოწმებ მაღაროსკარის თემის აღმასკომის თავჯდომარე ივანე თურმანაული

მდივანი ვანო წიკლაური

Совершенно секретно в Ч. К. Грузии

На ваше отношение от 3 XI за № 17756, сообщаю, что в бытность мою в Хевсуретии по делу организации Советской власти Предисполком Тионетского уезда тов. Сургуладзе доложил мне словно, что начальник Магароскарской районной милиции Разикашвили имел связь с бандитом К. Чолокашвили и проявил в отношении борьбы милиции бандитом указанного Чолокашвили полное бездеиствие, даже сочувствовал бандитам, называя себя национал-демократом. во время нашей аперации против бандитов в Пшав-Хевсуретии, он самовольно ушел со службы, ввиду всего я распорядился арестовать его, Разикашвили и со всеми обвинительными материалами преправадить в Ч.К. Грузии

Начальник Полит-Секретариата милиции Республики Грузия ?

1922 9 ноября.

ხელმოწერაც ისევე, როგორც ბევრი რამ სხვაც ამ მოხსენებით ბარათში, გასაიდუმლოებულია, გაუგებარია, თუმცა სხვა ბარათებიდან ჩანს, რომ ეს უნდა იყოს იოვიძე. საყურადღებოა კიდევ ფორმულირება „ყრვეპშენნრ ყეკპეინრ", რომელიც შემდეგში ფაშისტებმა გამოიყენეს ლენინის მიერ მოგონილ „საკონცენტრაციო ბანაკთან" ერთად.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო
(ნოემბრის 20 1922 წ. №380 ქ.ტფილისი)
ს.ს.ს.რ. საგანგებო კომისიას

ცნობილი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას შვილი ლევან რაზიკაშვილი ოთხი თვეა რაც ზის ქ. ტფილისის 2 გამასწორებელ სახლში. ვაჟა-ფშაველას დარჩა ოჯახი შემდგარი ხუთი სულისაგან, აგრეთვე თვით ლევან რაზიკაშვილის ოჯახიც შესდგება სამი სულისაგან და მთელ ოჯახზე მზრუნველობა აწევს

მას. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო იმედოვნებს, რომ საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია მიიღებს მხედველობაში ყოველივე ზემო აღნიშნულს, პატივს ცემს საქართველოს სიამაყეს პოეტ ვაჟა-ფშაველას ხსოვნას და დააჩქარებს რა ლევან რაზიკაშვილის საქმის გარჩევას, გაანთავისუფლებს მას საპატიმროდან.

თავჯდომარე: კ. მაყაშვილი.
მდივანი: მიხ. ბოჭორიშვილი.

Анкета №4372 Ч.К.Г.

მოგვყავს მხოლოდ ზოგიერთი მონაცემი: 35 წლისა. დაამთავრა თბილისის ქარუთული გიმნაზია. დედა: თამარა, 63 წლისა, დიასახლისი. ცოლი: თამარა, 27 წლისა, დისახლისი. ძმა ვახტანგი, 15 წლისა. და: მარია, 20 წლისა. ბავშვები ლუკა, ქეთევანი, ეკატერინე, 7-2-1 წლისანი. როდის დააპატიმრეს: 1922 წლის 30 სექტემბერს. სად დააპატიმრეს: სამსახურებრივი მოვალეობით ვიყავი თიანეთში, სადაც დამაპატიმრეს ამხ. იოვიძის ბრძანებით.

„Протокол“

(დაკითხვის ოქმი 1922 წლის 31 ოქტომბერი)

ჩემი ფშავში ყოფნის დროს ე. ი. 1916 წლიდან 1922 წლამდე ჩოლოყაშვილს ჩემ განგებ არავისთან ჰქონია დამოკიდებულება. როდესაც მე დამატუსაღა, მაშინ მასთან იყვნენ ჯანგირა იანვარაშვილი სოფ. ხომში მცხოვრებელი და ხარხელაური და თადეოზი (გვარი არ ვიცი) სოფ. ხორხში მცხოვრებელი (დუშეთის მაზრა). სამივენი ყაჩაღობენ. ყაჩაღი გიორგი ხუმარას ძე მგელაშვილი და ყოფილი ფშავის აღმასკომის თავჯდომარე იოსებ თურმანაული. თვით ჩოლოყაშვილი ამბობდა, რომ ხევსურებს ენდობა და ამიტომ მიემგზავრება ხევსურეთში, რადგანაც ხევსურებისთვის უჩუქებია იარაღი და პატრონა ჰქონდა მენშევიკების მთავრობის დროს მიცემული. აგრეთვე ასახელებდა ვიღაც თომას (გვარი არ ვიცი), რომელიც მუშაობდა მის სასარგებლოდ ხევსურეთში, ღვდლის შვილი, ხევსური, მგონი გვარად ბალიაური. როცა ხევსურეთის საზღვარზე მივიდა ჩოლოყშვილი, ადგილობრივ ორწყლის მინდორზე, სადაც მეც ვიყავი, რო-

გორც ტყვე, იქ მოდიოდნენ ხევსურები მახლობელ სოფლებიდან და ყველნი თანაგრძნობით ეპყრობოდნენ. ასე იძახდნენ „ჩოლოყაშვილები ხევსურებია ჩამომავლობითო”. ჩოლოყაშვილს უფრო ხევსურებთან ექნებოდა კავშირი, რადგანაც მრავალი ხევსურია ჩამოსახლებული კახეთის მიდამოებში, უფრო გომბორზე და როგორც მესაქონლე ხალხი, ზამთრობით კახეთში არიან, ზაფხულობით ხევსურეთში. და რადგანაც მიწას ამუშავებენ კახეთშიც და ხევსურეთშიც, ხშირად უხდებათ მოგზაურობა. ეს კი აშკარად გავიგე, რომ ყოფილმა ხევსურეთის მილიციის უფროსმა მგელიკა არაბულმა (ლიქოკელი) იმ მინდორზე მისცა ჩოლოყაშვილს ჩვენება, რომ თიანეთის აღმასკომის თავჯდომარე ამხ. სურგულაძე სოფ. შუაფხოშია რამდენიმე კაცით მისული მის, ჩოლოყაშვილის საწინააღმდეგოთ. როგორც მერე გამოირკვა, თვით სურგულაძის სიტყვით, მას, სურგულაძეს მიეცა მისთვის ტანისამოსი და ფული და დაევალებინა გაეგო სად იმყოფებოდა ჩოლოყაშვილის ბრბო, რასაც მოჰყვა დატუსაღება ჩოლოყაშვილის ამხანაგებისაგან 9-10 კაცისა, რომლებიც მეორე დღეს გაუშვა ისევ. ამჟამად ფშავლებიდან იმყოფება ჩოლოყაშვილთან დიაკონი ხელაშვილი, რაც გადმომცა ერთმა პატიმარმა მეტეხში ქურსიკა მაჩხოშვილმა, რომელიც ფშაველია და რამდენიმე წელია გადმოსახლებული ყოფილა პანკისში. ჩოლოყაშვილის თანამოაზრენი ფშავში არიან: დიაკონი მიხეილ ხელაშვილი, იოსებ თურმანაული, გიორგი ხუმარას ძე მგელაშვილი. ხევსურეთში თითქმის ყველა და უფრო ხელიშემწყობნი მგელიკა არაბული, სოფ. არხოტში მცხოვრები თომა ბალიაური, ტუჩა ჩალხის ძე ჭინჭარაული სოფ. ბისოში მცხოვრები, შიშია ქერაული სოფ. ბარისახოში მცხოვრები იმედა გოგოჭური სოფ მოწმაოში მცხოვრები, დათვია ლიქოკელი სოფ. ქობულოს მცხოვრებელი. ზემორე აღნიშნულების თანაგრძნობა გამოიხატება მაში, რომ, როდესაც ჩოლოყაშვილთან მოდიოდენ ხევსურები ორწყალში, მოჰქონდათ პური. აგრეთვე, როდესაც ჩოლიყაშვილმა გაგზავნა ამხ. სურგულაძის წინააღმდეგ რამდენიმე კაცი, მათ შორის ხევსურებიც წავიდნენ – შიშია ქერაული და დათვია ლიქოკელი; დანარჩანების გვარები არ ვიცი. რაც შეეხება თომას, იმის შესახებ ჩოლოყაშვილი ეკითხებოდა ხევსურებს, ორწყალში ჩამოსულებს: თომა იყო თუ არა თქვენთან? სად არის? ხევსურები

ეუბნეოდნენ პირაქეთ ხევსურეთში იყო და პირიქით წავიდაო. პირად ლაპარაკის დროს ჩემთან ჩოლოყაშვილი მირჩევდა მას გავყოლოდი ხევსურეთში და დარიალის ხეობაში, სადაც მოვამზადებდით ხალხს. როდესაც მე შევეკითხე, რომ რა ძალებზე ამყარებს თავის მოქმედებას და მე უარი განვუცხადე – ყაჩაღობა არ შემიძლიან და ვერც შევძლებო, მან მითხრა რომ ჩემთან არის საქართველოს პოეტი სვიმონ ყიფიანი, აგრეთვე საქართველოს მთავრობა ეხლა ჰკრეფს პროდ. ნალოგს, ხალხი აღელვებულია და უსათუოდ მთავრობის წინააღმდეგ წავაო.

ზემორე აღმნიშნული ჩვენების მიმცემი: ლევან რაზიკაშვილი
1922 წ. დეკ. 20-სა.
ჩვენება ჩამოვართვი რწმუნებულის თანაშემწემ:
კ. ხოჯევანაშვილი.

ამ დაკითხვის ოქმის წაკითხვისას ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ლევანმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლნი, თავისი ფშაველ-ხევსურნი, დააბეზღა, დღევანდელი ტერმინოლოგიით, „ჩაუშვა". არა. ლევანი თავიდან არავის ასახელებს, მაგრამ შემდეგ, ჩანს, დარწმუნდა, რომ ჩეკაში ყველაფერი დაწვრილებით იცოდნენ, დამალვას აზრი არა ჰქონდა და ამიტომ ყველასათვის ცნობილი რამდენიმე პიროვნება დაესახელებინა დაპირებული „შელავათის" მისაღებად. მაგალითად, თომას გვარი არ ვიციო უწერია, მაგრამ იქვე „გაახსენეს" და ჩააწერინეს, რომ ბალიაური იყო. ეს გარემოება შემჩნეული აქვს გ. ციციშვილსაც თავის სულ ბოლოდროს გამოქვეყნებულ წიგნში „რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი". იგი წერს: „ლევანი ხშირად ცდილობს გვერდი აუაროს პიროვნებების დასახელებას. ჩანს, რომ იგი განსაკუთრებით ერიდება იმ უბრალო, რიგითი მებრძოლების გვარების ჩამოთვლას, რომლებიც მეამბოხეებს ფშაველ და ხევსურ მებრძოლთა სახით შეუერთდნენ. არა და, დუშეთის მიდამოებში ქაქუცას 25 კაციანი ჯგუფი უკვე 65-მდე გაიზარდა. მათ შორის იყვნენ ფშავისა და ხევსურეთის წარმომადგენლები, რომლებიც მაღაროსკარის ბრძოლაში და მოწინააღმდეგის 250 მებრძოლის განიარაღებაში იღებდნენ მონაწილეობას. ლევანი მათ შესახებ

საერთოდ არაფერს ამბობს. მაგრამ კითხვებზე პასუხის პროცესში იძულებული ხდება დაასახელოს ჯანგარა იანვარაშვილი, იოსებ ხალხელაური, თადეოზი, სიმონ ყიფიანი, ვინმე ზანდუკელი (ნიკოლოზ), ქაქუცას ძმა სიკო, გიორგი მგელაშვილი, იოსებ თურმანაული, თომა ბალიაური, მგელიკა არაბული, ტუჩა ჭინჭარაული, მიშა ქერაული, იმედა გოგოჭური და დათვია ლიქოკელი. ამ ხალხის ქაქუცას მხარეზე ყოფნა მთელმა ფშავ-ხევსურეთმა ისედაც იცოდა, და ამდენად ლევანის დასახელებას ჩეკასთვის რაიმე განსაკუთრებული ღირებულება არა ჰქონდა. ლევანის მიერ ჩამოთვლილთაგან ზოგი ჩეკაში მოხვედრილის საქმის გაცნობა მოგვიხერხდა, მაგალითად, შევძელით შეგვესწავლა სიმონ ყიფიანის, ნიკოლოზ ზანდუკელის და ფშავ-ხევსურეთის ამბოხებასთან ჩეკას მიერ დაკავშირებული, დამოუკიდებლობის კომიტეტთან არსებული, თითქმის მთელი „სამხედრო ცენტრის" წევრთა სამძებრო საქმეების გაცნობა, მაგრამ მათში ლევან რაზიკაშვილის ჩვენების გამოყენება, არსად არ შეგხვედრია". (გვ. 44, 45). ამის გამო ლევანის მიმართ რაიმე სასაყვედურო ფშავ-ხევსურეთში არსად რაიმე გაიგონება. ჩანს მის ღირსებაში მაშინაც და შემდეგაც ეჭვი არავის შეჰპარვია. დამალვით კი არაფერი იმალებოდა.

დასკვნითი დადგენილება
(1922 წლის 15 ნოემბერი შედგენილია რუსულად. მოგვყავს მხოლოდ წაყენებული ბრალდება. ის, რაც წინა დოკუმენტშია მოცემული და აქ მეორდება, გამოვტოვეთ)

... ძიებით დადგენილია: სახკომსაბჭოს სამეულის ბრძანებულებით 26 III ღამის 22 საათზე თიანეთის მაზრის აღმასკომის თავჯდომარე სერგო სურგულაძე გაემგზავრა სოფ. ორწყალში (სოფელი არ არის, ბუნებრივად ჩაკეტილი ადგილია – გ. ხ.) 12 ამხანაგის თანხელბით. ნაბრძანები იყო რადაც არუნდა დასჯდომოდათ, გადაეკეტათ გზა, რომლითაც ჩოლოყაშვილი იხევდა ხევსურეთისაკენ, რასთან დაკავშირებითაც არ მისულმა სოფელ არტნამდე ორი მილიციონერი გაგზავნა ფშავის რაიმილიციის უფროსთან რაზიკაშვილთან, რათა თავის მილიციელებით ის

შეხვედროდა სოფ. შუაფხოში. თავის წერილში ის მიუთითებდა არ ევლო არაგვის ხეობით, საითაც იხევდა ჩოლოყაევის ბანდა, და მათ არ გადაჰყროდა. ამასთან უჩვენებდა შემოსავლელ გზას. ამის მიუხედავად, რაზიკაშვილმა წამოიყვანა თავის მილიციონერები, რის შედეგადაც გადაეყარა ბანდის წევრებს და აუტეხა სროლა, რის შედეგადაც მოკვდა ერთი მილიციონერი და ჩაბარდა ჩოლოყაევის ჯგუფს. დაჰყო რა რამდენიმე დღე ბანდაში, ჩოლოყაშვილის მიერ გაშვებული იქნა დავალებით მოემზადებინა ფშავლები აჯანყებისათვის და ზურგში დაერტყა წითელი არმიისთვის, როდესაც ის გაივლიდა ხევსურეთისაკენ. დატოვა რა მილიციელები ბედის ანაბარა ჩოლოყაშვილის ბანდაში, რაზიკაშვილი დაბრუნდა მისადმი რწმუნებულ რაიონში, სადაც მიიღო წერილობითი წინადადება ამხანაგების აღნიაშვილისა და დიდებულიძისაგან გამოცხადებულიყო და გაეცნო მათთვის ჩოლოკაევის ბანდის მდგომარეობა, მაგრამ რაზიკაშვილმა ესეც არ შეასრულა იმ მოტივით, რომ იგი არ გაუშვა წითელი არმიისათვის მტრულად განწყობილმა მოსახლეობამ. ამასთან მან საჭიროდ არ ჩათვალა ცენტრისათვის ეცნობებინა მომხდარის შესახებ. თვითნებურად თავის არიდებაში რაზიკაშვილმა ამხ. სურგულაძისაგან მიიღო მიწერილობა აღმოეჩინა დახმარება გლეხებისათვის ბანდიტებთან შეტაკებაში დაღუპული გვამის გადმოსვენებაში; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადაცემული იქნებოდა შესაბამისი პასუხისმგებლობისათვის. თითქოსდა ამ საქმესთან დაკავშირებით წავიდა სოფელ ხომში, სადაც შეხვდა ჩოლოყაშვილს მისი ბანდის სამ წევრთან ერთად. ჩოლოყაშვილმა უსაყვედურა მას თუ რატომ არ შეასრულა მისი დავალება და თან წაიყვანა, იცოდა რა რომ ბანდა გარშემორტყმული იყო. რაზიკაშვილმა ხელი შეუწყო ჩოლოყაშვილს ამხანაგებთან ერთად მისი მშობლიური ჩარგლიდან გადასულიყო სოფ. სოფლიონში, არტნის თემში და იქიდან გადააცილა პანკისის ხეობაში, სადაც ჩოლოკაევი მიიმალა. ქაქუცამ რაკი ვაჟა-ფშაველას (სიე!) შვილი იყო ლევანი და ხალხში გავლენა ჰქონდა, დაავალა ხალხი მოემზადებინა აჯანყებისათვის...

ამიტომ მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა.

ოპერრწმუნებულის თანაშემწე: ხოჯევანოვი.

ეს დასკვნა 3-5 დეკემბერს განუხილიათ „ჩეკას" კოლეგიაზე და მათაც დაუდასტურებიათ, რომ განაჩენი სამართლიანია – ლევან რაზიკაშვილი უნდა დაიხვრიტოსო. შემდეგში ხელახლა გადასასინჯად დაუბრუნებიათ საქმე, სისრულეში მოყვანა განაჩენისა დროებით შეუჩერებიათ „გარკვეულ ვადამდე". ამ დოკუმენტს ხელს აწერენ

Председатель чека: Кванталиани жп Начальник соч: Бериа.

1923 წლის 14-15 თებერვალს „ჩეკას" კოლეგიას ხელმეორედ განუხილია საქმე და პირვანდელი თავისი განაჩენი სისრულეში მოუყვანიათ. დახვრეტის აქტიც იმ ღამესვეა შედგენილი ხელმოუწერლად.

ლევანის შესახებ ვრცელი წერილი სათაურით „ვაჟა-ფშაველას შვილი ლევანი" გამოვაქვეყნე გაზეთ „XXI საუკუნეში" (2000 წ. 8 მარტი) ბევრი გამომეხმაურა, მათ შორის პირველ რიგში გორიდან ლევანის შვილიშვილი (ლუკას ქალი) ნინო რაზიკაშვილი. მას, ჩვენი წერილით შეგულიანებულს უზრუნია პაპის რეაბილიტაციისათვის. მიუმართავს საქართველოს უშიშროების სამინისტროსათვის და იქიდან მიუღია შემდეგი საბუთი:

ცნობა

მოქ. ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი, დაბ. 1887 წ. თიანეთის რ-ის სოფ. ჩარგალში, გასამართლებული იქნა 1922 წ. 3-5 დეკემბერს საქართველოს საგანგებო კომისის მიერ „კონტრევოლუციური საქმიანობისათვის" ბრალდებით და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წ. 25 მაისის დეკრეტის თანახმად რეაბილიტირებულია.

განაჩენი სისრულეში მოყვანილი იქნა 1923 წლის 16 თებერვალს.

განყოფილების უფროსი ი. მირონოვი

ამ ცნობით ნინოს მიუმართია გორის რაიონული სასამართლოსათვის, სადაც საქმე განუხილია მოსამართლე ბონდო ვათიაშვილს, რომელსაც გამოუტანია გადაწყვეტილება „საქართველოს სახელით". იქ ვკითხულობთ:

„განვიხილე ნინო რაზიკაშვილის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ და გამოვარ-

კვიე: განმცხადებლის პაპა – ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი 1922 წლის 3-5 დეკემბერს გასამართლებული იქნა საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ „კონტრევოლუციური საქმიანობის" ბრალდებით და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 25 მაისის დეკრეტის თანახმად ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი რეაბილიტირებული იქნა. განმცხადებელმა მომართა სასამართლოს და ითხოვს პაპამისი – ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი აღიარებული იქნეს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. მოვუსმინე რა განმცხადებელს ნინო ლუკას ასულ რაზიკაშვილს, გავაანალიზე საქმეზე წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები, განმცხადებლის მოთხოვნა მიმაჩნია საფუძვლიანად და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

ვიხელმძღვანელე „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად" აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს 1997 წლის 16 დეკემბრის 1-3-4-6-7 მუხლებით, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის" 243-244 მუხლებით, ვამტკიცებ:

მიხა ხელაშვილი

დაკმაყოფილდეს ნინო ლუკას ასული რაზიკაშვილის მოთხოვნა. პაპამისი – ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი, დაბადებული 1887 წელს, თიანეთის რაიონის სოფელ ჩარგალში,

აღიარებული იქნეს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

გორის რაიონული სასამართლოს თავჯდომარე:

ბ. ვათიაშვილი.

მიხა ხელაშვილი. ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის დამარცხებისა და დაშლის შემდეგ ბოლშევიკებმა დაიწყეს უმოწყალო ხოცვა მის გვერდში მდგომთა და თანამოაზრეთა, საუკეთესო ვაჟკაცებისა, ვინც უდიდესი პატრიოტები იყვნენ, ვინც ვერ აიტანა საქართველოს დამოუკიდებლობის ფეხქვეშ გათელვა. ვის დაინდობდნენ, როცა ვაჟა-ფშაველას შვილიც კი არ დაინდეს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო ფშაველი, სოფ ახადის მკვიდრი მიხა ხელაშვილი. გარდა საარაკო ვაჟკაცობისა, ის ცნობილი იყო ხალასი ნიჭით. მას ეკუთვნის ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტი „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო" და სხვა.

უკანაფშავში, ლაშარის გორის მოპირდაპირედ, ტყიანი გორის თავზე არის ერთი ულამაზესი სოფელი ახადი. აქ დაიბადა მიხა ხელაშვილი 1900 წლის 25 იანვარს. დაწყებითი განათლება, უფრო სორედ, წერა-კითხვა უსწავლებია თამარ-ღელის საყდარში მოღვაწე მღვდელს, მოსანთლიშვილს. მას განსაკუთრებული ნიჭი შეუმჩნევია პატარა მიხასათვის და მამამისისთვის, ზურაბისთვის ურჩევია, სასწავლებლად წაეყვანა.

თბილისის ორწლიანი სადიაკვნო სასწავლებელი მიუსწავლებია. ზურაბს ხარები გაუყიდია სწავლის ფულისათვის, რასაც იმდრონდელ ფშავ-ხევსურეთში იშვიათად თუ ვინმე გააკეთებდა, რადგან ბალღის „ქაღალდისად ჩახედვა" დედაჭუაობად მიაჩნდათ.

1915 წელს, სასწავლებლის დამთავრებისთანავე, მიხა ხევსურეთში, სოფელ ბარისახოში გაუმწესებიათ დიაკვნად, სადაც დიდი სიყვარული დაუმსახურებია, როგორც წესიერ, ნიჭიერ და მამაც ახალგაზრდას.

თითქმის ხუთი წელი იმსახურა ხევსურეთში. იმთავითვე კი სურვილი ჰქონია თავის მშობლიურ კუთხეში სამსახურისა.

1920 წელს ჩარგლის ეკლესიაში მღვდლად უკურთხებიათ მიხა ხელაშვილის დის ქმარი, სოფელ აფხუშოში (ჩარგლის ფუძე სოფელში) მცხოვრები თევდორე ჟამიაშვილი და ცოლის ძმაც თავისთან გადმოუყვანია.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ათეისტური მთავრობისაგან პირდაპირი მითითება იყო ეკლესიებისა და ხატ-სალოცავების ძარცვა-ნგრევისა. დამპყრობი რუსისაგან ზურგგამაგრებული „პარტიელები“ და კომკავშირლები ძალად კრეჭდნენ სასულიერო პირებს, აწერინებდნენ ღვთის საგმო წერილებს, ხოლო ვინც შეეწინააღმდეგებოდა ან თას-განძს გადამალავდა, თავისი ხელით ათხრევინებდნენ სამარეს. ასეთ ძალადობასა და ბოროტებას, ცხადია, ვერ შეეგუებოდა ისეთი ვაჟკაცი, როგორიც მიხა ხელაშვილი იყო. მით უმეტეს, რომ მას დავალებულიც ჰქონია ფშავ-ხევსურეთის განძის მეთვალყურეობა. ამის გამო „მაუზერსაც“ ატარებდა თურმე.

ერთ დღეს ჩარგალში ასულა ფშავის, მაღაროსკარის კომისარი კოლა ჯაგნელიძე თავისი მილიციელებით. მათ ცხენები ფოცხვერ ბაჩიაშვილის ყორუღში შეუყვანიათ. ფოცხვერის ქალებს ჩხუბი დაუწყიათ. მიხა გამოსარჩლებია თავის სამოყვროებს. ჯაგნელიძეს „მაუზერი“ წაურთმევია მიხასათვის და დაპატიმრებაც დაუპირებია, მაგრამ მიხას ტყეში შეუსწრია. იქიდან დაიწყო მისი დევნა. აწიოკებდნენ, იჭერდნენ მის მფარველებს, ხელის შემწყობებს, მაგრამ ხალხის სიყვარულისა და თავისი სიმარდის წყალობით ყოველთვის მოუხელთებელი რჩებოდა.

სწორედ იმხანად დაიქუხა კახეთის მხარეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელმა. სამშობლოს ხსნისათვის შეფიცულთა მცირე რაზმმა ცხვრის ფარასავით დაირეკა კომუნისტების ჯარი. გამარჯვების იმედი გაუღვივდა გულში ეროვნულ ძალებს. მიხა ხელაშვილი მათ ფშავში, სოფელ მაღაროსკარში გადახდილი ომის დროს შეუერთდა.

ქაქუცას მოწოდებაზე აჯანყდა მთელი ხევსურეთი. მათ მოთავეობდა ქაქუცას ძმადნაფიცი, მენშევიკური მთავრობისა და შემდეგ თეთრი გვარდიის (ჩრდილო-კავკასიაში) ოფიცერი თომა ბალიაური. პირველ ხანებში სძლიეს მტერს, მაგრამ შემდეგ ვერ გაუმკლავდნენ ყოველი მხრიდან შესეულ რუსთა დივიზიებს. ქაქუცას რაზმი იძულებული გახდა გასცლოდა. ისინი შეუმჩნევლად გაიკრიფნენ ახმეტის მხარეს. თვით ქაქუცას გადაცილებაში ლევან რაზიკაშვილმა მიიღო მონაწილეობა. ამაზე შინაურებმა დააბეზღეს „ჩეკაში“. ლევანს დახვრეტა მიუსაჯეს და განაჩენი მალევე სისრულეში მოიყვანეს. სხვებსაც დაუნ-

დობლად უსწორდებოდა მთავრობა. ხელაშვილსაც იგივე ბედი ელოდა.

ქაქუცამაც აღარ იცოდა, რა ექნა. ქართველი ხალხი და მთელი კავკასიის ხალხები ვერ აიყოლია, არც ევროპის დახმარება ჩანდა. ბრძოლა წაგებული იყო. ამიტომ მიიღო კომუნისტების შეთავაზებული წინადადება — გზას მისცემდნენ და მშვიდობიანად გადასულიყო თავისი რაზმით თურქეთში. მიხა ხელაშვილმა, ზოგიერთ სხვასთან ერთად, უარი შებედა ბელადს, — მეც ვიცი, აქ რომ სიკვდილი მელის, მაგრამ აქ სიკვდილი მირჩევნიაო. დარჩა მიხა ტყეში გასულ „ყაჩაღად“. დარჩა სიკვდილის პირისპირ. ხვადი მგელივით უტრიალებდა ჩარგალს, სადაც ეგულებოდა თავისი სალოცავი დედუნა და უკვე ქვეყანას მოვლენილი პატარა გოგონა. ტყიდან ჩამოსცქეროდა ჭოგრიტით, უგერიებდა თავის ჯვარდაუწერელ მეუღლეს ირგვლივ მობორიალე თაყვანისმცემლებს. ერთ-ერთი მათგანი მექალთანეობით ცნობილი ვახტანგ რაზიკაშვილი ყოფილა. მისთვის დაუბარებია ტყიდან:

„ეგრე უთხარით ვახტანგსა: ხელაშვილ დაგმდურებია.
ჩემგან რა გინდა, რას მეძებ, რაისთვი მიმზირდებია!
იცოდე, იქ ნუ გაივლი, სადაც ხელაის გზებია!
თავის გვარდავიწყებულო რაზიკაშვილი ხდებია!“

იცოდა ხელაშვილმა, კომუნისტები რომ დიდხანს არ აცოცხლებდნენ. ჯერ ვაჟა-ფშაველას შვილს არ აპატიეს თავისი გიმნაზიელი მეგობრის, ქაქუცას ფშავიდან გაცილება. მას კი აშკარა თანამებრძოლობას, იარაღით ხელში ბრძოლას რას აპატიებდნენ. იარაღი არც ხელაშვილს დაუყრია და არც საქართველოდან გადახვეწილა, თუმცა იცოდა, რომ დღეები დათვლილი ჰქონდა. პირიქით, ისევ მტერს უტევდა და ცდილობდა ვაჟკაცურად მომკვდარიყო, მტრის ჯავრი არ წაეყოლებინა. ჯაგნელიძეს უბარებდა: ჩემი „მაუზერი“ გამომიგზავნე და მოშორდი ფშავს, თუ თავის თავისთვის კარგი გინდაო. ჩანს, გულში ჰქონდა ჩარჩენილი იარაღის აყრით მიყენებული წყენა. ასეთი რამ მთიელისათვის ხომ სიკვდილის ტოლფასი იყო.

მაღაროსკარში, ზემოთ, ეკლესიის სიახლოვეს, დღესაც დგას იმ დროს ერთადერთი ორსართულიანი „მთავრობის სახლი“, რომელშიც განთავსებული იყო ყველა დაწესებულება — საბჭო, მილიცია, მაღაზია, აფთიაქი, ფოსტა და სხვა. მილიციის უფროსსაც, კომისარსაც იქვე ჰქონდა ოთახი.

ერთ მზიან დილას ჯაგნელიძე პირის დასაბანად რომ იყო მაღაროულაზე გადასული, თავს კარაბინმომარჯვებული მიხა წამოადგა: — ახლა შენ აიყარე „მაუზერიო“. მოკლა საბჭოთა წითელი დროშა ჩამოგლიჯა, მოახატა სამსახურში იმ დროს მისული ალექსი მისრიაშვილის, თავის ბავშვობის მეგობრის ცხენს, არაგვში გავარდა, ცხენი იქ დატოვა, თვითონ კი ტყეში შევარდა. მისრიაშვილი ამის გამო დახვრიტეს. ამ დროს მაღაროულას გაღმა მდგარ, ოქრომჭედელ დავით ჯანაშვილის სახლში, რომელიც უკვე ჩამორთმეული იყო, ხელაშვილის შესაპყრობად მოყვანილი სამოცი მილიციელი იდგა. ხელაშვილის ნათქვამი ხალხმა ასე „გადაამუშავა“:

„მაღაროსკარში შევვარდი, როგორც მშიერა მგელია,
სამოცი დამხვდა ყაზახი, სამოცივ კავალერია,
სამოცსავ თოფებ ავყარე, ზურგზე ვადინე მტვერია,
ავი და შაუსმინარი, მაუკალ კამისერია,
შავჯექ და გამოვაქციე მისრიაშვილის ცხენია,
თან მივაძახე: „ხელა ვარ — კომუნისტების მტერია!“

ერთხელ უკვე აწიოკებული მიხას ოჯახი აფხუშოში იყო გამოხიზნული და-სიძესთან. იცოდა, ამ ამბის შემდეგ იქაც იგივე ელოდათ. მთა-მთა და ტყე-ტყე სირბილით მიაღწია, გააფრთხილა, რომ დამალულიყვნენ. მეორე დღეს ტყიდან უცქეროდნენ, როგორ არბევდა მილიცია მათ სახლ-კარს. გამოიტანეს, რისი წაღებაც შეიძლებოდა, საქონელი გარეკეს. რამდენხანს გაძლებდნენ ტყეში? მილიციასა და ფშაველ კომკავშირლებს ჩარგლისკენ მიმავალი ყველა გზა ჰქონიათ შეკრული. ხელაშვილის დედას აუკიდებია სახედრისათვის ახლობლებისათვის მისაბარებლად შერჩეული ნივთები, ტანსაცმელი. ხოდასთან ახლოს დაუჭერიათ და წამებაში შემოჰკვდომიათ, — გვითხარი, სად

არის შენი ყაჩაღი შვილიო.

მიხამ ლექსით დაიტირა დედა:

„სადრარა ვიყავ, დედაო, როცა შენ გაგიჭირდაო,
დაგკრავდნენ, დაიკვნესებდი, დაინატრებდი შვილსაო,
ხელშიით გგლეჯდნენ სუდარსა ჯაგებში გადაჩრილსაო.
დედა მომიკლეს ფშავლებმა სამოც-ოთხოცი წლისაო...
მტერიც არ შამხვდა მტრისფერი, ვარ უბედურის
დღისაო“.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა სიმკაცრით ამოქმედდებოდა „ჩეკა“ ჯაგნელიძის მოკვლის შემდეგ. იჭერდნენ და მაღაროსკარშივე ხვრეტდნენ ხელაშვილის მასპინძლობაში ეჭვმიტანილ ნათესავებსა თუ მეგობრებს. იყო მუქარა და დაპირებები ხელაშვილის საღალატოდ. დაუპატიმრებიათ და უწამებიათ იაკობ მარწყვალაშვილიც (წოწკოლაური), მაგრამ ვერ გაუტეხიათ, რის გამოც მთაში კარგი სახელი დაუმსახურებია. ვანო ხორნაულს ვაჟი მოუნათლავს მისთვის და თავისი სახელი დაუნათლებია. ზოგმა ვერ გაუძლო, ვერც ხელაშვილის ღალატი იკისრა და თავისი ხელით მოიკლა თავი. მაგრამ მოღალატესაც რა გამოლევს და ეს ღალატი აკისტებინეს ხელაშვილისთვის ყველაზე მისანდობელ ჩარგლელ ძმაკაცებს — ლუკა მარცვალაშვილსა და ლევან გარსევანაშვილს.

ერთხანობას ლუკაც მიხასთან ერთად ყოფილა ტყეში თავგარიდებული. მერე შერიგებია მთავრობას, კომკავშირში მიუღიათ. ის ჩარგლის სათავე უბანში — ხოდაში ცხოვრობდა. მასთან დღისითაც კი შეუმჩნევლად შეიძლებოდა შესვლა და გასვლა.

1925 წლის 24 იანვარს ყინვისაგან შეწუხებული მიხა, ჩანს, ველარ დაელოდა დაღამებას, დღისითვე შეიპარა ძმობილის სახლში. ლუკას და მიხას ფიცვერცხლი ჰქონიათ ნაჭამი, ამიტომ ლუკას მეტისმეტად „გახარებია“ მიხას მისვლა. მაშინვე ხინკლის თადარიგს შესდგომია. ლუკამ ჩვეულებრივ წვერ-პირის გაპარსვაც შესთავაზა მიხას. ყბა ჩამოპარსა და ყელთან რომ მივიდა სამართებელი, მიხამ უთხრა თურმე:

— ლუკავ, გატყობ ჩემი მოკვლა გაქვს დავალებული, ბარემ გამომისვი ეგ სამართებელი, შენც მოისვენებ და მეცაო!

ლუკას ძალიან შეუცხადებია, დამჯდარა, ტირილი დაუწყია:

— მაგას როგორ მეუბნები, მე გამოვიჭრი ყელს, თუ ჩემი არა გჯერაო.

ხელაშვილს დაუმშვიდებია და მერე, ხინკლის ჭამის დროს, ეტყობა, მაინც რაღაცას ამჩნევდა, თავისი პატრონტაშიდან ამოღებული სახეთქიანი ვაზნა მიუწოდებია, როცა ჩემ მოკვლას დააპირებ, ეს ტყვია დამკარ, უცებ გამათავებსო.

„შემთხვევით“ მოვიდა ლევან გარსევანაშვილი და იმანაც „ძალიან გაიხარა“ მიხას ნახვით. პურის არაყს აძალაბდნენ მიხას — შემცივნებული იქნებიო და ისიც ალალად ცლიდა მიწოდებულ ყანწს. იქნებ განგებაც, რომ ღალატისა და სიკვდილისა ვერაფერი გაეგო.

გვიან იცის გაჭრა პურის არაყმა, მაგრამ როცა გაჭრის, დაბანგულივით დააგდებს კაცს. დამთვრალი მიხა, ვითომცდა მეტი სიფრთხილისათვის, მჭედელათ საბძელში გადაიყვანეს დასაძინებლად. შინ შებრუნებულ ლუკას და ლევანს დახვდნენ ის აქტივისტი კომკავშირლები, რომლებსაც ხელაშვილის დედის ცოდვა ედოთ და ახლა თვით ხელაშვილის დროზე მოშორებითაც იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან მიხა მათ დახოცვით ემუქრებოდა, ზოგი შინიდანაც კი ველარ გამოდიოდა.

ლუკა წინ გაუძღვა ლამპით, უკან ლევანი მიჰყვა ფეხზე შემდგარი თოფით. ლუკამ მიუნათა, ლევანმა თავში დაჰკრა. ზოგის თქმით, ლევანს ხელი აუკანკალდაო ბოლო მომენტში და იქვე დაზღვევაზე მყოფმა, კაცისკვლაში უკვე გამოცდილმა კომკავშირელმა დაჰკრაო. მიხას მოკვლის ამბავი იმ დღეს დამალეს. ვახტანგი გაიქცა მაღაროსკარში მილიციისათვის შესატყობინებლად. მეორე ღამეს ჩუმად მოვიდნენ, ყასიდად ატეხეს თურმე სროლა, ვითომდა, მიხა ჩვენ მოვკალითო. გამთენიისას ჩამოიტანეს მისი ცხედარი და საფიხვნოში დააგდეს ხალხის საჩვენებლად და დასაშინებლად, თან იძახოდნენ: — მოკვლა არ გვინდოდა, მაგრამ გაქცეულს შემთხვევით მოგვიხვდა ტყვია შუბლშიო. მერე ცხენგამობმულ ყალზე დააკრეს, დუშეთში ჩაიტანეს და იქ დააგდეს მილიციის ეზოში. იქ იმდენ ხანს ეგდო, ვიდრე მისმა ტანსაცმელმა ფერი არ დაკარგა და ცხედარი არ გაიხრწნა და ნახევრად შეჭმულს მილიციამ სხვაგან გადაგდება არ დაუპირა. ძმაზე მლოცველმა აფხუშოელმა დამ სალომემ,



თომა ბალიაური

გასაოცარი სიმტკიცით ცნობილმა ქალმა, საბძელში გაბნეული ტვინი და სისხლი მოკრიფა და დედის საფლავთან დაფლო. საიდუმლოდ ჩავიდა დუშეთში, მიხას ბარისახოელი მეგობრის, მილიციაში ჩამდგარი ხევსურის დახმარებით ღამე მოიპარა ძმის ცხედარი, მთიელთა ძველი წესის თანახმად დაანაწევრეს, ხურჯინით აჰკიდეს ცხენს და დღე მალვითა და ღამე მგზავრობით აიტანა სალომემ ჩარგალში მიხას ცხედარი და დედის საფლავის გვერდით, თავის ტვინ-სისხლთან ერთად დამარხა. ღამე მარტომ გაუთხარა საფლავი, რომ არავის დაენახა.

გასაოცარი დამთხვევაა! მიხა ხელაშვილი 1925 წლის 25 იანვარს მოკლეს, რა დღესაც მას 25 წელი შეუსრულდა.

თომა ბალიაური. ლევან რაზიკაშვილის დაკითხვის ოქმში ფიგურირებს აგრეთვე ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი აქტიური თანამებრძოლი და მისი ძმადნაფიცი, ხევსურთა აჯანყების ორგანიზატორი, არხოტიონი თომა ბალიაური. ის გარეგნობითაც საფერი ყოფილა ქაქუცასი. ქართულ ჩოხაში გამოწყობილნი რუსთაველზე რომ ჩაივლიდნენ, მთელი ხალხი მათ შესცქეროდაო. მისი ბიძაშვილი და თანატოლი ნათელა ბალიაური „ხევსურულ ქრონიკებში“ წერს:

„თომა მაღალი იყო, წელწვრილი და ბეჭგანიერი. ძალიან ლამაზი თავი ჰქონდა, მაღალი შუბლი. სახე საკვირველად ზო-

მიერი, თვალები – ფუტკრისფერი, ცხვირი – სწორი, მაღალი, ოდნავ კეხიანი, ყბები ხელით ჩამოქნილს მიუგავდა, რომლებიც ლამაზად ბოლოვდებოდა მრგვალი ნიკაბით. კბილები სწორად მიწყობილი და თეთრი, ბაგეები მომსხო, პირის ჭრილი ზომიერი და თითები ლამაზი. ხმა ძალიან ვაჟკაცური, როცა გაბრაზებული დაიყვირებდა, შემზარავი"... (გვ. 27).

თანამედროვეთა გადმოცემით, იმ დროისათვის, მთაში, არც საქართველოს და არც საურჯულოში მასზე უკეთესი ვაჟკაცი, ასეთი განათლებული, ასეთი მამაცი არ თურმე გაიგონებოდა.

როდესაც ქაქუცას რაზმი დაიშალა კახეთში, მიხა ხელაშვილის მსგავსად, არც ის გაჰყოლია საზღვარგარეთ და თავის არხოტში გადასულა.. რაკი მოსაკლავად დასდევდა მთავრობა, მთელი ათი წელი თითქმის გამოუსვლელად უცხოვრია იქ. არხოტი იმ დროს მიუვალ სიმაგრედ ითვლებოდა. ცხრა თვის მანძილზე კი, როცა თოვლი გადასასვლელ უღელტეხილებს ჩაკეტავდა, არხოტი საერთოდ სწყდებოდა გარე სამყაროს. განათლებული კაცისათვის თუ რა ძნელი ასატანი იქნებოდა ასეთი კარჩაკეტილი ცხოვრება, ძნელი წარმოსადგენი არ არის. უთქვამს კიდეც თომას „ზამთარის არხვატი ცოცხალთ სამარეიაო". მიუხედავად ამისა, კომუნისტები მაინც ვერ ისვენებდნენ თურმე და მკვლელებს უგზავნიდნენ. ზოგმა იმის შიშით, რომ იქედან თავადაც ცოცხალი ვერ წამოვიდოდა, ვერ გაბედა მისი მოკვლა. ზოგს კი თომამ დაასწრო და სიცოცხლეს გამოასალმა. მაშინ ჩვეულ ხერხს მიმართეს კომუნისტებმა და ადგილობრივი წააქეზეს მის მოსაკლავად. მკვლელმა ამღაში სტუმრად ნამყოფს, ღამე ესროლა ფანჯრიდან. მისი სისხლი ლენინგრადიდან ჩუმად ჩამოსულმა ლადო ბალიაურმა აიღო ვახტანგ ბალიაურთან ერთად.

თომა მოკლეს 1934 წლის იანვარში. „დაღუპვამდე სამი წლით ადრე, როგორც ბალიაურთა ოჯახების უფროსმა თაობამ იცოდა, თომას სახლის კედელში ჩაუშენებია ბოთლი, რომელშიც რაღაც ხელნაწერი ყოფილა მოთავსებული – ჩემი გარდაცვალების შემდეგ, შესაფერი დრო რომ დადგება, მაშინ გაიხსნასო. ამ დოკუმენტის მიმართ თომას ახლობლებში საკრალური დამოკიდებულება სუფევდა და მას არავინ გაჰკარებია.

ერთი წლის წინ (1990-იან წლებში – გ.ხ.), ადგილობრივ ახალგაზრდებს სამალავი გაუხსნიათ და ხელნაწერი ამოუღიათ. იგი აღმოჩნდა ძალზე ლაკონურად დაწერილი ავტობიოგრაფია".

(თინა ოჩიაური).

აი ისიც: „დავიბადე 1896 წ. სოფ. ახიელში. ვსწავლობდი 1913 წ. ვლადიკავკავში, გიმნაზიაში, საიდანაც დამითხოვეს უხეირო ყოფაქცევის გამო, რასაკვირველია, მაშინდელი რუსოფილი მასწავლებლების შეხედულებით. თუმცა ჩემს წარსული წლების სიცელქეს დღესაც გაოცებაში მოჰყავს ნაცნობები. მოუსვენარი ხასიათი დამყვა ბოლომდის.

გიმნაზიიდან დათხოვნილი ვცხოვრობდი ალვანში, ოჯახში. 1914 წ. გამიცნო მარჩევსკიმ, რომელმაც შვილად ამიყვანა და გამგზავნა გორში. იქ ვცხოვრობდი ია ეკალაძესთან. პირველის და მეორის გაცნობამ აღმიძრეს და გააღვიძეს ჩემში ეროვნული ძარღვი, რის შემდეგ გავხდი უკიდურესი პატრიოტი და ყოველი ჩემი მოქმედება იყო დაკავშირებული სამშობლოს კეთილდღეობასთან, რასაც ბოლომდე შევწირე ჩემი თავი. შესაძლოა ეს თვალსაჩინოდ ვერ განვავითარე და ფართე მოქმედებისათვის არ მექნა გასაქანი.

თფილისში რუსოფილ-პაპეჩიტელმა არ მომცა ნება გამოცდების ჩაბარებისა. დავბრუნდი თიანეთში. ვცხოვრობდი მარჩევსკისთან, საიდანაც 1914-15 წ.წ. ვიყავი მოხალისედ ოსმალეთის ფრონტზე პირველ თფილისის ქართულ დრუჟინაში (დ. ჯანდიერი მეთაურობდა). ავადმყოფობის წყალობით გავთავისუფლდი. ჩამოვედი მშობლებთან. გადავიტანე მძიმე ავადმყოფობა (პლევრიტი) ვიწექი 6 თვე. გამორჩენის შემდეგ ვმსახურობდი ენისელში (სამომხმარებლო ამხანაგობაში), შემდეგში ყვარელში საქმის მწარმოებლად. აქედან ვაჭრობის მიზნით წავედი რუსეთში. ვაჭრობის მიზნები ჩაიფუშა. შეველ სამსახურში, ადმინისტრაციაში დონის ოლქში, სადაც მომისწრო რუსეთის რევოლუციამ. ბოლშევიკების დაჭერის შემდეგ გადმოველ ეკატერინოსლავში, გუბერნიის კომისიაში კესელის განკარგულებაში, სადაც მყვანდა ჩეჩნებისა და თერგის ოლქის ქისტების შემადგენლობით რაზმი, მიმართული ქალაქის სიმშვიდის დასაცავად, განსაკუთრებით ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელთათვისაც საშინელებად გადავიქეცი.

გადატრიალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს სახლში დაჰკრეს ორმოცმა წითელარმიელმა ობისკი, მეძებდნენ დასახვრეტად, გაუსხლტი ხელიდან და ჩავედ ს. ჟერებეცში. აქ შევაფარე თავი მდიდარ ებრაელს ზასლავსკის. ვცხოვრობდი სხვის გვარზე. გამოსვლა ვერ მოვახერხე, რადგან რუსეთი გახვეული იყო სამოქალაქო ომში. წამოსულ ამხანაგებს მოუსწრეს და დახვრიტეს როსტოვში.

ჟერებეცში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ღამე გამოველ და რკინისგზით გამოვსწიე საქართველოსკენ. დავტოვე მტირალი უკრაინელი ქალი ლიზა, რომელსაც ვუყვარდი და მიყვარდა გაგიჟებით. დამაპატიმრეს ქისტ აბდულრახმან ბადხიევთან ერთად. გამძარცვეს. გამოირკვიეს ვინაობა და დასახვრეტად გამზადებულნი გამოვიქეცით. გავჩერდით ქერჩში. გვიშველა ყალბმა ბოლშევიკურმა მოწმობებმა. ჩამოველ თბილისში. შეველ მოხალისედ ფურცელაძის რაზმში. ვიყავ ოსების წინააღმდეგ. დავინიშნე ხევსურეთში და ფშავში კომისრად. შემდეგ შეველ მოხალისედ ლეო კერესელიძის რაზმში. ვიყავ სომხების წინააღმდეგ შულავერში; ვმსახურებდი ბორჩალოს მაზრაში რაიონის კომისრად. გადმოველ თფილისში სისხლის სამმართველოს ინსტრუქტორად და ამავე დროს ვიყავი მივლინებული ოსმალურ მისიასთან. ბოლშევიზაციის შემდეგ გავიქეცი ბათუმისაკენ. გზაში გავაცილე საქართველოს სიმდიდრე. ბათუმიდან დავბრუნდი გრემში. (იქ მისი და თინა იყო გათხოვილი – გ. ხ.). დამშვიდების შემდეგ შეველ ისევ სისხლის სამმართველოში. ვიღებდი მონაწილეობას არალეგალურ მუშაობაში. გამიგეს. დაპატიმრებამდე რვა კაცით შეიარაღებული 1921 წ. ბზობა ღამეს გამოვედით თფილისიდან ერწოს მიმართულებით. ერწოში დავყავით ერთი თვე. ამხანაგებს გული გაუტყდა და რაზმი ჩაიშალა. გადმოვედით მე და სულხანიშვილი აწყურში. გავიგეთ ჩოლოყაშვილის გასვლა, შევუერთდით ალვანის თავში. ვიღებდი მხურვალე მონაწილეობას ხევსურეთის აჯანყებაში 1924 წ. ვხელმძღვანელობდი მოხევეებს. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ხევსურეთმა მოსთხოვა ჩემთვის პატიება. გზა აღარსაით იყო, ან თვითმკვლელობა, ან შერიგება... მთელმა კომისართა კრებამ აღუთქვა პატიება. ჩაველ. მოვტყუვდი მიპირებდნენ დახვრეტას. მეორე დღესვე გამოველ თფილისიდან, აღარ ჩავსულვარ.

ამავე წელს ხანჯლით მოვკალ ჩიქოვანი ასის ხეობაში, რომელიც იყო მთავრობისაგან გამოგზავნილი ხევსურეთის დასამორჩილებლად და ბოლშევიკური მოძრაობის გასაღვივებლად. ისევ გაველ. მთავრობა შეშფოთდა. შემომითვალეს არ გავსულიყავ. ჩავრჩი არხოტში. მდევდნენ ყოველ მხრივ, ვერ ჩამიგდეს ხელად. ბოლოს რითი დამთავრდება, არ ვიცი. ვსწერ 1930 წლის მაისის 30-ს.

ვჟას შვილი გულქანი

მადლობელი ვარ არხოტის, განსაკუთრებით ლელასი (ლადო ბალიაურის დედა – გ. ხ.), რომელმაც შემინახა როგორც შვილი. თუ მოვკვდი, ვერ ვეღირსე საქართველოს განთავისუფლებას, ამის შემხედვარმა მამიგონოს, რომ იყო ვიღაც დევნილი და სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა თავი. ჩემი სალამი ჩოლოყაშვილს, რომლის, როგორც ბელადის სახელი არ შემირცხვენია, არ დამიყრია იარაღი და არც დავყრი იარაღს სიკვდილამდის..

იყავ ძლიერი, ქართველო ერო, მომავალი შენია. სამუდამო ხსოვნა ქართველ მებრძოლთა.

თომა ბალიაური
დაბადებიდან 33 წელი
სოფ. ახიელი.

გულქანი

1970 წელს, ზაფხულში, დუშეთის რაიონის ტოპონიმიის აღწერასთან დაკავშირებით რიგითა და მიყოლებით სოფ. ფუძნარში ავედი. გამეგონა, რომ ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ქალიშვილი გულქანი ჯერაც ცოცხალი იყო და ფუძნარში ცხოვრობდა. გადაწყვეტილი მქონდა მივსულიყავი და მივედი კიდეც. კრამიტით დახურული, საჩეხიანი სახლი ტყიანი გორის პირზე იდგა. დერეფანში დად-მოდიოდა წელში მოხრილი ბებერი – ვაჟას ქალიშვილი. მივესალმე, გამოვეცნაურე.

– ავაიმე, ბიჭო, ვანოს შვილი ხარ! – გამიღიმა და ტახტზე ჩამოსაჯდომად მიმიპატიჟა. მამაჩემი მეგობარი იყო მისი ძმის ვახტანგ რაზიკაშვილისა.

მე იმ საღამოს ჩემ მონადირე ნათესავთან შალიკო გიგაურთან ვაპირებდი ავლას, მაგრამ აღარ გამიშვა, დარჩი, მარტოობით გამოყრუებული ბებერი ვარ, ცოტას მაინც ამაძრახებო. დავრჩი, ხათრი ვეღარ გავუტეხე, თანაც ვიფიქრე, ვაჟა-ფშაველაზე გაიხსენებდა რაიმე საინტერესოს.

უკვე საღამო ხანი იყო. ძროხები დაწველა, რძე აადუღა, სავახშმოდ შემოვუსხედით სუფრას და თავისით დაიწყო თავისი დუხჭირი ცხოვრების მოყოლა.

– აი, შვილო გიგი, სულ ობლობასა და ბეჩაობაში ვარ, რაც თავი მახსოვს. ცოტა რო რაღაცა გავიგე ამ ქვეყნისა, დავობლდი, სიბერ-სიკვდილის ჟამსაც ობოლ-ოხერი ვარ...

... თითისოდენა ვიყავ, დედა რო მოგვიკვდა. მე და მარიამი, ჩემი უმცროსი და, ავად ვიყავით, ქუნთრუშა გვჭირდა. აქეთ ტახტზე ჩვენ ვიწექით სიცხიანები, იქით ტახტზე დედაჩვენი. იმას თურმე მუცელი მოსწყდა მძიმე ტვირთისაგან და კვდებოდა. დედაკაცები შად-გადიოდნენ. პირი გვიშრებოდა, მალ-მალ წყალს ვითხოვდით. მოგვიტანდნენ ხან რძეს, ხან–წყალს, ცოტა-ცოტას გვაყლაპებდნენ. მალმალ თავს წამოვყოფდით და დედას გავხედავდით. თავზე ვინც ედგა, იმ დედაკაცმა დაიწყო ჩხავილი, კეკე, კეკეო! ავაიმე, მიშველეთ, მოკვდა ბეჩავიო! მერე რა მოხდა, რამდენხანს ვიავადეთ, აღარ მახსოვს, ის კი მახსოვს რო მოვრჩი, ნიკიფორათას ავიარე ფეხშიშველმა. ზამთარი იყო,

თოვლი. ქალიკმა ექვივნა, მიყვარდა ი დედაკაცი . მომეფერა: გენაცვლე მა კუკუშულას პირზედაო! ბუხართან მიმიყვანა: ფეხები ნაცარში შახვიე დაგითბებაო. (თოვლში ფეხშიშველა სიარულმა, სიტიტვლემა და სიცივემ ქნა, ალბათ, ვაჟას სამივე ქალიშვილი რომ უშვილო დარჩა – გ. ხ.). დუმის ნამდნარი ჰქონდის, იმაში ჩამიწყვის ხინკლები, ალბათ იმიტომ თუ მიყვარდა.

ვიღაცამ დაიძახა: ქალა მანდ ხო არ არიო, ჩამაიაროს, მოვიდნენო! თოვლში ჩამოვირბინე ისევ ფეხშიშველმა. მამაჩემი და მამიდა მოსულიყვნენ კახეთიდანა. მამიდა მოვიდა, გულში ჩამიკრა: ვაი, შენს მამიდასა – და მიწაო! რარიგ დამზრალ ფეხები გაქვისო. ლამაზი ტყავი ეცვა, იმისი ბოლო შემომახვია ფეხებზე, ფეხისგულებზე ხელები მომიჭირა და ტირილი დაიწყო.

პატარები ვიყავით, მამაც მკაცრად კი გვექცეოდა, მაგრამ ყოჩაღი ვიყავი საქმისათვის. ნათოსი, ნარიყი შეშა, სულ ჩემ ზურგს ამოჰქონდა წყლისპირებიდანა. ვიფიქრე, დიდ ხეებს მოდი ხარებს მოვათრეინებო. მამა ქალაქს იყო წასული. შინ მარტო მე და მარიამი ვიყავით. პატარა ვიყავი, უღელს თავით მძლივ ვეჭარბე. ხარები შევაბი, გავრეკე. ხეები მქონდა შეთვარიელებული, ცულით დავყელე. უნდა გამომება უღელზე, მაგრამ ხარებს კისრებს ვერ ვახრეინებდი. გავიქეცი, ბალახი დავგლიჯე, დავუყარე და იმათ რომ იმას დაუწყეს ჭამა და კისრები დახარეს, მე მოვასწარი და მოკლედ ჩავუბი. თავსაწაფს გამოვწიე და გამოვუძვეხ. ბექში ვიწრო გზა გამოდიოდა ჩვენი სახლისაკენ, იქ ხარებით იშვიათად გადმოჰქონდათ შეშა, — ხარებს გადაგვიყრისო. იქ რომ მივედი, დავეყუდე, ვფიქრობდი რა ვქნაო, თან მეშინიან, ხარები არ გადმოცვივდესო, თან მინდა რომ შეშა კარებზე მივიტანო, კაი ხარები იყვნენ, ჭკვივნები. ქვემოთი ხარი წინ წამოვიყვანე, ზემოთს ვუხევდი და ისე ნელ-ნელა გამოვიყვანე, ხე გზიდან აღარ გადავარდა. მერე სხვა ხეებიც ეგრე მოვათრევინე. მამა რომ მოსულიყო, შინ არ ვიყავი, მეზობლებს ეკითხებოდა თურმე: „ვინ იღვთიანა, ვინ მოუტანა ბალღებს შეშაო". „არაო, ჩვენ არავის გვიშველია, თავად მოაზიდვინა ხარებს გულქანმაო", –ეთქვათ.

ვუყვარდი მამასა, აზრიანი ხარო. ხშირად იცოდა ჩემთვის კითხვა: „ესე რომ გავაკეთოთ, შვილო, როგორ იქნებაო?" თა-

ვად მამას საქმე არ ეხერხებოდა. სულ მე მაქებდა. ხშირად იმის თქმაც იცოდა: „ამას კიდევ რამეს უნდა დაემდუროთ, თქვე ყურუმსაღებოო!"

ყოჩაღი ვიყავ, გულადი, მამასა ვგავდი... ათი წლისა ვიყავ, ძროხები მოვკარგე. დაღამდა. ვეძებ, რაღას ვიპოვი. ხმელ წიფელთან შუქები რაღაც შევნიშნე. მომეჩვენა რომ თვალებს ანათებდა რაღაცა. ვიფიქრე მგლებიაო. დავავლე ქვებს ხელი, დავაყარე, თან ვუყვიროდი: დაიკარგეთ მანდედანო, თქვენ ვერ შემაშინებთო! რომ აღარ წავიდნენ, შევეჭვდი, ნეტა რა არისო? მივედი და ფუტურო ყოფილა. საქონელი ვიპოვე, მოვრეკე, დავწველე და ჩემი „მგლების" ამბავი ვუამბე მამას. მამამ იცინა და შემაქო: ყოჩაღი მყევხარო.

... ხვნის დროს მეხრედ ყოველთვის მე ვყავდი მამას. ძალიან მარჯვე ვიყავ. თავად გუთანი ეჭირა, გუთნის დედა იყო. გუთნის გამართვაც ვერ იცოდა, მაგრამ გამართავდა როგორღაც, თავისებურად, შევაბამდით ხარებს და შესძახებდა:

–ჰო, ღილა! ჰო, ჯვარელა! აბა, თქვენი ჭირიმეთ! აბა, ჩემო ხარებო! თუ გუთანი ზერელედ წამოვიდოდა, ამოვარდებოდა, ახლა მე შემომძახებდა: დაადგი ფეხი გუთანსაო! – მეც შევხტებოდი გუთნის ყელზე და კვალს აებმებოდა გუთანი.

– გაუჯავრდი წინა ხარებსო! – შემომძახებდა, – ჰო, ნიჟარა, ჰო, ღვინია!

მეც გრძელი სახრე მეჭირა და წამოვსხეპავდი...

ადიდებულ ჭიჭახევას ბექი მოენგრია და გოგირდიანი წყალი ჟონავდა თურმე. მამა გახარებული ჩამოვიდა შინ და მითხრა; აბა, ჩემო ქალო, წერაქვი წავიღოთ და გამოვთხაროთ, იქ აუცილებლად გოგირდის წყალი გამოვაო.

შევყევით ჭიჭახევას. მივედით იმ ადგილას, სადაც ბექი მომზღვეულიყო. გოგირდის სუნი დიოდა. დავიწყეთ მიწის თხრა. ვთხარეთ მანამდის, სანამ წყალი არ გამოჩნდა. მამას ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. გამოწმინდა, გამოაგუბა. დავუცადეთ სანამ დაწმინდავდებოდა. გავსინჯეთ, უგემური, თბილი წყალი იყო, მაგრამ აბაზანებისთვის კარგი იქნებაო, თქვა. მერე ქოხი გაიკეთა და აბაზანები მიიღო. ძალიან კმაყოფილი იყო. ამის შემდეგ ქარებისაგან დაავადებულნი, დახუთულნი დაიარებოდნენ ამ წყალზე სამკურნალოდ. იქა სდგამდნენ ფოთლის ქოხებს, მოჰქონდათ საარყე ქვაბები, კასრები და აბაზანებს იღებდნენ, კვირით–კვირობამდინა რჩებოდნენ ამ წყალზე. ბევრი ადამიანი გამოჯანსაღდა...

„ნეტავ, კიდევ როდის ამოხვალ ჩემთანო", –დაინატრა გულქანმა. მე დავამშვიდე, ამ შემოდგომაზე შალიკოსთან ამოვალ სანადიროდ და მაშინ გინახულებო.

– ნადირობა მამასაც ძალიან უყვარდა. მეც დავყავდი სანადიროდა. სულა-კურდღელაში იფნებზე სხდებოდნენ ქედნები. იქ ჩავსაფრდებოდით ხოლმე და ის რო ესროდა და ჩამოცვიოდა აფართხალებული ქედნები, იმათ წამოსაკრეფად მე გამოვვარდებოდი.

მაღაროსკარს ან ახლომახლო სოფლებში, როცა მიდიოდა, ხანდახან მეც გამიყოლებდა – ცხენის გავაზე შემომისვამდა. შინისკენ მომავალნი თევზაობას ვიწყებდით – მე ცხენი მომყავდა აღვირით, მამა ბადეს ისროდა არაგვში. თევზაობას რომ მორჩებოდა, ცხენს ბალახზე დავაბამდით, ცეცხლს დავანთებდით, თევზს მოვხარშავდით და პურსა ვჭამდით.

... კიდევ იცი რატომ ვუყვარდი მამასა? ძალიან ნიჭიერი ვიყავ. ერთხელ მწყემსობად ნამყოფი ძალიან დამასველა წვიმამ, გამყინა; მაშინა ვთქვი: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმადა, რომ ვყოფილიყავ მუდამა ღრუბელთ გულმკერდის მძივადაო". შინ რომ მოვედი, მამას ვუთხარი, აი, ესა ვთქვიო. მამას გაუკვირდა, გაუხარდა, ჩემი ნათქვამი მაშინვე ჩაიწერა და სხვაც კიდევ მიუმატა. მამა სიკვდილის წინაც თურმე იმასა დარდობდა, გულქანი დამრჩა უსწავლელიო. ძალიან უნდოდა, რომ მე მესწავლა...

იმ ღამეს კიდევ ბევრი რამ მიამბო გულქანმა. ბევრი რამის ჩანიშვნა და დახსომება ვერ შევძელი. წამოვედი იქიდან იმ პირობით, რომ შემოდგომაზე მოვინახულებდი. აღარ მომიხერხდა ასვლა, სამაგიეროდ ვიღაცა მაწანწალა ნაძირალები ასულიყვნენ ბიჭი და გოგო. კარს მისდგომოდნენ, იქნება ღამე გაგვათევინოთ, ხვალ თიანეთში გვინდა გადასვლაო. გულქანს ისინი ჩვეულებრივი სიკეთით მიეღო, პურიც ეჭმია, იმ ღამეს მოესვენებინა.

გულქანს მკერდზე ტყავის პატარა ჩანთა ეკიდა თასმით. მე-

ცა ვკითხე მაშინ, რა არის ეგ რა გკიდია-მეთქი. „პენსიის ფულებს ვინახავ შიგა, შვილო, ჩემ სამარხსაო", – ჩაცინებით მიპასუხა. იმათაც უკითხიათ და იმათთვისაც ეგრე უპასუხნია. მეორე დილით მათთვის რძის ადუღებას რომ აპირებდა თურმე და ღუმელს ანთებდა, გაუძვრია იმ არაკაცს წელზე დაკიდებული დიდი დანა, თავში ჩაუცხია გულქანისათვის, ის ჩანთა აუჭრია და გაქცეულან. გულქანს რაკი საქონელი აღარ გამოუშვია, მეზობლებს მოუკითხავთ და სისხლში ამოსვრილი, იატაკზე უგონოდ დაგდებული უნახავთ. ძლივს გადაარჩინეს. დუშეთის საავადმყოფოდან ძმას, ვახტანგ რაზიკაშვილს პირდაპირ ჩარგალში წაუყვანია და მას მერე იქ იყო. ფშავში ასული ხშირ-ხშირად ვნახულობდი.

– შვილო, გიგი, შენა ხარ?! – შესძახებდა ხოლმე როგორც კი დამინახავდა. ზაფხულობითაც და ზამთარში განსაკუთრებით მარტო იყო. სწუხდა ძალიან, უპატრონოდა ვარო. მომვლელი ქალი კი ჰყავდა მიჩენილი, მაგრამ სოფლის ქალი, ვისაც თავის საქმეც უამრავი აქვს, ერთხელ და ორჯერ შევლით რას უშველიდა. ერთხელ ისეთ დროს მივედი, ცალი ხელით ჯოხზე დაბჯენილი, ცალით შეშას გადმოჰყრიდა კარისაკენ. ასე გადანაცვლება–გადანაცვლებით შეჰქონდა თურმე.

– რა არის მეზობლები შეშას მაინც ვერ შემოგიტანენ-მეთქი? – ვუთხარი.

– ჰმ, რას ამბობ, შვილო, რას შამამიტანენ, ნეტავი არავინ რა გაიტანოსო. ა ექით ცული მომპარესო.

შეშა შევუტანე, ცეცხლი შევუნთე და დავსხედით სასაუბროდ. გამომშვიდობებისას ვთხოვე, ხომ არაფერი გჭირდება, ან გულით ხომ არაფერი გინდა რომ ამოგიტანო-მეთქი.

– ნავთი არა მაქვს, ნავთი ამომიტანეო-მითხრა და ღიმილით დააყოლა ლიქიორსაც თუ გამომიყოლებ, კარგს იზამ, ცოტ-ცოტას ჩავთქამ ხოლმე, ხანდახან მადა არა მაქვს და პურს შამაჭმევსო.

ჩავედი თუ არა თბილისში, მთელი ქალაქი შემოვიარე და ლიქიორი ვერსად ვიშოვე. მერე შინ სასმელებში დავძებნე და შემთხვევით შემორჩენილი ერთი ბოთლი აღმოვაჩინე.

ბოლო წლებში მფარველ ანგელოზად მოევლინა გულქანს

თუში პოეტი ქალი ეთერო თათარაიძე. კვირაობით, თვეობით ადიოდა მასთან, უვლიდა და თანაც იწერდა მის ნაამბობს, მოგონებებს. მადლი და პატივი თავისთავად, უამრავი ძვირფასი მასალა გადაარჩინა დაკარგვას. ამ საოცარი ჩანაწერებისათვის პარიზული პრემიაც დაიმსახურა ეთერომ. აი, ასე ადამიანურად უნდოდა მოგონებების ჩაწერა, და არა ისე, ექსკურსიაზე ასულების მიერ, თან რომ არაგვის ჭალაზე გაწყობილი სუფრისაკენ ეჩქარებოდათ.

ზაფხულობით ექსკურსიები ბევრი მოდიოდა ვაჟას სახლ-მუზეუმის სანახავად. ვაჟას სახლ-მუზეუმიდან გამოსულნი ახლა გულქანის სანახავად დაიძრებოდნენ, შეჯოგდებოდნენ მის ოთახში, იდგნენ, ათვალიერებდნენ და თან ეკითხებოდნენ – ვაჟაზე რას გაიხსენებო? ეს უტაქტობა და მოურიდებლობა ძალზე აღიზიანებდა გულქანს. მას, უკვე ოთხმოცდაათ წელს მიღწეულ მოხუცს, თავისი ათასი გასაჭირი ჰქონდა, ოთახი ფშაურად მიყრილ-მოყრილი, არა სიამოვნებდა უცხო ხალხის ასეთი ხორხორი.

ერთხელ ასეთ დროს მივედი, ცუდად იყო, ლოგინში იწვა. ლიქიორი მივუტანე, ქალაქური ნამცხვრები და სხვა რაღაცრაღაცეები. მითხრა, მიდი კარადაში კონიაკი უნდა იყოს, მამიტანეს ვიღაცეებმა, იმით უნდა გიმასპინძლოო. გამოვიღე და მის საწოლთან სკამზე მოვიწყვეთ სუფრა. გარეთ ხმაური გაისმა, ექსკურსიამძღოლს გულქანის სანახავად მოუდიოდა ხალხი. მითხრა, გადი უთხარი არ შემოვიდნენ, ლოგინში მაინც მომასვენონ, ვაჟას მუზეუმი ნახონ, მე რა სანახავი ვარ, რას მათვალიერებენო. გავედი გავაბრუნე ის ვიღაცეები, როცა შემოვბრუნდი, ჩანს, მაინც ეუხერხულა, მითხრა:

— ხასიათში მამას ვგევარ, მძიმე იყო მამა, მძიმე ხასიათისა. თვალებიც რაღაცნაირები ჰქონდა. როცა არა ჯავრობდა, დამშვიდებული იყო, ლამაზი თვალები ჰქონდა, მომწვანო ფერისა. როცა გაბრაზდებოდა, აი, დუშმანთა, თვალებში ვერ დაჰკვლევდი... მეც როცა კარგ გუნებაზე ვარ, ისა მგონავ, მთას ბარად მოვიტანო, ყველასაც ავჩქამდები, რატომაც არა, მაგრამ მეტისმეტად შამაწუხეს. მე კარჩი გახედვა მინდა, ეგენი კიდევ წამამადგებიან თავზე და ვაჟაზე გვიამბეო. ზოგს კი სუ რო

ვკვდებოდე, მაშინაც არ მოვირიდებ... ზესტაფონლებ იყვნენ აქა, მადლობა ვუთხარ კიდევაცა, დიდ პატივი სცეს მამასა... მიიწვიეს იქა და არ მიდიოდა — სადა მაქვ მაგის დროო. წავიდა მაინცა. ვერცხლის კალამი მიეცათ, ვერცხლის სამელნე, ვერცხლისფერი ბუხრის ქუდი, მათრახი მიეცათ ვერცხლისგველისტარიანი, ტანთაც ვერცხლისფრად ჩაეცვათ... კმაყოფილ მოვიდა ძალიანა... მიყვარან ზესტაფონლები იმიტომა.

როცა რაღაცა მეხედვება, ცუდი მომელის, მამა მესიზმრება. ცული რომ მომპარეს, იმ წინა ღამესა ვნახე მამაი, ხევიდან მოდიოდა. დამიძახა: გადადი, ქალავ, ცული წამოიღე აიქითა გდიაო!

1989 წლის თებერვალში ძალიან ცუდად გამხდარიყო გულქანი. სასწრაფოთი ჩაეყვანათ დუშეთის საავადმყოფოში. „წინა ღამეს, თუმცა წინა კი არა, უკანასკნელ ღამეს სიზმარი უნახავს გულქან რაზიკაშვილს, ვაჟა-ფშაველას ქალიშვილს. დუშეთის საავადმყოფოში მწოლარეს თავს წამოსდგომია მამამისის ახოვანი ლანდი და წყრომით უთქვამს: აქ რას აკეთებ, ქალშავავ, ადექ და ფუძეზე წადიო. მამის სიტყვა ყოველთვის კანონი იყო გულქანისათვის. იმასაც ატყობდა, ექიმები ვერაფერს რომ ვერ შველოდნენ მის სიძაბუნეს. საუკუნეს მიტანებულს ეს არც უკვირდა. არც წუწუნებდა — ყველაფერი ბუნების წესზედა მჭირსო. ჰოდა ამდგარა და ჩარგალში, მამაპაპისეულ კერაზე ფარფატით აუტანია თავის გამსუბუქებულ სხეულში ძლივსძლივობით შეკავებული სული. იქ კი გამხიარულებულა, ფანდურიც აუჟღრიალებია, თავის მამის ლექსებიც უთქვამს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სვენებ-სვენებით. იმ დღეს ძლიერი კვამლი ამოსულა რაზიკაშვილების სახლის საკვამურიდან. მერე კი ნელ-ნელა მინელებულა, სულაც ჩამქრალა, ჩანაცრებულა გულქანი, ამ ფუძეზე ცეცხლის გამღვივებელი და კერის ირგვლივ მორიალე ლანდების ბოლო მასპინძელი". (4).

1905 წლის რევოლუციის იმედი და უიმედობა

ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუცია. მოძრაობას იწყებდა ქვეყანა. მთაში ამ მოძრაობისათვის ბიძგის მიმცემი ვაჟა იყო. რას იზამდა ქვეყანა, ხალხი, რას იზამდა ვაჟა – ამის ინტერესით იყო მისკენ მიმართული მტრისა და მოყვრის მზერა. მის ადგილსა და როლს ამ მოძრაობაში კარგად გვაცნობს ერთი საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ცოტა გვიან, 1907 წელს არის შედგენილი, მაგრამ ის უფრო 1905 წლის ვითარებას ასახავს, ვიდრე შემდგომი პერიოდისას. მეფის ნაცვლის კანცელარიის უფროსს, პოლკოვნიკ ბაბუშკინს საიდუმლო განკარგულება მიუცია კავკასიის რკინიგზის პირველი ბატალიონის კაპიტან სამონოვისათვის შეესწავლა მთიელთა განწყობილება პოლიტიკური თვალსაზრისით (ამ ხანებში ფშავ-ხევსურეთზე გამავალი რკინიგზის და-

გეგმარება მიმდინარეობდა და, ჩანს, სამხედრო ინჟინრებს ეს საიდუმლო საქმეც ჰქონდათ დავალებული). სამონოვს რუსული გულმოდგინებით შეუსრულებია ბრძანება, შეუკრებია საჭირო ცნობები და ბაბუშკინისათვის წარუდგენია საიდუმლო მოხსენება, საიდანაც კარგად ჩანს რა ძალას წარმოადგენდა ვაჟა მთაში:

„ამ რაიონის რევოლუციურ მოძრაობას სათავეში უდგას სახალხო პოეტი „ვაჟა-ფშაველა" (ზედწოდება), გვარად ლუკა რაზიკაშვილი, მცხოვრები სოფ. ჩარგალში. აღნიშნული რაზიკაშვილი ფშაველია, უსაზღვრო გავლენა აქვს ფშავლებზე, ითვლება სახალხო ბელადად. პირადად ვიცნობ მას. ეს არის ჭკვიანი, ქვეშქვეშა, რომელიც უმთავრესად წერს თხოვნებს და აგიტაციას ეწევა ქართულად ბეჭდვით, ხოლო ამ ბოლო ხანებში სულ ტყუილ ცნობებს აწვდის თითქოსდა ხევსურეთის შიმშილობაზე და მოუსავლიანობაზე, ეწევა რა რაღაცნაირ ქართულ პოლიტიკას, თავგზა აუბნიოს მთავრობას, მოსახლეობას რაღაც პეტიციებითა და ყალბი შეტყობინებებით, პოულობს რა ამგვარი იდეის მხარდაჭერას თბილისის ქართულ საზოგადოებაში, იმ ანგარიშით, რომ, როცა მთავრობა დამშეულთათვის ფულს გამოყოფს, მთლიანად გამოართვას იარაღისა და რევოლუციისათვის. ერთი სიტყვით, უნდა სამეგრელოს ტყუილი შიმშილობის მსგავსად მოაწყოს. მისი უაღრესად საშიშროების გამო, ვაჟა-ფშაველას, როგორც მთის ჭკვიანი და მოქმედი კაცის გასაუვნებელსაყოფად საჭიროა მთელ რიგ ღონისძიებათა მოფიქრება, რადგან მის დაპატიმრებას შეიძლება სერიოზული შედეგები და მღელვარება მოჰყვეს მაღაროსკარელთა შორის (მაღაროსკარი ფშავის ცენტრია და იგულისხმება მთელი ფშავი – გ. ხ.). ვაჟა-ფშაველა 1905 წლის დამდეგიდან თიანეთის მაზრაში ბოქაულის, თავად სოსო ჯანდიერის წინააღმდეგ ეწეოდა საზიზღარ ინტრიგნობას, ცდილობდა მის მოხსნევინებას, როგორც ფიცის ერთგული და რევოლუციის მტერი პიროვნებისა. მისი წყალობით ეს საქმიანი და პატიოსანი ბოქაული, რომელსაც მე პირადად ვიცნობ, და რომელმაც 1895-1897 წლებში მომატარა მთები, განგებ დასწამა ცილი არაბუნებრივ კავშირში – მამათმავლობაში, რის გამოც გუბერნატორმა სვეჩინმა სამსახურიდან გაათავისუფლა, სხვათა შორის, ამ ბოქაულს სანიმუშო წესრიგი

ჰქონდა დამყარებუყლი თავის უბანზე და თანაც სარგებლობდა მოსახლეობის დიდი პატივისცემით. მისი წასვლის შემდეგ დაიწყო არეულობა ფშაველ-ხევსურთა შორის. ვაჟა-ფშაველამ მიაღწია სწორედ იმ მთავარს, ურომლისოდაც რევოლუციას არ ექნებოდა იქ გასაქანი, რადგან თავადი სოსო ჯანდიერი ერთგული იყო ფიცისა და უბანში სრული წესრიგი ჰქონდა დამყარებული, მთიან ქისტეთში თავისი გავლენის წყალობით და ქისტების მეშვეობით თავისი უბნისა არაფერი გამოეპარებოდა".

ამ დოკუმენტს თუ ღრმად ჩავუკვირდებით, მივხვდებით რა გაქნილ-გაიძვერა კაცის მიერ არის შედგენილი. სამონოვი ვაჟას ისეთ რაღაცეებში სწამებს ცილს, ისეთ რამეებს მიაწერს, ერთი შეხედვით ლამის ჩვენც ცუდ კაცად წარმოვიდგინოთ, აბა, ბაბუშკინი რაღას იზამდა.

ვაჟა-ფშაველა ფშავ-ხევსურეთის სიკეთისათვის აქ რკინიგზის გაყვანას ითხოვდა. და რაკი მის ოცნების ფრთები ესხმოდა, რაკი ამ ოცნებას რეალურ საქმედ მქცევლად მოევლინა სამონოვი, არ შეიძლება ვაჟას ის სიხარულით არ მიეღო როგორც მთიელთათვის სიკეთის მომტანი, არ შეიძლება შინ არ მიეპატიჟა და გულწრფელად არ გაენდო ყველაფერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის უკუღმართი პოლიტიკითა და ილიას მკვლელობით გულგატეხილ ვაჟას არ შეიძლება ეს გულისტკივილიც არ გაეზიარებინა სტუმრისათვის. ეს კი სამონოვს ვაჟას ქვეშქვეშობად, ეშმაკობად მიუჩნევია. ვაჟა და ქვეშქვეშობა? უბრალოდ ჩამქრალი იყო მასში ის შემართება და ბრძოლის ჟინი, რაც 1905 წლის რევოლუციის ხანებში ჰქონდა.

„1905 წლის აპრილში, – წერს წითელრაზმელი ნიკო ტლაშაძე, – მე და ერთი ამხანაგი სოფელ ჭოპორტიდან (დუშეთის ყოფილი მაზრაა) წავედით ფშავ-ხევსურეთისაკენ. პირველად სოფ. თვალივში მივედით. ჩემი თანამგზავრი უკან გავაბრუნე ცხენებით. მშიოდა, დუქანს მივაშურე, რომელიც იქვე გზის პირას იყო. დუქნის ერთ კუთხეში მაგიდას შემოსხდომოდნენ სამნი და ღვინოს შეექცეოდნენ.

მივესალმე. ერთმა მათგანმა აიღო ღვინით სავსე ჭიქა და მიმიპატიჟა. ჭიქა ჩამოვართვი, სამივეს დღეგრძელობა ვუსურვე – ჭიქის მომწოდებელმა ამხედ-დამხედა და მთხოვა მათ სუფრას შევერთებოდი. მეც შევუერთდი. ჭიქის მომწოდებელი ვა-

ჟა-ფშაველა გამოდგა, მეორე – მისი ძმა ბაჩანა, ხოლო მესამე – დუქნის პატრონი შანიძე.

ვაჟას და მის ამფსონებს არ ვიცნობდი. ვაჟას სურათი, რა თქმა უნდა, ნახული მქონდა და ნახვის უმალვე გავიფიქრე, ეს, ალბათ ვაჟა იქნება მეთქი. ამიტომ ძალიან გამეხარდა, როდესაც ერთმანეთს გამოვეცნაურეთ. ვაჟამ მორიდებით მკითხა, საით მივემგზავრებოდი. არ დამიმალია: ფშავ-ხევსურეთში მივალ სააგიტაციოდ-მეთქი. ვაჟამ იჭვნეულად შემომხედა.

– პაროლი?

– თავისუფალი საქართველო!..

ვაჟა და ბაჩანა გადამეხვივნენ და მაკოცეს.

– აბა, ეხლა ვიაროთ, – სთქვა ვაჟამ და ცხენებს მოვასხედით. ვაჟამ უკან შემომისვა. ბაჩანამ კიდე სასროლი ბადე აიღო და არაგვის პირას მაღაროსკარისაკენ გავუყევით, სადაც ბაჩანა მასწავლებლობდა. მივდიოდით. ბაჩანა ნელ-ნელა ბადეს ისვრიდა და კალმახით ავსებდა ფართო კალათს. მე და ვაჟა კი ქვეყნის ამბებზე ვბაასობდით.

მაღაროსკარს რო მივატანეთ, ბაჩანას ბიჭი მოეგება და აცნობა, რომ მგელმა ხბო დაგიგლიჯაო, ბაჩანამ ჩაიღიმა:

– ბიჭოს კარგი საქმე უქნია იმ მგელს: კალმახთან ერთად ამაღამ კარგი სამწვადეებიც გვექნებაო!..

სოფელში შებინდებისას მივედით. ბაჩანა სკოლაში ცხოვრობდა, როგორც მასწავლებელი. ის იყო სავახშმოდ დავსხედით, რომ მთხრობელი მოვიდა და ბაჩანა გარეთ გაიხმეს: შეიქმნა ჩოჩქოლი. ვაჟა შემობრუნდა.

– ცუდადაა საქმე!.. უნდა წავიდეთ... დაგვდევნებიან!..

ვაჟა წინ გამიძღვა. გავიარეთ მდინარე მაღაროულას რიყე და მივედით ერთ დუქანში, რომელიც ეკუთვნოდა ხიწვა თურმანაულსა და გიორგი ანთაურს. დუქნის წინ ორი შეკაზმული ცხენი ება. ვაჟა დუქანში შევიდა და მალე გამობრუნდა ერთი ფშაველის თანხლებით. ფშაველი ერთ ცხენზე შესვა, მე – მეორეზე.

ჩემი თანამგზავრი გამოდგა გიორგი წიწილაშვილი, რომელმაც იმ ღამით ჯერ თავის სახლში მიმიყვანა და მომასვენა; დილით მეზობელ გიორგი ფარხაშვილთან გადამიყვანა, მაგრამ იქაც ამბავი მოვიდა: ბოქაული ოზიაშვილი თავისი ჩაფრებით ახლა აქეთკენ წამოვიდაო!.. ეტყობოდა, რომ გამცეს. მაგრამ

მასპინძლებმა ახლა ისეთის ქაჯეთის გზით გამიყვანეს ხევსურეთისაკენ, რომ იქ ვეღარავინ მომაგნებდა. გადავრჩი... მაგრამ დღესაც სახსოვრად მაქვს ვაჟას ის მზრუნველობა, რომელიც მან გამოიჩინა ბოქაულის გამოდევნების დროს...”

„იმ დროს მთლად თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინით ყოფილა ვაჟა ატაცებული, რასაც ყველგან და ყველაფერში ამჟღავნებდა. თიანეთში... ერთ დღეს ამხანაგის სახლის დერეფანში ვისხედით 8-9 კაცი, ერთი ხელადა ღვინო გვედგა, ვსვამდით და ვსაუბრობდით თუ რით დამთავრდებოდა ეს მოძრაობა. ამ დროს ჩვენთან მოვიდა თედო კალნიცკი, თიანეთში საქონლის ფერშლად იყო, ქართული კარგად იცოდა, რადგან თიანეთში დიდი ხნის მოსული იყო. მან ვაჟას სთხოვა:

– ვაჟა, რუსეთში ერთი ძმა მყავს, ჩემსავით უშვილო, დღეს დეპეშა მივიღე, ვაჟიშვილი შესძენია და ლექსით მილოცვა დამიწერეო. ვაჟამ ხუმრობით უთხრას ამნაირი თხოვნის შესრულებას ხელადიანი მერკა უნდა, რომ შენი ძმისწული ჩვენც ვადღეგრძელოთო. თედო ღვინისთვის გაიქცა, დუქანი იქვე გვერდზე იყო და სანამ ის დაბრუნდებოდა, ვაჟამ მისალოცი დეპეშა გამოაცხო შემდეგი შინაარსისა:

„Поздравдяю с сынком,
держу стакан с винцом,
да растит его бог,
чтоб он был другом народа,
да здравствует свобода!“.

თედომ წაიკითხა ეს მილოცვა და დაუფიქრდა, სახეზე ცოტა დაღონება დაეტყო და გაუბედავად ვაჟას უთხრა: ვაჟავ, ჩემი ძმა ცოტა ხულიგანია, ის წევრია „ჭეშმარიტი რუსი ხალხის კავშირისა” (**„Союз истинно-русских людей“**) და სიტყვა თავისუფლება იმას არ მოეწონება. შენ გენაცვალე, მოდი გადამიკეთეო.

ვაჟამ ეს იწყინა, თავისებურად თვალები დააბრიალა, თედოს შეჰპირდა და ჰკითხა რა ჰქვიან შენს რძალსაო. ვარვარაო, – უპასუხა მან. ვაჟამ ცოტა ზურგი მოგვიბრუნა და ხელდახელ მეორე მილოცვა დასწერა:

„Взорвалась Варвара,
Как в Порт-Артуре мина,
Радила ребенка,
Сукиного сына“

– წადი ახლა, თედო, შენი ძმა ამის მეტის ღირსი არ არისო.

მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა – ეს ბრიყვი ყოფილა, თავისუფლების მგოსანი ვარ და ჩემთან როგორ ჰბედავს, რომ თავისუფლებას ასე იხსენიებსო”. (მ. შამანაური)

ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუცია. ვაჟას, მუდამ საქართველოს განთავისუფლებაზე მეოცნებეს, გაუჩნდა იმედი ოცნების სინამდვილედ ქცევისა. გაუჩნდა იმედი „ფუტურო ბოძებზედ აშენებული ცხოვრებისა” და იმპერიის დანგრევისა. გამოცოცხლდა ვაჟა, მთის არწივი რომ შეისწორებს ფრთებს სამსხვერპლოზე დასაცემად, ისე შეიგრუზა. აქამდე, რასაც კალმით წერდა, ამტკიცებდა, ახლა ხმლით უნდა დაეგვირგვინებინა. გორში სწავლის დროსაც ხომ იმიტომ დაუკავშირდა ხალხოსნებს, პრაქტიკულად უნდოდა რაიმე გაეკეთებინა ქვეყნის ხსნისათვის, მაგრამ იმათ ვერაფერი შეამჩნია საამისო და მალევე ჩამოშორდა. ეხლა კი ძირმომპალი იმპერია, ხიშტებზე დაყრდნობილი ძალა-უფლება ირყეოდა, დღე-დღეზე შეიძლებოდა დაცემულიყო და საქართველოსაც ეშველებოდა. მაგრამ ასეთი ხვთის მოწყალების ციდან ჩამოვარდნას გულზე ხელდაკრეფილი ვერ დაელოდებოდა. საქართველოსაც უნდა წვლილი შეეტანა დამონებულ ხალხთა საერთო ბრძოლაში. სხვებთან ერთად საქართველოს შუბიც უნდა სძგერებოდა საძაგელ გველეშაპს, უნდა მოეშთოთ დამონებულ ხალხებს ის „ვეება გველი, მორთული ჯაგრითა, ბევრისა ცოდვის მოქმედი, პირზე დორბლების დაყრითა, ბევრი ჩაენთქა ტიალსა”... და იმედი გაუჩნდა ვაჟას, რომ სულ მალე თვალითაც კი შეიძლებოდა ეხილა „ლუხუმის შადგომა ლაშარის გორზე”. მ. შამანაური იგონებს: „1905 წელს იაპონიასთან დამარცხებასთან დაკავშირებით რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, რაც მთელ საქართველოსაც მოედო. ყველგან გაფიცვები, მიტინგები, ყველგან რევოლუციური მოძრაობა იყო. ფშავ-ხევსურეთში პირველი გამოსვლები ვაჟამ მოაწყო.

ვაჟა ამბობდა, რომ საქართველოს განთავისუფლება ჩვენ აქედან – მთიდან უნდა დავიწყოთ, ჩვენ უნდა მუჯლუგუნი ვკრათ ბარს, რომელსაც სძინავს... ჩემთან და რამდენიმე მოწინავე ხევსურთან, რომელთაც უსაზღვრო გავლენა ჰქონდათ მთელ ხევსურეთზე, ასეთი საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა: თუ რუსეთში ეს მოძრაობა მეტისმეტად გაძლიერდებოდა, გართულება მოჰყვებოდა, მაშინ ჩვენ უნდა გვესარგებლნა ამ შექმნილი მდგომარეობით და საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოგვეცხადებინა. ხევსურეთიდან წამოვიდოდით ერთი ათასი კარგად შეიარაღებული მეომარი ხახმატის ჯვრის დროშით, ორწყალში დაგვხვდებოდა ამდენივე ფშაველი თამარ დედოფლის დროშით (ეს საომარი დროშები მაშინ მთაში საიდუმლოდ იყო შენახული). აქ ჩვენ ერთმანეთს ფიცით შევეკვროდით, – ან თავისუფალი საქართველო, ან ჩვენი გაწყვეტა, – აქედან პირდაპირ ტფილისისაკენ გავწევდით. ჩვენი ბელადი, ცხადია, თვით ვაჟა უნდა ყოფილიყო...

მოვიწვიეთ მთელი ხევსურეთის კრება, მოწოდება ვაჟამ შეადგინა: დანიშნულ დღეს მოვიდნენ ხევსურეთის შვილები თავითფეხამდე შეიარაღებული, მოგროვდნენ ბარისახოში და დასდეს ფიცი, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ თავისუფლებისათვის. ეს ფიცის ფურცელიც ვაჟამ შეადგინა”.

ვაჟა-ფშაველამ შეადგინა ფშავ-ხევსურეთის დეკლარაცია, რომელშიც აისახა სწორედ ის მოთხოვნები, რასაც ვაჟა ყოველთვის აყენებდა.

„ფშავ-ხევსურთა დეკლარაცია

1. ტყე და დედამიწა წინად როგორც ჩვენ მამა-პაპათ სჭერიათ საკუთრებად, ისევ ჩვენ უნდა გვეჭიროს. ხაზინამ თუმცა ტყეებიც სხვადასხვა ხრიკებით ჩამოგვართვა და ჩვენს საკუთრებაზედ ხელი აგვაღებინა, მაგრამ დღეის შემდეგ ხაზინის მფლობელობა ტყეებზე, აგენტების – დედამიწაზე, მოსპობილია. ლეშნიჩ-ყარაულ-აბეშიკებს ჩვენთან საქმე არა აქვს. არც ტყისა, არც საბალახოს და არც ბოლის ფულისა არაფერი არ უნდა მივსცეთ.

2. უნდა მოვსთხოვოთ, ვინც ჩვენი მეზობელი აბეშიკად ან ყარაულად, ან სტრაჟნიკად არის, დაეთხოვნენ სამსახურს, აი-

ყარონ ნიშნებიც. უკეთუ გამოჩნდება ამის წინააღმდეგი, უნდა გავაძეოთ ჩვენი საზოგადოებიდან, მოუსპოთ ყოველივე სახსარი ცხოვრებისა და თვით სახლ-კარიც ჩამოვყაროთ მთელი საზოგადოების სასარგებლოდ.

3. არ გვინდა რუსის მთავრობისაგან მოცემული სამართალი, რადგან იქ უსამართლობის მეტი ვერა ვნახეთ, არც მისგან დაყენებული მოსამართლეები. ჩვენ უნდა გვქონდეს მედიატორული სამართალი. ყველა სოფელში მომჩივანი და მოპასუხე უნდა გაასამართლოს თავიანთივე მეზობელმა, მხოლოდ საქმე ყრილობამ ხმის უმრავლესობით უნდა გადაწყვიტოს და დამნაშავეს სასჯელი მიუსაჯოს. ამიტომ არავინ ჩვენგანმა არ უნდა იჩივლოს არც სუდში, არც ნაჩალნიკთან, არც ასისთავთან, არც მიროვოი პასრედნიკთან და არც სხვა რუსის მოსამართლესთან.

4. არ მივსცეთ სალდათი – არც ძველი, არც ახალი. ჩვენ ყველამ იარაღის ხმარება ვიცით და, როცა საჭირო იქნება, შეადგინონ მელიცია და გაგზავნონ მტერთან საომრად.

5. ორმოცი წელი იქნება, რაც ჩვენი ხატობების შემოსავალი მიაქვს სინოდალურ კანტორას და ზოგს მღვდლები უქადებენ. ამიერიდან არ მივსცეთ არავის ერთი ბისტი ამ შემოსავლისა, არამედ მოვახმაროდ იმ საქმეს, რომელსაც თვით ერი იტყვის და მოინდომებს, და, რაც უკანონოდ წაღებულია, ისიც უკანვე მოვითხოვოთ.

6. არა ვხდით სავალდებულოდ მღვდელს და დიაკონს მივსცეთ საკომლო, სანათლობლო და სამკვდრო. ვისაც სურს, მისცეს, მხოლოდ ჯვარის საწერს ვამწესებთ შემძლებელზედ ორ მანათსა, ღარიბზედ მანათსა. უნდა ისინი დასჯერდნენ თავიანთ ჯამაგირს.

7. წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ ყველას, ვინც ჩვენ სოფელს თუ ქალაქებში იარაღის ტარებას დაგვიშლის, რადგან ჩვენ ამის გამო ზნეობრივად შეურაცხყოფილნი, დასჯილნი ვართ. იარაღის ჩამოყრა კაცისთვის დედაკაცობის, დედლობის ნიშანია, რასაც ჩვენი გუნება ვერ ითვისებს. იარაღის ტარება ჩვენთვის ისეთივე მოთხოვნილება არის, როგორც სასმელი და საჭმელი.

8. არავითარი სახელმწიფო გადასახადი არ გადავიხადოთ იმ დრომდე, ვიდრე არ გამოირკვევა ყველა ჩვენგანის წლიური შემოსავალი და გონივრული წესები არ დამყარდება მთელ საქართველოში.

9. ჩვენ უცხადებთ ძმობა-ერთობას მთელს საქართველოს ერს, ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურიას, სამეგრელოს და სხვათა ერთა კავკასიისათა, ვისაც ერთმანეთის ძმობა-ერთობა სწყურიანთ.

10. უნდა უსათუოდ შევიძინოთ იარაღი, რადგან შეიძლება ლეკმა და ქისტმა არ გვიძმოს, არ დაგვინდოს. რუსის მთავრობა ჩვენ ვერ გვიპატრონებს, რადგან თავი გაუხდა ჭირად. თუ ჩვენს თავს თვითონ არ უპატრონეთ, იარაღის შეძენა ჩვენთვის მაინც საჭიროა სხვა ერებთან, თუნდა ქისტ-ლეკებთან, პირის გასამტკიცებლად, რადგან ხათრი და მორიდება ექნება ყველას ჩვენი, როცა შეიარაღებულებს გვნახავენ. იარაღი ჩვენ გვინდა არა ხალხის დასაღუპავად, სათარეშოდ, არამედ თავიანთი საკუთრების, ცოლ-შვილის და ჩვენს საერთო პირის დადგენილების დასაცავად, სადაც სიტყვა და თხოვნა არ გაგვივა, თუ მეტი ღონე არ არის, იარაღი უნდა ვიხმაროთ, მხოლოდ ჩვენს მიზანს საწადელს მივაღწიოთ.

11. უკეთუ ჩვენგან ვისმეს ამ ჩვენს კანონიერის მოთხოვნილების გამო მოუნდომა პოლიციამ დატუსაღება ან დაატუსაღოს, უნდა ვისურვოთ, თავი გამოვიდოთ, არ დავაჭერინოთ, თუნდა ამისთვის იარაღის ხმარება და სისხლის ღვრაც დაგვჭირდეს. ერთის კაცის დატუსაღება მთელი ერის დატუსაღებად მივიჩნიოთ. ეს არის, ჩვენის პირის ჩამშლელ პოლიციელთ უნდა ვსდევნიდეთ.

12. ყოველი მოღალატე-გამცემი, საერო საქმის ჩამშლელი, უნდა დავსაჯოთ სიკვდილით, ვინც უნდა იყოს იგი, თუნდა გარეშე პირი და თუნდა ჩვენგანი.

13. ყველას ოჯახი, საკუთრება და სვინდისი ხელშეუხებელი უნდა იყოს.

14. არავის ჩვენს ხეობაზედ ჩვენს ნებადაურთავად ვაჭრობის ნება არა ჰქონდეს.

15. ოც წელს ზევით ყველას ნება აქვს ყრილობაში.

16. მოსალოდნელია, რომ ამ ჩვენის გაფიცვის გამო ჩაგვიყენონ ზეკუცია. მანამ ჩვენსას არ მივიღებთ, არც უნდა შევდრკეთ, არც უნდა გავტყდეთ.

17. ბეგარა, კეთება გზებისა, ხიდებისა ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს – დიდისა და პატარისთვის, რადგან გზა ყველასთვის საჭიროა – მღვდლისათვის, მოვაჭრისათვის. თუ ეს უკანასკნელნი კაცნი არ იმუშავებენ, მაშინ ყველაში ხუთი მანეთი უნდა გადაიხადონ საზოგადოების სასარგებლოდ.

18. ყველას უნდა მიეცეს მიწა დასასახლებლად, ვისაც აკლია, შირაქში ან საქართველოში.

19. რაც რუსეთში ეხლა კომისიები მუშაობენ ჩვენის საქართველოს და მთელი კავკასიის შესახებ, უნდა ჩვენი ამორჩეული კაცები იქმნეს მოწვეული.

20. ქართულ სკოლებში უნდა ქართულად იყოს სწავლება და სოფლის სკოლებთან იყოს სამეურნეო და საკომერციო განყოფილება“.

ხმალს ლესავდა ვაჟა. თავად უკვე წადროვნებული ახალგაზრდებისათვის წინ გაძღოლას ფიქრობდა. თავის მაშინდელ ამბებზე აქვს დაწერილი ლექსი „ბერიკაული”:

„ხმალს ჰლესავს ბერიკაული, დაფიქრებული ძალზედა,
ჰლესავს დიდრონი სალესით, თან ცერს გადუსომს ფხაზედა.
დიდხანს ეკიდა კაჩხაზე, არ გატანილა კარზედა.
შემჭვარტლული აქვს ქარქაში, მტვერი სდებია ტარზედა,
ხმალი ჟანგს შეუჭამია, ვაჰ, დედას მტერთას, რაზედა?
მოსულან ახალ-უხლები, წამოსდგომიან თავზედა:”

... ...

„მტერზე ჩვენ მივალთ, ახლები, შენ დაწევ დაისვენია!”
– ჰმ! თუ წინ ბერი არ მოკვდა, ახლის სიკვდილი ძნელია!”

ხმალს ლესავდა ვაჟა; მართლაც, ნაიალაღარ ხარს დაემსგავსა, რქით მიწის მჩხვერავს. აგულიანებდა, აფიცებდა ფშაველ-ხევსურთ, ომისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, რაზმავდა, მზადყოფნას ავალებდა. უნდოდა სინამდვილედ ექცია „ბახტრიონში” ნათქვამ-ნაფიქრალი, ეწადა ბერ ლუხუმად მოვლენოდა დამონებულ ქვეყანას. თითქოს ახლოვდებოდა „საამური წამი”.

ამ ხანებში დაწერილი მეორე ლექსის „ბაყაყების აჯანყების” მიხედვით ჩანს, რომ როგორც ძნელია ბაყაყთაგან წეროთა დამარცხება, ისევე ძნელი იყო ფშავ-ხევსურთა ორიათასი კაცით

მეფის რუსეთის ჯართან შეჭიდება, მაგრამ ღვთის შეწევნის იმედი ჰქონდათ. ღმერთი შეეწეოდა მათაც ისევე, როგორც ბაყაყებს შეეწია.

ამ ოცნებით ფრთაშესხმული ვაჟა ჩარგალში ვეღარ ჩერდება. მიდი-მოდის მთელ ფშავ-ხევსურეთში. თუკი სადმე რაიმე თავყრილობაა მოსალოდნელი, ხატობა დღეობებია, ისიც იქ არის, უქადაგებს ხალხს, რა უნდა ქნან და როგორ უნდა ქნან. მოუწოდებს ყველას სამშობლოს სახსნელად, ხმლის ასაღებად; აგულიანებს ყველას, „ვისაც გული აქვს და ვინც არ არის მხდალია”.

აფხუშოობაზე მოსულ უამრავ მლოცველს, მგზნებარე სიტყვით მიმართა, სთხოვა, რომ ელოცათ სამშობლოს ხსნისათვის, საქართველოს შველისთვის შემწეობა ეთხოვათ მტერთან ბრძოლაში... თან გულის ამაჩქროლებელი ლექსი მიაყოლა.

უკანაფშაველთ თავყრილობასაც დაესწრო შუაფხოში და იახსრის ოქროს ჯვარზე დააფიცა ხალხი, რომ სამშობლოს დაძახილზე ყველანი საომრად გამოსულიყვნენ.

მაღაროსკარის ეკლესიასთან სადღეობოდ თავმოყრილ ხალხს სიტყვით მიმართა და ხმალზე დააფიცა.

მაგრამ იგვიანებდა საქმე და ვეღარ ითმენდა ვაჟა, მარტო იწყებდა ბრძოლას, როგორც შეეძლო. ვაჟას მეუღლე თამარი გვიდასტურებს: „ლუკამ და მღვდელმა სონღულაშვილმა უკანაფშავსა და მაღაროსკარის თემში ხალხი დააფიცეს ერთობის ერთგულებაზე. ტყისმცველებს და გზირ-ნაცვალ-მამასახლისებს მედლები აჰყარეს. ეს მედლები ლუკამ შინ ხურჯინით მოიტანა და მაგიდაზე დაყარა”.

ვაჟას ბრძოლის გეგმა შედგენილი ჰქონია, მოფიქრებული. არაგვის ვიწროებში, კართანას, აპირებდა ქვის საგორავების მოწყობას დამსჯელი ჯარის ამოსაწყვეტად.

რაკი ამ დიდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეს მოთავეობდა, ლაშარის დღეობაზე უაკანაფშავის თავხევისბერმა მოინდომა თავისი მოვალეობის ვაჟასათვის გადაბარება, „საბჭეო სკამის” დათმობა, რათა უფრო მეტი მხარდაჭერა ჰქონოდა მთიელთაგან, მაგრამ ვაჟამ ხევისბრობაზე უარი თქვა; თავისთვის საკმარისად თავხევისბრის თანადგომა ჩათვალა.

შემზადებულია მთა ქვეყნის საშველად. სამშობლოსათვის

ომს მონატრებული გული უჩქროლავთ. მას შემდეგ, რაც საქართველოს „რკინის კარი შეეხსნა", რაც ბაგრატიონთა გვარი, ერეკლეს სახით, მცხეთას დაიმარხა, აღარ სმენიათ საბრძოლო მოწოდება. რა ხდება ამ დროს ბარში, დედაქალაქში, თბილისში, სადაც თავმოყრილია საქართველოს მთელი მაღალი საზოგადოება, მოწინავე ძალა ქართველი ხალხისა? რას აკეთებენ ისინი, ვისაც პირველ რიგში უნდა ეხელმძღვანელა სამშობლოს ხსნის საქმისათვის?

თბილისში სრული ქაოსია. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი, ისინი, ვინც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ ამდენი ხანი და ახლაც ამასვე ქადაგებენ, ტერორიზებულნი და გალანძღულნი არიან, ვერ აქტიურობენ. აქტიურობენ ახალი მიმდინარეობის პარტიები, ვინც ეროვნულ საკითხს ნაციონალისტობად თვლიან, ხოლო ბრძოლის მიზნად სახავენ ზოგნი „აგრარულ საკითხს", ზოგნი „მუშათა საკითხს", ზოგნიც რასა და რას, ხოლო ყველას ერთად, თავისა ქვეყნის საუბედუროდ, ეროვნული საკითხი, ქვეყნის განთავისუფლების საკითხი, ქვეყნის დაღუპვად და უბედურებად მიუჩნევია. მათ დაუნდობელი ომი გამოუცხადეს თერგდალეულებს ილიას მეთაურობით და მათ მიმდევრებს – ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგს და სხვებს. ილია ერთხანობას მათთან კამათში ჩაება, უნდოდა რაიმე გაეგებინებინა, მიეხვედრებინა, მაგრამ უკადრებელი რომ აკადრეს, თავი გაანება, მიუშვა ნებას, იქნებ თავად მიხვდნენ, გონს მოვიდნენო, მაგრამ ისინი უარესსა და უარესს კადრულობდნენ. ვაჟა და სხვა მისი მსგავსი გულშემატკივარნი ილია ჭავჭავაძისა და სამშობლოსი, ცდილობდნენ გამოქომაგებას, იმ ვიღაცეების გამოფხიზლებას, მაგრამ ამას თვით ილია უშლიდა დიდბუნებოვნად: მართლაც რას დაუმტკიცებდი ერთ სტატიაში იმათ, ვინც ვერ ხედავდა ილიას ბუმბერაზულ პიროვნებას, მის დიდ დამსახურებას ქვეყნის წინაშე. ვაჟამ უფრო ადრე თვით ილიას, აკაკის და მათთა მსგავსთა მოღვაწეთა გამხნევება სცადა:

„რომელი ჭკვათა მყოფელი
უარჰყოფს თქვენსა შრომასა?
მიკვირს, რად უგდებთ თქვენც ყურსა
ერთს-ორს ურწმუნო თომასა"...

უშლიდა ილია, მაგრამ ვერ ითმენდნენ ვერც ვაჟა, ვერც სხვანი, ვისაც ჰყოფნიდა სიმამაცე ხმა აემაღლებინა მათი უმსგავსობის წინააღმდეგ, ვინც ილიას ქვეყნის მოღალატედ ნათლავდა იმის გამო, რომ იგი წოდებათა შორის (გლეხობასა და თავად-აზნაურობას შორის) ურთიერთნდობას, ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემის დამკვიდრებას, მათ ერთ ეროვნულ ძალად შეკვრას და ქვეყნის საერთო მტრის წინააღმდეგ მიმართვას ქადაგებდა. ვინც წინააღმდეგი იყო უაზრო ხოცვა-ჟლეტის, ძმათა მკვლელობის და ამით მტრის წისქვილზე წყლის დასხმისა. ეს ვერ გაეგო ვაჟა-ფშაველას და ამიტომ მათ საყურადღებოდ წერდა: „დავგმოთ ჭავჭავაძე იმისთვის, თუ მას ებრალებოდა თავად-აზნაურობა არა როგორც წოდება, არამედ როგორც ადამიანები? განა შეიძლება? დიაღ, მას ებრალებოდა თავად-აზნაურობა, როგორც დასუსტებული ნაწილი სუსტი, მცირერიცხოვანი თავის ერისა. რა არის აქ დასაძრახისი, რა არის აქ არაადამიანური? მაშ, გავსწყვიტოთ ისინი? ილიაც სწორედ მაგას ამბობდა, ნუ ჰხოცავთ თავადებს და აზნაურებს, რადგან ძმები ხართ?"

1905 წელს ვაჟა იმათ გასაგონად, ვინც იძახდა – ეროვნულ საკითხზე ლაპარაკი ჩამორჩენილობაა, ჩვენ კოსმოპოლიტობას ვაყენებთ მაღლაო, გამოაქვეყნა ხმალივით მოქნეული სტატია:

„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი". „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი /და არა ჩვენებური/ პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას: თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სა-

სარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებო გამოდგება მშობელი ქვეყნისთვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა ტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღწვოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის შვილებად.

ყველა გენიოსი ნაციონალურმა ნიადგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით", ‘„მეფე ლირით", ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმნით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს რად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით" და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? – არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზ-

მისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკულმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათამყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავე წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზრდოდ, ნანა – მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობს, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარეშემო ახვევია, – ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და, ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან, თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია, თავისი სოფლელი, თუნდ უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე, რატომ? იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათას ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერი ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რო-

მელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარეშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არ აქვს, იგი სახსარია იმ უბედურების ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, ილვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავის თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავის თავის პატრონი თვითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარი ძალღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

„ივერია" 1905 წ.

თუ არა, მართლაც, ერის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგებში შემოგზავნილ, მოსყიდულ ჯაშუშებს თუ ჭკუანაღრძობ ავანტიურისტებს, სხვას ვის შეეძლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაცვლად რუსეთის „ლეგალური მარქსისტების" მითითებითა და მიბაძვით „საყოველთაო გაპროლეტარების" თეორია ექადაგათ. ვაჟა მათ წინააღმდეგ

წერდა: „ჩვენში დღეს პროლეტარიატის ხსენებაც არ არის, როგორც რუსეთსა და ევროპაშია, თუმცა თანამგრძნობელნი კი მოიპოვებიან...

თითოეულს ჩვენს გლეხს თავისი ქოხი უდგია, თავისი ოჯახი აქვს მაშინ, როცა რუსეთში „ნახევარი მდაბიო ხალხი, ნიადაგს მოსხლეტილი, უსახლკაროდ წოწიალით გამოდის და თავის შესაფარად სოროებს თურმე სთხრიან".

მენშევიკ-ლიკვიდატორები თავისი შორსგაუხედავი, ბეცი მოქმედებით რუსეთის იმპერიის განმტკიცებას უწყობდნენ ხელს და არა მის დაშლას, ხალხთა განთავისუფლებას, რასაც რევოლუცია ისახავდა მიზნად. ვაჟამ „სადღეისო წერილი მეგობართან" სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა: „მხოლოდ ერთს ნაწილს ქართველებისას არა სწამს, რომ ეს ასეა და ესენი გახლავან „დასელები", რომელნიც ქადაგებენ, სხვა გავაბედნიეროთ, გავაძლიეროთ და ამით ჩვენც ძლიერნი შევიქმნებითო. მოიგონე „დასელების" მოძღვრება დემოკრატიული ცენტრალიზაციისა. გაძლიერებულის რუსეთისაგან ისინი მოელიან წყალობას. აბა, საიდან სადა! ნუთუ ძლიერი მეზობელი არ არის საშიში უძლურისათვის?! ნუთუ ჰგონიათ, რომ ბატონობის მისწრაფება და სურვილი დამონებულ მცირე ერებისა შეუმცირდება გაძლიერებულს რუსეთს? არა და ცხრაჯერ არა... ძლიერ ბატონს უძლური ბატონი სჯობია დამონებულისათვის... ვის არ სწამს, რომ მხოლოდ სრული თვითმართველობა გააბედნიერებს ხალხს, გაჰზრდის მის ენერგიას, გამოიწვევს და ააყვავებს მასში დამალულს ახალს ძალებს? – რომ აპეკუნობა, რაც უნდა კარგი აპეკუნი იყოს იგი, აჩლუნგებს ერის ძალ-ღონეს, თვითცნობიერებას?! (16, 116).

თუ არა ერის მოღალატეებს, სხვას ვის შეეძლო გაეჩაღებინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, ერის თავკაცის, ილიას (და მის თანამოაზრეთა) წინააღმდეგ ასეთი ყოვლად თავაწყვეტილი ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი კამპანია. ისინი დარაზმული იყვნენ გაზ. „კვალის" ირგვლივ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ი. ჭავჭავაძე „რეაქციულ-კონსერვატორული" თავადაზნაურობის მედროშეა, რომელსაც სურს ისტორიის ჩარხი უკუღმა დაატრიალოს, რომელმაც გაათახსირა და დასცა ქართული მწერლობა, ხოლო ქართული საზოგა-

დოებრივი აზროვნების განვითარება შეაფერხა და ათი წლით მაინც უკან დასწიაო.

რა უკუღმა მხედნი, რა ქვემძრომნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ თანამედროვე ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი და რეფორმატორი, საზოგადოებისათვის ენის გამათახსირებლად წარედგინათ; ქართულ აზროვნებაში ახალი ეპოქის შემქმნელისათვის, მამამთავრისათვის საწინააღმდეგო დაებრალებინათ, თეთრი შავად გაესაღებინათ. იქამდე გააღვივეს ილიასადმი სიძულვილი, რომ ჟურნალ „მოგზაურში" ზედიზედ ორ-ორი სამ-სამი ცილისმწამებლური, შეთითხნილი წერილი იბეჭდებოდა: თითქოს ილია საგურამოელ გლეხებს „კაკო ყაჩაღში" გამოყვანილი გულქვა, აჯამი თავადივით ეპყრობოდა, ბეჭდავდნენ სამარცხვინო პამფლეტებს. (3, 143).

ვაჟამ, უპირველეს ყოვლისა, ილიას ეს მდგომარეობა, საქმის ვითარება ასახა ლექსში „გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა":

„მე ნარი ვგლიჯე, ეკალი, სხვამ კი მოიმკო სამკალი:
სხვამ მოხნა ჩემი მამული, დაჩლუნგდა ჩემი ნამგალი...
. . . . . .
ყველასგან გულდაკოდილი რა გზას დავადგე სავალად?
წინ დაბრკოლება ბევრი მაქვს, ნარი, ეკალი მრავალად.
მაშ, შევდრკე? ვწყევლო და დავგმო, რაც მომწონს, რაცა სჯობია?
თქვენ დაჰგმეთ, მე კი არ ძალმიძს, კარგი რა დასაგმობია?!
. . . . . .
თქვენი კანონი თქვენ იცით, ჩემი კანონი ესია!..
ფასს დასდებს ბოლოს ქვეყანა, ვისაც რა დაგვითესია!"

გულსაკლავი ის იყო, რომ ილიას, ერისაგან ერთ დროს კინაღამ გაღმერთებულ კაცს, არავინ ესარჩლებოდა, ისე იყვნენ ტერორიზებულნი და დამფრთხალნი. შიგადაშიგ ვაჟა თუ რაღაცას დაიბუბუნებდა მთიდან, მაგრამ მას დიდ ანგარიშს არავინ უწევდა. გაინაპირეს ილია და იგრძნობოდა, რომ წირვასაც მალე გამოუყვანდნენ. ადრევე, ოთხმოცდაათიან წლებშივე, გრძნობდა ამას ვაჟა, როცა წერდა მოთხრობას „ამოდის, ნათდება!" მგლების დამშეულმა ხროვამ მიიჩნია, რომ მთვარის ამოსვლა

და სინათლე, რაც მათ სოფელზე თავდასხმაში უშლიდა ხელს, ბებერი მგლის – ტოტიას ბრალი იყო. ეცნენ, გაგლიჯეს, შესანსლეს. „მგლებს ცოტა გული დაუმშვიდდათ, მაგრამ კიდევ შიოდათ. შეხედეს ერთმანეთს, შეეშინდა ერთს მეორისა, ალბათ იმიტომ – ახლა მე არ შემჭამონო, შეეშინდათ და გაფრთხნენ. ერთი მეორეს გაურბოდა, ჯაგიანებში ჩხლაკა-ჩხლუკი ისმოდა და თან თოვლის ჭრიალი... მთვარე კი ამოვიდა, ამოცურდა მაღლა, თითქმის შუა ცაზე, ნათლად კაშკაშებდა და იქიდან, როგორც დარაჯი, უფრთხობდა ქვეყანას მტერსა... მგლები კი გარბოდნენ უგზო-უკვლოდ ტყეში და ყველას პირზე ეკერა: „განათდა, განათდა!"

ამით ისიც იწინასწარმეტყველა ვაჟამ, რომ სულ ერთია ილიასადმი დაბრალებული სინათლე მაინც გაანათებდა ქვეყანას, უდარაჯებდა ქვეყანას, მგლების ხროვა კი გადაიკარგებოდა.

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, ილია მოჰკლეს, ჩაქრა იმედის ცეცხლი, პესიმისტურმა განწყობილებამ მოიცვა საზოგადოება. შინაარსი დაჰკარგა ცხოვრებამაც და მწერლობამაც. სიმბოლიზმი გაბატონდა.

ვაჟა კი მაინც იმედს არ კარგავდა და სხვათა გასაგონად აცხადებდა ლექსში „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს".

„კიდევაც ვნახავ, უხვადა, ვარდნი, იანი ჰყვაოდენ,
ნაცარ-მტვრად იყვნენ ქცეულნი, ვინაც გუშინა ზვაობდენ;
შხამის და გესლის მთესველნი მოისპნენ, არარაობდენ,
ჩვენის სიკვდილის მსურველნი, ყორნები, ვაღარ ჩხაოდენ!"

ვაჟას გულგაუტეხლობას და ოპტიმიზმს მოწმობს ცნობილი პოეტის, სანდრო შანშიაშვილის, მოგონება:

„ერთხელ ქოსების სასადილოში ჩვენთან იყვნენ მასწავლებლები, ბანკში მოსამსახურე ინტელიგენტები და კარგად ცნობილი ბელეტრისტი შიო არაგვისპირელი (დედაბრიშვილი).

ლაპარაკი ჩამოვარდა ეროვნულ საკითხზე. ჩვენ შორის იყვნენ ნიჰილისტები, რომლებიც საქართველოს ყოფნა-არყოფნას და მის მომავალს უიმედოდ შესცქეროდნენ. არ სჯეროდათ თუ ოდესმე ქართველი ხალხი ფეხზე წამოდგებოდა.

ჩვენ გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა შიო არაგ-

ვისპირელიც ამ ნიჰილისტებს მიემხრო.

ვაჟამ მაგიდას მუშტი დაჰკრა, მის წინ ლამპა ჩააქრო, რამდენიმე თეფში გატყდა. ვაჟა მაინც განაგრძობდა ათრთოლებული ხმით ლაპარაკს: ვაი, თქვენი იმედის პატრონსო, – თქვა და წამოდგა.

მე და „ნაპოლეონი" ვაჟას გავყევით. ვაჟას ჩოხის ჯიბეებში ჩაეწყო ხელები, მტკვრის ხიდზე მარტოკა წინ მიდიოდა. ისე გაბრაზებული იყო რომ ჩვენც ხმას არ გვცემდა.

ვაჟა ძალიან მენდობოდა და ხშირად ჩემთვის გულის საიდუმლოც გაუზიარებია.

ერთხელ რედაქციაში შემოვიდა, რედაქტორი ინახულა და შემდეგ მითხრა: – მარტო შენ მოდი ქოსების სარდაფშიო.

მეც მივედი ჩვენს „კაფე-სარდაფში". ეს იყო, მგონია, 1908-1909 წლებში. ვხედავ, კუთხეში, მაგიდასთან, ვაჟა ზის მარტო. მიმიწვია. მაგიდაზე ეწყო თონის პური, ხმელი თევზი, მწვანილი და თუშური ყველი.

წითელი საფერავი დამისხა და მითხრა:

– შენ თუმცა ახალგაზრდა ხარ, მაგრამ შენი იმედი მაქვს და მარტო შენ გენდობი!

მე ძალიან დამაფიქრა ასეთმა მომართვამ. ვიცოდი, რომ ვაჟა ისე მეპყრობოდა, როგორც კეთილი მამა თავის პირმშო შვილს, მაგრამ ამ დღეს იგი მელაპარაკებოდა, როგორც წლოვანებით თანასწორს. ვაჟამ დაიწყო ჩვენი წარსული ისტორიით, შეეხო სააკაძეს, ერეკლე მეფეს.

– ეხლა ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ დამონებული ერი, – თქვა ვაჟამ და თვალებში ჩამაცქერდა.

მე მას განცვიფრებული მივაჩერდი. იგი მიმიხვდა, რომ შეკითხვა მინდოდა მიმეცა და განაგრძო:

– როგორ და რანაირად? მოდი, ჩვენ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, შენ მხოლოდ გავალებ, კახეთში შეიგულე ათი სანდო კაცი, რომლებიც საქართველოს თავისუფლებისათვის სიცოცხლეს გასწირავენ. შენ იქნები მათი ათისთავი. ამ მოკლე ხანში ჩვენ ასეთი თავდადებულნი გვეყოლებიან ხუთიათასი კაცი, რაც საკმარისია... ნიშანი იქნება... შენ შენი კაცებით ადგილზე მოხვალ!

ვაჟა-ფშაველა იმ დღეს მართლა მთის არწივს მოგაგონებდათ. მისი აზრი და სიტყვა ჩემს გულში ელვის ნაპერწკლებს ისროდა. მე ვუსმენდი აჯანყების გეგმას, რომელიც მას შეედგინა და რომლის მიხედვითაც ერთ დანიშნულ დღეს საქართველოს ყოველი კუთხიდან მებრძოლი რაზმები თბილისში უნდა შემოსულიყვნენ". (37, 172).

1905 წლის რევოლუციურ აბობოქრებასთან დაკავშირებით თუ საქართველოს დედაქალაქში „იზმებში" და „საკითხებში" აიხლართა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, პროვინციებში, საქართველოს მთასა და ბარში, დასავლეთსა და აღმოსავლეთში ესმოდათ ძალიან მარტივად – სამშობლოს უნდოდა განთავისუფლება მეფის რუსეთის მონობისაგან. ღელავდა პროვინციებში შემორჩენილი ქართული სული, მაგრამ ეს ყველაფერი დაქსაქსულად იყო და მთავრობა იოლად უმკლავდებოდა, მოთავეებს კი ჟანდარმერია აპატიმრებდა და ციმბირისაკენ ერეკებოდა. ქართლში ერთი ასეთი მოთავე იყო ვაჟას ღირსეული ძმა თედო. მან იცოდა თავისი უფროსი ძმის საქმიანობა მთაში და ბარიდან ცდილობდა მხრის აბმას. ამის გამო თედო დააპატიმრეს და ციმბირისაკენ გაამგზავრეს სამუდამო პატიმრობაში. ზედაც მანიფესტმა მოუსწრო და თედო გაათავისუფლეს. მაგრამ სანამ გაათავისუფლებდნენ, ვაჟამ არც აქ დაიხია უკან და ბარში დატრიალებული ამბების წინააღმდეგაც ისევ მან აიმაღლა ხმა - 1905 წელს „ივერიაში" გამოაქვეყნა წერილი „შავბნელი ამბები". „შავბნელი" უწოდა მეფის მთავრობის მოქმედებას, სიმართლეს ამბობდა და არ ეშინოდა, არ ეშინოდა არც გაზეთს: „ქართლში ძალიან გახშირებულია „პოლიტიკურ" დამნაშავეთა შეპყრობა... ვიზედაც ცოტა რამე ეჭვია, ყველას მიერეკებიან, არც ძევა, არც კვლევა... მე თვითონ ვიცი ერთი ამისთანა მაგალითი: ერთი სოფლის მასწავლებელი გახდა მსხვერპლი სწორედ ამისთანა სულმდაბლობისა და უმსგავსობისა. ამ მასწავლებელმა გაკიცხა გაზეთში მემამულენი, იმათი ყოფა-ქცევა. უკანასკნელთ შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი და საცა ჯერ იყო, გაჭიმეს კარგი გრძელი და მსუქანი „დანოსი", რომელსაც მათთვის სასიამოვნო შედეგი მოჰყვა"...

ამდენმა აქეთ-იქეთ წყვეტებამ თითქოს უქმად ჩაუარა ვაჟას, მაგრამ მაინც იმედიანად იყო, ყველაფერს ამას დროებით

მოვლენად თვლიდა. 1906 წელს გამოაქვეყნა წერილები „დიდმარხვის" სახელწოდებით, სადაც ეროვნულ ძალთა ჩაყუჩება სიმბოლურად დიდმარხვას შეადარა: „ამისთანა დიდმარხვა საქართველოს დიდი ხანია არა სწვევიაო".

ვაჟა ამ წერილებში ღრმად, გასაოცარი სიზუსტით აანალიზებს რევოლუციის, ეროვნულ ძალთა დამარცხების მიზეზებს და იმედს გამოთქვამს, რომ შემდგომში მაინც მიხვდებიან თავის შეცდომებს ისინი, ვისი უგნური მოქმედებითაც ჩაიშალა ერის ხსნის საქმე. „ყველა ხილულმა და უხილავმა შავმა ძალამ, როგორც სითბოს სუნზე გველებმა, თავები წამოყაყვა, იცქირება ამაყად, მამაცად. როცა ჰხედავდნენ, საქვეყნო აზრი იმარჯვებსო, ერთობის ადამიანებად ასაღებდნენ თავიანთ თავს და დღეს კი, როცა დარწმუნდნენ, მოწინააღმდეგეთა ფიქრმა და ძალამ გაიმარჯვა, ერთობასაც სწყევლიან და ერთობის მიმდევართაც. დღეს ისინი ჭკვიანობენ, კრიტიკოსობენ, მჭერმეტყველებენ, – ეს ასე უნდა ყოფილიყო, ეს ასეო და ამასობაში თავიანთ პირად საქმეებს სჩარხავენ; როგორც დღეს არიან უსარგებლონი, ისე გუშინ იყვნენ და ამას კი აღარ ვარაუდობენ, არა სთვლიან თავიანთ სირცხვილად, რომ კეთილი საქმე იმათ წყალობით იღუპება, ფუჭდება, არ არსებობს მათთვის სინანული, არც სიბრალული და მოთმინება. რად მოითმენენ, როცა ძალა მათ ხელში არის, – ქარი უქრისთ? რას შეინანებენ, როცა, თუნდ მშობელ დედას ძუძუ მოაჭრან, რაც უნდა სხვა საძაგლობა ჩაიდინონ, იმათ პირის კანს სიწითლე არ მიეკარება?! დღეს ერთობას ნიშნს უგებენ, ჩუმად ხითხითებენ, ეშმაკებს აცინებენ, ხოლო ანგელოზებს ატირებენ. აი მათი კაცობა, მოქალაქეობა და მამულიშვილობა... შეინანეთ ის შეცოდებანი, რამაც ხელი შეგიშალათ და ეცადეთ მომავალში აიცდინოთ თავიდან. დაჰგმეთ ის პარტიული თავმოყვარეობა, წვრილფეხობა, მჩატე პატივმოყვარეობა, რომელმაც შეუშალა ხელი ჩვენს ერთობას ერის მისწრაფებას"... (15, 259).

ვერ უშველა ვერც ვაჟას მოწოდებამ და ჩაგონებამ, ვერც სხვა რამემ. ერთხელ და ერთხელ ნაღრძობ ტვინს სასიკეთო არაფერი ეკარებოდა. შეატყო ვაჟამ მაშინვე, რომ ისინი „მშობელ დედას ძუძუს მოაჭრიდნენ". მათ მართლაც ცოფითა და შხამით გონება არეულებმა, თავისი უსუსურობითა და გონებრივი სიჩლუნგით გაბოროტებულებმა, აზრთან უაზრობას რაკიღა ვერ გაამარჯვებინეს, უკიდურეს არაადამიანურ სისაძაგლეს მიმართეს და თვით ამ მაღალი აზრის მფლობელი – ილია მოკლეს! ეგონათ ამით აზრსაც მოკლავდნენ, მაგრამ მოტყუვდნენ მოკლეჭკუისანი – ის აზრი უკვე მთელი ქართველი ერის აზრი გახდა და მისი მოკვლა შეუძლებელი იყო, მაშინ მთელი ერი უნდა მოეკლათ.

მოკლეს დიდი ილია ნაძირალებმა! ტყვია დაახალეს მის მაღალი აზრებით გასხივოსნებულ ნათელ შუბლს.

ამ საზარელმა ამბავმა შეძრა არა მარტო მთელი საქართველო, არამედ მთელი რუსეთის იმპერიაც კი, ვისაც თავის რჩეულ შვილთა მკვლელობა არც უჭირდა და არც უკვირდა. ეს საზარელი ამბავი განსაკუთრებით მწარედ განიცადა ვაჟა-ფშაველამ. იმ დროს ის ხატობაში იყო, ილიას მოკვლის მაცნე რომ ავიდა ჩარგალში. უცნობი კაცი ვაჟასთან იყო გამოგზავნილი და ამიტომ დაუყოვნებლივ უნდოდა მისი ნახვა. თამარმა ბალღი გააყოლა ხატისაკენ გზის სასწავლებლად. მივიდნენ და მაცნემ საერთო მისალმების შემდეგ ვაჟას მიმართა:

– ცუდი ამბის მაცნე ვარ, როგორ გითხრათ, არ ვიცი, ენის მოტრიალება მიჭირს, მაგრამ ჭირი თავს არ მალავს... ილია მოგვიკლეს წიწამურთან ყაჩაღებმა.

ვაჟა ჯერ გაირინდა, მერე თავში ხელი შემოიკრა და ატირდა:

– ვინ მოკლა, ვინ მოკლა ვინ გაბედა ხელის აღმართვა ჩვენი ერის დედაბოძის წასაქცევად? ვაი ჩვენს უბედურებას, ვაი სირცხვილო! – და აქვითინებული პირქვე დაემხო (40, 37).

ილიას მკვლელობის ფაქტში ვაჟა-ფშაველამ ჩვენი ერის უბედურება დაინახა, დაინახა უფრო მეტი საშინელება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა, დაინახა ის, რისი მოკვლის განზრახვაც ჰქონდათ ილიას მკვლელებს და იმიტომ დაასათაურა თავის წერილი ასე – „ვერ მოჰკლეს!" ის მაშინვე მიხვდა, ვისი ნამოქმედარიც იყო ეს ბოროტება, იცოდა მათი ვინაობა, ამიტომაც მისცა ზუსტი შეფასება თვით მათაც და მათ ნამოქმედარსაც. გაზეთ „ისარში" 1907 წლის 6 სექტემბერს გამოქვეყნდა ვაჟას ცხელ გულზე დაწერილი სტატია.

„ვერ მოჰკლეს!”

„ილია რო მოჰკლეს!” – მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწუხარე და თან გაკვირვების კილოთი.

თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა აღმიძრა: ვინ მოჰკლავდა, ნეტავ, ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანების მოკვლა? ნუთუ ქართველმა შეახო ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავის ერისათვის მოჭირნახულე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შეჰშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთადერთი ბურჯი ჩვენი ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით? ათასი ამისთანა კითხვა დამებადა თავში და დღესაც კი, დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება, არ ვიცი მიზეზი ილიას სიკვდილისა. ვიცით მე და თქვენ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტი, რომ მოგვიკლეს საუკეთესო, პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე დიდი მოამაგე ქართველი ერისა. რომელი ერთი ჩამოვთვალო ილიას ღვაწლთაგან? ეს ყველამ კარგად უწყის. საშინელი, მეტისმეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და არც მოხდება! მხოლოდ საწყალს, უბადრუკს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა... რევოლუციის სახელით, საბრალო, საწყალო რევოლუციავ ჩვენს ხელში.

საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა, საშინელი აზრის პატრონნი უნდა იყვნენ მკვლელობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ.

აბა კარგად ჩაუკვირდით საქმეს, თუ ასე არ არის, დიაღ, ასეა და ეს არის კიდეც უბედურება, დიდი უბედურება, ჩვენს თავზე მოვლენილი. უგნურთ ნუთუ არ იციან, რომ საუკეთესო ადამიანების ხოცვა, კვლა, მოკვლაა მთელი ქვეყნისა, სოფელი ვინ და ერთი კაციო. ნუთუ იქამდის დავკნინდით, დავკარგეთ ადამიანობა, ნამუსი, დავიბრმავეთ გონება, რომ ამისთანა აზრები ღორძინდება საქართველოში? ნუთუ ვისმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, რომ ილიების ხოცვით მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიათ ემსახურონ და არა უძლურთ, უნიჭოთ,

უვიცთ საზოგადოების ნაძირალებს: ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ვკლავთ, როგორც ავაზაკებს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!

რა ვთქვათ მკვლელებზე, ამ საცოდავს მეოცე საუკუნის ჰეროსტრატებზე? რა ადამიანები უნდა იყვნენ ილიას მკვლელები? როგორ მოვიხსენიოთ ისინი? როგორ მოვექცეთ ამ უბადრუკებს? ნუთუ ისე, როგორც გვირჩევს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთადმი – ცეცხლი და მახვილი მკვლელებსაო. ესღა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კიდევ სხვა ბარბაროსობა დაურთოდ ზედ. დავერივნეთ ერთმანეთს, ვხოცოთ ვჟლიტოთ ერთმა მეორენი და გავახაროთ ისედაც ჩვენი უბადრუკობით გალაღებული მტერი? ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა გვაშოროს ამისთანა საქციელი...

ნაღვლით და ბოღმით აღსავსე მე ასე ვსჯი, რომ ილიას მკვლელნი შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთაყვანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათახსირებულნი და ბრმანი უნდა იყვნენ, სატირალნი და სავალალონი ჩვენი ქართველებისაგან.

სხვა რა ვთქვათ? სხვა რა ვიფიქროთ? სისხლი სისხლისათვის? ცოდვა მივუმატოთ ცოდვას? სირცხვილს – სირცხვილი? განა იმათ ადამიანობისა ერთი ბეწო ნიშანწყალი რომ ჰქონოდეთ, იზამდნენ ამას? მოჰკლავდნენ ამისთანა ადამიანს, რაც უნდა მისგან ნაწყენნიც იყვნენ? არა. არ არიან ისინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად, და პირუტყვებზედ როგორ ვიძიოთ შური, ისე, როგორც ადამიანზე, ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა?!

მოჰკლეს ილია!... მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია, ვიდრე საქართველო იქნება. დიაღ, ვერ მოჰკლეს, რადგან თუ რამდენიმე, თითებზე დასათვლელი ადამიანი ხარობს ილიას სიკვდილით, ასი ათასი მისტირის ამ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს და რამდენიც ხანი გაივლის, მით უფრო, დაკლების მაგივრად, გრძნობა სიბრალულისა და სიყვარულისა მოიმატებს ერის გულში.

„საწყალი ილია, საწყალი ილია!” მესმის გულსაკლავად

წარმოთქმული აქეთ-იქიდან სიტყვები მამათა და დედათა მიერ. საწყალი ილია? არ არის ილია საწყალი, ვინაიდან მან აასრულა თავის მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა. იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივს სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი, დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გაუმასპინძლდით, წყლულები ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამა-პაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს და არ აფიქრებინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო იმედო, ჩვენო საყვარელო ილიავ!"

ვაჟამ ილიას ცხედართან დიდი გულისტკივილით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა და ფიციც დადო, რომ მის მიერ აფრიალებული დროშის ქვეშ იდგებოდა სიკვდილამდე და მის ნანდერძევ საქმეს არ უღალატებდა – არ უღალატებდა ერს და ხალხს. ყოველივე ამის გამო იმავე ნაძირალებმა ვაჟასაც მწარედ გადაუხადეს. მართალია თვითონ ვერ მოჰკლეს, თუ არ მოჰკლეს, რადგან თბილისში არ იყო და დიდ ძალასაც არ წარმოადგენდა საზოგადოებრივი ჭიდილის თვალსაზრისითაც, მაგრამ შემდეგში ძმაც (თედო) მოუკლეს და შვილიც (ლევანი) დაუხვრიტეს.

ვაჟას ფიზიკურად არ კლავდნენ, მაგრამ გულის მოკვლას ყველანაირად ცდილობდნენ. არ უშვებდნენ შემთხვევას ვაჟას გალანძღვისას, ტყუილს თუ მართალს ყველაფერს საჯაროდ გაჰკიოდნენ. „ივერია" აგრძელებდა ვაჟას ლანძღვას. ანკი ვაჟას რას დაინდობდა, როცა თვით ილია ჭავჭავაძის სალანძღავ, ცილისმწამებლურ წერილებს ბეჭდავდნენ. 1903 წელს „ივერიამ" გამოაქვეყნა ასეთი სიმართლესმოკლებული ფაქტი: „ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ თიანეთში 30 მაისს განიხილა საქმე ლუკა რაზიკაშვილისა, რომელსაც ბრალდება, რომ ტყისმცველისათვის სიტყვით და საქმით შეურაცხყოფა მიუყენებია... სასამართლომ არ შეიწყნარა თხოვნა და განაჩენი გამოაცხადა, რომლის ძალით ლუკა რაზიკაშვილი დაპატიმრებული უნდა იქნას ორის თვით"... (51, 44).

ხედავდა ვაჟა, როგორ ექცეოდნენ საქართველოში თავის საუკეთესო შვილებს, როგორ ექცეოდნენ თვით მას, იცოდა ისტორიულ წარსულში რამდენი საუკეთესო მამულიშვილი გასწირეს და გულჩათუთქულმა მორიდებულად შეჰკადრა საყვედური სამშობლოს, ამოთქვა თავის მწარე საგონებელი:

„თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
შვილის სიკეთე მშობელს შეშურდეს
ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?
ცრემლები მახრჩობს, ვეღარას ვამბობ,
კარგის დაღუპვა რად გვენატრება,
ჩვენის შვილისა, ჩვენივე ძმისა?!
ვეღარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება,
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სოცოცხლევ,
არ გეკადრება, არ გეკადრება!"
(„გიორგი სააკაძის სურათზე")

ყაზბეგი, ეგნატე ნინოშვილი შიმშილით დახოცეს, ილია ტყვიით მოკლეს... აბა, რა მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდა ვაჟას ასეთი საზოგადოებისაგან. ვინ შეიწუხებდა თავს მისი მძიმე ცხოვრების შემსუბუქებისათვის. საზოგადოების რა თანაგრძნობის იმედი უნდა ჰქონოდა „გამეცნიერებულ გლეხს", როცა იმერეთის ბრწყინვალე თავადს, საქართველოს უგვირგვინო მეფედ წოდებულ აკაკი წერეთელს, ვისაც თითქოს ზღვა სიყვარული შეაფრქვია ერმა, სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული საზოგადოების უგულობისაგან. ის, რასაც დახმარების ხელი ჰქვია, აკაკისათვის არავის გაუწვდია არასოდეს. პირიქით, თავისი აღმოჩენილი მარგანეცის საბადოების შემოსავალსაც ყოველმხრივ ჩამოაცილეს, მის ნაამაგარს გამწარებული სიხარბით ჩააფრინდნენ ისინი, ვინც მანამდე სასაცილოდ იგდებდა. „შემაძრწუნებელია იმის გაგება, რომ თანაგრძნობა მას თურმე საერთოდ სანატრელი ჰქონია".. (50, 147).

დაწუნებული ენა

გასაოცარი ის არის, რა ორგანიზებულია ხშირად ბოროტი ძალა და როგორ საცოდავად იქსაქსებიან სიკეთისათვის მებრძოლნი. ყაზბეგს ფუნთუშის საყიდელი ფულიც კი არა ჰქონდა ხანდახან და მშიერი წერდა შინიდან გამოუსვლელად; ეგნატე ნინოშვილსაც სამადლოდ აჭმევდნენ. ამ დროს კი ათასობით უღირსნი, ქვეყნისა და ხალხის მძარცველი არარაობანი, ფუფუნებაში ცხოვრობდნენ. მოწინავე ინტელიგენცია, იმის მაგივრად, რომ ხმა ამოეღოთ ასეთ ფაქტებზე, გვერდში ამოსდგომოდნენ ერთმანეთს, ხშირად პირიქით, მტრების გულის გასახარად ერთურთსაც კი ექიშპებოდნენ. ჯერ იყო და ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა ვერ დაიცვეს ვაჟა ვიგინდარა-ნაძირალებისაგან. ახლა აკაკი უწუნებდა ენას.

ვაჟა ხალხური საზომით წერდა, რვამარცვლიანი შაირით – ისე მღეროდა, როგორც ემღერებოდა. ამიტომ ხალხურ მელექსედ, კუთხურ, კარჩაკეტილ, ფშაველ პოეტად თვლიდნენ. იმისი გაგება და დანახვა კი არ უნდოდათ, ვაჟას ლექსი აზროვნებით, სახეებით და თვით გარეგნული ფორმითაც რა მაღალი საფეხური იყო ხალხურთან შედარებით. შეუძლებელი იყო ლიტერატურაში ჩახედულ კაცს ერთმანეთში აერია ვაჟასი და ხალხური ლექსი. ისინი კი, გაპუდრულ-გაევროპელებული ხელისმომწერნი, „მაღალი გემოვნების" მქონე ქართველნი, ანონიმურ წერილებს სწერდნენ რედაქციას, რომ „შეეწყვიტათ ვაჟას ლექსების ბეჭდვა და მათი გაზეთების ავტორიტეტი აეწიათ".

ვაჟას გაგებას ხელს უშლიდა ჯერ კიდევ ყურს მიუჩვეველი, საზოგადოებისათვის უცხო ფშაური დიალექტი, რომლის გარეშეც დღეს წარმოუდგენელია ვაჟას პოეზია. ეს დიალექტი აძლევს სწორედ იმ თავისებურსა და განუმეორებელ პოეტურ ელფერს მის პოემებსა და ლექსებს.

ვაჟა ფშაურ ფორმებს, ფშაურ სიტყვებს რომ იყენებდა პოეზიაში, მისი პოეზია ითხოვდა ამას, თორემ პროზა სანიმუშო სალიტერატურო ქართულით არის დაწერილი. მას დიალექტზე წერა აძლევდა იმის საშუალებასაც, რომ უამრავი ქართული სიტყვა გამოეტანა სამზეოზე. თუ სხვა მწერალთა ლექსიკა საშუალოდ ხუთი ათასის ფარგლებში ტრიალებს, ვაჟასთან თხუთმეტი ათასს აღემატება. ასეთ დიდ მისიას ვაჟას შემოქმედებას მაშინ ვინ დააკისრებდა. პირიქით, იმას უკიჟინებდნენ, ენას ანაგვიანებო. ამ, თითქმის საერთო აზრის გამომხატველი იყო პ. მირიანაშვილის წერილი „საერო ენა და სათემო კილო", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში" 1888 წელს. წერილი მიმოხილვითი ხასიათისა იყო, სადაც ვაჟა-ფშაველას ენასაც შეეხო: „... დღეს ჩვენ მწერლობაში რამდენიც მწერალია, იმდენი ენაა, ესე იგი რა თემისაც არიან, იმ თემის ენით სწერენ და ზოგიერთი ხომ თავის სოფლის ენასაც ხმარობს. ამგვარად ენა მეტად აჭრელდა და ქიზიყურის პროზის და ფშაურის პოეზიის მოვლინებამ ხომ მთლად არია ენის ტაძარი, ჰლამის დაჰბადოს მწვალებლობა, მეტად საზარი. აქ ერთი რამ ავიწყდებათ ჩვენს მწერლებს. ან არ სცოდნიათ სხვა ქვეყანათ ლიტერატურა და ენის განვითარების ისტორია, ანდა იმის ცოდნა ჩვენს ენის ნიადაგზე ვერ გამოუყენებიათ და თითქოს ხამნი იყვნენ, ისე იქცევიან. მთავარ მწერლობის გრამატიკებრი კანონმდებლობა ყოველ მწერალთათვის სავალდებულო უნდა იყოს, ყოველის მწერლის კალამი ერთნაირად უნდა აკანკლედებდეს, ან აუღვლილებდეს სიტყვას...

უცილოა, რომ ფშაურს პოეზიას, ისე, როგორც სხვა ქართველთა პოეზიას, თავის საკუთარი ჩინებული მხარე აქვს და სამწუხაროდ კი იქაურს მწერლებს ვერ შეუგნიათ, თუ რა სახით უნდა შეიტანონ საერო მწერლობაში თავიანთის თემის პოეზიის საკუთარი მარგალიტები, სიტყვის საქცევი ფიგურებრ თქმულება, ჰიპერბოლები, შედარებანი, ანდაზები თუ აფორიზმები. აი, რა არის განმასხვავებელი. აი ამათის შემოტანით გამდიდრდება საერო მწერლობა...

რამდენად ბატონი მაჩხანელის ქიზიყურმა პროზამ ბევრი მეტ-ბარგად ჩასარიცხი სიტყვები შემოსძღვნა ქართულ საერო პროზას, იმდენად ბ-ნმა ვაჟა-ფშაველას ფშაურმა პოეზიამ დღევანდელს ქართულთან შედარებით უკან ჩამორჩენილი გრამატიკებრი ფორმები შემოიტანა და ამასთანავე ზოგიერთი მეტხორცი სიტყვებიც.

ჩვენი მწერლობა მოვალეა, რომ სამწერლო ხელოვნება უმნიშვნელო და მეტხორცის პროვინციალიზმით არ გაახორკლიანოს გასუფთავების მაგიერ".

საბოლოო ჯამში, არა, მაგრამ რაღაცა კუთხით მირიანაშვილი მართალი იყო. მას შემდეგ, რაც „თერგდალეულების" და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით უპირატესობა მიეცა ხალხის მეტყველებას არსებულ სალიტერატურო ენასთან შედარებით, ფაქტიურად, მართლაც, აირია ენის მონასტერი. ანტონ პირველის ნაღვაწი არც ისე უაზრობა იყო, როგორც მას ხელოვნურსა და ღვარჭნილს უწოდებენ ჩვენს ენათმეცნიერულ გამოკვლევებში და როგორც ამას სკოლის სახელმძღვანელოებიდან გვასწავლიან. ვითომ რა ასეთი ხალხისთვის გაუგებარია ალექსანდრე ჭავჭავძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების ენა. ისინი ხომ იმ მაღალი სტილით წერდნენ, რომელიც ანტონმა მწერლობის ენად გამოაცხადა. მან, დიდმა სწავლულმა, მიზნად დაისახა XVIII საუკუნის ნახევრისათვის სპარსულისაგან შერყვნილი ენა თავანკარა, ძველი ქართულით გამოეცოცხლებინა. ამ ენის უარყოფამ კი გზა გაუხსნა კუთხურ დიალექტებზე წერას, რადგან ხალხი სწორედ დიალექტებზე მეტყველებდა. მართალია, ილია შორსმჭვრეტელურად ხედავდა მომავალში იმ ენის ჩამოყალიბებას, რომელიც დღეს გვაქვს, მაგრამ იმ ეტაპზე, მძიმე სურათი შეიქმნა. სწორედ ამ არევ-დარეულობას გულისხმობდა გრიგოლ ორბელიანიც, როდესაც შვილებს ენის წახდენას საყვედურობდა:

„აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სრულ წგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი, მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!..
ერის ცხოვრება,
მისი დიდება
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!.."

იმევე სასკოლო სახელმძღვანელოში სწერია: გრ. ორბელიანი ცდებოდა, როცა შვილებს ენის წახდენას საყვედურობდაო. არა. ორბელიანი არ ცდებოდა. გაბრაზებულმა მიახალა ის სათქმელი, რასაც რეალური ვითარება ჰკარნახობდა. შორს გამიზნულად კი თვით გრ. ორბელიანიც კარგად გრძნობდა „შვილების" სიმართლეს. ამიტომ იყო თავიდანვე რომ არ ჩასდგომია „მამებს" სათავეში და მათ წინააღმდეგ „შვილებს" ხელსაც კი უწყობდა. ილიასეული გზის სისწორეს კარგად გრძნობდა ვაჟა-ფშაველაც. ის სალიტერატურო ქართულის უცოდინრობით კი არა, სრულიად შეგნებულად, იმ დიდი მიზნისათვის ხელის შეწყობის სურვილით აკეთებდა იმას, რასაც საყვედურობდნენ. პ. მირიანაშვილის საპასუხოდ „ივერიაში" გამოქვეყნებულ „მცირე შენიშვნებში" ვაჟა წერდა: „ბა-ნს მირიანაშვილს ეპატიებოდა სხვების გაფრთხილება ქართული ენის „გარყვნა-გახორკლიანების" გამო, რომ თვითონ მცოდნე იყოს ენისა... ნაკლულევანებად იმისი მიჩნევა, რაც გამოსადეგია, ცოდვა უნდა იყოს. ვინ არის ისეთი გაუგებარი, რომ საერთო სალიტერატურო ენის საჭიროება არ ესმოდეს, მწერლობდეს კი და ენის გაუკეთესებასა და „გაწმენდაზედ" არ ჰფიქრობდეს?! ახლანდელი სალიტერატურო ენა ახალია და სიახლის გამო ბევრს ფორმებს, ბევრს სიტყვებს მოკლებული არის. ყველა ეს ფორმები და სიტყვები ხალხშია დამარხული, ხალხი, ერი დედაა ენისა. იგი ჰბადებს და ზრდის ენას, როგორც დედა შვილს. ყოველი ეთნოგრაფი და საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა, ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულ ენას, თუ იგი სიტყვა და ფორმა შეეფერება ენის ხასიათს, იმის ბუნებას. თუ ენა იშვილებს იმ ფორმას, იმ სიტყვას, ხომ კარგი, თუ არა და, არც არაფერი იმით წახდება...

ფშავლებს უფრო მეტი საშუალება ჰქონიათ ქართული ენა დაეცვათ წმინდად, შეუბღალავად... ფშაურის საუბრის კილო და გრამატიკული ფორმები, როგორც ნამდვილი ძველი ქართული, სრულიად გვანან ძველის მწერლების ნაწერებისას...

ხმარება იმგვარის სიტყვებისა, რომელნიც არ იხმარებიან ბარად, ან ლიტერატურაში და, ვსთქვათ, მოიპოვება ფშავში, ნუთუ „გახორკლიანება" იქნება ენისა? „ივერიაში", მაგალითად, ერთხელ შევხვდი რუსულ სიტყვას, ქართულად ხმარებულს,

ქართულის კარგად მცოდნესაგან. ეს სიტყვა გახლავთ „სმარო-დინა", რომელსაც ფშავლები „მოცხარს" ანუ „ხუნწს" ეძახიან. ქართველმა ეს სიტყვა იხმარა რუსულად იმიტომ, რომ ბარად თვით საგანი არ არსებობს და შეიძლება იმის სახელიც არ არ-სებობდეს. რამდენი სხვა სიტყვა მოიპოვება ქართული ფშავში, რომ ბარელმა ქართველმა არ იცის". (15, 62).

ვაჟა ამ წერილში და კიდევ სხვა წერილებშიც ენის საკით-ხებზე მსჯელობს ღრმად მოაზროვნე ენათმეცნიერის გაქანე-ბითა და დაკვირვებით.

მსოფლიო მასშტაბის, ბუმბერაზი ენათმეცნიერი ნიკო მარი, ვინც ვაჟა-ფშაველას „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალურობის საკითხთან დაკავშირებით (იხ. მისი „ფიქრები" „ვეფხისტყაოს-ნის" შესახებ") კარგა გვარიანად შემოელანძღა, ვაჟას ენას და თვით ვაჟას შემოქმედებას უმაღლეს შეფასებას აძლევდა. ასე იქცევიან მოაზროვნე და დიდბუნებოვანი ადამიანები. (პროფ. იოსებ მეგრელიძის სტატიიდან „ნიკო მარი ვაჟა-ფშაველას შეს-ახებ", წიგნი „ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, 1861-1961"): „ვაჟას ენა ცალკე კურსად უნდა იკითხებოდეს, ქართული მეტყველების კულტურის ინ-სტიტუტი რომ არსებობდეს. რუსთველის, საბა ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის შემდეგ ვაჟას ყველა სხვა ქართველ მწერ-ალზე უფრო მახვილი ენობრივი ალღო აქვს...

...ვაჟას პროზის ენა მისი შინაგანი დიდი ენობრივი კულტურ-ისა და ინტუიციის მაჩვენებელია. მას გააზრებული აქვს ყოველი ნაწილაკი, სიტყვა, ფრაზა. მის ნაწერებში არც ერთი ბგერა არაა შემთხვევითი, იგი შემთხვევით არ სარგებლობს არც ერთი სი-ტყვით...

...იგი ენაშიც არ არის კონკრეტულად ფშაური კილოს განმ-მეორებელი, აქაც შემოქმედია...

...ამ პოეტს თუნდაც მხოლოდ პოემა „გველის მჭამელი" რომ დაეწერა და მეტი არაფერი, მაინც პირველხარისხოვან პოეტთა შორის მოექცეოდა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში".

ყოველივე ამის შემდეგ, თუ ჩვენ ჩავუკვირდებით ვაჟას პო-ეზიას, აღმოვაჩენთ, რომ მის ლექსებსა თუ პოემებში არაფერია უცხო და მიუღებელი სალიტერატურო ქართულისათვის, ქარ-თული ენის ღრმად მცოდნეთათვის. ჩვენმა მეცნიერებმა – აკა-

კი შანიძემ, შოთა ძიძიგურმა, ალექსანდრე ღლონტმა და სხვებ-მა – ვაჟას ენის შესწავლისას ნათელჰყვეს მეტად საინტერესო ფაქტი: ვაჟას ქართული ფშაური დიალექტი კი არა, ძველი ქარ-თული სალიტერატურო ენა ყოფილა. ამიტომ შეცდომა და გა-უგებრობა იყო მისთვის კუთხურობისა და პროვინციალიზმის იარლიყის მიწებება. ვაჟა აქ ფშაურის ეფექტს ქმნის რამდენიმე ფორმისა თუ სიტყვის ხმარებით.

ამასვე ნათელჰყოფს ორი დიდი ქართველის ნააზრევიც; გრ. რობაქიძე წერს: „1917 წელს პავლე ინგოროყვამ თქვა ერთხელ ჩემთან გასაუბრებისას: ფშავ-ხევსურული არქაული ქართულია და არა პროვინციალიზმიო. მე დავაზუსტებდი: ერთი ნაშთი ძვე-ლისძველი ქართულისა, მთებში შერჩენილი და დღემდე ცოცხა-ლი. პროვინციალიზმი სიცილს თუ არა ჩაცინვას იწვევს. იწვევს ამას ფშავ-ხევსურული? კითხვაც კი შეურაცხყოფა იქნებოდა აქ. იტყვის იმერელი: „წიიმასქენი, ბოშო, პეტერეი!" გესმით - გე-ცინებათ. აბა ათქმევინე ესევე ხევსურს: ჰქმენ საქმე იგი, იყოს ცოტაიც!" გესმით – შუა გულში გხვდებათ. გაუგებრობას ამ სა-კითხში თვით აკაკიც წამოეგო. „ენას გიწუნებ ფშაველოო". ვაჟა პასუხს აძლევს მორიდებით, შაირითვე: „და ენა მთისა სიმტკი-ცით მსგავსია კლდისა სალისა". ფშავ-ხევსურული მართლაც სალი კლდის ნაკვეთია ყველა თქმაში". (38, 177).

ვაჟას უფრო ხშირად და უფრო გაცხარებით ისინი უკიჟინებ-დნენ ფშაურის გამო, ვინც თავადაც თავის დიალექტზე წერდა და სალიტერატურო და ძველი ქართული მაინცა და მაინც არც თუ კარგად იცოდნენ.

აკაკი წერეთელზე ეს არ ითქმის (თუმცა მასაც საკმარისადა აქვს „იმერიზმები". თუნდაც იმავე „ენას გიწუნებ, ფშაველო"-ში). მან ძველი ქართული მწერლობაც კარგად იცოდა, ენაც, თავადაც ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემ-დებელი იყო, მაგრამ ვაჟას მაინც რატომღაც არა სწყალობდა. ჟურნალი „კვალი", რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრიც აკაკი წერეთელი იყო, ვაჟას ლექსებს არ ბეჭდავდა, უწუნებდა. ეს კარგად ჩანს ამ ჟურნალის რედაქტორის ანასტასია წერეთ-ლისადმი მიწერილი ბარათიდანაც.

1894 წ. 2 აპრ.

ქალბატონო ანასტასია!

14 მარტს მოწერილი თქვენი ბარათი დღეს, ორს აპრილს მივიღე და პასუხსაც ეხლავე გწერთ. სამდურავს მითვლით, არ ვიცი რად და რისთვის: „სხვას კაი მასალას აძლევთ და ჩვენ კი უხეიროსო. ახლად დაბრუნებულმა რედაქციის წევრმა აკაკიმ დაიწუნა თქვენი მასალაო" და სხვ. და სხვ. მე თვითონ დიდად პატივს ვცემ აკაკის ნიჭსა და მოღვაწეობას, მაგრამ ისე კი არა, არც აკაკის, არც სხვას, რომ საკუთარი თავის პატივისცემაზე ხელი ავიღო, ან საკუთარს მსჯელობაზე, საკუთარს შეხედულებაზე ამა თუ იმ საგანზე. თქვენ კი ნურას უკაცრავად, ბატონო ჩემო, ამ სიმართლის თქმისათვის, სულ სხვაგვარად მოგსვლიათ საქმე. რაც მე მასალა წარმოგიდგინეთ, თქვენ ხომ მიიღეთ ეს მასალა და კიდევაც უნდა დაგებეჭდათ თუ საკუთარს თავს და საკუთარ აზრს რაიმე ფასს სდებთ. ერთიც ვნახოთ, ხვალ აკაკიმ ამ „რედაქციის წევრობას" თავი დაანებოს, მერე მე და თქვენ რაღა გვეშველება? ხომ უნდა ვირბინოთ კარი-კარ და სხვა დამფასებლები ვეძიოთ ამ ლიტერატურული მასალისა. მაშ რედაქტორობა რადღა გაუჩენია ღმერთსა?.. ეს კი არა, იცით საქმე რაშია? ერთი კარგი ქართული ანდაზა მაგონდება. აი, ეს ანდაზა: „იმ მთამ დამაზრო ფეხები, რომელსაც არ მოველოდიო".

მე მეწადა კარგი განწყობილება მქონოდა თქვენს რედაქციასთან, მეშრომა ისე, როგორც ვშრომობდი „ივერია"-ში და, ვხედავ, რომ თქვენთვის უცხო ვყოფილვარ, დიაღ, უცხო და გამოუსადეგარი. თქვენ გიფიქრიათ, ვაჟა-ფშაველამ „ივერიას" თავი დაანება და ეხლა ჩვენს ხელთ არის, როგორც გვინდა, ისე ვათამაშებთო. უკაცრავად! მე სათამაშო ბურთი არ გახლავართ... თუ ჩემი პატივისცემა გაქვთ, ცოტაოდენი მაინც, ეგ მასალა, სუსტიც რომ იყოს, უნდა დამიბეჭდოთ. რადაო? – რომ მკითხოთ, პასუხს არ მოგცემთ. მხოლოდ თქვენ თვითონ იფიქრეთ, რად უნდა დაიბეჭდოს, თუნდა „სუსტიც იყოს". ნუთუ იმდენი არაფერი გამიკეთებია ქართულ მწერლობაში, რომ მსაჯულად ჩემის ნაწერებისა და მოპასუხედ მე თვითონ ვიყო?..

ამიტომ, ბატონო ჩემო, მე ეხლა ჩემს გულისპასუხსა გწერთ: მანამ მაგ „სუსტ მასალას" არ დამიბეჭდავთ, მე თქვენ ვეღარაფერს მასალას მოგაწვდით. ფული რაც მიმიღია, იმას ისევ მოგართმევთ. ხოლო გთხოვთ, ვინიცობაა არ დაიბეჭდოს, თუ ჩემი ცოტაოდენი პატივისცემა მაინც გაქვსთ, მაგ „უვარგის მასალას" ნუ დამიკარგავთ მაინც.

თქვენი უმორჩილესი ვაჟა-ფშაველა".

ვაჟა ეთაყვანებოდა აკაკის, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ ხანებში მისი გავლენითაც წერდა ლექსებს, აფასებდა როგორც საქართველოს დიდ მწერალს, უფროს თანამებრძოლს, სიყვარულითა და სითბოთი სავსე ლექსებიც მიუძღვნა. აკაკი კი ვაჟას დიდად არ აფასებდა. იმდროინდელი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებსაც ძალიან აწუხებდა ეს ამბავი, არამც თუ მარტო ვაჟა-ფშაველას.

აკაკიმ ვაჟას ასე ლანძღვა არ აკმარა და თავისი მისადმი დამოკიდებულება პრესის ფურცლებზეც გამოიტანა სწორედ ისეთ დროს, როცა ვაჟასთვის იუბილის გამართვაზე საზოგადოებრივი აზრი მომწიფებული იყო. აკაკიმ 1913 წელს გაზეთ „თემში" გამოაქვეყნა ლექსი:

„ვაჟა-ფშაველას!

ენას გიწუნებ, ფშაველო, მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს!.. მკითხველიც იმას მკისაო!
ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთში, მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა.
შენ დამიხატე ის მხარე ფშაურის ჭკუა-გრძნობითა.
და რაც არ გადმოგიცია მის მშვენებაზე ენითა,
მე თვითონ მივხვდი ყოლიფერს, შენთანვე აღმაფრენითა.
ვიცი, რომ ფშავლის სოფელი წმინდაა, მაღალ მთისაო,
ენა – მეტყველი სიმართლის, გულ-მკერდი – ფოლადისაო.
წინათ რომ ხმალი უჭრიდათ, სადღეისოდ სჭრის კალამი.
გადაეც ბარის მგოსნისგან მთიულებს ძმური სალამი".

ვაჟას მტკივნეულად განუცდია „ენის დაწუნება". ეწყინა აკაკის ასეთი გამოლაშქრება განსაკუთრებით მისი იუბილისათვის მზადების პერიოდში. მართლაც, ჩაიშალა სამზადისი. ვაჟას დავით კლდიაშვილისათვის შეუჩივლია: „ახირებული ადამიანია ეს

ჩვენი აკაკი! „ენას გიწუნებ ფშაველოო". კაცო, მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია, მაშ აღარაფერი ყოფილა და ბარემაც ასე სთქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე!" თავის მეგობრებთან კი ამბობდა თურმე: „იმერელი მითხარი და ფშაველს ქართულს უწუნებდესო"

ჩანს, ვაჟა საერთოდაც ყოყმანობდა პასუხის გაცემაზე: ეკრძალებოდა საქართველოს უგვირგვინო მეფისთვის სიტყვის შებრუნება, შიშობდა მკრეხელობაში არ ჩამოერთვათ, უაზრო კინკლაობაში, რაც მოყვარეს გულს მოუკლავდა, მტერსა და დუშმანს კი გაალაღებდა, არადა უპასუხოდ დატოვება არ შეეძლო, დაუმსახურებელ ლანძღვას ვერ იტანდა. ბოლოს მაინც უპასუხა:

დაგვიანებული პასუხი აკაკის

„ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს,
მკითხველიც იმას მკისაო".
ბევრი ვიფიქრე ძალიან, თუ რა პასუხი გამეცა
შენთვის, მხცოვანო პოეტო; დღეცა ვფიქრობდი, ღამეცა.
როს დავაპირე სიტყვის თქმა, უცებ თავზარი დამეცა:
სიტყვა მოსული სათქმელად, ენიდან მომწყდა, გამექცა.
დავლონებულვარ ძალიან, თითქოს სახლ-კარი დამექცა.
რადა? რა ღმერთი გამიწყრა მარგალიტების მფლობელსა,
რომ თავის უშნო ენითა ვერას ვაგონებ მშობელსა?!
ბულბულისათვის გალობა დაუწუნია რომელსა?
მარგალიტების მფლობელი ენასა ხმარობს ღონედა,
და როცა მარგალიტს სთესავს, ან თუ ააგებს ყორედა,
მაინც ის არი, რაც არი, ჭორები მოაშორეთა!
იქნებ, მე, ჩემმა ენამა, სამშობლო დავაღონეთა?
ფრთები შევკვეცეთ ოცნებას, დავამხეთ, დავამონეთა?
უვარგისობის მიზეზი ფშავლობა არის სწორედა.
მოძღვნილი არი მთის მიერ, ჩამოტანილი ქარისა,
რატომ არ ჰგუობს არ ვიცი ამ ჰანგს ბუნება ბარისა?
აქაც ხომ ქართველები ვართ, ყვავილი აქაც ჰყვავისა,

ხატად ჰყავ, სალოცავ ხატად, მთიელთ სამშობლო თავისა.
და ენა მთისა სიმტკიცით მსგავსია კლდისა სალისა,
იქნებ, აკლია, არ ვიცი ამ ლომს სინაზე ქალისა?
ამისთვის დასაგმობია და წასაღები წყალისა?!
კაცი მეტყველი, მგრძნობელი, ცხოვლად ამხელი თვალისა,
ამგვარის ამბის მოწამე, შევდრკე, დავმუნჯდე ლამისა.
მაინც წინ მივალ, მაინცა, არ მეშინიან შარისა,
გულს მისვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა.
მე არცერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისა.
მოთაყვანე ვარ ყოვლისა იმათ ტკბილის და მწარისა.
სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ, დამხშობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხობელი და გამომჯრელი კარისა...
სჯობს, რომ იმაზე ვიტიროთ, მუდამ მთქმელი ვარ ამისა.
ნუ შეგაშინებსთ არ გავნებსთ მთიდან ყვირილი ხარისა".

მთიდან მოწყვეტილ ზვავსა ჰგავს ეს ლექსი, არც ძალა აკლია და არც აზრი, მგრამ ჩანს, ვაჟამ მაინც ბოლომდე ვერა თქვა ყველაფერი, ბევრ რამეზე თავი შეიკავა, ბევრი სიტყვა ენიდან გაექცა ეს ენიდან მოწყვეტილი სიტყვები ნაწილობრივ მაინც თქვა შემდგომში უმისამართოდ დაწერილ ლექსში. მართალია, აქ იმდენად ზოგადად არის ყველაფერი ნათქვამი, რომ კაცმა შეიძლება ეს ლექსი ეროვნულ მოტივზე დაწერილად მიიჩნიოს, მაგრამ ძნელი ამოსაცნობი არ არის ვაჟასა და აკაკის შორის დამოკიდებულება. ამ ლექსიდან ჩანს, როგორ აწვალებდა ვაჟას ეს გულსატკენი ურთიერთობა:

„მე შენი ტრფობით ვერ გავძელ, შენ – ჩემი სიძულვილითა.
ვერ გიღალატებ მაინცა, თუნდ ხორცს ვიგლეჯდე კბილითა,
გულ-დაკოდილი შენგანა მითც ღმერთს გახვეწებ სიტყვითა...
თანაც დაგბრუნავ თავზედა ჩემის ჯვარცმულის ფიქრითა.
შენ ამას არაფრად აგდებ, მოხვალ, ზედ მდგები წიხლითა...
წვრილმანს, ჩანჩალა აზრებსა ვილალავ აქეთ-იქითა:
არ დამიშალონ მიმოსვლა ღმერთთან ამ გრძნობის ხიდითა
შენი ვარ დიდი ერთგული, ვერვინ შემხედავს იჭვითა.
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, თუნდ შხამს მასმევდე
ჯიხვითა!"

ვაჟა მაშინვე მიხვდა—ენის დაწუნება საბაბი იყო თვით ვაჟას დაწუნებისა, თორემ აკაკი არა ხმარობდა იმერიზმებს? რამდენიც გნებავთ, მაგრამ აკაკისთვის არავის უკადრება „ენას გიწუნებთო“. ამავე საბაბით იფეთქა ვაჟას მიმართ გულში დიდი ხნის ნატარებმა ბოღმამ 1951 წელს. ეს ფართომაშტაბიანი ბრძოლა წამოიწყო საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა თავისი საანგარიშო მოხსენებით 1951 წლის 10 იანვარს (გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ 14 იანვრის ნომერში). მოვიყვან მოკლე ამონარიდებს ამ საშინლად გრძელი საანგარიშო მოხსენებიდან, როგორებიც კომუნისტებს სჩვეოდათ. მათზე იყო ზედგამოჭრილი ხალხური ბრძნული ნათქვამი — „სიტყვა ბარაქიანიო — საქმე ტალახიანიო.“ მაშ ასე:

„გასულ წელს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ სტალინის ნაშრომის გამოქვეყნება“...

„ამხანაგ სტალინის შრომებმა ცხადყო ბევრი ნაკლი ჩვენი მუშაობისა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების საქმისადმი ხელმძღვანელობაში. ეს პირველ რიგში ეხება ქართული ლიტერატურული ენის განვითარებისა და სრულყოფის საკითხებს“...

„ახალი ქართული ენის დამკვიდრების დიდ ეროვნულ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენი ლიტერატურის უდიდესმა მოღვაწეებმა და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა“...

„სავსებით სწორად მოიქცა გაზეთი „კომუნისტი“, რომ გამოვიდა ქართული ლიტერატურული ენის დამახინჯებისა და არქაიზმებით დანაგვიანების წინააღმდეგ მწერალ კ. გამსახურდიას მიერ, რომელიც თავგამოდებით ცდილობს აიძულოს საბჭოთა ადამიანები ილაპარაკონ შუასაუკუნეობრიობის, თანაც დასავლეთევროპული ბარბარიზმებით შეზავებული ენით“...

„გ. ლეონიძე უმღერის ჩვენს ბედნიერ ყოფას, ამხანაგ სტალინს და მით უფო სამწუხაროა, რომ ამხ. ლეონიძე ზოგჯერ დაუდევრად ეპყრობა ქართული ენის სიწმინდეს... ამხ. ლეონიძის ზოგიერთ ნაწარმოებში ხშირად შევხვდებით ავტორის

მიერ გამოგონილ ზედმეტ კომპოზიტებსა და ახალ სიტყვებს. მაგალითად, მას პოეზიაში შემოაქვს ახალი სიტყვა „ცხენმხედარი“ (სიცილი)“... (ეს კომპოზიტი „ცხენ-მხედარი“ ხევსურულიდან აქვს აღებული ლეონიძეს და არა მოგონილი — გ.ხ.).

„სავსებით კარგი მდგომარეობა ვერა გვაქვს წარსულის ზოგიერთი დიდი მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების საქმეშიც...

„ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი მთელი ვრცელი ლიტერატურა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველა მხარისათვის ხოტბის შესხმით. ამავე დროს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი ასეთი არაკრიტიკული მიდგომის საფუძველი არ არის“...

„ვაჟა-ფშაველა განცალკევებით დგას მის უფროს თანამედროვეთა, პროგრესულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა პლეადაში. იგი დაჯილდოებული იყო დიდი პოეტური ნიჭით და საკმაო განათლებაც ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ შესძლო ამაღლებულიყო თავისი დროის ამოცანების გაგებამდე. ვაჟა-ფშაველა ფშავის ვიწრო ხეობაში ჩაიკეტა და შეგნებულად შეზღუდა თავისი თემატიკა მთიელ ქართველთა და მეზობელ მთიელ ტომთა სისიხლისმღვრელი ომებითა და მითოლოგიური სიუჟეტებით. იგი სიყვარულით აგვიწერს მთიელებში გვაროვნული წყობის ნაშთებს“...

„ვაჟა-ფშაველას არასწორი პოზიცია ეკავა ლიტერატურული ენის საკითხში. იგი ცდილობდა პოეტურ მეტყველებად დაემკვიდრებინა ქართული ენის ფშაური კილო, რომელსაც ლიტერატურული განვითარება არ შეხებია და რომელიც თანამედროვეობას მრავალი საუკუნით ჩამორჩა. ეს ეწინააღმდეგებოდა საერთო ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრებას, და ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეებს არაერთხელ გამოუთქვამთ პოეტის წინაშე თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება მის ნაწარმოებთა ენისადმი“...

„ვაჟა-ფშაველა ყოველ პროვინციულ კილოს ანიჭებდა ლიტერატურული ენის უფლებას, ე. ი. არსებითად გამოდის იმის წინააღმდეგ, რომ შეიქმნას, ერთიანი ქართული ენა, ურომლისოდაც ვერ განვითარდება ხალხის ეკონომიკა და კულტურა...

„სამაგიეროდ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნენი, თუმცა ეს მეტად უცნაურია, მის მხარეზე დგანან და ბრალი დასდეს აკაკი წერეთელს უსამართლო დამოკიდებულებაში ვაჟა-ფშაველას ენისადმი. ასე იქცევიან, მაგალითად, კომუნისტი კრიტიკოსები ამხ. რადიანი და ამხ. ჭეიშვილი“...

„ერთი უნდა ვკითხოთ ამხ. ჭეიშვილს: თუ ვაჟა-ფშაველას ენა ყველასათვის ასე კარგად გასაგებია, რატომღაა რომ საჭირო ხდება მის თხზულებათა ყველა ტომს დაერთოს ამ თხზულებებში ხმარებული ფშავური და ხევსურული სიტყვებისა და გამოთქმების ასახსნელი ვრცელი ლექსიკონი!“

პარტიის ხელმძღვანელის საპროგრამო გამოსვლას ყოველთვის მოჰყვებოდა ხოლმე საზოგადოების აღფრთოვანებული გამოხმაურება“. ამ შემთხვევაში კი განსაკუთრებით მწერლები და ენათმეცნიერები უნდა აღფრთოვანებულიყვნენ „პარტიის ბრძნული პოლიტიკით“ და, რა თქმა უნდა, მათაც არ დააყოვნეს. საკუთარი ტყავის გადარჩენის ფასად დაიწყეს ჩარკვიანის ქება და ვაჟა-ფშაველას ლანძღვა. აქედან ძალზე საძაგლად მოჩანს ეს ყოველივე, მაგრამ ძნელია გაამტყუნო მაუზრიანი ბოლშევიკის წინაშე შიშისაგან აცახცახებული „ინტელიგენტები“.

სიმონ ჩიქოვანი: „რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას ამ მცდარ ენობრივ პოზიციას პირდაპირი კავშირი აქვს მისი საერთო მსოფლმხედველობის მთელ რიგ შეზღუდულობასა და ჩამორჩენილობასთან; როგორც ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა, ვაჟა-ფშაველა ვერ ამაღლდა იმ დიდი სოციალური მოვლენების აზრის გაგებამდე, რომლებიც მის დროს ბობოქრობდნენ საქართველოში“...

შალვა რადიანი: „ვაჟა-ფშაველამ გადაუხვია ი. ჭავჭავაძის სწორ გზას, გვერდი აუარა ენის სახალხო-ეროვნულ საფუძველს, უარყო განსხვავება საერთო ენასა და დიალექტს შორის. ჩვენი მკვლევრები, კერძოდ მე, ერთგვარ შემწყნარებლობას ვიჩენდი ვაჟა-ფშაველას ამ შემცდარი პოზიციისადმი. სავსებით მართებულია ამხანაგ. გ. ჩარკვიანის მითითება“...

ალ. ჭეიშვილი: „...ჩვენი კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების, კერძოდ ჩემი შეცდომაა ის, რომ ვერ შევამჩნიეთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სუსტი მხარე, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი აცდა რუსული პროგრესული

მხატვრული აზროვნების ზეგავლენას და თავისი შემოქმედება პატრიარქალური თემის ნიადაგზე წარმოშობილი კონცეფციით შემოიფარგლა. ვაჟა-ფშაველას სოციალური ბაზისი ბევრად უფრო ვიწროა, ვიდრე მისი დროის ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება იყო. ცხადია ამით აიხსნება ვაჟა-ფშაველას ენობრივი პარტიკულარიზმი და ჩამორჩენილობა“...

პროკლე კეკელიძე: „აკაკი წერეთელმა ადრევე აუღო ალღო ლიტერატურული ენისადმი რაზიკაშვილებისა და, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას მიერ დაკავებულ არასწორ პოზიციას და სასტიკად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. 1898 წელს სათავადაზნაურო სკოლებისა, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისა, სემინარიებისა და საეპარქიო საქალაქო სკოლებისათვის გამოიცა სახელმძღვანელო წიგნი „სიტყვიერების თეორია“ ლიტერატურული ნიმუშების დართვით, შედგენილი კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ. ამ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში 520 გვერდის მოცულობით წარმოდგენილი იყო ლიტერატურული ნიმუშები და მათ შორის ვაჟა-ფშაველას, ბაჩანას და თედო რაზიკაშვილის თხზულებები. აკაკი წერეთელმა აღნიშნული სახელმძღვანელოს შესახებ თავის ჟურნალში მოათავსა „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“. ამ რეცენზიაში პოეტმა ძირითადად დადებითი შეფასება მისცა სახელმძღვანელოს, მაგრამ დაიწუნა შიგ ჩართული ზოგიერთი ლიტერატურული ნიმუში და ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა რაზიკაშვილების შემოქმედებიდან აღებულ მასალაზე. აკაკი ამის გამო წერდა: „...დიდი შეცდომაა განურჩევლად რაზიკაშვილების ნაწერების სანიმუშოდ შემოტანა სახელმძღვანელოში... საწყენი ის არის, რომ განგებ ამახინჯებენ თვითვე მათ ნაწარმოებს ქართულის გადაჯარჯვ-გადმოჯარჯვით და შიგ და შიგ ისეთ რამეებს ახორცმეტებენ, რომ მშვენიერებას საუწმინდუროდ ჰდაღავენ!“

შოთა ძიძიგური: „...ამხ. კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში სამართლიანად გააკრიტიკა ქართული კლასიკური მწერლობის დიდი წარმომადგენელი ვაჟა-ფშაველა, რომელიც არ გაჰყვა სალიტერატურო ქართულის მაგისტრალურ ხაზს და რომელსაც არასწორი პოზიცია ეჭირა ლიტერატურული ენის საკითხში.

ფშაური კილო, რომელიც საფუძველია ვაჟას პოეტური ენისა, ერთ-ერთი წევრია ე.წ. „მთის კილოებისა“ — ხევსურულთან,

მოხეურთან, თუშურთან და მთიულურთან ერთად. ამ ჯგუფს ქართული კილოებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენათმეცნიერების თვალსაზრისით... მაგრამ ერთია ინტერესი კილოსადმი დიალექტოლოგიის თვალსაზრისით და მეორე ამ კილოს ღირებულება სალიტერატურო ენაში მისი გამოყენების თვალსაზრისით.

ქართული პოეტური ენის საფუძვლად არ შეიძლება გამოყენებული იქნას ფშაური დიალექტი, რადგანაც, როგორც მართებულად აღნიშნა ამხ. კ. ჩარკვიანმა, მას ლიტერატურული განვითარება არ შეხებია და მრავალი საუკუნით ჩამორჩა თანამედროვეობას...

უნდა ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას ენობრივი პარტიკულარიზმი შინაგან კავშირშია მისსავე მსოფლმხედველობრივ პარტიკულარიზმთან. მწერლის პოეტური სამყაროს, ლიტერატურული თემატიკის მასშტაბი თავის შესატყვისს პოულობს კუთხური მეტყველების სამოსელში. ეს დაკავშირება ლოგიკური და ბუნებრივია ვაჟასათვის, ხოლო მიუღებელი და საზიანოა, საერთო ეროვნული ენის ინტერესების თვალსაზრისით“...

ვინც საბჭოთა სისტემას კარგად იცნობს, მან იცის, რომ ცეკას პირველი მდივანი თავისით ვერაფრის თქმას ვერ გაბედავდა. ერთი თავი იყო კრემლში და ეს იყო ყოველგვარ აზრთამპყრობელი, აზრთა ჩამომრიგებელი. და სულ მალე, როცა აღარც კანდიდ ჩარკვიანი სადმე იყო და აღარც კრემლის მბრძანებელი, ვაჟა-ფშაველა კვლავ აღსდგა თავის უფლებებში, განსაკუთრებით 1957 წელს გრიგოლ კიკნაძის შესანიშნავი წიგნის „ვაჟა-ფშაველას შემოქმედების“ გამოსვლისა და 1961 წელს ვაჟას იუბილის მსოფლიო მაშტაბით აღნიშვნის შემდეგ.

1980-90-იან წლებში ეროვნული ბრძოლის აღმავლობის ხანაში გახდა შესაძლებელი გამოაშკარავებულიყო კომუნისტების მიერ ჩადენილ ბოროტებათა ნაწილი მაინც.

1989 წლის 3 თებერვალს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა კანდიდ ჩარკვიანის „საჭირო განმარტება“ კიმი ალიაშვილის წერილის („ვიცით რა მოხდა გუშინ, ვიცით რა გვინდა ხვალ?!“) პასუხად.

კიმი წერდა: „მერე იყო და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ძირიანად მოთხარა ილია ჭავჭავაძე და

ვაჟა-ფშაველა, სასკოლო პროგრამებიდანაც ამოიღეს როგორც უღირსი მწერლები, ჩვენ კი მას პროფესორობა მივანიჭეთ“.

კანდიდის პასუხიდან: „მაინც რატომ და რის საფუძველზე გავაკრიტიკე დიდი პოეტის შემოქმედება ამ 38 წლის წინ? დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად მკითხველს ვთავაზობ ნაწყვეტს ჩემი მოგონების მეორე წიგნიდან, რომელიც გამოსაცემად მზადდება“...

„1950 წლის ოქტომბერში სტალინთან, ცივწყაროზე, ლაპარაკი ჩამოვარდა ქართული ლიტერატურის შესახებ: შევეხეთ ვაჟა-ფშაველასაც, რომლის პოეზიაც მე ძალიან მაღლად შევაფასე. სტალინს თავისი აზრი ვაჟაზე მაშინ არ გამოუთქვამს. მან მხოლოდ ის მთხოვა, რომ მისთვის ვაჟა-ფშაველას თხზულებანი გამეგზავნა. (რატომ არ ჰქონდა ვაჟა-ფშაველას წიგნები, როცა სხვა ყველა ჰქონდა? ხომ არ იყო ეს გულში ჩარჩენილი ბოღმის ბრალი? — გ.ხ.). სამი დღის შემდეგ ვაჟას ოთხი თუ ხუთი ტომი სტალინის მაგიდაზე იდო. გავიდა თითქმის თვენახევარი და 1950 წლის 30 ნოემბერს, გვიან ღამით ი. სტალინმა გაგრიდან დამირეკა. შედგა საკმაოდ გრძელი საუბარი ვაჟას პოეზიისა და მსოფლმხედველობის შესახებ. დილით საუბრის შინაარსი ჩავიწერე მთელი შესაძლებელი სიზუსტით. აუთენტიკურობისათვის მიმყავს მისი ტექსტი ორიგინალის ენაზე. (რუსულად, მე ქართულად ვთარგმნე — გ.ხ.):

ი.ბ. სტალინი: მივიღე ვაჟა-ფშაველას წიგნები, წავიკითხე და ამ დღეებში დაგიბრუნებთ. გული უნდა დაგწყვიტოთ. თქვენ ამბობდით, რომ ვაჟა-ფშაველა გენიოსია. ის მართლაც დიდი ტალანტია, მაგრამ მსოფლმხედველობრივად ძალზე ჩამორჩენილი. ერთ დიდ პრობლემასაც კი ვერ აყენებს. ფშავისა და ხევსურეთის ჩამორჩენილ რაიონებში ჩაიკეტა და ხევსურებს, ფშავლებსა და ქისტებს შორის შუღლისა და კინკლაობის მეტს ვერაფერს ხედავს და აღწერს. ვერ ამჩნევს საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ განვითარებას. ეს საკითხები ვერ იმსახურებენ მის ყურადღებას.

ვაჟა-ფშაველას ენა პროვინციულია, ძველი, გაუგებარი. ნიშანდობლივია, რომ მის თითოეულ ტომს ერთვის ვრცელი ლექსიკონი. სხვაგვარად მკითხველი ვერ გაიგებს მის ნაწარ-

მოებებს. აკაკი წერეთელი, რა თქმა უნდა, მართალი იყო, როცა ჩამორჩენილი ენის გამო გაკიცხა:

„ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს,
მკითხველიც იმას მკისაო!“

აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძემ შექმნეს ერთიანი სალიტერატურო ენა, ხოლო ვაჟა-ფშაველა ყოველგვარ პროვინციალიზმს სალიტერატურო ენის უფლებას ანიჭებს. მისთვის სულერთია როგორ ენაზე იწერება პოეტური თხზულება. ამაშია ვაჟა-ფშაველას ჩამორჩენილობის უბედურება.

მე მაოცებს გერონტი ქიქოძის შესავალი. მარქსისტია ეგ თუ არ არის მარქსისტი? სწორ შეფასებას არ აძლევს ვაჟა-ფშაველას იდეოლოგიას. აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველას შორის ენის საკითხთან დაკავშირებულ კამათშიც კი, ვაჟა-ფშაველას მხარეს დგება, როცა აკაკი წერეთელია მართალი. ვაჟა-ფშაველას ენასა და იდეოლოგიასთან ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება ცუდი გავლენა იქონიოს ახალგაზრდობაზე.

აქ ვაჟა-ფშაველასთან ხდება დაახლოებით იგივე, რაც გამსახურდიასთან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გამსახურდია ცდილობს შექმნას არქაული, მაგრამ ერთიანი ენა საქართველოსთვის, მაშინ როცა ვაჟა-ფშაველა მხარს უჭერს ჩამორჩენილ, პროვინციულ კილოკავთა თანასწორუფლებიანობას.

ჩარკვიანი: ამხანაგო სტალინ, ვაჟა-ფშაველას პროზაულ თხზულებათა ენა ხომ სუფთა სალიტერატუროა.

ე.ბ. სტალინი: პროზაშიც აქვს ბევრი არქაული სიტყვა და გამოთქმა, ამასთან ვაჟა-ფშაველა პროზაიკოსი კი არა, უპირველეს ყოვლისა პოეტია. თუმცა მისი ლექსები და პოემები არ შეიძლება დავაყენოთ „განდეგილის“, „აჩრდილის“, „ბაში-აჩუკისა“ და აკაკისა და ილიას სხვა ნაწარმოებების გვერდით. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ვაჟა-ფშაველაზე მაღლა დგანან. ისინი თავის შემოქმედებაში აყენებდნენ თავისი დროის დიდ პრბლემებს, მაშინ როცა ვაჟა-ფშაველა მათ საერთოდ არ შეხებია“.

ჩანაწერი იმავე დღეს ბიუროს სხდომაზე გავიტანე. მათზე ამ ამბავმა თავისი მოულოდნელობით საკმაოდ მძიმედ იმოქმედა. სხვათაშორის, გამოითქვა არც თუ უსაფუძვლო აზრი იმის შესახებ, რომ ვაჟას ენის კუთხურობისათვის ხაზგასმაში ბრალი მიუძღვით ლიტერატურათმცოდნეებსა და რედაქტორებს. ისინი ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ყოველ ტომს მართლაც ურთავენ ვრცელ ლექსიკონს, თუმცა იქ შეტანილი სიტყვების დიდი უმრავლესობა ქართველი კაცისათვის, არავითარ განმარტებას არ მოითხოვს.

ი. სტალინი სიტყვას ბანზე არასოდეს არ აგდებდა, პირდაპირ დავალებასაც ყოველთვის არ იძლეოდა — ასეთი იყო მისი ხასიათის ერთ-ერთი ნიშანი. შემდგარი მსჯელობიდან დასკვნა თვითონ უნდა გამოგეტანა და საჭირო ღონისძიება გაგეტარებინა. ხანგრძლივი გამოცდილებით ვიცოდი, რომ, თუ ამას არ გააკეთებდი, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდი. ადრე თუ გვიან სტალინი გკითხავდა — ამა და ამ საკითხზე რომ ვილაპარაკეთ, რა ზომები მიიღეთო?

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეფასება აუცილებელი გახდა და რადგანაც ის სტალინისაგან მომდინარეობდა, საბჭოთა საზოგადოების სამსჯავროზე ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით უნდა ყოფილიყო გამოტანილი. ამგვარი კრიტიკოსის როლში გამოსვლა ჩემთვის სასიამოვნო არ იყო, მაგრამ მოვალეობას თავს ვერ ავარიდებდი.

გაგრიდან განმეორებითმა ზარმა დამარწმუნა, რომ ჩემი მოსაზრება სწორი იყო. ამჯერად სტალინს საქართველოს ოლქებად დაყოფისათვის მზადების მიმდინარეობა აინტერესებდა. როცა ამ საკითხს მოვრჩით, მან მკითხა:

— რა ქენით, ვაჟა-ფშაველას შეფასებას შეურიგდით?

— საერთოდ კი, ამხანაგო სტალინ, მაგრამ მისი ზოგიერთი მომენტი მაინც ძალიან მკაცრად მეჩვენება.

— ხომ გახსოვთ სიტყვები, რომლითაც მარქსი „გოთას პროგრამის კრიტიკას“ ამთავრებს? — „მე ვთქვი და ვიცხონე სული“, თქვენ კი როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, — ხმაში შესამჩნევი წყენით დაამთავრა სტალინმა ჩემთან საუბარი ვაჟა-ფშაველას გამო. ამრიგად მე მეძლეოდა პირდაპირი დავალება

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ზოგიერთი მხარის კრიტიკით გამოვსულიყავი.

1951 წლის იანვარში თბილისის XX საქალაქო პარტიული კონფერენცია უნდა შემდგარიყო. გადავწყვიტე საანგარიშო მოხსენებაში გამომეყო თავი „სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის ზოგიერთი საკითხი“ და იქვე ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხიც გამეშუქებინა. მოხსენებაში სტალინზე მითითება არ შემეძლო, რადგან ამის რწმუნება არა მქონდა. იყო მეორე მოსაზრებაც, რომელიც ასეთ მითითებას გამორიცხავდა. ქართულ საზოგადოებრიობაში ადრიდანვე დამკვიდრებულია უმართებული აზრი, რომლის მიხედვითაც დიდი მწერლის, დიდი მეცნიერის შემოქმედების ამა თუ იმ მხრის ოდნავი კრიტიკაც კი ლამის მთელი ერის შეურაცხყოფად განიხილება. და თუ ეს ასეა, როგორიღა უნდა ყოფილიყო მკითხველის რეაქცია ვაჟას შემოქმედების ამ მართლაცდა უსამართლო შეფასებაზე. მე არ შემეძლო ასეთი „შეურაცხმყოფლის“ როლში სტალინი გამომეყვანა, თუმცა კარგად ვიცოდი: ამის გამო მის მიმართ საყვედურის ხმამაღლა გამოთქმას ვერავინ გაბედავდა.

აი, რატომ ავიღე ჩემ თავზე ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მაშინდელი კრიტიკის ერთპიროვნული ავტორობა“.

ვაჟა-ფშაველას მიმართ დაუნდობელი ბოღმა არ ამოდიოდა ბოლშევიკები, იგივე სოციალ-დემოკრატების გულიდან, რაკიღა ის თავის დროზე ეწინააღმდეგებოდა მათ კოსმოპოლიტიზმს, რაკიღა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პოზიციაზე იდგა სიკვდილამდე. როგორც მისი ძმები და სხვა ახლობელნი მაშინ უცილობლად ამტკიცებდნენ ამიტომ მოაკვლევინეს გამოსაწერად გამზადებული ვაჟა ექიმებს. მერე შვილი დაუხვრიტეს, ძმა მოუკლეს.

ამას გარდა სტალინს ვაჟას მიმართ პირადი წყენაც ჰქონდა გულში. ეს ამბავი ჩაწერილი, დაბეჭდილი მე პირადად არსად შემხვედრია, ზეპირად კი ხშირად მომისმენია, თვით ზვიად გამსახურდიასაგან, რომელმაც პირველ გამოცემასთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნასთან ერთად, ამაზეც მითხრა, მეორე გამოცემაში აუცილებლად შეიტანეო. მეორე გამოცემაში უკვე ჩემდაუნებურად გამომრჩა. ახლა, საოცრად განათლებულმა მკურნალმა, ხუტა პაჭკორიამ დამაძალა — აუცილებლად შეიტანეო. ეს ეპიზოდი კი ასეთია:

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ივერიაში“ იოსებ(სოსო) ჯუღაშვილს გამოუქვეყნა პირველი ლექსები სოსელოს ფსევდონიმით. ამ ლექსებმა, რომელთა შორის იყო „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“, საერთო მოწონება დაიმსახურა. ეტყოდა ილია, რა თქმა უნდა, ასეთი ლექსები კიდევაც მოგვიტანეო. სოსომ კი კომუნისტური იდეოლოგიით გადამლაშებული ლექსები მიუტანა. ილიამ უარი უთხრა მათ დაბეჭდვაზე. სოსო დაემუქრა „ჩამორჩენილ ნაციონალისტს“ — ხვალ მოვალ და თუ დასაბეჭდად არ გექნება გაშვებული, შენი გაზეთიანად აგაფეთქებო. არ გაუჭირდებოდა, რადგან მოწინააღმდეგეებს, მითუმეტეს თავადებს, როგორც კლასობრივ მტრებს, დაუნდობლად უსწორდებოდნენ პროლეტარიატის დიქტატურისათვის მებრძოლნი.

მეორე დღეს, სანამ ეს მგზნებარე რევოლუციონერი გამოჩნდებოდა „ივერიის“ რედაქციაში, ვაჟა-ფშაველა მივიდა. ილიამ ცოტახნის საუბრის შემდეგ შესჩივლა:

— ეს რა ახალგაზრდობა მოდის, ვინ არიან, ეს კაშნეგადაგდებული რევოლუციონერი მოკვლით დამემუქრაო.

ვაჟამ დაამშვიდა: მე არ წავალ, მოვიდეს ერთი აქ და მე ვასწავლი ჭკუასო.

მოვიდა ისიც. როგორც კი ილიას უკმეხად მიმართა, ვაჟამ ჯერ ერთი-ორი შემოჰკრა, მერე დაითრია, ჰკრა წიხლი და კიბეზე დააგორა.

ისეთი გულბოროტი კაცი, როგორიც სტალინი იყო, იოლად ვერ მოინელებდა ასეთ შეურაცხყოფას. მოკლეს, ერთხანობას დაასამარეს კიდეც მისი შემოქმედება, მისი სახელი. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, მაგრამ არ აკმარეს. დროდადრო კვლავ ცოფი უვლიდათ.

ვაჟას „შეცდომების” გასწორება

ვაჟა-ფშაველას ნაწერების გაგებაში სირთულეს ქმნიდა გამომცემელთაგან დაშვებული შეცდომებიც, კორექტურა. ისინი ხშირად თვითნებურად ცვლიდნენ ვაჟას ტექსტში ამა თუ იმ სიტყვას, ისე როგორც მათ მიაჩნდათ რომ უნდა ყოფილიყო. ეს, რა თქმა უნდა, ქართულის უცოდინრობით მოსდიოდათ. ვაჟა ამის გამო ხშირად ედავებოდა რედაქციებს, ზოგის გასწორებას კიდეც ახერხებდა, მაგრამ ბევრი კორექტურა დღემდე არ არის გასწორებული და გამოცემიდან გამოცემებში მეორდება.

სამწუხაროდ, ზოგმა ფშაველმა და ზოგმა ხდევსურმა თავისი „კომპეტენტურობით“ უარესად აურ-დაურია.

1915 წლის გაზაფხულზე გაზეთ „სახალხო ფურცელში” ვაჟამ გამოაქვეყნა წერილი 1898 წელს გამოცემულ თავის თხზულებებში გაპარულ კორექტურის შესახებ:

ჩემი ნაწერები და კორექტურა
(წერილი რედაქციასთან)

რამდენჯერმე დავაპირე აღმენიშნა ჩემს ნაწერებში შეპარული კორექტურული შეცდომანი და ფეხი უკან დავდგი, ჯერ ერთი იმ მოსაზრების გამო, რომ მეტისმეტად ბევრი შეცდომაა, ამ მხრივ უფრო თვალსაჩინოა ჩემი „თხზულებანი” და ერთი გაზეთი მთელი წლის განმავლობაში ამ შეცდომების ბეჭდვას ვერ აუვიდოდა და მეორეც, იმედი მქონდა, და მაქვს, მეორე ახალი გამოცემისა. მეორე გამოცემის კორექტურა უსათუოდ მე უნდა ვიკისრო, რათა ავიცდინო თავიდან და ჩემს ნაწერებსაც ავაცდინო ის გულის ასამღვრევი შეცდომანი, რისი მსგავსიც „სახალხო ფურცლის” 285, ბ. ილ. ფერაძის მიერ მოყვანილ ციტატაშია („ალუდა ქეთელაური”). ეს კორექტურული შეცდომები გარდა ამისა, თვით სურათს აფუჭებენ, აზრსაც კი ამახინჯებენ – მაგალითად, დაბეჭდილია:

მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ,
რა ხარ სიცრუის მთქმელადა,
აიხსენ გველისპირული

დიაცთ გადუგდე ცრემლადა,
ფარი – ქსლის ჩასაბეჭავად
ხირიმ გაუდვან გორადა.
უნდა იყოს:
. . .
. . .
აიხსენ გველისპირული
დიაცთ გადუგდე ცხემლადა,
ფარი – ქსლის ჩასაბეჭავად
ხირიმ გაუდვან გარადა.

ამ საქმის გამფუჭებელი ორი სიტყვაა: ცრემლადა და გორადა. რა აზრია ამ სიტყვებში, რომ არ მესმის? არავითარი აზრი და არც პოეტური გამოხატულება ამ სიტყვებში არ მოიპოვება. სულ სხვაა ცხემლა (ცხემლადა) და გარა (გარადა)). ეს ორი ნივთი ქსლის იარაღია, მაშასადამე დიაცთ მიერ სახმარი ხის იარაღი შალებისა და ფარდაგების ქსოვის დროს. ჩვენდა საუბედუროდ, როცა „ქსლის ბეჭვა” (შოთას ნათქვამს „დიაცსა ქსლისა მბეჭველსა” – ნუ დაივიწყებთ) მოვსპეთ, დავივიწყეთ, ნამეტნავად ბარად, თვით ქსლის საქსოვი იარაღების სახელებიც დაგვავიწყდა. კორექტორი ჩემი „თხზულებისა” უსათუდ ბარელი იქნებოდა, თორემ ასეთი შეცდომა არ მოუვიდოდა, რადგან ცხემლისა და გარის სახელი მთაში 5 წლის ბალღმაც კი იცის: ცხემლა ხმალს ძალიან ჰგავს, ბრტყელია, სამი თითის სიბრტყე, არშინზე ცოტა გრძელი, თავი და ბოლო ამოჭრილი აქვს ისე, რომ ენა აქვს ხისავე თანა, რათა ზედ ძაფი დაეხვიოს და ამ ცხემლის წყალობით ქსელში ძაფი გავიდეს ჩასაბეჭავად. გარაც რგვალი ხეა, სისქით ვერშოკი, ვერშოკნახევარი და სიგრძით ორი არშინი, რაზედაც ქსელისავე ძაფი ეხვევა რგვლად ქსელის მთელ სიგანეზე. მინდია (შეცდომა მოსდის ვაჟას. მინდია კი არა ახალ-უხლები ეუბნებიან – გ.ხ.) ამ სადიაცო ქსლის იარაღებს რომ აგონებს ალუდას, ამით დიდად შეურაცხყოფს: შენ დიაცი უნდა იყოო და არა ვაჟკაცი, ღირსი ხმლისა და თოფის ტარებისაო”.

ვაჟას მართლაც დაუწყია თავისი „თხზულების” კორექტურული ჩასწორება, მაგრამ ველარ მოუსწრია, ავადმყოფობამა და სიკვდილმა აღარ აცალა. ეს ვაჟასეული ნასწორები „თხზულების” ეგზემპლარი ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ინახება, რომლისთვისაც ვაჟას ძმას ალ. რაზიკაშვილს შეუწირავს.

ვაჟას კრიტიკოსები

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გაგებას ენობრივი ბარიერის გარდა კიდევ სხვა რაღაცაც უშლიდა ხელს, რაც შესანიშნავად ახსნა ქართული ლიტერატურის უნიჭიერესმა მკვლევარმა კიტა აბაშიძემ: „ვაჟა ნამდვილი მხატვარია, რომლის ნახატების შეყვარებას მიჩვევა უნდა და მეცადინეობით მოპყრობა. თვით ამ სტრიქონების დამწერი შედარებით გვიან შეეჩვია ვაჟას პოეზიას და შედარებით დაიგვიანა მისი შეყვარება და მე მგონია ჩემი ამხანაგები, უმეტესობა ამავე პირობებში იყო, რადგან ილია და აკაკი წარმოშობით იყვნენ არისტოკრატები და ნაწერებით დემოკრატები, ვაჟა წარმოშობით გლეხი იყო და ნაწერებით კი არისტოკრატი. ვაჟას პოეზიის შინაარსი და ფორმა წმინდა არისტოკრატულია იმ მხრით, რომ არა ყოველი მომაკვდავისათვის არის ადვილად გასაგები და შესაფასებელი".

ვაჟას და ვაჟას გმირების ამ მაღალ არისტოკრატიზმს დღესაც ბევრი ვერ ხედავს; სამწუხაროდ, ვერ ხედავენ მხატვრებიც. ეს ჩანს ვაჟას ზედაპირული, გარეგნული ხედვიდან. მხატვარნი ვაჟას ხატვისას განსაკუთრებით ხაზს უსვამენ მის ფაფახს, ჩოხა-ახალუხს, ქალამან-პაჭიჭს, ნაბადს, მაგრამ შეუმჩნეველი რჩება სწორედ ის უმთავრესი – შინაგანი არისტოკრატიზმი.

ვაჟას შემოქმედება დღეს ათტომად არის გამოცემული. თვითონ ვაჟამ კი თავის სიცოცხლეში რედაქციებისა და მკითხველისაგან გულმოკლულმა ოთხი ტომისათვის ძლივს შეარჩია მასალა, მაგრამ იმისი გამომცემელიც ვერ მონახა, ახლოს არავინ გაიკარა. ერთად თავმოყრილი არ იყო მისი ნაწარმოებები და ამიტომ სრული შთაბეჭდილების შემუშავება მის შემოქმედებაზე ჭირდა. ესეც აძნელებდა ვაჟას სიდიდის აღქმას. ამიტომ იყო, რომ ვაჟას სიცოცხლეში მისი შემოქმედების შესახებ ბევრი არაფერი დაწერილა. 1896 წლამდე, როცა უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები („ალუდა ქეთელაური", სტუმარ-მასპინძელი", „ბახტრიონი" და სხვანი), გარკვეული აზრი არაფერი გამოთქმულა, სპეციალური სტატია არავის მიუძღვნია. კანტიკუნტად თუ რაიმე ვინმეს უთქვამს ზოგად მიმოხილვებში, სხვებთან ერთად, თითო აბზაცში და იქაც ხშირად უარყოფითი ჭარბობდა. 1896 წელს ჟურნალ „კვალში" ილია ნაკაშიძემ გაგრძელებებით დაბეჭდა „ვაჟა-ფშაველას პოეზია (კრიტიკული ცდა)". აქ განხილულია ვაჟას ლექსებიც და პოემებიც. თითქოს ხოტბას ასხამს, ცაში აჰყავს, მაგრამ ბოლოს მაინც ხარკს უხდის დაკანონებულ საერთო აზრს, ერთეულების გარდა ყველა რომ გაიძახოდა: „ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ ვაჟა-ფშაველა მხოლოდ ხალხურ პოეტად და ვერ ვეთანხმებით ბ. გ. ყიფშიძის აზრს, რომელიც ვაჟას ნაწერებს სალიტერატურო შედევრებს უწოდებს. სალიტერატურო შედევრი მაღალი სიტყვაა, ევროპული ცხოვრების ნაყოფი და ვაჟას პოეზიის დასასურათებლად არ გამოდგება. ვაჟას შემოქმედებას რომ მეტის სამართლიანობით მოვექცეთ, შეიძლება კიდევაც შედევრი დავარქვათ, მაგრამ შედევრი არა ევროპული, არამედ მხოლოდ ძველებური – ჩვენებური, ფშავ-ხევსურული".

ამის შემდეგ ვაჟას სიცოცხლეში კიდევ დაიწერა რამდენიმე წერილი, ზოგი ძალზე საყურადღებოც, მაგრამ ისეთი ვრცელი და სრულად მომცველი ვაჟას შემოქმედებისა, როგორიც იპ. ვართაგავასი იყო, სხვა არა ყოფილა. ეს გამოკვლევა 1913-14 წლებში გაგრძელებებით იბეჭდებოდა.

ამ წერილის დაწერამდე რამდენიმე წლით ადრე ვაჟა-ფშაველასა და მაშინ მთლად ახალგაზრდა იპ. ვართაგავას გოგონა მოუნათლავთ „ივერიის" თანამშრომელი ილო აგლაძისათვის. ეს ილო ვართაგავას სემინარიელი ამხანაგი ყოფილა. მას მთავრობის საწინააღმდეგო რაღაც გაფიცვაში მიუღია მონაწილეობა, ამის გამო სემინარიიდან გაურიცხავთ და ილია ჭავჭავაძეს „ივერიაში" მიუღია სამუშაოდ. იპოლიტე ილოს შეურჩევია ნათლიად, ხოლო ვაჟა – ილოს მეუღლეს, ოლღა ბეჟუაშვილს, ვაჟას პოეზიაზე შეყვარებულ კარგ ლიტერატორ ქალს.

ამ ნათლობის შემდეგ ხუთი წლის მანძილზე ვაჟა და იპოლიტე აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. ვაჟაზე დაწერილი ბევრი ტყუილ-მართალი, თვით ვაჟას ნაწერები, საფიქრალს უჩენდა იპოლიტეს და ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, ვაჟასთვის პატივი მიეგო, სამართლიანობა აღედგინა. იპ. ვართაგავამ, მარ-

თლაც, შესანიშნავად, საფუძვლიანად მიმოიხილა ვაჟას მთელი შემოქმედება. პირველად მან შეამჩნია ბევრი რამ ისეთი, რაც დღეს აღიარებული ჭეშმარიტებაა, მგრამ ბოლოს მანაც ვერ დაიზღვია თავი შენიშვნისაგან – ხალხურისაგან არ განსხვავდებაო. თავის მხრივ ისიც დაამატა, რომ „გველის-მჭამელი" უაზრო პოემააო; და ისიც, რომ ქვეყნის მომავალზე არაფერს წერსო, მომავალი არა ჩანს მის შემოქმედებაშიო: „ვაჟა შედარებით ნაკლებს „მღერის" ამ მომავალზე, ვინაიდან თვითონ ამ მომავლის შესახებ გარკვეული შეხედულება ვერ შეუდგენია". მთავარი ბრალდება მაინც ხალხურისაგან სარგებლობის საკითხში იყო. ვაჟა იმდენად უცვლელად იყენებს ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, რომ ვერ გაიგებ მის ნაწერებში რა ხალხურია და რა ავტორისეულიო: '„როდესაც კითხულობთ ვაჟას პოემებს, თქვენ გგონიათ რომ ვიღაცას უცვლელად ჩაუწერია ხალხში დარჩენილი ლამაზი თქმულება და თქვენდა დასატკბობად დაუბეჭდიაო; იგივე ხალხური ენა, იგივე რითმა, იგივე ხალხური შედარებები, ეპითეტები, ტროპები, იგივე ხალხური შეხედულების რწმენის მოხაზულობა და ხასიათი, იგივე ხალხური საგმირო ჰანგები, იგივე ხალხური იდეალები!"

წერილის ბოლოს იპ. ვართაგავამაც დაგმო ფშაური დიალექტის გამოვლინება ვაჟას პოეზიაში.

ვაჟა პასუხს სცემდა იმათ, ვინც საამისოდ ღირდა თავის სიტყვითა თუ თავსი ბრალდებით. იპ. ვართაგავას წერილი ნამდვილად სერიოზული სიტყვაც იყო ვაჟას მიმართ ნათქვამი და ბრალდებებიც სერიოზული იყო. იმათი უპასუხოდ დატოვება არ შეიძლებოდა. მადლობა ღმერთს, რომ იპოლიტე ვართაგავამ დაწერა წერილი ვაჟაზე და ვაჟამაც უპასუხა, თორემ დღეს არ გვექნებოდა ერთ-ერთი უბრწყინვალესი წერილი, სადაც ვაჟამ გულწრფელად და დაუფარავად გახსნა თავისი შემოქმედების საიდუმლოებანი და ამით მისი შემოქმედების მკვლევართ ბევრი თავსატეხი ააცდინა.

პასუხი ვაჟამ იმავე 1914 წლის „სახალხო ფურცელში" გაგრძელებით დაბეჭდა: „კრიტიკა ბ-ნ იპ. ვართაგავასი". ვაჟა წერს: „ბ-ნ ვართაგავას ძალიან გულით უნდა გაიგოს, ამ პოემებში რა ეკუთვნის ხალხს და რა მე, როგორც ავტორს. სურვილი საფუძ-

ვლიანია და ღირსი დაკმაყოფილებისა. ამ სურვილს კრიტიკოსისას მე დავაკმაყოფილებ, თუმცა ეს მეტ შრომად მიმაჩნია და თანაც მწყინს: ვართაგავამ, თუ მას კარგი კრიტიკული ალღო აქვს, უნდა ჩემ დაუხმარებლად გაიგოს, რაა ამ ნაწარმოებებში ხალხური და რა ინდივიდუალური. უნდა ყველამ კარგად იცოდეს – ხალხური თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება.

ამის მაგალითები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრია. ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გიოტესი ხალხურ თქმულებებზეა აშენებული, სწორედ ისე, როგორც ზევით მოგახსენეთ, როგორც ამას ჩვეულან რჩეულნი ამა ქვეყნისანი, დიდი ნიჭის პატრონი მწერლები, ავტორები „ფაუსტს" გიოტეს გარდა ასობით ჰყავდა, მაგრამ გიოტეს მეტმა ნამდვილი „ფაუსტის" დაწერა ვერავინ შესძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შესძლო გადადუღება ხალხისაგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა. ესევე დაემართა შექსპირის „ჰამლეტს", „მეფე ლირს", „რომეო და ჯულიეტას" და სხვა. ესევე ითქმის დიდებულ შოთაზე და მის „ვეფხისტყაოსანზე".

მე, თქვენი უმორჩილესი მონა, რა სახსენებელი ვარ ამ გოლიათებთან, მაგრამ ერთი გარემოება მაძლევს უფლებას ჩემი თავიც იმათთან ერთად ვახსენო – ეს გახლავთ მსგავსება ქმნისა, შემოქმედებისა. დიაღ, კატა თუმცა ვეფხვი არაა, მაგრამ სხვა ცხოველებზე მეტად ვეფხს უფრო ისა ჰგავს.

ამასთან ისიც უნდა ვსთქვა, ბევრი ამბავი და ზღაპარი მე შევქმენ და იოტისოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი „ძველის-ძველი ამბავიო", „ზღაპარიო", „თქმულებაო", იმ მოსაზრებით – დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არა ჰქონიყო. ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს იმდენადვე, რამდენადაც ხალხური თქმულების მითვისება. როგორც ამის უფლება არ აქვს

არავის, ისე – თავის ფანტაზიის ნაცოდვილარის ხალხისათვის მისაკუთრება, ხალხურ ამბად გასაღება. ამ ნაკლს გავასწორებ მხოლოდ მაშინ, როცა დაიწყება ჩემის ნაწერების ცალკე წიგნად გამოცემა, – მაშინ ავღნიშნავ, რომელია მართლა ძველი ამბავი და რომელი მთლად ჩემგან დაძველებული, ძველ ამბად მონათლული...

ჩემი პოემები, თითქმის ყველა, სულ ხალხურ თქმულებებზე ძველ ამბებზე არიან დაფუძნებული, თითოეული მათგანი სხვადასხვანაირად".

ვაჟას განმარტებით, „სტუმარ-მასპინძელს" საფუძვლად დასდებია ამბავი, რომლის თანახმადაც ხევსური ზვიადაური როგორღაც ხელში ჩავარდნია ქისტებს და თავისი ახალი მკვდრის საფლავზე დაუკლავთ. ზვიადაური არ შემდრკალა და მათ მკვდარს არ შესწირვია. „გველისმჭამელში" კი ხალხური მხოლოდ ის არის, რომ ქაჯებს ჩაუვარდათ ტყვედ ხევსური მინდია. თავის მოკვლის მიზნით მას გველის ხორცი შეუჭამია, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ხორცმა მას შესძინა მცენარეთა ენის ცოდნა, მათი წამლად გამოყენების უტყუარობა. „ხალხური თქმულება ამას იქით არ გადის, – განაგრძობს ვაჟა, – მაშასადამე, მინდიას დაცოლშვილება, ცოლთან ბაასი, ხორცის უჭმელობა თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მხედრული ნიჭი გველისმჭამლისა, ჩიტების ენის ცოდნა, ხალხურ თქმულებას არ ეკუთვნის. ამბავი მინდიას სულის არავითარ დრამატიულს განცდას არ წარმოგვიდგენს ხალხის თქმით. ბ. ვართაგავას ვერ გაუგია, ვერ მიმხვდარა „სტუმარ-მასპინძელში" და „გველის-მჭამელში" რაა ხალხური და რაა ავტორისაგან შექმნილი და ამის გამო ამ ორმა ნაწარმოებმა მოიტანა ქვეშ კრიტიკოსი და დღესნამდე ვერ ამდგარა ფეხზე. იქნებ ამ ჩემმა განმარტებამ შეაძლებინოს ფეხზე დადგომა და ღირსეულად მათი დაფასება...

„ალუდა ქეთელაური", რომელიც აგრე ძალიან მოსწონს ბატონ ვართაგავას, არის აშენებული სრულიად უბრალო მარტივს ამბავზე, უბრალო შემთხვევაზე. ალუდა ქეთელაურს ქისტებმა ცხენი მოჰპარეს, ქურდებს მდევრად გამოუდგება, ერთს მათგანს თოფით მოჰკლავს, ხოლო მოკლულის ამხანაგი ვაჟკაცურად დაუხვდება, თუმცა ესეც მსხვერპლი ხდება ალუდასი, მაგრამ მოჰხიბლავს მას თავის ვაჟკაცობით და როცა ჩამოვარდება

საუბარი მუცალის მოკვლაზე, ხანდახან შესანდობარს დაჰლევს ალუდა ქისტისას – ლუდს ან არაყს. მარჯვენის მოჭრა-მოუჭრელობაზე ზეპირგადმოცემა არაფერს გვეუბნება, ხალხური თქმულების მთელი თავი და ბოლო ეს არი...

რაც შეეხება იმას თუ მე რამდენად შევძელ საქართველოს მომავალი ბედის თუ უბედობის განჭვრეტა, ამაზე ბ. იპ. ვართაგავას უნდა მოვახსენო შემდეგი: ამგვარი კითხვის პასუხი არ შეიძლება ერთმა ლექსმა, ან მოთხრობამ გამოხატოს, არამედ მთელმა პოეტის ცხოვრებამ, მის მოღვაწეობამ, მთელმა იმისმა ნაწერებმა. როგორ გგონიათ? არა მქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩვენი ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არა ჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს არ მწამდეს, თქვენ გგონიათ მე კალამს ავიღებდი ხელში?!..

ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბახტრიონი" წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით, თითქოს შეკაზმულს ცხენსა მთხოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ვაჟავ, თუ ღმერთი გწამ, ნუ დამიმალავ, სწორედა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არ ჰგულისხმობ „ბახტრიონში", რომ ამბობ „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო?"

– იქნებ ვგულისხმობდე, – ვუპასუხე.

– სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო, – დაიჟინა ფშაველმა და ხუთმეტი ათასი მჭევრმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, იმას რწმენას, აზრს ვერ გამოუცვლიდნენ.

თუ ჩემ მკითხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწარმოები, საკმარისია. მაშასადამე, საკმარისად წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი სვე-ბედი"...

საკვირველი ის არის, რატომ ვერ ამჩნევდნენ ტიტულოვანი ლიტერატორნი ვაჟას შემოქმედებაში იმას, რასაც ამჩნევდა უბრალო ფშაველი მკითხველი? რატომ და, ვაჟას შემოქმედების მიმართ შემუშავებული მცდარი აზრები უშლიდა ხელს ბოლომდე ყველაფრის დანახვას, ჩაწვდომას. მაინც ვერ იყვნენ დარწმუნებულნი ბოლომდე ვაჟას სიდიდეში, ვერ ენდობოდნენ თავის თავს მკვლევარნი, შიშობდნენ, ერთურთს უფრთხოდნენ. ნაწილობრივ მაინც წინასწარ შემუშავებული აზრით მსჯელობ-

დნენ და არა თვით ვაჟას ნაწარმოებების ღრმა შესწავლის საფუძველზე. მიუხედავად ასეთი ხარვეზებისა, იპ. ვართაგავას გამოკვლევა მაინც ყველაზე სერიოზული და საფუძვლიანი პირველი გამოკვლევაა ვაჟას შემოქმედებისა.

შემდეგში ბ-ნი იპ. ვართაგავა სიამოვნებით იგონებდა იმ დიდ შთაბეჭდილებას, რაც ვაჟას პასუხმა მასზე მოახდინა: „მე ვიგრძენი, რომ ეს წერილი დიდი ისტორიული მნიშვნელობისა იყო, რომ ისეთი იშვიათი ისტორიული დოკუმენტი იყო, რომლის მსგავსი და ბადალი არამც თუ ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მე-19 ს. მდიდარ რუსულ ლიტერატურაშიც არ მოიპოვებოდა. ეს ვაჟას წერილი შეიცავდა გულღია, მართალ, შეულამაზებელ აღსარებას მისი შესანიშნავი პოემების შექმნის რთული პროცესის გარშემო...

ჩემდა საბედნიეროდ, ისტორიამ ჩემი ყოველთვის (წარსულში, აწმყოში და მომავალშიც) პატარა სახელი მჭიდროდ დააკავშირა გენიოს შემოქმედ ვაჟას სახელთან სწორედ იმ წერილში („კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი"). სანამ საქართველო იარსებებს, სანამ ქართველი ხალხის გენიის გამომსახველი ქართული ლიტერატურა იკაშკაშებს (ამ მარადისობაში ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს) ვაჟას ნაწერებიც და მათ შორის „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი" უდაოდ და უეჭველად დიდი ტირაჟით გამოიცემა. ასეთ ბედს მორიგი კალმოსნები და მათი გვარები იშვიათად, ძლიერ იშვიათად ეწევიან".

ბატონმა იპ. ვართაგავამ, მართლაც, ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ ლიტერატურას არა მხოლოდ იმით, რომ პირველმა მისცა სწორი შეფასება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას (და არა მხოლოდ მის შემოქმედებას), არამედ იმითაც, რომ ვაჟა-ფშაველას დააწერინა „აღსარება"-წერილი, ურომლისოდაც გართულდებოდა ვაჟას ისედაც რთული შემოქმედების კვლევა-ძიება.

უქაღალდობა

ვაჟამ წერილში „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი" კიდევ ერთ რაღაცაზე გასცა პასუხი მოკამათეს: „მას ძალიან გულით უნდა

გაიგოს როგორი წესი მაქვს წერისა – ერთბაშად ვწერ თუ რამდენჯერმე გადავწერ ერთხელ დაწერილს, რაც ხშირად შესწორებას მოსდევს. უნდა მოგახსენოთ, ძალიან დიდ ნაკლადაც რომ ჩამეთვალოს, არც ერთი ჩემი ნაწარმოები ერთხელ მეტად არ გადამიწერია შავად დაწერილიდან".

ერთხელ დასაწერად ძლივს პოულობდა დროს, სამჯერ და ოთხჯერ გადასაწერად საიდან მოიცლიდა. მაგრამ გადაუწერლობის ერთი მიზეზი, ვფიქრობ ისიც იყო, რომ ქაღალდი არა ჰქონდა. ნავთ-მარილის ფული არა ჰქონდა და ქაღალდის ფული საიდანღა ექნებოდა. ყიდულობდა კი, შოულობდა, მაგრამ ჩანს მალე შემოელეოდა და მერე იმაზე წერდა, რაც ხელში მოხვდებოდა. „უთუოდ ცხოვრების პირობებმა განაპირობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ფსიქიკა, როცა იგი ხელში მოხვედრილ ყოველნაირ ქაღალდზე წერდა ლექსს თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებს. პოეტის არქივი გვიჩვენებს, რომ ვაჟას წერა უმთავრესად ორად გაკეცილ თაბახის ქაღალდზე უყვარდა. მაგრამ, ჩანს, ამის საშუალება ყოველთვის არა ჰქონდა, ამიტომ მისი ავტოგრაფები მრავალგვარ ქაღალდზეა აღბეჭდილი, მაგ.: „აკაკის საიუბილეოდ" დაწერილია უჯრებიანი ბლოკნოტის შუიდან ამოღებულ ორ ფურცელზე. „უფროც დაბნელდი, ღამეო" დაწერილია ბლანკზე, რომლის მეორე მხარეზე რუსუ-

ლად ალექსანდრე თევდორეს ძესთან (ალ. ყიფშიძესთან) მიწერილი პირადი წერილია. ლექსი „კლდე და მდინარე" დაწერილია დიდი ფორმატის ქაღალდზე. პირველად დაუწერია რვამარცვლიანი სტრიქონებით, ჩანს, დიდი ლექსის დროს ქაღალდის ეკონომიას ეწეოდა, რადგან იქვე არის აგრეთვე თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონებით დაწერილი „ბახტრიონის" შესავალი და ლექსი „რამ შემქმნა ადამიანად". ლექსი „სიმღერა" („კიდეც რომ დავლპე საფლავში") დაწერილია პატარა ფურცელზე, რომლის მეორე მხარეზე ბავშვებს ანბანის წერაზე უვარჯიშიათ. „მკვდარია უგრძნობი კაცი" დაწერილია ფურცელზე, რომლის მეორე მხარეზე ვიღაცის განცხადების ტექსტია. ლექსი „ბედის მომლოდე უბრალო დავრჩი" პოეტს დაუწერია რვეულის ფურცელზე, რომლის მეორე მხარეზე რუსულად წერია სასამართლოს დადგენილება პირქუშაშვილის საქმეზე და სხვა. ვაჟა რომ ყოველგვარ ქაღალდზე წერდა და ისიც საძებარი ჰქონდა, მოგონებებშიც არის დადასტურებული". (53, 133).

ვაჟა მეგობრობდა თიანეთის მამასახლისთან აბრამ აკობაშვილთან. რადგან ხალხისათვის მზრუნველი კაცი იყო, ხშირად მიდიოდა ხოლმე მასთან. მისი შვილი ვეფხო აკობაშვილი იგონებს: „მეორე დილით ვაჟა ადრე ამდგარიყო, რაღაცას წერდა, ორი ფურცელი უკვე დაწერილი ჰქონდა, ქაღალდი შემოკლებოდა.

– აბრამ, ერთი ფურცელი ქაღალდი კიდევ მომეცი დამაკლდაო. – სთხოვა ვაჟამ, მაგრამ მამაჩემმა არ მისცა, უთხრა:

– ნეტა ე ქაღალდს არ აოხრებდე ტყუილადაო.

შემდეგ ვაჟა მე მომიბრუნდა და მითხრა:

– მოიტა, შენ მაინც ერთი ფურცელი ამომიხიე შენი რვეულიდანაო.

რამდენიმე ფურცელი ამოუხიე და მივეცი.

წერა განაგრძო"... (24, 23).

ასეთ ნახევ-ნაგლეჯებზე დაწერილს ხომ ვერ მიიტანდა რადაქციაში. თბილისში ჩამოსული ქაღალდს იშოვიდა და აქ იწყებდა გადათეთრებას. მისი უახლოესი მეგობარი, საბავშვო პოეტი, შიო მღვიმელი, ვისთანაც ხშირად ბინაზეც ჩერდებოდა ხოლმე, იგონებს: „მთაში დაწერილ პოემებს, იქ რომ ვერ მოასწრებდა, აქ, თბილისში, ათეთრებდა ხოლმე. ვერ წარმოიდგენთ რამდენნაირ გაჭვარტლიანებულ ქაღალდზე ჰქონდა ხოლმე დაწერილი უშველებელი პოემა" (24, 177).

თბილისელი მეგობრები აძლევდნენ ხოლმე ქაღალდს, უგროვებდნენ, ატანდნენ, მაგრამ იმათაც ყველას უჭირდა, ვის რა ჰქონდა იმდენი, ვაჟასთვის საკმარისი მიეცა. იოსებ იმედაშვილი იგონებს: „ვაჟა წერაშიაც თავისებური იყო. ჩემს ბინაზე დაძინების დროს მეტყოდა:

– სანთელი და საწერ-კალამი დამიდგიო! – ასე იყო პირველ ხანებში, შემდეგ, რაკი მისი ხასითი ვიცოდი, სანთელ-საწერ კალამთან ერთად, ქაღალდსაც მოვუმზადებდი ხოლმე, მგრამ ვაჟა ხშირად ყაბალახიდან იღებდა ქაღალდს, როგორი ქაღალდიც უნდა შეხვედროდა, დასწერდა. უმეტესად კი ვაჟას ლექსები, პოემები, და სხვა მასალები უკვე მთაში დაწერილი ჩამოჰქონდა ხოლმე". (24, 121).

გულქანის გადმოცემით, ვაჟა-ფშაველა ხანდახან სიპებზე წერდა. ამას იმ შემთხვევაში აკეთებდა, როცა ქაღალდი არა ჰქონდა თან, ან საერთოდ აღარა ჰქონდა. მერე ქაღალდს მოიტანდა და იმაზე გადმოწერდაო.

არც ბარში და არც მთაში

სიცოცხლეში არც ბარში და არც მთაში დიდი გამორჩეული დაფასება არა ჰქონია ვაჟას. ზემოთაც ვთქვით, რომ მთაში „განუზომელი" ავტორიტეტით არა სარგებლობდა, როგორც ეს მცდარად მიაჩნდათ. მას მოლექსე-მოკაფიავენი თავსაც კი აჭარბებდნენ, რაკი ვაჟა ზეპირ კაფიაობაში ვერ უმკლავდებოდა, რას წერდა, ის კი ცოტამ იცოდა. ამას თვითონაც აღიარებდა. ერთ-ერთმა მოლექსე-მოკაფიავე ფრუშკა წვეროშვილმა ასეთი დამოკიდებულება ვაჟასადმი ლექსით ამოთქვა:

„არა მაქვს საწერ-კალამი, წერით არ ვიღლი მაჯასა,
მაგრამ რით დავუვარდები, რაზიკაშვილსა ვაჟასა".

თუმცა, მადლობა ღმერთს, იყვნენ ისეთებიც, ვინც იცოდა ვაჟას ფასი. ერთ-ერთ ასეთ პანკისელ მოლექსეს თუ ყრუვგიორგის ფრუშკასათვის საკადრისი პასუხი გაუცია:

„ტყუილად მოჰკვეხ, ფრუშკაო, იხრინწიანებ ხმასაო,
იჩემებ მელექსეობას, ლამაზი სიტყვის თქმასაო;
მოელი დიაცთ ქებასა, სახელის გავარდნასაო.
მოლექსე ისეთი უნდა, ვაჟა რო ჰყავდა ფშავსაო,
ჩარგალში სიტყვას იტყოდა ქალაქს აწვდენდა ხმასაო.
ვაჟას მნახველნი ფშაველნი აღარ ვინდომებთ სხვასაო.
მოდი, გაჩუმდი, ფრუშკაო, მოდი, ნუ იგდებ თავსაო".

სჯობნიდნენ კაფიაობაში და სოფლის საქმიანობაში ხომ სჯობნიდნენ და სჯობნიდნენ. აფხუშოში მცხოვრებმა ჟამიაშვილების ბებერმა გაიხსენა: ჩვენ მთაში სთიბდა ხოლმე და თივები სულ ულპებოდა, „თივის" აგება არ იცოდაო.

ინტელიგენციიდან კი ერთ-ერთი შემცნობი ვაჟას სიდიდისა, ყოფილა იმ დროს სრულიად ახალგაზრდა ქაიხოსრო (მიხეილ)

თეთრ ჩოხაში მიხეილ (ქაიხოსრო)
ზანდუკელი, ჯოხით ხელში ვაჟა

ზანდუკელი. ვაჟას თითქმის ყველა ფოტო (სამი-ოთხის გამოკლებით) მისი გადაღებულია.

„სოფ. არანისელ თავადთა ერთერთ შვილს მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტი დაუმთავრებია და იქვე დაუტოვებიათ სამუშაოდ. 1918 წელს ჩამოსულა საქართველოში და კურორტოლოგიის საქმეს ჩასდგომია სათავეში. გაუხსნია ბორჯომის, აბასთუმნის, მოგვიანებით (1937 წელს) თბილისის ბალნეოლოგიური საავადმყოფო. მაშინ ბერიას ამოუღია დასახვრეტთა სიიდან — მოამთავროს ეგ საქმეც და მერე დავხვრიტოთ, სად წაგვივაო. 1950 წლამდე უცოცხლია, იყო ცნობილი ფიზიოთერაპევტი.

გასაბჭოების დროს არანისში, თავის სახლში გაუხსნია საქველმოქმედო სკოლა, სადაც გიმნაზიადამთავრებული ქალები ასწავლიდნენ. იყო თურმე ხალხისთვის საყვარელი პიროვნება.

ეს გვიან. ვაჟას დროს კი მოსკოვიდან მივლინებით ჩამოდიოდა საქართველოს მთიანეთში, კავკასიაში ხალხური სამედიცინო მასალების შესაგროვებლად, გადასაღებად. ამისათვის მიცემული ჰქონდა ხისყუთივით დიდი ფოტოაპარატიც. მაშინ გაიცნო თურმე ვაჟა-ფშაველა ჩარგალში, გადაუღო რამდენიმე ფოტო, რაზეც თვით ვაჟაც ჩანს, დათანხმდა, ტანსაცმელიც გამოიცვალა, იარაღიც აისხა. ქაიხოსრო კი არ ეშვებოდა, ცდილობდა ბუნებრივ ყოფაშიც აესახა ვაჟა — ეუბნებოდა: შენ თავად არ იცი, რამხელა პიროვბეა ხარ, შთამომავლობისთვის, მომავალი საქართველოსთვის ძვირფასი იქნება შენთვის გადაღებული ჩემი ფოტოებიო. ვაჟა კი ბუზღუნებდა თურმე — ცოცხალი არავის ვახსოვარ, მკვდარი ვიღას გავახსენდები, ვის რაში დააინტერესებს ან ჩემი ნაწერები და ან ფოტოებიო. მომეშვი, შენ გამარჯვებას, ჩემ ბეჩაობას რაღა სურათებზე გადაღება უნდა, განა უმაგისოდ კი არ იციან. სირცხვილია, მომეშვი, თავი გამანებეო. ქაიხოსრო კი არ ანებებდა თავს და ამით, მართლაც, რომ ფასდაუდებელი საქმე გაუკეთა ერს. ორ ფოტოზე თავისი თავიც (თეთრ ჩოხაში) დაუფიქსირებია.

აქედან დაწყებული მეგობრობა ვაჟასა და ქაიხოსროს შორის, ბარშიც გრძელდებოდა. თბილისისკენ მიმავალ-მომავალი ვაჟა ღამის გასათევად ცხენს არანისისკენ შეაბრუნებდა, ეზოში

კაკლის ძირას ჩამოჯდებოდა და დამხდურთ ეტყოდა: ქაიხოსროს თუ სცალიან, გამოიხედოსო. ქაიხროსროც მაშინვე გამოვარდებოდა — რას ჰქვია მცალიან, ვაჟა-ფშაველას სტუმრობა ჩემთვის დიდი პატივიაო“. (ცნობა მოგვაწოდა ქაიხოსროს ჩამომავალმა მიკი (მიხეილ) ზანდუკელმა).

1961 წელს, ვაჟას იუბილე რომ აღინიშნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით და ჩარგალში დიდი ზეიმი ჩატარდა, ფშავლები გაოცებულნი იყვნენ: რა მოხდა, რა ძალიან დააფასეს ვაჟაო. განსაკუთრებით უკვირდათ ვაჟას თანამედროვეთ. აი, რას ამბობდა ერთ-ერთი მათგანი, ხეხერა ზურაბაშვილი: „მე და ვაჟა მეგობრები ვიყავით, ერთად გავიზარდეთ. ერთმანეთი გვიყვარდა. მხოლოდ ის კი არ ვიცოდი, თუ მას რაიმე დაფასება მოელოდა ხალხისაგან. ჩვენ მას სულ უბრალო ფშაველად ვთვლიდით. ჩვენ ვაჟა ისეთივე მოლექსე გვეგონა, როგორც სხვა ფშავლები იყვნენ.

ერთხელ შალვა ბაჩიაშვილისას ლუკამ თქვა: ხალხო, თქვენ რომ არაფრად მაგდებთ, მალე გაიგებთ, მე ვინცა ვარო. მე მაშინ დამაფასებენ, როდესაც მეფე და მისი მოხელეები აღარ იქნებიანო. ჩვენ, ზოგიერთებმა სიცილიც კი დავიწყეთ. აბა, რა ვიცოდით, მართლაც, როგორც თქვა, სწორედ ისე მოხდა. გვიანღა გავიგეთ, რომ მისი სიტყვა და ნიჭი ძვირფასი და პატივსაცემი ყოფილა”.(37, 112).

ეს ჩვეულებრივ, ვაჟასავით ღარიბი მთიელები არად აგდებდნენ ვაჟას. დროებისაგან წამოყელყელავებული მდიდრები, ბევრი ცხვრის პატრონნი ხომ საერთოდ არ უყადრიდნენ თავს. როგორც ყოველთვის, კაცობა ქონებით იზომებოდა მაშინაც. ქონებას და გონებას კი ერთად ვერასდროს გაუხარია, არ იყოს ომარ ხაიამისა.

ერწოელი გეჯა ბეწუკლიშვილი მდიდარ მეცხვარეებში მოიხსენიებოდა, შირაქში და ტარიმანაში ჰქუხდა მისი სახელი – ოციათასამდე სული ცხვარი ჰყავდა. მთაშიც ყველამ იცოდა მისი სახელი და ბევრი მინატროდა. ვაჟას მის გვერდით ვინ ახსენებდა. დღეს კი, მართლაც, აღარავინ იცის მისი სახელი. აქაც გამართლდა ვაჟას ნათქვამი...

გეჯამ თავისი შვილისათვის საცოლედ ვაჟა-ფშაველას ქალიშვილი თამარი ითხოვა. ქორწილის შესათანხმებლად ვაჟიანთ

მისვლა იყო წესი, მაგრამ გეჯამ არად ჩააგდო ვაჟა სიღარიბის გამო, თვითონ არ იკადრა მისვლა და ცოლი გაგზავნა. ვაჟას ძალიან სწყენია და გეჯას ცოლისთვის უთქვამს: რატომ გეჯია არ წამოვიდა? კაცთან კაცი უნდა მივიდეს, დედაკაცს რასა გგზავნიდა, აბა, თქვენ რა უნდა გითხრათო? თქვენ რომ გინდათ, იმ დროისთვის მე არ მცალიანო და ქორწილის დრო ერთი კვირით გადაუწევია. როცა შეხვედრილან, იმ ქორწილში იქნებოდა თუ სხვაგან, სხვა დროს, გეჯას ვაჟასთვის უთქვამს: „მენანები ღარიბი ხარ უსახელო მაჰკვდებიო”. ვაჟას ამაზე უპასუხებია: „მეც მენანები, მგლის ლუკმა არაფერ სახელია; შენ რომ მოჰკვდები, სულ მოჰკვდები, მე კი მკვდარიც ვიცოცხლებო” (ლევან ბოძაშვილი).

თიანეთის მამასახლის აბრამ აკობაშვილთან ერთი სტუმრობისა და ვახშმობის დროსაც ბევრი ისაუბრეს და „შემდეგ მამაჩემმა ჩემზე ჩამოუგდო სიტყვა:

– ეს ბიჭი ლექსების წერით არის გატაცებული და აღარ ვიცი რა მოუხერხო, არაფერზე გული აღარ უდგებაო.

– რა გინდა, რა უნდა მოუხერხო, წეროს, რას ერჩი, – უთხრა ვაჟამ.

– რა უნდა წეროს, რა დროს მაგის წერაა.

–სახბორეს სასკორავშივე შეეტყობაო, ნათქვამია. ჩემი მეგობრის ბიჭი გოგლა ლეონიძეც პატარაა, მაგრამ ისეთ ლექსებს წერს, რომ ... – უთხრა ვაჟამ. – დე, ამანაც წეროს, რა გინდა?!

– ღლაპის დაწერილი რა უნდა იყოს.

– ეგ თუ ღლაპია, შენ ხომ ღლაპი აღარა ხარ, რატომ არა წერ?

– შენ რა სიკეთეს მოეწიე შენი წერით, რომ ახლა მე დავიწყო წერა. რა ყრია მაგ წერაში, სიღარიბიდან ვერ ამოსულხარ...” (24, 26).

ვაჟას თუ პატივს სცემდნენ და უყვარდათ, ისევ კარგი ვაჟკაცობის გამო: შეუპოვარი იყო და იარაღის კარგი მომხმარე, კარგი მსროლელი. კიდევ იმიტომაც, რომ ნასწავლი იყო. მაგრამ ყოველივე ამის გამო ჯიბრშიც ედგნენ, ექიშპებოდნენ. თითქოს უნდოდათ ეგრძნობინებინათ, შენ ჩვენზე მეტი არა ხარო. ვაჟას მიმართაც გაცხადდა ხალხურ ლექსში ასახული მწარე რეალობა:

„კარგ ყმასა შურობს სოფელი,
იტყვიან: კარგი რად არი"...

მართალია, პატივსაც სცემდნენ, მაგრამ იმაზე მეტად არა, როგორც სხვა ყველა გამორჩევით კარგ კაცს, კარგ ვაჟკაცს, ხოლო ბევრს რომ ვაჟაზე მეტად „ხმა-სახელიან" კაცად თვლიდნენ, „მხარ-კვერიან" არწივებად, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათდამი ბრწყინვალე ლექსები აქვთ მიძღვნილი, ვაჟასადმი კი ლექსი არ მიუძღვნიათ – ხალხურ სიტყვიერებაში მაშინდელი არსად რაიმე გაიგონება.

მთიელნი თითქოს ჯიბრით ხშირად ისეთ რამესაც კი აკადრებდნენ, რასაც სხვას ვერ გაუბედავდნენ.

გარდა ზემოთ მოხსენებული ფაქტებისა მჟავეწყალთან და მეტყევეებთან დაკავშირებით...

... ერთ-ერთ დღეობაში, 1905 წლის გამოსვლებთან დაკავშირებით ხალხში აგიტაციას რომ ეწეოდა, ვიღაცამ მის გასაგონად ჩაილაპარაკა: ტყვია ამას უნდა შუბლში, ხალხს სათავისოდ აბრიყვებს, ხელმწიფობას თვითონ მოინდომებსო.

... არჯალაანთ ქალთამზემ ვაჟას ხბორები თავის გომურში შეამწყვდია – ყანაში რატომ შეუშვიო, ვაჟა კი შუბით დაიფრინა. ახლა ქალთამზეს ქმარი ბეკური გამოუხტა ხელხანჯლიანი.

... მეზობლის დედაკაცმა დუთამ ვაჟას მიერ აგროვებული ნარიყი წამოიკიდა და წამოიღო, ვაჟას კი დაემუქრა, სუ, თორემ ვიტყვი მოლოდინაანთ სალომეს ლოყაზე რო მოუცაცუნეო.

... ფიდუაანთ ბაია ქორწილში წამოეპარა და ყბა-ყურში ლეწა – თურმე ბრაზი რატომღაც მოუვიდა.

... ბოწახში ბიძაშვილმა კეტი დასცხო თავში ზურგზე ძნააკიდებულს და თავის ტვირთიანად დააგორა – ბიძას მე ვინახავდი და მისი დანატოვარი ყველაფერი ჩემიაო.

და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი ამისთანა და ამაზე უარესი უკადრებიათ ვაჟასთვის თავისსავე თანასოფლელთ, თანამოძმეთ, კაცისთვის, ვისაც ვაჟკაცობაში ტოლი არავისთვის დაუდვია, ბეწვისოდენაც არავისთვის შეურჩენია, თავზე ბუზიც კი არ დაუსვამს. იმ ვაჟასათვის, ვინც ახალგაზრდობაში მუშტიკრივსა და ჭიდაობაში ტოლების ფალავანი იყო.

... იმ ვაჟასთვის, ვინც პეტერბურგში ყოფნისას თავის ძმა

გიორგისთან ერთად რესტორანში ატეხილი ჩხუბის დროს ოცდახუთ კაცს გაუმკლავდა, ხოლო მათ შორის ერთ-ერთ მათგანს, ევროპის ჩემპიონს კრივში. მას ისეთი მუშტი შემოჰკრა ვაჟამ ფერდში, რომ მოცელილი ბალახივით დაეცა და სამი დღე კომპრესებს იდებდა.

...იმ ვაჟას, ვინც შირაქის საქმეებთან დაკავშირებით შემდგარ სასამართლო პროცესზე უსამართლობის დამცველი თუში ადვოკატი ცისკარიშვილი ბარაქიანი სილით გაშხლართა იატაკზე.

... იმ ვაჟასთვის, ვინც... გასული საუკუნის ბოლოს რუსეთში გამოჩნდა „ახალი ერმაკი", კაზაკთა ატამანი აშინოვი. მსგავსად ერმაკისა, რომელმაც ციმბირი მიუძღვნა რუსეთის მეფეს, აშინოვი პირობას დებდა, მე ჩვენს რუსეთის იმპერატორს ინდოეთსა და ეგვიპტეს მივართმევ ხანჯლის წვერითო. რუსეთის პრესა ხოტბას ასხამდა მას, გმირად ნათლავდა და შეხვედრებსაც ზარ-ზეიმით უწყობდნენ. ასეთი შეხვედრებისა და ოვაციების იმედით ჩამოვიდა თბილისშიც. „ივერიამ" კი სასაცილოდ აიგდო ეს '„გმირი" – იუმორისტული ფელეტონი გამოაქვეყნა. აშინოვი მეორე დრესვე მივარდა რედაქციაში, ხანჯლის ტარი ჩაბღუჯა და რედაქტორს თვალები დაუბრიალა: ახლავე საბოდიშო წერილი დაწერეთო. „რედაქტორი გაფითრდა, მე კი შევშინდი, – იგონებს აკაკი წერეთელი, – მაგრამ ახალგაზრდა მთიელი ვაჟაფშაველა უცებ წამოხტა, სტაცა აშინოვს კისერში ხელი, მაღლა აიტაცა და უყვირა: ვის აშინებ შენ ხანჯლითა?! ჰკრა პანღური და კიბეზე დააგორა. ეს ცრუ „გმირი" იმავე დღეს სადღაც გაქრა თბილისიდან".

ფშავში კი თავის შეუგნებელ თანამოძმეებს ხელს არ უქცევს, უთმობს, ჭკვას არ აყოლებს.

... შუბით გამოვარდნილ ქალთამზეს სიცილით გამოექცა – ქალს ხომ ვერ შევებრძოლებოდიო.

... ფიდუაანთ ბაია შეაქო გამბედაობისათვის, გაუღიმა – არ მეგონა თუ მაგხელა გული გქონდაო და ფეხზე წამოჭრილი, გულნატკენი დაჯდა.

... ხალხს ვაჟას მოკვლისკენ რომ მოუწოდა ხატში, იმ ფშაველს სინანულით ესღა უთხრა:' „მე თქვენთვის ვიბრძვი თქვე თხისტყავიანებოო!"

იცოდა ვაჟკაცობის ფასი ვაჟამ. თუ ისეთი კაცი გამოამჟღავნებდა სიმამაცეს, ვისგანაც არ ელოდა, დანაშაულს აპატიებდა, აღარ გააბურთავებდა.

ვაჟა თბილისში ჩამოსულა ცხენით თავისი უმცროსი ძმის სანდროს წასაყვანად. შემოუსვია ცხენის გავაზე და გაუწევიათ მთისაკენ. სადღაც სოფლის ორღობეში ერთ ვენახიდან მომავალ გლეხს თავისდაუნებურად ცხენი დაუფრთხია ვაჟასათვის. ძლივს დაუოკებია თავისი ნიკორი და დამნაშავისთვის მათრახის გადაჭერა მოუნდომებია. გლეხს ბარი შეუმართია: დამკრავ და ისე დაგკრავ, რომ მეტიც არ მოგინდესო! ვაჟას მათრახი დაუშვია და გასცინებია. მერე უთქვამს სანდროსთვის, ვაჟკაცი ყოფილა, ვაჟკაცს მათრახს როგორ დავკრავდიო, მაგრა დამიხვდაო.

ავადმყოფობით გატანჯულ ვაჟას რა ტანჯვის ფასად უხდებოდა მოსავლის მოყვანა, გაიხედავდა და მის ჯეჯილში ხბორები შეუშვიათ, ყანას მომკიდნენ და ძნაზე საქონელს ვიღაცა მიუშვებდა, აჭმევდა, უნადგურებდა. სახლის მაღლა, შარის თავზე თავისი სასიმინდე ეზო შემოღობა, ზოგიერთები კი შარაზე ვერ ეტეოდნენ და მაინცა და მაინც იმის მამულზე წადინობდნენ მარხილის ჩამოტარებას, ღობეს უშლიდნენ. თოფით გამოუვარდებოდა ვაჟა და გარბოდნენ, თუ გაასწრებდნენ. ბოროტებსა და ცუდ კაცებს ვერ იტანდა ვაჟა, ამიტომ თუ ვისმე წაეჩხუბებოდა, ბოლოს კი ბოროტება და ცუდ კაცობაც ვაჟას თვითონ დასწამეს – ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო. გულის მოკვლა კი ის იყო, ჩარგლელთა ერთმა ნაწილმა ვაჟას თემ-სოფლობიდან მოკვეთა განიზრახა. ამ უმსგავსობას 70 წლის შემდეგაც აღშფოთებით იხსენებდა გულქანი: „მაშინისა მენ თვრამეტის წლისა ვიყავ... ჩვენს სასიმინდეზე გზა დადეს. გაუწყრა მამაი, ბეჩავი... იმაზე იკვეთეს. აგერაი, აი, გაღმა ფოცხვერაანთ კაკლებს ეძახდიან, იმის გრილოში ისხდიან, ოქმებს რასამა სწერდიან. ბოწახით მაიწვიეს ტიღუნაი, მამაშჩემს ეჯიბრებოდის, დიდკაცი ვარო მითამაო, მენ უფრო კარ ცხენ მყავისო, ვაჟაის ცხენს ჩემ ცხენ სჯობავისო... იქით ეძახდენ მამასა. მამაი კიდენ დერეფანში იდგა, პაპიროზსა სწევდა. რაზიკაშვილ გრიგოლ მოვიდა, აი, მაღალი. მამაშჩემმა ჰკითხა: რასა ყრანტალებენო?

– რასა და შენ გიკვეთენო; გახე, ან შენა, ან ეგ ხალხიო!

– აი, საცოდავებიო, – გაიცინა მამამ, გაუბერნა პაპიროზსა, – აი, ეგ კატებიო. ეგენ დაინახვენ ხალხი მლოცავივით მოდიოდეს ჩემ კარზედა, თავად კატებივით სად შაძვრებიან, საით დაიწყებენ გამოხედვასო... ოოო... ცუდ ხალხია. მარტო აეს მოლოდინანი, ბესუანი, ჩოლანი, ბაჩანას შვილები – სხვები სუ საითამ მოყრილებია”.

ვერ გაეგო, რა ჭია ულრღნიდა გულს ამ ხალხსა, რა უნდოდათ მისგან, რას ერჩოდნენ, რატომ ედგნენ ჯიბრში. წყენას და ბოღმას, მთიდან თუ ბარიდან ზღვათაოდნად მომსკდარს, გულში იბრუნებდა და რა გული უძლებდა. ამაყი იყო ვაჟა, ქედუხრელი და მიტომ უფრო უჭირდა, ამიტომ უფრო ძნელი იყო მისთვის ამოდენა სირეგვნის, უმადურობის ატანა. უჭირდა იმიტომ, რომ მეტისმეტად მგრძნობიარე იყო. ბუნებას უგებდა, ხეს, ქვას, ადამიანებს კი ვერაფერი გაუგო.

იმაზე დიდი ტრაგედია რა უნდა იყოს შემოქმედისათვის, როცა მისი ნაღვაწი, მისი ერთგულება და თავშეწირვა არავის ესმის, „ვერას აგონებს მშობელსა”.

ვაჟა თავის დღიურებში წერდა: „სხვას რა დავემდურო, როცა ჩემი ცოლიც კი მე დამცინის, ისიც ბეჩავს, საცოდავ კაცს მეძახის. რა მითხრა იმ დღეს? ნეტავ ერთი ნაჯახი მამცა, შენთვის თავში დამერტყა, რომ ეგები მაშინ მაინც გადმოგცვივნოდა თავიდან ეგ რაღაც უბედური აზრები გილაგიაო. დედაკაცი არ არის? ამას აზრები კარტოფილი და ჭარხალი ჰგონია! ვითომ იმას ის აწუხებს, ის აღონებს, მე რადა ვარ აზრებისაგან დაღონებული, რად ვიტანჯები?”

ოჯახი დღენიადაგ მძიმე ფიზიკურ შრომას ითხოვდა, გათენებიდან დაღამებამდე ოფლის ღვრას, ვაჟას კი ათასი ფიქრი და აზრი საწერისაკენ ეწეოდა, იტანჯებოდა, იხრჩობოდა. თავის მეგობრის მიქაბერიძისათვის ესეც შეუჩივლია: „ქართული ლიტერატურა, აბა, როგორ უნდა განვითარდეს, როცა მწერლებს ლუკმა-პურის ძებნაში სული ამოსდით! ჩემი დღენია ვწერ და, რამდენადაც ვიცი, ქართულ საზოგადოებას მოსწონს ეს ჩემი ნაწერები, მაგრამ რა გამოვიდა! სული კბილით მიჭირავს. ჩემ ნივთიერ გაჭირვებასა და შევიწროებას ბოლო არ უჩანს”.

ძალიან უჭირდა ვაჟას, მაგრამ ყოველივეს იტანდა გენიოსის

უზრუნველობით, გმირის მოთმინებით, რადგან იცოდა თავისი და თავისი შემოქმედების ფასი. იცოდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ხალხი დაინახავდა, გაიგებდა ვაჟას ნაღვაწს. სიდუხჭირის ატანა იმათ უჭირთ ხოლმე, ვისაც სხვა არაფერი აქვთ იმედად, არაფერი რჩებათ. ჩვეულებრივ მოკვდავთ ასეთი თავგანწირვა არ შეუძლიათ. მათ მხოლოდ სხვისგან განცდილი მძიმე ცხოვრება თუ თავგანწირვა მიაჩნიათ რომანტიკად, სხვისა ჭირის შორიდან ცქერა. „შორიდან კი მაშინაც და ახლაც რომანტიკულად მოჩანს ვაჟას მთაში ყოფნა და ჩარგლიდან თბილისში „ხურჯინით ჩამოტანილი" ლექსები, მაგრამ ნამდვილად კი პოეტური იყო ფშავის ხევში ჩაკეტვა და შემდგომ არსებობის შენარჩუნებისათვის მიწასთან გამუდმებული ჭიდილი? ამჟამად ორი საათის სავალია ჩარგლამდე, მაგრამ ვაჟას სულ მცირე ორი დღე მაინც სჭირდებოდა თბილისში ჩამოსასვლელად. მით უფრო ჭირდა მიმოსვლა ზამთარში. პოეტი იძულებული იყო თვეობით მოქცეულიყო ფშავის მთებს შორის და მხოლოდ ეოცნება თბილისის ლიტერატურულ გარემოში მოხვედრაზე, რომელიც მისი არსებობის შინაარსიც იყო და პირობაც. თვითონ ვაჟას რომ დავუთმოთ სიტყვა, ვნახავთ, პოეტს სოფელი და პროვინცია შემოქმედებითი ცხოვრების ბორკილად ესახებოდა და არა შთაგონების წყაროდ, როგორც ხშირად აცხადებენ ხოლმე. „პროვინცია, სოფელი ჩვენში მხოლოდ სმა-ჭამისთვის არის გაჩენილი, თუმცა გერმანიაში როგორც ამბობენ, დიდს ქალაქებს იმდენი ღვაწლი არ მიუძღვის მეცნიერების წინაშე, რამდენიც პროვინციას. ჩვენებური პროვინცია კი ისეა მოწყობილი, რომ, თუ რასმე გონებრივს თანხას მოიყოლებ იქ, ისიც იქ შემოგეხარჯება და დარჩები ისეთივე გამოყრუებული, როგორც სხვანი მრავალნი... უბედურება ის არის, რომ სმა-ჭამაში იპოვნით ამხანაგს და საგონებრიო საქმეში კი ამფსონი არავინ გრჩება შენი თავის მეტი. მარტოკა კაცს არა მარტო საქმე, თავის თავიც კი მოსძულდება. ასე ოხრად, აზრის უაღებ-მიცემოდ დარჩენილი კაცი ან სულ დაიჩაგრება, იმედს ჰკარგავს, უარჰყოფს თავის ძალ-ღონეს და ან ბრძნად, მეტისმეტად ჭკვიან კაცად წარმოიდგენს თავს" (13, 49).

მართლაც, გასაოცარია, რატომ თვლიდნენ ან მაშინ, ან ახლა, რომ ვაჟას მაინცადამაინც მთაში უნდა ეცხოვრა დუხჭირი ცხოვრებით, რათა დაეწერა, ის რაც დაწერა? რომ ჰქონოდა შესაძლებლობა და ზამთარი მაინც თბილისში გაეტარებინა და ზაფხული მთაში, როგორც თვითონ ფიქრობდა, რატომ არ იქნებოდა უმჯობესი? ყაზბეგმა თბილისში არ დაწერა, რაც დაწერა?

უჭირდა ვაჟას და დუხჭირი ცხოვრებისაგან ხსნას მაინც თავის განათლებაში, მწერლობაში ეძებდა. თვალი ბარისაკენ ეჭირა, იმედს რაიმე სამსახურის შოვნაზე ამყარებდა, მაგრამ ამაოდ. ყურსაც არავინ იბარტყუნებდა. სავაჟაოდ არავინ რაიმე გაიმეტა, არაფერი გამოიძებნა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ციმბირის წყლულმა შეურყია კლდესავით ჯანი, თხოვნა შეუდგენია თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის რექტორის სახელზე, რომელშიც ითხოვდა გიმნაზიის „ეკონომის" ადგილს, ილია ჭავჭავაძისათვისაც აპირებდა შუამდგომლობის თხოვნას, რათა დაენიშნათ ამ ადგილზე, მაგრამ შემდეგში გადაუფიქრებია.

თიანეთში მომრიგებელი მოსამართლის ადგილზე რომ ტყუილად ააბირეს, ეს ზემოთ ვნახეთ.

1909 წელს ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორს მარიამ დემურიას სწერდა: „ძვირფასო დაო, მარიამ! ერთ მოთხრობას გიგზავნი, თუ მოგეწონებათ, დაბეჭდავთ, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. სალაპარაკო და სათხოვარი ჩემი თქვენთან სულ სხვაა: მე სოფლად ცხოვრება აღარ შემიძლიან, უნდა ამიერიდან ქალაქში ვიცხოვრო. ფიზიკურმა შრომამ გამტეხა წელში, თანაც ვბერდები, ერთი დღე რომ ვიმუშაო ერთი კვირა უნდა ვიწვე, ეხლაც ავადა ვარ, უსათუოდ ექიმი და წამლობაა ჩემთვის საჭირო. უნდა, თუ შევძელი, ამ მოკლე ხანში ჩამოვიდე თბილისში და თავის თავს მოვუარო. ჩემმა სოფლად ცხოვრებამ ბევრი არც არაფერი სოფელს არგო და მე ხომ დამაუძლურა ყოველმხრივ: ნივთიერად, გონებრივად, ფიზიკურად და თითქმის ზნეობრივადაც კი. ამიტომ გადავწყვიტე ვიშოვო ისეთი რაიმე სამუშაო (დიდს ჯამგირს არ დავეძებ), რომ იოლად გამოვიდე და ზაფხულობითაც ერთი-ორი თვე თავისუფალი დრო მქონდეს. ვინაც სიყრმიდან აქაურ პირობებში აღზრდილა, შეჩვეულა აქაურ საქმეს, ჯერ ისინი ვეღარა სძლებენ აქ, მიეშურებიან ბარად, შირაქში თუ სხვაგან და მე რის პატრონს, როგორ შემიძლია აქ ცხოვრება?

გარდა ამისა, შვილებიც უსწავლელი მრჩება. მეყოფა ამდენი ძაღლ-უმადური ცხოვრება. საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატრონოს".

ამ წერილის გაგზავნაც გადაუფიქრებია ვაჟას. ჩანს, ვეღარც ბარში, ქალაქში, ცხოვრება წარმოედგინა თავისი. ოჯახს რას უზამდა, რით აცხოვრებდა იქ. სოფლურ ყოფას მიჩვეულნი როგორ შეეგუებოდნენ თბილისს. შეიძლება მეუღლე თამარიც იყო წინააღმდეგი.

ვაჟა რომ საზოგადოებისაგან ყურადღებას ითხოვდა, ამას ისე ნუ გავიგებთ, თითქოს დიდი წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე და რაღაც განსაკუთრებულ დაფასებას მოითხოვდა, რაღაცა პრეტენზიებს აცხადებდა. არა. როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, ვაჟა ძალზე მორიდებული ყოფილა, თავმდაბალი, უბრალო. ერთხელ, თბილისში ყოფნისას აჩქარებით შესულა სანდროსთან და პაპიროზისათვის მოუკიდებია: ძალიან მომინდა, მაგრამ ქუჩაში ხომ არ გავაბოლებდიო.

ვაჟა ძალზე ცოტას ითხოვდა, მინიმუმს, იმის მეათედს, რაც ეკუთვნოდა და რასაც არ აძლევდნენ, მაშინ, როდესაც მის თვალწინ სხვა დაუმსახურებლად ათმაგს იღებდა. თუნდაც ის რა იყო, რომ რედაქციის თანამშრომელნი და ზოგიერთი „წარმატებულნი" მწერალნი სამჯერ მეტ ჰონორარს იღებდნენ, ვიდრე ვაჟა.

საზოგადო მოღვაწე გიორგი ლასხიშვილი იგონებს:

„როცა „ივერიაში" ვმუშაობდი, აკაკიმ რამდენჯერმე ლექსები მოგვიტანა დასაბეჭდად, ჰონორარს კარგს ვაძლევდით. არ მახსოვს რამდენს, მაგრამ ჩვეულებრივზე ბევრად მეტს. მაგალითად 3-4 ჯერ მეტს, ვიდრე ვაჟა-ფშაველას"... ილიას განკარგულება მოეხდინა — აკაკის მიეცით, რაც მოითხოვოსო. მიუხედავად ამისა, აკაკი მაინც უკმაყოფილო იყო. მე თვითონ გამიგონია მისგან: „ივერიაში არაფერს მაძლევენო" („მემუარები", ტფილისი, 1934 წ. გვ. 260.).

თბილისის საზოგადოებისაგან რამდენი უგულებელყოფა და არად ჩაგდება ჩანს ვაჟასი თუნდაც იმ ფაქტიდან, ალექსიმესხიშვილის საიუბილეოდ სპეციალურად მთიდან ჩამოსული ქუჩაში რომ აყურყუტეს.

ვაჟა იმ იუბილისათვის, რომელიც 1913 წელს ჩატარდა, სპეციალურად მომზადებულა. მის ლექსზე ნიკო სულხანიშვილს მუსიკა დაუწერია და გუნდი მოუმზადებია, რომელსაც დიდი აღტაცება გამოუწვევია. ვაჟას განზრახული ჰქონია იუბილეზე ლექსის წაკითხვა, მაგრამ მისთვის არა თუ მონაწილეობა მიუღებინებიათ, არამედ საღამოზე დასასწრები ბილეთიც კი არ დაუხვედრებიათ. ვაჟას ქუჩაში უცდია საღამოს დამთავრებამდე. როგორც კი დამთავრებულა საღამო და ნ. სულხანიშვილი და დ. პავლიაშვილი გამოსულან, ვაჟას ეტლში ჩაუსხია ისინი და ვერის ერთ სარდაფში ჩაუპატიჟებია.

„– ნიკო, – უთქვამს ვაჟას, – მე ღირსი არ შევიქმენ მესხიშვილის საღამოზე მიპატიჟებისა, ამიტომ კარში დავრჩი და მხოლოდ ველოდი შენს გამარჯვებას. მართლაც, ბრწყინვალედ გაიმარჯვე და მიხარია, მხოლოდ ერთს გთხოვ: „ტაშს არ აჰყვე, ტაშს დაგიკრავენ და მშიერს მოგკლავენ".

ფშაურად ჩაცმულ, გლეხური გარეგნობის ვაჟას თავის საზოგადოებაში გარევა იმათ, ვინც უმეტესობას წარმოადგენდა ასეთ საღამოებზე, არა სიამოვნებდათ, თაკილობდნენ. „ბრწყინვალე" საზოგადოებით სავსე თეატრის შენობაში კი არა, ცხენის ტრამვაიში, „კონკაშიც", კი არ ეხდინებოდათ იმათ, ვინც არ იცნობდა. უცნობთ ვაჟა ვიღაცა სოფლელი გლეხი თუ მწყემსი ეგონათ ხოლმე. ამას, ალბათ, მის გლეხურ, ჩაშავებულ, დაკორძებულ ხელებზეც „ხვდებოდნენ".

... ფშავიდან ჩამოსული ვაჟა სადგურიდან „კონკას" გამოჰყვა ვერისაკენ, ხურჯინი აიტანა და დაჯდა: სანდროსთან მიდიოდა. ერთ-ერთ გაჩერებაზე ვინმე კნეინამ დააპირა ამოსვლა, მაგრამ თავისუფალი ადგილი რომ არ იყო, უკანვე ჩავიდა. მედროგემ ვაჟას უყვირა: ჩაიტანე ეგ შენი ხურჯინი და ჩადი – ადგილი დაუთმე კნეინასო!

– რადა, ძმაო, მეც კაცი ვარო, – ბრაზი შეიკავა ვაჟამ. მედროგემ ვაჟას დაბალი ტონი ქალაქში მოხვედრილ სოფლელთა სიმფრთხალედ მიიღო და უფრო გაბღენძილმა უყვირა ვაჟას, ჩაეთრევი თუ არაო და მისი ხურჯინი ძირს გადაუძახა. ვაჟამ არც აცია, არც აცხელა, ბარაქიანი სილა მოუნიავა და ხურჯინს მიაყოლა თავდაყირა. გონს მოსულმა მედროგემ პოლიციელს მოუხმო და „შეუგნებელი სოფლელის" დასჯას ითხოვდა. პოლიციელი მედროგესავით ბრიყვი არ აღმოჩნდა. როცა გაიგო, რომ

სოფლელი ვაჟა-ფშაველა იყო, მედროგე დატუქსა.

„საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავიო", – წერდა ვაჟა და ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მისთვის ნათელი იყო – საზოგადოებას არაფრად ეფასებოდა მისი თავი. მიხეილ ლობჟანიძისადმი საპასუხო პირად წერილში ვაჟა წერდა: „აკაკის დაკრძალვა დიდებული იყოო – მწერ. დარწმუნებული ვარ, ფიცი არაა საჭირო. ჩვენის მოღვაწეების დამარხვაში ქართველები დიდს ნიჭსა და უნარს ვიჩენთ, ხოლო სიცოცხლის დროს იმათ დაფასების უნარისა რა მოგახსენო; ჩემთვის, მგალითად, დასაკრძალავი ალაგი ოცი წელია მას შემდეგ, რაც აიჩინა, დაინიშნა და შემოიფარგლა, ხოლო ამ ოცი წლის განმავლობაში სად, როგორ ვცხოვრობ, არავინ არ იცის. ასეა, რა გაეწყობა, ყველაფერს დრო და გამოცდილება უშველის და გაასწორებს მრუდად ნაჩორკნს საქმეს"...

საზოგადოებას როცა ვახსენებთ, მხედველობაში გვყავს თბილისის ე. წ. მაღალი საზოგადოების ის ნაწილი, ვისაც შეეძლო ვაჟას სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „მორალური და ნივთიერი მხარდაჭერა", თორემ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა იმთავითვე გაუგო ვაჟას. ბევრს ესმოდა ვაჟასი, გულიც შესტკიოდა, მაგრამ სამწუხაროდ მათ არაფერი შეეძლოთ. პეტრე უმიკაშვილიც ზოგიერთი სხვა ამგვართა მსგავსად, წუხდა, განიცდიდა ვაჟას მდგომარეობას. მას მთაში მიუწერია წერილი ამბის გასაგებად, შესახმიანებლად. პასუხად ვაჟა სწერდა: „მადლობა ღმერთს, თუ ერთ ადამიანს მაინც ვახსოვარ. დიდად გმადლობ, რომ გადარდებთ ჩემი ყოფნა-მდგომარეობა. ნეტავი ისე სხვას ადარდებდეს. მკითხავთ როგორა ვარ, რას ვფიქრობ, რას ვწერ. უნდა გატეხილი გითხრა, ვერა ვარ კარგად ვერც ერთის მხრით, უფრო კი ზნეობის მხრით. ხანდახან ჩემს თავს ვგმობ, რატომ მეც, როგორც სხვებმა არ ვიფიქრე ცხოვრებაზე, არ ვუგორდი ლეკვივით დიდთა ამა ქვეყნისათა, არ ვულოკე ფეხები, არ ვულაქუცე, მაგრამ თავს ამით ვმართლულობ, არ შემეძლო მე ასეთი თავის დამდაბლება და არც ეხლა შემიძლიან"...

საზოგადოებისაგან ასე გულდათუთქულ ვაჟას მომავალზე ჰქონდა იმედი დამყარებული, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მისი დროც დადგებოდა:

„მაგრამ გაიგებთ ერთხელაც,
ვინ ახლო ვდგევართ ღმერთთანა".

ვაჟას მიმართ ასეთ უსულგულო, ასეთ აბუჩ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით ზოგიერთი მთიელისას, როცა ვისმენდი ან სადმე ამოვიკითხავდი, ბევრი რამ ჩემთვის (და, რაღა თქმა უნდა, სხვისთვისაც) მაინც გაუგებარი რჩებოდა. გასაგებია ის, რომ მეფის რუსეთის მთავრობა ათვალწუნებით უცქეროდა, მაგრამ ვაჟას შეურაცხმყოფელ ბევრ ქართველს, ბევრ მთიელს ხომ მთავრობასთან არაფერი აკავშირებდა? ისინი რაღას ერჩოდნენ ვაჟას?

და, აი, 1991-1992 წლების მიჯნაზე, ჩვენი ეროვნული მთავრობის დამხობის შემდეგ ეროვნული ძალების დევნამ, ბევრი უმსგავსობის საკუთარ თავზე გამოცდამ, ყველაფერი ნათელი გახადა: ვაჟას ერჩოდნენ, როგორც ილია ჭავჭავაძის მიმდევარს – „ილიელს". ეს ხომ მაშინ იგივე იყო, რაც ჩვენ დროში ზვიად გამსახურდიას კურსის (იგივე ილია ჭავჭავაძის კურსის) ერთგულება ანუ „ზვიადისტობა". ყოველივე ხომ, საოცარი სიზუსტით განმეორდა.

მეფის რუსეთის ჩუმი თვალთვალი, ჩუმი ბრძოლა ვაჟასა და სხვა ეროვნული დამოუკიდებულობისათვის თავშეწირულთა მიმართ რა სახსენებელია თვით ქართველ „ახლებურად მოაზროვნეებთან", ვინც მთელი სისასტიკით, აშკარად სპობდნენ „ძველებურად მოაზროვნეებს", „ნაციონალისტებს", „კლასობრივ მტრებს" და ა.შ. ჩანს ის, ვინც ცდილობდა „უფროსებისათვის" ესიამოვნებინა, მათი წყალობა დაემსახურებინა, ანდაც თავი ახალი დროის კაცად წარმოეჩინა, ამასთან ერთად თავისი ღრძო გულიც მოეფხანა, თავს ვალდებულად თვლიდა ვაჟასთვის ემტრო, აბუჩად აეგდო. თავისი უფროსი ძმაც კი, აქაოდა ვაჟას ძმობით არაფერი შარი მომიდონ, ეს „ქერის ორმო" არ დამაკარგვინონო, ქვეყნის დასანახად შემთხვევას არ უშვებდა, რომ ვაჟა დაემცირებინა. ჩანს, დახმარებასაც იმიტომ არ უწევდა. ვიღაცა სოფლის მახინჯი ვაჟკაცობას მოიწადინებდა, ვაჟას ცემით ყოყოჩობას და სულ არაფრის გამო სილას გაულაწუნებდა. იცოდნენ უკვე ჯანგატეხილი ვაჟა საკადრის პასუხს ვერ გასცემდა, ამისთვის მათ არც პასუხს ვინმე მოსთხოვდა და... „დაჭრილ არ-

წივსა” თუ „ბებერ ტოტიას” ეხლა თვითონ დაემსგავსა. იყვნენ ისეთებიც, ვინც ვაჟას დაცვას ცდილობდნენ, მაგრამ ისე ცოტანი იყვნენ, რომ საამისო ამინდს ვერ ქმნიდნენ.

მიუხედავად ასეთი უსულგულო, გულგრილი და ზოგჯერ დანაშაულამდე მისული დამოკიდებულებისა, ვაჟას გული მაინც ვერ გაუავეს. ზურგი არ უქცევია მას არც საზოგადოებისა და არც ქვეყნისათვის. მისი დიდბუნებოვანი, ვაჟკაცური სული არ დაწვრილმანებულა, ვერ დათრგუნა ამქვეყნიურმა ამაოებამ. ყოველივე ამის საპასუხოდ ვაჟა მაინც ცას შესცქეროდა და ისე ამბობდა:

„დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე, აქა ვარ ჩემი თავითა,
გულითა გაუტეხელი, მოუღალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკერძო, ბილწთ არ შევეკვრი ზავითა,
მცნებას ვერ შემაცვლევინებ მოზღვავებულის ავითა!”

ვაჟას ასეთი ცხოვრებიდან, ვაჟას საზოგადოებასთან ასეთი დაპირისპირებიდან გამომდინარეობს ის ზოგადსაკაცობრიო პრობლემა, რასაც პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა ჰქვია და რაც ასე მძაფრად აისახა მის შემოქმედებაში. უდიდეს ჰუმანიზმთან ერთად ვაჟას მთელი შემოქმედება აღბეჭდილია პიროვნების ღირსების დაფასების პათოსით.

ქართული ლიტერატურისათვის უბრალო თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რომ დაკვირვებულმა მკითხველმა ერთი რამ შეამჩნიოს: ბევრი მწერალი (ან მწერლის ზოგიერთი ნაწარმოები) ისე ვერ არის, ან ისე არ არის გაგებული, როგორც ამას ჭაშმარიტება მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველას შესახებ ბევრი გამოკვლევაა დაწერილი, გამოკვლეული ჯერ კიდევ მაინც ცოტაა. ამ ზღვა ნაკვლევ-ნაძიებში გამორჩევით ფასეულია გრიგოლ კიკნაძის ფუნდამენტური მონოგრაფია „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება”, რომელიც 1957 წელს დაიბეჭდა. (ავტორს ამ ნაშრომით სადოქტორო დისერტაციის დაცვა ცეკას მითითებით ჩაუგდეს 1945 წელს). ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ იწყება ვაჟას სწრაფი აღმასვლა, ბოლოს და ბოლოს, ვაჟას ნააზრევის

ძირითადად სწორი გაგება. თუ მანამდე ვაჟასადმი წაყენებული იყო ბრალდებები კუთხური მელექსეობისა, ანიმისტობისა, თემური ყოფის აპოლოგეტობისა, ქართული ენისა და მწერლობის ხუთი საუკუნით უკან დაწევისა და სხვა ამგვარები, გრ. კიკნაძის ხსენებული ნაშრომით ითქვა, რომ ვაჟა ყოფილა უდიდესი მოაზროვნე, უდიდესი ჰუმანისტი, მსოფლიო მნიშვნელობის მწერალი და ილიასა და აკაკისთან ერთად ფუძემდებელი ახალი ქართული სალიტერატურო ენისა. ახსნილია ვაჟას ორიგინალურობა და განუმეორებლობა, როგორც ბუნების მხატვრისა, „უსულო საგნებისადმი სულის ჩამდგმელისა”. მაგრამ ამ მონოგრაფიაში მთავარი მაინც ის არის, რომ ვაჟა თავის საუკეთესო პოემებში – „ალუდა ქეთელაური”, „სტუმარ-მასპინძელი”, „გველის-მჭამელი” – თურმე თემურ ყოფას, მთის ადათ-წესებს კი არ აიდიალებდა, ან მავნე ტრადიციების წინააღმდეგ კი არ იბრძოდა, როგორც ეს მანამდე მიაჩნდათ, არამედ სვამდა საერთო-საკაცობრიო პრობლემას საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობისას. ეს პრობლემა კი, როგორც ცნობილია, ძალზე მტკივნეული პრობლემაა ყველა დროისა და ყველა საზოგადოებისა. (25, 58).

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მოწინავე პიროვნება თავისი პროგრესული შეხედულებებით ხშირად უპირისპირდება თავის თანამედროვე საზოგადოებას, კონსერვატულს, ერთხელდაერთხელ მიღებული კანონების მტკიცედ დამცველს. პიროვნება დროს უსწრებს, სურს თავი დააღწიოს შეზღუდულობას, საზოგადოებასაც აქეთკენ მოუწოდებს, მაგრამ ხშირად მისი არავის ესმის და მასაც აიძულებს „თავის ქერქში დაეტიოს”. პიროვნებას არ ძალუძს უკან დახევა, თავისი რწმენის ღალატი, ის თავის იდეალს ეწირება, იღუპება უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ ადრე თუ გვიან, საზოგადოება მაინც იზიარებს თავის მიერ განწირული პიროვნების ნააზრევს, მის მიერ ნაჩვენებ გზას ადგება, სიბნელიდან სინათლისაკენ გასასვლელ გზას. მერე ინანიებს საზოგადოება: თურმე ის კაცი მართალი ყოფილა, ვერ გავუგეთ, ტყუილად გავწირეთ, გულისხმიერება ვერ გამოვიჩინეთ, პატივის ნაცვლად ტანჯვა მივაგეთო.

ასეთ პიროვნებათა რიგში დგას თვით ვაჟა-ფშაველაც. ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ ზემოთ ხსენებულ პოემათა მთავარ პერ-

სონაჟებში – ალუდა ქეთელაურში, ჯოყოლასა და მინდიაში – ვაჟა თავისთავს გულისხმობდა, თემში კი – თავის თანამედროვე საზოგადოებას. შეუძლებელიც კია ვაჟას ისევე, როგორც საერთოდ მწერლობის წესია, მთავარ დადებით გმირებში თავის თავი არ ეგულისხმა, თავისი მრწამსი არ გადმოეცა. პოემა „გოგოთურ და აფშინას" მთავარ პერსონაჟ გოგოთურში რომ თავის თავს გულისხმობდა, ეს ორჯერა აქვს ნათქვამი: ჯერ სტატიაში „Pro domo sua" და შემდეგ იპოლიტე ვართაგავასათვის გაცემულ პასუხში.

„გველის-მჭამელში" ძალზე იოლად ამოსაცნობი იყო და ამოიცნეს კიდეც მაშინვე – ბუნების მესაიდუმლე მინდია, ვაჟა არისო! ისიც ბუნების ენის მცოდნეა და ესეცო!

მიაჩნიათ, რომ „ალუდა ქეთელაურსა" და „სტუმარ-მასპინძელში" საზოგადოებისა და პიროვნების საკითხია დასმული. იგივე საკითხია „გველის მჭამელშიც" ძირითადად. მთავარი ადგილი იმას ეთმობა, თუ როგორ არ ესმის საზოგადოებას ბუნების მესაიდუმლის – მინდიასი, როგორ აიძულებენ მას ირგვლივ მყოფნი მათსავით „ნორმალურად" იცხოვროს, რის შედეგადაც აკარგვინებენ ქვეყნისათვის უფრო სასარგებლო საქმის უნარს. იქ კი ქაჯებს (იმდროინდელ მაღალ საზოგადოებას) სწყინთ მინდიას (ვაჟას) გამეცნიერება, მათ მარაქაში გარევა.

შეუძლებელიც კია თავის ამ უმთავრეს პოემებშიც („ალუდა ქეთელაურსა" და „სტუმარ-მასპინძელში"), სადაც პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხია კონკრეტულად დაყენებული, მწერალს თავისი თავი არ ეგულისხმა. სწორედ იმიტომ, რომ ვაჟა თვითონ იყო საზოგადოებისაგან ერთგვარად გარიყულ-განაპირებული, თვითონ იყო ალუდასა და ჯოყოლას დღეში, როგორც ეს ზემოთ აღწერილი მისი ცხოვრებიდან ვნახეთ. ვაჟას თავის თავზე შეეძლო ეთქვა ჯოყოლას სიტყვები:

„მარტოკამ უნდა ვიომო, მთელმა ჯარეგამ ნახოსა,
ვინ ერთგულია, ვინ არა, ქვეყანამ დაინახოსა".

ვაჟასაც მთაში განმარტოებულს, მარტოდ მდგომს ცხოვრების სიდუხჭირისა და უკულმართობების პირისპირ ისევე უხდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, როგორც ჯოყოლას.

ვაჟა ამ პოემებში აყენებდა საკითხს პიროვნების, ადამიანის ღირსების დაცვისას. ვაჟასთვის ყველა ადამიანი ერთნაირად დაფასების და ყურადღების ღირსია. ადამიანის აბუჩად აგდება არ შეიძლება, არ შეიძლება დაცინვა. მართლაც, ვაჟას შემოქმედებაში არსად გამჟღავნებულა დაცინვა, სატირა. თუ სადმეა რაიმე იუმორი, ისიც მსუბუქია და უწყინარი.

ვაჟა-ფშაველამ თავის ამ უმთავრეს პოემებში, შოთა რუსთაველის მსგავსად, დააყენა ადამიანების, სხვადასხვა ეროვნებისა თუ რელიგიის მქონე ხალხთა ურთიერთნდობის, გაგების, დამეგობრების საკითხი, რაც ასე აქტუალური პრობლემაა დღესაც მთელ მსოფლიოში, რის წყურვილსაც ასე განიცდის კაცობრიობა, და ის, რომ შუასაუკუნეობრივ, ფანატიკურ, შოვინისტურ შეხედულებებზე წინ უნდა წამოვწიოთ „ერთურთის ცნობა და დანდობა", რომ არავინ არ უნდა გაიძახოდეს:

„... კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი,
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ კუპრში მიელის ქშენანი".

ვაჟას ქომაგნი

ერისა და ერის შვილთა ქომაგად ბევრჯერ გამოსულა ქართველი ქალი. ვაჟასაც ისევ და ისევ მაღალი წრიდან გამოსული ქალი, მწერალი დომინიკა ერისთავი („განდეგილი"), გამოესარჩლა. მან 1913 წელს „სახალხო გაზეთში" გამოაქვეყნა წერილი, სადაც დააყენა ვაჟასადმი ყურადღების გამოჩენისა და მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის 35 წლის იუბილის გამართვის საკითხი: „რომელმა ქართველმა არ იცის, ვინ არის ვაჟა-ფშაველა! სადაც იხსენიება სახელები ჩვენი მწერლობის დედაბოძთა – ილიასი და აკაკისა, იქ შეუძლებელია ვაჟას სახელიც არ იქნეს მოხსენებული. ვაჟა-ფშაველათი ვამაყობთ ჩვენ, მისი ქვეყნის შვილები. მოწიწებით ვიხსენიებთ მის სახელს, აღტაცებით ვკითხულობთ მის ნაწარმოებებს და ამას ვერ გავცილებივართ. დრო კი არის, რომ ეს ჩვენი, მართლაც, წრფელი სიყვარული საქმით ვუჩვენოთ მგოსანს, დავუმტკიცოთ, რომ ჩვენ შევიგენით ეს დიდებული პიროვნება. საჭიროა ვაჟა-ფშაველა

ნივთიერად უზრუნველყოფილი იქნეს.

შესაძლოა თქვან – ნახევარი საუკუნეა მწერლის სამადლობლად ვადად დადებულიო. ვაჟამაც მოგვიცადოს კიდევ თხუთმეტ წელიწადს და მერე ვიზეიმოთ იმის იუბილეო.

ეს ასე არ უნდა იყოს. თუ ვინმესათვის საჭიროა 25-30 წლის იუბილე, ეს უწინარეს ყოვლისა, მწერლისათვის უნდა იყოს დადგენილი, რადგან ამ ასპარეზზე მოღვაწენი იშვიათს შემთხვევაში მიაღწევენ ხოლმე ამ ხანს...

დღეს მხოლოდ ჩვენში შეიძლება მოხდეს ეს, რომ ისეთი დიდი მგოსანი, როგორიც ვაჟა-ფშაველაა, არათუ უზრუნველყოფილი არ არის, დიდს ნივთიერს ნაკლოვანებას განიცდის და ხმას არავინ იღებს.

ვაჟას შეეძლო უზრუნველეყო თავისი თავი, ცოლ-შვილი, ამისათვის ჯანიც შესწევდა და სწავლაც, მან კი ქვეყნის სამსახურს ანაცვალა საკუთარი ბედნიერება.

მე მივმართავ მგოსნის სატრფო-სამშობლოს, მივმართავ ვაჟას პატივისმცემელთ, მივმართავ წერა-კითხვის საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდა საქართველოს, დაუყოვნებლივ შეუდგნენ იმის მოგვარებას, თუ როგორ უზრუნველყონ ჩვენი საყვარელი მგოსანი. ჩვენ ვერ ავუვლით გვერდს ვაჟას საარსებო საკითხს, რადგან უზრუნველყოფა ვაჟასი უზრუნველყოფა იქნება ჩვენი პოეზიისა".

ვაჟამ არა მარტო წყენის გადახდა იცოდა „სიტყვით თუ საქმით", სიკეთეს, თბილ სიტყვასაც არავისას დატოვებდა უყურადღებოდ. დამზრალ გულს პატარა სითბოც დიდ სიამეს ჰგვრიდა და იმავ წუთს მადლობას უხდიდა. „განდეგილსა" და შიო მღვიმელს, თავის კეთილისმყოფლებს, სულიერ მეგობრებს მაშინვე გამოეხმაურა ლექსით:

„კარგებო, თქვენი ძახილი ბარით შამესმა მთაშია,
ფეხის ფრჩხილებში გაჟონა ჟრჟოლამ, დაკრულმა თავშია".

ბრწყინვალე ქართველი ქალის ამ გულმხურვალე მოწოდების ზოგიერთი რედაქცია გამოეხმაურა. ალაპარაკდა საზოგადოება ვაჟასათვის საიუბილეო საღამოს ან დილის გამართვის თაობაზე. მაგალითად, გაზ. „თემმა" გადაბეჭდა „განდეგილის"

წერილი იმ დაპირებით, რომ თავის მხრიდანაც მიუძღვნიდნენ ამ საკითხს სტატიას, მაგრამ ყველაფერი ჩაიშალა.

თბილისში მიწყნარდნენ და სწორედ ამ დროს ქუთაისმა, შესაძლოა ერთგვარად აკაკის მიერ მიყენებული წყენის გასაქარვებლად, ვაჟა მიიწვია ილიას ხსოვნის საღამოზე. ეს უკვე მეორე მიწვევა იყო. პირველად 1910 თუ 1911 წელს მიიწვიეს. მაშინ უფერულად ჩაიარა საღამომ. მეორე მიწვევა უფრო შთამბეჭდავი გამოდგა.

ამ დროს, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქუთაისში ცხოვრობდა საქართველოს უძლიერესი, შემოქმედებითი, მოწინავე ინტელიგენცია. ჩვენი კულტურისა თუ მეცნიერების რა დარგს არ ჩაუდგნენ სათავეში აქედან გამოსულნი. განსაკუთრებით კაშკაშა იყო მწერალთა თანავარსკვლავედი: გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, დავით კლდიაშვილი და სხვანი.

ქუთაისში ვაჟას მიწვევასთან დაკავშირებით უკვე საზღვარგარეთ მყოფმა გრიგოლ რობაქიძემ ასეთი რამ დაწერა:

„... 1909 წლის დამდეგს ლექცია ვაჟაზე დამზადებული მქონდა უკვე. გაიმართა იგი ქართულ თეატრში თებერვლის მიწურულში. თეატრში ტევა არ იყო. ლექცია ავაგე უმთავრესად „გველის-მჭამელის" გარჩევაზე... ლექციაში გადმოვშალე დედაგული ვაჟას შემოქმედებისა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გადმოშლამ. ვაჟას კულტი, უნდა ითქვას, დღითგან ჩემი ლექციისა იწყება... ამას არავინ ახსენებს. „იქ" არ იხსენებენ, რადგან ჩემ სახელს „ვერ" ახსენებენ...

... თუ რა დიდი აღფრთოვანებით შეეგება ვაჟას 1911 წელს (ს. ყუბანეიშვილი 1910 წელს ასახელებს – გ.ხ.) ქუთაისი დავით კლდიაშვილის მეთაურობით ილიას ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ ლიტერატურულ საღამოზე, რომლის მონაწილედ მთების მომღერალი იყო მოწვეული. ქუთაისი ვერ შეხვდებოდა ვაჟას ასეთი დიდი შეფრქვევით თუგინდ დავით კლდიაშვილის მეთაურობითაც, რომ იგი ორი წლის წინ ჩემ მიერ არ ყოფილიყო მომზადებული. ეს სერგომაც (დავითის შვილმა – გ.ხ.) კარგად იცის, მაგრამ არ ახსენებს, რადგან ვერ ახსენებს". (38; 161, 162). ვაჟა თბილისში ხშირად ჩამოუსვლელობის მიზეზად შესა-

ფერისი ჩასაცმელის უქონლობას ასახელებდა ხოლმე ახლობლებთან. მით უმეტეს იმერეთში, ქუთაისში, ეთაკილებოდა ვაჟას ფშაური ახალუხით ჩასვლა. მხედველობიდან არც ეს გამოჰპარვიათ ტაქტიან მასპინძლებს და ტაქტიანად მოაწოდეს ვაჟას ტანისამოსისა და მგზავრობის ფული. ამას სხვაგვარი მიზანიც ჰქონდა: დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის უნდოდათ ახლოს გაეცნოთ და შეეყვარებინათ ვაჟა, რადგან იქ განსაკუთრებით ძნელად ეგუებოდნენ ფშაურ დიალექტს.



უკანასკნელი ფოტო გადაღებული ჩარგალში 1915 წელს.

„დანიშნულ დღეს ვაჟა ეწვია ქუთაისს და გამოწყობილი მივიდა პეტრე ყიფიანთან:

– ძალიან გამოჩისტულხარ, ვაჟას ჭირიმე! ეხლა კი ვაჩვენებ შენ თავს ქუთაისს! – მისებური ხარხარით შეხვდა პეტრე ყიფიანი ვაჟას. ვაჟა კი ოდნავ იღიმებოდა!" – იგონებს დავით კლდიაშვილი.

თეატრის შენობაში გამართულ საღამოზე „შეიკრიბა ხალხი, თუმცა არა იმდენი, რამდენსაც მოველოდით... აიხადა ფარდა და პირველად გამოჩნდნენ სცენაზე ქუთათური მწერლები, რომლებმაც წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები, იმღერა მომღერალმა აკოფაშვილმაც. ყველა გაფაციცებით შესჩერებოდა სცენას და ელოდა მთის მგოსნის გამოსვლას. გამოჩნდა თუ არა ვაჟა-ფშაველა, ჩვეულებრივ ჩოხა-ახალუხით, ატყდა დაუსრულებელი ტაშისცემა. როდესაც დაწყნარდა საზოგადოება, მგოსანმა წაიკითხა რამდენიმე თავისი ნაწარმოები.

ლექსები ისეთი მოხდენილი დეკლამაციითა და გრძნობით იყო წაკითხული, რომ დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. მგოსანი ტაშისცემით ოთხჯერ-ხუთჯერ გამოიწვიეს და ათქმევინეს სხვა ლექსები. ქანდარიდან მოსწავლე ახალგაზრდობამ მოაძახა: „დაჭრილი არწივი!", რომელიც მგოსანმა წაიკითხა მოხდენილად და მეტად მგრძნობიარედ. ახალგაზრდა მგოსანმა ს. ფაშალიშვილმაც ასიამოვნა დამსწრე საზოგადოებას თავისი ლექსებით. დაბოლოს, მგოსანი ვაჟა-ფშაველა კიდევ გამოჩნდა სცენაზე და წაიკითხა იქვე დაწერილი ლექსი „იმერეთს". საღამო დამთავრდა 12 საათის ნახევარზე. საღამოს დამთავრების შემდეგ საზოგადოება ტაშისცემას დიდხანს განაგრძობდა და არ დაიშალა, სანამ ვაჟა-ფშაველა ნაბდით და ყაბალახით არ გამოჩნდა კიდევ ერთხელ სცენაზე". (ლ. ბზვანელი).

მართლაც, ძალზე თბილად მიიღო ქუთაისის საზოგადოებამ ვაჟა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ. ჩანს, არც ვაჟა ელოდა ამდენ სითბოს. მას, გრძნობამორეულს, იქვე, სცენის კულისებში, შეუთხზავს და მერე სცენიდან წაუკითხავს ლექსი „იმერეთს":

„ერთხანად ჩემო მძრახაო, ლიხს აქეთურო დედაო!
გხედავ რომ შემრიგებიხარ, მით შენთან სალამს ვბედაო.
შაერთებულად შენშია ქართლსა და კახეთს ვხედაო.
ფარ-ხმალო საქართველოსავ, სხვაცა გბაძავდეს, ნეტაო!
ის მომწონს, თავის ქვეყნისა კარებს რო მაგრა ჰკეტაო...
ვნება ნუ ასცდეს, სავნებლად, ვინაც შენ გაგიმეტაო!"

საღამოს შემდეგ ვაჟას სუფრა გაუშალეს რესტორანში. თამადამ თეოფილე ხუსკივაძემ, ვაჟასადმი მიმართული ლამაზი

სადღეგრძელო დაამთავრა სიტყვებით: „მადლობელი ვართ, ვაჟა, იმ დიდი ღვაწლისათვის, რომლითაც შენ ქართული ლიტერატურა გაამდიდრე და დაამშვენეო!"

ვაჟამ მოისმინა, თითქოს არ ეამა მისდამი სამართლიანად მიძღვნილი სიტყვა და უპასუხა: „მაპატიეთ, იმერლებმა ცოტა გადაჭარბება იცით. კაცს, სწყუროდეს, წყურვილი მოიკლას, ამისათვის რა მადლობის ღირსიაო? მეც, არც მეტი, არც ნაკლები, მწყურია და წყურვილს ვიკლავ, მადლობა რად მეკუთვნის? მემღერება და ვიმღერიო!".

ქუთაისში ვაჟა თებერვალში იყო. შემდგომ თვეებში, იმავე 1913 წელს, ლიტერატურულ საღამოებზე მიიწვიეს ჭიათურაში, ფოთში, გორში, ხაშურში და ყველგან აღტაცებით ხვდებოდნენ. ისევ პროვინციებში შემორჩენილმა ეროვნულმა სულმა მოულხინა ვაჟას, ისევ იქ შემორჩენილი სუფთა სიტყვა და გული ექნა მალამოდ ვაჟას დაჭრილ გულს. ეს იყო და ეს, მას შემდეგ ვაჟას იუბილეს გადახდაზე ჩამიჩუმიც აღარა ყოფილა.

ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ასეთი საქველმოქმედო, სახალხო საღამოები, ჩანს, ნიშნის მოგებად ეჩვენებოდა მის მკვლელებს, გულზე ეკლად ეხეოდა. ამიტომ ქუთაისში გამართული საღამოს მიმართაც შხამი და გესლი გადმოანთხიეს. ვაჟამ ეს აღიქვა როგორც არაადამიანური მკრეხელობა და მათ საპასუხოდ გაზ. „სახალხო ფურცელში" გამოაქვეყნა „მცირე შენიშვნა":

„გაზ. „საქმეში" 84, დაბეჭდილია წერილი (ბ. ღალღასი), რომელიც შეეხება ქუთაისში გამართულ ილიას საღამოს და იქ ჩემ და სხვ. მიერ წარმოთქმულ ლექსებს. აზრი ამ წერილისა გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ, ნაციონალისტებმა, ილიას ხსოვნა, სახელი, გავხადეთ ექსპლოატაციის საგნად, დავდეგით მის მოაზრედ და ამით ხალხს ვაბრიყვებთ; დიაღ, ხალხს და არ ვიცით ჩვენ „უტიფართა", რომ ერთ დროს ეს ხალხი ჩვენ გამოგვრეკავს „ტაძრიდან", ქვა და გუნდას მოგვაყრის. ნეტავი „საქმეს" და მის მესვეურთ მაშინ!.. ყოველი კაცი იმედით სცოცხლობს და ჩვენც, როგორც მომაკვდავთ, ის იმედი გვასულდგმულებს, რომ „ხალხი" „ნაციონალისტებისაკენ" გადმოვა და იმათ კი, ვინც გზა-კვალს ურევს, საბოლოოდ და დღესდღეურად, გამოსადეგს არაფერს ასწავებს, ზურგს შეაქცევს. ამის ნიშნებს, ჩვენდა სასიხარულოდ, ვხედავთ დღეს; ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ - ეს „ნაციონალიზმი" მუდამ იქნება ჯანსაღი და არასდროს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევა. ჩვენდა სამწუხაროდ, „საქმეს" ბანაკში სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ, ვხედავთ კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ მახინჯს, უჯიშოს, ფანატიზმით გამსჭვალულს, თავის თავის, თავისი ერის უარმყოფელს. ხოლო სხვა ერების ვითომდა მფარველს და მოსიყვარულეს. ვაი ამისთანა სიყვარულს! სიყვარული ერთგვარი უნარია ცხოველთა ბუნებისა და მით უმეტეს ადამიანისა, დიდი მადლი ბუნებისაგან მინიჭებული ადამიანისათვის, ხოლო ვისაც თავისი მშობელი დედა არ უყვარს, იგი სხვას როგორ შეიყვარებს, სხვას როგორ მოეპყრობა, როგორაც ნამდვილ დედას?.. არა მჯერა, არა მწამს და რა ვქნა! ამისთანა კოსმოპოლიტიზმი უფრო თავმომწონეობა, ყოყლოჩინობაა, მიმბაძველობით გამოწვეული, ერთხელ და ერთხელ დაჩემებულის ჭკუის ღიტინისა, ვიდრე ნამდვილი მიმართულება გულ-ღვიძილიდან ამომდინარე და მასში ფესვებგადგმული, – ეს მიმართულება ქარისაგან მონაბერია და ისევ უნდა ქარმა გაფანტოს, განაბნიოს. ან კი რას ვამბობ? განა ამაზე წერა და საუბარი შეიძლება ჭკუათამყოფელთა წინაშე? არა, დიაღ, არა, ვინაიდან იმათთვის ის გაცვეთილი ჭეშმარიტებაა. მაგრამ რას იზამ, როდესაც კიდევ გვხვდებიან ჩვენში ისეთი ადამიანები, რომელთაც უნდა უმტკიცო, ეფიცო ღმერთი და ჯვარი, რომ ორჯერ ორი ოთხია და არა ოცი და ორმოცი.

ამ საგანს თავი დავანებოთ და ეს ვიკითხოთ: თუ ჩვენ, ნაციონალისტებს, არა გვაქვს უფლება ვიტიროთ და ვიგლოვოთ ილია ჭავჭავაძე, მაშ ვისა აქვს ამის უფლება? ყვავს ბახალა მოუკვდა და ბუს მიუგდო: დიდი თავი გაქვს, შენ იტირეო! არა, ბატონო საქმისტებო, მართალია, დიდი თავი გაქვთ, მაგრამ ჩვენს მკვდარს თქვენს სატირლად არ გავხდით; ჩვენ მოვალენი ვართ თავისი მკვდარი ჩვენ თავად ვიტიროთ, მით უმეტეს, რომ ქართული ანდაზაც ამას გვიკარნახებს: „ყოველ მკვდარს შინ უნდა ჰყავდეს მოტირალიო!"

ილია ჩვენ საკუთარ მიცვალებულად, დანაკლისად მიგვაჩნია და ვტირით კიდევაც, როგორც გვეხერხება, როგორც ვგრძნობთ, და თუ გშურთ ჩვენთვის მოზარეობის მონოპოლია,

ხვალ და ხვალზევით ამ მონოპოლიას თქვენ დაგითმობთ, გაგვიხარდება, ხელ-ფეხს დაგიკოცნით.

თქვენ, ჩემო კარგებო, ის კი არა გწყინსთ რომ მოზარეობა ილიასი მხოლოდ ჩვენ დავისაკუთრეთ და სხვას არავის ვაძლევთ იმის გლოვის ნებას, არა. რადგან, ჯერ ერთი, რომ ეს ასე არა არის... თქვენ უფრო ის გიკლავთ გულს, ჩვენ ტრადიციად რად გადავაქციეთ ამ ადამიანის ხსენება. ეს გიკლავსთ გულს, ამას ვერ ინელებთ. რად? რისთვის? არ ვიცი, თქვენც ქართველები ხართ, ჩვენც. ჩვენი დანაკლისი თქვენ დაგაკლდებათ და თქვენი – ჩვენ. მაგრამ არა, რასაც ჩვენ დანაკლისადა ვგრძნობთ, თქვენ ის შემატებად მიგაჩნიათ, და, აი, ეს არი მიზეზი ღალღასი და კომპ. გამოლაშქრებისა ჩვენს წინააღმდეგ. დაფნის გვირგვინნი მილტიადისა არ გაძლევენ თქვენ მოსვენებასა... ეს, რაც მოგახსენეთ, ცილის წამებაა? არა!

ჩვენ და თქვენ მკითხველი გაგვარჩევს, ცალ-ცალკე, – გვხედავს კიდევაც, და როგორც გუშინ და გუშინწინ ტყუვდებოდა „საქმისაურის" ხრიკებით, დღეს იგი აღარ სტყუვდება. თქვენ ძმურად ერთს გირჩევთ, თუ მიიღებთ, გაიგონებთ და ირწმუნებთ. როცა ილია ჭავჭავაძეზე ან იწერება რამ, ან ითქმება, ან მისი ხსოვნის პატივსაცემლად რაიმე დღესასწაული გაიმართება, რაც მეტს მდუმარებას გამოიჩენთ, ის გირჩევნიათ, უფრო მოგებული იქნებით. მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო, ხომ გაგიგონიათ?.. მოითმინეთ, თორემ ხანდახან ისეთ რამეებს გამოურევთ თქვენ ნაწერ-ნალაპარაკევში, კაცი ეჭვში შეგყავთ, თავადვე არწმუნებთ იმაში, რასაც კიდევ ეჭვის თვალით უცქერის – არ არის ჯერ ნამდვილად დარწმუნებული და ძალა-უნებურად ათქმევინებთ: „ქურდს რომ ყური უგდოთ, დღეში ცხრაჯერ გამოტყდებაო"...

თქვენ არ უნდა გწყინდესთ კი, თუ ილიას სახელის დამცველნი ხართ, და ღირსეულად აფასებთ მას, არამედ ამისთანა დღესასწაულებში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოთ, რადგან თუ ექსპლუატაციაა ეს, როგორც თქვენა გგონიათ, მხოლოდ იმ აზრით, რომ შემოსული ფული მოჰხმარდება ილიას საყვარელ საქმეს, მის აზრის განხორციელებას. მაგრამ, რა ვქნა, რომ არა ვსთქვა, თქვენ არც ილიას აზრების გამარჯვება გენატრებათ და არც მისი სახელის განდიდება. თქვენ გინდათ, როგორც

ხორციელად ავაზაკივით მოკვდა იგი შარაგზაზედ, იდეურადაც მომკვდარიყო. არ მოხდა ასე, რა გნებავთ? რა ღობე-ყორეს ედებით, როგორ გინდათ მოსპოთ ის, რასაც თვით ცხოვრება, ბუნება არა სპობს: საცა თოვლი მოვა, ზამთარი დადგება, იმას გაზაფხული მოჰყვება; დღეს ღამე მოსდევს, ღამეს – დღე, თავის წესზე, თქვენს ნებაზე ვერც დააღამებთ, ვერც გაათენებთ... რად გეჯავრებათ ჩვენის ერის განთიადი?

დიაღ, ჩვენ განთიადად მიგვაჩნია, როცა ერი თავის ღირსეულ შვილებს აფასებს ღირსეულად. ვგონებ თქვენს ბანაკშიაც მოიპოვებიან იდეურ ნიადაგზე წამებულნი. თქვენც დააწესეთ მათ პატივსაცემლად დღესასწაული. ვინ გიშლისთ? თუ ჩვენ ილიას სახელით ვესწრაფით განვამტკიცოთ თქვენგან ათვალწუნებული „ნაციონალიზმი", თქვენც ეცადეთ თქვენის წამებულების სახელის საშუალებით განამტკიცოთ თქვენი საყვარელი სატრფიალო „ინტერნაციონალიზმი". იქნება ერმა თქვენდამი უფრო მეტი თანაგრძნობა გამოიჩინოს? არა გაქვთ იმედი? რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ერი უარგყოფსთ, როგორც თქვენ უარჰყავით იგი და ჩვენც გვემუქრებით, „ხალხი გამოგრეკავთ ერთხელაც იქნება, როგორც იესომ ვაჭრები გამოდევნა ტაძრიდანო". თანახმა ვართ, ხოლო ვიდრე ამას მოვესწრებით, ჩვენ მაინც ჩვენს სამსახურს არ მოვაკლებთ ამ ერს. თქვენც იმედი გქონდეთ, იხარებდით და იშვებდით, რომ წინასწარმეტყველება თქვენი ასრულდება და ჩვენ, ექსორიაქმნილნი, ვიგონებთ ჩვენს დამარცხებას, და თქვენი მუქარა მართლა მუქარად გამოდგება და არა ყვავილებისა და ჩიტების საფრთხობელად".

ავადმყოფობა, იუბილე და აღსასრული

ვაჟა უფრო ნაკლებად ახერხებდა თბილისში ჩამოსვლას, მწერალთა შორის ტრიალს. უფრო მეტი დრო ფიზიკურ შრომასა და ავადმყოფობაში მიუდიოდა. ზემოთ რომ მოვიხსენიეთ მარიამ დემურიასადმი მიწერილი წერილი სამსახურის თაობაზე, ის 1909 წელს იყო დაწერილი და ვნახეთ, უკვე მაშინ რა დღე-

ში იყო ვაჟა; მას შემდეგ წლები გავიდა, ვაჟას ჯანმრთელობაც თანდათან უარესდებოდა, თავის მისახედად კი არც დრო ჰქონდა და არც ფული.

შინაურულ მკურნალობას იყო მინდობილი; დუდგულის ყვავილის, თავშავას, კრაზანას, პიტნის, ჟოლის ფეხის, შალშვის და ვინ მოსთვლის კიდევ რა ბალახბულახის ნახარშს არ ასმევდნენ. წინწანაქარში გახსნილ დათვის ნაუღელას ოფლის მოსადენად სვამდა. მჟავეწყლის აბაზანებს იღებდა იქვე ჭიჭახევაზე თავისი ხელით გამოთხრილი მინერალური წყლისას. მაგრამ ერთხელ და ერთხელ გატეხილ ჯანს აღარაფერი ამრთელებდა, ანკი როგორ უშველიდა, როცა აბაზანამიღებული, იქვე საქმეს უნდა შებმოდა, უარესად ცივდებოდა, უარესი ემართებოდა. დარია ხელი ავადობამ და ვეღარ წამოუდგა.

1915 წელს იანვარში, როცა აკაკი გარდაიცვალა და მთელი საქართველო გლოვობდა, ვაჟამ ვერ შეძლო თბილისში ჩამოსვლა. უკვე შინიდან გარეთ ძლივსღა გამოდიოდა და თოვლ-ყინვაში ცხენით რას იმგზავრებდა, სად წამსვლელი იყო. თბილისში კი საზოგადოების იმ უკუღმად მხედავმა ნაწილმა, ვისაც სულაც არ ადარდებდა არც აკაკის სიკვდილი და არც ვაჟას მდგომარეობა, ხმა დაყარა: აკაკიზე განაწყენებულია და იმიტომ არ ჩამოვიდაო. გულშემატკივრებმა კი იცოდნენ, ვაჟას თუ რამე არ უჭირდა, აუცილებლად ჩამოვიდოდა. ამიტომაც აცნობა წერილით მიხეილ ლობჟანიძემ: „აკაკის დაკრძალვა დიდებული იყოო".

თავს ვერ უწყობდა ხელს ვაჟა. ვერ ითმენდა მეუღლისათვის ხელის წაუხმარებლობას და აკაკის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ უარესად გაციებული ლოგინად ჩავარდა: ჭვალი დაადგა, სიცხეს აძლევდა. სამი თვე ბორგავდა დურატყავწახურებული – იმ დროს ფშავ-ხევსურეთში საბნები და ლოგინები არ იცოდნენ.

ცოტა რომ მომჯობინდა, თბილისს ჩამოსვლა გადაწყვიტა სამკურნალოდ, რადგან ხედავდა, იქ მისი საშველი აღარ იყო, მაგრამ თბილისში წამოსვლაზეც ფეხს ითრევდა: გრძნობდა ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი ჩარგალს ვეღარ დაბრუნდებოდა.

ფშაური ხინკლის უჭმელად არ უნდოდა წასვლა. მეზობლის

ბიჭისთვის – ლევან თათარაშვილისათვის დააძახებინა: გადმოვიდეს, ხინკლის გული დაგვიკაფოსო. ვაჟას უყვარდა ხინკლის გულის გამზადება, სხვას ახლოს არ მიაკარებდა ხოლმე, ეხლა კი აღარაფრის თავი ჰქონდა. იქვე შორი-ახლოს მიუჯდა ნაწერებით სავსე სკივრს. ჩიკაზე ჩამომჯდარს დუმით ნაპოხი ცხვრის ქურქი ჰქონდა გამხდარ მხრებზე წამოსხმული. საქალაქოდ ამზადებდა ნაწერებს, არჩევდა, ალაგებდა, აწერდა... შიგადაშიგ ამოიგმინებდა, წამოდგებოდა, ლევანთან მივიდოდა, დასცქეროდა უხმოდ.

– ახ, დედასა! – ამოიგმინა კიდევ ვაჟამ, – დაკაფე, ძმისწულო, დაკაფე, ერთი კაი ხინკალი აჭამე ბიძას და მერე, რაც იქნება-იქნება... იცი, სად მიდის ბიძა?

– ქალაქსა, სამკურნალოდა, – უპასუხა ლევანმა.

– არა! ტყუილია! ვინა თქვა?! სამკურნალოდ კი არა, ნიკოლოზთან მივდივარ, რუსთა ხელმწიფესთან, საშაროდ – ერეკლეს გვირგვინი უნდა ჩამოვიტანო! ჯერ არ მომკვდარა შენი ბიძა და ნახავ, თუ ვერ გააკეთებს?! რა დროს ავადობა და ლოგინში წოლაა, ქვეყანას შველა უნდა! ეყოფა ნიკოლოზას, რაც ჭამა საქართველო! მივალ და აემ მჭვარტლივით გავაშავებ! – შემჭვარტლულ ჭერს მიაჩერდა.

წუთით აენთო ვაჟა, ხმას აუწია. მერე შებრუნდა და კვლავ თავის სკივრთან ჩამოჯდა.

ხინკალს ახვევდნენ თამარი და მისი ქალები. ლევანს ხმელი შეშა დაეჭრა და ბუხარში შემოკიდებულ საჯალაფო ქვაბს უკეთებდა. გულქანი გააქცია ვაჟამ მეზობლების მოსაპატიჟებლად, თავისი ჩარგლულაში ჭყუმპალაობის დროინდელი კაცების დასაძახებლად. მოვიდნენ: ხეხერა, მჭედელა, ფოცხვერა, ჭრელა, მწარია, ივანე... ისინიც დასნეულებულნი, ტყავებწამოსხმულნი, ხვნეშით, კვნესით ჩამოსხდნენ ორთქლავარდნილ ხინკლიან ტაბლასთან. ჩამოჯდა ვაჟაც. თამარმა პანტის არაყიანი ხელადა და შავი მოზვრის ყანწი მოუტანა. დაასხა ვაჟამ, ჩამოატარა. რიგრიგობით დალოცეს სტუმრებმა, გამოჯანმრთელება და მალე შინ მშვიდობით დაბრუნება უსურვეს.

– ეჰ, რა გაიგება! – მადლობა გადაუხადა ვაჟამ, – ისა მგონია, ვეღარც ცოცხალი და ვეღარც მკვდარი ჩარგალს ვეღარ ვნახავ!

„ღმერთმა ჯვარი დაგწეროს, ცა-ქვეყნიერობის გამჩენმაო”, – კი უთხრეს ფშავლებმა, მაგრამ მაინც ეჭვის თვალით შეხედეს ვაჟას. ვერ გაეგოთ რას ამბობდა ეს კაცი. ადრეც გაეგოთ მისგან — ჩარგალს არ დავიმარხებიო. აბა, სად უნდა დამარხულიყო ჩარგლელი კაცი? სხვა არავინ დაეტოვებინათ ქალაქსა და სხვაგან მომკვდარი, ვაჟას ვინ სად გადააგდებდა.

1915 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ჩამოვიდა თბილისში ვაჟა. თბილისის სადგურიდან მომავალს ვერის აღმართთან თავის ძმა სანდრო შემოხვდა. ვაჟა ნაბადმოხვეული მოდიოდა, მხარზე ხურჯინი ეკიდა. დიდი ხნის უნახავმა ძმებმა გადაკოცნეს ერთურთი. სანდრომ და სხვა ძმებმაც იცოდნენ, ვაჟას ავადობის ამბავი და ახლა რომ დაინახა, გაუხარდა. „გამოვართვი ხურჯინი, ნაბადი კი არ მომცა, რადგან ისევ ავადა ვარო, მითხრა, ვაი თუ გავცივდეო. წამოვედით სახლში. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, სხვათაშორის ვკითხე მისი ჩამოუსვლელობის მიზეზი იმ ზამთარს აკაკის დასაფლავებაზე. აქ ათასი ჭორი გაავრცელეს-მეთქი, – ვუთხარი ვაჟას, – თითქოს შენა და აკაკის ერთმანეთი გძულდათ და ვითომც იმისთვის არ ჩამოხვედი იმის დასაფლავებაზეო”. ამის გაგონება ვაჟას ძალიან ეწყინა და გაჯავრებულმა წამოიძახა: „ვერ უყურებ მაგ უსვინდისოებს, რა მოუგონიათ? რა მქონდა აკაკისთან გასაყოფი, ან კიდევ საჯავრებელი? მე ვაჟა-ფშაველა ვარ, ის კი აკაკი. ძმაო, დამიჯერე, აი, ხომ ხედავ, როგორა ვარ? იმ დროს, როდესაც ტფილისიდან დეპეშა მოვიდა, ლოგინში ვიწევ, ფილტვების ანთება მქონდა. აი, ეს გვერდი ეხლაც მტკივა. ან კი როგორ გადავრჩი ცოცხალი. აბა, შენვე მითხარ, თუ ძმა ხარ, ეს ავადმყოფი კაცი სად უნდა წამოვსულიყავი”. (ალ. რაზიკაშვილი).

თბილისში ხმა გავრცელდა, ვაჟა-ფშაველა მძიმედ დაავადებული ჩამოვიდა, შეიძლება ველარც გადარჩესო. გაზეთმა „სახალხო ფურცელმა” გამოაქვეყნა ცნობა: „პოეტი ვაჟა-ფშაველა თბილისში ჩამოვიდა, ავადმყოფობისაგან დასუსტებულია, გამხდარა და მარცხენა ფერდს იტკივებს. მას აზრად აქვს თბილისში რიგიანად იწამლოს”. ამის გამო განგაში ატეხა ვაჟას პატივისმცემელთა ერთმა ჯგუფმა, რომელთა შორის პოეტი სანდრო შანშიაშვილიც იყო. ის ამ ამბავთან დაკავშირებით იგონებს: „1915 წელს ავადმყოფი ვაჟა თბილისში ჩამოვიდა. მე და

ჩემმა ამხანაგებმა კატეგორიულად დავაყენეთ საკითხი, რათა ვაჟასთვის გადაგვეხადა იუბილე. როგორც იყო, დიდი ჩხუბისა და დავიდარების შემდეგ გადაწყდა კიდეც იუბილის საკითხი”. (37, 177).

გაზეთმა „საქართველომ”, რომელსაც მაშინ სანდრო შანშიაშვილი რედაქტორობდა, გამოაქვეყნა სამ განყოფილებიანი

ღონისძიების პროგრამა და ვაჟა-ფშაველას მეგობრული შარჟი. სურათზე გამოხატულია ჩამოკონკილჩოხიანი გოლიათი. გამხდარი, მოტეხილი, წელში მოხრილი მშვიდად დასცქერის მის წინ მოჯგროვილ ფრაკიან კაცუნებს, რომლებიც, ჩანს, ვაშას ძახილით ცაში ისვრიან ცილინდრებს, მაგრამ ვაჟას მუხლებამდეც ვერ უწევენ. ქვეშ წარწერა ჰქონდა: „ვაჟა-ფშაველა (მორცხვად): შემნიშნეს”...

რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ასეთი გოლიათის შეუმჩნევლობა, მაგრამ მოახერხეს. თურმე, რაც უფრო პატარაა არ-

სება, მით უფრო ვერ ახერხებს დიდი საგნების აღქმას. მაგალითად, ჭიანჭველას არ შეუძლია თურმე ადამიანის დანახვა, ერთიანად აღქმა.

ს. შანშიაშვილისა და მისი ჯგუფის ბრძოლის შედეგად დაითქვა, რომ ვაჟა-ფშაველასათვის 26 აპრილს უნდა გაემართათ შემოქმედებითი დილა. მერე 30 აპრილისათვის გადაიდო. საგანგებოდ გამართულ თათბირზე კი გადაწყდა, რომ საიუბილეო საღამო ჩაეტარებინათ და მისი უკეთესად მომზადებისა და ჩატარების მიზნით დრო კიდევ გადასწიეს და დანიშნეს 23 მაისი, შედგა ვრცელი პროგრამა.

სალიტერატურო-სამხატვრო საღამო მიჰყავდა ქართველ მწერალთა საზოგადოების თავჯდომარეს გრ. რცხილაძეს. მისი შესავალი სიტყვის შემდეგ ვაჟას შემოქმედებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა გრ. რობაქიძე. საზოგადოებამ, პრესამ მისი სიტყვა იმ ლამაზი და ამაღელვებელი საღამოს გვირგვინად მიიჩნია. ეს იყო ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდა შემოქმედის მიერ ისეთი წვდომა ვაჟას შემოქმედებისა, ისეთი თვალით დანახვა და სხვებისათვისაც დანახვება, რაც დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, მანამდე კი არავინ უწყოდა. მაგრამ ეს ყველაფერი რობაქიძისეულად ორიგინალურად და ლამაზად იყო ნათქვამი: „ყოველ მგოსანს, ერთი იდუმალი ჟამი აქვს, როცა მას მუზა ეწვევა. ყოველ ხელოვანს ერთი ფარული ადგილი აქვს, სადაც იგი მუზას ნახულობს. ეს ის ჟამია, როცა იგი მეორედ იშვის. ეს ის ადგილია, სადაც იგი გარდაიქმნის. ამ ჟამს ელის იგი სიკვდილსა და ამ ადგილს ნატრობს იგი საფლავსა. ვაჟა-ფშაველას აქვს ასეთი ჟამი და ასეთი ადგილი. მისი პოეტური ჟამი მაშინ წარმოიშვა, როცა ბუნებამ პირველად აიხსნა თვალი. მისი მგოსნური ადგილი კლდის მკერდის ძირას გამოიჭრა, სადაც ბუნებამ პირველად იხილა თავი. თვალის მომჭრელ ქალწულს წყალი მოსწყურდა და მთის წყაროს დაეყრდნო მხურვალე. ქალწულმა წყაროს სარკეში პირველად იხილა თავისი ლამაზი სახე და მის ტურფა ბაგეს ცისკროვანი ღიმილი დააკვდა. ეს ქალწული ვაჟას ზღაპრული მუზაა. ეს ღიმილი მისი მგოსნური სიტყვაა და მთვარიან ღამეს, როცა გრძნეული შუქთა ზეწარი სიზმრად ეფინება მიძინებულ ქვეყანას, ელის შეყვარებული მგოსნის მუზის ხილვას და უკანასკნელიც მოვლინდება: იგი გამოდის შავის მღვიმით, მიაშურებს კლდის წყაროს, თავს უშვერს მის ნაჟურს და მღერის სამყარო და როცა ოდნავ დაიწყებს ნათებას, თითქოს მთვარეულს დღის ცხადის შუქით ენიშნაო, ისევ შავს მღვიმეს შეეფარება. ათრთოლებული მგოსანი, ჯადოსნური სიმღერით ფრთაასხმული ფანდურს იღებს ხელში და ტკბილად ახმაურებს მოზღვავებულის გულის თქმას”.

გრ. რობაქიძემ გამოთქვა აზრი, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ფენომენი მითოლოგიურია, მისი აღმაფრთოვანებელი ქალწულიც ხომ მითოსის წარმტაცი ხატებაა! მგოსანი უსმენს ყოველ მოვლენას და ნახულობს მასში რაღაც ახლოს და ნათესაურს, მხოლოდ რაღაცგვარად მისგან მოწყვეტილს და დაკარგულს. იგი ყურს უგდებს მთით მოხეთქილ ჩანჩქერს და ეს ხმაური იწვევს მასში სულიერ განცდათა მოძახილსო. „ყოველ მოვლენას საკუთარი სახე აქვს და როცა მგოსანი მასში თავის სახესა ჰქმნის, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბუნების მოვლენამ და მგოსანმა საიდუმლო შეხვედრის წამს ერთი-მეორე იცნეს. აქ არის სათავე პანთეიზმისა და ვაჟა-ფშაველაც, უცილობლად, პანთეისტია. მაგრამ როგორი? – კითხვას იძლევა ლექტორი და უპასუხებს კიდეც: ბუნებამ, ამ ტურფა ქალწულმა, სარკეში ჩაიხედა და იგრძნო უსრულობა თავისი ლამაზი სახისა: აქ გაჩნდა პირველად ნაღველი შემოქმედებისა. ბუნებამ სევდით მიიძინა და სიზმრად ნახა თავისი სრული სახე – აქ პირველად იშვა პოეტური ინტუიცია, ბუნებამ გულის ფეთქვით გაიღვიძა და ამხილა, მხიარულმა ლამაზი სიზმარი – აქ წარმოიშვა პირველად მხატვრული სახე, რომელიც გაიშალა მითოსად, ზღაპრად, ლეგენდად, ადამიანის გენია გასცილდა ზერელე სინამდვილეს და თავბრუდამხვევი ოცნებით ნამდვილ სინამდვილეს ფრთა ჩამოჭრა. აი, შემოქმედი ძალა, ნამდვილი მსოფლიო გენიისა! ვაჟა-ფშაველას ნიჭი სწორედ ამ გენიის ალით არის ანთებული. იგი არ არის პანთეისტი ფიგურალურად. არა, იგი თავის პანთეისტობაში ნამდვილი მისტიკოსია... ბუნება მისთვის ცოცხალი არსია, რომელიც ჰლამობს თავის სრულობას... ლოგოსი – აი, სათავე ვაჟას პოეტური გენიისა! ლოგოსის გარეშე მისი პოეტური სიტყვა მხოლოდ „ჭრელი სიტყვა” იქნებოდა”...

თავისი აზრის დასასაბუთებლად გრიგოლ რობაქიძე, ვრცლად შეეხო ვაჟას პოემას „გველის-მჭამელს”, დიდი ხელოვ-

ნებით გააცნო დამსწრეთ პოემის შინაარსი და გზადაგზა გაარ-
ჩია. იგი ამ შესანიშნავ პოემაზე შეჩერდა არა მარტო ვაჟა-ფშა-
ველას ნიჭის დასახასიათებლად, არამედ უფრო ქართველთა
გენიის გასაცნობად. გრ. რობაქიძის აზრით, „გველის-მჭამელი"
ნამდვილი სხეულებაა ქართველთა სულიერი ენერგიისა, მისი
საუკეთესო ნაყოფისა".

პოემის შინაარსის გადმოცემისა და გარჩევის შემდეგ მან
თქვა: „უბრალო ჩონჩხიც პოემის კომპოზიციისა ნამდვილი გე-
ნიის ალის ნაყოფია. ძნელია გამორჩევა, სად თავდება ხალხის
გენია და სად იწყება მგოსნის პირადი ნიჭი. მით უკეთესი ორი-
ვესათვის: მგოსანი ხომ მხოლოდ ინდივიდუალური სახეა ერი-
სა"

გრ. რობაქიძემ პოემაში თავისი თვალით დანახული ნაკლიც
აღნიშნა, მაგრამ აღნიშნა ამ ნაკლის ღირსებაც, აღნიშნა ის,
„რომ სხეული კომპოზიციისა, მეტს სიმშვენიერეს მოითხოვს:
მგოსანი გასცილდა ხალხის უბრალო თქმულებას და შემოქმედი
ენერგიით გარდაქმნა იგი სრულქმნილ მთელად, ფორმის ტექ-
ნიკური მხრით იგი ისევ ხალხური პოეზიის მორჩილად დარჩა.
„გველის-მჭამელის" ფაბულა აუცილებლად მოითხოვს ინდივი-
დუალურს სხეულ-ფორმას. მაგრამ ამ ნაკლს მომხიბლავი მხა-
რეც აქვს. ვაჟა-ფშაველას პოეზია, იმ ქალწულის შთაგონებაა,
რომელიც ღამ-ღამობით კლდის ნაჟურს უშვერს თავს გვირაბი-
დან გამოსული. ვაჟას პოეტური სიტყვა სწორედ ეს კლდის ნა-
ჟურია, იგი წყალი არ არის ჩასხმული ძვირფას ჭურჭელში: მისი
ჭურჭელია მთის უხვი და ქალწული მკერდი. ეს წყარო ხანდახან
ხავსმოკიდებულია, ეს წყალი ხანდახან ირმის ჩლიქით ამღვრე-
ულიცაა, მაგრამ იგი მაინც პირველყოფილი ცინცხალობის ხა-
ლასი ნაკადულებაა. რომელი რომელს წყალს აირჩევს – მთით-
მოხეთქილს – თუ ჭურჭელში გადმოსხმულს, ეს გემოვნების
საქმეა. დიდებულმა ლეონარდო და ვინჩიმ კი თქვა: „ვისაც შე-
უძლიან წყაროს დაეყრდნოს, იგი მოისურვებს სურით დალევა-
სო". ერთი გარემოებაც: ეს „ხავსმოკიდებული წყარო", რომე-
ლიც ირმის ჩლიქით ხანდახან ამღვრეულია, ბოლოს და ბოლოს
იმ ზღაპრულობასა ჰქმნის, რომელიც მაგარის სურნელებით ეს-
ხურება ყოველ სიტყვას ვაჟას მიერ წარმოთქმულს. მისი კოლო-
რიტი ამ მხრით სწორედ რაუტენდელაანის („დაძირული ზარა"

ჰაუპტმანისაა) ედარება: რაუტენდელაანი ხომ ნახევრად მითი-
ური ქალია და იგი სილეზიის დიალექტით მეტყველებს. ვაჟას
ფშაური დიალექტიც ასეთის სურნელოვანის კოლორიტით არის
გაჟღენთილი".

გაზეთ „სახალხო ფურცელის" ცნობით, მხატვრულ განყო-
ფილებაში თვით გრ. რობაქიძესვე შესანიშნავი ხელოვნებით
წაუკითხავს ვაჟას „მთის ქალი". ნ. ერისთავს წაუკითხავს ვაჟას
ლექსები „ფშაველი ჯარისკაცის წერილი" და „არწივი"; ივ. სა-
რაჯიშვილსა და კ-ნ შავერზაშვილს რომანსები შეუსრულებიათ,
მ. კავსაძის ქოროს – ქართული ხალხური სიმღერები; „თაგუ-
ნას" წაუკითხავს თავისი იუმორისტული ფელეტონი – „როგორ
გავითქვათ სახელი ვაჟა-ფშაველას საღამოზე".

პროგრამის ბოლოს ი. გედევანიშვილმა, ვ. გუნიამ და ს. აბა-
შელმა თვით იუბილარი, ვაჟა შემოიყვანეს სცენაზე. მან რამ-
დენიმე თავის ლექსი წაიკითხა. „პოეტის დეკლამაციამ ყოველს
მოლოდინს გადააჭარბა და ხალხი უფრო მეტ აღფრთოვანებაში
მოიყვანა".

ქართველ მწერალთა სახელით ვაჟა-ფშაველას დაფნის
გვირგვინი წარწერით „ქართული პოეზიის არწივს" გრ. რცხი-
ლაძემვე მიართვა, დასკვნითი სიტყვაც წარმოთქვა: „ძვირფა-
სო მგოსანო! ხალხის სულის მესაიდუმლევ! ქართული პოეზიის
არწივო! 30 წლის მანძილზე შენი გრძნეული კალამი უწყვეტლივ
კრებს ქართველი ერის გულში ჩაბნეულ მარგალიტებს, ჰკინ-
ძავს მათ და ამკობს ქართული პოეზიის ტაძარს.

პოეზია, ეს უმაღლესი ფორმა სულის კულტურისა, ერის
ცხოვრების სარკეა და მისივე ნაპერწკალი, ამ სარკეში ვხედავთ
ჩვენ უბრალო მოკვდავნი, ერის იდეალურ სახეს და, ხელოვნე-
ბის სათილისმო ძალით მოხიბლულნი, განვიცდით მის გავლე-
ნას.

პოეზია ეროვნული სულის აღმზრდელია. პოეზიის ქურუმი
ერის მოძღვარია და მასწავლებელი. აქედან წარმოსდგება ის
გულწრფელი სიყვარული, რომელსაც ასე უხვად მოგიძღვნის
შენ ქართველი ერი.

როგორც პოეზიის ჭეშმარიტი ქურუმი, ჩვენ გვატყვევებს
შენი ქმნილებები, გვავიწყებინებ გარდამავალ სადღეისო ჭირ-

ვარამს და აღგვაფრენ იმ სამარადისო სფეროსაკენ, რომელსაც ქმნის ნიჭი და ერის უღრმესი სიყვარული. ამიტომ შეიქმენი შენ სათაყვანებელი არა ერთი რომელსამე წრისა ან ჯგუფისათვის, არამედ მთელი ერისათვის, ძვირფასო მგოსანო!

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება, ნიშნად თავის ღრმა პატივისცემისა, მოგართმევს პოეზიის არწივს ამ დაფნის გვირგვინს და გისურვებს ნაყოფიერი მოქმედების გაგრძელებას მრავალჟამიერ!"

საღამოს დამთავრების შემდეგ ორთაჭალის ბაღში კარგი ვახშამი მოაწყვეს. თეატრიდან გამოსული ვაჟა პირდაპირ ჩოხის ამარა წაიყვანეს სუფრაზე, ნაავადარი რომ იყო, ეს არავის გახსენებია. მაისის ბოლოს კი, ისიც წყლის პირას, საკმაოდ სიგრილეა. ვაჟამაც, ჩანს, დაირცხვინა ნაბადი მოეტანინებინა და ისე დამჯდარიყო ლამაზად გამოწკეპილთა შორის. ითაკილა სუსტ, საცოდავ კაცად გამოჩენილიყო.

რაკი დააფასა საზოგადოებამ, თვითონაც არ დაზოგა თავი – ღვინოც სვა, სუფრიდან არ აჩქარდა და მთელი ღამე ასე გაატარა. გამთენიის ხანს იგრძნო, რომ უარესად გაცივდა. შინ მისულმა სანდროს შესჩივლა: „წამათრიეს, კაცო, მაგ ოჯახქორებმა ეს ავადმყოფი კაცი და უარესად გამაციესო". ჩაწვა და ერთი თვე ასე გაატარა სანდროს ბინაში.

ვაჟა თბილისურ აუტანელ სიცხეში იმითღა იქცევდა სულს, რომ მთელი დღე მთაწმინდას გასცქეროდა ღია სარკმლიდან, თავის საყვარელ მთებს მონატრებული.

„ცხელი ზაფხული იდგა, – იგონებს ნინო ციციშვილი, – ივნისის პირველი რიცხვები. უფროსმა ექიმმა ვ. მახვილაძემ (შემდგომში განთქმულმა პროფესორმა) გამომიძახა და დამავალა, აქვე, მლეთის ქუჩაზე, მძიმე ავადმყოფი ვაჟა-ფშაველა წევს და ის უნდა გადმოიყვანოთ ლაზარეთშიო...

წავიყვანე ორი სანიტარი, დავიჭირეთ ეტლი და მივედით მლეთის ქუჩაზე, სადაც იწვა ავადმყოფი ვაჟა. ავედით მეორე სართულზე, მაგრამ აქ მწოლიარე ავადმყოფი არავინ ჩანდა. მხოლოდ ვაჟას ძმა სანდრო დაგვხვდა. ამ ოთახიდან სამსაფეხურიანი კიბე ადიოდა მეორე პატარა, ბნელ ოთახში, სადაც მძიმე კვნესა მოგვესმა. შევედით. ტახტზე ულოგინოდ, ნაბადწამოსხმული იწვა გაუხდელი, წვერგაუპარსავი ვაჟა, თავი ჰქონდა გაკრული ხილაბანდით.

ნაბადი გადავხადე და ვნახე, რომ ძალიან ოფლიანი იყო, თეთრეული მთლად ოფლით დასველებოდა, მაღალი სიცხე აწუხებდა, ძლიერ ქოშინებდა. ისე დასუსტებული იყო, ლაპარაკის ღონე აღარა ჰქონდა". (37, 184).

ვაჟას ლაზარეთში დიდი, მზიანი პალატა გამოუყვეს, გამოუცვალეს ოფლისაგან სველი საცვლები, გაპარსეს და დაანაყრეს. ყველანი თავს დასტრიალებდნენ. მკურნალად მიუჩინეს ცნობილი ექიმი ივ. გომართელი. მისი გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ პოეტს ფილტვების დაავადება ჰქონდა გადატანილი და ახლა ორივე გვერდში წყალი ედგა, სველი პლევრიტი ჰქონდა, საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია. მოიწვიეს ქირურგი გ. მუხაძე, რომელმაც 5 ივნისს დიდძალი წყალი გამოუშვა გვერდიდან. ავადმყოფი ამის შემდეგ ერთხანობას კარგად გახდა, გამოკეთდა, მაგრამ შემდგომ და შემდგომ სიცხემ უმატა, თავს

ცუდად გრძნობდა. მაგრამ რაკი ლაზარეთში დააწვინეს და თავზე საუკეთესო ექიმები დააყენეს, ვაჟას იმედი მიეცა გამოჯანმრთელებისა. მანამდე კი უიმედოდ იყო. არც უნდოდა ექიმს გაჰყოლოდა, ჩათვალა, რომ ტყუილი წვალებაღა იქნებოდა მკურნალობა. ეხლა კი კვლავ იმედი გაუჩნდა ოჯახში დაბრუნებისა, მთების ხილვისა. მისი ფიქრი და საწუხარი ამდენი ხნით მიტოვებულ ოჯახს დასტრიალებდა. ეხლა, ზაფხულში, უამრავი საქმე იყო მთაში: სათიბი, სამკალი, თივა, ძნა... თუ ეხლა არ მომარაგდებოდა საზამთროდ „კაც-საქონთ" სარჩო, შიმშილით ამოიხოცებოდნენ. როცა ვაჟა იქ იყო და წელებზე ფეხს იდგამდა თამართან ერთად, მაშინ ძლივს აუდიოდა საქმეს, ეხლა რას გასწვდებოდა ცალად დარჩენილი მეუღლე. ლოგინში წოლა სულს უხუთავდა, ეჩქარებოდა საქმისაკენ. მაგრამ სანამ თავად ავიდოდა ჩარგალს, წერილით შეეხმიანა ოჯახს, რათა ფხიზლად ყოფილიყვნენ, ყურადღება არ მოედუნებინათ, არაფერი წაეხდინათ. თიბათვის თერთმეტში მისწერა ეს წერილი:

„ჩემო ჯალაფნო! ამას წინათ წერილი გამოგიგზავნეთ და არ ვიცი მოგივიდათ თუ არა. მე დიდი ავადობა და მწუხარება გამოვიარე, ხოლო დღესდღეობით კარგადა ვარ, მაგრამ ექიმები წამოსვლის ნებას არ მაძლევენ. ამ წერილს ნიკოს ვატან და ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ. პეტრეს საქმე გავაკეთე აქ, ქალაქში და იმედია დუშეთშიც გაკეთდებოდა. ასე რომ ამ ბიჭს ისევ დუშეთში დასტოვებენ.

მე ამ ცხრა-ათ დღეზე გავჩნდები მანდ. თქვენ იცით, მანდაურობას როგორც შეინახავთ და გაუფრთხილდებით. თამრო (ქალიშვილს მიმართავს, ცოლისთვის მიმართვა აქ სათაურშია – ჯალაფნო – გ.ხ.), სათიბებს მოუფრთხილდით, თვალი უნდა დაავლოთ ჩქარა-ჩქარა, თორო ხო იცით ეხლანდელი ხალხის ამბავი.

წისქვილი მაშინებდა, იქნება წყალმა წაიღოო და ნიკომ მითხრა ბეკურმა გაამაგრაო.* აბა, შანაყარი და მოურავი მაგისთანა უნდა! რო მოვალ, ერთი დიდი მენდალი უდა მოუტანო „წადიმოდისა".

მარადის თქვენი ერთგული ვაჟა.

თოთხმეტ ივნისს ვაჟა გადაიყვანეს წმ. ნინოს სახელობის

ლაზარეთში, რომელიც დროებით მოთავსებული იყო ახლანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში: პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა და თურქეთის ფრონტიდან ჩამოყვანილ დაჭრილებს ვერ აუდიოდა საავადმყოფოები.

ვაჟა ოფიცერთა განყოფილების ერთ-ერთ დიდ ოთახში დააწვინეს.

17 ივნისს, საღამოს შედგა ექიმთა კონსილიუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ იმ დროის საუკეთესო ექიმები სპ. ვირსალაძე, ივ. გომართელი, გრ. მუხაძე, შ. მიქელაძე, ვლ. მახვილაძე. გამოირკვა, რომ ავადმყოფს კვლავ ჩასდგომია წყალი მარჯვენა გვერდში. მდგომარეობა სერიოზული იყო. დაეწყო სხვადასხვაგვარი გართულება. სისუსტის გამო კვლავ ოპერაციის გაკეთება არ შეიძლებოდა. ისე წამლებს ასმევდნენ. 21 ივნისს სიცხემ დაუკლო და თავსაც უკეთ გრძნობდა.

პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა ცნობები ვაჟას ავადმყოფობის შესახებ. ყველა კუთხიდან მოდიოდა წერილები; ზოგი ხალხურ სამკურნალო საშუალებებსაც კი სთავზობდა ვაჟას. ნახვის მსურველიც ბევრი იყო, მაგრამ პოეტთან მხოლოდ ახლო ნათესავებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს უშვებდნენ.

*1986 წელს ვაჟა-ფშაველას საიუბილეო თარიღთან (125-ე) დაკავშირებით დაიწყო მი კარ-მიდამოში იმ სამეურნეო ნაგებობათა აღდგენა,რომლებიც იქ ოდესღაც იდგა. იმჟამინდელმა ვაჟას მუზეუმის დირექტორმა ირაკლი გოგოლაურმა ამ საქმეს მშვენივრად გააღტვა თავი. მან ამისათვის ბევრი რამ მოიძია ფშავში თუ სხვაგან. მაგალიტად სოფ. შარახევში ტუქსიშვილებთან არმოაჩინა ზუსტად ისეთი დოლაბები, როგორის ნამსხვრევებიც ეყარა ვაჟას ნაწისქვილართან და აღადგინა წისქვილი. ასევე აღადგინა გომური, საბძელ-კალო, საფუტკრე, საოჯახო წყარო ჭიჭახევაზე. ზოგიერთმა მემკვიდრემ უჩივლა ბატონ ირაკლის: ვაჟას წისქვილი არა ჰქონია და რას აკეთებსო. სამწუხაროდ დგეს უკეთურთა ხელში თითქმის ყველაფერი გაპარტახებულია.

ვაჟა ყველას თავის საშინლად გამხდარ მკლავებს უჩვენებდა და შესჩიოდა: აი, თბილისის სიცხემ რა მიყო, როგორმე მთაში წამიყვანეთ და ნახავთ, თუ იქ არ მოვრჩებიო.

ვაჟა მხოლოდ ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე ჩამოდიოდა ხოლმე თბილისში, ზაფხულის სიცხეს ვერ იტანდა. მაინცა და მაინც იმ ზაფხულს აუტანელი სიცხე ყოფილა. ქალაქიდან გაყვანა, მთა მოაცოცხლებდა ვაჟას, ექიმები კი რატომღაც არ უშვებდნენ. „ჩვენ ოჯახში როცა კი ლაპარაკი ჩამოვარდებოდა, მიხამ, თედომ, სხვებმა თქმა იცოდნენ, ვაჟა კომუნისტებმა მოკლესო, იმათ არ გააშვებინეს ქალაქიდანაო, – იგონებს პეპელა რაზიკაშვილი, – ექიმებს ეტყობა ემუქრებოდნენ კომუნისტი ტერორისტები და აიძულებდნენ სურამში გაეშვათ, სადაც იოლად მოუღებდნენ ბოლოს. რაკი ვაჟამ აიჩემა და თავის მთაში ითხოვდა გაშვებას, უცებ რაღაცით მოკლესო.

ქართველი მოღვაწენი, ვისაც კი გული შესტკიოდა, შეფუცხუნდნენ, როცა უკანასკნელ დღეში დაინახეს ვაჟა. ს. შანშიაშვილმა მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი მოიყვანა და ვაჟას დახატვა სთხოვა. მანვე დახატა მერე „ვაჟა კუბოში".

იოსებ იმედაშვილმა მოიყვანა ცნობილი ფოტოგრაფი ჟვანია და სურათები გადააღებინა.

„მამა გადასაღებად სახლში არავისთან მიდიოდა, თვითონ მოდიოდნენ ჩვენთან, – იგონებს შვილი გივი ჟვანია, – მამა იყო ევტიხი ჟვანია, რომელმაც 1913 წელს ოცდასამი წლისამ დაიწყო დამოუკიდებელი მუშაობა ფოტოგრაფიაში... გინახავთ, ალბათ, ვაჟა-ფშაველა სასიკვდილო სარეცელზე, მოწყალების დები შემოხვევიან გარს – სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე გადაღებული. მგონი ამ ერთხელ დაარღვია ევტიხი ჟვანიამ ტრადიცია, თვითონ წავიდა ლაზარეთში ვაჟას გადასაღებად" („თბილისი", 1987, 18 ნოემბერი).

მაგრამ, ნამდვილი გულშემატკივრება არც აქ ჩანდა, ყველაფერი მაინც მხოლოდ ვალის მოხდა იყო. ამას ვაჟაც ამჩნევდა და სხვაც. ვაჟას ერთ-ერთი ძველი გულშემატკივარი სამსონ ფირცხალავა იგონებს: „უკანასკნელი ჩვენი შეხვედრა მოხდა 1915 წელს ივლისში, ვაჟა-ფშაველა ავადმყოფი იწვა ლაზარეთში, რომელიც მოთავსებული იყო ახლანდელი უნივერსიტეტის შენობაში. არ მომეწონა ოთახის მორთულობა, რაღაც ყაზარმული სამხედრო სახე ჰქონდა, ვერსად ვხედავდი მზრუნველ ხელს და ყურადღებას. ვაჟა მარტო იყო, რაღაცა მიტოვებულად, ესეც არ მეამა. ავადმყოფი ძალიან გაახარა ჩემმა მისვლამ, თითქოს ძვირფასი რამ საჩუქარი მიმეტანოს. გამოცოცხლდა, მის სახეს ღიმილი დაეტყო. ვისაუბრეთ ნელ-ნელა. გულნატკენი იყო – ნაცნობები და მეგობრები არ მოდიან, არ მკითხულობენო, მითხრა. ქართველებმა მკვდრის დამარხვა კარგად ვიცით, ცოცხალს კი ყურადღებას არ ვაქცევთო... რომ გამოვეთხოვე, მთხოვა და მეც დავთანხმდი, მალე გინახულებ-მეთქი.. ეს მე ვერ შევასრულე" (17, 238).

მარტოობით შეწუხებულ ვაჟას სასთუმალთან ხშირად ეჯდა ხოლმე მოწყალების და ნინო ციციშვილი (შემდეგში დამსახურებული ექიმი), ის დასტრიალებდა თავს ავადმყოფ არწივს. სხვა მოწყალების დებმა ქართული ყველამ კარგად არ იცოდა და ვაჟასი რცხვენოდათ. ნინო კი თავისი შვილივით შეიჩვია, ესაუბრებოდა. ერთხელ ქაღალდიც მოატანინა: ლექსი უნდა დაგიწეროო, მაგრამ ვეღარ შეძლო.

გვერდში წყალი ნელ-ნელა უშრებოდა ვაჟას და 13 ივლისისათვის სულ დაუშრა, მაგრამ დროგამოშვებით სიცხეს აძლევდა და ის ასუსტებდა. ყოველ ღონეს ხმარობდნენ, როგორმე იმდენად მოეღონიერებინათ, რომ ავადმყოფს შეძლებოდა რომელიმე აგარაკზე წასვლა, რადგან საშინელი სიცხე სულს უხუთავდა. ექიმებმა გადაწყვიტეს, სურამში გაეგზავნათ, კიდეც მიავლინეს ვიღაც ბინის დასაქირავებლად. ვაჟასაც უთხრეს, შენი ჰაერზე გაყვანაა საჭიროო. ვაჟა ერთთავად ამას ნატრობდა და ითხოვდა: სურამში კი არა, თუ წამლები აღარ არის ჩემთვის საჭირო, ფშავში წამიყვანეთ, იქაური ჰაერი და წყალი უცებ მომაბრუნებსო.

ვაჟა გამოცოცხლდა, გახალისდა, იმედი მიეცა თავისი ჩარგლის ნახვისა. ოცი მანეთი ფული გაატანა მაღაროსკარში თავის სიძესთან, დავით ჯანაშვილთან, და თან წერილიც მისწერა „მჟავეწყალთან ჩარდახი გამიკეთე, იქ უნდა დავრჩე სამკურნალოდო".

ემზადებოდა სამკურნალოდ და ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად. სანახავად მისულ ვასილ ბარნოვისათვის უთქვამს, რომ იცოდე, კიდევ რამდენი რამა მაქვს დასაწერიო. დურგლისათვის ფართო ფანჯარა შეუკვეთია და ჩარგალში გაუგზავნია, ჩემი სახლის სარკმელი უნდა გავაფართოვო, ბევრი სინათლე

შემოვიდესო. ჩანს ეს თვალთა სინათლის დაკლებამა და თბილისის უნივერსიტეტის ფართო ფანჯრების ნათელმა აფიქრებინა.

შესაძლოა, ვაჟას აღარც მთაში სიცოცხლის იმედი ჰქონდა, მაგრამ „იმათ კალთაზე" ერჩივნა სიკვდილი. ყველანაირად იბრძოდა, იმდენად მომაგრებულიყო, მთამდე აეღწია. სანდროსა და შიო მღვიმელისათვის უთხოვია, მამადავითის ეკლესიასთან, კლდეში რომ წყარო გამოდის, ის უნდა როგორმე ჩამომიტანოთ, ჩვენ მთის წყაროებს ის უფრო ჰგავს და ცოტა იქნება მომასულიეროსო.

მეორე დღეს დოქით ჩამოუტანეს, დოქითვე მოიყუდა – ასე უყვარდა წყლის სმა, ბუერით თავდაცობილი სველი დოქიდან თუ თუნგიდან. ასე იყო ბავშვობიდანვე მთაში მიჩვეული და ახლაც მთის წყალი მთის წესზე დალია. ეამა ვაჟას – ძლივს ჩემი გემოს წყალი დავლიეო.

გუნება გადაეწმინდა. მთის წყალმა რწმენა მისცა, თითქოს უკვდავების წყალი დაელიოს. მთის წყარომ მთის ფერდობზე აბიბინებული თავისი სათიბები გაახსენა – ავადმყოფობა რომ არა, ეხლა იქ, აფხუშოს თავს, უნდა მჯდარიყო სამთიბლო წყალთან, თეთრად აყვავებულ, ტკბილსურნელოვან კენკეშიანში, ათასნაირი ყვავილით აფერადებულ წელამდე სათიბში, საამო ნიავი რომ აბიბინებს. იქ იქნებოდნენ ეხლა სათიბად გასული ჩარგალელნი, გასჭრიდნენ თავთავის სათიბებს, მისი სათიბიღა იქნება გაუჭრელი. ალბათ გასძახ-გამოსძახიან მთიბავები ერთურთს, მარტო ვაჟას ვერ ეხმიანებიან, აკლია ვაჟა მთას. იქ უნდა ყოფილიყო ვაჟა, საჩდილობლადა და ღამის სათევად დიდი ხნიდანვე შერჩეული ქორაფის ძირას უნდა მჯდარიყო, გაიკეთებდა ხაჭო-წყალას... ოხ, როგორ ამოისუნთქავდა, როგორ გაცოცხლდებოდა...

ვაჟამ ვეღარ მოითმინა და ახლა მთის, მინდვრის ყვავილი – ბალახი ინდომა – ინდომა იმიტომ, რომ მთაში მათი ხილვის იმედი აღარა ჰქონდა. წყალიც იმიტომ ითხოვა და ფოთოლ-ბალახიც.

მოწყალების დას ანიკო კობიაშვილს სთხოვა: თუ ღმერთი გწამს, ლოგინი იატაკზე გამიშალე და გარეშემო ეს მინდვრის

ყვავილები დამიყარეო. თხოვნა მაშინვე შეუსრულეს ვაჟას: იატაკზე დაუგეს ლოგინი და ირგვლივ მინდვრის ყვავილები და ბალახი მიმოუბნიეს.

ამ ყვავილიანმა საწოლმა, თავის საყვარელ „არსებათა" შორის წოლამ კიდევ მოაცოცხლა ვაჟა, თავი კარგად იგრძნო, ხალისიანად საუბრობდა ჩარგალზე, თავის ყოფაზე, თავის საქმიანობაზე, შიგადაშიგ ოხუნჯობდა კიდეც.

ცოტა წათვლიმა. შუადღის შემდეგ მოწყალების დას ჰკითხა, რომელი საათიაო? სამიო რომ უთხრეს – მიკვირს სამ საათამდე როგორ ვიცოცხლეო, ჩაილაპარაკა, ეს ჩემი უკანასკნელი საათიაო.

მერე რაღაცის ჩურჩული დაიწყო თვალდახუჭულმა, მილუშულმა. დამლაგებელმა, ვინმე მაისურაძის ქალმა ყური ახლოს მიუტანა და გაარჩია ძლივს გასარჩევი სიტყვები. ვაჟა უკანასკნელ ამოსუთქვასაც ლექსს აყოლებდა:

„მუხთალო, წუთისოფელო,
ტანჯული შვილი გშორდები,
თუ ვინმეს ვალი მიმყვება,
იქიდან გავუსწორდები".

უტყუარი ალღოსა და გრძნობის მგოსანი სულ ოდნავ მოტყუვდა, ესეც ავადმყოფობის ბრალი იყო, ალბათ: ექვს საათზე დაჰკარგა გრძნობა. ერთი საათი გასტანა სულთმობრძაობამ, ერთ საათს ეყრებოდა მის ტანჯულ სხეულს ძლიერი სული, საღამოს 7 საათზე ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა.

ეს მოხდა 1915 წლის 27 ივლისს.

ასე იყო ცნობილი. მეც ასე ვყვები. ქალბატონ პეპელას კი აქაც კორექტივი შეაქვს:

„ეს ყველაფერი შემდეგ არის შეთითხნილი. ვაჟას ბოლო დღეებში სასიკვდილო აღარაფერი ემჩნეოდა თურმე. გამხიარულებული ემზადებოდა მთისაკენ. სანდროსთვის დაუვალებია ხვალ ტანსაცმელი მომიტანეო. სანდროსაც მოუტანია და ვაჟა მკვდარი დახვედრია".

მართალია თუ არა, მე ვერაფერს ვიტყვი. ერთი კია, ბოლშევიკებს, ილიას შემდეგ, პირველი „ილიელების" მოსპობა ჰქონ-

დათ განზრახული. აკი სხვიტორში გარიდებული ღრმად მოხუცი აკაკი წერეთელიც შემთხვევით გადაურჩა მათგან მიგზავნილი მკვლელების ხელს: სერგეი მესხის ძმები ბალიშით გუდავდნენ მძინარეს და შემთხვევით მომვლელმა ქალმა შეუსწრო.

ვაჟასი კი უფრო დიდი ბოღმა ჰქონდათ. მისი მოკვლითა თუ სიკვდილით ვერ დამშვიდდნენ. ძმა თედოც მოუკლეს, შვილი ლევანიც. 1950 წლებშიც კი კვლავ ვაჟას მოთხრა განიზრახეს .

* * *

დასაფლავება, მართლაც, დიდებული მოუწყვეს, რაშიც არც თვით ვაჟას ეპარებოდა ეჭვი.

ერთი საათის შემდეგ უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა ვაჟას გარდაცვალების ამბავი. საღამოს ათ საათზე შეკრებისა და მცირე თათბირის შემდეგ, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენელნი მოვიდნენ წმ. ნინოს ლაზარეთში განსვენებულის თაყვანის საცემად. ამას გარდა მათ ჩაიბარეს ვაჟას ნივთები:' ბუდიანი სათვალე, გიშრის კრიალოსანი, ძეწკვიანი საათი, საფულე, რომელშიც აღმოჩნდა ორი მანეთი, ორი აბაზი და ორი კაპიკი, ხელის დანა...

მეორე დღეს, დილის რვა საათზე, წყნეთის ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის გავლით ვაჟას ცხედარი ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაასვენეს. საღამოს შვიდ საათზე შედგა პირველი პანაშვიდი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. რვა საათზე კი „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ" მოიწვია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება. იმსჯელეს იმის შესახებ, თუ სად, როდის და როგორ დაესაფლავებინათ ვაჟას ცხედარი. მოისმინეს „წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების" იმდროინდელი თავმჯდომარის გ. ყაზბეგის წინადადება, განსვენებული დაეკრძალათ დიდუბის პანთეონში. კრებამ დაადგინა: გაეგზავნათ კაცი ჩარგალში პოეტის ცოლ-შვილის ჩამოსაყვანად. ეს საქმე დაევალა თვით ვაჟას შვილს ლევანს, მაგრამ მერე უარყვეს, რადგან აღარ ესწრებოდა ასვლა-ჩამოსვლა. ამ საქმის მოგვარება დეპეშით აცნობეს თიანეთის მაზრის უფროსს. ქაშუეთის ეკლესიაში დასვენებულ ვაჟას საპატიო ყარაულში ედგნენ ეროვნულად განწყობილი, ნიჭიერი ახალგაზრდები. მათ შორის იყვნენ ძმები

ვახტანგ და ლადო კოტეტიშვილები. მათ ღამეც გაუთიეს და ამ ღამის თევისას ლადომ, შემდგომში ქართული მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელმა, მწერალმა, ვაჟა-ფშაველას სახის ნიღაბი აიღო, რომლის მიხედვითაც შემდგომში ბიუსტიც გამოძერწა. ამჟამად ეს ნამუშევარი გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში ინახება.ოფიციალურად კი, სახის ნიღაბი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს აუღია.

დასაფლავების ხარჯები (დაახლოებით 1500 მან.) უნდა ეკისრა ყველა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებას, რომელთა შორის უამრავი „საზოგადოება" იყო დასახელებული. ამას გარდა, მეორე დღეს, ოცდაცხრა ივლისს, დამკრძალავმა კომიტეტმა ოცდათოთხმეტ დაწესებულებას გაუგზავნა დეპეშა, როგორც თბილისში, ისე პროვინციებში. დეპეშის მესამე პუნქტში ეწერა: „გატყობინებთ რა კრების დადგენილებას, უმორჩილესად გთხოვთ, ორი დღის განმავლობაში შეატყობინოთ კომიტეტს რამდენი წვლილის გადადება შეუძლია თქვენს საზოგადოებას".

დამკრძალავმა კომიტეტმა დაადგინა: იმ დაწესებულებებმა და კერძო პირებმა, ვისაც კუბოს შემკობა სურს გვირგვინით, ამის ნაცვლად ფული გაიღონ „ვაჟა-ფშაველას ფონდში" შესატანადო.

როგორ ზუსტად აუხდა ნათქვამი! სიცოცხლეში ყველას შესჩიოდა, წამლების ფული მაინც გამომინახეთო და არავის ესმოდა მისი მუდარა. ეხლა კი შეიცხადეს. მთელი საქართველო ფეხზე დადგა, თითქოს ვაჟასთვის სულსაც არ იშურებდნენ. მის სიცოცხლეში ამისი მეათედი ყურადღება რომ გამოეჩინათ, იმისი მეათედი რომ შეეგროვებინათ ვაჟას სიცოცხლის გადასარჩენად, მისი ჯანმრთელობისათვის მოეხმარებინათ, რამდენი წლით გაუხანგრძლივდებოდა სიცოცხლე, რამდენი ლექსი და პოემა არ დარჩებოდა დაუმთავრებელი, დაუწერელი. რა დიდი სიკეთე იქნებოდა ჩვენი მწერლობისათვის, ვაჟასათვის, ქვეყნისათვის.

როგორც შემდეგში გაირკვა, კომიტეტმა, მართლაც, მრავალი საზოგადოებისაგან მიიღო დაკრძალვის ხარჯების გასასტუმრებელი ფული. ბევრი ვაჟას სიცოცხლისათვისაც გაიღებდა შეწირულობას, თავის დროზე მოთავე რომ გამოჩენილიყო,

საზოგადოებას ასეთი ერთსულოვნება რომ გამოეჩინა. თითქოს ყველა გულგრილად ელოდა ვაჟას სიკვდილს, ვაჟას დასაფლავებას. მაშინ ძალიან მოკრძალებით თუ ვინმე გაბედავდა ვაჟას დასაცავად სიტყვას და არავინ ისმენდა, ეხლა რიხით იძლევიან ბრძანებებს და ყველა უხმოდ ასრულებს: „გზადაგზა, სადაც ცხედარს გაატარებენ, დააბნიონ ყვავილები... ქართველ ქალთა საზოგადოებას მიენდოს მწვანითა და ყვავილებით გზების მორთვის საქმე... დაკრძალვამ ღირსეული ზეიმით ჩაიაროს"...

ამ მწარე სიმართლეს ყველა გრძნობდა და ხმამაღლაც ითქვა იმ დღეებში. ეს იყო ქართველი ინტელიგენციის ერთგვარი მოსანანიებელი სიტყვა:

„ჩვენ, ქართველები, ოინის ხალხი ვართ, ან ჩვენ ვხუჭავთ თვალებს, ან სხვები გვგონია თვალხუჭულა. ნუთუ არ უნდა გვრცხვენოდეს ჩვენი თავისა? მთელი ოცდახუთი, ოცდაათი წლის განმავლობაში მარტოკა ეხლა აღირსეს ტკბილი სიტყვა და თბილი ლუკმა, თითქოს იგრძნეს (თუ ვიგრძენით), რომ ჩქარა უნდა მომკვდარიყო და მშობლიური მზრუნველობა აღმოუჩინეს, საავადმყოფოში მოათავსეს... ეს ხომ ყველამ იცოდა და ჩვენც ვიცოდით. რატომ ის სიტყვები, რომელიც გაცივებული გვამის წინ მარგალიტივით ცვიოდა და იფანტებოდა, 10-15 წლის წინათ გაზეთის ფურცლებზე არ იფანტებოდა? რატომ, მანამ დრო იყო, საზოგადოებას არ ამცნეს ჩვენი დიდი ბუმბერაზი კაცის უღონობა. განა არ შეეძლოთ დახმარება აღმოეჩინათ?

დიახაც, შეეძლოთ, მაგრამ... „მაგრამ" ის არის, რომ ზოგს ვაჟას ჩოხა არ მოსწონდა, ზოგს სახელი, ზოგს სახლი, ზოგს იმისი საცხოვრებელი სოფელი, ზოგს იმისი ნაწერები, ზოგს რა, ზოგს რა და ამიტომ უყურადღებოდ იყო მიტოვებული. და ეხლა თუ თბილ-თბილი სიტყვები ვაღირსეთ და დიდათ ავამაღლეთ იმიტომ, რომ სხვა ეროვნებაში ჩვენი ორატორობა არ დაიჩრდილოს და იცოდეს ისტორიამ: მოკვდა კაცი შიმშილ-გაჭირვებაში და უკანასკნელ დღეს საფლავის კარამდინ აცილებენ და პატივს სცემენ. ცივი ხლხი ვართ და თბილი სიტყვები კი ვიცით". (ვანო მესხიშვილი).

დაკრძალვის დღეს, ორ აგვისტოს, მიცვალებულის წირვა დაიწყო დილის რვა საათზე. მწერალმა ქალმა ეკ. გაბაშვილმა კუბო ერთადერთი დაფნის გვირგვინით შეამკო, რომელზეც

მოჩანდა გატეხილი კალამი და წარწერა: „ვაჟა-ფშაველას ქართველი ერისაგან".

ეკლესიაში, გალავნის შიგნით და გარეთ, ქუჩებში ზღვა ხალხი იყო. პოლიცია წესრიგს ამყარებდა, ეკლესიისაკენ მოზვირთებული ხალხის ტალღებს ძლივს აკავებდა. ამ დროს ლეელა ბაჩლელივით გამოჩნდა ვაჟას უფროსი ქალი თამარი. მას გვიან გაეგო ერწოში მამის სიკვდილი, გვიან ჩამოვიდა. თვალცრემლიანი უხმოდ მიიკვლევდა გზას მამის ცხედრისაკენ. გზას არავინ უთმობდა და თვითონაც არავის რას ეუბნებოდა, რაკი ხედავდა ისინიც მისი მამის საგლოვადა და პატივსაცემად იყვნენ მოსულნი. ეკლესიის სიახლოვეს გზა გადაკეტილი ჰქონდა პოლიციას, აღარავის უშვებდნენ და დადგა თამარიც. შემდეგში იგონებდა: „მე ერწოში, სოფელ მაგრანეთს, ქმრის ოჯახში ვიყავი. მამის ჯანმრთელობისა აღარაფერი ვიცოდი.

ერთ ღამეს სიზმარი ვნახე. ჩვენი სახლისკენ მომავალ გზაზე გამოჩნდა მამაჩემი. ის თავის ცხენზე, „ნიკორზე", იჯდა და პირდაპირ ჩვენსკენ მოდიოდა.

მე გამეხარდა მამის დანახვა და წინ შევეგებე. მოახლოებულმა ხმა არ გამცა და გზის გაგრძელება დააპირა. მე „ნიკორს" ყელზე შემოვეხვიე, მამამ თავი გაიბრუნა და მითხრა: „ეჰ, რაღა დროსიაო!"

გამომეღვიძა დაღონებულს და შეშინებულს. როგორც კი ინათლა, გავიქეცი ჩვენს მახლობელ სოფელში ბერაანთას. იმათ მისვლა-მოსვლა ჰქონდათ თბილისში და გაზეთებსაც ღებულობდნენ. ბერაანი მოწყენილი დამხვდნენ და ბოლოს გამომიტყდნენ კიდევაც: მამა მოგვკვდომია, შე საწყალო, და რატომ არ მიდიხარ, რას აკეთებო.

დავბრუნდი. ტირილით გამოვიარე მთელი გზა. მივედი შინ, მაშინვე შევკაზმე ცხენი, შევჯექ და იმავე დღეს ნაძალადევში ჩამოვედი. იქ მითხრეს, მამაშენი ქაშუეთის ეკლესიაში არის დასვენებულიო. ქაშვეთის ტაძარში რომ მივედი, დიდძალი ხალხი ირეოდა, გზა არ იყო ხალხის გამო და შესვლა არ შეიძლებოდა. ამ დროს გამოვიდა ერთი ნაცნობი, ქუდი დამიქნია და ხალხს მიმართა: ხალხნო, ვაჟას ქალიშვილი მოდის და დაუთმეთ გზაო! ძლივს მივაღწიე კუბომდის".

როგორი თავშეკავებაა! ვაჟას გაზრდილი ქალია! ცდილობს, არავინ შეაწუხოს თავის მოთქმითა და ტირილით. რაკი ვაჟას ყველა გლოვობს, არა ცდილობს მათგან გამორჩევას, ისიც მათში გაერია. და, ალბათ, ასე შეუმჩნევლად იდგებოდა ბოლომდე, შემთხვევით ეკლესიიდან გამოსულს, რომ არ ეცნო ვიღაცას. შევიდა. მიიყვანეს მამის ცხედართან, თავის და-ძმებთან, დედინაცვალთან და იქაც უხმოდ, ჩუმად აქვითინდა. ამდენ ხალხში და ასეთ ზიმზიმში ვერ ბედავდნენ ფშაურად ხმით ტირილს. იდგნენ უხმოდ და თამარს, ვაჟას მეუღლეს, ძალაუნებურად დააყენებინეს ძველი ქართული, ხევსურეთში შემორჩენილი წესი, ცოლს ქმრის ტირილი რომ ეკრძალება დღესაც. დღესაც ხევსურეთში ცოლი ქმარს ვერ იტირებს, სირცხვილად ითვლება; ფშავში კი შეიძლება, გუდამაყარშიც, მაგრამ აქ ხევსურული წესით მოიქცა თამარი. „მრცხვენოდა, ტირილი მინდოდა და ვერა ვტიროდიო", – გაიხსენა შემდეგში. ეკლესიაში სიტყვები წარმოთქვეს ლეონიდემ, კ.კეკელიძემ, მღვდელმა კავკასიძემ. გალავანში გამოსვენებულთან – „წ. - კ. გ. საზოგადოების" წარმომადგენელმა ლ. ბოცვაძემ, თუშ-ფშავ-ხევსურთა მხრით თუშმა დ. ქადაგიძემ, ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტმა, რომელიც შემდეგში დახვრიტეს კომუნისტებმა.

სამგლოვიარო პროცესია შუადღის 12 საათზე გაემართა გოლოვინის პროსპექტის (დღევანდელი რუსთაველის გამზირი), ვერის ხიდისა და მიხეილის ქუჩის გავლით დიდუბისაკენ. დაკრძალვას დაესწრნენ ქალაქთა, საზოგადოებათა, წოდებათა წარმომადგენელნი. ხალხიც საკმაოდ ბევრი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ბევრი უკვე სააგარაკოდ იყო გასული თბილისიდან.

ქართველი ერის სახელით მიძღვნილი ერთადერთი გვირგვინი „ვაჟა-ფშაველას – ქართველი ერისაგან" მიჰქონდათ სანდრო შანშიაშვილსა და კოტე მაყაშვილს. ვაჟას ნეშტდასვენებული ეტლის ირგვლივ კი რიგრიგობით გალობდა ოთხი გუნდი: მ. კავსაძის, დიდუბის ეკლესიის, ჩარკვიანისა და ფილარმონიული საზოგადოებისა. ილ. აგლაძის პატარა გოგონა, ვაჟას ნათლული, ყვავილებით შემკული ვაზის ჯვრით წინ მიუძღვოდა მიცვალებულს.

პროცესიამ დიდუბის ტაძარს ორ საათზე მიაღწია. გაიმართა მიტინგი. ქართველი საზოგადოების სახელით სიტყვები წარმოთქვეს: დიდუბის ეკლესიის წინამძღვარმა მირიანაშვილმა, მღვდელმა კელენჯერიძემ, ქუთაისის დრამატული საზოგადოების წარმომადგენელმა გრ. ლაღიძემ, მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელმა სულთანოვმა, ქართველ სტუდენტთა წარმომადგენელმა ვახტანგ კოტეტიშვილმა, ტფილისის მშრომელი ხალხის წარმომადგენელმა ივ. ბალიაშვილმა, მუსულმან სტუდენტთა წარმომადგენელმა ახმედ-ბეგ პეპინოვმა, ქ, შ. წ. -კ. გ. საზოგადოების ზესტაფონის განყოფილების წარმომადგენელმა კელენჯერიძემ, ჭიათურის მუშათა სახელით ა. იოსელიანმა და ხიზანიშვილმა, ვაჟას ძმამ, ბაჩანამ, დაბოლოს, ვაჟას შვილმა ლევანმა.

(ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ვაჟას ცხედართან.
ქვეყნდება პირველად. არქივში მოიძია ნანა კოტეტიშვილმა)

„ბატონებო!

საშინელი და საიდუმლოებით აღსავსე რამ არის სიკვდილი! ჯერ განუჭვრეტელ ღამის მანტიით დაიარება მარად უცნობი, გაუგებარი. კუბოს საშინელება, სამარეთა მოჩვენებანი, ზებუნებრივი რამ ამოცანანი, – აი რა სწერია ცხოვრების შავ წიგნში. ნათელი გამჭვირვალეობა სიცოცხლისა ცრუვდება სიკვდილის აჩრდილის წინაშე და გარდაიქცევა მხოლოდ მოჩვენებად. სიკვდილს გული არა აქვს. იგი გრძნობაგაყინულია, ბრმა, დაუნდობელი. იგი სტიქიურია, განურჩეველი, თავხედი, ადამიანები მის წინაშე მხოლოდ ცრემლს-ღა ღვრიან შიშით გარემოცულნი."ვა?, სოფელმან სოფელს მყოფი, ყოვლი დასვა ცრემლთა დენად"-ო, ასე იტყოდა დიდი შოთა და აკი ასეც ხდება საწუთროში. თითქოს საშინელია ადამიანის ბედი, მაგრამ თვით ამ საშინელებაში არის მთელი სილამაზე სიცოცხლისა. აქ ცნაურდება ადამიანის ძალა, უნარი. სიკვდილი ძლიერია და გამოუცნობი. მაგრამ იმავე დროს იგი უძლურიცაა და საცნობიც. ჩვენ გვეშინია კიდეც მისი და თანაც წარბშეუხრელად ვხვდებით უკმეხს. იგი აკვდინებს სხეულს, მაგრამ სულს კი ვეღარ ეხება უძღები, ხარბი. თვით



სიკვდილი შეთრთოლ-
დება მარადისობისათვის
განმზადებული სულის
წინაშე და ქედს მოიხ-
რის დამარცხებული. არ
გსურთ ირწმუნოთ? აჰა
სამარე, აჰა ცხედარი!
დღეს გლოვის ზარს რე-
კენ გულდაწყვეტილნი.
ორმაგი არის იგი გლო-
ვა. ჯერ თვით სიკვდილი
დასტირის თავის უძლუ-
რებას, რომ ვერ შესძლო
ამაყ სულის მოკვდინება,
შემდეგ ხალხი გლოვობს,
რომ არ ძალუძს სხეული,
ფორმა უკვდავი სულისა
შემოსოს მარადისობით,
მაგრამ მაინც საზარე-
ლია უხეში თითი ბრმა
სიკვდილისა. მაინც სა-
შიშია ცივი სუნთქვა სიკ-
ვდილის აჩრდილისა.

ვისზე ჩამოჰკრეს
გლოვის ზარი? ვინ გარდაიცვალა? ვისზე გაეხვია მძიმე თალ-
ხებში მთლად საქართველო? აბა, გაჰხედეთ ფშავეთის მთებს რა
ნისლის ძაძა მოუხვევიათ! აბა შეხედეთ რა პირქუშად გამოიყუ-
რებიან გულამღვრეულნი. ვაჟას სტირიან, ფშაველ ვაჟას, ერის
დარაჯს, მთათა ფიქრის გამომხატველს, თვით ფიქრს; სტირიან
ერის მომღერალს, მგოსანს, გრძნეულს. მთა ხომ ჩვენი ერის სა-
დარაჯოა, ერის ფიქრ-ზრახვის საფარი უხიფათო. ვაჟამ გაიგო,
რომ"ოცნება ტანჯულ ქვეყნისა, ქვითინებს მთისა წვერზედაო"
და იქით გაეშურა. მთას მაღალს, გულზვიადს, ამაყს, სთხოვა
ბინა, ნავთსაყუდელი."ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოსო" – ეს
ჩვენი ეროვნული იდეა მთაში იყო შენახული უმწიკვლოდ, იქი-
დან ჩამოიტანა იგი დიდმა ილიამ. ვაჟასაც ეს უგალობეს მშობ-

ლიურ მთებმა. და ვაჟამაც ეს აღიბეჭდა ცეცხლის ასოებით
რკინა გულზე. მან გაიგო მთის ფიქრი, გაიზიარა მთის ზრახვა,
და მთა ამაყი, ბარს დაუახლოვა. ბარელ მეგობრებს ვაჟამ მთე-
ბიდან გადმოჰყივლა გმირულად და ჩვენს არსებაში გააღვივა
ცეცხლი ეროვნული.

"სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინებაო".

ამ გმირულ ყივილით შეათრთოლა ჩვენში მძლედ მეტყვე-
ლი აზიური ფლეგმა, განგვიმტკიცა ეროვნული ნება, აგვინთო
გრძნობა ცეცხლეულ სიტყვით და გვასწავლა სამშობლოს სიყ-
ვარული.

ჩვენც ვუსმენდით მთის მომღერალს, ვუსმენდით კლდეთა
ამაყ შვილს და მის ნამღერ საღ საგნებს ფიანდაზად ვუშლიდით
ჩვენს გრძნობათა ქსოვილს. ჩვენ უძღებად ვეწაფებოდით იმ
ანკარა წყაროს, რომელიც პოეტურ კვერთხის დარტყმით გად-
მოადენდა ფშავეთის კლდეთა საღი გულიდან. ჩვენ თრთოლ-
ვით ვუსმენდით ვაჟას ძახილს და მის მთიურ სიმღერებში ვე-
ზიარებოდით მთების ზრახვას. ვაჟა მღეროდა და ამ მღერაში
ცხადდებოდა მთების ოცნება; ვაჟა მეტყველებდა და მის მეტ-
ყველებაში ცნაურდებოდა მთების ფიქრი; ვაჟა ჰგოდებდა,
კვნესოდა, და მით გვამცნობდა მთათა წუხილს, ბარი უსმენდა
და იმ სიმღერით ცოცხლობდა, იმ მეტყველებით ფიქრობდა, და
იმ კვნესა-გოდებასაც იზიარებდა მხურვალედ. და ოდეს"მთანი
თავჩაჩქნიანები ფიქრს მისცემიან მწარესა", მაშინ ბარად ჩამო-
დენილი"არაგვიც ჩუმად მოსჩქეფდა, თვით ცრემლსა ცრემლი
სდიოდა", და ასე გულ-მკერდს უსველებდა შებორკილ ბარს.
და გაიბა მთა და ბარს შორის ცოცხალი კავშირი. ვაჟა იყო ამის
მომქმედი. იგი დადგა მათ შორის"ქედმოუდრეკელ სვეტად", და
ასე გადმოგვცემდა მთათა გულის ტკივილს:"გული სტკივათ,
ძალიან სტკივათ, მაგრამ არ იხოცებიან. ელიანო". ასე გვეტყო-
და მთების მგოსანი. ჩვენც ხომ ველოდით და ველით დღესაც.
რას? – ბაზალეთის ტბის ძირას მოქცეულ ყრმის ამოყვანას,

ერის ფიქრის განხორციელებას, საქართველოს ლაღ-განახლებულ ცხოვრებას. ჩვენ ველით ჩვენი ერის ახალი აზრით გაცისკროვნებას, ახალ გრძნობით მონათვლას, მომავალს უკეთესს. მთების ფიქრი და ბარის ოცნება მხოლოდ ეს იყო. ამ აზრსავე ამკობდა მხატვრული ფერებით მთების გრძნეული ვაჟა, ამ აზრსავე ეთაყვანებოდა მგოსნის ოცნება, მისი ნება."ვაი რომ რჩება აკვანი, ბაზალეთის ტბის ძირასა, და დიდხანს კითხვადა რჩება: ვინ ამოიყვანს იმასა?"-იკითხე შენ ქართველი ერის დარაჯო და ამაყ-იმედიან შუბლზე გაივლე სევდის ზოლი. ნუ წარიკვეთ სასოებას, ჩვენო არწივო! ნუ გაგვაგონებ" ვაის" ხმას! ნუ გაგვინელებ იმ ცეცხლს, რომელიც აღგვიგზნე ჭაბუკ გულში. როგორ გგონია, როს იტყოდი:"ვერ მივსცემ მტერსა მამულსა, საჯიჯგნად, დასაზიანადო", განა ეს სიტყვები სისხლის ასოებით არ ამოიჭრა ჩვენი გულის ფიცარზე? ნუთუ გგონია, რომ შენმა ნათქვამმა ვერ იპოვა კარგი გამგონე? არა მგოსანო! ახლა საქართველოს ეროვნულ დროშაზე ასომთავრულით ეგ ამოვქარგეთ! ახალი საქართველო აგისრულებს გულის საწადელს. ნუ გეშინია, არც ჩვენ არ მივცემთ მტერს ჩვენს სამშობლოს საჯიჯგნად, დასაზიანად. ჩვენც

"სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება!"

დიდო მგოსანო! ჩვენ, ახალი საქართველო, არ გიტირებთ, ჩვენ ცრემლს არ დავაფრქვევთ შენს ცხედარს ძვირფასს. ჩვენც იმ ვაჟკაცურ სიმტკიცეს გამოვიჩენთ, რომლითაც შენ იტანდი ტიალ ბედის სიმძაფრეს.

"ჩვენ არ გვიყვარს ოხვრა, კვნესა,
ჩვენ არ გვიყვარს მოთქმა, ცრემლი,
იმედებით ჰფეთქავს გული,
იმედებსვე სჭედავს გრდემლი" (ქუჩიშვილი)

და შენც, ქართველო ერო, ქართველო დედავ,"თვალებს ნუ ითხრით ცრემლითა, გულს ნუ იხოკავთ დარდითა". ნუ გვინდა ცრემლი, თორემ ცრემლში გაქარვდება დღეის სიმძაფრე. ცრემლი გრძნობის სიტყვაა, და თქმით კი ჭმუნვა მცირდება. ჩვენ თქმა არ გვინდა, მხოლოდ ჭმუნვა გულს ჩავიკეტოთ, რომ მწველი ცეცხლი გვტანჯავდეს მარად. ჩვენ ეს ტანჯვა გვეჭირვება, რომ სული ჩვენი განმტკიცდეს; ჩვენ ტანჯვა გვინდა, რომ ცხოვრებას აღარ მოვუხუჭოთ თვალი, აღარ ავეთრევინოთ. ტანჯვაა ჩვენთვის საჭირო, რომ ვიფხიზლოთ დიდი ხნის მძინარეთ. ხოლო ეს სიფხიზლე აღთქმის შესასრულებლად გვჭირდება. იგი აღთქმა დიდია და სანუკვარი. ფიცს ვსდებთ, რომ აღთქმის დროშას თავცოცხალი არავის დავანებებთ.

"არ მივსცემთ მტერსა სამშობლოს,
გულში დავიცემთ დანასა,
არ მივსცემთ უცხო ტომისას
თავის მამულის ღალასა".

ეს დამავალეს ქართველ სტუდენტებმა, მამავ ძვირფასო! გპირდებით, რომ თავისუფლების მოტრფიალე მგოსანს თავისუფალ სამშობლოში გექნება ბინა სამარადისო."

არც კი გინდა დაიჯერო! ვაჟას გამოსამშვიდობებელი სიტყვა ქართველ მწერალთა, თბილისის ინტელიგენციის სახელით არავის უთქვამს. ისევ ქუთაისის წარმომადგენელი, ისევ ზესტაფონი, ისევ ჭიათურა – ისევ პერიფერია და მისი უტყუარი სული.

ნაშუადღევის სამ საათზე (მცირე პანაშვიდის შემდეგ) ვაჟას ცხედარი მიწას მიაბარეს.

ვაჟას ანდერძი ჰქონდა დატოვებული: როცა მოვკვდები, ჩარგალში, სარაყდრის გორზე დამმარხეთო. ეს სწორი, ვაკე გორია ჩარგლის ჩრდილო-დასავლეთით, სოფლის თავზე. გორის წვერთან, არაგვზე გადასახედთან, ძველ დროს საყდარი მდგარა, სასაფლაოც იქა ყოფილა. ამ გორიდან კარგად ჩანს გაღმა-გამოღმა სოფლები: მიგრიაულთა, გუდარახი, კაწალხევი, აფშო, ხომი, ინო, ბოწახი; მთები (საორბე, კილდოვანი, ახუნი, დოწია...), ჭალები... ამ მშვენიერ მოსახედ ადგილას ვაჟას ძალიან ჰყვარებია ჯდომა, თვალის ვლება...

ვაჟას ეს ბოლო თხოვნაც ყურადუღებელი დარჩა. მისი სურვილისათვის ანგარიშის გაწევას არ იყო ჩვეული საზოგადოება. ფშაველები მერეღა მიხვდნენ ვაჟას ნათქვამს – არა მგონია ჩარგალს დავიმარხოო.

ვაჟას ანდერძი ჩარგალს იყო დატოვებული, ისიც – სხვათა შორის. თბილისში კი არაფერი ანდერძი დაუტოვებია.

მოწინავე, პატრიოტმა სტუდენტებმა ვახტანგ კოტეტიშვილის მოთავეობით დამკრძალავ ბიუროს სთხოვეს ვაჟა ფშაური, მთის წესით დაემარხათ, ხმით მოტირლებს დაეტირათ. არც ეს ჩათვალეს საჭიროდ.

ვაჟა დამარხეს თბილისში ფშაური წესისა და დატირების გარეშე, ფშავში კი წესი დაუყენეს და დაიტირეს დამარხვის გარეშე. ასე იყოფოდა მის ირგვლივ ყოველთვის ყველაფერი: ცოცხალი როცა იყო – დაფასება არა ჰქონდა, დაფასება დაუწყეს და ცოცხალი აღარ იყო.

ფშავში ვაჟას წესისა და რიგისა არაფერი დააკლეს. მეზობლებმა და ნათესაობამ იქ მოიყარა თავი. საკლავებიც დაიხოცა და სანთელ-საკმეველიც ეკმია, სასმელიც დაიხარჯა და ცრემლიც.

ვაჟას ნაბადი გაჰფინეს ეზოში და ზედ მისი ტანსაცმელი გაშალეს, გამოიტანეს და ზედ დააწყვეს მისი ხმალ-ხანჯალი, თოფი, ფარი. ირგვლივ შემომსხდარი – შავოსანი დიაცებიდან რიგრიგობით იღებდნენ ვაჟას ხმალს დატირების მსურველნი და ხმამაღლა მოთქვამდნენ ვაჟას ოჯახის ბეჩაობას და ვაჟას სახელიანობას. ჩარგლურას წყნარ შხუილს ერთვოდა სიმღერას მიმსგავსებული ფშაური ტირილ-მოძახილი.

თუ ფშაველი კაცები სიმღერით ნათქვამ კაფიაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ფშაველი ქალების შეჯიბრი ხმით ტირილშია. ეს პოეტობაა, ჩუმი შეჯიბრია, უხმაურო და გამკივანი. კარგი ნატირალი კარგი ლექსივით „გაქვეყნდება ხალხში". ჯერ ერთმა ფშაველმა დედაკაცმა დაიტირა:

„ვერ გაიგეთა ფშაველნოოო,
შეგეხსნათ რკინის კარიაოოო,
ქალაქში დარჩა ლუკაიოოო,
რაზიკაანთა გვარიაოოო".

ვაჟას ხმალი ახლა ბეროთ ნათელამ აიღო, ფშავში განთქმულმა მოტირალმა, ვის ტირილსაც ვაჟა პოეტურ შემოქმედებას ეძახდა. ვაჟასავით ამაყად დაებჯინა ვაჟას ხმალს და ცისკენ თვალაპყრობილმა დაიწყო მოთქმა:

„ეეს თუ არი ჩვენი ლუუუკაიი,
ბადალი მთელიიის ხმელეეეთისაა"...

მთიელები სულ უბრალო კაცის დატირებისასაც კი ეპითეტებს არ იშურებენ. არწივებსა და კლდის ვეფხვებს ადარებენ, ოჯახის ურგებზეც კი ოჯახის იმედს იტყვიან. ამ გაზვიადებასაც – „ბადალი მთელი ხმელეთისაო" – უდაოდ გადაჭარბებად ჩაუთვლიდნენ მაშინ ნათელას მთაშიც და ბარშიც. მაგრამ ნათელას ეს ლამაზი სიტყვებისათვის არ უთქვამს – ათქმევინა რაღაცა შინაგანმა პოეტურმა გრძნობამ, დიდმა განცდამ ვაჟას პოეზიისა. ნაგრძნობი ისე, როგორც კლდის თავზე წამოზრდილი პირიმზე გრძნობს მზის სითბოს, ნაგრძნობი ისეთივე ქალისა, როგორიც იყო ხვარამზე, მთქმელი ლექსისა „ვერცხლის თასადამც მაქციაო".

ბეროთ ნათელა კაწალხეველი ქალი ყოფილა, ხორნაული, ასხავარათ გამახარეს და, ჩარგალში გათხოვილი. ძალზე პოეტურ ქალს, გარეგნულადაც მოხდენილს მოსწონდა თურმე ვაჟა და არც ისა ყოფილა გულგრილი – ვაჟას წაწალი ყოფილა. საფერნი ყოფილან ერთურთისა. ნათელას ტირილიც ძალიან მოსწონდა ვაჟას. ერთხელაც ნათელასაგან ვიღაცის დატირებას უსმენდა თურმე და თვალცრემლიანს დაუნატრებია: „ნეტაინ, რო მოვკვდები, ნათელა მეც ეგრე დამიტირებდესო".

და რამდენად სიმბოლურია, რომ ვაჟას სიდიდეს, მის ბუმბერაზ მწერლობას ხედავდა საქართველოს ერთერთი უპირველესი და უდიდესი მოაზროვნე, გონების თვალით მხედველი, უმაღლესი ერის კაცი ილია ჭავჭავაძე („რუსთველის შემდეგ ჩვენ ასეთი პოეტი არა გვყოლიაო") და და საქართველოს იმდროინდელი საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენელი, უბირი დედაკაცი („ბადალი მთელი ხმელეთისაო"). ეს უბირი ქალი იყო „ქართვლის დედა" გულით, გრძნობით მხედველი. ორივე ერთსა და იმავეს ხედავდა და უტყუარად. აქ იყო შეერთება და ნათესა-

ობა უმაღლესი აზრისა და უმაღლესი გრძნობისა. იმ დროს ვინც მიახლოებული იყო ამ უმაღლეს აზრთან, ან უმაღლეს პოეტურ გრძნობასთან, მხოლოდ მათთვის იყო ვაჟა გასაგები. საშუალოთათვის, შუაზე მდგომთათვის ვაჟა გაუგებარი იყო... ნახევარ საუკუნეზე მეტი დასჭირდა ჩვენს საზოგადოებას ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ბეროთ ნათელას ნაგრძნობის გაგებამდე მისასვლელად.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენი საზოგადოებიდან პირველად „ცისფერყანწელებმა", ამ უმაღლესი პოეტური სულისა და გრძნობის ადამიანებმა ატეხეს განგაში ვაჟას გენიალობაზე და მოითხოვეს მისი ნეშტის დიდუბიდან მთაწმინდაზე გადასვენება.

ის, რაც ვაჟას დასაფლავების დროს ითქვა თუ დაიწერა, ბევრი რამ ისევ და ისევ ვალის მოხდით იყო ნაკარნახევი. დასაფლავების მეორე დღიდანვე კვლავ განელდა ვაჟას მიმართ გამოჩენილი ენთუზიაზმი. საფლავი იმდენად მიივიწყეს და მიატოვეს, ბოლოს ისე აბალახდა, რომ აღარც კი გაიგებოდა, სად ემარხა პოეტი.

ასე გაგრძელდა ოც წელიწადს. გარდაცვალებიდან ოცი წლის თავზე კი ვაჟას ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს. ეს ისევ და ისევ ყოფილმა „ცისფერყანწელებმა" და მათ შორის გიორგი ლეონიძემ გააკეთეს. მაშინ დიდუბეში გამართულ მიტინგზე ვაჟას ნათლულმა, დიდმა ქართველმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ, ლექსში „ვაჟა-ფშაველას საფლავზე დიდუბეში" თქვა:

„ის აქ ვინ დაასვენა,
რომელ დამნაშავემა?
მთა უნდა მთასთან იყოს,
ზევით ვაჟა-ფშაველა!"

* * *

საუკუნეთა სიღრმიდან მოედინებოდა რაზიკაშვილთა ჯიშ-ჯილაგის არაგვივით მჩქეფარე სისხლი და თითქოს მოედინებოდა იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველამდე გამოეტანა ყოველივე კარგი და საუკეთესო ჩვენი წინაპრებისა. თითქოს ყველანი მხოლოდ იმიტომ ავარჯიშებდნენ ჭკუა-გონებას, რომ საბრძენკაცოდ შემზადებული ჩაებარებინათ ვაჟასათვის; თითქოს იმიტომ მოაჩქეფებდნენ ცხელ სისხლს, რომ ვაჟას სხეულში ყველას სახელით ეყივლა და „გალურჯებულიყო"; თითქოს იმიტომ ისალკლდევებდნენ ორგანიზმს, რომ ვაჟაობას ვერ იზამდა სუსტი და მომცდარი, თითქოს იმიტომ გადმოეცემოდა თაობიდან თაობას ღაჭაურას მუზარადისხელა უტეხი გული, რომ ბევრი იარის ატანა შეძლებოდა და მოჰქონდათ შეუბღალავი სახელი და სინდისნამუსი, რათა ვაჟას საქართველოზე გადაეწვდინა. პირნათლად შეასრულეს თავისი ვალი სულკურთხეულმა „პიროფლიანებმა". ამიტომაც იყო ვაჟა მოწიწებული მათი ხსოვნის წინაშე, ამიტომაც ამბობდა „გმირთა საფლავებს, როგორც ხატს, სამთხვევლად დავეღირებიო". მათ უმადლოდა სულგრძელი ვაჟა თავის სიკეთეს. ხედავდა, რომ მისი სიკეთე შემზადებული იყო მისი წინაპრებისაგან, ფშავლებისაგან, ფშავ-ხევსურთაგან და მთლიანი საქართველოსაგან. მთლიან საქართველოს ჯვარი სწერია, თავის წინაპართა ენერგია კი ყოველგვარი და ყოველმხრივი მძლავრად შეწოვა ვაჟამ, ის მჩქეფარე მდინარება ბუმბერაზული დაწაფებით მოხვრიპა და დააშრო. მემკვიდრეობით მიღებული ჯანიც და სისხლიც, გონიც და გულიც ბოლომდე გახარჯა, გაცვითა, გამოიყენა და გადასაცემად აღარაფერი დარჩა. კიდევ კარგი, რომ გამოიყენა და ქვეყნის სამსახურში დახარჯა.

აზრისა და გონების, გულისა და გრძნობის ძალას იმ მცირე ასპარეზიდან, რასაც რაზიკაანთ საგვარეულო ეწოდება, ფართო ასპარეზი მისცა. მაღალ რანგში, დიდ ღვთიურ ძალამდე აყვანილი ყველა ქართველის სამემკვიდრეოდ აქცია, და არა მხოლოდ ქართველთა – საერთო საკაცობრიოდ.

თმიანი დაბადებულა ვაჟა, გრძელი თმა თვალებზე ჰქონია ჩამოფარებული. უთქვამთ: „ნაწილიანიაო", „ღმერთთან წილნაყარიაო". ასე იყო ალბათ „დაწერილი" – ხორცით უნდა გვემულიყო. ბოლოს კი, ამქვეყნიური მისიის შესრულების შემდეგ, თავისივე პირით უნდა ეთქვა ცოდვილი ქვეყნისათვის: „მე ავიწიე ზეცადაო" და... ამაღლდა.

დამოწმებული ლიტერატურის სია:

1. აკობაშვილი ვეფხო, „მოგონებანი ვაჟაზე", თბ., 1965.
2. ბაქრაძე აკაკი, „კრიტიკული გულანი", თბ., 1977.
3. ბაქრაძე აკაკი, „ილია ჭავჭავაძე", თბ., 1984.
4. ბაშარული გულნარა, „გულქან რაზიკაშვილის ბოლო სურვილი", „სამშობლო", 1989 წ. მარტი.
5. ბენაშვილი დიმიტრი, „ვაჟა-ფშაველა" თბ., 1989.
6. ბორელი თომაზ (პლატონ კეშელავა -გ. ხ.), „პოეტთა შეჯიბრი – აკაკი და ვაჟა", ტფ., 1930.
7. ბოძაშვილი ლევან, „ფშავი და ფშავლები", „საბჭოთა საქართველო", თბ., 1988.
8. ბოცვაძე იოსებ, „ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში", თბ., 1955.
9. გრიშაშვილი იოსებ, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა", თბ., 1927.
10. გოგოჭური დავით, „ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები", თბ., 1977.
11. გოგოხია ლილი, „რაზიკაანთ ერთი ძმა", „ნაკადული", 1967.
12. გულისაშვილი ლალი, „რას მღეროდა ვაჟა-ფშაველა". „ლიტ. საქართველო", 1987 12 ივნისი.
13. ევგენიძე იუზა, „ვაჟა-ფშაველა", თბ., 1982.
14. ერემეიშვილი იროდიონ, „ვაჟას ერთი საღამოს შესახებ", ჟურნალი „კრიტიკა", 1989, 4.
15. ვაჟა-ფშაველა, „თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად", IX თბ., 1964.
16. ვაჟა-ფშაველა, „თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად", X თბ., 1964.
17. „ვაჟა-ფშაველას" (კრებული), თბ., 1966.
18. ვართაგავა იპოლიტე, „წერილები და მოგონებები", თბ., 1975.
19. ზალდასტანიშვილი სოლომონ, „საქართველოს 1924 წლის ამ ბოხება", პარიზი-თბილისი, 1989.
20. თოფჩიშვილი როლანდ, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX ს.ს.", თბ., 1984.
21. ითონიშვილი ვალერიან, „ხევის ტოპონიმიკა", თბ., 1971.
22. „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება" (კრებული), თბ., 1989.
23. იმედაშვილი გაიოზ, „იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზა", „საბჭოთა საქართველო", 1984.

24. იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა", „ქართული პროზა", VI, თბ., 1984.
25. „კაი ყმა" (მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე. შემდგენლები: მარინე ბეჟიტაძე, სარგის ცაიშვილი), თბ, 1986.
26. კიკნაძე გრიგოლ, „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება", თბ., 1957.
27. კლდიაშვილი დავით, „მემუარები", თბ., 1932.
28. Лессинг Г. Э. „Лаокоон, или о границах живописи и поэзии", М. 1957.
29. ლომაშვილი ჯიბო, სტ. „წიგნი ერწო-თიანეთის ტოპონიმია ზე", გაზ. „ახალი თიანეთი", 1981, 105, 5 სექტ.
30. ლომაშვილი ჯიბო, „ვაჟა-ფშაველას საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები", თბ., 1982.
31. მანსვეტაშვილი იაკობ, „მოგონებანი", ტფ., 1936.
32. Мачабели М. В., „Экономический быт государственных крес тьян Тианетского уезда, Тифлисской Губерний": „Матерялы для изу ченя экономического быта государственных крестьян закавказского края". , т. V, Тифлис, 1887.
33. მესხიშვილი ვანო, „ვაჟას დაფასება", ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", თბ., 1916.
34. ნათაძე ნოდარ, „ვაჟა-ფშაველას წარსული და მომავალი", „ცისკარი", 1961 7.
35. ოჩიაური თინათინ, „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში", თბ., 1967.
36. რაზიკაშვილი ეთერ, „ცოტა რამ მამაჩემ-ბიძაჩემებზე", „ნაკადული", 1976.
37. რაზიკაშვილი ვახტანგ, „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა", თბ., 1961.
38. რობაქიძე გრიგოლ, „ვაჟას ენგადი": „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია" (კრებული), თბ., 1996.
39. რობაქიძე გრიგოლ, „ვაჟა-ფშაველა": „შერისხულნი", II, თბ., 1994.
40. როსტომაშვილი შოთა, „ასი ოცნების მხარეში", თბ., 1986.
41. „ფშავის საეკლესიო წიგნები" „მეტრიჩესკის წიგნი მოცემუ ლი საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართბელის სინო დის კანტორითგან თუშთ ფშავთ ხევსურეთის ოკრუღის სოფ ლის გომეწრის წმინდის გიორგის ეკლესიასა შინა ჩასაწერად დაბადებულთა ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალე ბულთა ჩღმგ (1843) წლისათვის"), არქივი 509, ფონდი 489, აღ წერილობა – 6.
42. ქართველიშვილი ივანე, „ვაჟას ნაკვალევზე", თბ., 1977.

43. „ქართლის ცხოვრება", II, თბ., 1959.
44. „ქართული ლიტერატურის ისტორია", ექვს ტომად, IV, თბ., 1974.
45. „ქართული მწერლობა", VIII, 1990.
46. ყუბანეიშვილი სოლომონ, „ვაჟა-ფშაველა (დოკუმენტები და მასალები)", ტფ., 1937.
47. შადური ვანო, „მასალები ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის", თბ., 1985.
48. შანიძე აკაკი, „ქართული ხალხური პოეზია" (ხევსურული), I. ტფ., 1931.
49. ჩიხლაძე ნინო, „ვაჟა მოგონებებში", თბ., 1957.
50. ჭილაძე თამაზ, „წერილები", თბ., 1978.
51. ჭინჭარაული ალექსი, „მთას ვიყავ", თბ., 1980.
52. ჭრელაშვილი ლევან, „ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ატრიბუცია და შემოქმედებითი ისტორია", თბ., 1985.
53. ჭრელაშვილი კოტე, „ვაჟა-ფშაველას მიმრქმელი", „ლიტ. საქართველო", 1988, 19 აგვისტო.
54. ხორნაული გიგი, „ფშაური კაფია", თბ., 1969.

ლექსიკონი

ანდრეზი (ხევს.) – გადმოცემა, ლეგენდა; ძველი ამბები; ტრადიცია.

ასხია – ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, იგულისხმება ტყე (მუხა და წიფელი), მისი ნაყოფი (რკო და წიწიბურა), რაც ნადირ-ფრინველს ასუქებს შემოდგომაზე და კარგ (ან ცუდ) სანადიროებს ჰპირდება მთიელ მონადირეებს.

აფხუშო – ნასოფლარია ჩარგლის ხეობის კუდში, კლდეებით შემოზღუდულ ხეობაში, ჩარგლელთა თავდაპირველი სამოსახლოა.

აჩაჩა – ხის გუთანი.

აძრახება, აძრახდომა – დალაპარაკება, ხმის ამოღება, ხმის გაცემა.

ახალყოილნი – ახალჯვარდაწერილნი, ნეფე-პატარძალი.

ახუნგორი – ახუნის (ჩარგლის სამხრეთით აღმართული სათიბი) მთის გორი, ვაჟას სახლის პირდაპირ ჩამოყუდებული, რომელზედაც ადის თიანეთისაკენ გადასასვლელი ბილიკი.

ბაჩალი – ფშავლების სოფელია ივრის ხეობის კუდში (თიანეთის რაიონში).

ბაჩანა – პატარა, მორჩილი ტანის კაცი.

ბეგენგორი – გორია ხევსურეთში, სოფ. გუდანის დასავლეთ მხარეზე, სადაც ზურაბის ლაშქართან მარტოდ შებრძოლებულ გუროელ ქალუნდაურს გმირობა გამოუჩენია.

ბედენა – განსხვავება, განსხვავებული.

ბედნიერი – ციმბირის წყლული (ავადმყოფობა).

ბერმუხა – ქართველთა საკულტე ხე, კულტი. გადმოცემის თანახმად, ერთი ასეთი ბერმუხა ფშავში, ლაშარის გორზე მდგარა, რომელიც ზურაბ ერისთავს აფციაურის გამცემლური ღალატით მოუჭრია.

ბისტი – (სპარ) ძვ. სპილენძის ფული, წვრილი შავი ფული (უდრიდა 2 კაპიკს).

ბოწახი – სოფელია ფშავში, ჩარგლის ხეობის კუდში, აღმოსავლეთით, მარჯვენა ფერდობზე.

ბუზურა – ველური, დიდი ზომის „ფუტკარი". ფიჭას მიწაში ჩაღრმავებულ ადგილებში, სათიბებში იკეთებს. მეტად ტკბილი, თხელი თაფლი აქვს.

ბღლარძუნი – უშნო ჭიდაობა სუსტისა ძლიერთან, ბავშვისა

დიდთან; ხუმრობით ჭიდაობა; ხელების ფათური.

გადასეეს (მოსეეს, მისეეს) – გადასვლისას; გადავლის დროს (მთაზე); (აქეთობისას, იქითობისას).

გადასხლეტა (ცხვრის) – ფარისათვის გარკვეული ნაწილის ჩამოცილება, გარეკვა, მოპარვა, წართმევა.

გატრიზავება – სიტყვის ბანზე აგდება; კაცის აგდება, არაფრად ჩაგდება; დაცინვა.

გაძაგრვა – გაჭიმვა, გაშოტვა; გაბაწრვა, გათოკვა.

გაცე – გადი (წყალს გაღმა). გამოცე, აცე, შაცე – გამდი, ადი).

გველისპირული – კარგი ხმლის ეპითეტია. იგულისხმება, რომ მისგან დაჭრილი კაცი არ მორჩება, შხამიანია.

გიძე – გიძევს, გვაქვს.

გუდარახი – სოფელია ფშავში, ჩარგლის პირდაპირ, არაგვის მარჯვენა მხარეს, მაღლა გორაზე.

გურო – ნასოფლარია ხევსურეთში, შატილის თემში.

დაგვაჯერებს – აქ: გვაკმარებს.

დავლათიანი – ღვათებრივი ძალის მქონე, ღვთის რჩეული, მტრისაგან უვნებელი, იღბლიანი, გონიერი.

დავლიეთ – აქ: გავათავეთ, გავწყვიტეთ; გავაფუჭეთ, წავახდინეთ.

დაკნელება – ერთიანად ამოჟუჟვა, გაწყვეტა.

დანელება – დაღუპვა, დაქცევა, დახოცვა (ფუტკრის); ფშაური წყევლაა: „შე დანელებულო, შენა!"

დარდაკი – უგნური, უტვინო, სულელი.

დასტური – ხატის მსახური; მორიგეობით დაყენებული ხატისა და ხალხის მომსახურე ერთი წლით, ხატის ლუდის მდუღებელი, ხევისბრის დამხმარე, ხელქვეითი. დასტური ჩვეულებრივ ორია, ორი ოჯახი.

დაუმასრავეს (დამასრავება) – მასრით, გასროლილი ვაზნით დაუსტვინეს, მოუხმეს (ნადირობის დროს). ძახილი და სტვენა ნადირს აფრთხობს, მასრის ხმას კი არ უფრთხის.

დაფარული – აქ: დაფარცხული.

დაყელვა – ნამიან ბალახზე ფეხშიშველად სიარულის დროს ფეხის თითების ქვეშ გაჩენილი იარები.

დაცული – ზვავის, მეწყრის საშიშროების გამო დაცული ტყე, სადაც ჯოხის გამოჭრის უფლებაც კი არავისა აქვს; სოფლისაგან სათიბებად, საძროვებად დაცული ადგილები; წმინდა ადგილები.

დურატყავი – ტყაპუჭი, ცხვრის დამუშავებული, დუმით გაპოხილი ტყავებისაგან შეკერილი დიდი ზომის ქურქი ან საბანი.

ელქეშად – მოულოდნელად, მოურიდებლად; კვალში ჩადგომით მიყოლა.

ერთგულის ნახვეწი – იგულისხმება ხინკლიანი ხონჩა. ნახვეწი – გამოხვეწილი (გამოთლილი) ხის ჯამ-ჭურჭელი, რომელიც სახვეწელით იხვეწებოდა, მექანიკურად დასაბრუნებელი ხელსაწყოთი. „ერთგულის ნახვეწში" იგულისხმება ის, რომ ეს ხონჩა ხინკლით არის ხშირად სავსე, იღბლიანია.

ვანხევი – ხეობა, ნასოფლარი ფშავის ხეობაზე, ხომის ზემოთ, არაგვის მარცხენა შენაკადია.

ვეძა – მინერალური წყალი, მჟავეწყალი; მლაშე, მლაშე წყალი. აქ: ეხლანდელი ვაჟას წყარო.

თექალთო – უნაგირის, კეხის ქვეშ დასაფენი ნაბადი, ქეჩა, ცხენს რომ ზურგი არ დაეჟეჟოს, არ მოეღლიტოს.

თვალივი – სოფელია ფშავის ხეობაზე, ქვემო ნაწილში, არაგვის მარცხენა ნაპირზე, ჟინვალიდან მე-13 კილომეტრზე.

თივა – აქ: ცენტნერი, ცენტნერ-ნახევარი თივის ბულულა, კვერცხის ფორმით, ტკეპნით აგებული მთის ფერდობებზე, რომლებიც კავ-საბლებით შეკონილი თრევით ჩამოაქვთ ჭალამდე, უმთავრესად ზამთარში, თოვლზე.

თოფოსნობა – თოფის სროლა.

იხდენს (მოხდენა) – იგუებს (შეგუება), იტანს (ატანა).

კართანა – ვიწრო, შეზღუდული ადგილია ფშავის ხეობაზე, მაღაროსკარს ზემოთ 2 კმ-ზე. ადრე მართლაც კარივით ყოფილა, 7-8 მეტრის სიგანის, ამჟამად კლდე აფეთქებულია და გაფართოებული.

კაპარი – ერთგვარი სასმელ-საჭმელი. მზადდებოდა შემდეგნაირად: ქერის ფქვილს ათქვეფავდნენ წყალში, ჭიჭს (ლუდის საფუარს) მისცემდნენ და აფუვლებდნენ . მიიღებოდა მომჟავო სასმელი, ბურახივით, მარხვაში კი (უმთავრესად) პურჩაყრილს ჭამდნენ, სამარხვო საჭმელი იყო.

კერპის ნაგლეჯი – კერპის ნაშობი, მოურჯულებელი, ჯიუტი.

კვათე – ადგილის სახელია ხევსურეთში, ლიქოკის ხეობაში, სოფ. აჭესთან.

კიბე – კლდიანი გზაა, კიბისებური ბილიკია ლიქოკის ხეობაში, ხევსურეთში.

კუკუშულა – ახლად ამოწურული ჭყინტი ყველი.

კულა – 1. ოთხკუთხედად აშენებული ქვის სვეტი ფანჯრებს შუა ან თავხის დასადებად. 2. ეპითეტია ძლიერი კაცისა.

ლესულა – (იხ. საცერული).

ლიქოკი – ხეობაა ხევსურეთში, ბარისახოს მოპირდაპირე მხარეს, არაგვის მარცხენა შენაკადია.

მედიატორე – შუამავალი, მომრიგებელი.

მესისხლეობა – შურის ძიება, სისხლის აღება.

მეხედვება – რაღაცა ხიფათი მელის, შემემთხვევა. „როცა რა მეხედვება, მამაი მესიზმრება" (გულქანი).

მზირი – მზვერავი, მოთვალთვალე.

მინა – ბოთლი.

მკვრივი – ხატის ადგილი, ტყე, სახნავ-სათიბი, სადაც არ შეიძლება შეჭრა – მოხვნა, მოთიბვა, ხის მოჭრა.

მონდავნი – ხვნაში ხარებით შეამხანაგებული ორი კაცი, ორი ოჯახი.

მოფშავლება – შექეიფიანება.

მოყივლება – შერცხვენა, საქვეყნოდ თავის მოჭრა, სახელის გატეხვა.

მუში – ცაცხვის შიმლების ლაფანი, რომლისაგანაც ლაფში გამოყვანის შემდეგ, თოკებს გრეხდნენ.

მწკეპრი – წმინდა, წკრიალა, ფოლადისებური ხმა.

მედვა – მეკეთა, მქონდა. „ხელზე ზალტის საცერული მედვა".

ნამგალა – ნადირობაში ან მწყემსობაში შეამხანაგებული.

ნამხრევი – თიბვის დროს ერთ გაყოლაზე გათიბული ფართობი; ცელისაგან ზოლებად დაწყობილი ბალახი, თივა.

ნაჩორგნი – ნაჩორკნი, გაჩორკნილი – ცულით უბრალოდ გათალილი, უშნოდ ნათალი.

ნაწვეთა – წყალჩამომდინარე კლდე, სადაც წყალი წვეთავს, წურწურით ჩამოდის. აქ: ადგილი ფშავის არაგვის ხეობაზე, ორწყალს ქვემოთ, ვიწრო კლდიანი ჭალა.

ოჩხარი – ღარიბი ან დაზარალებული კაცის მიერ ნათესავ-ახლობლებში ჩამოვლა ზამთრის სარჩოს შესაგროვებლად.

ოჩხის მოჩხრეკა – თევზის ჭერის ხერხი ზამთარში – მდინარის მდორე ყურეში ორმოს ამოიღებენ, შიგ ქვებს ჩაყრიან, რომლებშიც საზამთროდ თევზი ჩაიბუდებს. გვიან შემოდგომაზე, ზამთარში ორმოს ბადით გადაღობავენ მდინარის მხარეს, ყინულს მოჭრიან

და თევზს ამოკრეფავენ ორმოდან. მსუქანი და გემრიელი თევზია.

ჟინვალი – ძველი ნაქალაქარი, ჩვენ დროს სოფელი იყო ფშავისა და მთიულეთის არაგვების შესართავში, წყალსაცავის ქვეშ მოჰყვა.

რას – აქ: რამეს. „კიდევ რას გამოგრჩება".

რიალი – ზრიალი, დგარა-დგური, აურ-ზაური.

საბადური – ტყიანი მთაა გადასასვლელი თბილისსა და თიანეთს შუა, ერწოს თავზე.

სადიაცე – ქალაჩუნა, დიაცის, დედაკაცის მსგავსი, დედაკაცებში ჩასათვლელი.

სადიაცო – 1. კერის ნაწილი კარის მხარეს ან მარცხენა მხარეს, სადაც ქალები და შვიდ წელზე ქვევით ბავშვები სხედან (საპირისპიროდ სამამაცოსი – კერის თავისა და მარჯვენა მხარის, სადაც მამაკაცები სხდებიან). 2. გათხოვილი ქალის დიაცისთვის განკუთვნილი. 3. ხევსური დიაცის (გათხოვილი ქალის) კაბა, შინაური შალისაგან (ტოლისაგან) შეკერილი, ზედა-ქვედა გადაბმული, მოქარგული და ბოლო-მონაოჭებული, ძალზე მძიმე და უხეში, ფარაგითა და ქოქომოთი.

საზედაშე, ზედაშე – ხატში ზედაშედ მისატანი საუკეთესო სასმელი, მაგარი არაყი, წინწანაქარი (პირველად გამოსული არაყი); დასტურ ხევისბრებთან საკლავის დაკვლისა და ქადების დაჭრის დროს მიტანილი ერთი ბოთლი არაყი.

საკლავი – დღეობაში, ქორწილში, ქელეხში დასაკლავი პირუტყვი, უმთავრესად ცხვარი.

სამაგანძურო – (ხევს.) გუდანის ჯვრის ძირითადი საყმო სამი გვარი: გოგოჭური, არაბული, ჭინჭარაული – მათი ერთობლიობა.

სამამაცო – საკაცო, კერის სათავე, ან მარჯვენა ნაწილი (სადიაცოს (იხ) საპირისპიროდ), სადაც მამაკაცები სხდებიან.

სამეკოპროდ – სამეკობროდ, საყაჩაღოდ. მეკოპარი – მეკობრე, მძარცველი.

სასენო (სიტყვა) – საწყენი, საქილიკო, გამკენწლავი.

საყელი (მთის) – გადასასვლელი, ყელი, სადაც ნადირსა და მტერს უსაფრდებიან, უყელებენ.

საყუჩი – საფარი, ჩასასაფრებელი ადგილი, უმთავრესად ნადირ-ფრინველზე ნადირობის დროს.

საცერული – ბერა თითზე (ცერზე) წამოსაცმელი, ჩხუბში გამოსაყენებელი რკინის იარაღი. არის სამგვარი: ა) ბასრ კბილებიანი

– ღაჯია; გ) გალესილ პირებიანი – ლესულა, დ) ბლაგვ პირებიანი – ხვეულა.

საჯალაფო ქვაბი – სპილენძის საშუალო ზომის ქვაბი, ყურიანი, საკიდელზე დასაკიდები, რომელშიც ჯალაფის (ოჯახის) საკმარისი საჭმელი იხარშება; ჩვეულებრივ ხინკლის მოსახარში ქვაბი.

საჯარე – ვაკე ადგილი, მოლი ხატის ახლოს, სადაც პურობა და ლხინი იმართება, სუფრები იშლება რიტუალების ჩატარების შემდეგ; სადაც მლოცავი ხალხი ბარგს აწყობს და ღამეს ათევს. ამ ადგილს იქით ქალები ვერ მივლენ ხატის სიახლოვეს.

სისხლის ძებნა – შურის ძიება, სისხლის აღება.

სნუ (დღევანდელი სნო) – დიდი, ძლიერი სოფელია ყაზბეგის რაიონში; უმთავრესად ღუდუშაურები და მათი განშტოებანი ცხოვრობენ.

სოფლიონი (სოფლივნის) – ფშავლების სოფელია ივრის კუდებში (თიანეთის რაიონი).

სულით იაღი – განათლებული, წმინდა.

სწროფავი – სოფელია ფშავში, ქვემო ნაწილში, არაგვის მარჯვენა მხარეს, თვალივის პირდაპირ.

ტაბლა – დაბალი გრძელი მაგიდა, რომელიც გაწყობილი გამოაქვს ხოლმე დისახლისს და წინ უდგამს სტუმრებს, მამაკაცებს.

ტაგანი – მცირე ზომის ყურიანი კოდი – საწველი.

ტყავგარექცევა – ტყავები იკერებოდა ბეწვით შიგნით, ძველებური, უხეში, წინაპრული კი ბეწვგარექცევაც იკერებოდა – უმთავრესად თხის ტყავისა. ეპითეტია ძლიერი წინაპრებისა.

ულალავდეს – უგერიებდნენ, ერეკებოდნენ.

ფაფანაგი – ქალის ქულაჯა, ზედატანზე შემოსაცმელი, ჩვეულებრივ მოქარგული.

ფხიტური – მთაა, გუდამაყრიდან (ბაკურხევიდან) ხევსურეთისაკენ (როშკისაკენ) გადასასვლელი.

ქაჯია – ცხვრის წვივის ძვალი. მისი ხელით გადამტვრევა ვაჟკაცობად ითვლებოდა.

ქინძი - კვლიავა, ველური ქინძი, საუკეთესი სუნელი, განსაკუთრებით ხინკლის.

ქუჯეგა – კაცის სახელია, მაღაროსკარში ცხოვრობდნენ, ფშავში.

ღაჯია – (იხ. საცერული).

ყაზარა – (?) „ყაზარასავით რომ გაბერილხარ".

ყარწიკა – შალის, მტკიცედ ნაქსოვი შემოსაცმელი, უსახლებო მოსასხამი, ქისტებიდან გადმოღებული.

ყევარი – ორი უღელი ხარი. ჩვეულებრივ მონდავნი (იხ.) ყევარი ხარით ხნავდნენ მთაში, კერძოდ ფშავში.

ყელი – მთაზე, გორზე ჩადაბლებული ადგილი, გადასასვლელი, უღელტეხილი.

შანაყარი – ოჯახის მიერ შეფარებული უცხო ადამიანი, ოჯახის წევრად მიღებული უთვისტომო, ყარიბი.

შუაფხორი – (იგივე, შუაფხო) – სოფელია უკანაფშავში, ცენტრი. ორწყლიდან, ფშავისა და ხევსურეთის არაგვების შესართავიდან, ხუთ კმ-ზე.

ჩარგლისკარი – არაგვის ჭალა, სადაც ჩარგლის ხევი, ჩარგლურა უერთდება არაგვის ჭალას, არაგვს, საიდანაც ჩარგალი იწყება.

ჩახედვებული – ღრმა ჭრილობა, რომელიც ტვინამდეა ან ორგანიზმის შიგნით ღრუმდეა ჩასული.

ჩიკა – ხის სამფეხა პატარა სკამი.

ცაბაურთა – სოფელია უკანაფშავში, შუაფხოს (იხ) თავზე, არაგვის მარჯვენა, მხარეს, მაღლა მთაზე.

ციცა – კატა. აქ: ხევსურებს მეზობელი ტომები, განსაკუთრებით ფშავლები, ზედმეტსახელად ციცეებს ეძახიან.

ძაღლისმჭამელი – გოგოჭურთ დასტურ-ხევისბრებს ხატისათვის ნადუღარ ლუდიან სპილენძის ქვაბში ღამე ძაღლი ჩახრჩობიათ. ეს დაუმალიათ ხალხისთვის მეორე დღეს, ის ლუდი მათთვისაც უსმევიათ და თავადაც უსვიათ. ეს საიდუმლო მაინც გაუგია ხალხს და გოგოჭურებისათვის ძაღლის მჭამლები შეურქმევიათ.

წალალვა (ხევს.) – გაგზავნა. „შვილნი წავლალენ სათიბზედა."

წერა, წერილა – მკის დროს სამი ძნა ერთმანეთზე აყუდებული გამოშრობის მიზნით, სანამ ხუთულად ააგებენ.

წილობა – ხატში ქადის, ხორცის ან სხვა რამის ნაწილი, ნაჭერი. ქადის წილობას – მეოთხედს ხევისბერი იტოვებდა დამწყალობნებისას, ქადების დაჭრისას.

წიწკარი – ხის წვრილი ტოტი.

ჭიჭახევა – პატარა ხევი, ნაკადული, რომელიც ვაჟას სახლს ჩამოუდის მარცხნივ. „ჭიჭა" (პატარა), ზანიზმი უნდა იყოს ფშავ-ხევსურულში – ხევსურეთში ერთ პატარა ტანის კაცსაც ერქვა „ჭიჭა იმედა".

ხევისბერი – თემის თავკაცი, უმთავრესად ხატობა-დღეობებში რიტუალების ჩამტარებელი, მოწმინდარი, მლოცავ ხალხს ამწყალობებს, დიდებას წარმოთქვამს, ზარებს რეკავს, საკლავებს კლავს, ქადებს ჭრის.

ხვეულა – (იხ. საცერული).

ხაჭოწყალა – ცივ წყალში გახსნილი ხაჭო. უმთავრესად სათიბზე, სამწყემსურში ყოფნის დროს საჭმელია, ხმელა პურის მეტი როცა არა ჰქონდათ რა. ჯამში გაიკეთებდნენ ხაჭოწყალას და შიგ პურს ჩაიჩიქავდნენ.

ხოკერი – ხის (ბალამწარას, თელის, ცაცხვის) ქერქისაგან ყაპყატოთი შეკერილი და ძირგამოწნული დაბალი კასრი, რომელშიც უმთავრესად დაჩეჩილი მატყლის ფთილებს, ტარ-ფარტენას აწყობდნენ.

ხონჩა – ხის (უმთავრესად თელის) მოგრძო და ბრტყელი ჭურჭელი, რომელზეც ხინკალს ამოიღებენ ხოლმე და სუფრაზედაც იმითვე მიაქვთ.

ჯალაფი – ოჯახი; ცოლი.

ჯღრდე – გროვად მიყრილი, მიხერგილი (რქები, ძვლები და სხვ.)

სარჩევი

არწივთა საბუდარები....4
ჯიშჩამომავლობა.... 12
მშობლები....24
დაბადება....34
თელავი....40
თბილისი....52
გორი....58
ტოლათსოფელი 77
პეტერბურგი და კვლავ ჩარგალი....82
იურისტობაზე მეოცნებე....89
ოთარშენი. ცოლის შერთვა....99
დიდთონეთი....104
და ბოლოს მაინც ჩარგალი.... 130
ვაჟას ძმები....139
ა) გიორგი....139
ბ) ბაჩანა....145
გ) თედო....155
დ) სანდრო....168
ვაჟა და მუზა....181
იმედას მხრიდან „ნათესავები"....198
„ივერიასთან" დაუმძრახება....207
ძალად ლხინი....214
ვაჟა ჩუბინი და მონადირე....223
ტყისთვის ბრძოლა მეტყევეებთან....228
საქვეყნო გულისტკივილი....247
ვაჟა და არტისტობა?....254
კეკეს დაღუპვა. თამარი....259
ვაჟას შვილები....267
ა) თამარი....268
ბ) ლევანი....270
გ) გულქანი....312
1905 წლის რევოლუციის იმედი და უიმედობა....319
დაწუნებული ენა....346
ვაჟას „შეცდომების" გასწორება....366

ვაჟას კრიტიკოსები.....368
უქაღალდობა.....374
არც მთაში, არც ბარში.....377
ვაჟას ქომაგნი.....395
ავადმყოფობა, იუბილე და აღსასრული.....409
დამოწმებული ლიტერატურის სია.....434
ლექსიკონი.....437

They say, when Walt Disney read Vajha-Pshavela's (Luka Razikasvili's) ''Singers of Nature", he eried out: "Who is this man, who is this genius, why I haven't heared anything about him?"

Today his name isn't unknown; Vajha Pshavela is famous almost all over the world as an incomparable poet and great humanist, the thinker of the world level.

He lived at the and of the XIX th century and created his original poems in a most beautiful part of Georgia-Pshavi. His pseudonym is desrived from his native region (Vajha-Pshavela means a man pearen's from Pshavi). He earned his living by a peasent's work and lived in poverty. In Georgia they often compare his fate to that of the famous Scottish poet Robert Burns.

Vajha-Pshavela's most national, most originale creative work is nourvished with mytology and folklore of the highlanders. That's why his poetry is for eternity and at the same time understandable for everybody.

To embody his philosophyc ideas and ideas common to all mankind, he uses episodes describing the life of highlanders, customs which were his customs as well, If you are not aware off all these, his creative work will be inconceivable for you.

My book is the first ettempt to deseribe Vajha-Pshavela's life. I think the narrative of the man (i.e.me), who was brought up among the same mountains, and in the same corner of Georgia where the poet lived, won't be uninteresting for the reader.

Уолт Дисней прочитав произведение Важа-Пшавела-"Певцы природы"- воскликнул:"Кто он и откуда этот гений! Почему я ничего не знал о нём!"

Сегодня Важа-Пшавела (Лука Разикашвили),выдающийся поэт и писатель Грузии,известен всему миру,как несравненный певец природы,большой гуманист и мыслитель мирового значения.

Важа-Пшавела жил и творил в конце XIX века, в одном из прекрасных уголков Грузии - Пшави. Важа-Пшавела его псевдоним (человек из Пшави). Он как истинный крестьянин своим трудом содержал семью.Почему его судьбу сравнивают с судьбой большого шотландского поета Роберта Бернса.

Национальное, самобытное творчество Важа-Пшавела основано на мифологии и фольклоре горцев. Его поэзия вневременная, поэтому понятно всему человечеству. филасофские воззрения и обшечеловеческие проблемы он воплатил опираясь на эпизоды быта горцев, на их обычаи. Поэтому без знания всего этого, без знания жизни самого Важа-Пшавела часто невазможно понять его творчество.

Эта книга - первая попытка описания жизни Важа-Пшавела. небезинтересно знать читателю, что автор данной книги-тоже горец, выросший в тех же местах, где жил и творил Важа-Пшавела.

Gigi Khornauli

The life of Vajha-Pshavela

დაიბეჭდა გამომცემლობა "ეროვნული
მწერლობის" სტამბაში. მხატვრის ქ. №4
ტელ.31-70-47
32-73-62
E.male
litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

თბილისი. 2008